

114 /
1947/2



მნათობი

5

თბილისი.
1947



მნათობი

სკულია-სამართვილოს საბგოთა მფიარლების
კავშირის მრმელთვიური სალიბრატორა
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
მურნალი

წილიწადი ოცდამეოთხე

5

4375
647661



19 სახელები
მანი

47
საქართველოს
საზოგადოებრივი
სახელოვნო
ბიბლიოთეკა

გაზაფხული



სუნთქვა შესწყვეტა ზამთარმა ცივმა,
სითბომ შესცვალა ამინდი ქუში.
ისევ მოვიდა მაისის წვიმა
და სიხარული ამინთო გულში.

მზე დაიღვარა ვარდისფერ ნისლზე,
მზეს კვლავ სამზეო აურჩევია.
ეს გაზაფხულიც მოვიდა ისე,
როგორც ყოველთვის მაისს ჩვევია.

მოვიდა გრგვინებით და ამბოხებით,
თეთრ ყვავილების კორიანტელით,
პირველი ელვის ერთი მოქნევით
ერთად აანთო ასი სანთელი.

ბევრჯერ მინახავს ზეცა მკექარი
და აყვავება ანთებულ ზეთა,
მაგრამ ამ მაისს ისე შეეზარი,
თითქოს გაზაფხულს პირველად ვხედავ.

მესმის, ცხელი და ანკარა სხივი
ყვავილის თაში როგორ წკრიალებს.
გამარჯვებული არწივი ჰყივის
და ჩემს სამშობლოს თავს დასტრიალებს.

ამღერებულან მთები და ველი,
სული ჩაუდგამს ხესა და რკინას,
თითქოს მაისის პირველი ელვით
ახლადშექმნილი ქვეყანა ბრწყინავს.

ნ ა თ ე ლ ა



თავი პირმელი

თბილისში, სანაპირო ქუჩის გასწვრივ, სამსართულიანი სახლის წინ, მსუბუქი ავტო შეჩერდა: ორი ახალგაზრდა ქალი ჩამოვიდა. სახლის შესასვლელისაკენ გაემართნენ. მათი მოღიშარი სახეები იმ ყვავილებს ემსგავსებოდნენ, რომელნიც გულში ჩაეკრათ. მსუბუქად აიარეს მარმარილოს კიბე. როცა შესაშვ სართულში ავიდნენ, ერთმა მათგანმა, ქერათმიანმა, კარი გააღო. კაბებისა და ყვავილების შრიალით შევიდნენ ოთახში.

მათ საბითა და თმებით ერთნაირად გათეთრებული დედა შემოეგებათ.

— მოხვედით, შვილებო? — ჰკითხა დედამ და ქალიშვილებს ხელი მოჰხვია.

დები ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს, თუმცა უფროსი, თამარი, ოდნავ მაღალი და გამზდარი სჩანდა, მას სიმწიფის სიღინჯე შეჰპარვოდა. უმცროსში ახალგაზრდობის მზე ამოდიოდა. შესაძლოა ამიტომ ის უფრო დაუდგრომელი, ენამარავალი და მოძრავი იყო.

— დედი, საცა მოვლენ, დღეც კარგი დაგვიდგა. დახე, მზით აივსო ოთახი. სუფრაც საესეა. თამარ, ვაზები! წყალია საჭირო! მე თვითონ, თვითონ!—ყვავილები როიალზე დაჰყარა, ახლა სასადილო ოთახში შევიდა. ამ

ოთახში თავით ბოლომდე გაშლილი სუფრა უკვე გაეწყობათ.

— ელიკო, სად დამეკარგე, აქ მოდი, დაო, სასტუმროსაც ნუ დაივიწყებ!—მოუწოდა უფროსმა დამ.

დედა ნატო სარკმელთან სავარძელში ჩაეშვა, შორს, სხივშეფრქვეულ მწვერვალებს გაჰხედა. თეთრად ელვარებდნენ ის მწვერვალები და თითქოს მისი ერთადერთი ვაჟიშვილის გამირობაზე ლაპარაკობდნენ. მერე სადღა დაიკარგა? რატომ არა სჩანს?.. უეჭველია, იმ მთებმა იციან, სად არის შვილი! ამიტომ ასე დაეინებით ელვარებენ, მით რამეს ამცნობენ მაგრამ ვინ რა გაიგოს, ვინ შეისმინოს მთის მუნჯი ენა. ფიქრებში წასულ დედას, როგორც სიზმარში, მხოლოდ ზოგჯერ თუ ჩანსმოდა ქალიშვილების,—თამარის და ელიკოს სიტყვები, ფეხის ხმა, ზოგჯერ სიცილი. ისინი სტუმრებს ელოდნენ და ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებოდნენ:

„ელიკო, აქ მომეშველე“.

„სარკეებმა ისე გაამრავლეს, თითქოს ყვავილების ტყეში ვარო თამარ, დასასრული არა აქვს ამ ტყეს“.

„აქ უღვინოდაც დათვრებიან, ელიკო“.

„თამარ, მისი ეშხი უფრო დაგათრობს“.

„ახ, შე ცუდლუტო!“

„რათ მიჯავრდები?“

„განა მალხაზს პირველად ვხვდები?“

„ფრთხილად, თორემ მამაჩემი ორივეს გაგაძევებთ იმ თქვენი მეცნიერების ლაბირინტიდან...“

„განა შენ არავინ მოგწონებია?“

„რატომაც არა... შორსა ვარ... მას ვერ მივწვდები. ისიც ხომ თქვენი ლაბორატორიების ლაბირინტშია. ამბობენ: შოგ ისე ღრმად შესულა, რომ იქიდან კეტითაც ვერ გამოაგდებ“.

— „ჩვენი ბეჯანი! ის მოვა აქ“.

ზარის ხმა გაისმა.

— აჰა, მოვიდნენ!—დაიძახა ელიკომ და კარის გასაღებად გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ ელიკო ორ კარგად ჩაცმულ ვაჟს შემოუძღვა.

— აი, ჩემი სტუმრები! კიდევ ერთს ველი, დანარჩენი თქვენთვის დამილოცნია!

— მობრძანდით, მობრძანდით! — თამარი მიესალმა შემოსულთ.

ნატოც წამოდგა. მის წინ ერთი მაღალი, შავთვალწარბა წარმოსადგვი, ხოლო მეორე ტანმორჩილი, გამხდარი ვაჟი შეჩერდა.

მაღალს მზიარული უდარდებობა ემჩნეოდა სახეზე, მეორის, წვრილ, ჭუჭუბი თვალებში უწყინარი ეშმაკობა იფარებოდა.

— დედი, გაიცანი, ექიმები ბრძანდებიან! ამ მაღალ ჰაბუკს ნიკოლოზი ჰქვია, ამას კი სიმონი! ლიტერატურულ ფაქულტეტიდან გაქცეული ყაჩაღებია,—უთხრა ელიკომ.

ცოტა ხნის შემდეგ ნატო გავიდა. სტუმრები გაათამამდნენ და ხმა აიმაღლეს.

— რაც დუნიაზე ხალხია, ყველა ქუჩაში გამოფენილა. ბავშვები გაჰკვივიან, ქუდს მაღლა ისვრიან, თვითონ გარბიან! დიდები ჩემსავით დინჯად დაბრძანდებიან და ერთმანეთს შესაბინუნავ ამბებს უყვებიან!—მუხლზე ხელის დარტყვით წარმოსთქვა ნიკომ.

— შე კაცო, თუ შენსავით დაბრძანდებიან, ფრიად სერიოზულ პროვინებებად ვერ ჩაითვლებიან!—გააჯავრა სიმონმა.

— აი, ხომ მიიღეთ, აგრე გეკუთვნით!—თითის ჩვენებით მიაძახა ნიკოს ელიკომ.

ნიკომ გაპარსულ საულვაშზე ხელი გადაისვა და განგებ გაბოხებული ხმით სიმონს შესძახა:

— მე ეს ულვაშები არ მქონია თუ თქვენ, ვაებატონო, სამაგიერო არ გაზღვევინეთ!

— ჰო და, როცა ულვაშები და ჭკუა შეგეძინებათ, გვიანდა იქნება!

— ოჰო, სადაა ზარბაზანი! ზარბაზანი არა ვაქვთ ქალიშვილებო?—დაიძახა ნიკომ და სხვებთან ერთად სიცილი მორთო.

ხუთიოდე წუთში ზედიზედ მოსულ სტუმრებით აივსო ოთახი: მათი საერთო ქრიაშული დაიწყო: ვინ როიალზე უკრავდა, ვინ მღეროდა, იცინოდა, თამაშობდა. მიუხედავად ამ ხმათა აღრევისა, მაინც რაღაც საერთო საზეიმო ქრიაშულს ჰქმნიდა ეს ყოველივე.

ისევ ზარი. თამარმა გაულო.

ორი ჰაბუკიც დინჯად შემოვიდა ოთახში:

— აი, ჩემი სტუმრები,—მალხაზ და ბეჯანი!—წარმოსთქვა თამარმა.

ახლადმოსულები მიესალმნენ მეგობრებს, ძველებს თუ ახლებს. აქ მათთვის უცნობი არავინ იყო, თუმცა ეტყობოდა, ამ ოჯახში მალხაზი თავს უფრო თამამად გრძნობდა, ბეჯანი კი მორცხვობდა. ის ნაკლებს ლაპარაკობდა, უკან დგებოდა, მაგრამ ვინაიდან აქ ნიკოს გარდა ყველაზე მაღალი იყო, მაინც შესამჩნევი ხდებოდა,—მეგობრების წრეში თვალსაჩინო ადგილს იჭერდა. ის თავის ძველ ნაცნობს მუდამ მზიარულ, ენაწყლიან ნიკოს ლაპარაკს შორიდან უსმენდა. ზოგჯერ

თავისთვის მხოლოდ მაშინ გაიღიმებდა, როცა ენამახვილი სიმონი ნიკოს მოხდენილად უქასუხებდა.

კარებში კვლავ ზარმა გაიწყარუნა.

— ზარის ხმით ვიცან! — დაიძახა ელიკომ, გაიქცა და როცა კარი გააღო ისევ იყვირა—აი, ვის ველოდი! ნათელა, ნათელა!

— ჩემო კულრაქვე! — მოისმა პალუხი.

ერთი წუთიც და სასტუმრო ოთახში შურდულივით შემოიჭრა მალალი, მსუბუქად, მაგრამ თავისებურად განსაკუთრებული გემოვნებით ჩაცმული ქალი. რამდენადაც თავისი სიშავით ელვარებდა მისი დახვეწილი, დაწნული თმები, იმდენადვე სითეთრით ანათებდა მისი ჩამოქნილი, მომრგვალო სახე. ცისფერი აბრეშუმის კაბის შრიალით ყველას სათითაოდ ჩამოუჭროლა, მიესალმა, ყველასათვის შესაფერი სიტყვა იპოვა. თითქოს ტალღად იქცაო, ისე მიმოაჭქროდა ოთახიდან-ოთახში.

— ბედნიერებას გისურვებთ დღედი! შენც თამარ, ჩემო ვარსკვლავო! ვაქაცებო, თქვენც აქა ყოფილხართ! მალახაზ, თითქოს მოწყენილა ხართ, ნიკო მიეშველეთ, თქვენ ვის არ გაართობთ! აჰა, სიმონიც! მამ, რაღა გენბავთ, ყველანი აქ ყოფილხართ ბანით და ტენორით!—სულ ბოლოს ბეჟანს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, ხმის ოდნავი დაშვებით, უთხრა:—ბეჟან, ფრონტის ჰაერი ხომ არ ჩამოგვყვით? გეყოფათ, გეყოფათ, ზეიმის დღეა!—დიდრონი, შავი თვალები ოთახში მიმოატარა, თვითონაც გაუკვირდა, თუ როგორი სიჩუმე მოჰყვა მის მოსვლას.—რა ტომ დაჩუმდით? ვიხმაუროთ, ვიმღეროთ, დაუქრათ, ჩვენი დღე დადგა!

მართლაც უეცრად ასტეხეს მამურ, როიალმაც დაიგრილა და მას საერთო, უფრო ხმიანი სიმღერა მოჰყვა.

როცა გული იჯერეს, ნატომ სტუმრები მაგიდასთან მიაბატიყო შემოუხსდნენ გაშლილ მაგიდას, მხოლოდ სულ თავში მიქეცნ დაჯდა.

სიჩუმე ჩამოეარდა. აქ ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ასეთი სიჩუმე.

უეცრად კაბინეტის კარი გაიღო და ნელი, შეწყობილი ნაბიჯებით შემოვიდა მოხუცი.

— ავადემიკოსი!—დაიძახა ვილაყამ და ყველა, ვით ერთი, წამოადგა.

წვერმოშვებული, სათვალეებიანი მოხუცი მაგიდის თავში შეჩერდა.

— გამარჯვების კდღეს მოვილოცავთ, ახალგაზრდებო! — წარმოსთქვა მან.

— თქვენც, თქვენც, ბატონო სოლომონ!—შესძახეს.

— დასხედით, გთხოვთ!—მოუწოდა მოხუცმა, სათვალე მოიხსნა, შეათვალიერა სტუმრები. შემდეგ ნელის ნაბიჯით გაშორდა მაგიდას, კედელზე მალლიდან გადმომყურალი ვაჟკაცის სურათს აჰხედა. „შვილო, შენ აღარ ხარ, სამუდამოდ დაგვეშვიდობე“—შვილისადმი გულში გაივლო, თრთოლვა დაიწყო.—გრძელი, ჭალარაშერეული წამწამები აღეთამაშდა, დასძლია სისუსტეს და გამობრუნდა.

— ჩემი ვაჟიშვილიც თქვენთან ერთად ზეიმობს ამ დღეს,—უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, თითქოს ამით თავისთავსაც ამხნევებსო, წარმოსთქვა მან. მაგიდის თავში სკამი უკან დასწია, ღვინით სავსე ჭიჭა აიღო, ისევ თვალი მიმოავლო ახალგაზრდობას, შემდეგ განაგრძო:

— მოხუცებს სისუსტე გვეპატიება. შეუძლოდ ვარ. მინდა დავლოცო ჩვენი ქვეყანა,—ზალხი, ჩვენი დიდების უკვდავი შემოქმედი, ჩვენი წმინდა საქმე! გახსოვდეთ, ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლა უფრო რთულია,—აქაც გამარჯვებას გისურვებთ!—ჭიჭა მიძიდ ასწია და გამოსცალა. მის გვერ-

დით შეჩერებულ ნატოს აცრემლებულ თვალებს წააწყდა, შეაერყოლა:

— გეპატიეთ, ახალგაზრდებო, ჩვენ მოხუცები ხელს აღარ შეგვიშლით, განაგრძეთ, გაიხარეთ!—ნატოს მკლავში ხელი გამოსდო და წაიყვანა.

— გთხოვთ, დარჩეთ, გთხოვთ! — გაისმა შეძახილები, მაგრამ ამ ხმებმა მხოლოდ ერთი წუთით შეაჩერა მოხუცი.

— დამოჯერეთ, მეგობრებო, მე უკეთ ვიცი, მე უკეთ ვიცი! განაგრძეთ, განაგრძეთ!—კაბინეტის ოთახში გავიდნენ.

ურთიერთს ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდნენ; ცრემლებიდან მათი სახეები უფრო ფართო მოსჩანდა.

ამდროს სასაღილო ოთახში ქვითინი გაისმა.

— ელიკო, ელიკო! რა დაგემართა?!—მიაძახეს და შემოესივნენ.

ნათელამ მიიღბინა, ვით ბავშვს მიუღერსა:

— ჩემო პატარავ, არა გრცხვენია! დაჩუმდი, კარგი!

როგორც უეცარი იყო ელიკოს გულაჩუყება, ასევე უეცრად შესწყვიტა ქვითინი. მიმოიხედა, ახლა მიხვდა, ამ საზეიმო დღეს როგორ არ შეეფერებოდა მისი ცრემლები. შერცხვა, მოეშვა, თავი დახარა.

— მაპატიეთ, რად მომივიდა?

— აი, შე ეშმაკო, შენა!—მიაძახა ნათელამ, თავზე ხელი გადაუსვა, თვალებში ჩაზედა. შემდეგ მივიდა, ღვიწხით სავსე ჭიქა აიღო, —მეგობრებო, ხელმძღვანელი გვჭირდება. მე ნიკოს ვასახელებ თამადად! გთხოვთ, ვინ არის მომხრე?

— ნიკო, ნიკო!—შესძახეს სხვებმაც.

ჭიქები ერთმანეთს მიუწკარუნეს და გამოსცალეს.

— მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს თამადას,—როგორც თვითონ არის, ასე

თივე გავრცელებული სიტყვები იცის!—თავისებურად ჩაურთო სიმონმა, და ფეხზე წამოდგარ. ნიკოს მელასავით აპხედა ქვეშადას.

სიცილი შორეთს, მაგრამ ნიკოს დასაცავად ისევ ნათელამ გასძახა მათ:

— იმიტომაც ავირჩიეთ თამადად, რომ სიტყვის ძებნა არ დასჭირდება!

მთელი იმ საღამოს განმავლობაში ენამაკვიტ სიმონისაგან ისევ ნათელა იცავდა ნიკოს, აქებდა მას, როგორც თამადას:

— „შესანიშნავია, საუცხოოა“ — იძახდა (ის რა იცოდა, თუ ვისზე რა გავლენას ახდენდა მისი ამგვარი ხელგაშლილი შექება).

ღვინომ ქრიაშული გააძლიერა, ზოგმა სუფრა მიატოვა.

სასტუმრო ოთახში ისევ როიალი აახმაურეს.

ქალები უკრავდნენ, სიმღერაში ვალებიც შეელოდნენ, შემდეგ ჩაღდებოდა ცეკვა-თამაში.

ბეჟანი შორიშორ უვლიდა გვერდს წყვილად მოთამაშე ქალებს, —თვითონ მასში ჩარევას ერიდებოდა, მხოლოდ ზოგჯერ სიმღერაში თუ შეელოდა მეგობრებს.

აი, ნათელა გაჰყვა ნიკოს და ლეკურის გაცხარებული თამაში გაჩაღდა...

უეცრად სიმონი ხელიკივით შეძვრა მათს შორის და ხელგაშლილი ნიკო პირმშრალი დასტოვა.

მაგრამ არა, ნიკომ ისევ იხელთა დრო და ნათელას გაჰყვა.

— ფარშავანგი ხარ, ღვთაებრივი ხარ!—თამაშში მიახლოვებისას ჩაასძახა ნიკომ.

ნათელას უეცარი სიცილი წასკდა, შემდეგ გვერდზე შეჩერდა, საბეზე სიწითლემ გადაუარა, მიმოიხედა, მისი ყურადღება სარკმელთან სერიოზული გამომეტყველებით შეჩერებულმა ბეჟანმა მიიპყრო:

— ბეიან, რატომ თქვენც არა თამაშობთ? აგრე რად დგებართ?

ბეიანი მოილუშა, შეწუხდა, აღარ იცოდა რა ეპასუხნა, წინწამოშლილი შავი თმები თავის აქნევით მალლა აპყარა, შემდეგ წარმოსთქვა:

— აგრე მირჩეენია. ვთხოვთ ნუ გამამხელთ.

ნათელა გააკვირვა ასეთმა პასუხმა, მიზეზი მაინც არ გამოჰკითხა:

— კარგი, კარგი, რადგან აგრეა...— მხოლოდ ეს უთხრა და გამობრუნდა. აივანზე გავიდა, მთვარის შუქით მოვერცხლილ მტკვარს გაჰხედა შორს. მის ვახუტებულ სახეს შემოდგომის გრილი, დამამშვიდებელი ნიაფი შეეხო, თმები აუწეწა, ტალღასავით მიმოარხია და სიამე იგრძნო—ჩემო ქვეყანავ, ჩემო ქვეყანავ!—“მხოლოდ ეს სთქვა, ნეტარებით გულავსებული ცოტახნით აქ შეჩერდა, შემდეგ უცრად მოწყდა ადგილიდან და ოთახში შევიდა.

ისევ სუფრას შემოსხდომოდნენ.

— ნათელა, ნათელა, სად დამეკარგე!—მიადანა ელიკომ და მიირბინა,— აქ ვის ხელთ ჩამტოვე, ნათელა! დავიღალე, სულ ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმიასა და მედიცინაზე აქვთ საუბარი! აფსუს, ლიტერატორი ქალები სად ვიღუპებით!

— დაჩუმდი, კუდრაქავ! შენი თავი რუსთაველის ინსტიტუტში ხომ არ გგონია?—მიუვო ნათელამ, ახლა თვითონ მოხვია ხელი, გაიტაცა, მაგიდასთან გვერდით დაისვა.

— მე მინდა, ნათელას მეორედ გამოცხადების სადღეგრძელო დავლიო!—წარმოსთქვა ნიკომ და ქიქა აიღო.

— არა, მე წინააღმდეგი ვარ! არ არის საჭირო!—მიადანა ნათელამ, ახლაც წამოწოთლდა სახეზე, თვალგბში თითქოს წყენა დაეტყო.

ამ დროს მალხაზს რაღაც ყურში ჩასჩურჩულა ბეიანმა.

ისინი წამოდგნენ, სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

— რა მოგივიდა?—ჰკითხა მალხაზმა.

— თუ ჩემი ძმა ხარ, მეტს ნულარ მკითხავ, მხოლოდ შემისრულე, რასაც ვთხოვ!

— რა უნდა მთხოვო?

— მე უნდა წავიდე. მხოლოდ უხერხულობა არ მინდა შეიქმნეს. ჩემო მალხაზ, აბა შენ იცი!—ქული აიღო. სუნთქვაშეკრული ერთხელ კიდევ მოუხედა მეგობარს, შემდეგ კარი სწრაფად გააღო, კბეები ჩაირბინა და როცა ქუჩაში გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა.

უმაღ იმავე ბინიდან ტრიამულის ხმა შემოესმა. როცა დაშორდა, უფრო მიმზიდველად ისმოდნენ ის ხმები და ახლა იგრძნო, რომ თავისუფლება რომელიც ქუჩაში გასვლით მან მოიპოვა, იყო ცხოვრებიდან გაქცევის „თავისუფლება“, რომ ნამდვილი ცხოვრება თავის აგყარვით იქვე, იმავე ბინაში დასტოვა.

ისევ უკან ეძახდნენ ის ხმები, რაღაც უჩინარი ძაფებით თავისაკენ ეზიდებოდნენ,—გვიანლა იყო. რატომ გაექცა, რად მიატოვა? „ჯერ კიდევ გლეხი ვარ, გლეხი! მოუხეშავი!“—თავისთავს უსაყვედურა და სანაპირო ქუჩისაკენ დაეშვა. რაც შორდებოდა, მით უფრო ნელდებოდნენ უკან მოტოვებული ტრიამულის გაბმული ხმები. გული წყდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მის წინაშე ბუნება იბადებოდა: საამო ნიაფი მალალ ქოჩორს უგუნდავებდა; იღუმალ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ამ სიტყვების ნამდვილი აზრი მას არ ესმოდა, თუმცა სჯეროდა, რომ მისი შინაარსი რაღაც დიდ სიკეთეს გამოსახავდა,—ბუნებას მხოლოდ მისთვის შეეძლო ემცნო ეს ყოველივე,—

შესაძლოა იმიტომ, რომ აქ მარტო დარჩნენ. ეს ახარებდა, ირგვლივ ამრიალუბული ყვავილების სურნელიც იგრძნო და გულში გაივლო „ყვავილების ქვეყანა“ ორ მთვარეს ხედავდა: ერთი ცაზე მიგორავდა, მეორე მტკვარში. მიდის? არა, ამ ზღაპრული ქვეყნის გამჟღავნებელე ჰაერში შთაინთქა, ყურებში რაღაც შხელი ესმოდა: ეს მისი შინაგანი ცხოვრების ღელვა თუ იყო რომლის ტალღები, სადღაც, თავის გზით მიაცურებდა. შიშს მინც არ გრძნობდა, იცოდა, მაღლა მშობლიური ცა ქუდად ეხურა, ქვევით კი—მშობლიური მიწა არ გასწირავდა.

სანაპირო ქუჩა უკან დასტოვა, ზევით შეუხვია, ნარიყალას მთისაკენ პირი იბრუნა და სახეზე წითელი შუქი გადაეფინა. ახლა შენიშნა, რომ იმავე მთიდან სტალინის სახე გადმოჰყურებდა. გზაც იქით ჰქონდა და გაემართა. მიადწია. მეორე სართულში აირბინა, გააღო კარი, დახურული დარბაზები გამოაღო და ისევ ის შუქი მოედო ოთახს. ჩაწვა. რაღაც სტკიოდა, რაღაც ახარებდა. ყველა იმ სატკივარისა თუ ნიხარულის მიზეზი უნდოდა შეეცნო, თვალნათლივ წარმოედგინა. აჰა, ის პატარაა, მთაში მირეკავენ საქონელს, ჯოგს. ეს ჯოგი თავისივე სოფლის ფერმას ეკუთვნის. ყეფენ, გარბიან, იღრინებიან ჯოგის ბრახიანი ძაღლები. ბლავიან ძროხები და მათი ზბოები, კიშანობენ ბულები, ბულრაობენ, მიწას რქით სთხრიან. თვითონ კი უფროს ძმას ასდევნებია... ზაფხულია. მთაში არიან. ამ მთიდან შავ ზღვას გაჰყურებს. ზოგჯერ მწვერვალზე დაჯდება მარტო და ქვევით დარჩენილ ქვეყანას მაღლიდან დასცქერის. ყველაფერი ქვევით დასტოვა, თვითონ კი მაღლაა, ცას დედამიწასთან თვითონ აერთებს. სარკესავით გამჟღავნებელე ანკარა ჰაერს ისუნთქავს და მისი სულიც სარკეა ქვეყნის! ანკარაა, სუფთაა, გამჟღავნებელია!

ამოიღებს სალამურს, ჩააბჯრავს, მისი სულის შესაფერ პანგებს ამოაქვსებს. მზე ჩადის, ღამდება. მიდის, ვარსკვლავების ნაპერწყლები ეცეცემა თავზე... აახურავ ახლილ კარავში ჩაეძინება. დილით დანამულ სახეზე მოისევამს ხელს,—თვალებს გაახელს,—ვით მინდვრის ჩიტი ზე აფრინდება, ჰიკიკის დაიწყებს... დასტოვა მთა, დასტოვა სოფელი. დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი. შემდეგ თვითონ ასწავლის სხვებს. ომი დაიწყო. ბრძოლის-ველზე დაპრილი გდია. როგორ მონახეს, წაიყვანეს, განკურნეს? ომი დასრულდა. დაუბრუნეს მეცნიერებას, მაგრამ ნათელა როდის გაიცნო? სწორია, სწორია! თამარმა გააცნო. უნივერსიტეტის ეზოდან გამოდიოდნენ, კარებთან ელიკოს და ნათელას შეხედნენ, მაშინ გაიცნო. ნათელას გაცნობით ახალი ქვეყანა აღმოაჩინა. შეუძლებელია თავისი სახელი ისე ვისმეს შეჰფეროდეს, როგორც მას, ნათელას. ის ნათელია მთელის არსებით, მის სულში მზეა. — ერთი სიტყვითაც მისთვის გრძნობა არ გაუმხელია,—ეს აღემატებოდა მის სულიერ შესაძლებლობას,—ასე ეგონა, თითქოს გრძნობის გამხელია უხეშობაა, მას შესაძლოა დაერღვია ჩუმი სულიერი ჰარმონია, რასაც ნათელასადმი ყოველთვის გრძნობდა. დღეს კი, რაც დაბრუნდა—პირველად შეხვდა. რა შეიცვალა? ნათელას ისევ სინათლე შეჰმატებია, სხვა არაფერი. მაგრამ, რატომ დღეავედა, რად გამოიქცა?

„შესანიშნავია, საუცხოოა!“—ეს ნიკოსადმი მიძღვნილი ნათელას სიტყვები თითქოს ახლაც მოესმა, მათი ერთად თამაშის სურათიც წარმოიდგინა და გამოერკვა: ისევ ის, ნარიყალას მთიდან მოსული ნათელი ეფრქვევა ფანჯრებს, სახეზედაც შემოსდებია. არა, ეს ნათელი არ მიატოვებს!

თავი მეორე

ქალიშვილები ერთ ოთახში იწვნენ გვერდიგვერდ და საუბრობდნენ. თენდებოდა. გუშინდელ დღეზე ისე უამბობდნენ ერთმანეთს, როგორც გასულ, მთელ საუკუნეზე, რადგან იცოდნენ, რომ გუშინდელმა დღემ დაასრულა ერთი დიდი ეპოქა; დღეს კი ახალი დროის პირველი მშვიდობიანი დღე თენდებოდა.

— თქვენსას მშვენიერი საღამო იყო, დიდიხანია, რაც ასე ფრთები არ გავიშლია.

— შენ ყველას და ყველაფერს აქებ, ნათელა.

— არა, ელიკო, სიძარტლეს ვამბობ. შენი მშობლების თვალბში ცრემლი შეგნიშნე, მაგრამ უცრემლოდ სიხარული არ არის, ცრემლით განბანილი სიხარული უფრო საგრძნობია და მნიშვნელოვანი. მაინც, შენი ქეთინი კინაღამ მიწვდა დედაშენს. განა აგრე შეიძლება, ჩემო ელიკო?

— სამი წელი გავიდა, რაც კავკასიის მთებში დაიღუპა ჩემი ძმა, დედამ კი არ იცის. ვერც ვერცყვით, რადგან ველარ აიტანს. ელის, ელის დღისით თუ ღამით, მაგრამ... მაინც აგრე სჯობს.

— ალბათ ამიტომ გაიყვანა მამა-თქვენმა თავის ოთახში.

— მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, ნათელა!— დუმილის შემდეგ წარმო-სთქვა ელიკომ.

— რა, ჩემო კუდრაქავე?

— ბეჯანი რად წავიდა?

— აჰ, შე ეშმაკო! კუდიანი ხარ! რაზედაც ვფიქრობდი, მას მეკითხები. გაუგებარია. მაღხაშმა სთქვა, რომ დაბრუნდებო, მაგრამ როდისღა? ჩვენ წამოვედით, ის კი არ სჩანდა.

— მე ასე მგონია, რომ შენი ბრა-ლია.

ნათელას უცერად სიცილი წასკდა,

შემდეგ საესებით სერაიოზულად ელიკოს უთხრა:

— არა გრცხვენია? კრემე-რე ბრა-ლია, განა არ მიცნობ? *სიცილი*

— გიცნობ, მაგრამ ვერ მომატყუებ. ყველასთან გულახდილი და თამამი ხარ, ბეჯანთან კი...

— დაჩუმდი, დაჩუმდი შე საძაგელო! მეტი აღარ წამოგცდეს, არა გრცხვენია?— სიყვარულით, მაგრამ მაინც საყვედურით მიმართა ნათელამ და მის პირდაპირ ლოგინზე გაწოლილ ელიკოს ბალიში ესროლა.

ნათელას ასეთმა აღლევებამ ელიკო თავის პირვანდელ გადაწყვეტილებასი დააეჭვა,— ხმა ჩაიკმინდა.

— ცოტა ხნის შემდეგ ისევ მან ჰკითხა: — ნიკოზე რაღას იტყვი, ნათელა, კარგი ვაყავია?

— მშვენიერი. ლამაზი, მზიარული, ენაწყლიანი და გულგაშლილი. მომწონს, როგორც ექიმიც ნიკიერია და კარგად ცნობილი.

— ბეჯანზე უფრო?— ჩაუბრუნა ელიკომ.

— რატომ აღარებ? ბეჯანი ხომ ექიმი არაა? ეშმაკობ, ელიკო. არ გააბტიებ. მე, რაც ვთქვი, სწორია და მეტს აღარ ვიტყვი. აჰა, ხომ მიიღე!— სთქვა, საწოლიდან თითქოს აფრინდა, ნახშირივით შავი თმები მაღლა აპყარა, ჩაცმა დაიწყო.

— ეერა, ვერ მომასწრებ!— დაიძახა ელიკომ და საწოლიდან მარდად ისკუბა.

ჩაიცივს. ხელბირი დაიბანეს. შემდეგ ერთმანეთს თმები გაუსწორეს და სარკესთან შეჩერდნენ.

— ნათელა, შენ სარკეშიაც გეტყობა მეცნიერული ხარისხის მისაღებად, რომ ეშხადები. თვალბში, თვალბში!

ნათელამ ვადიკისკისა და ელიკოს შუბლში აკოცა.

— განა შენ არ გეტყობა, ჩემო ელიკო? მაგრამ ცოტა კიდევ გვადროვონ

მამაკაცებმა — ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ... კაბა გაისწორე, შე სასიკვდილევ! როგორ პარაშუტივით ჩამოვამოვია! ასწი, პო, ეგრე! — ბოლოს მიაძახა და ელიკოს კაბა თვით გაუსწორა.

ნათელას დედა, ასმათი შემოვიდა, ელიკოს მიესალმა, მიუაღერსა და ტბილად უთხრა:

— გმადლობთ, შვილო! თუ არა შენ, ჩემი ნათელა წუხელ შინ მართო მოსვლას ვერ გაბედავდა!

— სამაგიეროდ ორჯერ უნდა გამაცილოს ნათელამ და არც გამოვუშვებ!

— იარეთ, შვილებო, ერთად იყავით, კარგად იყავით, დიდხანს იცოცხლეთ!

— დედი, იმდენს ვარბენინებ ამ კიბებებზე ზევით და ქვევით, ვიდრე ყველა ფეხსაცმელი არ დაუცვდება.

— დაილოცე, შვილო, ასეთ სიტყვისთვის! ახლა კი მობრძანდით, ჩაი მიირთვიეთ. — მოლიმარი სახით უთხრა ასმათმა.

— დედი, ელიკოს ნუ დაუჯერებ, ეშმაკია. ჩემოდენა კუდი აბია და ვერაფერს ვერ გაუგებ! — დაარიგა დედა ნათელამ და სასადილო ოთახში გავიდნენ.

ჩაი დალიეს, ქალაღდებს ხელი დასტაცეს და კიბებებზე სირბილით დაეშვნენ.

მართოდ-დარჩენილმა ასმათმა თვალთ ვააცილა ქალიშვილები. სარკმელთან შეჩერდა. ქუჩაში გასულ ქალიშვილებს უცქირა, ვიდრე მოსახვევში არ მიეფარნენ.

„ჩემი ცხოვრების ერთადერთო მერცხალი, ნათელა!“ — გაივლო გულში და იქვე სავარძელში ჩაეშვა. პირდაპირ, კედელზე, ხანშესული მამაკაცის სურათს მიაპყრო თვალი: ათი წლის წინათ დაკარგული ქმარი ცოცხალივით მისჩერებოდა. მისი უკანასკნელი სიტყვებიც მოესმა: „ასმათ, ნათელა!“ — მეტი ველარ სიტყვა, თვალები დაეხოჭა,

უკანასკნელი სუნთქვა აღმოჩნდა, როცა შუბლზე ხელი დაადო და სიცივე შეხვდა, შემზარავი სიცარიელე იგრძნო უცრად. ამ გულქვეშა შეშინებულ სიცარიელის შიშით წამოძახა:

„არ მინდა!“ — მართლაც მეტი დარჩენა აღარ უნდოდა, — იმ სიცოცხლეს სურდა გაჰყოლოდა, რომელიც ის იყო მის თვალწინ ჩაქრა. თვლებიც დახუჭა, — აღარ უნდოდა გაეხილნა, მაგრამ თითქოს მკვდარმა ისევ შესძახა: „ნათელა!“. პატარა ნათელას გულამომჯდარი ქვითინიც შემოესმა და უცრად იგრძნო: სიცოცხლე გრძელდებოდა... ამ სიცოცხლეს სდარაჯობს დღესაც, ყველა მნათობში ნათელას ზედავს...

ნათელა და ელიკო ინსტიტუტში მიიჩქაროდნენ. მართლაც, ვით ნამდვილი მერცხალი, ნათელა გზადაგზა ყველა ნაცნობს შესუქიკიებდა, გაშორდებოდა.

როდესაც ვერის ბაზარს გაშორდნენ ქუჩაში ერთი ახლო მეგობარი დათა შეიციონ, ხელი ალაპყრო და მიაძახა:

— დათუნი, დათუნი!

დათამ მოიხედა, მყისვე ნათელასთან მიიზბინა და მიესალმა:

— გრცხვენოდეს, ნათელა! აგრე სანამ უნდა ამახინჯო ჩემი სახელი! — მეგობრულად უთხრა დათამ და გაუღიმა.

— ყველას აგრე გვიმახინჯებს სახელებს, ზოგსაც რასმეს მიუმატებს, ზოგისას გამოაკლებს, ზოგს სულ შეუცვლის! მომეხმარე დათა, ერთხელ მაგრა ვცემოთ და ველარ გაბედავს! — ჩაუერთო ელიკომ.

ასე მეგობრული დამუქრებით, მოჩვენებითი „გაბრაზებით“ ინსტიტუტისაკენ ერთად წავიდნენ.

ვალებში ყველაზე უკეთ ნათელას დათა იცნობდა. ამიტომ დათა ისეთივე გულახდილი, გულწრფელი იყო ნათელასადმი, როგორც თვითონ ნათელა მისადმი. ამ მეგობრობის დარღვევა არაერთარ ძალას არ შეეძლო, მაგრამ

რამდენადაც გულწრფელი იყო მათი მეგობრობა, ამდენადმე დიდ სითამამეს იჩენდნენ და ერთმანეთს თითქმის არავითარ საიდუმლოებას არ უფარავდნენ.

ინსტიტუტიდან გვიან დაბრუნდნენ შინ. შებირებინამებრ იმ საღამოს ნათელას ელიკო უნდა გაეცილებინა თავის ბინაზე, მაგრამ უცერად კარებზე დააკაკუნეს.

ნათელა მივიდა, კარი გააღო, წამოიძახა:

— აა, ნიკო, ნიკო! ააა, სიმონიც! მობრძანდით, მობრძანდით!

ნიკო ვეებერთელა თაიგულით ხელში შემოვიდა ოთახში და სიმონიც შემოჰყვა.

— ამხელა თაიგულით ქორწილში ხომ არ მიდიხართ, ნიკო?—ჰკითხა ნათელამ.

— დიახ, ქორწილში! განა თქვენისთანა საქორწინო საღამე იქნება? მიირთვით ყვაველი ყვაველთა დედოფალო!—მოიძახა ნიკომ და თაიგული მოწიწებით მიართვა.

ნათელას სიცილი წასკდა, მაგრამ, როდესაც თაიგულის გამამბრუებელი სურნელი იგრძნო, ხარბად დაჰყნოსა:

— ააა, ხომ ზედავთ აზნაურის შთამომავლობა სად იჩენს თავს!—წარმოთქვა ნათელამ.

— და ისიც იმერგლის!—ჩაურთო სიმონმა.

— შესანიშნავია, საუცხოოა!—ისევ დაიძახა ნათელამ.

— კარგია, ქალბატონო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ზოგჯერ ყვაველი ცარიელი ჯიბის საფარილი!

— სიმონ, ასე რად ამცირებთ მეგობარს, არ გეცოდებათ?

— თქვენ ნუ იღარდებთ, ნათელა! ამხელა კაცი, რაც არ უნდა დამამცირონ, სიმონის ოდენა მაინც დავრჩები!—წარმოთქვა ნიკომ.

— ნუ დაგავიწყდებათ, პატივცე-

მულნო, რომ მთავარია ჩარხსია და არა მოცულობა!—ისევ გააჯერა სიმონმა.

— ო, როგორ მიხარობს, როცა ესენი პაექრობას იწყებენ და ერთმანეთს არაფერს უთმობენ! უფრო კი ეს ჩვენი სიმონი, ნიკოს ყოველ სიტყვაზე ჩახმახივითაა შეწყობული და იმავ წუთს ტუპ, ტუპ,—დაარტყამს თავისებურად!—წარმოსთქვა ნათელამ.

კარგახანს ისაუბრეს, იცინეს, თუმცა დათა და ელიკო საუბარში იშვითად თუ ჩაერეოდნენ.

ივანშემეს, შემდეგ სტუმრები თავის გზით წავიდნენ.

მხოლოდ ისევ ელიკო არ გაუშვა ნათელამ.

— მითხარი ნათელა,—სავსებით სერიოზულად წარმოსთქვა ელიკომ—განა შენ ფიქრობ, რომ მხოლოდ ყვაველების მოსატანად მოვიდნენ?

ასეთმა შეკითხვამ ჩააფიქრა ნათელა, ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მივიდა, ფარდა გადასწია, სარკმელთან შეჩერდა. ზელში დაპერილი ცხვირსახოცი დაპმუქნა და გადაჰკრივთ სთქვა:

— არა.

— მაშ?..

— ვერაფერს გეტყვი, ჩემო ელიკო. მე მხოლოდ ჩემს თავს განვაგებ. სხვების შესახებ ვერაფერს გეტყვი. ყველას შეუძლია ჰქონდეს თავისი გატაცება, აღმაფრენა, ფანტაზია თუ მისწრაფება. ეს მხოლოდ მათი საქმეა და არა ჩემი. ხომ მართალს ვამბობ?

— წავიდეთ, ნათელა. მე მაინც პირობის შესრულებას მოვითხოვ.

— კარგი, წავიდეთ!—დაეთანხმა ნათელა და ელიკოს გაჰყვა.

• • •
 იმავე საღამოს, გვიან, შინდაბრუნებულ თამარს, მალხაზსა და ბეჟანს ღვინით შეზარხოშებული სიმონი გზაში შემოხვდათ.

— სიმონ, საიდან? — ჰკითხა თამარმა.

ლილინით და მოკლე ხელების ფართიფურთით მომავალი სიმონი შესდგა.

— ოპო, თქვენ ბრძანებულხართ! რა გიჭირთ რა, იარეთ აგრე, იკვლიეთ მიამუნების, ზაყაყებისა და თავგების ცხოვრება, — ჩვენ კი ლამაზების ცხოვრებას დავაკვირდებით!

— სანამდის უნდა იხუმრო, სიმონ? — ჰკითხა ბეჟანმა.

— ხუმრობა კი არა, თქვენ უნდა ვენახათ — მე და ნიკომ რა ჩავიდინეთ!

— რა ჩავიდინეთ?

— აი, ამ სალამოს ლამაზები მოვინახულეთ! ბოდიში, ამ შემთხვევაში მთავარია ნიკო და არა სიმონი! ჰო და, ნიკომ ისეთი თაიგული მიართვა, რომ ქალი ჰკუთხე კინალამ შეცდა. შემდეგ კი კარგი ვახშამი!

— ვის მიართვა ეს თაიგული? — ჰკითხა მალხაზმა.

— ვისა და ნათელას!

— ნათელას? — დაიძახა ბეჟანმა. უმაღლე მიხედა, რომ გადააქარბა, მის ხმას დამძაფრება დაეტყო.

— დიახ, ნათელას, ანუ ისეთ ქალს, რომელსაც ამქვეყნად ყველანი და ყოველი უყვარს, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ერთზეა შეყვარებული!

— ვისზე? — ჰკითხა მალხაზმა.

— იმაზე, ვინც ჩემზე ორჯერ გრძელი და ორჯერ პრტყელია.

— სისულელეა! — მიიძახა თამარმა.

— დიახ, სოლომონ ბრძენიც ამბობდა, რომ ცხოვრება ამაოებააო. მაგრამ დღემდის გრძელდება და ძლიერდება! დიახ, აგრეა, ახლა კი მშვიდობით, თორემ ღვინო თავში ამასწრებს და ქუჩაში დავრჩები! ესე, ჰო, თქვენ, თამარ და მალხაზ, დაქორწინებას თქვენზედაც ამბობენ და ნუ მომაწყენთ! — წარმოსთქვა ნახევრად უკანმოზრუნებით, თანაც ხელისქნევით დაემშვიდობა, თავისებური ღიღინი დაიწყო.

— ღვინოს აღმჩატებია სიმონი. — დაასვენა მალხაზმა.

— მუდამ აგრეა, თუმცა ბოროტი კაცი არ არის! — მიუგო თამარმა. უკან ხმისამოუღებლად გაიპარეს კბინება მანძილი. როცა შეჩერდნენ, ბეჟანმა არ დააყოვნა და მეგობრებს დაემშვიდობა:

— ნახვამდის! — ეს ერთადერთი სიტყვა პირიდან ალივით ამოუვარდა, სწრაფად გაბრუნდა და გაეცალა.

— აჰ, რაღაც არის. — წარმოსთქვა მალხაზმა.

— მეც აგრე ვფიქრობ, მაგრამ... გაუგებარია ნათელა.

— ნათელა?

— დიახ, ნათელა, მე ვფიქრობ ყველაფერი მას შეეხება.

— მერე რა, ბეჟანი დასაწუნია? ჩვენს დარგში ასეთი წარმატება იშვიათად თუ ექნება მისი ხნის კაცს. ამასთანავე გამძლეა, დაუცხრომელი, შეუპოვარი! მისი დაღლა ჯერ არ მინახავს.

— ყველა მისი პირადი ღირსება რაც ჩვენთვის, მისი ახლო მეგობრებისათვის გასაგებია, სხვებისათვის დაფარულია. ნიკო კი სხვაა, ყველაფერი ზედვე ატყვია და იმაზე მეტიც, რაც არის.

— ოპო, შენ, თამარ, ისიც გცოდნია, ვინ არის მეტოქე!

— ამისათვის არავითარი საბუთი არ გამაჩნია, მაგრამ იგრძნობა, და შესაძლოა არ ვცდებოდე.

როდესაც ბეჟანი მალხაზს და თამარს დაშორდა, უფრო თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან მთელი შინაგანი დაქიმულობა (რისი გამხელა მეგობრებისათვის მას არ უნდოდა) უმაღლეს წერტილზე იყო ასული და ეშინოდა მის მოთმინებას ჯებირები არ გაერღვია. უკვე ყველაფერი გადაწყვეტილად მიიჩნდა მას. მიდიოდა, საით — მნიშვნელობას აღარ აძლევდა: „შორს სადმე, შორს! უკანმოხედვაც არ შეიძლება!“ — გაიფიქრა, ნახიჯებს აუჩქარა, თავში

ავარდნილი სისხლი თვალებზედაც გადაედარა და განათებულ ქუჩას კარგად ვერ ხედავდა. ზოგჯერ მარჯვენა ყურის ქვემოთ, შეხორცებულ ჭრილობაზე ისვამდა ხელს: „ეს ნატყვიარი გულში რად მტკიცია?“—იციოთა და თვით უპასუხა: „სიმახინჯე უფრო დიდი სატყვიარია, მისი განკურნება არ შეიძლება, არ შეიძლება!“—ასე ეგონა ყოველ წუთს, მთელი ქვეყანა იმ შეხორცებულ ჭრილობას მისჩერებოდა, რომელიც ყურთან ძლივს ემჩნეოდა!.. განათებული მტკვრის ციაგმა გამოაფხიზლა; აქ სად მოსულა? როგორი სიმშვიდეა, როგორ უდარდელად შრიალეზებენ ჰადრები, მიღელავს მტკვარი, თვითონ კი... მივიდა, ქორფა ჰადრის ძირას შეჩერდა, ფოთოლი მოსწყვიტა, გახურებულ შუბლზე მიიკრა და უეცრად წარმოიდგინა, რომ ეს ხელია, —ნათელას ხელი! ძარღვებში შედრევიანივით ჩაელვარა სიცოცხლის ძალა! რა შეაჩერებს ვეფხვს, რომელმაც უდაბნოში წყარო იპოვა!—არაფერზე ფიქრი აღარ უნდოდა, რადგან იმ ძაღლიანი ხელიდან გადმონაჩქეფ უკვდავების წყაროს. დასწაფებოდა. ჩამოჯდა. მყუდროებამ მოიცვა გარემო. გავიდა ხანი. მიწაში გმირი წინაპრები სუნთქავენო, იფიქრა, თვითონ კი ფეხი დაადგა, მაინც ვერ შეაშფოთა, რადგან მათი ნაშიერი იყო, შვილი იყო და აპატიებდნენ. „ჩვილი მშობელ დედას რამდენჯერ მკერდზე დაადგამს ფეხს, დედა მაინც აღერსიანი ღიმილით უპასუხებს თავის პატარას“.

მტკვარი ისევ მონოტონური ჩურჩულით მიღელავდა ცისა და თბილისის ვარსკვლავებით ამოვსებული. მოჰქონდა მღელვარებით აღსავსე ამბები, ძველი თუ ახალი მესხეთისა, ქართლისა, კავკასიონისა! მოჰქონდა ძახილი ამირანისა!

უეცრად შუბლს მოსწყდა ის ხელი-ფოთოლი და ჩამოვარდა. თითქოს შეს-

ციედა გამოერკვა. მიმოიხედა. სანაპიროზე სიწყნარე იყო. ფეხის ხმაც არსაიდან ისმოდა, რაღაც მკაცრი სიმართოვე იგრძნო და მწამდა: „თლილი ქვის მოაჯირს დაეყარნო, სიცოცხლეს სიცივემ გულში უჩხვლიტა მაგრამ, არა, ის არ დაიბნა. მარჯვენა ხელზე დაიხედა, თავისთვის სთქვა: „ამხელა ხელი მაქვს, შემიძლია ჩემი სინუსტე დავიმორჩილო. გულიც მაქვს, მხოლოდ მუნჯი ვარ, უენო, ამით მჯობნიან“.— მოწყდა მოაჯირს და მტკიცე გადაწყვეტილებით ბინისაკენ წავიდა.

როცა რუსთაველის გამზირს მიაღწია, გაუვირდა: აქ ასეთი სინუმი და სიცარიელე ჯერ არ ენახა. ქუჩა მარტო დარჩენილიყო, გაწოლილი, მთელი ტანით ტიტველი, როგორც ჩაძინებული მზეთუნახავი. საკუთარი ფეხის ხმა ისე ესმოდა, თითქოს ამ მზეთუნახავს კარზე უკაკუნებს და აღვიძებსო. მაინც, მზეთუნახავი არ იღვიძებდა, აღარც იძროდა. მარცხნით წარბმოლუშულად შეჩერებული, მარმარილოს მალალსვეტებიანი—„იმელის“ შენობა ქუჩას მედიდურად გადმოჰყურებდა, თითქოს ამბობდა: „ჩემი ეპოქის სიბრძნე მარად მაცოცხლებს და დროის სასტიკი ბრძკვალეები მე ვერ მომწვდება“. უფრო ქვემოთ ოპერის თეატრი ორ მცირე ბაღს შორის გატრუნულიყო: ერთ მხარეზე თვალზილულად შეჩერებული აკაკი თითქოს აქედან მთელ საქართველოს ხედავდა, ჰვრებდა, თუმცა, როგორც სიცოცხლეში, სახელმილით ცრემლს აღარ აფრქვევდა. ცოტათი ქვემოთ რუსთაველის განთქმული თეატრის შენობას, როგორც ლომს, ცალი თათი დაერთვა ქუჩაზე და ამ მღვრ-მარეობაში დარჩენილიყო. სულ თავში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, როგორც თვითონ დროის დარაჯი მძიმედ ჩამგდარიყო. იგი ამბობდა: „ჩემში საქართველოს ჩაუქრობელი სულია მოთავსებული დასაბამიდან დღემდის

მოსულიო. თქვენზედაც უამბობ მო-
ბეაღს. ახლა კი ფრთხილად იარეთ“,
და მართლაც ნაბიჯები შეანელა ბეჟან-
მა. დიდი მოკრძალების გრძნობით
გაშორდა მუზეუმს. როცა ბერიას
კრცელ მოედანზე გავიდა, აქ ახალ სა-
ქართველოში იგრძნო თავი,—ცოცხალ-
მა საქართველომ იმედია იხმაც მიაწე-
დინა, გაამხნევა, შინ უფრო მშვიდად
წავიდა, მაგრამ ერთი ახირებული აზ-
რი აეკვიტა: „და რადგან შენც ცოცხ-
ლობ, შეგიძლია გიყვარდეს“. ეს ხმა
მხოლოდ ზოგჯერ თუ იძირებოდა მო-
ზღვავებული ძალის მორევში, რომ
შემდეგ ისევ ზედაპირზე ამოტივტივე-
ბულიყო და ახალი ჭრილობებით მოე-
ფინა ბეჟანის გული.

მეორე დღეს, იმ ოთახის კარებში,
რომელზედაც დიდი ასობით ეწერა:
„ლაბორატორია“, თამარი შევიდა. მა-
გიდასთან დამჯდარ ბეჟანს შეუმჩნევე-
ლად მიუახლოვდა, მის გაფითრებულ
სახეს დააკვირდა. შეჩერდა.

ბეჟანმა მიკროსკოპი გვერდზე გას-
წია, მაგრად-დაწურულ მუშტს მუბ-
ლით დაეყარდნო, თვალი დახუჭა.

— ბეჟან!

— აბა, თამარი! რა იყო თამარი?

— ბეჟან, მე ვიცი, შენ ცდები. მარ-
თალი არ ხარ. მე ვარ მართალი. ის
უფრო შორს იხედება, ვიდრე შენ
ფიქრობ. რაც გარეგნულად სჩანს, მი-
რაცია, მოჩვენებაა. გულში კი...

— რას ამბობთ, თამარ, ვერაფერი
გავიგე. რა უნდა გეთქვამთ?

— შენ უკეთ იცი!

ბეჟანი წამოიჭრა და მიაძახა:

— ვინ არის ის?

— ის ნათელაა! შეტს აღარ გეტყვი.
კარგად იყავი!—უთხრა, მოლიმარი სა-
ხით ერთხელ კიდევ გადახედა გაწით-
ლებულ ბეჟანს და გავიდა.

გახეხებულმა ბეჟანმა აღარ იცო-
და, რა ეთქვა, რა ემოქმედნა. მხოლოდ

თამარის სიტყვებს იმეორებდა: „შენ
ცდები, მე ვარ მართალი“, „ის უფრო
შორს იხედება“, „მირაცია, მოჩვენე-
ბა“, „ის ნათელაა“.

თავი მესამე

ერთი კვირა გავიდა. დათამ და ელი-
კომ თავის სახლამდე მიაცილეს ნათე-
ლა.

გამომშვიდობებისას ნათელამ ელი-
კოს ხელი ჩასჭიდა, აღარ გაუშვა:

— შენ სადღა მიდიხარ, ვერა, ჩემო
ელიკო, დღეს ვერ გავიშვებ!

— კარგი, შენი ძიძა ხომ არა ვარ,
ნათელა?—ამბობდა ელიკო, არაფერი
არ გამოსდიოდა. მაინც მიჰყვებოდა
ნათელას—მიზეზიანი ბავშვივით გა-
ბუტბუტი.

შინ შევიდნენ. სარკმელთან დასხ-
დნენ:

ჩამავალი მზის სხივები ეთხოვებო-
დნენ ყაზბეგის მთას და მყინვარწყერი
განუწყვეტელი ცივით ავსებდა ცას.
უფრო შორს, აღმოდებული ღრუბლე-
ბის ქარავნები მალა იწევდნენ. ფერთა
თამაშს ბოლო არ ჰქონდა. ეს ფერები
ქალიშვილების სახეზედაც ჩნდებოდ-
ნენ, ქრებოდნენ და ეს გამოუთქმელი
გრძნობით ავსებდნენ მათ. რა იყო ეს,
რა გრძნობა იყო?—იქნებ სიამის, იქ-
ნებ მწუხარების? არა, მასში ყველა-
ფერი ერთად იყო,—სიამეც, მწუხარე-
ბაც, მაგრამ მაინც მისი სრული გამო-
თქმა არავის შეეძლო და ქალიშვილე-
ბიც დუმოლს ამჯობინებდნენ. ბუნების
უხმო მუსიკით მოჯადოებულნი ზოგ-
ჯერ ერთმანეთს გადახედავდნენ.

უეცრად ჩაქრნენ სხივები, ჩაქრა
მყინვარწყერი, ღრუბლებშიაც მინელ-
და ალი და ქალიშვილებმა თავისუფ-
ლად ამოისუნთქეს. სინამდვილეში კი
ასეთი „თავისუფლება“ მხოლოდ იმას
ნიშნავდა, რომ მათში აღღერებული ბუ-
ნების სასწაულთა მუსიკა შეწყდა, თა-
ვისთავეს დაუბრუნდნენ, და ელიკომ
სთქვა:

— ორ კვირაში მოგილოცავ, ნათელა.

— რას?

— კანდიდატის ხარისხს.

— იქნებ არას დროს?

— რაო, არას დროს? დისერტაცია მოწონებულია და ხოტბა შესხმული. სხვა რაღა ვინდა?

— ვინ იცის, ელიკო?

— ნათელა, შენ თითქოს გამოიცვალე, სხვანაირი ლაპარაკი დაიწყე. ხმაშიც გატყობ ცვლილებას, რაღაც ფიქრს ასდევნებიხარ, მე კი არ მიმხელ.

— იქნებ შენ მართალი იყო, პირდაპირ გეტყვი: იმაზე ვფიქრობ, თუ რაღამ გამაფრთხილა სიმონმა, რომ შინ დაფუხვდე?

— მხოლოდ სიმონმა?

— არა მგონია, რომ მარტო იყოს.

— ალბათ ნიკოც, როგორც ყოველთვის.

— საქმეც ამაშია, ელიკო.

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა ვითხრა? შენ ვერაფერს ვერ გასწავლი, ჩემო ქვეინო, ჩემო...—რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ მისი სიტყვა ნათელას კოცნამ შესწყვიტა. აცრემლებული თვალებით ჩააცქერდნენ ერთმანეთს, იღიმებოდნენ.

ტელეფონის ზარი გაისმა.

ნათელამ მილი აიღო:

— მესმის! ა, თქვენა? მობრძანდით, გელოდებით!—ამით დაასრულა, ჩაჯღაღა, ხელის თითებს რაღაც უჩვეულო გრძნობებით დააჩერდა. არაფერი არა სთქვა, თუმცა თვალებში ჯერგამოუცნობი, თითქოს სევდის ნატამალი იფარებოდა.

ხუთ წუთში მოვიდნენ ისინი.

დღეს განსაკუთრებულ სიღინჯეს იჩენდა ნიკო, მაგრამ, რაც უფრო გასაკვირი იყო, სიმონიც ასევე ღინჯად იტყუარა თავს, თუმცა მას უფრო ეტ-

ყობოდა ეს მოგონილი, მისტურის შეუფერებელი „სიღინჯე“.

— შემოდგომის საუცხოველ ამინდები გრძელდება თბილისში! წარმო-სთქვა ნიკომ.

— დიახ, მთვარიანი ღამეები,—ოფიციალური კილოთი მოუგო ნათელამ.

— მე მგონია, რომ ზამთარიც ასეთივე მშვიდი იქნება წელს,—ჩაურთო სიმონმა.

— ამბობენ, ზამთარში ჭექა-ქუხილი არ შეიძლებაო, ეს მართალია?—ეშმაკურად შეაპარა ელიკომ.

— დიახ, ამბობენ და ასედაც არის,—დაეთანხმა ნიკო,—დედამიწაზე იმოდენა ჭექა-ქუხილი ატყდა ომის დროს, რომ ცას დაავიწყდა. ამიტომ შესაძლოა ზაფხულშიდაც ვერ გავიგონოთ.

— ასტრონომების დასკვნით კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდებაო,—დაუმატა სიმონმა.

— დიახ, კუდიანი ვარსკვლავი ჩავიქროლებსო.—დაეთანხმა ელიკო.

— იმ კულს პირდაპირ ნიკოს ჩაართყამსო გოგრაში ფუ! რას ჩააცვიდით ამ ჭექა-ქუხილსა და კუდიან ვარსკვლავებს!—ბოლოს ველარ შოთომინა და იყვირა სიმონმა.

ამით ერთბაშად ჩაიშალა მოგონილი „სერიოზულობის“, „სიღინჯის“ თუ „ოფიციალობის“ ყოველი ნასახი და სიცილი წასკდათ. განსაკუთრებით გულიანად იცინოდა, ელიკო და ეხვეოდა ნათელას.

— კარგი, ელიკო, რა მოგივიდა?—აჩერებდა ნათელა.

ნიკომ ამჯობინა ისევე თავის ნამდვილი სახით წარსდგომოდა ნათელას, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ის, რაც უნდა ეთქვა.

კარგანის შემდეგ მან მოახერხა საკმელთან ნათელას დამარტოება, ახლოს მიიწია და ჩურჩულით უთხრა:

— ნათელა, ჩემთვის ყველაფერი გა-

დაწყვეტილია. მხოლოდ ამის სათქმელად შოვედი!

— რა არის გადაწყვეტილი?—რაღაც მექანიკურად შეეკითხა ნათელა.

— ის, რომ ჩვენი ცხოვრება, სამუდამოდ უნდა შეერთდეს!—ხმის უფრო აწევით მიუგო ნიკომ.

ნათელა ჯერ გაწითლდა შემდეგ გაფითრდა, ხელები აასავსავა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მხოლოდ კაბა გაისწორა, თმები უკან გადაიყარა, თითებს დახედა.

ნიკომ გადასწყვიტა საქმე საბოლოოდ მოგვარებულიყო და საზეიმო ხმით წამოიძახა:

— მეგობრებო, მოგვილოცეთ! ჩვენ სიტყვა მივეცი ერთმანეთს! არა გჯერათ? აი, ხომ ზედავთ!—მართლაც ოქროს საათი მოიხსნა მაჯაზე და ნათელას გაშეშებულ ხელში ჩაუღო.

— არა, მოიცათ!—ძლივს დაიძახა ნათელამ, შეტორტმანდა, გამოერკვა და გაიღიმა.

— ნიკო, თქვენ ზუმრობთ, ასე როგორ იქნება; მართალი ეგონებათ... საათი? მშვენიერია, მაგრამ აი, დახე, ეს პაწაწა ისარი მეუბნება, რომ ნაადრევია, ჯერ იქ არ მისულა, სადაც ზარი უნდა დარეკოს!—ამით ნათელამ ყველაფერი ზუმრობაზე გადაიტანა. და უეცრად ის საათი ნიკოს მოხდენილად ჩაუღო გულის-ჯიბეში.

— ეგ საათი არასოდეს არ დარეკავს, ნათელა,—მიუგო ნიკომ.

— განა არას დროს? ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის. ისეთიც არის, რომელიც რეკავს.

ნათელას ასეთი მოულოდნელი პასუხით გაშეშებულმა და დაბნეულმა ნიკომ მორჩილად სთქვა:

— მესმის!

— ეს იყო სულ?—იკითხა აქამდე გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სიმონმა და ტაში შემოკრა,— შეგარცხვინეთ! მაშ, წარმოდგენა გადა...
2. „ნათობა“, № 5.

დადებულია, მაგრამ მე ქორწილის გადადება უფრო მაიქცავს! რიც/გამოურკვეველ დროისათვის! ხომ მართალს ვამბობ? ა, მითხარით ჩამეცხნა ჩაიწყვიტეთ? მაშ, შეგარცხვინეთ!—ხელის ჩაქნევით დაასრულა სიმონმა და ოთახში სეირნობა დაიწყო.

— მეგობრებო, მუდამ აგრე ზუმრობა, როგორ იქნება, რამე დაუტრიათ და კიდევ ვიმღეროთ! ელიკო, აბა, შეკუდრაჰვე შენა!—წარმოსთქვა ნათელამ, რომ ამით ნიკო უხერხულ მდგომარეობიდან გამოეყვანა და თვითონაც გამოსულიყო.

მართლაც ელიკო მიუჯდა როიალს:

— მომეყვით!—დაიძახა, მაგრამ ნიკომ ქული აიღო, ნაძალადევად გაიღიმა და ნათელას უთხრა:

— მაპატიეთ. გადაუღებელი საქმეები მაქვს. უნდა წავიდე. მშვიდობით!

— მეც, მეც! ქვეყანა მეძახის, უჩემობა არ შეუძლია!—წარმოსთქვა სიმონმაც. როცა გავიდა კარში გარედან შემოპყო ცხვირი და კვლავ დაიძახა:— ნახვამდის, მეგობრებო!

— ნახვამდის, ნახვამდის!—უპასუხა კართან უხერხულად შეჩერებულმა ნათელამ და უეცრად უფრო სერიოზული გამომეტყველება მიიღო:

— გადავრჩით!—მხოლოდ ეს სთქვა და გაზურებულ ლოყაზე ხელი მიიღო.

ელიკომ მკლავები გაშლილი ფრთებივით შემოხვია, გულში ჩაიკრა.

დილით ბეჟანმა ფარდა გადასწია და ლაბორატორიის ოთახში მზე შემოუშვა. შეჩერდა მზეში. შემდეგ თავის მკლავს მიუჯდა და დაჩერდა ქალღმერთის მსგავსი მისის უკანასკნელი დროის მთელი შეცნობილი მუშაობის მდგომარეობაში. აქამდე იყო ნათელი. ყოველ სიტყვას მეასეჯერ

სინჯავდა, ისე ჩასჩერებოდა, როგორც თვით მიკროსკოპის ობიექტივში მოხვედრილ უმცირეს სხეულს. სინჯავდა, არკვევდა მის არსს, მნიშვნელობას. თვალს უსწორებდა მისი დასკვნებიდან გამომდინარე კვლევის ყველა შესაძლებელ მიმართულებას. ერთი დასკვნიდან ათასი შესაძლებლობა ისახებოდა, ხოლო ყველა ამ შესაძლებლობას საკუთარი გზები გააჩნდა. ყოველი იმათგანი დამოუკიდებელი შესწავლის საგანს წარმოადგენდა. ბეჟანს აოცებდა: რაც უფრო შორს მისდევდა ამ საკითხების გარკვევას, მით უფრო რთულდებოდა, მრავალ ხვეულებად იხლართებოდა ის. იმ უჩინარ ხვეულების ქვეყანაში შორსგატყორცნილ ძაფს დასაბამი აღარ უჩანდა... მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რასაც უკვე გონება წვდებოდა, ურთიერთთან უწყვეტი რგოლებით იყო შეკრული, უერთმანეთოდ არსებობა არც კი შეეძლოთ, და ხშირად მათი ურთიერთისაღმე წინააღმდეგობაც კი აუცილებელი იყო საერთოდ მათი არსებობისათვის (თუმცა ყველა ამ მოვლენას საკუთარი დამოუკიდებელი მეობაც გააჩნდათ, თავისებურად დასრულებულნი იყვნენ ისინი).

ბეჟანმა ის ქალაღი გვერდზე გადასდო. გულში გაივლო: „რა ადამიანის გონება მიწვდება ამ უჩინარ სამყაროს, მის არსს, მის რაობას?“ შედარებით მაინც კმაყოფილი იყო, თუნდაც იმ უმცირესით, რაც მან თავისი კვლევითი მუშაობით გარკვეია და დაადგინა. წამოდგა. რაღაც აზრმა გაუელვა. ის ყოველივე, რასაც უხილავ სამყაროზე ფიქრობდა, ხილულზე გადაიტანა. დარწმუნდა, რომ თუ მოვლენათა ძაფს, ერთის მხრივ, დასაბამი აღარ გააჩნდა, მეორეს მხრივ, დასასრულიც აღარ უჩანდა.

ბოლოს სრულიად მოულოდნელად ყველაფერი მისთვის უფრო ახლობელ საკითხს დაუკავშირა და გადასწყვიტა:

„ერთი ქალისაღმი ორი მამაკაცის გრძობა ამჟღერებს სოციალურ, სხვანაირად არც იქნებოდა ძლიერი სიყვარული“—ამით თითქოს გააშარტულა თავისითავე და ისიც, ვინც მისი მღელვარების მიზეზი იყო, მაგრამ ამგვარ გადაწყვეტილებაში მისთვის არაფერი სანუგეშო არ გამოდიოდა. ისევ ის ქალაღი აიღო, დააჩერდა. სურდა კვლავ გადაეკითხნა, მაგრამ იქ ასოებიც ვერ დაინახა, თითქოს წაშლილიყვნენ, დამდნარიყვნენ ასოები და მისი მეცნიერული მუშაობის შედეგებიც იმ ასოებივით გაქრალიყვნენ, გაფანტულიყვნენ. თვალეები დახუჭა. ჩაჯდა. კარგი ხნის შემდეგ დასძლია თავისთავს და იმ ქალაღით ხელში აკადემიკოსის კაბინეტში შევიდა. უხმოდ შეჩერდა.

— აა, ბეჟან, გელოდებოდით! თან მოიტანეთ?

— დიახ, ეს არის.— მიუჯო და ხელში უხერხულად დაქერილი ქალაღი მაგიდაზე დაუდო.

მოხუცმა კითხვა დაიწყო. ის მცირე ქალაღი ზუთჯერ მაინც გადაიკითხა. ჩერდებოდა, ყოველი სიტყვის მნიშვნელობას სწონიდა, აფასებდა, შიგადაშინებ თავს აქნევდა, თან ბუტბუტებდა „აჰა, აჰა“. ბოლოს ის ქალაღი ისევ წინ დაიღო და თითქოს თავისთავს ეუბნებო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— მნიშვნელოვანია. შესაძლოა. შორიდან უვლით. საკითხი სხვანაირად არის შებრუნებული. მაინც საჭიროა ვიფიქრო. ხვალ კი... მე ვფიქრობ ხვალ...—დაასრულა და მხოლოდ ახლა შეხედა ბეჟანს.— ავად ხომ არა ხართ? თითქოს ღამით არ გძინებიათ.

— როგორ არა, ბატონო! კარგადაც ვარ!—უპასუხა ბეჟანმა და წამოწითლდა.

ეტყობოდა სოლომონი მისმა პასუხმა ვერ დააჯერა, მაგრამ ჩაძიებას

შაინც მოერიდა, ისევ თავის დაქნევით უთხრა:

— კეთილი, კეთილი. თქვენ უკეთ იცით: დიახ, ზეალ მე თვითონ განახავთ! ბეჯანი წაივია.

სოლომონი იმ კარს მისჩერებოდა, რომელშიც ის-იყო გავიდა ბეჯანი: ბოლოს დაასკვნა: „ძლიერი გონება იქაც ნახულობს, სადაც თითქოს ყველაფერი დანახულია“. სათვალე მოიხსნა, თეთრ წვერზე ხელი დაისვა. ფიქრთა დაძაბულ მოძრაობას გამოსახავდნენ მისი სიღრმიდან განათებული ბასრი თვალები.

ისევ ლაბორატორიაში დაბრუნებულ ბეჯანის ყურადღება მიიპყრო მოხუც მეკარე გენოს, ჭროლა თვალებმა, რომლებიც მას გაკვირვებით მისჩერებოდნენ.

— აგრე რად მიცქერ, გენო?

მოხუცმა უხერხულობა იგრძნო, თვალი მოარიდა და ჩაიციხა:

— უკაცრავად. ვფიქრობდი. ჩემი ახალგაზრდობა მაგონდებოდა. რაც უკან დავტოვე, ახლა ვხედავ და მეცივნება.

— რატომ?

— რაც მალეღებდა, ის მაიცივნებს.

— სასაცილოა?

— ახლა მიკვირს, რატომ ვღელავდი!

ბეჯანს მეტი შეკითხვა არ მიუცია, გაეცალა. ლაბორატორიის ოთახში წინაღობით მომზადებულ საცდელ აპარატთან შეჩერდა. შიგ ჩაიხედა, სხივის გარდატეხის ზღვარი აღნიშნა. დარწმუნდა; მოხუცი გენოც კი ატყობდა, თუ როგორ ღელავდა.

— ბეჯან, აქა ხარ?

— თამარ! — დაიძახა ბეჯანმა და თითქოს ხელი ჰკრესო, ისე წამოდგა. იცოდა თამარი ახლაც შეეცდებოდა მის დამშვიდებას, ამიტომ ღიმილით მიუახლოვდა, როგორც მხსნელს ხელი მიივება და ჩამოართვა.

— მე ვიცი, დღესაც ცუდად იქნებოდა გაეწყო, ბედის ბრალია.

— ბედის ბრალია?! — სიტყვის დასრულება არც კი დაატყდა, ისე შიშობა ბეჯანმა რადგან იგრძნო, ყოველთვის კარგისმთქმელი თამარიც ცუდად იწყებდა. გაფითრდა, მაგრამ ისევ თამარმა ხელი და სიტყვა ერთად მიიშველა და გაამხსნევა.

— მე ვხუმრობ, ბეჯან, რა დაგემართათ?

— თავი მტკივა და. — მაგიდას დაეყრდნო და ახლა მიხედა, თუ როგორ გაამხილა თავისი სისუსტე.

თამარმა იცოდა, რაც უფრო დააყოვნებდა, მით უფრო გააგრძელებდა ბეჯანის ტანჯვას, ამიტომ აჩქარდა:

— ალბათ ვაიგებდი, ბეჯან, წუხელ რაც მოხდა!

— რა მოხდა? — ხმის დაწვეით შეეკითხა ბეჯანი.

— ოქროს საათი უკან დაუბრუნა ნათელამ.

— ოქროს საათი? ვის თამარ, ვის დაუბრუნა?

— ნიკოს.

— ნიკოს?! — დაიყვირა და მუშტისხელა თვალები დაანთო.

თამარმა ხველაფერი უამბო, თუ როგორ იყო.

ბეჯანი სიხარულმა ააცურა და აიტანა, — რომ არ დაეხრჩო, მხოლოდ ზოგჯერ დაიძახებდა: „რას ამბობ, თამარ?“ „არ დავიჯერებ“, „რა ეშმაკია“, „შენ და ხარ ჩემი“. ხელი გაშალა, ლაბორატორიის ოთახში წრე გააკეთა, აღარ იცოდა, საიდან რა დაეწყო, რა ეთქვა, რა ემოქმედნა. ახლა აქ ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო ნივთიც კი, სათნო და საყვარელი გახდა, ყველაფერს ფასი დაედო: ჯამს, უბრალო ფაიფურის ჯამს, ხელი დასტაცა და თამარს უჩვენა:

— შეხე, თამარ, რა მშვენიერია! სამი დღეა რაც შევიძინეთ!

— კარგია, კარგია!—უბრალოდ, მოღიძვრის სახით უბასუხა თამარმა, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რატომ მაინცდამაინც ახლა ასე საოცრად მშვენიერი შეიქნა სრულიად უმნიშვნელო, უბრალო ჯამი.

მალბახიც მოვიდა, მაგრამ არამც თუ მალბახს,—თელ იმ ინსტიტუტს გადაეღო ბეჟანის უჩვეულო აღფრთოვანება.

თავი მეოთხე

თენდებოდა. ღვინითა და ღამით დამძიმებული სტუმრები წამოიშალნენ. მაგილის თავში მსხდარ ნეფე-დედოფალს გამოემშვიდობნენ და ჯბუფ-ჯგუფად ქუჩაში გამოეფინენ.

მღეროდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ.

სულ ბოლოს ნეფე-დედოფალს,—მალბახს და თამარს უახლოესი მეგობრებიც გამოემშვიდობნენ და ახლად-გამოღვიძებულ ქუჩაში გავიდნენ. ისინი იყვნენ:

ნიკო, სიმონი, ბეჟანი და ნათელა.

ბეჟან და ნიკო ფეხს მძიმედ მიადგამდნენ, ხოლო სიმონი, თითქოს ტალღებზე დადისო, ადიოდა და ჩადიოდა!—თანაც ღიღინებდა, ნიკოს ეპეროდა.

ნათელა, ბეჟანსა და ნიკოს შუაში ჩამდგარი, სიტყვას თუ ღიმილს ხან ერთს, ხან მეორეს შეაფრქვევდა სახეზე, ზოგჯერ სიმონსაც არ ივიწყებდა და ასე განუწყვეტელი ჰიკიკით მიდიოდა მსუბუქად, ვერხვივით ამოტილი ტანის რხევით, ფრთხილად მიადგამდა თითქოს ჩამოსხმულ ფეხებს.

ხმაგამედილინი ნიკო და ბეჟანი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ რომელს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ნათელა, რომელს უფრო თბილად, უფრო მგრძნობიარედ მიმართავდა, ან გაუღიმიებდა. და ამ კაბუკების გულეზი იჩხეოდნენ იმისდა მიხედვით, თუ

რომლისკენ იხრებოდა ნათელას ყურადღება, მისი სიტყვები თუ მუქმფენი სახე. მხოლოდ ზოგჯერ სიმონის უადგილო შეძახვებზე მხედობდნენ ბეჟანისა და ნიკოს სულიერ დაძაბულობას. მაგრამ ნათელა ისევ ჩქარა სიმებივით ააწყობდა სიტყვებს, და აუღერებდა. ამ მუსიკის მომჯადოებელი წერილით მოხიბლულნი, თანაც გამახვილებული ყურადღებით დაძაბულნი—ბეჟანი და ნიკო შეუმჩნევლად, რაღაც თავისთავად მიადგამდნენ ნაბიჯს. მიდიოდნენ, მაგრამ საით, ეს არ იცოდნენ. ისინი მიჰყვებოდნენ იმ გზას, საითკენაც იხრებოდა ნათელას სიტყვა თუ ღიმილი.

უეცრად შესდგა ნათელა. შემობრუნდა, ბეჟანი გაიმართოვა, ხოლო ნიკოსა და სიმონს მიამახა:

— ვაჟაკებო, თქვენ უკვე გზაჯვარედინზე ბრძანდებით! თქვენი გზა აი, სად უხვევს! მე კი ბეჟანი გამაცილებს, მშვიდობით!—ამით დაასრულა, მხრები მარაოსავით მოატრიალა და ბეჟანის გვერდით უფრო მოკრძალებულის ნაბიჯით განაგრძო გზა.

გაშეშებული ნიკო, წინწასულ ნათელასა და ბეჟანს რაღაც დაბნეულად მისჩერებოდა. თითქოს რამე უნდოდა ეთქვა, მაგრამ აზრი ეფანტებოდა, სიტყვა ვერ ეპოვა.

— ხედავ, რა გვიყო?—ბოლოს ნათელას მისამართით წარმოსთქვა და სიმონს გადახედა.

— რა გვიყო და ვაგიფრინდა, ძვირფასო! ფრთები ჰქონია! ასეთია ქალები! ასეთია ეამთა ბრუნვა და ბედის ტრიალი! შინ, შინ წამიყვანე, ძვირფასო, თორემ მეტს ვეღარ ავიტანი!

— თუ ვაჟაკი ვარ, არ ვაპატიებ!

— ვის, ვის არ აპატიებ, ნიკოლოზ?

— ვისა და ბეჟანს!

— გიქრის ძვირფასო, რა დავიშავა? ქალია ყველაფერი! ქალი და ქარი ერთად დაჰქრის! კიდეც ავაშენებს, კი-

დევ გაგაშეშებს! შინ, შინ, ნიკოლოზ, თორემ...

მართლაც გაშეშებულ ნიკოს ხელი გამოსდო. მთელის ძალით აეკვიტა და ფეხი ძლივს მოაცვლევინა.

— ისე ჰო, სწორედ რომ ესტკვით, ჩემო ძვირფასო, დანაშაული არც ერთს არ მიუძღვის! მათ შორის შენც მართალი ხარ და მშვიდად იყავი!—გზადაგზა განაგრძობდა სიმონი და, როცა სიტყვა შემოაკლდებოდა, ღიღინს იწყებდა.

ნიკო მას აღარ უსმენდა...

რაც მოხდა, ამას ბეჟანიც არ მოელოდა. როდესაც ის, როგორც სიზმარში მოულოდნელად ნათელას გვერდით მარტო აღმოჩნდა, თითქოს ძლიერმა ტალღამ ცაში აიტანა. არა სჯეროდა, რომ მის გვერდით (პირველად თავის სიცოცხლეში) მარტო მოდიოდა ნათელა. მერე როგორი სითბო, როგორი შინაგანი, ჯერ-გაუმეღავნებელი მღელვარება მოჰქონდა თან ახალგაზრდული სიახლის სურნელით შეპკურებულ, უკვე დასრულებულ ქალწულს, როგორც დასრულებულ ქვეყანას!

ბეჟანი ყურს უგდებდა მის შეწყობილ ფეხის ხმას, მახლობელ სუნთქვას, მისკენ მხოლოდ ზოგჯერ ცალი თვალით იხედებოდა, ტანში სიამის ფრუანტელს გრძნობდა.

ახლა ნათელა კი არ მოდიოდა, თითქოს მოღვლავდა, სპილოს ძვლისფერი აბრეშუმის ქსოვილით შემოსილ, ამალღებულ მკერდზე, ზოგჯერ ისე იხედებოდა თითქოს ამბობდა: „ნამდვილი სიცოცხლე მხოლოდ ჩემშია. სიცოცხლე მე ვარ“.

ბეჟანი ფიქრობდა: ნუ თუ ასე უნოდ უნდა გავატარო მთელი გზა და ამ იშვიათად ბედნიერი შემთხვევით ვერ ვისარგებლებ, რომ ჩემი გრძნობები გაუმზილოო მაგრამ არ იქნა, სიტყვა ვერ დასძრა. სათქმელად მომზადებული ყოველი სიტყვა შეუფე-

რებლად ეჩვენებოდა, ამიტომ დუმილს ამჯობინებდა.

— სწორედ შესაფერხებელი მშვიდნი, გულწრფელნი, კეთილშეგონი.— წარმოსთქვა ნათელამ და ღამის თევით ოღნავ მოქანცულმა, იმ ღლის განთიადივით მიბნედილი თვალებით ბეჟანს გადახედა.

— თამარი და მალხაზი მე ძლიერ მიყვარს, — როგორც იყო ბეჟანმა იწოვა სათქმელი და წელშიც გასწორდა, — მხოლოდ დიდი სათნოება შეადგენს მთელი მათი ცხოვრების შინაარსს. თითქოს მეგობრებისათვის განეწილანო, შეუღარებლად ტკბილნი, თავდადებულნი, გულისხმიერნი და კეთილნი არიან.

— კარგია. ძლიერ მახარებს, როცა აგრე ხელგაშლილი აქებ მეგობარს. ვინც აგრე ამბობს, ალბათ თვითონაც ასეთივე ქების ღირსია.

ნათელას, განსაკუთრებით ბოლო სიტყვები მაცოცხლებელ ნიავევით შეეხო ბეჟანის გულს, შეარხია და გათამამდა, — უფრო გაბედულად გადახედა ნათელას თეთრ, მარმარილოსავით გამოკვეთილ სახეს.

— მე რა ვარ? მხოლოდ ჩემი მეგობრებით ვარ. ისინი მახარებენ და მაცოცხლებენ. — ვით თევში უწყლოდ, მეც უმეგობროდ დავიხრჩვებოდი. — წარმოსთქვა ბეჟანმა და გაუკვირდა, თუ როგორ ჩაიდგა ენა, გამოცოცხლდა, თითქოს სხვა გახდა. არასოდეს არასოდეს ასეთი რამ მას არ მოსვლია.

ნათელამ გაკვირვებით აათვალიერა ჩაათვალიერა ბეჟანი და გაუღიმა.

— მაშ, მეგობარო, თუ აგრეა, რატომ არაფერი არ მითხარით, თუ როგორ დავიცავი კანდიდატობის ხარისხი? — სრულიად მოულოდნელად შეაპარა ნათელამ.

— იმიტომ არ ესტკვი, რომ თქმა არ შემიძლო. — გამოტყდა ბეჟანი, — ვერ მოვახერხე სიხარული გამომეთქვა იმ

ძალით, როგორც მე ვგრძნობდი. ეს დაცვა კი არ იყო, ეს იყო ზღაპარი, მოჩვენება! განა შეიძლება იმ გრძნობის გამოთქმა?

— რას ამბობთ, ბეიან, როგორ აქარბებთ! საოცარია. მე კი ვფიქრობდი, რომ არ მოგეწონათ. ნება არა მაქვს ეჭვი შევიტანო თქვენს გულწრფელობაში, მაგრამ, მგონია, ცდებით იქნებ უნებლიედ, თუმცა ამით რა შეიცვლება!—უკვე თვითონაც სიხარულით მთლად-ატანილი, გაფანტულად ამბობდა ნათელა და ბოლოს ისევ მოულოდნელი შეკითხვა მისცა:—თქვენ გიხაროდათ?

ბეიანი კინალამ დააბნია ამ კითხვამ. შემდეგ მაინც იპოვა პასუხი და სიტყვა განაგრძო:

— თქვენ თვითონ სთქვით, რომ მეგობრები ვართ. იციან, თუ რას ნიშნავს ჩემთვის მეგობარი და მერე ასეთი... შაბათივით, მავიწყდება სადა ვარ, ვისთან ვარ. მგონი ასე გაბედული ჯერ არ ვყოფილვარ. იქნებ ღვინომ გამომადღიდა და შეშინია, რაც მოვიბოვე, აღარ დავკარგო.

— აა, თქვენ მეტის თქმა შეგძლებიათ, ვიდრე მეგონა!—ისევ ღიმილით შეაპარა ნათელამ და შავი თვალები სულ ახლოს აუციმიციმა.

— მეტს აღარ ვიტყვი, ნათელა, არა! ეიკმარებ. დღეს იმაზე მეტი მივიღე, ვიდრე სიზმარში შემძლო შენახა. ნეტავი ასეთი სიზმარი არასოდეს არ შეწყდებოდეს, თუ სინამდვილეში მის განმეორებას ვერასოდეს ვერ ვეღირებო.

— რატომ? თუ ეს არის ბედნიერება...—და ნათელამ არ დაასრულა. თავისივე სიტყვამ გააწითლა. თვალი მოარიდა.

ახლა ბეიანსაც წაერთვა სიტყვა. უფრო შორს წასვლა მას არ შეეძლო. ნათელას პასუხიც ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ასეთ დაძაბულ მდგომარეობით დაღუპებულნი, ნათელას ბინას მიუახლოვდნენ.

ბეიანმა ნათელას ^{უკვე მძვინვარეობდა} მხოლოდ ახლა იპოვა პასუხი, მაგრამ ისე დაგვიანებით, რომ შესაძლო იყო ამ პასუხის აზრი ნათელას ვერც კი გაეგო. მიუხედავად ამისა თითქოს თავისთვის წარმოსთქვა მან:

— მერე როგორი, მერე როგორი...

ნათელა შესასვლელში შეჩერდა. რაღაც შინაგანი ღიმილის გამომსახველი თვალებით ბეიანს კვლავ გადახედა, არაფერი, ან ვერაფერი ვერ უთხრა. თუმცა მისი თვალები უფრო მეტს ამბობდნენ, ვიდრე სიტყვებით შეეძლო ეთქვა.

კარგა ხნის შემდეგ, თითქოს ბეიანს მოაგონაო, ჩურჩულით სთქვა:

— აქ ჩემი ბინაა.

„ჩემი ბინაა“,—ბეიანმა გულში გაიმეორა ნათელას ეს თითქოს სინანულით წარმოთქმული სიტყვები და იქვე დაასკვნა: „ქვეყნად ასეთი ბინა არ მოიბოვება“.

— როგორ შეუმჩნევლად მოვედით.—წარმოსთქვა ბეიანმა და მის წინ ახლო-შეჩერებული ნათელას სუნთქვა მოესმა. ყური დაუგდო: საკუთარი გულისცემა და სუნთქვა თითქოს ნათელასს ეხამებოდა, ემთხვეოდა და ეწყობოდა, თანაც თვალს აღევნებდა, თუ როგორ მალდებოდა, ეშვებოდა, თრთოდა, იმოდენა სიმდიდრის შემცველი ქალწულის მკერდი.

— თქვენ წახვალთ, არა?—ისევ მოაგონა ნათელამ.

— სხვა რაღა გზაა.—გაუბედა ბეიანმა და ხელი გაუწოდა,—ნახვამდის, ნათელა!—ქალის რბილი თითები მალამოსავით შეეხო მის გულს და ტანში სიამის ქრუანტელმა გადაუარა.

— ნახვამდის, ბეიან!—მიამახა ნათელამ, ვით თეთრმა მტრედმა შეიფრთხილა, გაუღიმა და გაეცალა.

ბეჟანი გამობრუნდა, წავიდა. მიმოიხედა: ყველაფერს არაამქვეყნიური შუქი გადასდებოდა. თითქოს პაერიც დამტკბარიყო, — ვით მაცოცხლებელ შადრევანს დაეწაფა, სვამდა, გულმკერდს ივსებდა. ქუჩაში ცხენოსანი ჯარი მიდიოდა, — ცხენების თქარუნი შემოესმა, მაგრამ ეგონა ტაშს მიკრავენო. მახლობელი ელსადგურის გუგუნში თავისი გამარჯვების სალუტი ესმოდა.

კვირა დღე იყო და შინ-წასვლა არ მოისურვა: მამადავითის აღმართს შეუდგა. „აღმართ აღმართ მივდიოდი შენლა“, — გულში გაიმეორა აკაკის ლექსი. მოაგონდა, რომ თვითონ აკაკის, იქვე, მამადავითის მიწაში ეძინა. „დედა-შვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო“, — ემუდარებოდა აკაკი და შშობლიურმა მიწამაც სიყვარულით მიიღო მგოსანი, — შეუსრულა დანაბარები. აი, ვით მთის არწივი კლდეზე დაფრენილი მამადავითი. შეუმჩნევლად ამალდა იმ მთაზე. ჭიშკარი შეალო და დიდებულთა საფანეში შევიდა. აქ მიწას ფრთხილად, დიდი მოკრძალებით დაადგა ფეხი, სუნთქვაც შეანეწა. გასაოცარი მყუდროება სუფევდა ირგვლივ. თითქოს მზეც იმიტომ ამოვიდა, რომ გაეშუქებინა პოეზიის წმინდა საფანე. შესასვლელში, ვით სიყვარულის სამუდამო გვირგვინი, გრიბოედოვისა და მისი მეუღლის, ნინო ჭავჭავაძის საფანეს წააწყდა.

შემდეგ ჭვის კიბეზე ავიდა ზევით.

აქ პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლთან შეჩერდა. ძეგლზე წარწერილი, ნიკოლოზის უკვდავი ლექსები გადაიკითხა.

როცა ილიას ძეგლთან მიაღწია, ქართველი ქალის ქანდაკებამ თითქოს შეაკრთო ის. ქართველი ქალის ისტორიულ ტანჯვას გამოსახავდა. ეკლესიას შემოუარა და აკაკის ძეგლს მიუახლოვდა.

აკაკის წინ იწვა „ქართველის დედა“. — სტალინის დედა, კაცობრიობის დედად შობილი. უნდოდა მუხლები მოეყარა ამ უწმინდეს, ^{მამა} დედანა-დედის საფლავის წინაშე, მაგრამ ამ მიწაზე ფეხი ვეღარ გადასდგა.

აქვე, თითქოს კლდის გაუტეხელი ხმით ლექსებს აკვესებდა ვაჟა-ფშაველა და ამ ლექსების ნაბერწყლებს თავზე აფრქვევდა დედათა-დედას. „მაგრამ ვის შეუძლია ისე გააშუქოს თავისი დედის სახე და ხსოვნა, როგორც ეს შესძლო მისმა შვილმა, კაცობრიობის დიდმა მნათობმა?“ — თავისთავს შეეკითხა ბეჟანი და უბასუხა: „არავის, არავის“. სუნთქვა შეკრული, უმწვერვალესი მოკრძალებისა და სიყვარულის გრძნობით მთლად ავსებული გაშორდა დიდებულთა წმინდა საფანეს, გავიდა ჭიშკარში და კვლავ ისევ ზევით შეჰყვა იმ მთას. გულით მიჰქონდა, რაც ამქვეყნად ყველაფერზე სათნო, საყვარელი და ძვირფასი იყო.

... როდესაც ნათელა სახლში შევიდა, დედას ეძინა. მივიდა, თმაზე ხელი გადაუსვა და ჩურჩულით უთხრა: „რატომ ხარ, დედი, ასეთი კარგი?“ ახლა მეორე ოთახში გავიდა. აქ მარტო იყო, მაგრამ თითქოს საკუთარი თავისაც კი სცხეენიო, გულში დაგროვებული სიხარულის შემოტევას აჩერებდა, თავს იკავებდა, თუმცა ატყობდა, რომ ამ გრძნობის შეჩერება დიდხანს არ შეეძლო. გულიდან დაძრული ტალღა სიხარულისა, ძარღვებს ეღებოდა, სხეულის ყოველ კუნძულში იჭრებოდა, თრთოდა, ცახცახებდა, ტუჩები რაღაც თავისთავად ეკუმშებოდა. „აჰ!“ — წამოიძახა, რომ გული დაეცალა, — მოქარბებული გრძნობების აფეთქება არ მომხდარიყო. საწოლის რკინას ხელი ჩასჭიდა, შუბლით დაეყრდნო. ამით თითქოს ნახა გამოსავალი: ცოც რკინას უერთებდა იმ ძალას, რომელიც ტანში არ ეტეოდა, თითქოს მთელის სხეუ-

ლით, აჩქარებით სუნთქავდა, ირსეოდა, ისევ ცრემლებით ევსებოდა თვალებში... ოდნავ დამშვიდდა. ოთახში მიმოიარა. ყოველ ნივთს ზელი შეაფლო, ვით ცოცხალ არსებას მიუაღერსა, სასტუმრო ოთახშიაც გავიდა. აქაც იგივე გაიმეორა და ბოლოს მაშის სურათს აჩხედა. გადასწყვიტა, რომ მაშას ძლიერ წააგავს: ისეთივე თვალები, წარბები, შუბლი. მხოლოდ ცხვირი და ნიკაპი დედისას მიუგავს. „მამა, შენ რომ ზედავდე გაზრდილ ნათელას, ახლა რომ ზედავდე!“—განსაკუთრებით სიტყვა „ახლას“ მან თავის გულში ზაზი გაუსვა, რადგან ეს სიტყვა მისთვის რაღაც მეტად-მნიშვნელოვან ამბავის დასაწყისზე ლაპარაკობდა.

დედნას უცქეროდა იმ სურათს. გვიან მიხვდა, რომ ღამისთევის შემდეგ მოსვენება იყო საჭირო. ტანთ ისე გაიზადა, თითქოს ეშინოდა; არაფერი არ მოეკლო იმ გრძნობისათვის, რომლითაც ყელამდე იყო ავსილი. რბილ საწოლში ფრთხილად ჩაეშვა. შუბლზე ზელი ვადისვა, ჩამოქნილ თითებს დააჩერდა,—გაუღიმა — მთელის სისრულით მან ახლა, გაიგო თავისი ფასი და უმწვერვალესად ამაღლდა საკუთარი თავის წინაშე.

ბედნიერმა გრძნობამ ასეთივე უმწვერვალესი სიმშვიდე მოუპოვა, — უძილობით მიბნედილი თვალები ნელა დახუჭა.

თავი მესამე

ღილით ლოგინში პირადმა იწვა. სახე უღიმოდა, თვალები უციმციმებდა. თმები გაისწორა, სარკე აიღო და ჩაიხედა. წარბებზე ზელი ვადისვა, თვალების სარკეშიაც ღრმად ჩაიხედა,—შიგ უსასრულო სივრცე აღმოაჩინა. ბეჟანის თვალები წარმოუდგა და გაიფიქრა: „მამ შესაძლოა თვალებში ჩაიძიროს ადამიანი და შემდეგ ვერასოდეს თავი ვერ ამოკეოს? საოცა-

რი, საოცარია“. ზელები მკაფიოდ დაიწყო, გულის ცემას უფრო დაუგდო: „შესაძლოა, შესაძლოა, შესაძლოა“ — თითქოს პასუხად ამოეხატა.

უცერად ზელში ჩაიკეტა სიმკვრივე იგრძნო, შეუცნობელმა გრძნობამ შეაკრთო. ისევ ზელი მოისვა და მარცხენა მკერდში სიმსივნე შენიშნა. რა არის ეს? თითქოს ეს რაღაც ახალი, უფრო რთული ამბების დასაწყისის ნიშანიაო, და თავიდან წამოსულმა, ტყვიისებურმა ზუზუნმა დაუარა სხეულში. წამოიწია, ათრთოლებული ზმით ძლივს დაიძახა:

— დედა, დედა!

დედა შევიდა. როცა საწოლზე სახე-გაფითრებული ნათელა დაინახა ხელგაშლილი მიიჭრა:

— რა იყო შეილო?

— დედა, აი, დახე, რა არის ეს?

დედამ მარცხენა მკერდი გაუსინჯა, ზელი აუთრთოლდა, ფერი ეცვალა:

— არაფერია. გაივლის შეილო! — გაამხნევა, თუმცა თვითონ შიშმა აიტანა და შეილის გვერდით სკამზე დაეშვა.

— დედი, დამშვიდდი. გაივლის დედი! — ახლა იმავე სიტყვებით დედა თვითონ გაამხნევა ნათელამ და უკვე გახურებულ ლოყაზე ზელი მიიღო.

ნათელამ ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ტანსაცმელი ზელიდან უვარდებოდა. ათრთოლებული თითებით დილს ველარ იზნევდა. თითქოს უკვე მარცხენა მკერდში სიმძიმეს გრძნობდა. ეს სიმძიმე ლოდივით აწევებოდა თითონ გულს და და ასე ეგონა, რომ ეს ლოდი გასრესდა, გაუნადგურებდა ყველაფერს, რაც ახარებდა.

როგორც იყო ჩაცმა მოათავა. ცივი წყალი შეისხა სახეზე, დაიბანა და ცოტაოდენი სიმშვიდე იგრძნო.

დედა შემკრთალი უთვალთვალებდა.

ნათელა სავარძელში ჩაჯდა. ახლა მხოლოდ დედა ეცოდებოდა, თუმცა

ვერაფერს ვერ ეუბნებოდა. რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ჯერ თვითონაც არ იცოდა, როგორ დაეწყო.

— დღესვე ექიმთან მივიყვან, შეი-
ლო.

— მე თვითონ წავალ, დედი, ექიმ-
თან. შენ მშვიდად იყავი.

დედას გული აუჩუყდა, სახე მოარი-
და, ხელბეგწვდილმა ძლივს მეორე
ოთახში გააღწია. მუხლები მოეკეცა და
იშვე ჩაჯდა.

ელიკო ჩვეულებისამებრ მხიარული
შეშვიდა. აქ დამყარებულმა სიჩუმემ
გააკვირვა, მიმოიხედა; საგარძელში
უხმოდ-ჩამჯდარი ნათელა რომ შე-
ნიშნა, დიმილით უთხრა:

— როგორ ქალბატონივით წამომჯ-
დარხარ, ნათელა, შენც დედოფლობას
ხომ არ მოელი?

— მოველი, ელიკო! — დაეთანხმა
ნათელა, თუმცა მისი თვალები სულ
სხვას ამბობდნენ.

ელიკომაც შენიშნა ეს და ახლოს
მივიდა.

— რა იყო, ნათელა, ავად ხომ არა
ხარ?

— კი ვარ, ელიკო.

ელიკო ამ პასუხის კილომ უფრო
შეაშფოთა, ვიდრე მისმა შინაარსმა.
შუბლზე ხელი დაადო, დაიხარა, თვალ-
ში ჩაზედა:

— სიცხე გაქვს, ნათელა?

— სიცხე რომ მქონდეს, კარგად
ვიქნებოდი.

— რას ამბობ, ნათელა, ვერაფერი
გავიგე. სწორედ არ მეტყვი?

— გეტყვი, დიკო! — უპასუხა და
ელიკოს ხელი მარცხენა მკერდზე მიი-
დო, — გასინჯე, ნახე!

ელიკოს ფერი ეცვალა. გვერდით
მიუჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ავლავ
შეეკითხა:

— რა უნდა იყოს?

— მძიმეა, ელიკო.

— აი, ნიკოს დაეუძახოთ/ვა, ყველა-
ფერს გვეტყვის.

— არა, არა! — გადატყუოთ მიიძახა ნა-
თელამ. — სხვა უნდა შევხებოდე, —
ბიდან ჯერ ვერვის ვეტყვი.

— კარგი, წავიდეთ, მხოლოდ ახლა-
ვე წავიდეთ, დაო! — მოუწოდა ელიკომ.

— შენ გამაცილებ?

— რად მეკითხები?

— ჩემო, ელიკო! — უფრო მეტის
სიყვარულით, ვიდრე ოდესმე, — უთხრა
ნათელამ და ზეზე წამოდგა.

უეცრად ყველაფერი გამოიცვალა,
მათ შორის რაღაც სხვანაირი ურთი-
ერთობა დამყარდა. უხმოდ მიდიოდნენ
და თითქოს მათი ფეხისხმაც ამ შეცვ-
ლილ მდგომარეობას ადასტურებდა.

არასოდეს ასეთი დუმლით მათ ქუ-
ჩაში ჯერ არ გაველოთ.

შეუშინველად გაიარეს მთელი გზა.
ბოლოს საავადმყოფოს შენობაში იმ
კართან შეჩერდნენ, სადაც ეწერა „ონ-
კოლოგიური კაბინეტი“.

ნათელა კაბინეტში შევიდა. საშუა-
ლოზე დაბალი, ხშირ, თეთრთმებიანი
პროფესორი, დიმიტრი კუპრაშვილი
სერიოზული გამომეტყველებით მიუ-
ახლოვდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— ახალგაზრდა, ქალო, თქვენ რას
უჩივით?

— მე რაღაც აქ... — წარმოსთქვა ნა-
თელამ, მკერდზე ხელი მიიღო და წა-
მოწითლდა.

— კეთილი, კეთილი. დაბრძანდით.
აი აქ, დიახ, მოითმინეთ! — უთხრა პრო-
ფესორმა და გასინჯვა დაიწყო.

როდესაც მარცხენა მკერდში სიმსიე-
ნე აღმოაჩინა, თითქოს ხელი შეუერთა,
სახეზე უეცრივ ცვლილება დაეტყო —
მოიღრუბლა. შემდეგ ხელები ჩამოუშვა
და გვერდით მიბრუნდა. ცოტა ხანს ამ
მდგომარეობაში შეჩერდა.

ნათელა პასუხს სუნთქვაშეკრული
ელოდებოდა, ხოლო თვითონ შეკით-
ხვის მიცემას ველარ ბედავდა. ეს მცი-

რე დროის დუმილი ყველაფერზე აუტანელი აღმოჩნდა მისთვის. მზად იყო ყოველგვარ უბედურებას შერიგებოდა, მხოლოდ პროფესორს ეთქვა რაიმე. და ის, ვით მლოცველი წმინდანი თავის მხსნელს, უმწვერვალესი ვედრების გამომსახველი თვალებით პროფესორს მისჩერებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, პროფესორი საეარძელში ჩაეშვა, თითქოს თავის თავში მოინელა ტკივილი, რომელიც მას გასინჯვის შედეგმა განაცდევინა და უფრო მშვიდად წარმოსთქვა:

— ძალიან ახალგაზრდა ხართ. დიახ. მკურნალობა დაგვირდებათ, ჩემო კეთილო. მე გირჩევთ ჯერ-ჯერობით რენტგენს. დიახ რენტგენი, შემდეგ კი ენახოთ. აი, დაგიწერთ და აქ ჩვენთან ივლით, დიახ აქ ჩვენთან!

ნათელა ვერ დააკმაყოფილა ასეთმა პასუხმა. მას ახლაც დანამდივლებით უნდოდა გაეგო, თუ რა სტკიოდა, მაგრამ ჩაეარდნილი ენა ვერ ამოიღო. შემდეგ ძლივს იშოვა ჰაერი, თითქოს ახლა გაეღვიძაო, ოღნავ შეიჩხა და პროფესორს ჰკითხა:

— რა მტკივა, პროფესორო?

— რა გტკივთ? დიახ, სიმსივნე მრავალგვარია. ამიტომ გადაჭრით ვეოაფერს გეტყვით, თუმცა, ვფიქრობ, საშიში არაფერია. ისე, პო, მკურნალობის შედეგი დაგვანახებებს, ჩემო კეთილო. თქვენ მშვიდად იყავით. დიახ, რაც საჭიროა, ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ!—ამით დაასრულა პროფესორმა, რაღაც დასწერა და ნათელას გადასცა.

ნათელა წამოდგა, ისეთის გამოშტყველებით გადახედა პროფესორს, თითქოს მისგან არავითარი პასუხი არ მიუღია, ხოლო ამ პასუხის მიუღებლად აქედან გასვლა აღარ უნდაო. ამიტომ პროფესორის მიერ მიცემული ქალაღი სამჯერ გაუვარდა ხელიდან. ცოტახანს იდგა, მაინც ვერაფრის თქმა

ვერ მოახერხა, შემდეგ გაბრუნდა, რაღაც მერყევი ნაბიჯით კაბინეტი უნშოდ დასტოვა.

უმაღ ისევე პროფესორის სიტყვები მოესმა:

— დიახ, ხვალ ათ საათიდან, ჩემო კეთილო!

ამ დროს პროფესორმა შენიშნა, რომ ეიღაც ახალგაზრდა ქალი მივიდა ნათელასთან და რაღაც ჰკითხა.

ახლა პროფესორმა იმ ქალს გასძახა:

— ბოდიში, დიახ, მობრძანდით! თქვენ, თქვენ!

ელიკო შემცბარი მივიდა პროფესორთან და გულზე ხელის მიდებთ ჰკითხა:

— პროფესორო, მე დამიძახეთ?

— დიახ, თქვენ, ცოტა ხნით ჩემთან შემობრძანდით! საქმე მაქვს!

როცა ელიკო კაბინეტში შევიდა, პროფესორმა კარი მიხურა. მაგიდას მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, სავარძლის თავს დაეყრდნო და უკვე გაფითრებულ ელიკოს ჰკითხა:

— თქვენი სახელი?

— ელიკო მქვია.

— თქვენ რა ხართ იმ ახალგაზრდა ქალის, რომელიც ახლა მივიღე?

— მეგობარი ვარ.

— ახლო ნათესავი ხომ არ იქნებით?

— არა. მხოლოდ მეგობარი ვარ.

— დიახ, კეთილი. მაგრამ საჭიროა ურჩიოთ თქვენს მეგობარს, რომ მკურნალობას ხელი არ შეუშვას. ვფიქრობ საქმე უფრო სერიოზულადაა ვიდრე იმ ახალგაზრდა ქალს მოეახსენე.

— როგორ, პროფესორო? — თავდაჭერით, მაგრამ მღელვარებით ჰკითხა ელიკომ.

— დიახ, გთხოვთ არ გამამხილოთ. ავადმყოფმა ამაზე ჯერ მაინც არაფერი არ უნდა იცოდეს. მხოლოდ თქვენ საჭიროა პირდაპირ გითხრათ: ანალიზი გვიჩვენებს, მაგრამ შესაძლოა

ყველა ღონისძიება კატასტროფით დასრულდეს!

— კატასტროფითი? — დაიძახა ელიკომ, გული შეუღონდა.

პროფესორი მიეშველა, თანამშრომლებსაც გამოუძახა, მაგრამ ელიკოს ცივი, რაღაც დიდი უბედურების მათუწყებელი შეძახილი ისედაც საკმარისი იყო, რომ ერთი წუთის განმავლობაში იქვე პროფესორთან, თანამშრომლების მთელი ჯგუფი შეკრებილიყო.

ელიკო მოასულიერეს და მდივანზე დასვეს.

— აგრე როგორ იქნება, ჩემო კეთილო! დიახ, თქვენ უფრო საშიში ყოფილხართ, ვიდრე ახლო ნათესავი მიინახავს! რა უნდა ვუთხრათ ახლა თქვენს მეგობარს? სიმტკიცე გმართებთ! მით უფრო, ხომ არ მითქვამს, თუ მდგომარეობა უნუგეშოა-მეთქი. ვინ იცის, შესაძლოა ყველაფერი კეთილად დასრულდეს. — ამშვიდებდა პროფესორი მდივანზე უნოდ მიწოლილ ელიკოს.

... როდესაც პროფესორმა ელიკოს გამოუძახა, ნათელა მიხვდა, რომ ალბათ ეს გამოძახება ისევე ჩემს ავადმყოფობას შეეხებოდა. ამიტომ ტივილით მახველივით დაუარა სხეულში, მაგრამ შემდეგ თითქოს აღარ ნანობდა: იქნებ პროფესორმა ელიკოს მაინც გაუმხილოს: რითი ვარ ავად, ვკვდები თუ ვრჩებიო და უკვე წინასწარ ყველაზე სასტიკი პასუხის მოსასმენად ემზადებოდა. აქ აღარავის ზედავდა, მხოლოდ ერთ მრგვალ სვეტს უვლიდა გარშემო, მხოლოდ ელიკოს დაბრუნებას მოუთმენლად ელოდებოდა.

როდესაც პროფესორის კაბინეტში ჩოჩქოლი ატყდა, უეცრად შესდგა, თვალები მიმოაცეცა, — შენიშნა, რომ იმავე კაბინეტში თანამშრომლები რაღაც შემოფოთებით შედიოდნენ, გამოდიოდნენ, ვარბოდნენ, თითქოს ვილაცას უჯავრდებიანო, ბუტბუტებდნენ თავისთვის, მაგრამ სიტყვები ვერ გაე-

გონა. გადასწყვიტა: რაღაც მტკაღ მძიმე, მისთვის სავალალო საკითხი გადასწყვიტა ნათელამ, თუქმცე ყანგად კიდევ არ ჰქონდა შეგნებლეთყყო რა გადასწყვიტა. ეს გადაწყვეტილება მისმა გულმა გამოიტანა, მხოლოდ გულმა და არა თვითონ. სარკმელთან ძლივს მიატანა. რაფას დაეყრდნო, გადაიხედა; ვარუთ ვარკვევით ველარაფერს ხედავდა. ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო, ერთ მთლიან მასსად შედუღებულყო და გამჭვირვალე ფარდასავით დამყებულიყო. მხოლოდ რაღაც ზუზუნი ესმოდა გარედან (ასეთივე ზუზუნი მის თავშიც იდგა). მაგრამ თითები რად გაუშეშდა? არ იქნა, ხელის თითები ველარ მოლუნა და ამის ჯავრი აქვს! რა დაემართა, რამ გაუშეშა ნეტავ თითები? სწევდა, ცდილობდა მოეღუნა, რაღაც არ უნდა დამჯდარიყო უნდა მოეღუნა, რომ ამით უბედურებას გადარჩენოდა, მაგრამ, ო, არა! ეს არ ხერხდება! თავი მიანება ამ უშედეგო ცდას. ხელები ლოყებზე შემოიწყყო. უნდოდა გაეთბო და არ თებოდა. გულიდან წამოსული სიცივე ყველაფერს ჰყინავდა, ბზარავდა, ანადგურებდა. აჰა, ძლიერ შორს, თითქოს ზღვიდან აღმოცენდა ქალაქი! როგორი სევდოანია, განა ეს თბილისია? არა, თბილისი კი არა, წამების ზღვიდან შობილი ქალაქია. მაგრამ, ნეტავი რად გაჩნდა, რატომ აქამდე არ სჩანდა ის? აჰა, მთებიც! ალბათ ისინიც იმავე ზღვიდან თუ ამოცურდნენ. და მერე როგორი უშუქონი არიან. ნუთუ აღარ არის საშველი, ხსნა არსაიდან?!

დარეტიანდა, სარკმლის მინას შუბლით მიეყრდნო. ცივმა ნაკადმა დაუარა სხეულში, მაგრამ ამ ნაკადმა ძარღვები მოსჭრა. არ უნდა დაეცეს, არა! როგორ იქნება!

— ნათელა, ნათელა! — მოესმა ნაცნობი ხმა. თავი ასწია. სახეში არ შეუხედავს, მხოლოდ ხელი მოჰკიდა, და-

ეყრდნო, გაყვა. ნეტავი სად მიჰყავს, რომელ ქვეყანაში მიჰყავს ელიკოს, განა იმ ქვეყანაში, რომელსაც ახლა სარკმლიდან ხედავდა? „ჩემო ელიკო, იქ ნუ წამიყვან, არ მინდა იქ!“. — გულში გაივლო, მაგრამ ახლა შეჩერების ძალა არ ჰქონდა. რადგან ფეხი აიდგა, უნდა წასულიყო! უნდოდა, არ უნდოდა, უნდა წასულიყო და მიდიოდა.

ქუჩაში ხალხის ხმაური სკის ზუზუნით ესმოდა, არაფის არ უცქეროდა, მაგრამ თუ შეხედავდა, მაინც ვერ ხედავდა.

ისინი ურთიერთშორის გასაუბრებასაც ერიდებოდნენ და არც შეეძლოთ.

როდესაც ვერის-ხიღზე გავიდნენ, ელიკომ, მხოლოდ იმესთვის, რომ ხმის ამოღება იყო საჭირო, წამოიძახა:

— ნათელა!

— მე აქ ვარ, ელიკო.

— არაფერიაო, ნათელა.

— ვიცი, ელიკო.

ელიკო დარწმუნებული იყო, რომ ნათელას მისი არა სჯეროდა, თუმცა მაინც ეთანხმებოდა. ეს აოცებდა ელიკოს, თანაც აკრთობდა. არ იცოდა, თუ რა შინაარსს ათავსებდა ნათელა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „ვიცი“. იქნებ ეს თანხმობა კი არაა, პირიქით, იქნებ ეს იყო ცოდნა იმისა, რასაც ნათელა გულში ფარავდა და არა იმისა, რასაც ამბობდა. ამიტომ ასეთი „თანხმობა“ უფრო აზინებდა ელიკოს, თუმცა თვითონაც შეკითხვის მიცემას ვეღარ ბედავდა. ცრემლი ყელში უკერდა, — სიტყვას ართმევდა.

ნათელას შინ აღარ შეჰყავ: ეშინოდა იქნებ სისუსტემ მომისწროს, თავი ვეღარ, შევიკავო და ყველაფერი გავაშლიო, გამოემშვიდობა და მხოლოდ ეს უთხრა:

— ხვალაც გაგაცილებ, ნათელა, მოვალ.

ღღეს პირველად ნათელასაც აღარ

მიუპატიებია ელიკო შინ და უხმოდ გაშორდა.

შინმისულ ნათელას დედამ ფარავარი არ ჰკითხა, თუმცა ამის უფროსი კითხვებოდნენ:

„რა გითხრეს, შვილო?“

ნათელამ ამ თვალებს ვეღარ გაუძლო, იქნებ შემდეგ პასუხიც ვეღარ შეეძლო და რაღაც იძულებით წამოიძახა:

— უბრალო არისო, დედიკო! მთლად უმნიშვნელო!

— ჰო, შვილო, — დაეთანხმა დედა თუმცა ნათელას ასეთი, თითქოს გაბზარული სიტყვები არ მოეწონა; მოეწონა, რომ ამ სიტყვებს „არავითარი შინაარსი არ გააჩნია, ცარიელია, მხოლოდ ნათელას ოდნავ-მობუქული თვალები, რაღაც უფრო სავალალო სინამდვილეს ფარავნო. ამ გრძნობამ გული გაუტყარა, სკამი მიიწია და მძიმედ დაჯდა.

ნათელა მეორე ოთახში გავიდა. დედისადმი სიბრაღულის გრძნობამ ყელში მოუსწრო, კინაღამ ქვითინი აუტყუდა, თავი შეიკავა დასძლია, — სამაგიეროდ ღიღინი დაიწყო: „გაფრინდი შავო მერცხალოო... ტრილებდა, რაღაცას ასწორებდა, ალაგებდა, ასუფთავებდა.

ძლივს, საღამომდე, თავისთავი და დედა „გაართო“ ნათელამ ამგვარი ღიღინით, რაც ქვითინზე უფრო მძიმე ასატანი აღმოჩნდა.

როცა დაღამდა ჩაწვა, შუქიც ჩააქრო, რომ სახე მაინც დაემაღა დედის მოტყუებას მაინც ვერ შესძლებდა.

„სიბნელეა. ძნელი ასატანი იქნება სიბნელე?“ — მოულოდნელად შეეკითხა თავისთავს და გადასწყვიტა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, შესჩვეოდა სიბნელეს. დიახ, ამაზე უკეთესს ვერაფერს ვერ გააკეთებდა. ეს ნახევარი ხსნა იქნებოდა!

დედა ამ სიბნელეშიაც შორიანლოს უკლიდა, ზოგჯერ მივიდოდა, საბანზე ხელს მოუსვამდა, გაუსწორებდა. ახლა თმაც გაუსწორა, შუბლზედაც მიწვედინა გამხდარი თითები—სიცხე თუ აქვსო. შემდეგ გავიდა. ფეხის ხმაც მიწყდა.

ნათელა ყველაფერზე მეტად ისევ დედის საცოდობას ველარ იტანდა: „დედას რა გაუძღებს, დედას?“ ეს კითხვა ჭეჭა-ჭეხილივით იჭრებოდა მის გონებაში. მაინც თვალი დახუჭა. ტყვილების ბურანს დაემორჩილა. რაღაც უჩინარი მხეცი ჰკებნდა მთელ სხეულს, ხან იქ, ხან აქ. უცრად გუშინდელი და დღევანდელი დღე შეადარა და ახლა დაინახა ამ შემწარავი სურათის მთელი საშინელება: გუშინ სიხარულის მწვერვალზე იყო, დღეს კი გოლგოთაზე გადაინაცვლა, ხოლო ამ ორთა შორის უკვე გაუვალი უფსკრული სჩანდა: ის იყო, ეს არის! „მე ვიცი რა არის ეს, მე ვიცი, ვიცი!“—ჩასძახდა თავისთავს.

მეორე ოთახში გასულმა დედამ ვერ მოისვენა, პალტო ჩაიცვა, თავზე შალი შემოიხვია, უკანა კარი ფრთხილად გააღო და სადღაც წავიდა. ის ელიკოსთან მივიდა ბინაზე. გულაჩუყებულ ელიკოს ორიოდ სიტყვა ძლივს ათქმევინა, მაგრამ ელიკოს საქციელით უფრო მეტი გაიგო, ვიდრე მის სიტყვებიდან და უცრად თავი ჩამოუფარდა.

ნატომ ხელი მიაშველა, მღვიანზე დასვა:

— ასმათ, ჩვენ მეტი მოგვეთხოვება! ჩვენ დედები ვართ! მით უფრო, საშიში არაფერიაო! უკეთესზე უნდა ვიფიქროთ!

ასმათი ცოტათი მოასულეირა ნატომ, სიყვარულით ხელზე ხელი მოჰკიდა, თვალში ჩახვდა:

— ჩემო ნატო, შენც ბევრი გადაიტანე, მაგრამ...—არ დაასრულა, მარ-

ტომ-მიტოვებული ნათელა მარაგონდა და უცრად წამოდგა, წავიდა.

— მაპატიეთ! ნუთქა ვეფხურებით მშვიდობით, ჩემო, ჩემო, ჩემო კარბონ მისულმა, სიტყვა ახლაც ვერ დაასრულა და გარეთ გავიდა.

გამოილი ხელებით მიდიოდა ქუჩაში. მგზავრებს, ვით ჩალის ღერებს სიმინდის ყანაში, იგერიებდა, ბინისაკენ მიიჩქაროდა, თანაც იძახდა: „გახარებული მოვდივარ, შვილო, გახარებული!“ „ეშმაკობ, შვილო, მე მატყუებდი, დედის უკან მოტოვება გინდოდა“, „ვერ მომატყუებ“, „რა დავიშავე, რა დავიშავე?“.

ნათელამ ლოგინში ვერ მოისვენა. ცოტახნით მხოლოდ თავს ატყუებდა, რომ თითქოს ეძინა, სინამდვილეში კი ბურანში იყო და ამ ბურანმა წამოაყენა: ხალათი იპოვა, მოიხურა, სარკმელთან მივიდა. გადაიხედა, გადასწყვიტა: ყველამ და ყველაფერმა, რომ დაივიწყოს, აი, ეს ქალაქი არ დაივიწყებს, არ მიატოვებს! მასზე შეყვარებული ქვეყანა აღარ გასწირავს! წელან კი შეუცვალეს თბილისი, მთები, მთელი სამშობლო, გული მოუკლეს, საწამლავე შეასვეს და გააბრუნეს: „ვერა, ვერ მომატყუებენ, ვერ მომატყუებენ!“—გაიფიქრა და სარკმელთან დაჯდა. საკუთარ სუნთქვას უსმენდა. შემდეგ ისევ მარცხენა მკერდზე მოისვა ხელი: „სტყუიან, ამოდენა ტყვიასაც გაუძღობს სისულელეა, სისულელეა!“ — თავისთავი გაამხნევა, თუმცა გულის სიღრმეში თითქოს ვიღაც სხვა უბასუხებდა: „ნუ გამაციონებ, ნუ გამაციონებ!“ მოეშვა. სარკმელზე თავი მისდო. თვალი დახუჭა.

უცრად მეორე ოთახიდან ფეხის ხმა მოესმა. ალბათ, დედა ჩემთან მოდისო, გაიფიქრა და წამოიჭრა. საწოლში შეწვა, ოდნავ-გახელილი თვალებით კარისაკენ იხედებოდა.

მართლაც კარი გაიღო და ვიღაც ფე-

ხაკრეფით შემოვიდა ოთახში. კუთხეში მიღგმულ განჯინაზე მოყვითალო აბრეშუმის საფარით შებურვილი შანდალი აანთო. მკრთალ შუქზე ასევე მოყვითალო სახე გამოჩნდა:

ღედის რაღაც დიდი უბედურების გამომსახველი თვალები შვილის საწოლისაკენ იცქირებოდნენ. ამ საწოლს ფრთხილად მიუახლოვდა. შემდეგ შვილის სასათუმალთან, ვით მორწმუნე ხატის წინაშე, მუხლებზე დაეშვა და ჩურჩული დაიწყო:

„ერთადერთო, ღედის ლამპარო, მიხატე! ღედის საფლავს შენი ტბილი ხელის შეხება აღირსე. ზედ ფეხი დაადგი, გაუხარდება. ქვეყნად შვილი მეყოლება ნათელა, მშობლების ხსოვნას ნათელსა მკაფენს!“—და ყრუდ აქვი-თინდა.

ნათელას დაავიწყდა, რომ ძილი მოიგონა:

— ღელა!—მიამახა და გულში ჩაიკრა.

ღელა-შვილის გუშინდელსა და დღევანდელი შეხვედრის შორისაც უფსკრული იყო.

თამი მიეჭმე

იმ დღეს ბეჯანი ერთ მნიშვნელოვან ცდას ამზადებდა.

თანამშრომლების დახმარებით დიდიანვე მოამზადა ხელსაწყობები და ცდა დაიწყო.

ფრთხილად ორი თოფრაკი აიღო. ეს თოფრაკები იმ მანქანაში მოათავსა, რომელსაც „პოტენციომეტრს“ ეძახდნენ და უდიდესი სიზუსტით დააყენა. შემდეგ ფრთხილადვე დენი შეუერთა და იმ შუქის მიხედვით დააყენა, რომელიც მანქანის ეკრანზე გაჩნდა. შემდეგ დააკვირდა: მის თვალებში სიხარული გამოისახა და რაღაც ჩაიწერა.

— გვი, დახე!—მოუწოდა ბეჯანმა და ქალაღის იმ მცირე ნაპერზე მიუ-

თითა, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა და ციფრი ეწერა.

— აჰა, ვხედავ! აი, რა მიეციე! რას ნიშნავს ეს?

— ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ეს მეტად საინტერესო მონაცემია.—მიუგო ბეჯანმა,—ეს ყოველივე ახლა სხვა მხრიდან, უკვე მეხუთეჯერ იმასვე აღასტურებს, რაც სხვა ცდებმა დააღასტურეს. ამის შემდეგ, მე ვფიქრობ საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაეთვალოთ. აგრეთვე შესაძლოა აქედან ზოგი სხვა დასკვნებიც გამოვიყვანოთ, მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა ბოლო დროს ჩატარებული ყველა ცდის შედეგებს შევაჯამებთ და შევადარებთ.

— საინტერესოა, საინტერესოა! — იძახდა გვი და სიხარულით თვალები უციმციმებდა.

ბეჯანი დაჯდა. მაგიდაზე ხელი დაუთათუნა, თითქოს ამით სამუდამოდ აღბეჭდა მის ცნობიერებაში ჩატარებული ცდის შედეგო, და უფრო მშვიდად ამოისუნთქა.

ფეხის ხმა მოესმა და მიიხედა: რაღაც ქალადებით ხელში აქეთკენ მომავალი მოხუცი სოლომონი შენიშნა, მყისვე წამოდგა და მიეგება.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? განაგრძეთ, განაგრძეთ!—შემოსვლისთანავე წარმოსთქვა სოლომონმა და ხელი ჩამოართვა.

— მობრძანდით! ალბათ თქვენც დაგინტერესებთ ჩვენი დღევანდელი ცდების შედეგი,—მიუგო ბეჯანმა.

— ცხადია, ცხადია!—წარმოსთქვა სოლომონმა; ხელში დაკერილი ქალადები მაგიდაზე დაკყარა, დაჯდა და ბეჯანს სათვალეების ზემოდან ახედა.—ხმაში გეტყობათ, რომ ცდას უშედეგოდ არ ჩაუვლია!

ბეჯანმა თავიდანვე უამბო ყველაფერი და ბოლოს დაასკვნა:

— ხვალ თქვენი თანდასწრებით ამავე ცდას გავიმეორებთ, მხოლოდ შიგ

ოდნავი ცვლილების შეტანით. თუ თქვენ გვირჩევდით, შესაძლებელი იქნებოდა ზოგი სხვა თანამშრომლებიც დასწრებოდნენ ამ ცდას.

— კეთილი. მე თანახმა ვარ, მხოლოდ საჭიროა შევთანხმდეთ, თუ ვისი მოწვევა იქნება საჭირო... ახლა კი, აი, გაეცანით მეცნიერების აზრს თქვენს ბოლო ნაშრომზე! — უთხრა და გაშლილი ჟურნალი ბეჯანს გადასცა.

ბეჯანი გაწითლდა. ჟურნალი გამოართვა და ერთ მოზრდილ წერილს კითხვა დაუწყო. მხოლოდ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ სახეზე დაეტყო, რომ დაძაბულმა წუთებმა განვლეს, თვალბნევიც გამოიღარა და რაღაც შიგნიდან წამოსულმა შექმა გამოიანათა.

— ასეთი გამოხმაურება ცნობილი მეცნიერების მხრივ, ყველა ჩვენთაგანისთვისაც საამაყოა. — რაღაც განსაკუთრებული დაბეჯითებით, თანაც დაჯერებით ამბობდა სოლომონი.

ბეჯანმა კითხვა დაასრულა. ჟურნალი დასდო და ახლა შენიშნა, თუ როგორ სიხარულს ამუქებდნენ მოხუცის თვალები.

— სადაც თქვენ ხართ, იქ პატარებიც დიდებულ მოსჩანან. სადაც მზე არ ანათებს, იქ ყვავილებიც ვერ გაიშლებიან. მხოლოდ დიდი მეცნიერის შეუქის ქვეშ ვიზრდებით ჩვენ! — ისეთის რწმენით უთხრა ეს ბეჯანმა, რომ მოხუცის თვალები ცრემლმა მონამა.

— აქარბებთ, ბეჯანი! — მიუგო მოხუცმა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, გივი შორიანლო ტრიალებდა გახარებული და თავისთვის ჩუმად იძახდა: „უჟურე, უჟურე!“

სოლომონი წამოდგა, წარმატება უსურვა ბეჯანს და ისევ თავისებურად შეწყობილი ნაბიჯებით გავიდა.

— ბეჯანი! — მიიძახა გვიმ და მიიჭრა, ვისურვებთ უფრო შორს გავგო-

ნოთ თქვენ მიერ გასრულებულ ზარბაზნის გრიალი!

— ზარბაზნების გასრულებული თაობები სჭირდება, — ეძინა მისთვის, — მოდი მომეხმარე! ხსნარი მზადა გაქვს?

— მზადა მაქვს, ბეჯანი! — მიუგო გვიმ და უფრო მეტის ხალისით შეუდგნენ საქმეს.

სალამოს, როცა ყველა წავიდა, მართოდ-დარჩენილი ბეჯანი მიუჯდა მაგიდას, ქაღალდის ფურცლებზე ცალკე-ცალკე გაკეთებული ნიშნები შეკრიბა და მიღებული შედეგები ჩასწერა.

— ბეჯანი, შენ გელოდებით, შინ არ მოდიხარ? — შეეკითხა შეუმჩნეველად შემოსული მალხაზი და მიუახლოვდა.

— ა, მალხაზ! ახლავე, მალხაზ! — მიიძახა ბეჯანმა. წამოდგა. კინაღამ დაეცა. ერთმა დღემ იმოდენა ამბები განაცდევინა, რომ ვეღარ ზიდავდა. ამ ამბებითა და საქმეებით იყო გაბრუებული, თუმცა ასეთი გაბრუებაც სიამეს ჰგვრიდა. იცოდა: ეს იყო იმ თავდადებული შრომის შედეგი, რომელიც მან თავის საყვარელ საქმეს მოახმარა, ხოლო ამ საქმისათვის უფრო დიდი მსხვერპლიც რომ გაეღო კიდევ უფრო ბედნიერად იგრძნობდა თავს. როცა ის ქმნიდა, გულში სიხარული რჩებოდა, თუ დროს ატარებდა, სევდა რჩებოდა. ამიტომ ერაზია რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის ცდაში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე.

კარებში თამარიც უცდიდა მათ და ერთად წავიდნენ.

ბეჯანი მალხაზმა და თამარმა რაღაც საეჭვოდ შუაში ჩაიყენეს. როცა იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც ისინი ბეჯანს უნდა დაშორებოდნენ, აქეთ-იქიდან მკლავში ხელი ჩასჭიდეს და აღარ გაუშვეს.

— სადილად რ ჩვენთან წამოხვალ, ბეჯანი! — უთხრა თამარმა.

— შენი წილი მაქარი არ შემერგე-

ბა. წავიდეთ, ბეჯან!—სთხოვა მალხაზ-
მაც.

ბეჯანმა დიდი წინააღმდეგობა არ
გაუწია და მეგობრებს გაჰყვა. მას მხო-
ლოდ ერთი რამ აფიქრებდა: შიგადა-
შიგ მეგობრების სიტყვას თუ საქცი-
ელში თითქოს რაღაც დაფარულ სევ-
დას ამჩნევდა. ამის მიზეზი ვეღარ გაე-
გო. მეორეს მხრივ, არ უნდოდა შე-
კითხვის მიცემით უხერხულ მდგომარე-
ობაში ჩაეყენებინა მეგობრები,
რომლებიც შესაძლოა შესაფერ დროს,
დაფარულ ამბავს თვით გაუმხელდნენ.

სანაპირო ქუჩაზე რომ გავიდნენ, ნა-
ბიჯები შეანელებს და მხოლოდ ყურს
უგდებდნენ, თუ როგორი ტკაცანი გაჰ-
ქონდათ თიჯოს ადამიანებზევით და-
სეგდიანებულ ქადრებს, როგორი უი-
მედო ფართხალით ეწვებოდნენ ფოთ-
ლები და იმათ წინ, ფეხებთან გულალ-
მა წვებოდნენ.

— კარგი იქნებოდა, ადამიანიც აგ-
რე უხმოდ ურიგდებოდეს ყოველგვარ
გასაჰირს... თვითონ სიკვდილსაც.—
წარმოსთქვა თამარმა.

— ეს იქნებოდა ბუნებასთან დაახ-
ლოება და მაშინ ადამიანს სიკვდილის
შიში არ ექნებოდა, — დაუდასტურა
მალხაზმაც.

„ნეტავი რა უნდა ეთქვათ ასეთი მო-
გონილი ფილოსოფიით?“ — გაიფიქრა
ბეჯანმა.

— თქვენ, ორივენი ცდებით მეგობ-
რებო!—კარგა ხნის შემდეგ წარმო-
სთქვა ბეჯანმა—ჯერ ერთი: უხმაუ-
როდ ფოთოლიც არ წყდება ხეს. მეო-
რეც; ადამიანი სწორედ იმით განსწავ-
დება ბუნებისაგან, რომ ის უფრო
გრძნობიერია, ხშირად ბუნების კანო-
ნებს წინააღმდეგობა, ებრძვის, ზოგჯერ
კიდევ აპარცხებს მათ და ცდილობს
ყველაფერი თავის ნებასურვილს დაუ-
მორჩილოს. ამიტომ ბუნებასთან და-
ახლოებას ჩვენი პოზიციების დათმო-
ბით კი არ უნდა ვცდილობდეთ, არა-

მედ პირიქით: უნდა ვეცადოთ, თვი-
თონ ბუნებამ დათმოს ადამიანის სა-
სარგებლოდ. მხოლოდ ასეთი დაახ-
ლოება იქნებოდა გრძნობის შესაძლები
და სასურველი.

ბეჯანის მიერ გამოთქმულ ამ აზრის
შემდეგ, თამარმა მალხაზს ისეთი თვა-
ლით გადახედა, რომლითაც ამბობდა:
„პირიქით მოხდა. ბეჯანმა სწორედ ის
უფრო გააღრმავა, რის მიჩქმალვას
ჩვენ ასე ადვილად ვფიქრობდით“.

მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობ-
დნენ ბეჯანის ახლანდელი განწყობი-
ლება შეეცვალათ ისეთით, როცა ადა-
მიანი ყოველგვარ უბედურებას შედა-
რებით ადვილად ურიგდება. ეს კი შე-
უძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბეჯანი,
თითქოს გრძნობდა რა მეგობრების
განზრახვას, განაგებ დაყინებით თავი
საწინააღმდეგო აზრს იცავდა, მასთან
საქმით წარმატებითაც.

ამიტომ ბოლოს თავი მიანებეს ბე-
ჯანის „გარდაქმნას“ და საუბარს უფ-
რო ბუნებრივი ელფერი მისცეს.

— გუშინ ნიკო და სიმონი შემო-
გვხედნენ გზაში. ონკოლოგიურ კლინი-
კიდან შინ ბრუნდებოდნენ, მაგრამ ნი-
კო რაღაც უგემურად მოგვესალმა და
სწრაფად გაგვშორდა. გაუგებარია, რა
დავუშავეთ? რაც არმიიდან დაბრუნ-
დნენ, სულ ერთად დადიან. ალბათ
გაჰვირება უფრო აახლოებს ადამია-
ნებს.—წარმოსთქვა თამარმა.

— ცხადია, კარგი მეგობრები არიან.
ამასთანავე თავისი საქმის საუცხოო
მკოდნენი. ომმა დიდი გამოცდილება
შესძინა მათ.—მიუგო ბეჯანმა.

— რაც არ უნდა დიდი იყოს ქირი,
მცირე სარგებელს მაინც მოიტანს...
ქირურგის დანით რამდენ სიკვდილს
მოსჭრეს მათ თავი!—დაუმატა მალხაზ-
მა.

— ასეთი დანები განა მხოლოდ ომ-
ში იყო საჭირო? აქაც, ჩვეულებრივ
ცხოვრებაშიც გვეჭირდება, მაგრამ სიკვ-

დილი მაინც მრავალთავიანია. რამდენი უნდა მოსჭრა, რომ იხსნა ადამიანი, სანამ მისი ბუნებრივი სიკვდილის დღე დადგებოდეს.—მოუგო ბეჟანმა.

ამგვარი საუბრით უკვე სახლამდე მიადწიეს. ისადილეს და შემდეგ მალხაზის კაბინეტში შევიდნენ.

ჩამოვარდნილ სიჩუმეს თითქოს რაღაც სიცივე მოჰყვა.

— ნათელა ხომ არ გინახავთ, ბეჟან?—მოულოდნელად ჰკითხა თამარმა.

— არა. ახლო არ მინახავს. მხოლოდ შორიდან დავინახე. თითქოს შერიდებო.—წარმოსთქვა ბეჟანმა.

— ავად არის ნათელა და ალბათ ამიტომ,—მოუგო მალხაზმა.

— ავად არის?—რაღაც შეუგუნებელი შიშით დაიძახა ბეჟანმა. შემდეგ მაინც თავდაპირვით იკითხა:—რა დაეშარათა ნათელას?

— რაღაც სიმსივნე შეუმჩნევიათ.

— სიმსივნე? მალხაზ, რას ამბობ?

— სჯობს პირდაპირ ვთქვა: სიმსივნე მარცხენა მკერდში და სპეციალისტების დასკვნით მგონი, ისიც...

— მეტი აღარ სთქვა!—ისეთი ხმით დაიყვირა ბეჟანმა, რომ სარკმლის მინები შეირხნენ. ხელები მოაფათურა, თითქოს დასაყრდენი გამოეცალო, ჰაერში დარჩა და უნდა დაეცეს.

ასეთ დასაყრდენად ისევ თამარი და მალხაზი ვაუჩნდნენ მას. აქეთ-იქიდან ხელი მიაშველეს და თამარმა შესძახა:

— ვაჟკაცი ხარ!

ბეჟანმა მიმოიხედა, მოიხარა, დივანზე დაჯდა:

— წავიდა! აღარ ვარ ვაჟკაცი! აღარც მჭირდება!

— ახლა უფრო საჭირო ხარ, ვიდრე ოდესმე!—უთხრა თამარმა.

— ვინ სთქვა, თამარ, რომ საჭირო ვარ? ვისთვის ვარ საჭირო?

— ნათელასათვის!

— ნეტავი მართლა ვიყო, მე საჭი-

რო ნათელასათვის, იმ ნათელ არსებობსათვის, რომლისადმი გრძნობა ვერ დავფარე, უკვე აღარც მინდა დავფარო და საქვეყნოდ ვყვირონ!

— ბეჟან, ახლა ჩვენ ყველა უფრო ვჭირდებით, მეგობრული სიტყვაც წამალივით სჭირდება ნათელას!

— კარგი, თამარ, რადგან ვსჭირდებით... შენ რაღას იტყვი, მალხაზ, მე საჭირო ვარ?

— უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე!—მოუგო მალხაზმა.

— იქნებ ახლაც ვნახოთ ნათელა?—წარმოსთქვა თამარმა.

— ახლაც? მიძიმს, თამარი როგორ მივიღე, ვერაფერს ვეტყვი!

— ჩვენ ვეტყვით, რაც სათქმელია, შენ კი დაჩუმებაც არ შეგიძლია?—ჰკითხა მალხაზმა.

— დავჩუმდები. ამას კი შევძლებ. მხოლოდ ის მაფიქრებს, ამით უფრო არ შევაშინო!

— უნდა შეეცადოთ.—ურჩია მალხაზმა.

— მხოლოდ საჭიროა იცოდეთ: ნათელას არაფერს არ ეუბნებიან, თუ რამდენად სერიოზულია მდგომარეობა. უნდა შეეცადოთ, რომ სულ დავა-ვიწყოთ ავადმყოფობა. შესაძლოა ეს ჩვენთვის უფრო საძნელო აღმოჩნდეს, მაგრამ მეგობრისათვის უფრო მეტს უნდა გავუძლოთ!—წარმოსთქვა თამარმა.

ბეჟანი წამოდგა. მეგობრებისადმი სრული მორჩილების გრძნობით წარმოსთქვა:

— წავიდეთ...

ისევ იმავე გზით მიდიოდნენ, რომელიც ერთი საათის წინ გამოიარეს.

ბეჟანი ახლა მიხვდა თუ წელან, ამ გზაზე გამოთქმული აზრებით რისი თქმა უნდოდათ მის ერთგულ მეგობრებს. ნეტავი წინააღმდეგობა არ გაეწია, ყველაფერზე დასთანხმდებოდა, რომ იქნებ დროებით ოდნავ მაინც შე-

ემსუბუქებინა ტკივილების სიმძიმე. მაგრამ არა! ურჩევნია სატკივარი ასტკივდეს და უფრო მწვავედ, ვიდრე ნათელას... განა თავს ზოგავს? მერე რისთვის, ან ვისთვის უნდა დაზოგოს თავი? პირიქით: რამდენადაც უფრო მწვავედ იგრძნობს სატკივარს, შინაგანად უფრო კმაყოფილი იქნება. ამით მიუახლოვდება იმ სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას, რომელსაც ახლა ნათელა განიცდის. სანაპიროზე ახლა შექიცი კი გულში ნემსებებით ხედებოდა, თითქოს გაურბისო,—თავს დაბლა ხრიდა, თვალებს ხუჭავდა.

ასე გაიარეს სანაპირო ქუჩა და ზემოთ შეუხვიეს.

აქ ბეჟანმა უფერად თვალი მოჰკრა გამოღებულ სარკმელს, რომელშიც არაერთხელ დაუნახავს მუდამ მოძრავი, მერცხალივით მოქიკვიკე ნათელა და გული გაეკაწრა. უკვე იქით გახედვას ვეღარ ბედავდა: იქ იმ ნათელას, რომელიც ენახა, ვეღარ ნახავდა.

როცა ზემო სართულში აღიოდნენ ბეჟანი უკან ჩამორჩა. გული არ მიჰყვებოდა. ფეხებს, თითქოს ლოდი მოაბესო, ძლივს მიათრევდა. როგორც იყო ავიდა ზევით. როცა ზარი დარეკეს, წარმოუდგა: ეს დიდ უბედურებას მოასწავებსო და პირი იბრუნა.

მალხაზმა ხელი სტაცა და შეაჩერა:

— ბეჟან, რა მოგდის!—მიამახა და კარიც გაიღო.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ძველებურად მოუწოდა ნათელამ, რამაც ყველაზე მეტად ბეჟანი გააოცა.

სტუმრები შევიდნენ, მაგრამ ბეჟანი ნათელას გაოგნებული მისჩერებოდა. არა სჯეროდა, რომ ეს იყო ნათელა, რომლის მღვთმარეობა კატასტროფულად წარმოედგინა. თითქოს არავითარი ცვლილება არ იყო მასში: იგივე სიტყვა-პასუხი, იგრვე ღიმილი, მოძრობა,—სახეც იგივე.

ახლა ბეჟანმაც სიმწვიდე იგრძნობდა დივანზე დაჯდა.

— როგორ ხარ, ნათელა? — ჰკითხა თამარმა.

— კარგად. თქვენ?

— ჩვენც კარგად ვართ.

— ალბათ სულ ერთად დადიხართ და მტრედებივით ღულუნებთ არა? — ჰკითხა ნათელამ და გაუღიმა.

— ღულუნე კი არა, იქნებ მალე „ნანინა“ იმღეროს თამარმა, — ღიმილით ჩაურთო მალხაზმა.

ნათელამ გაიცინა და ბეჟანს თვალი მიამყრა:

— თქვენ, ბეჟან, რატომ არ სჩანხართ? კარგა ხანია, არ შემხვედრიხართ.

— დიახ.—დაეთანხმა ბეჟანი.

— იქნებ იმიტომ, რომ მე ავად ვარ?—ოდნავ ხმის თრთოლვით შეაპარა ნათელამ და თვალები დახარა.

ახლა კი ბეჟანისათვის ერთბაშად ყველაფერი აშკარა გახდა; მიხვდა, თუ როგორ მოხერხებულად ფარავდა აქამდე ნათელა ტკივილებს, მაგრამ ბოლოს ოდნავ მაინც გამოაჩინა, მხოლოდ ოდნავ. შემდეგ კი თითქოს ზედ თვალის წამწამები გადააფარა და მით დაჩრდილა.

— რად მეუბნები, ნათელა!—ისეთის ხმით მიუგო ბეჟანმა, რომელშიც ისმოდა არა მხოლოდ ის—რაც სიტყვა, არამედ ისიც, რაც მას არ უთქვამს:— „დაუშნახურებლად აუტანელი ბრალი დამდე ნათელა, მაინც მზადა ვარ მივიღო ეს ჭრილობა, რადგან ის შენ მომაყენე“.

ნათელა პასუხს არ იძლეოდა, მაგრამ ახლა თამარმა დაარღვია უხერხული სიჩუმე:

— მართლა, ექიმებმა რა გითხრეს ნათელა?

— ბევრი არაფერი. სხივები დამინიშნეს და მეც დაედღივარ. მე მეტი ვიცი.

— შენ რა იცი, ნათელა?

— მე ვიცი, მაგრამ მაინც არ ვნანობ.—პირდაპირ პასუხს მოერიდა ნათელა, მაგრამ თამარი აღარ მოეშვა:

— რა იცი, ნათელა?

— მე ვიცი სხივი კი არა...—მაგრამ ამას თავი დავანებოთ, თამარ, გთხოვთ, რამე კარგი მითხრათ,—ბოლოს ისეთის ვადაწყვეტილებით, თანაც ისეთის მუდარის კილოთი წარმოსთქვა ნათელამ, რომ თამარს ხმა ჩაუწყდა.

— კარგს თქვენგან ველოდებით, ნათელა, ჩვენი სიკარგვეც თქვენზე ბევრად და დამოკიდებული. — წარმოსთქვა მალხაზმა.

— ვმადლობთ, მეგობრებო! ვეცდები ზიანი არ მოგაყენოთ. რაც მე შემიხება, ყველაფერს ვავაკეთებ და ვაგახარებთ.—გულწრფელად უთხრა ნათელამ, რომლის თვალები მეგობრებისადმი უღრმეს სიყვარულს გამოსახედნენ.

ასმათიც შემოვიდა. სტუმრებს ისიც, თითქოს ჩვეულებრივად მიესალმა, თუმცა გულში გაუფალ სევდას ფარავდა.

ნათელამ სტუმრები უვახშმოდ აღარ გაუშვა. მათ მოწყენას ატყობდა. ამიტომ ისევ თვითონ ცდილობდა გაერთო ისინი და განგებ განყენებულ საკითხებზე იწყებდა მსჯელობას, თან იციონოდა. ბოლოს იმდენი ქნა, რომ მალხაზი და თამარიც აიყოლია, თუმცა ბეჟანს ვერაფერი მოუხერხა; ოდნავი დიმილითაც კი ბაგე ვერ გაუხსნა.

როცა სტუმრებმა წასვლა დააპირეს, ბეჟანმა პირდაპირ მხოლოდ ახლა შეხედა ნათელას და ძლივს წარმოსთქვა:

— კონსულტაცია მაინც საჭიროა, ნათელა. მე დამიჯერე.

— მე თქვენს ხელთა ვარ და როგორც გინდათ!—რალაც სრული, თით-

ქოს ბავშვური მორჩილების გრძნობით უთხრა ნათელამ.

სტუმრები ძირს ჩაეცილნენ. შინ დაბრუნდა, კართან კუჭმოდნის შეჩერებულ დედას ხელი მოხვია და უჩვეულო აღზნებით უთხრა:

— იცი, დედა, ასეთ მეგობრებთან ერთი დღის სიცოცხლე ერთ საუკუნეზე სიცოცხლეს უდრის.

დაწოლის წინ კი გულში გაივლო: „არ მინდა ჩემი უბედურებით დაეაფრთხო მეგობრები. იქნებ ვერ გაუძლონ და მიმატოვონ. მაშინ რაღა ექნა? არ მინდა. არა!“—ასეთი ვადაწყვეტილება მიიღო არა მხოლოდ ერთი დღისათვის, არამედ სამუდამოდ, სანამ მოთმინების ძალა არ უღალატებდა.

... გაბრუნებული ბეჟანი შინ მარტო მიდიოდა, ნათელას სიტყვებს გულში მწვავედ იმეორებდა: „მე თქვენს ხელთა ვარ“—ო და თვითონ უმატებდა: „ბავშვო, ბავშვო!“.

ვერავითარი სხვა სიტყვა თუ მოსახრება მას ვერ ეპოვა.

თამი მიშვიდი

კვირა დღე იყო. ნათელას ბინაზე შეიკრიბა კონსილიუმი. აქ იყვნენ არა მარტო ექიმები, არამედ ნათელას მოკეთეები და მეგობრები, ზოლო თვით კონსილიუმს ექიმების გარდა ნათელას მეგობრებიდან ესწრებოდნენ ბეჟანი, დათა და მალხაზი.

პროფესორი დიმიტრი კუპრაშვილი ამტყიცებდა, რომ საჭიროა გაგრძელდეს სხივებით მკურნალობა, ზოლო რაც შეეხება ოპერაციას ეს მიჩნეული უნდა იქნეს როგორც უკანასკნელი ღონისძიება.

უმრავლესობა პროფესორი მიხეილ გორგიძის მეთაურობით, ოპერაციის სასწრაფო გაკეთებას უჭერდა მხარს.

მათი აზრით საჭირო იყო შემჩნეული სიმსივნის ქირურგის დანით დროულად

მოკვება, რა სახისა და თვისებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, რადგან თუ სხვა სახის მკურნალობა დროს წართმევის მეტს არაერთად დადებით შედეგს არ მოგვცემს,—ეს აუდამყოფს აუცილებლად დაუღუპავსო. დროულ ოპერაციაში კი გადარჩენის მეტი იმედი არისო.

ამ აზრს იზიარებდა ნიკო და სიმონიც, თუმცა საერთო აზრით გადარჩენის იმედი ყველა შემთხვევაში ნაკლები იყო.

ბოლოს მაინც დაუყონებლივ ოპერაციის ვაკეთება გადაწყდა.

მთელი ამ სჯა-ბაასის განმელოებაში ბეჯანი რაღაც ბურანში იყო. ექიმების მიერ წარმოთქმული ყოველი უიმედო სიტყვა მახვილივით ხვდებოდა გულში და თრთოდა, ცახცახებდა, ხოლო, თუ რომელიმე, თუნდაც ოდნავ საიმედო სიტყვას იტყოდა, ადგილიდან წამოიწევედა, მოსაუბრეს,—ვით განგების მიერ მოვლენილ მხსნელს მიანერდებოდა სახეში და ზოგჯერ გასაგონად დაიძახებდა:

„ღიან, ღიან“. მას სურდა მართალი ყოფილიყო ის, ვინც საიმედო აზრს გამოსთქვამდა. მაგრამ არა! რამდენს ურტყამდნენ, როგორი მახვილით უკეპავდნენ გულს დაუნდობლად, შეუბრალებლად და არც კი რცხვენოდან, აღარც კი გრძნობდნენ! მერე როგორ ბოროტებას ჩადიოდნენ ასეთი სასტიკი, ასეთი ორლესული სიტყვების დართყმებით! მას ყველაზე მეტად ნიკოს სიტყვები ვერ აეტანა, ეგონა, რომ ის განგებ, განსაკუთრებულის გულმოდგინეობით ლესავდა სიტყვებს, რომ მით, რაც შეიძლება უფრო ღრმა კრილობა მიეყენებინა ბეჯანისათვის და ამით ნიკო, თითქოს ზეიმობსო, რაღაც აუტანელის გულგრილობით (ბეჯანის აზრით) იმ ორლესულ სიტყვებს ხელში კრიალოსანივით ათამაშებდა.

სწორედ ამ გულგრილობას სიგიჟემ-

დე მიჰყავდა ბეჯანი და გამწარებული თითებს იკენეტდა.

როდესაც ნიკომ ეგონებოდა, რომ აუდამყოფი საოპერაციოდ მსხვერპლთან ონკოლოგიურ კლინიკაში უნდა მოვთავსოთო, ბეჯანმა კინალამ იყვირა, მაგრამ უშალ მიხვდა, სად იყო, თავი შეიკავა და გულში მწვავედ გაივლო: „რა გენადვლება, შენს ხელთ არის და იზეიმე! ნათელა კი მეუბნებოდა: „მე თქვენს ხელთ ვარო. წამართვეს, გამომატაცეს ნათელა!“

იქვე, მეორე ოთახში, ნათელა და ელიკო კონსულტაციის შედეგს ხმაგამედლიწი ელოდებოდნენ. ერთად ისხდნენ, მაგრამ ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ. მთელი მათი გულისყური მიპყრობილი იყო იმ ოთახისაკენ, საიდანაც ზოგჯერ ექიმების მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვა ესმოდათ, მაგრამ ამ სიტყვებიდან არავითარი აზრის გამოტანა არ შეეძლოთ. ეს უფრო მეტად ანერვიულებდა ნათელას და ეგონა, რომ თითქოს რაღაც ბრალს სდებდნენ მას. რომ იქ, მის სამსჯავროში, ყველაფერი ბოლომდე გაუნიავეს, ყველაფერი საქვეყნო გახადეს რაც ახალგაზრდა ქალის უმწიკვლო სულში იფარებოდა და გრძნობდა რაღაც დიდ სიცარიელეს, სირცხვილსა და შეურაცხყოფას, რადგან საქვეყნოდ გამხვილი სულიც აღარ უნდოდა. ასეთი შეურაცხყოფა, სირცხვილი და სიცარიელე მეორეს მხრივ უადვილებდა ყოველგვარ მოსალოდნელ უბედურებასთან შერიგებას. ამის შემდეგ თითქოს კიდევაც ეჩქარებოდა მის მიმართ ყველაზე მკაცრი განაჩენის სისრულეში მოყვანა. საბოლოოდ მაინც ყველაფერს თავისთავს აბრალებდა და ბრალით თრთოდა.

ზოგჯერ სასადილო ოთახში, დედასთან შეკრებილი მოკეთებების ჩურჩულიც ესმოდა. ისინიც კონსილიუმის შედეგს ელოდებოდნენ. იმ ოთახის კა-

რი ზოგჯერ ოდნავ გაიჭრიალებდა, დედის გაფითრებული სახე გამოჩნდებოდა და კარი ისევ იხურებოდა.

ნათელა ხედავდა, თუ როგორი ვანცდით უთვალთვალებდა დედა მეორე ოთახიდან, ეს კიდევ მეტად უკლავდა გულს.

მოულოდნელად გაიღო კარი და ნიკოს ხმა მოისმა:

— ნათელა, ვთხოვთ! — მოუწოდა მან და შიგ მხოლოდ ნათელა შეუშვა.

როცა ნათელას არაჩვეულებრივი სიჩუმე დახვდა, თვალები მიმოაკეცა, აქ დამყარებულ სიჩუმეს ვეღარ გაუძლო, მოაქრუნნხა, თითქოს დაპატარავდა და იქვე დაჯდა.

— თქვენ განათლებული ქალი ხართ და, ცხადია, მიხვდებით, თუ რა არის საჭირო. — დაიწყო პროფესორმა მიხეილ გორგიძემ, — ჩვენის ღრმა რწმენით ოპერაცია აუცილებელია. სჯობს ერთხელ და სამუდამოდ მოიშორეთ ზედმეტი ბარგი და ჩვენ იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

— მეც, ჩემო კეთილო, დიახ, მეც ვეთანხმები... სჯობს თავიდანვე გადამწყვეტ ზომას მიემართოთ. თქვენ რაღას იტყვიან? — შეეკითხა პროფესორი დამიტრი კუბრაშვილი, თავზე ხელი გადაისვა, თეთრი თმები აპყარა და რაღაც უხერხულობის გრძნობით ჩაახველა.

„თქვენ არ იყავით სხივებით მოგარჩენთო, რომ მეუბნებოდით?“ — გაიფიქრა ნათელამ და წამოდგა. ბეჟანს გადახედა, შემდეგ მარჯვენა ხელი გულზე მიიღო და, თითქოს გაკვირვებით, წარმოსთქვა:

— მე? მე კი, კი! რასაკვირველია, თანახმა ვარ, მხოლოდ დამიჩქარეთ! — ბოლოს თავისთავისადმი შურისძიების გრძნობით წარმოსთქვა. სული შეეხუთა, შემდეგ „ბოდიში“-ო დაიძახა და მყისვე მეორე ოთახში გაიჭრა. ის იყო ქვითინი უნდა დაეწყო, მაგრამ აქ დედის თვალები დაუხვდა, რომლის გადალახვა მისთვის სიკვდილზე საქმელი იყო, უცბად მოეშვა და დაეხარხე თავი დაადო:

შეხვედნისას

— კარგი... ყველაფერი კარგი მითხრეს დედი! — ქვითინის მაგიერ მხოლოდ ეს სთქვა და სახე მოაჩინა, რომ დედას არ ენახა თუ რა ხდებოდა იქ.

როცა ყველა წავიდა, თავის ოთახში მარტო-დარჩენილ ნათელასთან ერთმა პატარა, ათი-თერთმეტი წლის თმახუქუა გოგონამ შეიქვირიტა.

ეს იყო ნათელას ბიძაშვილი, რომელიც ბოლო ღროს ხშირად მოდიოდა ნათელასთან და თავისი ბავშვური ტიტინით ართობდა, ზოგჯერ საავადმყოფოშიაც თან დაჰყვებოდა.

— მოდი, ფაცია! — დაუძახა სარკმელთან მარტოდ-მგდარმა ნათელამ და გოგონა ფეხის წვერებზე შეცუნცულდა ოთახში. მივიდა, ნათელას თავი ჩაუღო კალთაში და გაიტრუნა.

— ფაცუნი, შენ სად იყავი, როცა ჩემი ბედი წყდებოდა? რაღა ვქნა, სულერთია, ვეღარაფერს მიშველი, დიავიანე, ახლა მშვიდობით!

ფაცია პასუხს აღარ აძლევდა, თავსაც არ სწევდა, — ნათელას კალთაში სახეჩამალული აღარ იძროდა.

ფიქრში წასულ ნათელას სლუკუნი მოესმა:

— შენ სტირი? დაჩუმდი, გეხუმრები, ჩემო ფაცუნი! მე არსად მივდივარ. მე მუდამ შენთან ვიქნები. მოლალატე ხომ არა ვარ, რომ მიგატოვო? არა, ფაცუნი! — აჩუმებდა გოგონას და იმავე სიტყვებში თავისთავსაც დასცინოდა ნათელა.

— აღარ მოგეშვები, სულ შენთან ვიქნები. არსად გაგიშვებ! — იძახდა ფაცია და ცრემლებს თითქოს იგერიებდნო მუშტებით იშორებდა თვალთავან.

— ჰო, ნუ გამიშვებ. შენ ჩემი უფროსი იქნები, მე კი შენი მონა-მორჩილი და ნურასოდეს ნულარ გამიშვებ!..

თან გულში გაივლო: — „ნეტავი მართლა შეგეძლოს ჩემი დატოვება. შენ ჩემზე უფროსი იქნები მაღე, მე კი სამუდამოდ ახალგაზრდა მოგშორდები, დაგტოვებ“.

ბოლოს ისე დაამწვიდა ფაცია, რომ უკვე სიცილი და თავისებური ტიტინი დაიწყო.

— თეატრში ხომ წამიყვან, ნათელა, ა, ხომ წამიყვან? კვირას მოზარდ მაყურებელთა თეატრში იმდენი ვიცი-ნეთ... დღეს კი შენთან ძიები მოსულან და არ გამოვიშვეს.

— ჰო, ფაცია, ყველაფერი იმათი ბრალია, თორემ...

— ჯობს დავიკავებ და აღარ მოვეუშვებ! სულ სირბილით დავუშვებ კიბეზე! — ამბობდა გოგონა.

საღამოს ძლივს მარტო დარჩა ნათელა. იწვა: ფიქრს მისცემოდა. სასადილო ოთახიდან (სადაც დედა იძინებდა) დიდხანს გრძელდებოდა ფეხის ხმა. ეტყობოდა დედას არ ეძინა. ბოლოს ის ფეხისხმაც შეწყდა, სრული მყუდროება დამყარდა.

ახლა კი მარტოა. ერთ მხარეზე თვითონაა, მეორეზე კი მთელი ქვეყანა. შეუძლია ქვეყანასთან მისი ყოველგვარი დამოკიდებულება გამოარკვიოს, გაამართლოს ან გაამტყუნოს ერთივ და მეორეც: „მითხარი, რად მომიყვანე, რა აზრი ჰქონდა? — ეკითხებოდა თავის ერთადერთ მოპირდაპირეს. — ვიცი, ვიცი! ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ თვალთ მენახე და გულით მეგრძნო თუ რას წარმოადგენ. შემდეგ კი სულში შხამი ჩაგელვარა და მოგეწამლე“. — გულზე ხელი მიიღო და ქვეყნისადმი კამათი განაგრძო: — „აი, აჰ, სიკვდილი გამომაცოლე, და მხოლოდ ახლა გამაგებინე, როცა სიცოცხლე უნდა დამეწყო. რა ვარ მე, სიცოცხლისა თუ სიკვდილის ნაყოფი? მოჩვენება თუ სინამდვილე? მითხარი, რად სდუმხარ, რად? ა, ვიცი, ვი-

ცი! მხოლოდ მომატყუე და სხვა არაფერი? რა სარგებელი მოაქვს შენთვის ამ მოტყუებას ან რესტრუქციულ საკირო ასეთი დაცინვები? იმიტომ არსებობ, რომ ნათელას დასცინო, მოატყუო და გააწამო? რა საამაყო ხელობა აგირჩევია?“. შემდეგ ბეჟანის გაქვავებული სახე და თვალები წარმოუდგა. უნდოდა გაეგო: რას ფიქრობდა ბეჟანი მაშინ, როდესაც ნათელას, მარცხენა მკერდის ამოჭრა გადაუწყვიტეს: ნუთუ ამას შეურიგდა ბეჟანი? მერე რატომ არ იყვირა ბეჟანმა, რატომ? „მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემზე ხელი აიღო? სასაცილოა ისევ ბეჟანი, ისევ ოცნება ბედნიერებაზე, რომელიც დასრულდა! რა სულელი ვარ, რა სულელი ვარ! ამკებავენ. ჩვენ ხომ ისედაც სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს, სამუდამოდ!“ — და ისე მაგრად იკბინა ბაგეზე, რომ უნებლიედ კივილი აღმოხდა. ამ კივილმა თვით შეაშინა, მით უფრო სასადილო ოთახში ფეხის ხმა გაისმა. მიხვდა, დედა მოდისო. კბილით-გაჭრილი ტუჩი პირში ჩაიღო, საბანი გაისწორა და გაიტრუნა.

მართლაც დედა შემოვიდა. შუქი აანთო და ნათელას მიეპრა:

— შეილო, რა მოხდა?

— არაფერი დედი. რალაც მესიზმრა და მგონი გავიციენე.

— არა, შეილო, სიზმარი არ იყო, ნუ მომატყუებ.

— არა გჯერა? ხომ ხედავ მე კარგადა ვარ. ახლაც მეცინება, როგორ ხმამალა ვადვივისკისე. — ტუჩებმოკუმული უთხრა ნათელამ და თითქოს გაიღიმა.

— ჰო, შეილო? კარგი. მოისვენე. მე წავალ. იძინე, შეილო! — დედას ნათელას სიტყვები არა სჯეროდა, მაგრამ იცოდა, დაუჯერებლობა უფრო მეტ ზიანს მოუტანდა ისევ ნათელას და დაეთანხმა. გაშორდა. შუქიც ჩააქრო.

როცა გავიდა, მაგიდას ხელი ძლივს მი-
აწვდინა და ზედ თავით დაეყრდნო...

კონსილიუმიდან დაბრუნებულმა ბე-
ჯანმა მთელი დღე ქუჩაში იარა. ხალხს
სახეში არ უცქეროდა, რუსთაველის
გამზირზე დადიოდა ქვევით და ზევით.
თუ ვინმე ნაცნობი მიესალმებოდა,
თითქოს უკვირდა, თავი ვინ შეიწუხაო,
ცოტა ხნით ხმის ამოუღებლად მია-
ჩერდებოდა, შემდეგ ზელს ჩაიქნევდა,
გამორდებოდა.

შინ გვიან დაბრუნდა. ქუდი დააგ-
დო, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაი-
წყო და მაგიდის გარშემო სიარული
დაიწყო.

დიდ ხანს იარა. აღარ იცოდა, რა
გადაწყვეტილება მიეღო. რითი ეშველ-
ნა იმ ადამიანისათვის, რომლის სი-
ცოცხლე მისი სიცოცხლის მთავარ
ბურჯად იყო გადაქცეული. რამდენა-
დაც დიდი იყო მათი შესაძლებელი
ბედნიერება, იმდენადვე და კიდევ მე-
ტად აუტანელად ესახებოდა მოსა-
ლოდნელი უბედურება. მასთან თავის-
თავს უბრაზდებოდა, რომ ნათელას გა-
დარჩენის საქმეში ნიკო უფრო იყო
საჭირო, მას ვე საქმე უფრო ეხებოდა.
და ნიკო კიდევაც იყენებდა ამ უპირა-
ტესობას, თუმცა ისეთი ღონისძიებე-
ბის მიღებით, რომელიც შესაძლოა სა-
ბედისწერო ყოფილიყო ნათელასა-
თვის. „განიარალებული ვარ, განიარა-
ლებული შე მხოლოდ შორიდან უნდა
კუცქირო. თვითონ კი არაფრის გაკე-
თება არ შემოძლია... მერე როგორი
თვალთ გადამოძხედა ნათელამ, თით-
ქოს ამბობდა: „ამას ველოდი, ბეჯან,
მე შენგან?“—მე დაჭრილი ვარ! არა-
ვითარ წამლობას ჩემი განკურნება არ
შეუძლია!“—თავზე ხელები შემოიკი-
რა, თითქოს ოთახში ვიღაც უხილავს
მისდევსო, ფეხს აუჩქარა. არა, იმ უზი-
ლავს ვეღარ ეწევა. რომ დასწოროდა,
მაშინ ყველაფერი კეთილად დასრულ-
დებოდა, გაივლიდა ყველა ტკივილი და

ყველაზე სანატრელი გულსწაღილი
აუსრულდებოდა. მოიქანცა. ხელები
ჩამოუშვა. ტკივილები მტკივნეულად
დანებდა:

გეგლინოთქა

„მოდით და წამალჩვეთ! მე აღარ
ვნარობ!—იმ ტკივილებისადმი გავივლო
გულში და იქვე ჩაჯდი. დახრილი თავი
მკლავებში ჩამალა და ისე გაშეშდა,
რომ აღარც სუნთქავდა. შემდეგ წამო-
იჭრა, მუშტი მალა აღმართა და მთე-
ლი ხმით იყვირა: „ვნახოთ, ვის უფრო
დიდი მსხვერპლი შეუძლია გაიღოს,
იმას, თუ მე!“

ეგ „იმას“ ისევ ნიკოს შეეხებოდა,
მაგრამ რა მსხვერპლის ვადებას გული-
სხმობდა ბეჯანი, ეს თვითონაც კარგად
არ იცოდა, თუმცა ვადასწყვიტა: ვით
ბერი მონასტერში ლაბორატორიაში
ჩასახლებულიყო და აქედან დაენახა
ის ქვეყანა, რომელიც ადამიანში იყო
მოთავსებული, მაგრამ რომლის სრულ
შეცნობას თვით ადამიანი დღემდისაც
ვერ ახერხებდა.

„დღეს კვირაა, ქუჩაში სეირნობით
საუცხოო დრო გავატარე. იყოს ბეჯან
ასეთი დროს გატარება უკანასკნელი.
გეუოფა. კმარა“. მივიდა, სახეზე წყა-
ლი შეისხა. თითქოს ამით ის სირ-
ცხვილი ჩამოიბანა, რომელიც, იმ დღეს
ნათელას თვალებში მას აგრძნობინეს
და ცოტათი დამშვიდებული სარკმელ-
თან შეჩერდა.

გარეთ სრული სიმშვიდე იყო. მხო-
ლოდ ზემოთ ნარიყალას მთას არ ეძი-
ნა. ელვარებდა, თბილისის უკვდავების
შუქით ავსებდა.

თავი მერვე

დილიდანვე დიდი მზადება ჰქონ-
დათ. თეთრ-ხალათ-გადაცმულმა სო-
ლომონმა ყველა განყოფილების ლა-
ბორატორიები შემოიარა და ამ გან-
ყოფილების გამგეები იქ მიიწვია, სა-
დაც მისი ხელმძღვანელობით ერთი
მნიშვნელოვანი ცდა ტარდებოდა. რო-

დესაც ბიოქიმიის ლაბორატორიაში შევიდა, მაგიდასთან ჩაფიქრებულად შეჩერებული ბეჟანი გამოერკვა და მიეგება.

— ბეჟან, იმედია ჩვენც დაგვესწრებით. ახლა მეც ვიწყებ.

— დიახ, აი, ახლავე!—გაფანტულად მიუტოვ ბეჟანმა და ხელში დაქვრილი სინჯარი დასდო.

— ჰო, ვიცი, ვიცი, ხელი შეგიშალე, მაგრამ წაუვიდეთ!—მკლავში ხელი გამოსდო და წაიყვანა.

ბეჟანი ისე მიჰყვებოდა, თითქო დანაშაულში დაიჭირესო. ფეხები უკან რჩებოდა, ფიქრით სხვაგან იყო, გული იქ ჰქონდა, რადგან ხმას არ იღებდა, სოლომონმა აათვალღერჩათვალღერა და შემდეგ ჰკითხა:

— ა, შენი ახალი წამოწყება როგორა მიდის? ალბათ არავეითარი იმედი ახალის დანახვისა არ არის.

— დიახ, იმაზე მეტის დანახვა აღარ ხერხდება, რაც უკვე ნახეს. ვატყობ დროს ფუჟად ვყარავ, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ დავყარავო... იქნებ თქვენც გქონიათ ასეთი შემთხვევა.

— რატომ არა... მით უფრო ჩვენი ინსტიტუტისათვის. შესაფერ ამოცანებს წარმატებით ასრულებთ. ამიტომაც შეგიძლიათ განაგრძოთ ავადმყოფობა. ეს თქვენი საქმეა. ზოგჯერ ავადმყოფობის დროსაც სასარგებლო აზრები იზადებიან.

ბეჟანმა არაფერი არ უპასუხა, თუმცა სოლომონს დიდი პატივისცემის გრძნობით გაცისკროვნებული თვლით გადაჰხედა: „სისპეტაკის წყარო ხარ, მოხუცო“,—გაივლო გულში და იმ ოთახში შევიდნენ, სადაც მეცნიერ მუშაკთა მცირე ჯგუფი შეკრებილიყო.

მალე თამარი და მალხაზიც აქ შემოვიდნენ.

— მაშ ვიწყებთ!—წარმოსთქვა სოლომონმა და ცდა დაიწყოს...

სალამოს, როცა ყველა წავიდა, მართლ-დარჩენილი სისტემების ლაბორატორიაში შედიოდა, ხან თავის კაბინეტში, ტრიალებდა, ფიქრობდა, რაღაცას სწერდა, გდებოდა, დგებოდა. ზოგჯერ სათვალეებით კედელს ისე აჩერდებოდა, თითქოს ამ კედლების იქით ვინმეს ზედავსო და მას უღიმოდა. ან წარბების უცარი შეკმუხვნით უჯავრდებოდა. იმ ადამიანებს ხედავდა, რომლებიც დედამიწის ბურთზე სადმე ახლაც იმავე საკითხებს არკვევდნენ; მათ აზრებს აფასებდა, ზოგს ამტყუნებდა, ზოგსაც იცავდა, საკუთარს ადასტურებდა: „მე მართალი ვარ, მე მართალი ვარ“,—გადასწყვიტა. წამოდგა. სეირნობა დაიწყო. უკვე სამუდამოდ იცოდა, რომ „მართალია“ და ამერიდან ვერასოდეს ვერავითარი სასწაული თავისთვის დადგენილ აზრს ვერ შეუცვლიდა. პირიქით, ეცდებოდა რაც შეიძლება მეტი მომხრეები გაეჩინა, რადგან მისი ღრმა რწმენით ამით ქეშმარიტების გარკვევა დაჩქარდებოდა.

... იმავე დღეს დილას, ონკოლოგიურ კლინიკაში ოპერაცია გაუეთეს და ახლა ცალკე პალატაში ის მართლ იწვა. მხოლოდ რამდენიმე წუთი იყო გასული, რაც საოპერაციო სარეცელიდან აქ შემოიყვანეს. დოლბანდით შეხვეულ მარცხენა მკერდზე ისვამდა ხელს, რომლის შიგნით მოთავსებული სიცარიელე უფრო სტკიოდა ვიდრე ჭრილობა, რომელიც მას დღეს მიაყენეს... „ნეტავი ახალი ძეძუ არასოდეს აღარ ამოვა?“—ჰკითხა თავის თავს და უპასუხა: „როგორ არა, ამოვა, მაგრამ ისეთი, როგორიც მომჭრეს!“

ოპერაციის დროს ერთხელაც ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა, თუმცა სასტიკ ტკივილებს გრძნობდა. „ქალი კი არა, გმირია, ნამდვილი გმირი!“— იძახდა ნიკო, როცა მან პროფესორ მი-

მა გორგიძის თანდასწრებით მოათავა
ოპერაცია.

ნიკოს ეს სიტყვები, ახლა უცნაუ-
რად აწივლებულ ყურებშია ცხმოდა
ნათელას და თავისთავისადმი დაცინ-
ვით ასკენიდა:

„კარგია, გმირის სახელი მაინც დამ-
რჩება, ამას რაღა სჯობს, გმირი და
არა უბრალო ქალი, ნათელა“. ნეტავი
ყურების ამ განუწყვეტელ წვილის
საითყენ მიჰყავს, სიცოცხლისაკენ თუ
სიკვდილისაკენ? იქნებ ეს მათი შე-
ჯახების ნიშანი იყოს, ურთიერთისად-
მი მოქნეული მახვილის წვილი! ვინ
გაიმარჯვებს? „სიცოცხლეს მხოლოდ
დროებით შეუძლია დააძლიოს, სიკვ-
დილის გამარჯვება სამუდამო იქნე-
ბა“. თვითონ კი მიჰყვება ამ შემაძრ-
წუნებელ წვილის გზას, არც შეუ-
ძლია, რომ მას არ გაჰყვეს და ძვეყნად
ვერაფერი ვერ შეაჩერებს ამ იძულებ-
ით მსვლელობას. „როცა მოვდივარ,
ჩემთვის არ უკითხავს, არც წასვლას
მკითხავს... ყველაფერი მისი საქმეა“.
და ეს „მისი“ ვიღაც ცოცხალ, მაგრამ
უჩინარ არსებად წარმოედგინა, რომე-
ლიც ფეხის ყოველ მოცვლაზე დასცი-
ნოდა ადამიანს, რადგან აოცებდა მი-
სი უმწეობა, უსუსურობა. მერე რო-
გორ ახლოს იყო ადამიანი იმასთან,
რასაც საუკუნოების განმავლობაში
ეძებდა, როგორი უბრალო რამ იყო
საჭირო იმისათვის, რომ ებოვა იგი.
მაგრამ თუმცა უცქეროდა, მაინც ვერ
ხედავდა, ის უჩინარი კი ყველაფერს
ხედავდა, ყველაფერს ხედებოდა და
იციოდა. „ვერ ვხედავთ, სანამ მილი-
ონები მსხვერპლად არ შეეწირება.
მეც ხომ მსხვერპლი ვარ, მაგრამ ამ
დამსახურებას ვინ დამიფასებს?“.

შემდეგ ისიც წარმოიდგინა, თუ რამ-
დენი რამ ახალის, წინათ ბუნების
წიაღში დაფარულის ამოცნობა მოა-
ხერხა ადამიანმა და იმ უჩინარს ასე
მიმართა:

„მე მაშინ მოვრჩები, როცა შენი სი-
ცილი შეწყდება“. ასეთმა გადაწყვეტი-
ლებამ ცოტადენი სიმშვიდე მოუბო-
ვა და თვალი გაახილა. ^{მომოხრება}
არაფერს იყო. იმ უჩინარის სიცილიც
ალარ ესმოდა.

— დედა!—დაიძახა თავისთვის.

— რა იყო, შვილო? — გაეხმაურა
იქვე, სასთუმალთან ჩამჯდარი დედა,
რომლის აქ მოსვლა ნათელას არ გაუ-
გია.

— შენ აქ ხარ, დედი?

— ბოვედი, შვილო.

— მარტო ხარ, დედი?

— აი, შენი ფაცია, შვილო!—მიუგო
დედამ და მის გვერდით აქამდე უზ-
მოდ-ატუხული ფაცია წინ დაუყენა.

ნათელამ გადახედა გოგონას და გა-
ულიმა.

— ფაცია, აქ რად გამომიშვი? შენც
მიღალატე? ჰო, კარგი, კარგი. ნულარ
მოიწყენ. მოდი აქ, ხელი მომეცი, შენ-
თან წამოვალ.

გოგონამ ხელი მისცა და ნათელას
სასთუმალთან მუზღებზე დაეშვა. ტო-
რილი შეიმაგრა, თუმცა სიტყვას ვე-
ლარ ამბობდა.

ნათელამ შეატყო და გაამხნევა:

— შე უკვე მოვჩიხი. ხეალ შინ წა-
მოვალ, მაგრამ კიდევ თუ მიღალატე.
ვერ გაპატიებ.

— არა, ნათელა,—მიუგო ფაციამ და
ცოტა ხნის შემდეგ თავისებური ტო-
ტინი დაიწყო.

ნათელა უსმენდა მას, პატარა ფა-
ციას, რომლის გულუბრყვილო სიტყ-
ვებში, სიცოცხლის ყოველ წვრილმა-
ნისადმი დაუშრეტელი ხალისი სჩქეფ-
და. ეს ნათელას წუთით ავიწყებდა თა-
ვის ახლანდელ მდგომარეობას, თუმცა
დედაზე უფრო მძიმედ მოქმედობდა
ის დიდი განსხვავება რაც ნათელასა
და ფაციას ბედის შორის გაჩენილიყო.
დღის ბოლოს ნიკო ჩვეულებრივად

მხიარული შევიდა ნათელასთან და რახით უთხრა:

— მომილოცავს! ანალოზმა კეთილთვისებიანობა დაადასტურა! მაშ გაიხარე!— მივიდა და ხელზე აკოცა.

— შეილო, დაილოცოს შენი სიტყვები!— მიაძახა დედამ მოლიმარ ნიკოს, შემდეგ ნათელას ხელი გულში ჩაიკრა და შუბლში აკოცა...

უფრო გვიან ბეჯანი, თამარი და მალხაზი იმავე პალატაში ფეხაკრეფით შევიდნენ.

როდესაც ნათელამ ბეჯანი შეიცნო, უეცრად მხურვალე ტალღამ დაუარა სხეულში, შეტორტმანდა, გაწითლდა, შემდეგ წვრილი ხმით წამოიძახა:

— აა, მობრძანდით... როგორ მიპოვეთ!

— შენი მეგობრები მუდამ შენთან არიან, ნათელა. ინსტიტუტიდან პირდაპირ შენთან მოვედით.— უთხრა თამარმა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით!— მოუწონდა ნათელამ და მარცხენა მკერდზე დაფარებულ საბნის ზემოდან მარჯვენა ხელიც გადააფარა, რომ მის ქვემოთ გაჩენილი სიცარიელე არ დაენახათ.

— როგორ ხართ, ნათელა?— როგორც-იყო შეეკითხა ბეჯანი და სკამზე დაეშვა.

— კარგად. კეთილთვისებიანიაო, მომილოცა ნიკომ და, რომ დავერწმუნებოდე, ხელზე დაც მაკოცა.

— მართლა?!— წამოიძახა ბეჯანმა და ზეზე წამოდგა. იცოდა, საჭირო იყო ახლა ნათელასთვის თვითონაც ხელზე ეკოცნა, მაგრამ იატაკზე თითქოს დაქვდილი ფეხი ველარ გადასდგა, მომილოცავს!— მხოლოდ ეს ერთი სიტყვა აღმოხდა ბოლოს. ასეთი მოუქნელობისათვის სირცხვილი იგრძნო და წამოწითლდა. ირხეოდა, სიხარულის ტალღა არხეოდა, რომელსაც ჯერ კიდევ გულში იჭერდა.

ისევ ნათელას სიტყვები მოესმა და უეცრად შესდგა.

— ჰო, რადგან კეთილთვისებიანი იყო, ამიტომ გამიკვირდა, რომ თორემ ავთვისებიანს ოპერაცია არ დასჭირდებოდა.

ნათელას ასეთი საექვო განმარტების შემდეგ ბეჯანს თითქოს ცივი წყალი დაასხესო, მოიხარა და იქვე ჩაჯდა.

— არა გჯერა, ნათელა?— ჰკითხა თამარმა.

— როგორ არა. ქალი კი არა, გმირი ხარო, მეუბნებოდა ნიკო და ევაც მჯერა.

— მართლა, შეილებო, ოპერაციის დროს ნათელას ხმა არ ამოუღიაო, მითხრა სიმონმა, — განმარტა ასმათმა.

— ყოჩაღ, ნათელა, ასე დაც უნდა!— მოუწონა თამარმა და შემდეგ ასმათს მიაპყრო თვალი: — თქვენ როგორ ბრძანდებით, დედი?

— ხომ ზედავთ, მეც როგორ გავმაგრდი, შეილო!— მიუგო ასმათმა და გაიღიმა, თუმცა გულში ასეთი ღიმილით ახალი ჭრილობა ემატებოდა.

ბეჯანი გაოგნებული იჯდა, ვერაფერი გაეგო, ვინ იყო მართალი; ნიკო თუ ნათელა. ცოტა ხნის შემდეგ მისდა სამწუხაროდ ბეჯანმა გადასწყვიტა, ნათელას ექვები მართალი იყო, რომ ექიმს სხვანაირად არ შეეძლო ეთქვაო. მეორე მხრივ, ეს აბრაზებდა: თუ ატყუებდა ხელზე რად ჰკოცნიდა ნათელასო. „ფარისეველი!“ — ნიკოსადმი გაივლო გულში და აქამდე თვლებში ანთებული იმედი ჩაუქრა. (თუმცა, სადაც მის სულში იმედის ნატამალი კიდევ ღვიადა). „ნეტავი შენ ცდებოდე, ნათელა, ნიკო კი მართალი იყოს“.

ნათელაც ბეჯანს მისჩერებოდა, ოდნავ მოხუტული თვლებით, თითქოს ასე ეუბნებოდა: „ჩვენს შორის სიხარულის ზღვა იყო ჩამდგარი. ამ ზღვაში შეცურებას ვლამობდით, რომ შიგ დუსრულეებელ თავდავიწყებას მივეცმო-

დით, მაგრამ უფეროდ დაუბერა გრივალმა, ის ზღვა დააშრო და ჩვენს შორის უფსკრული დარჩა. მერე იცით, აი, აქედან, ისევ ჩემსავე მკერდიდან ამოიჭრა ის გრივალი და ვერაფერმა ვერ შეაჩერა“.

— წადით! უსადილოდ დაგტოვათ თქვენმა ნათელამ. ჩემი ბრალი არ არის. ჩემთვის რომ ეკითხნათ, აქ კი არა ქორწილში დაგპატიებდით.— წარმოსთქვა ნათელამ და ბეჯანს ისე გადახედა, რომლითაც თითქოს აგრძნობინებდა: ქორწილის ამბავი მე და შენ შეგვეხებაო.

— ყველაფერს მოვესწრებით, ნათელა, მხოლოდ შენ მალე შემოგვიერთდი!—იმედინანდ უთხრა მალხაზმა.

— ჰო, რასაკვირველია. მე თანახმა ვარ.—მიუგო ნათელამ.

ამ დროს დათა მოვიდა, სანამ თვითონ რამეს იტყოდა, ნათელამ მიაძახა:

— დათუნი, დათუნი! აი, ვინ მოვიდა! ახლა კი გაგვახარებს დათუნი! თავისებურად საინტერესო ამბებს მოყვება, თქვენ კი ისხედით და მოუსმინეთ!

— ნათელა, ჯერ შენი ამბავი მითხარი, შემდეგ კი ვნახოთ.

— მე კარგად ვარ. მხოლოდ შენებურად, იცოდე, არ შემარცხვინო!

— არა გრცხვენია, სულ აგრე ზღაპარივით ამბებს რომ მალაპარაკებ?—შეგობრულად უთხრა დათამ. შემდეგ სკამი ახლოს მიიდგა, ბევრი თავბატივი არ დაუწყია, მუხლზე ხელი დაირტყა და ასე დაიწყო:

— ის იყო, მოსკოვიდან გამოვიდა მატარებელი...

— ჰო, ეგრე, ჩემო დათუნი, ეგრე!—მიაძახა ნათელამ და სიცილი დაიწყო, რადგან ის ამბავი მისთვის უკვე ცნობილი იყო.

დათა სავსებით სერიოზული გამომეტყველებით აგრძელებდა დაწყებულ ამბავს და აცინებდა არა მხოლოდ ნა-

თელას, არამედ სხვებსაც. თვითონ კი შიგადაშიგ გემრიელად იღიმებოდა.

როდესაც ნათელას დაემშვიდობნენ, ბეჯანი და მალხაზი მხოლოდ შორის კაბინეტისაკენ გაემართნენ.

— მობრძანდით!—მოუწოდა პროფესორმა გორგიძემ და მიეგება,— თქვენ, ალბათ, ნათელასთან იყავით. დიას, დაბრძანდით!

— ჩვენ გვინდოდა...—დაიწყო ბეჯანმა, მაგრამ გულმა ისე დაარტყა, რომ სიტყვა წაართვა. ცოტახნის შემდეგ განაგრძო:—ანალიზის შედეგი გვინდოდა გავგეგო.

— ანალიზის? — რაღაც საეჭვოდ წარმოსთქვა პროფესორმა. ხელში დაჭერილი კალმისტარი მაგიდაზე დააკაუნა, შემდეგ დააგდო და დაუმატა:—ავთვისებიანია.

ამ ერთმა სიტყვამ თავში ისე ძლიერად ჩაარტყა ბეჯანს, რომ დარეტიანდა, მის გვერდით შეჩერებულ მალხაზს მხარზე დაეყრდნო, შემდეგ წამოსთქვა:

— მხოლოდ დაცინვას უნდა ვაუფროთხილდნენ თანამშრომლები... მშვიდობით!

გაკვირვებული პროფესორი მიმავალთ ზურგში მისჩერებოდა, ვერაფერი გაეგო, თუ ამით რისი თქმა უნდოდა ბეჯანს.

— სალამი, ბეჯანი! — კარებში გასვლისთანავე თითქოს ციდან მოესმა, თუმცა თვითონ არ დაუნახავს ვინ იყო ის და გაბრუებული საავადმყოფოს ეზოში გავიდა.

— ელიკო, ბეჯანი ნუ უსაყვედურებ, ებატივება!—უთხრა მალხაზმა აქ ახლადმოსულ ელიკოს და იქვე დაშორდნენ.

ელიკო შემცბარი შევიდა ნათელასთან, რომლის სასთუმალთან დამჯდარ ასმათის კალთაში თავჩაღებულ ფაციას ჩასძინებოდა.

ელიკომ ისინი ძლივს დაითანხმა და

შინ გაუშვა. თვითონ კი იმ ღამით ნათელასთან მარტოკა დარჩა.

ღედის მაგიერ ნათელას ბალიშზე თავმდებელი იჯდა ელიკო და გახუყრელ მეგობარს ღამეს უთევდა.

— ელიკო, რა ხარ შენ ჩემი? და ხარ თუ დედა?

— მე? შენ რასაც იტყვი.

— მე ვერაფერს ვერ ვიტყვი, ელიკო, ველარ გამოვსტკვამ. მხოლოდ ეს მითხარი: რუსთაველი რომ აქ ყოფილიყო, ნეტავ რას იტყოდა?

— დები ყოფილანო, იტყოდა, სხვა არაფერი.

— მხოლოდ დებო? არა. უფრო მეტს იტყოდა... კარგი. შენ ვისზე რას იტყვი, ელიკო, განა ჩვენები არ შეგხვედრია?

— კარებში შემხვდნენ. ბეჟანს მივესალმე, არც შემომხვდა, მიმართოვა და გარეთ გაიქრა.

— ხომ არ გემდურის?

— არა, მაგრამ... იცი, ნათელა, ღამეს ათენებსო ლაბორატორიაში და საკმელიც არ აგონდებო.

— რამ გაიტაცა?

— მე ასე მგონია, შენზე ფიქრობს და რაღაც აწუხებს.

— რამ უნდა შეაწუხოს, ბეჟანი?

— რატომ აგრე კითხულობ, ნათელა, ხომ იცი, რომ...

— რა ვიცი, ელიკო!— შეაწყვეტია ნათელამ და უეცრად გაწითლდა.

— კარგი, ნათელა, ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება. მეც დაეჩუქლები. დაიძინე. მეც დავიძინებ.

— ვიძინოთ, ელიკო.— იყო პასუხი და ხმა ჩაიკმიდეს, თუმცა არ ეძინათ.

მხოლოდ ერთმანეთის სუნთქვის უსმენდნენ...

•
•

რამდენიმე ხნის შემდეგ ონკოლოგიურ კლინიკიდან გამოსული ნათელა,

ელიკოს თანხლებით შინ მიდიოდა. ისეთი გრძობა ჰქონდა თითქოს სხვა ნათელა, სხვა მიწაზე დასვენებულად ადგამდა ფეხს. *სიზმარი*

შინიანი დღე იყო და შინ მისვლას აღარ ჩქარობდა. დადიოდა, თითქოს ახალ ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც სიზმარში თუ ენახა.

მტკვრისაკენ დაეშენენ: ხალხს გაუჩინებოდა, მით უფრო ნაცნობებთან შეხვედრას ერიდებოდა. არავითარი შეკითხვების მოსმენა მის მდგომარეობაზე აღარ უნდოდა. თავი მოაბეზრა ამ შეკითხვებმა, მოიქანცა და, გაუჩინებოდა. მეორეს მხრივ, ეგონა, რომ ყველა ხედავდა თუ მას რა აკლდა, თავი უკვე მახინჯად წარმოედგინა და აღარ უნდოდა ეს სიმახინჯე სხვებისათვის ეჩვენებინა. ამიტომ მარცხენა მკერდში გაჩენილი სიცარიელე კი არ ამსუბუქებდა, არამედ ამძიმებდა. ეს სიმძიმე მტკვრისაკენ თითქოს კბილით მიჰქონდა, რომ იქნებ წყალში გადაეგდო და მორჩენილიყო.

ცირკის ვეებერთელა შენობის ქვემოთ ბაღში შევიდნენ და მტკვრის პირად დასხდნენ. მტკვრის განუწყვეტელი ჩხრიალი თითქოს სულში ეღვრებოდა, მტკვარს ყოველგვარი სიკეთე მოჰქონდა საქართველოს მთების გულიდან და ამ სიკეთეზე ლაპარაკობდა.

— ელიკო, მტკვრის უკვდავებაში მე რაღა მომკლავს?— ჰკითხა ნათელამ.

— რად ამბობ, ნათელა? ვინ იცის ჩვენში— ვინ ვის გაუსწრებს?

— ჩემო სულელო, განა ის მინდა, რომ შენ გამასწრო?

— ნულარ მეტყვი, ნათელა.— რაღაც ვედრების კილოთი და გამომეტყველებით მიუტოვ ელიკომ.

უკვდავ მტკვარს უკვდავი საქართველოს ხმები მოჰქონდა.

თავი მეცხრე

გაზაფხული. სრული გაზაფხული.

ზამთრის სუსხისაგან გაძარცვულ მიწას მწვანე მოსასხამი წამოეხურა და მთელის მკერდით ხარბად სუნთქავდა.

შეფოთილი ზეები ხელების გაშლით ცურავდნენ ჰაერში და თითქოს გამჭვირვალე ცაში მალა იწვედნენ. ისინი ზაფხულის მცხუნვარე ღლეებთან შესახვედრად ეშხადებოდნენ და ვიღაც ამ განუწყვეტელ მოძრაობის, ფერთაცვლების კანონმდებელი, თითქოს ამბობდა:

„ზეებს ზამთარში იმიტომ სცივიათ ფოთლები, რომ მიწას სხივები არ დაუჩრდილონ, გაზაფხულზე იმიტომ იფოთლებიან, რომ ისევ მიწას მზის მცხუნვარება შეუმსუბუქონ“.

გამთბარ მიწიდან ამღვარი ნისლის ნაფლეთები ქუდებივით დაეხურათ მწვერვალებს და მათ შუაში ჩაიჭდარი თბილისიც თბებოდა...

ნათელამ საზაფხულო პალტო ჩაიცვა, ლილები ნერვიულად შეიბნია, ქუდი თითების თრთოლვით დაიხურა. შემდეგ ფაციას მკლავში ხელი გამოსდო და თან წაიყვანა. კიბე ჩაირბინა, ქუჩაში თავდახრილი გავიდა.

— სად მივიდვართ ნათელა? — ჰკითხა ფაციამ.

— წამო! — ნერვიულად მიუგო ნათელამ და ფეხს აუჩქარა.

ფაცია მიხვდა, შეკითხვის განმეორებით კიდევ უფრო გავაზრახებო და ხმის ამოუღებლად ძუნძულით აედევნა ქუჩაში. გულში შიშს გრძნობდა.

როდესაც ვერის-ხიდზე გადიოდნენ, განჩხლებულმა ნათელამ, ამღვრელი თვალებით გადაჰხედა ამღვრულ მტკვარს, რომელიც (ისე, როგორც თვითონ) ჩარჩოებში ვერ ეტეოდა; ასეთმა მსგავსებამ მიიზიდა, სელა შეანელა, უეცრად შესდგა, გადაიხედა: „ერთი წუთი და ყველაფერი

გათავდებოდა.“ — ასეთმა აზრმა გაუელვა და შეება იგრძნო, შემდეგ მოიხედა, შეშინებულ ფაციას გაფართოებული თვალები შეწინააღმდეგებით შეეშინდა: „განა ასეთი რა ჩაურდინე?“ — ჰკითხა თავისთავს. პასუხი ვერ პოვა, ფაციას ხელი მოხვია და გზა უფრო სწრაფად განაგრძო, თითქოს გაურბოდა იმ გრძნობას, რომელმაც ერთის წამით სიამე განაცდევინა.

— ხომ ხედავ, ფაცია, შენ თვითონ წამომიყვანე და ჩემი რა ბრალია?

— სად წამოგიყვანე, ნათელა?

— იქ... მაგრამ გეხუმრები, ფაცია. შენ რა...

— ვერ გავიგე, ნათელა.

— მეც ვერაფერი გავიგე, ჩემო ჰკვიანო... ვლაპარაკობ და თვითონ არ მესმის... შენ ნუ გეშინია, ეს ჩქარა გაივლის.

— შინ წავიდეთ ნათელა, შინ.

— არა. შინ ველარ წავალ.

— არა გრცხენია? — უთხრა ფაციამ და კინალამ ტირილი დაიწყო.

— მრცხენია, მაგრამ... კარგი, პო, გამიარა, წავიდეთ!

როდესაც ონკოლოგიურ კლინიკაში მივიდნენ, უეცრად ნიკომ თვალი მოჰკრა დერეფანში შესულ ნათელას, მიხვდა, თუ რისთვის იქნებოდა აქ მოსული, „რა უნდა ეუთხრა“, — გაიფიქრა, პირი იბრუნა.

„ნიკო გამირბის? არ დავიჯერებ“, — იფიქრა ნათელამ და როცა მოსაცდელში შევიდა, სკამზე დაეშვა.

— დაჯექი! — თითქოს წყრომით მიამაზა ფაციას, თუმცა ეს წყრომა სხვას ეხებოდა.

გაოგნებული ფაცია დაემორჩილა, გვერდით მიუჯდა, მაგრამ ნათელა ისევ წამოდგა:

„ნუთუ გამირბის?“ — ისევ ეს ეჭვი უღრღნიდა გულს. მიმოდიოდა. როდესაც პროფესორთან გამოუძახეს, ვერც კი მოიგონა, თუ სად ეძახდნენ:

— აა, მე შეძახიან?—იკითხა, მიმოიხედდა: „კაბინეტი“,—ეს წარწერა თვალეში მოხვდა და გამოერკვა!

— მთლად დამაფიქვდა! — წარმოთქვა და კარი შეაღო.

პროფესორმა მიხეილ გორგიძემ დაინახა თუ არა შიგ შესული ნათელა, შეკრთა: „რასაც ველოდიო“, — სინანულის გრძნობით გაიფიქრა, მაინც წამოდგა და მიეგება:

— სალამი, ნათელა! რამ შეგაწუხათ?

— რაც მაწუხებდა.

— რაც გაწუხებდათ?.. აჰა, სამწუხაროა. მაგრამ დაბრძანდით.

ნათელა დაჯდა.

პროფესორმა გასინჯვა დაიწყო. როცა მოათავა სათვალე მოიხსნა. თითქოს იძულებით სავარძელში ჩაეშვა.

— შესაძლოა თავიდან სათანადოდ ვერ გავაკეთეთ ოპერაცია... სჩანს ფესვ* დარჩა. დიახ, ისევ ოპერაცია. სხვა არაფერი.

ნათელა უფრო ცუდს მოელოდა. მას უფრო ის აშინებდა: ვაი თუ პროფესორმა უკვე ყოველგვარი ღონისძიება ზედმეტად ჩასთვალოსო, მაგრამ, როდესაც სიტყვა, „ოპერაცია“ მოესმა, ოდნავი შეეზიდა სული მოითქვა.

... როდესაც იმავე ხილზე უკან გავიდნენ გაჯიუტებული ფაცია ძლივს დაითანხმა და შინ მარტო გაუშვა.

თვითონ საათს | დახედა. აღრეაო, იფიქრა და ზალხისათვის რომ თავი მოერიდებინა, ისევ სანაპირო ქუჩით მტკვარს ზემოთ შეჰყვა. მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლის კაკუნს უგდებდა ყურს. ეს კაკუნი აქ ახლა ობლად ისმოდა. თვითონაც, ამ ახლადშეფოთლილ ხეების ჩრდილში თავს ობლად გრძნობდა. სწორედ ის უფრო აღიზიანებდა, რაც წინათ უფრო ახარებდა. ამიტომ ახალ ბალახსაც თვალს არიდებდა. შორს, მტკვარის დაბლობში, აყვავებულ ბაღს შეაველო თვალი და

ეს ბაღიც გულში სუკვად ჩაეკრა. მოიკრუნჩხა, დახარა თავი, ისევ საკუთარ ფეხისხმას დაუგდო ყურე, თვალს ოდნავ ახედა, რომ გზას არ აცდებოდა.

კარგა ხანი იარა აქ. უეტრად ისევ აღიდგებულ მტკვარს თვალი შეაველო: „შეყვარებულთან ასე ახლო სიარული საშიშია“,—გაიფიქრა. კვლავ საათს დახედა, ფეხს აუქნა.

იმ ქუჩაზე ვაეიდა, რომელზედაც ინსტიტუტიდან გამოსულ ბეჟანს უნდა გაეველო.

როგორც არასდროს, დღეს ბეჟანის ნახვა მოსწყურდა, არაერთიანი ანგარიში არ უნდოდა გაეწია იმისთვის, თუ ამ ნახვას რა აზრი ჰქონდა.

„მინდა ნახვა და სხვა არაფერი. მე ასე მინდა“,—ამბობდა თავისთვის და რაც უფრო ახლოვდებოდა შესაძლებელი შეხვედრის წუთი, მით უფრო ღელავდა: „რისთვის ვღელავ? რაც უნდა ყოფილიყო, აღარ იქნება. ყველაფრისაგან თავისუფალი ვარ და რაღა მაწუხებს?“ — ეკითხებოდა თავისთავს და ვერაფრით ვერ აებსნა ის შინაგანი სწრაფვის მიზეზი, რაც ბეჟანისაკენ ეზიდებოდა.

მიჰყვებოდა არა გონების მიერ ნაკარნახევ გზას, არამედ იმას, რომელსაც აუხსნელი გრძნობა უკარნახებდა. ამიტომ ისევ იმეორებდა: — „მე ასე მინდა“.

უკვე დრო იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ სჩანდა. დამძებული ყურადღებით გასცქეროდა იმ შენობისაკენ, რომლის კარებიდან გამოსული ბეჟანის დანახვა შეეძლო და იმავე ქუჩის მეორე მხარეზე გადასული უფრო ნერვიულად მიმოდიოდა. ვიღაც ნაცნობები თითქოს სალამსაც ეუბნებოდნენ, მაგრამ მათი დანახვაც აღარ უნდოდა...

აი, თამარი და მალხაზი გამოვიდნენ იმ შენობიდან. როგორ მოიქცეს, მოე-

რიდოს შეხედეს? არა. საჭიროა შეხედეს, იქნებ ბეჟანის შესახებ გაიგოს რამე, თორემ შემდეგ ვერაფერს აკეთებ, — გვიან იქნება. ამ გადაწყვეტილებით ისევ ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა. აქეთვე მომავალ თამარსა და მალხაზს თითქოს სრულიად შემთხვევით შეხვდა.

— ნათელა! — მიამახა თამარმა.

ნათელას არავისათვის არ უნდოდა გაემხილა თავისი განზრახვა, მათ შორის თვითონ ბეჟანისათვის. ამიტომ მეგობრებს ბეჟანზე არაფერს არ ეკითხებოდა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, სანამ მასზე რამეს ეტყოდნენ. მხოლოდ გამომშვიდობებისას თამარმა სთქვა:

— იქნებ ბეჟანიც შემოგხედეს გზაში არ იქნა, ლაბორატორიიდან ვერ გამოვაგდეთ!

... დადიოდა. ო, როგორ უნდოდა ენახა ბეჟანი! იქნებ მისთვის გაემხილა, თუ რა შეემთხვა. არა და ერთმა გულმა ამოდენა სიმძიმე როგორ ატაროს, ვით ჩაიტოს!

მაგრამ, განა ბეჟანს გაუმხელს? „ნეტავი ჩემი დამაბუნება ქვეყნად ყველას გაეგო ბეჟანის ვარდა“, — გაიფიქრა და ტუჩი მოკუმა, რომ ამაზე სიტყვა არ დაცდენოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ იკითხა: „სანამდის, ან რისთვის, რატომ“ და უკვე საწინააღმდეგო აზრი გაუჩნდა:

„არაფრის დაფარვა არ შეიძლება. აზრიც არა აქვს. საცაა შეხედება და რა უნდა უთხრას, რითი დაიწყოს? იქნებ მხოლოდ შორიდან შეხედოს და ეს იქმაროს? — გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა.

ბეჟანი არ სჩანდა. ალბათ მთელი შენობა დაცარიელდა, მაინც არ სჩანდა.

ნათელა აწრიალდა, სისუსტე იგრძნო, მაგრამ თავს ძალას ატანდა. როგორ შეეძლო არ შეხედროდა? ეს ზომ უფრო აუტანელი იქნებოდა, ლამითაც

ვერ მოისვენებდა. რაც მეტ ხანს უცდიდა, ნახვის სურვილი უფრო აღარჩობდა, ძლივსღა სუნთქავდა: „მე მინდა, მე მინდა!“ — მაინც დაქრნულით იმეორებდა; როცა შეღამდა, ხოლო ბეჟანი კიდევ არ სჩანდა, თითქოს უნებლიედ წამოიძახა: „ნიკო მეშალეა, განა ბეჟანიც?.. ამას ვერ გავუძლებ! არა, არა! ბეჟანი სხვაა... ცოტა მაღროვონ და მე თვითონ, თვითონ, მთელ ქვეყანას დავეშალე!“ — თავი თითქოს ამით ინუგეშა და არეული ნაბიჯით განაგრძო გზა.

უეცრად, სწორედ იმ ოთახში, რომელშიაც ბეჟანი ეგულებოდა, შუქი აინთო: „იქ არის, იქ!“ გადასწყვიტა და იმ შენობასთან ახლო მივიდა. ო, მხოლოდ თავი გამოჩნდა, დახრილი თავი, სახე კი... „ბეჟანია, ბეჟანია!“ — წამოიძახა, ფეხს აუჩქარა და იმ შენობის ეზოში შესვლა გაბედა.

ფეხზე მეტი ვაჩერება აღარ შეეძლო, პატარა ბაღში მერხი შენიშნა და იქით წავიდა. ძლივს მიაღწია. მერხზე დავარდა. თვალდახუჭული, მოთენთილი სხეულის ცრილას უსმენდა. თითქოს მასში ჯავრობდა რაღაც, ის თითქოს თვით ნათელას უჯავრდებოდა, რომელმაც თავისთავს იმაზე მეტის ატანა მოსთხოვა, რაც მას შეეძლო.

ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და ისევ იმ საარკმელს მიაპყრო თვალი. ახლა ის თავი თითქოს დასცურავდა ოთახში, ხან აქეთ, ხან იქით, აიწევდა, კვლავ ეშვებოდა: „ასე ჰო, ეცადე, ბეჟან. მე აქ გელოდები. ჩემი წამალი აღმოაჩინე, მომიტანე და მომარჩინე.“ — ასე ატყუებდა ნათელა თავს, მაგრამ ბეჟანი არ მოდიოდა, არავითარი წამალი მას არ მოჰქონდა. თავზე ხელი გადაისვა და სისველე იგრძნო. მშობლიური ცის ნაშით სახეც გაიგრძინა და ოღნავ შევებით ამოისუნთქა: „ცაო, მშობლიურო, მომეც სიმშვიდე! უკვდავების წვეთი მაპყურე, მით მო-

მარჩინე!“—გულის სიღრმიდან აღმოხდა მას ეგ უნაზესი თხოვნა თუ ვედრება, მაგრამ ვილაც, ისევ იმ უჩინარმა, რომელიც ბოლო დროს არ ეშვებოდა, თითქოს შესძახა:

„არა, არა!“

დაბნეულა. ამ სიბნელემ გამოაფხიზლა. თვალები მიმოაცეცა. შიში იგრძნო და უეცრად წამოდგა. უკვე დარწმუნდა: ბეჟანს ვეღარ ნახავდა. ამ რწმენამ ისეთი სიციფე შეიტანა მის გულში, რომ კანკალი დაიწყო, კბილები ააწყარუნა, აწრიალდა.—გული მაინც არ მიჰყვებოდა.

როცა ახალი სისუსტის ტალღა შეეხო, დარეტიანდა, თავი ძლივს შეიმავრა და შეინისაყენ პირი იბრუნა.

რა მიაქვს თან? რაც მთავარია — უკან დასტოვა: გული და ბეჟანი. უდაბნოს ქვიშასავით გამშრალი, თითქოს პაერში აცურებული, მიფარფატებდა.

როცა შინ მივიდა, დივანზე მოსხლეთალი დაეცა და გაანჩხლებით წამოიძახა:

— დედი, დამიგე!

... იმ ღამეს ბეჟანი ინსტიტუტიდან არ გამოსულა. ერთს მისთვის სიცოცხლედ ღირებულ ცდას აწარმოებდა. ეს ცდა თანამშრომლების დახმარებით დილიდანვე დაიწყო და არ ეშვებოდა. სხვები გაუშვა, ხოლო ღამის თორმეტ საათამდე გივი არ მოშორებია.

შემდეგ გივიც წავიდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისევ მობრუნდა. თან მოტანილი ნაკრავული გახსნა, ტკბილი ნამცხვარი მაგიდაზე წინ დაულაგა და ისევ წავიდა:

— ქამე!—ერთი კი დაიძახა კართან მისულმა და მიეფარა.

ფიქრში-წასული ბეჟანი მის თვალწინ დალაგებულ ნამცხვარს გაკვირვებით დააჩერდა, აზრადაც არ მოსდიოდა თუ იმ ნამცხვარის ქამა შეიძლებოდა. ამიტომ მუშაობაში რომ ხელი არ შეეშალა, აიღო და მაგიდის ქვემოთ

თართზე შემოსდო. ხსნარსა და ხელსაწყობებს თვით ამზადებდა და რადგან თანამშრომლების მიერ მომზადებული არ გამოადგა ან გაუფუჭდა, სველაფერს თავიდან იწყებდა: „თავისი“ დასკვნის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ამ დასკვნის პრაქტიკული განხორციელება უფრო გაურთულდა და გაუძნელდა. ათასნაირ ხერხს იყენებდა, რომ მისი ვაგებით სწორ თეორიულ დასკვნებს ხორცი შეესხა.

ღამე ილეოდა. ცდის უკანასკნელი წუთები დადგა. ათრთოლებული ხელით აიღო თოფრაკი, შიგ რაღაც ხსნარი ჩაასხა. საკუთარი გულის ხმა მოესმა: „რას მეტყვი შენ, წვეთო და წუთო?“—გაიფიქრა. ფრთხილი, რაც შეეძლო ფრთხილი ნაბიჯით და გაქვავებული ნერვებით ერთ დანადგარს მიუახლოვდა, თოფრაკი ჩასდო. ხელში დაჭერილი ელდენის სახელუპი ოდნავ მოსწია და თვალი მოხუჭა. რომ გაახილა მის მიერ პირველად აღმოჩენილ ნიშანს შესძახა: „მზეთუნახავო!“—თვალს არ აშორებდა ნიშანს, რომელიც იმ დანადგარში გამოისახა. მისწი-მოსწია ხელსაწყობები, გზა გაითავისუფლა და იმ ოთახის შუაგულში გავიდა. თითქოს ცას მადლს მიუძღვინსო, ხელები აღმართა, შემდეგ თავზე შემოისალტა, წამოიძახა: „რა მოხდა, კიდეც მოვიფიქრო, თუ აქ რა მოხდა?“

კარგა ხანს იდგა. შემდეგ მაგიდას შერდულივით შემოუჭროლა და ხელი იმ „მზეთუნახავისაკენ“ გაიშვირა, რომელიც დღეს პირველად აღმოაჩინა: „მომიახლოვდი, შენი სრულყოფილი სახე მიჩვენე“. მას გაუღიმა. სარკმელთან შეჩერდა, გადაიხედა.

თენდებოდა. დაჯდა. მიღებული შემდეგი დღეს არაჩვეულებრივად დიდი ასოებით ჩასწერა...

ინსტიტუტი გამოცოცხლდა და ახმაურდა. თანამშრომლები უკვე შესდგომოდნენ თავიანთ საქმეს.

გვიცი იქ იყო, მაგრამ მაგიდასთან შეჩერებული ბეჯანი ისევ იმ ქალაღს დასჩერებოდა.

— ბეჯანი—მოესმა. მოხედა:

სოლომონი იცნო და მიამახა:

— აი, რა მივიღეთ!

— შე კი აი, რა აღმოვაჩინე!—მიუგო სოლომონმა, მაგიდის თაროზე შედგებული საქმელი აიღო და წინ დაუღაგა.—რა არის ეს? განა იმიტომ მოგვიცა ნება, რომ თავი მოგეკლა?

— უქმელობაც თქვენ 'მასწავლეთ, ბატონო სოლომონ!—მიუგო ბეჯანმა.

სოლომონმა ის ქალაღი გადაიკითხა. თითქოს გაკვირვებით ბეჯანს გადახედა, მერე ხელები ზურგზე დაიღაგა და გაისეირნა. როცა მობრუნდა, მხოლოდ ეს სთქვა:

— ამის მთელი შედეგის გათვალისწინება ჯერ კიდევ ძნელია, მაგრამ კვანძი გახსნილია. ახალი შესაძლებლობანი ისახებიან... მოგილოცავ დიდ გამარჯვებას! ჰო, ეს აგრეა, მაგრამ თქვენ ახლაც წადით აქედან, მოისვენეთ, დანარჩენზე შემდეგ მოვითათბიროთ!

— წავალ, სხვა რაღა გზაა! ახლაც წავალ,—დაეთანხმა ბეჯანი.

სოლომონმა განაგრძო:

— ასე არ შეიძლება, თქვენ ძლიერ გახდით. საერთოდ დასვენება გჭირდებათ. იქნებ შევბუღება მიიღოთ?

— დასვენება? ერთ რამეს გთხოვდით, ეს ჩემი დასვენებაც იქნება: აქ ლაბორატორულ ცხოველებზე ცდის ჩატარების შემდეგ, შესაძლოა საკავშირო აკადემიის, სოხუმის ფილიალის ექსპერიმენტალურ ლაბორატორიაშიც დამკირდეს გამგზავრება და ეს მომიწყვთ.

— კარგი. შესაძლოა. ახლა კი წადით, ნუღარ აყოვნებთ!—მიუგო სოლომონმა და ოთახიდან თვით გაიყვანა.

როცა უძილობით მოქანცული ბეჯა-

ნი გარეთ გავიდა, მზიანი დღე და გაზაფხულის სურნელი შემოეკვება, მაგრამ მთელი გულისყურით იმ გაზაფხულისადმი მიეპყრო, რომელიც მის გონებაში ისახებოდა. უქმეობაზე სახეზე ხელი მოისვა და გულში გაივლო: „მართლაც ბერი ვარ“.

ნახევრად-თვალმოხუჭული გავიდა ქუჩაში. შინისაკენ ფეხით წაიდა. „ვინ ვის მოასწრებს? ნუ თუ უკვე გამოსწროს ყველა გზები გადაკრილია!“—ამ კითხვამ გამოაფხიზლა. გადასწყვიტა: ახლა ნელი სიარულის ნებაც არ მაქვსო, მოღლილობა დაავიწყდა და ფეხს აუჩქარა.

ამ დროს შორიდან მოჰქრა მას თვალი:

მარტო მოდიოდა მოწყენილი, დაფიქრებული და ფერმიხდილი. ტანზე და ფეხზედაც სულ თეთრი ეცვა. მხოლოდ თავზე მოლურჯო ქუდი ეხურა. ამ მთლიან სითეთრემ რაღაც აუხსნელი მიზეზით შეაკრთო ბეჯანი.

როცა მოახლოვდა, ისევ მან დაასწრო:

— აა, ბეჯანი—მიამახა, ხელი ჩამოართვა, გაწითლდა.

— საღამო, ნათელა!—მიესალმა მოულოდნელი შეხვედრით თვითონაც სახე წამოწითლებული ბეჯანი და ურთიერთისადმი პირისპირ შეჩერდნენ.

კარგა ხანი იყო გასული, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ და აოცებლად ის დიდი ცვლილება, რაც მათში მომხდარიყო.

— წვერი რად მოუშვი, ბეჯან?

— დამავიწყდა!

— წვერის მოშვება ნაადრევეია. ჯერ არა ვკვდები, თუმცა ეს უკვე...—არ დაასრულა, უფრო გაწითლდა და გაიღიმა.

— ამას რად მეუბნები, ნათელა?

— ჰო, ეს უკვე გადაწყვეტილია. ხვალაც საოპერაციოდ უნდა წავიდე. გადაწყდა ბეჯანი!

— რაო?!—დაიძახა ბეჟანი.

მისმა მქუხარე ხმამ ახლა ნათელაჲ კი გააოცა. არა სწყენია. პირიქით, გაუხარდა, საკუთარი თავის წინაშე თითქოს ამალღდა. ამ შეძახილმა ქუჩაში უხერხული მდგომარეობა შეუქმნა მათ, ხალხი შეიკრიბა. ამიტომ იქაურობას სწრაფად გაშორდნენ და მეორე ქუჩის შესახვევში შეჩერდნენ.

— რა სთქვი ნათელა?—ისევ შეეკითხა ბეჟანი, რომლის გაფითრებულ სახეზე ანთებული თვალები აღარ ცხრებოდნენ.

— ნუ ღელავ, ბეჟანი! ბევრი ვიცხოვრე და უკვე შეყოფა.

— მე შეყოფოდა! შენ კი არა, შენ არა, ნათელა!—მიუგო ბეჟანმა და მთელს ტანში შეაყრიალა.

— ბეჟან, აქ უხერხულია, ნახვამდის, ბეჟანი!—უთხრა ნათელამ. როგორც წინათ, ახლაც მოხდენილად შემოტრიალდა, გაუღიმა და გაეცალა.

ბეჟანი იღვა და გასცქეროდა.

არავითარი განსხვავება თითქოს არ იყო, ისე მსუბუქად, ისე მოხდენილად მიდიოდა ნათელა, როგორც წინათ, როცა მას არავითარი ავადმყოფობა არ აწუხებდა.

„ეს უნდა მოკვდეს? არ დავიჯერებ!“—გაიფიქრა, შინისაკენ წავიდა... აღზნებული ნათელა გაღიმებული მიდიოდა ქუჩაში.

ამ ერთმა წუთმა იმოდენა სიხარული აგრძნობინა, რომ უკვე ყოველგვარ განსაცდელთან შერიგებული და კმაყოფილი გულში ამბობდა: „ბეჟანი სხვაა. მე მზად ვარ მოვკვდე!“.

მიჰქროდა, საით აღარ იცოდა, რადგან დღესაც მხოლოდ ბეჟანთან შესახვედრად გამოვიდა ქუჩაში.

თავი მხათი

ოთახში სრული სიწყნარე იყო. მხოლოდ ზოგჯერ ლოგინად ჩავარდნილ ნათელას მისუსტებული ხველა ისმო-

და. ახლა ნათელას სულშიაც სიწყნარე იყო. ამ „სიწყნარეს“ ის თითქოს თან უნდა წაეყვანა და მისთანა დამონებული ელოდებოდა. მძიმე იყო ლოდინი. სიცოცხლის თუნდელი ურთი წუთისათვის მაინც ასეთი ლოდინი ერიოა, რადგან იქით აღარც ეს იყო.—ყველაფრიდან არაფერში უნდა გადასულიყო. მრავალი გრიგალი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვისა გამოიარა. ამ გრიგალებმა დაამსხვრიეს მისი ნორჩი სიცოცხლის თითქმის ყველა ყლორტი,—თან გაიტაცეს, მაგრამ რაც დარჩა, ისინიც უკანასკნელად იღუწებოდნენ.

მთელი ამ დროის განმავლობაში იმდენს ჩასჩინებდა სიკვდილი, რომ თითქოს შეეჩვია.

პირალმა იწვა. მკერდზე ქალღღივით თეთრი, გაძვალტყავებული ხელი დაედო. თითქოს დაგრძელებულიყვნენ თითები, გაფართოებულიყვნენ ფრჩხილები. თითქო ხელი ისეთივე იყო, როგორიც გუშინ,—ერთი დღის წინათ. თუმცა ერთი წლის წინათ როგორი იყო, ეს აღარ ახსოვდა,—ამიტომ, რადგან დიდ განსხვავებას ვეღარ ამჩნევდა, მცირედს არ ნანობდა,—ურიგდებოდა...

მაგრამ თითქოს ყველაფერში დამნაშავე იყო ზაფხული, რომელიც ყინულივით აღნობდა სხეულს, აღნობდა სიცოცხლეს და მხოლოდ ძვლებს სტოვებდა. იქნებ მესამე ოპერაციის შემდეგ ავარაკი ამიტომ გამოუწერეს. ამ ოპერაციებზე, თუ ავარაკზე ფიქრობდა ახლა. სამუდამოდ დარწმუნდა: „სიკვდილის მცენარე“, (როგორც თვითონ ნათელა უწოდებდა, და რომელიც მარცხენა მკერდში შეუჩერებლივ ამოდიოდა) ამარცხებდა ქირურგის დანას,—ამ „მცენარის“ მოკვეთა ქვეყნად არავითარ მახვილს არ შეეძლო... ახლა კი მაინც ავარაკი: „განა ავარაკი დანაზე მქრელი იქნება?“—იკითხა და უპასუხა: „მე ვიცი, რომელი ავარაკი

მომარჩუნს: ლამის აგარაკი, სადაც ვერავეთარი მცენარე ვერ გაიზარებს“.

დილა.

სარკმელზე მანათობელ სხივთა ციკი ახარებდა სიცოცხლეს, ეძახდა გარეთ სინათლეში და სიყვარულში. აქ კი ოთახში სიწყნარე იყო.

ის მიიწეოდა, თუ ეს კედლები ამოდენა სიწყნარეს როგორ უძლებენ. თითქოს ისინიც ელოდებიან... ნეტავი ვის ელოდებიან, რისთვის, ან ვისი რა დავალებით? „იქნებ ჩემს წასვლას ელოდებიან და როცა წავალ, დაინგრევიან? არა. დარჩებიან, მაგრამ უაზროდ“.

ისევ დუმილი. ამას ვერ იტანს. „დუმილი მუდმივია და მეშინია. ხმაურში სიცოცხლეა, მაგრამ დროებითი“.

ამიტომ ხმაურს უფრო ითმენდა...

სად დაიკარგნენ, რატომ არ სჩანან? არც დედა, არც ფაცია, არაფერი... „სულ მარტო დავრჩი“,—გაიფიქრა, შეეშინდა, მისუსტებული ხმით წამოიძახა:

— ფაცია, ფაცია!

აღვომა სცადა. დამძიმებული თავი ძლივს ასწია და ლოგინში დაჯდა. ისევ ხელზე დაიხედა. ახლა დარწმუნდა, რომ გამზდარია. მხოლოდ ეს აკვირებდა: გახდომამ უფრო დაუძმძმა სხეული. „ნეტავი ეს სიმძიმე ბოლოს სად ჩამიტანს?“—გაიფიქრა და გადასწყვიტა: არც დუმის, არც სიმძიმეს არ დაემორჩილოს; ეს დუპავს მას.

მართლაც იძალა, ლოგინიდან გადმოვიდა, წაღებში ფეხი გაუყარა, წამოდგა. ახლადფეხადგმულ ბავშვივით დაირხა, კინალამ დაეცა, მაგრამ ხელი გამალა, წონასწორობა შეინარჩუნა, და აი, წავიდა! წაღების თრევით სასადილო ოთახის კარს მიუახლოვდა, სახელურს მიწვდა, ფრთხილად გააღო და გაიხედა: არაფერი იყო.

— ფაცია, ფაცია!—უფრო ხმაძმლა დაიძახა, მაგრამ პასუხი ახლაც ვერ მიიღო.

ოთახის ხან ერთ, ხან მეორე ბეჯზე დაყრდნობით სამზარეულოში გასასვლელ კართან მიიწეოდა, კედელში სამზარეულოდან კედელისკენ მიღებული მოესმა. ამან ძალა შეჰმატა, კარი ოდნავ გააღო და გაიხედა.

სარკმელთან სკამზე დამჯდარი ფაცია რალაცას თითზე ითვლიდა, შემდეგ სარკმლის რაფაზე თავს ადებდა და ტირილს იწყებდა, თითქოს ვინმეს უჯავრდებო, თანაც იძახდა:

„არ მინდა, არ მინდა!“

— ფაცია, შენა ხარ?!—შეეკითხა ნათელა, ხელგაწვდილი მიუახლოვდა და წაეტანა:—რად სტირი, ფაცია, რა მოგივიდა?

ფაციამ ნათელას მოულოდნელი მოსვლით გაოგნებულმა პირი გააღო.

— მითხარი, ფაცია, სიმართლე მითხარი, რატომ სტიროდი?

ფაციას სახე მოვლრუბლა და წამოიძახა:

— არ ვიცი!

— ვერ მომატყუებ, ფაცია. სიმართლე მითხარი, თითზე რას ითვლიდი?

— თითზე?—იკითხა ფაციამ და ტირილი მორთო.

— დაიშმიდი ფაცია. სიმართლე მითხარი, თორემ აი, ამ სარკმელიდან გადაეარდები!—ისეთის გაწვრილებული ხმით წამოიძახა გაანჩხლებულმა ნათელამ, რომ ფაციამ ხმა ჩიკმიდა. შემდეგ ნათელას დუმილმა შეაშინა და მორჩილად სთქვა:

— გეტყვი ნათელა და, ნუ დაიჯერებ!

— არ დავიჯერებ, მხოლოდ მითხარი!

— იქა, იმ მაღალმა, ვინც ძუძუ მოკვრა, მეორეს უთხრა...

— რა უთხრა, ფაცია?—მოგონილი უდარდელივით შეეკითხა ნათელა.

— ექვს თვეს იცოცხლებსო ნათელა.

ლოა!—ამისი თქმა მოასწრო და ისევ ცრემლები დაეღვარა სახეზე.

— სულელი ეს დაიჯერე?—თითქოს აქ არაფერიც არ მომხდარაო უთხრა ნათელამ,—მერე შენ თითზე რაღას ითვლიდი?

— ექესი გამომივიდა და შემეშინდა!

— სულელები არიან! მე ისე არ მოგვედები, თუ ისინი წინ არ გავუშვი! წამო, ნუ სტირია! შენ ნახე, თუ მაგათ დაპირება არ შეუსრულო! მზეც მალდა იქნება და ჩვენც აქ ვიქნებით, წამო!—დაამშვიდა თუმცა ფაციას თვითონ დაეყრდნო და სასადილო ოთახში შევიდნენ.

— აი, მალე, აგარაკზე წავალთ და მაგათ ვაჩვენებ!—ექიმებისადმი მუქარით ამბობდა ნათელა.

ფაცია გათამამდა, ცრემლი მოიწმინდა და გაიღიმა.

ნათელა სასადილო ოთახის გამოღებულ სარკმელთან დაჯდა. შორს, ცის სილურჯეში შესულ მყინვარწვერს თვალი მიაპყრო, თითქოს გაუღიმა: „მთაო, დიდებულო, რას მეტყვი? ნიშანი ხარ გამარჯვებისა. მეც გადმომხედე, რომ გავიმარჯვო“.

მთა პასუხს აღარ აძლევდა, სდუმდა. თითქოს მის მაგიერ ვიღაც სხვა ამბობდა: „შენთვის არ სცალია. თუ გსურს უცქირე, არა და წადი“. მართლაც რამდენი წასულან, მაგრამ ყაზბეგის მთა არ გაპყოლია. მერე, თუ აგრე გულცივია ყაზბეგის მთა, რატომ იზიდავს? „მე ძეძუ მომჭრეს და არა გული. მიყვარხარ, მთაო,—რად მომიძულე?“—შეეკითხა, შეაფრთოლა, რაც ავად გახდა დღეს პირველად კინადამ ცრემლი მოერიო. უმალ მოაგონდა, რომ „გმირ ქალს“ ეძახდნენ. თავი შეიმავრა, დაწვრილებულ ყელში ნერწყვი ძლივს გადაიტანა.

ოთახში ვიღაც შემოვიდა. მიიხედა: ის დედა იყო.

— ნათელა? აქ როგორ მოხველი, შვილო?

— მარტობამ წამომაცენა... სადი იყავ, დედი?

— ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა, ცოტა რამ ვიყიდე, შვილო.

— დაბადების?!—თითქოს გაკვირვებით იკითხა ნათელამ, აღარ განაგრძო, ვადანასკველ მკლავებში სახე ჩამალა.

— დედი, დამაწვინე! დედა მხარში შეუდგა და წაიყვანა. ნათელა ჩაწვა.

დედა გავიდა.
„დაბადება? ტანჯვის დაბადება მოსაგონია? ნამდვილად მაშინ დაიბადები, როცა არ ვიგრძნობ“.—თვალი მოხუჭა და გაიტრუნა.

ელიკო და დათა ფეხაკრფით შემოვიდნენ. ფეხის წვერებზე შემდგარნა ელიკომ წააყურა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ნათელა, გძინავს?
— არა, ელიკო!—ისე, თვალდახუჭულად მიუგო ნათელამ.

— როგორ ხარ, ნათელა?
— უკეთ... აა, დათაც მოსულა! ელიკო, გამოალე სარკმელი, ჰაერი მწყურია.

ელიკომ გააღო და ახლოს დაჯდა.
— აგარაკი გამომიწერეს. ახლა მხოლოდ აგარაკი მომარჩენს. თქვენ არა გჯერათ?

— რატომ არა, ნათელა!—მიუგო დათამ.

— თქვენ ხომ ჩემი მეგობრები ხართ და რად მომატყუებთ? ისე ჰო. გესუმრებით, თორემ ნეტავი მართლა მომატყუებდეთ.

— შენი მოტყუება არავის არ შეუძლია, ნათელა, მაგრამ სხვა საშუალება იქნება რამე.

— არა, ელიკო. ყველა წიგნი თვით გადაეკითხე. არსად იმედის ნატამალი არა სჩანს.

— აი, წაიკითხე, ნათელა. ბეჯანის აღმოჩენას ეხება,—უთხრა ელიკომ და გახეთი გადასცა.

— რაო, ბეჯანის?—გაიკვირვა, გახეთი გამოართვა და კითხვა დაიწყო. მის თვალბეში ანთებული შუქი ძლიერდებოდა. რომ დაასრულა მხოლოდ ეს თქვა:

— კარგია, კარგია. დიდი საქმეა... შორს არის. ვეღარ მომიწერებს. აი, წაგკითხავთ და დაიჯერებთ: „ის, რაც ახალგაზრდა მეცნიერმა აღმოაჩინა, შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ ზოგიერთ დაეადებათა წარმოშობის მიზეზი, მათ შორის (როგორც ირკვევა) ავთვისებიან სიმსიენეთა წარმოშობის მიზეზიც კი, რაც იმედს გვაძლევს მივალწიოთ ამ მძიმე სენით დაეადებულთა განკურნვას“,—დაასრულა ნათელამ, გაიღიმა და გახეთი დასდო:

— მაშასადამე, მე მართალი ვარ. აა, ხომ მართალი ვარ? ეს ყველაფერი მომავალია, მე კი წარმავალი. ვერ დამეწევა.

— ვინ იცის, ნათელა, მაგრამ ამ აღმოჩენის მთავარი მიზეზი მაინც შენა ხარ.—მიუგო დათამ.

ნათელა რალაც დიდმა, გულში შუქივით ანთებულმა სიხარულმა გამოაცოცხლა, თვალბეში გაუნათლდა, წამოიწია და დაიძახა:

— ეს ვინ სთქვა, დათა?!

— განა ამას თქმა დასკირდება? განა ჩვენზე უკეთ არ იცი?

— ო, ბეჯან, ბეჯან!—აღმოხდა ნათელას და ბალიშზე დაეარდა, თვალი უხუნაესი სიამის გრძნობით დაეხუჭა.

— მაშ, ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია!—ისევე აღმოხდა, მაგრამ როდესაც ამ უმწვერვალეს სიხარულს უეცრად რალაც სხვამ, გულის ამაჩუყებელმა ტალღამ მოუსწრო, ტუჩები მოკემა, თითქოს გულიდან წამოსული ცრემლების ღვარი ძლივს შეაჩერა. თვალს მაინც აღარ ახელდა, თანაც

თითქოს სიცოცხლის ახალ წყაროს დაეწაფა და ვეღარც ძღვებაო—სიხარებით სუნთქავდა, ტუჩებს ხანდაყოვნებით ამოძრავებდა: „შენი უეცრად აღმოაჩინა. დაგტანჯე. მაპატიე.“—შემიძღეს!—გაიფიქრა. ახლაც კინალამ ცრემლებმა მოუსწრო,—ისევე ტუჩები მოკემა და შეაჩერა.

— ნათელა, ხვალ ისევე მოვალთ. ბეჯანიც მოვა. დაბადების დღეს მოგილოცავთ!—უთხრა ელიკომ.

ნათელამ უეცრად თვალი გაახილა და უკვე გამხელილი სიხარულით წამოიძახა:

— ბეჯანიც მოვა?

— თამარმა მითხრა, რომ სოხუმოდან ხვალ დაბრუნდებო. მოვა ბეჯანი!

— კარგი, ელიკო. მე უკეთა ვარ და არ მომეჩიოდოს.

— ცუდად რომ იყო, მაშინაც არ დაგტოვებდა ბეჯანი.

— ჰო? მაშ კარგი, კარგი!—ისევე შვებით უთხრა ნათელამ და, როცა მეგობრები კარებში გადიოდნენ, ელიკოს გასძახა:

— ჩემო კულრაქავ!

„მე მიყვარს, მე მიყვარს ელიკო!“—მეგობრების გასვლისთანავე წამოიძახა, თუმცა იცოდა ამით თავისთავსაც კი ატყუებდა, რადგან მისი ეგ სიტყვები ელიკოზე უფრო სხვას ეკუთვნოდნენ.

როცა ნათელას ახლანდელი მღვთმარობით გულაჩუყებული ელიკო კიბეზე ჩადიოდა, გული შეუღონდა, ხელი გაშალა და იქვე ჩაჯდა.

— ელიკო, ელიკო!—მაიძახა დათამ და მიუბრუნდა.

ელიკო ხმას აღარ იღებდა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ჩაისუნთქა ჰერი, სული მოიბრუნა და აქამდე გულში დაგროვილი სათქმელი ცრემლებთან ერთად აღმოხდა:

— არ შემიძლია! მეტი თამაში არ

შემიძლია! მალე დასრულდება ეს კომედია და მაშინ რაღა ვქნა!

თვითონაც აცრემლებულმა დათამ წამოაყენა და წაიყვანა.



... იმავე დღეს სოხუმის ექსპერიმენტალური ლაბორატორიის შენობიდან გამოვიდა ბეჟანი. მოღლილი იყო. ისე მიდიოდა, თითქოს რაღაც დიდი სიმძიმე მოაქვსო თან. ზოგჯერ გამხდარ სახეზე ისვამდა ხელს და თითქოს უხაროდა, რომ ამით მაინც დააჩინა თავისათვის მწუხარების დალი, იმ ადამიანის ბედის გამო, რომლის სიცოცხლე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უღირდა.

ქალაქის ერთ მთავარ ქუჩაზე გამოვიდა, ზღვისაკენ გაემართა.

ზღვისპირად პალმებისა და მავნოლიების ბაღში შევიდა. განცალკევებულ მერხზე ჩამოჯდა. ახლა ზღვასთან პირისპირ იყო და შეეძლო მხოლოდ მისთვის გაეშხილა, რაც გულში ჰქონდა. მით უფრო, თითქოს თვითონ ზღვა განაზებული ტალღების შრიალით ჩასჩურჩულებდა:

„დაიწყე, დაიწყე“.

ბეჟანმა წინ-გადმოყრილ სქელ ქოჩორზე ხელი გადაისვა და უპასუხა:

„რა ვითხრა, ზღვაო. ბევრიც რომ ვითხრა, ვერას მიშველი. მხოლოდ შენი უსაზღვროება უფრო მალეღვებს. მე შენში ბავშვობიდანვე თევზივით გამოვიზარდე. შემდეგ მოგშორდი და უკვე ვიღრჩეები. სად ჩაჰქრა სიხარულის ლამპარი, რომელსაც საღამოობით შენში ვხვდავდი? რად ჩამიძირე დღეები დაუეფიყარნი? ახლა რას მეტყვი, რა უნდა ვითხრა შენ სანუგეშო? უდაბნოდ რად მეჩვენები, რად მომიძულე, რატომ გამრიყე? მე შენში ქვეყნის კარს ვხვდავდი. მგონა, აქედან იწყებოდა ქვეყანა დაუსრულებელი სასწაულით და სიხარულით. სად ჩაჰქრა, ეს

გრძნობა, კარი რად ჩამიძირე, ჩემი ბავშვობის ტყბილო ნაწინა... მშ კარგი, კარგი! წაეალ, დაგშორდები, იქნებ სამუდამოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში რომ შენ მუდამ აგრე ჯადოსნური იქნები, დაუსრულებელი გაქანებოთ გატაცებული და ჩემს ქვეყანას, თვით სულზე უტყბესს ალერსს არ მოაკლებო.“ — წამოდგა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ახლა მის სულივით აჩქაროებულ ზღვას, რომელმაც თითქოს პასუხად უფრო ძალუმად ამოისუნთქა და ნიშნად თანხმობისა ქართული მიწის შორს გატყორცნილ ნაპირებს ტალღების ბარაქა გადააყარა.

წავიდა. იქვე, ზღვაზე, გადამდგარ სასტუმროში შევიდა. თბილისში გამგზავრების დრო იყო და მოემზადა.

ის ექსპერიმენტალურ ლაბორატორიის თანამშრომლებმა სადგურზე გააცილეს. როცა მატარებელი დაიძრა ერთმა ქერა ვაბუქმა გასძახა:

— კიდევ მრავალ წარმატებას გისურვებ! ნახეამდის, ბეჟან!

ზღვაზე დახრილი მზე ზღვასაც მზესავით აელვარებდა.

მიჰქროდა მატარებელი და სხივების ღვარი სარკმელში გაყოფილ თავზე ესხურებოდა. ახლა ორგვარ ერუანტელს გრძნობდა: სიამისა და სინანულისა. რამდენადაც დიდი იყო ერთის ძალა, იმდენად მეორეც ძლიერდებოდა. ასევე თითქოს მათი, ურთიერთისაღმი გაფლენაც ძლიერდებოდა. ამიტომ ბეჟანმა ერთის მხრივ თავისი თავი, როგორც უენო, ხოლო მეორეს მხრივ, თავის დროს მუდამ მერცხალივით მოჰიჭიკე ნათელა ერთმანეთს შეადარა და ბოლოს დაასკვნა:

„იქნებ, რაც უფრო დიდია განსხვავება ჩვენს შორის, იმდენადვე დიდია მიმზიდველობა, რაც უფრო დიდი უნდა ყოფილიყო ჩემი ბედნიერება, ამდენადვე აუტანელია ნათელას უბედურება“. ის კი ცდილობდა გადაერჩინა,

იარაღი დღემდისაც არ დაუყრია, მაგრამ... „განა დაგელოდება? რა შეაჩერებს სიკვდილს თუნდაც ერთის წუთით, თუნდ ერთი წამით?.. რა ესტეჟი,—„სიკვდილსო?“ არ გამაგონოთ!“ თითქოს თვით სიკვდილს შესძახა და სიმწრისაგან ძირს დაშვებულ სარკმლის ჩარჩოს უკბინა. მატარებლის გრიალი თითქოს ახლა მის გულში ისმოდა. არაფრის დანახვა აღარ უნდოდა. სარკმელს მოეშვა და იქვე დაჯდა.

... მეორე დღეს, საღამოს, ნათელას ბინაზე შეკრებილიყვნენ.

ნათელა იწვა... სასათუმალთან მიდგმულ მაგიდაზე ყვავილების მთელი ბალი გაეშენებიათ მეგობრებს და ამ ყვავილების დამათრობელი სურნელი იდგა.

თვით საწოლიც განსაკუთრებული თეატრით ნაქარგი აბრეშუმის საფარით იყო მორთული და ნათელას გამხდარ, გამკვირვალე სახეს მოწითალო შუქი გადაჰყენოდა.

ნიკოს გარდა ყველა ახლო მეგობრები აქ იყვნენ. მაინც დიდი სიჩუმე იყო. ყველას ყურადღება ნათელას მიეპყრო.

ბეჟანი სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა, ნათელას რაღაც შიშით თვალის შეაელო და კუთხეში დაჯდა.

ნათელა შეინძრა, ოდნავ მოხტულები თვალები ბეჟანს მიაპყრო. რომ შესძლებოდა, მუდამ აგრე ეცქირა, განა ამაზე დიდ ბედნიერებას მოისურვებდა? განა ეს ყველაფერი არ არის? ვინ შეტქმნა ქვეყანა, რომელსაც აწლა ბეჟანში ხედავს?

— რად დაჩუმებულხარ? სიჩუმე არ მიყვარს. მითხარით რამე!—წარმოსთქვა ნათელამ.

— დაბადების დღეს გილოცავთ, ნათელა!—მიუგო თამარმა.

— თუ მომილოცავთ, განა დაბადების დღეს ასეთი მოწყენილობა შეეფერება? დაუკარით, იმღერებენ მსგავსი ნადა ვიმღერო. იუბილესს ტყუარტულად ანუ ჩამიტარებთ.

— რა დაუყრათ, ნათელა?—ჰკითხა კვლავ თამარმა.

— საზეიმო. უფრო კი შშობლიური მელოდიები. მომენატრა. მეშინია არ დამავიწყდეს.

სასტუმრო ოთახის კარები ფართოდ გააღეს და როიალი აახშიანეს. თანაც ფრთხილად, ძლიერ ფრთხილად, დაბალის ხმით გალობისებური სიმღერა დაიწყო. შშობლიური ხმების ყრიაშუღლით აივსო ოთახი.

ნათელა ახლაც ბეჟანს მისჩერებოდა. თვითონ ბეჟანიც ადგილიდან აღარ იძროდა. როცა დაამღერეს: „ჩემო ცინინათულო“, ნათელაც აჰყვა, მაგრამ ბეჟანმა ამას ვეღარ გაუძლო, უეცრად წამოდგა, სასტუმრო ოთახში გაიჭრა.

ბეჟანის გაქცევას ახლა ნათელაც ვერ შეურიგდა, წამოიწია და დაიძახა:

— შეაჩერეთ, შეაჩერეთ!

როცა შეაჩერეს, კვლავ მოუწოდა:

— ყველა თავის ადგილას დაჯდეს, თავის ადგილას, სადაც იჯექით!

მართლაც ყველა ისევ თავის ადგილას დაჯდა, მხოლოდ ბეჟანი კიდევ არ ჩანდა. ამიტომ იმავე მდგომარეობაში გაქვევებული ნათელა ბეჟანის გამოჩენას თვალდაცეცებით ელოდებოდა, თუმცა ხმას აღარ იღებდა, თითქოს არც სუნთქავდა.

აი, ბეჟანიც, ამძიმებულ ნაბიჯით შემოვიდა ოთახში და იქვე დაჯდა.

ნათელამ რაღაც შვეებით ამოისუნთქა, კვლავ დაიძახა:

— დედი, სუფრა აქ ჩემთან გაშალეთ, მინდა ვუცქირო. ვეცდები სტუმრები არ მოვაწყინო!

— ჰო, კარგი შეილო!—მიუგო დედამ.

ხუთ წუთში სუფრა მზად იყო და შემოუსხდნენ.

ყველა სადღეგრძელოში ნათელას სახელი იყო ჩართული.

ნათელაც მოღიშარი სახით უპასუხებდა:

— გმადლობთ! ვეცდები! ასედაც იქნება! შესაძლოა. დიახ, კარგი დღე გავითენდებამ!

როდესაც ბეჟანის ჯერი მოვიდა, იგი წამოდგა, კიქა აიღო. ნათელას სადღეგრძელო უნდოდა დაელია და რამე ეთქვა, მაგრამ ენა არ დაემორჩილა. ბოლოს ძლივს წარმოსთქვა:

— ენა არ მიჭრის. მაპატიეთ. ნათელას ვადღეგრძელებ—ამით დაასრულა და თავდახრილი იქვე დაჯდა.

არა მართო ნათელასათვის, სხვებისათვისაც აშკარა იყო, რომ ბეჟანმა ამ ორიოდ სიტყვით მეტი სთქვა, ვიდრე აქ ყველამ.

ამან გული აუჩუყა ნათელას და ყელში მომდგარი ცრემლები რომ ჩაეხშო, ხველა დაიწყო.

გვიან წავიდნენ.

აურაცხელი, მტანჯველი ფიქრებით გარემოცულ ნათელას გვიან ჩაეძინა.

ღილით უგრძნობლად გაახილა თვალები. უეცრად მისი ახლანდელი მდგომარეობის მთელი უნუგეშობა წარმოიღვინა და თავისთავს უთხრა: „სანამ უნდა ვიყო მე გმირი, როდის ვიტორო?“ და მართლაც გადაბრუნდა, პირქვე დაემხო და აქვითინდა.

თამი მთერთმთა

შემოდგომა. ისევ შემოდგომა.

შემოდგომა ყველაფერში შეპარულიყო და მისი გაძევება არავითარ სასწაულს აღარ შეეძლო. ხეები უსიამოვნოდ, თითქოს სევდიანად იშმუშნებოდნენ და შემოდგომის უძირო ზღვაში ფრთავაგრილებულ ნიაც შემოდგომის სუნი მიწაშიაც ჩაჰქონდა, აფრთხილებდა: „დაისვენო“.

მთაწმინდაზე, ბაღში, ისტანბულის იმინი და იმავე „დასვენების“ გარემოებით ამიძებულნი ფრთავაგრივად გამკვირვალე ცას გამსჭვანჭვანჭვან

მზე გიგანტურ ზვირთებივით წამომდგარ მანგლისის მთებზე წებობდა.

— ბუნების სევდა სულს ასპეტაკებს. რა ვიქნებოდით ამ გრძნობის გარეშე?—იკითხა სიმონმა.

— ქირურგები!—მიუგო ნიკომ.

— ენამახვილობაში შენ ვერ მაჯობებ, მაგრამ მზის ჩასვლამ ნათელა მომაგონა. ისიც ხომ ჩადის. შენ კი არც ნახე.

— ბეჟანი ნახავს.

— რაი? ახლა დაერწმუნდი; შენს სულს სევდა კი არა, მტკვარიც ვერ გარეცხავს!

— რად მეუბნები?

— რა დაგიშავა? რაც ბეჟანმა შეტყმნა, იმის ნახევარი რომ ჩვენ შეგვეტყმნა, მაშინ ნათელა კვლავ იცოცხლებდა.

ნიკო უეცრად მოეშვა, მოიხარა. კარგა ხნის შემდეგ ხმადაბლა სთქვა:

— როგორ არის ნათელა?

— ყოჩაღ, რომ გაბუდე!

— ვალიარებ, დამნაშავე ვარ. წავიდეთ, სიმონ!

— მე თვითონ წავალ!

— მიჯავრდები? მაპატიე! შევრიგდეთ სიმონ!

მზე ჩასულიყო. სახტადღარჩენილი მთები თითქოს ვაკევირებით. გარინდულიყვნენ, მაგრამ ქვევიდან, თბილისის წიაღიდან, ვარსკვლავები ამოდიოდნენ და ბაღს აცოცხლებდნენ.

•
•

მხოლოდ კენესისებური ხველა ისწოდა. ოთახის ერთ ნახევარში სინათლე იყო, მეორეში სიბნელე. ამ სიბნელეში იწვა ნათელა, შუქს ვეღარ იტანდა, ერიდებოდა.

სინათლეში ხმაგაკმედილნი მნახველები სკამებზე ისხდნენ.

ელიკო მივიდა, ნათელას სასთუმალთან დაჯდა, ძლიერ მკრთალი, მოლურჯო შუქი აანთო, ჭიქა აიღო და ავადმყოფს კოვზით რაღაც სითხე შეასვა. ჭიქა არ დასდო. ხანდაყოფნებით ისევ შეასვა.

— მეყოფა.—ჩაილაპარაკა ნათელამ. თვალი მოხუჭა და ახლა ისევ იმ სურათებს გაუსწორა გონების თვალი, რომელთაც აქ ელიკოს მოსვლამდე ხედავდა:

აგარაკი კიკეთი. საკაცურით ავტოზე აიყვანეს. იქ დააწვინეს და ავტო დაიძრა. ცას უცქეროდა. რაოდენი სასწაულები ხდებოდა ცაში! დილა იყო. თეთრი ღრუბლების მცირე ნაფლეთები გარბოდნენ, სხავებში შედიოდნენ და ენთებოდნენ. შორს, უფრო მაღალი მთების ფერდობებზე წიწვებიანი ხეების ჯარს, ხეობიდან ამღვარი ნისლი თავს ეფრქვეოდა, იფანტებოდა.

თითქოს გულით მოჰქონდა მშობლიური ცის სისპეტაკე, რომელსაც იცოდა ვერასოდეს ველარ ნახავდა. მიჰქროდა ავტო... მაგალობელი ჩიტები გულში სევდას უნელებდნენ, სანეტარო ხმებით უესებდნენ სულს და წუთით ყველაფერი ავიწყებოდა. კოჯორის მთაზე აშაღლდა. აქ ჩიტების განუწყვეტელ ფრიალს ბავშვების ფრიალი უერთდებოდა: თითქოს განიკურნა. ყველა ტანჯვა უკან დასტოვა და იმ ქვეყანაში შევიდა, რომელსაც წინაპრები სამოთხეს ეძახდნენ. უნდოდა ყველაფერი ერთად გულში ჩაეკრა სამუდამოდ და განუყრელად. კოჯორის მთაც უკან დასტოვა. აქ, სადღაც, თამარის საზაფხულო სასახლე იყო, ალბათ რუსთაველიც იყო აქ თამართან. შეიდასი წლის წინათ ეს ცა რუსთაველსაც თავზე ეხურა და ამ მიწაზე ადგამდა ფეხს. რუსთაველი წავიდა. და განა ინანებს, თვითონაც რომ იმ გზით

წავიდეს? სივრცეში ჩაეკრა თვალეზი. უეცრად თითქოს ცა შედგა/გადაექცა და თავზე ედგრება! შეაქრეოდა. ქვევით დაეშვა. თბილისში მისული ნახირივით მიაბლავლა მანქანამ. „სამუდამო სავანე“,—იფიქრა მაშინ და გული შეუკრთა.

— ნათელა, ნათელა!—მოესმა. თვალები გაახილა. ძლივს იცნო თამარი, დამდნარი ტუჩები აამოძრავა:

— ხელი მომეცი!

თამარმა ნათელას ჩონჩხადქცეული თითები ჩაბლუჯა და ზედ აკოცა. გამობრუნდა, სასტუმრო ოთახში მალხაზს მხარზე დაეყრდნო და ყრუდ აქვიტინდა.

— უკანასკნელ დღეშია ნათელა!— აღმოხდა.

უკვე მწუხარებას შეჩვეული ელიკო, ვით დედა თავის პატარას, კოვზით ხელში ისევ იმ სითხეს ასმევდა.

თავის მხრივ ნათელაც კმაყოფილი ბავშვივით ბოლოს ეტყოდა:

— მეყოფა!—და ეს იყო სულ.

აი, ნათელამ ისევ გაახილა თვალები და ელიკოს ჰკითხა:

— ბევრი სტუმარია?

— ბევრია, ნათელა!

— კარგი, ელიკო!—თითქოს ამით კმაყოფილმა მიუგო ნათელამ, მაგრამ ამ დროს, მის წინ ვიღაც მაღალი კაცი შეჩერდა:

— ნიკო? როგორ მოხდა? კმაყოფილი ვარ.

— როგორ ხარ, ნათელა?

— კარგად. აგარაკი მომიხდა.

ნიკოსათვის გასაგები იყო, თუ როგორი ირონიით ახსენებდა ნათელა აგარაკს, ამიტომ თვალი მოაჩიდა და გამობრუნდა.

ნათელას აღელვება დაეტყო. როცა ნიკო მეორე ოთახში გავიდა, ელიკოს უთხრა:

— ჰკითხეთ, მაგ ვაჟბატონს, საათმა ხომ არ დარეკა, რომ მომიკითხა.

ელიკო ადგილიდან არ განძრეულა. ნათელამ თითქოს გაუღიმა და შემდეგ დაასკვნა:

— გეზუმრე, ელიკო.

— ცოტა ხნის შემდეგ, ისევე იკითხა:

— ვინ არის აქ?

— ჩვენ ვართ, ნათელა.

— ბეჯანი მინდა. ბეჯანს დაუძახეთ!— რალაც დაჟინებით წამოიძახა და აწრიალდა. შეირხა. სახე მოექცა.

— კარგი, ნათელა, გამოვეუძახებ!— უთხრა ელიკომ და გავიდა. სასტუმრო ოთახში ტელეფონით სადღაც დარეკა.

დათა წიგნით ხელში შემოვიდა ოთახში, ნათელას საწოლთან შეჩერდა, ხმადაბლა სთქვა:

— ნათელა!

— აა, დათა, შენა ხარ?

— აი, რა მოგიტანე, ნათელა!— უთხრა და წიგნი უჩვენა.

— ვისია დათა?

— შენია, ნათელა, ბეჯანმა გიძღვნა.

— დათა, რას ამბობ?— წარმოსთქვა ნათელამ, წიგნს ხელი შეავლო, შეათვალიერა და გაუღიმა:— კარგია. კარგად შემინახეთ. არ დამიკარგოთ!— უთხრა დათას და ხელი ჩამოუფარდა. დახუჭულ თვალში ერთად ერთმა ცრემლმა გამოიონა და ბროლივით დაიმსხვრა...

... ლაბორატორიაში ის მარტო იყო. თავზე ხელები შემოეწყო, თვალი ოდნავ მოეხუჭა, თითქოს არც სუნთქავდა. ზევიდან დაშვებული შუქი, ვით ერთადერთი მოწმე იმისა, თუ აქ რა ხდებოდა, თითქოს ადამიანივით ეკითხებოდა: „შე შენ გელოდები, რას იტყვი, ბეჯან?“ მაგრამ ბეჯანი აღარაფერს აღარ ამბობდა.

თითქოს გენოს ხმა მოესმა, ტელეფონზე გთხოვენო და უბასუხა:

— გადაეცით, რომ მე აქ არა ვარ!

— ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოესმა:

— ნათელა გეძახისო, ვინ უნდა იყოს?

— ნათელაო? გენო, მოხუცო, ვინ დაიჯერებს, რომ ნათელა გეძახის?

— აგრე სთქვა, ბატონო!

— სიზმარია! რატომ... რატომ მეძახობდა!— სთქვა და წამოდგა. მიმოიხედა. თითქოს რალაც მოაგონდა უეცრად შეკრთა.

— ჯოჯოხეთო, ხმა არ გაილო!— თითქოს მუქარით დაიძახა და გარეთ გაიქრა...

მიჰქროდა. როცა მიადწია, გამოღებულ კართან შეჩერდა. სული ჩაითქვა, გულის ძვრით წააყურა და მოეჩვენა: შიგ ვილაც სტირისო. კარს ხელი ჩასჭიდა, თავი შეიმაგრა და შიგ შევიდა.

უეცრად გაკვირებული ხალხის წინაშე გახევებით შეჩერდა. ახლა მიხვდა, რომ მოეჩვენა.

საკემელთან შეჩერებული ნიკო იცნო და თავი დახარა.

— ბეჯან, თქვენ გთხოვთ ნათელა, — უთხრა ელიკომ.

— მე?— იკითხა. ცოტახნით შეჩერდა, შემდეგ გაემართა და ნათელას თავჩაქინდრული მიუახლოვდა, რომ გაიხედა, უეცრად უკან გადაიწია.

ნათელას ჩალურჯებულმა სახემ შეაკრთო, მომკვდარაო, — იტიქრა, მაგრამ უმალ ნათელას გაწვრილებული ხმა შემოესმა:

— ბეჯან, ჩემთან დაჯექი.

ბეჯანი დაჯდა.

— ელიკო, სიტყვა მაქვს ბეჯანთან. მაპატიეთ. მარტო დავგტოვეთ.

ნათელას ასეთ სურვილს ყველა გააკვირვა, მაგრამ მაინც ხმაამოუღებლად დასტოვეს ოთახი.

კუთხეში გაშეშებით ჩამჯდარი დედაც გავიდა. კარიც მოხურეს.

ბეჯანმა გალიაში ჩამწყვდევალ ვეფხევით მიმოიხედა, რადგან გასაქცევი ევლარ იპოვა, ბეჭებში მოიხარა და მოიწყინა.

— ბეჯან...— დაიწყო ნათელამ, —

მე ყველაფერი ვიცოდი, ბეჯან. დაგ-ტანჯე. მაპატიე. გრძნობის გამხელა მაინც არ მინდოდა. გერიდებოდი. ცუდმა დღემ მომისწრო. ახლა სხვა საქ-მეა. გულით ვერ წავიდე. როცა აზრი აღარ აქვს მაშინ გიბედავ.

— ნათელა!—იყვირა ბეჯანმა.

— ბეჯან, მოშისმინე: შენ მეტი გააკეთე, ვიდრე ერთ კაცს შეეძლო. მაგრამ მე გაგასწარი. იქნებ ერთი ნაბიჯით. მაინც არ ვნანობ. ჩვენი სიყვარულის ძეგლად იმ ადამიანების სიცოცხლე დარჩეს, რომელთაც მომავალში შენ გადაარჩენ შენი მიღწევით. განა ეს ცოტაა? ასეთ ძეგლს ვერასოდეს ეგლირებოდი.

— ნუ მომკლავ, ნათელა! — ისევ დაიყვირა ბეჯანმა, ველარ გაუძლო, ნათელას საწოლზე თავი დასდო და ცრემლები წასკდა.

— ბეჯან მოიწი, შუბლზე გაკოცო! ბეჯანმა მიიწია და როცა შუბლზე ნათელას სუსტი ამბორი იგრძნო, თვითონაც შუბლზე ეამბორა, ზეზე წამოდგა. აღარაფრის წინაშე შეჩერება აღარ უნდოდა. ყველაფერი, ყველაფერი ერთად უნდოდა ეთქვა—რაც დღემდე გულით ატარა.

— მე მუნჯი ვიყავ და ენა ჩამიდგო! როცა ქვეყნად ყველაზე ბედნიერი კაცი შევიქნენ მაშინ მომკალი! ნუ მომკლავ, ნათელა! მე შენი ბავშვი ვარ, წყალში ნუ მაგდებ!

ამ დროს ნათელამ, ვით სიზმარში მყოფმა, წამოიძახა: „მამაჩემი“, რაც ბეჯანს აღარ გაუგონია.

კიდევ კარგახანს გრძელდებოდა ბეჯანის გოდება. როცა შეჩერდა,—რაღაც გამგმირავი სიჩუმე იგრძნო, ნათელას მიეჭრა, თვალში ჩაახედა, შუბლზე ხელი დაადო და ხარივით იბღავლა:

— ააა!—ის მოჭრილივით დაეცა.

იწვა. გამოღებულ სარკმელში ნარი-ყალას მთას მისჩერებოდა. თენდებოდა. უყვირა:

იმოდენა ჭექა-ქუხილი რაც მან ამ ერთი კვირის განმავლობაში გადაიტანა, მთას რად არ დაეტყო, როგორ გადარჩა!

წინა დღით სოფლიდან ჩამოსული დედა უვლიდა გარშემო. თავზე ხელს უსვამდა, გადიოდა, შემოდიოდა, ვერ ისვენებდა.

თამარი და მალხაზი მოვიდნენ. დედას მიესალმნენ. ბეჯანთან დასხდნენ.

— რომ იცოდე, ბეჯან, თუ როგორ მოუთმენლად გელოდებიან.—უთხრა თამარმა.

— მელოდებიან? — გაკვირვებით ჰკითხა ბეჯანმა.

— შენს ლაბორატორიაში სიცოცხლე ჩაჰქრა და ჩამობნელდა.

— არა, თამარ! მეყოფა! პროფესია უნდა გამოვიცვალო. რა ჩემი საქმე იყო! მე მთაში წავალ და იქ ძროხებს ვწყვემსავე. ჩემი ხელობა მხოლოდ ეგ არის, სხვა არაფერი!

— როგორ, შენ გინდა, რომ წარმატება, რომელზედაც ქვეყანა აღაპარაკდა, წყალში ჩაჰყარო? — უთხრა მალხაზმა.

— ნულარ გამკიცხავთ! იარაღი, რომელიც თავის დროს არ გავარდებია, სჯობს გადააგდო! ცარიელ ხელს ვამჯობინებდი!

— კარგი მალხაზ, ბეჯანმა უკეთ იცის, ნუ აუღელვებთ, წავიდეთ. დროა!—უთხრა თამარმა.

ბეჯანმა თვალი გაკვირვებით გააღვინა მიმავალ მეგობრებს:

— მიღიხართ?

— მივდივართ, ბეჯან!—მიუგო მალხაზმა.

— ჰო, წადით, მაგრამ ნუ დამივიწყებთ.

წავიდნენ.

დედაც გავიდა.

ბეჟანმა თავზე საბანი გადაიხურა და ცრემლები წასკდა... ახლაც ნათელა დაუდგა თვალწინ, მისი უკანასკნელი სიტყვებიც მოესმა და უპასუხა: „ძეგლი? ჰო, მართლა, მართლა! რად მომავონე, ნათელა, რად ეს ძეგლი გულზე მაწეუბა, როგორ ავიტანო, როგორ გავუძლო! ისევ შენ მიშველი? რას ამბობ, ნათელა! თუ ეს მართალია მე შენთანა ვარ, მზად ვარ შენთვის!“ — საბანი გადაავლო; წამოიწია და ლოგინზე დაჯდა. თავბრულ დაესხა, თვალი მოხუჭა. ისევ ნათელა: „შენ იღიმები? ხელს რატომ მიქნევ? მოვდივარ, მოვდივარ, ნუ გამეპყვევი!“.

სთხოვა დედას და მან ტანსაცმელი შემოუტანა.

დედა სახეგაფითრებით მისჩერებოდა.

— რად მიცქერ, დედი? შენს სიტყვას ვასრულებ. მინდა ჩავიცვა.

— ჩაგაცმევ, შვილო.

ბეჟანმა გაუღიმა:

— დედი, განა ისეთივე პატარა ვარ, როგორც გახსოვარ? ალბათ ჩემს პაწია შარვალს მუთაქაში ისევ ინახავ, რად გინდა, დედი?—წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. ირხეოდა. ხელი უთრთოდა. მაინც იცვამდა.

ჩაცმა მოათავა. ხელ პირი დაიბანა საჩქელთან დაჯდა. გაფითრებულ სახეზე შემოდგომის ფერმკრთალი სხივები შეეხო და თვალზე ხელი ჩამოიფარა. გუგუნე მოესმა.

ორიოდე წუთის შემდეგ სოლომონის ხმა გაიგონა:

— სასიამოვნოა.

ბეჟანმა შესძახა:

— ბატონო სოლომონ!

— აა, ბეჟან, ბეჟან! როგორა ხარო? მიხარია, რომ წამომდგარხარო! უნდა გაუმაგრდეთ, უნდა დასძლიოთ! აი, თქვენი დედაც თავზე გადავთ და მას დაუჯერეთ!

— სისუსტე გამოვიჩინე!

— ეგ არაფერი, მხოლოდ სამიში აზრები დაგბადებიათუ კეჭეს ყუფერ გაპატიებთ!—უთხრა სურღმურჩევი და მოშვებულ წვერზე ხელი დაისვა.

— ცუდი აზრები?—გაიკვირვა ბეჟანმა.

— მთაში წავალი იცით რას გეტყვით! თქვენ პატარა მიკროსკოპში უფრო დიდი მთა შეგიძლიათ აღმოაჩინოთ!

— რაღა ჩემი მუშაობა, ერთი აღომიანიც ვერ გადავარჩინე!

— როდესაც ერთს გადაარჩინეთ,— მილიონებიც გადაარჩებიან! ისინი ახლაც გველოდებიან და ვის აქვს უფლება, იმათ ხმას ყური არ ათხოვოს!

ბეჟანმა, როგორც მოწაფემ მასწავლებლის წინაშე, თავი დახარა.

— დამნაშავე ვარ!

— არა! თქვენი ბრალი არ არის! მხოლოდ საჭიროა, იცოდეთ! ახლა კი ნახვამდის, ბეჟან!

— წამიყვანეთ, ნულარ დამტოვებთ!—სთხოვა ბეჟანმა.

სოლომონი ახლოს მივიდა, ბეჯითად უთხრა:

— როგორ იქნება. უნდა მომჯობინდეთ, გამაგრდეთ. შემდეგ კი მოხვალთ.

— მინდა ვნახო, რა ხდება. მე ბავშვობიდანვე უნდა დამეწყო, დავავიანე, ვერ მოვასწარი, მაგრამ... წამოვალ!

— კარგი, წავიდეთ!—დაეთანხმა სოლომონი და წაიყვანა.

დედამ ძლივს შევებით ამოისუნთქა...

... ძირს ჩავიდნენ, აეტოში ჩასხდნენ და გაემართნენ.

„მივდივარ, მივდივარ!“ — თითქოს ახლაც ნათელას მოლიმარე თვალებს უპასუხა და სოლომონის დამშვიდებულ სახეს, როგორც პირველ ნიშანს მეცნიერებაში საიმედო ამინდის დადგომისა, თვალი შეავლო.

აეტო შეჩერდა. ჩამოვიდნენ.

მოხუცმა ახლაც ხელი მოჰკიდა ბე-
ჯანს და ინსტიტუტში ერთად შევი-
დნენ.

— ბეჯანი! ბეჯანი!—დაიძახეს თა-
ნამშრომლებმა და მიესივნენ.

ბეჯანი ახლა უფრო გამხდარი, წვერ-
მოშეებული და გაფითრებული იმ ლა-
ბორატორიის წინ შეჩერდა, რომელ-

შიაც მუშაობდა. ცოტა ხნის შემდეგ
გივის მიმართა:

— კარი გავალთ, ერთად გზადეს-
წიოთ, მზე შემოეღებთ. იქნებ ღამე და
ძილი გავაძევო ჩემი ცხოვრებიდან!

და ლაბორატორიის კარი თვითონ
გააღო.

რუსული კლასიკური პოეზია*

გ. ლეჩავინი

★

მერცხალი

მერცხალო დაუღუმარო,
 ო, მეოჯახე ჩიტო!
 ზაფხულის ლაღო სტუმარო
 და მგალობელო მშვიდო!
 ბანზე სიმღერას გასძახი,
 ბუდეში გალობ ეშხით;
 ფრთებს ამრიალებ ცახცახით,
 ზარს აწყრიალებ ყელში.
 როცა ჰაერში სრიალებ,—
 თამამად ფრთებსა სწურავ;
 ხან მინდორს ზედ დასტრიალებ,
 ხან ცაში ლაღად სცურავ.
 ხშირად-კი წყალთა სარკეზე
 ნაეარდობ ადრე დილით,
 გეთამაშება, დაგეძებს
 შენივე ფრთების ჩრდილი.
 უსწრაფესი ხარ ელვაზე,
 ვეღარ მიგწვდება თვალიც.
 დანახვას თვითონ ვერ ასწრებ
 შენი უხილავ კვალის.
 მაგრამ ზევიდან დასცქერი
 ქვეყანას, ნოხად გაშლილს:
 იქ კოშკებს, ოქროთ დაფერილს,
 იქ გემებს, ჩამდგარს წყალში;
 იქ ტყეა, შორს-კი—სერები,
 იქ ჭალებს ზედავ მწვანეს,
 იქ გროვას მსუბუქ მწერების,
 იქ—მოოჭროვილ ყანებს.

* ქართველი საბჭოთა პოეტები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის გამოსაცემად ამზადებენ რუსულ პოეზიის ანთოლოგიას ქართულ ენაზე. ვებედავთ ნიმუშებს ამ ანთოლოგიიდან.



იქ ტალღა კლდეს ეფერება,
 ნაკადი ჩარბის ზღვაში,
 ხედავ ბუნების მშვენიებას
 ზაფხულის ფერთა ცვლაში.
 მაგრამ გისწრებენ აედრები,
 მზის დაიხრება სხივი,
 ზამთარ—მიწაში ჩაძვრები,
 ხარ ყინულივით ცივი.
 წევხარ შევ მიწის კალთაში,
 ელი გაზაფხულს ჩუმაღ,
 ვარდი რომ ფოთლებს გადაშლის—
 მკვდრეთით აღდგები უმაღ;
 აღდგები თვალთა გახელით
 და გაისწორებ ფრთებსაც,
 ახალ სიცოცხლის მნახველი
 უგალობ ახალ მზესა.
 სულს! ამ ქვეყნის სტუმარო!
 შენც იმ ფრინველის ფრთა ხარ.
 ჭნარო, უკვდავ სულს უმღერე,
 მეც ზომ ავლსდგები საღად!
 ავლსდგები და ცის ეთერში,
 პლენირავ, შენ ზომ გნახავ?

1794 წ.

თარგმანი ალ. აბაშელიძისა.

ა. კუხიანი



19 ოქტომბერი

1.

ტყეს შეწამული სამკაული ძირს ეფანტება,
 თრთვილი დამპყნარ ველს გადაჰყვრია ვერცხლისებურად.
 დღე თითქოს მიწას გადააელებს თვალს უნებურად
 და გარს მდებარე მთებს გადაღმა გადაქანდება.
 ჩემო ბუხარო, იგიზგიზე ასე ძლიერად,
 შენც, ღვინოვ, როგორც შემოდგომის სუსხის ძმობილმა,
 თრობის ხალისი წამიკიდე, რომ წამიერად
 მწარე ტკივილი დაევიწყო გულდაკოდილმა.

2.

ენდვლობ. არა მყავს მეგობართა შორის არაფერ
 ახლა აქ მე, რომ ჩამოვართვა მხურვალედ ხელი,
 რომ შევსვათ ერთად, რომ ვუსურვო მრავალი წელი
 უღარდელი და მწუხარებით გაუმზარავი.
 ვსვამ ასე მარტო. ამათა ოცნების ფრენა,
 ამხანაგთადმი მიმართული ეს მოწოდება;
 ფეხის ნაცნობ ხმას ვერ დაიჭერს მახვილი სმენა,
 ძვირფასის მოსვლას ჩემი სული არც ელოდება.



3.

ვსვამ ასე მარტო და ვიცი, რომ ნევის ნაპირზე
 დღეს მეც მახსენებთ, მეგობრებო, სადღეგრძელოთი.
 მაგრამ ყველანი კი მოვიდნენ, ვისაც ელოდით?
 კიდევ რომელი არ აღმოჩნდა აღთქმულ ნადიმზე?
 ნეტავ რომელმა დააარღვია მზიბლავი ჩვევა,
 გზა ვის გადუჭრა მაღალი წრის ცივმა წიაღმა?
 ვინ არ მოვიდა? ვინ იმსხვერპლა ცხოვრების რბევამ?
 გამოძახილზე დღეს პასუხი ვის პირს შეახმა?

4.

ის არ მოვიდა თმახუქუქა, თვალცეცხლიანი —
 ჩვენი ხმატკბილი მომღერალი გიტარით ხელში:
 სძინავს მას დაფნით დაფარული სამარის ბნელში
 და თავს დასცქერის იტალიის ზეცა მზიანი.
 რუსული სიტყვა რამდენიმე ნეტამც ჭვისათვის
 მიენდო ვინმეს მეგობრული, მზრუნველი ხელით,
 რომ უცხო მხარეს ჩრდილოელი მოხეტისათვის
 ის ყოფილიყო ნადვლიანი სალაშის მთქმელი.

5.

ზიხარ ამჟამად მეგობრებით გარემოცული
 შენ, უცხოეთის მიწა-წყალის მიჯნური ფიცხი?
 თუ კვლავ ტროპიკი გადალახე დამწვარი სიცხით,
 ან ყინულოვან ოკეანით ხარ წამოსული?
 გზა მშვიდობისა!.. ლიცეუმის კიბეებიდან
 გეშუე გადახველ, — ნაოსნობა გექცა ხალისად.
 შემდეგ შენი გზა წარიმართა ზღვებზე ზღვებიდან,
 ყრმავ სანუკვარო ტალღების და ქარიშხალისა!

6.

მშვენიერ წელთა ზნე ბავშვური ამ ხეტიალში
 არ დაგიკარგავს, ო, მოძულევ მედარ სიძუმისა:
 აღრზაური და გართობა ლიცეუმისა
 გენატრებოდა თვით ზვირთების გმინვა-გრაილში;

გქონდა შენ ჩვენსკენ გამოწვდილი ზღვებიდან ხელი,
და იყო საკვებ სული შენი მხოლოდ ჩვენითა;
ამბობდი ხშირად: განშორება ხანგრძლივი, ძნელი
მოგველის ბედის იღუმალი განაჩენითა!



7.

ო, მეგობრებო, ძვირფასია კავშირი ჩვენი!
ის მარადია და სულივით დაურღვეველი —
თავისუფალი, უზრუნველი და ურყეველი,
იკურთხა იგი მოზეიმე მუზების ენით.
არსად—ცხოვრებამ, სულერთია, თუნდა გვახაროს,
თუნდა საწამლავს შეგვასმევდეს იგი მწარესა, —
არ შევიცვლებით: უცხოეთად ვიცნობთ სამყაროს,
ხოლო სამშობლოდ—ლიცეუმის არე-მარესა.

8.

დამაქროლებდა აქეთ-იქით გრიგალი ავი,
მაგრამ, გაბმულმა უსასტიკეს ბედის მახეში,
ვბოვე ახალი მეგობრები სივავლახეში
და მათ მივენდე მოალერსე, მოღლილი თავით.
თითქოს მეშველა: მადლიერი აღარ ვნადვლობდი;
მე მამხნევებდა ყმაწვილური იმედი მნათი,
როს ნაზი სულით იმ უცხოებს დაეუახლოვდი,
მაგრამ ბოლოს კი გამიმწარდა სალამი მათი.

9.

ახლა ამ კუთხეს მიყრუებულს, მიუნდობარსა,
სადაც მკვიდრობენ მკაცრი ყინვა და ნამქერები,
ცამ გაუღიმა უეცარი ბედნიერებით:
მე სამს თქვენთაგანს, ჩემი სულის ტკბილს მეგობარსა,
აქ მოვეხვით. განკიცხული პოეტის სახლი,
ო, პუშკინ ჩემო, შენ პირველმა მოინახულე
და მისი ცივი განდევნის დღე, აღსაესე ნადვლით,
დაუეწყარი ლიცეუმის ცეცხლით ახურე!

10.

შენ, გორჩაკოვო, სიყრმიდანვე ხარ ბედნიერი;
ქება-დიდება, რომ ფორტუნამ სხივების ფენით
თავისუფალი ვერ შესცვალა ეგ სული შენი, —
მეგობართათვის არ გაკლია ძველი იერი.
ჩვენ ხომ ცხოვრებამ დაგვისაზა სხვადასხვა გზები
და ურთიერთის თვალთახედვას მივეფარენით,
მაგრამ ერთმანეთს მოვეხვით, ისე ვით ძმები,
როცა შარაზე უცაბედად შევიყარენით.

11.

მსხვერპლი რომ გავხდი ბედისწერის განრისხებისა,
 ყველასთვის უცხო, უსახლკარო თბოლის დარად,
 შენ ქარიშხალ ქვეშ თავდახრილი გელოდი წყნარად,
 მესაიდუმლევ პერმესელი ქალწულებისა!
 კიდევ მოხველი, მეოცნებე გაზანტებული,
 ო, ჩემო დეღვიგ! შემომესმა შენი ხმა მკვეთრი,
 მან გულში ცეცხლი გამოღვიძა მიძინებულნი,
 და მე დავლოცე მხნე იმედით ჩემივე ხვედრი.

12.

სიყრმიდანავე სასიმღეროდ გვითრთოდა სული,
 და ეს ღვთიური მღელვარება რას არ გვერჩია!
 სიყრმიდანავე ორი მუხა შემოგვეჩვია,
 და მათ ალერსში ნეტარება ვიგემეთ სრული.
 მაგრამ უკვე მე იმ თავითვე მიყვარდა ტაში,
 შენ კი, ამაყი, სულს უმღერდი მშვიდ ოცნებაში,
 ნიჟს, ვით სიცოცხლეს, მე ხელგაშლით ეხარჯავდი ძამრ
 ვენიას შენსას შენა ზრდიდი მყუდროებაში.

13.

ფუქსიავატობა მუხათ მსახურს აყენებს ზიანს,
 მშვენიერება ვერ მოიშლის დიადობასა,
 მაგრამ ვენდობით სიჭაბუკის მაცდურ ბჭობასა
 და სიხარულით ვეტანებით ოცნებებს ხშიანს.
 გამოფხიზლდებით — გვიანლა! და სევდით სავსე,
 წარსულს გავსცქერით უნაყოფო, უქმი მშერიტა.
 სთქვი, ეს ზომ ასე გამოვსცადეთ საკუთარ თავზე
 ო, ვილქელმ, ძმაო მუხითა და ბედისწერითა?

14.

დრო არის უკვე შეცდომებზე ავილოთ ხელი!
 არ ღირს ქვეყანა ჩვენი გულის ამდენ ჭრილობად
 გვიჯობს მიმაღვა ცხოვრებისა და მარტვილობა!
 შეფერხებულა მეგობარო, საჩქაროდ გელი —
 მოდი: ამბავი მომიყევი მოქარგულ ენით,
 ვაახალისე გული ჩემი ბინდით ფარული;
 აგვაციცხლებენ კავკასიის მქუხარნი დღენი,
 დიდი შილერი, დიდებანი და სიყვარული.

15.

მოდის ჩემი დროც... არ დაიკლოთ, ძვირფასნო, ლხენა!
 ტყბილი შეხვედრის ბედნიერი წინათმგარძნობელი,
 მე ვარ მისნური, საგულისხმო სიტყვის მთხრობელი.
 ვაირბენს წელი და თავს ერთად მოვიყრით ჩვენა!

ასე მოხდება, არ მიმტყუნებს გრძნობა მახვილი:
 გაირბენს წელი—და თქვენს წრეში მნახავთ ჩართულსა!
 რამდენი ცრემლი და რამდენი ამოძახილი!
 ვინ დასთვლის მაშინ საესე თასებს ზეამართულსა!



16.

ყველამ, ო, ყველამ გაავსოს და ფსკერამდე შესვას
 თასი პირველი—სადღეგრძელო ჩვენი ძმობისა!
 გვიკურთხე, მუზავ, ის ძვირფასი ბუდე ყრმობისა-
 გვიკურთხე იგი: გაუმარჯოს ლიცეუმს ჩვენსას!
 ვახსენოთ ჩვენი აღმზრდელები, მოამაგენი,
 ცოცხლებიცა და ჩასულებიც სამარეს შავსა,
 პატივისცემით მივიაგებოთ თასებს ბავენი, —
 მადლი სიყეთეს, გაძევება ხსოვნიდან ავსა!

17.

იღზინეთ, ვიდრე დარეკავდეს საათი ჩვენი!
 ვაი, ხომ ხედავთ, რა სისწრაფით ეს წრე თხელდება,
 ვინ კუბოში წევს, ვინ შორსმყოფი მარტოხელდება!
 ბედი გვდარაჯობს, უკვე ვკენებით; გარბიან დღენი;
 ვკარგავთ მალულად, შეუმჩნეველად სიბოროს, მხნეობას,
 ჩვენსავ დასაბამს გვაახლოვებს დრო გაფრენილი.
 ო, სიბერეში ლიცეუმის ნათელ დღეობას
 ვინ იზეიმებს ჩვენთაგანი მარტოდ შეთენილი?

18.

შესაბრალისი მეგობარი! ახლებში—ძველი,
 სხვა თაობებში ზედმეტი და უცხო სტუმარი:
 გულისტკივილით მოგვიგონებს იგი მღუმარი,
 და თვალებს მისას მოცახცახე დაჰფარავს ხელი...
 დე, მაშინ ეს დღე გაატაროს, თასის წინ მჯდარმა,
 მან სვედიანად, მაგრამ მაინც სიხარულითა,
 რიგორც ახლა მე, პატივყარილ პატიმრის დარმა,
 ის გავატარე აქ სიამით საესე გულითა.

თარგმანი ქონსტანტინე ვიზინაჩისა.

ნ. მ. იაზიკოვი



მცურავი

ეს ჩვენი ზღვა უნდო არი,
 დღე-ღამ ღმუის დაღახვრული;
 ბევრი ცოდვა, ბევრი ბრალი
 მასში არის დამარხული.

მარჯვედ, ძმებო! ქარით სავესე
 მე გავშალე აფრა ჩემი,
 გაფრინდება პირქუშ ზღვაზე
 ფრთავაშლილი სწრაფი გემი.



ქარი ღმუის, ტალღა მძლავრობს
 ზედ ღრუბელიც ლაშქრად ცურავს,
 ქარიშხალი დგება, ძმანო,
 შევებრძოლოდ ვაეკაცურად.

მარჯვედ, ძმებო! ცა იქუხებს,
 აღულდება ტალღა მტრული,
 შეასკდება ზვირთი ღრუბლებს,
 გაღრმავდება ზღვის უფსკრული.

შორს, იქ, გაღმა, აედრის გაღმა
 სანატრელი არის მხარე,
 მარად ბრწყინავს ზეცის თალი
 მარად სუფევს იქ სიწყუნარე.

მაგრამ გაღმა მხოლოდ აღწევს
 სულით მტკიცე, სულით მყარი,
 მარჯვედ, ძმებო, ქარით სავესე
 ჩემი აფრა მტკიცე არი.

1828 წ.



ელეგია

ხალხის რისხვას სძინავს ისევ,
 რუსთ გონებას ზუნდი ადევს,
 გამბედავი აზრი მტკიცე
 თავისუფლად არ ლაღადებს.

ო, ხუნდები ძველისძველნი
 კვლავ ედება მამულს ას წელს,
 კიდევ ბევრი წაელენ წელნი —
 ეძინება რუსეთს ასე.

1824 წ.



ელეგია



ნუ გაფრინდები, ნუ გაფრინდები,
მშვენიერებაე ცოცხალ ოცნების,
შენით სამოთხე გულს უბრუნდება
და წარსულ დღეებს ესხივოსნები.

როგორც სიზმრები გაქრენ ის დღენი,
მაგრამ სულ მათკენ ისწრაფვის სული,
რომ ტკბილ სიზმარში ნახოს
ერთხელაც
დღეები ისეც დასიზმრებული.

ასე გრიგალში, დიდ ქარიშხალში
უცებ მოხვედრილ მგზავრს ენატრება,
რომ დაინახოს პირქუშ ზეცაში
ლაქვარდის მცირე გამონათება.

1824 წ.

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა.

ა. კოლმევი



ტყე

(მიძღვნილ პუშკინის ხსოვნისადმი)

ტყეო უღრანო,
რას დაღვრემილხარ?
მწუხარე ფიქრით
რად შენისლულხარ?

ვით ბოეა-გმირი
ნათილისმარი,
მძიმე ბრძოლაში
ქუდმოგლეჯილი, —

სდგეხარ თავდაბრით
და ქარიშხალსა
ზეგადარბენილს
არ ეომები.

ხშირ-ფოთლოვანი
მწეანე ზუჩი შენ
ქარმა მოგტაცა
და მიმოჰფანტა.

დაშლით დაგვარდა
ძირს მოსასხამი...
სდგებხარ თვედაზროი
და აღარ ომობ.



სად გაჰქრა შენი
სიტყვა მაღალი,
ძალა ზვიადი,
სიმხნე მეფური?

შენთან ისმოდა
მღუმარ ღამეში
ბულბულის ტკბილი
სტვენა-წყრიალი...

შენთან მუდამ ხომ
სიცხიან დღესა
მტერი, მოყვარე
გულს იგრილებდა...

გქონდა შენ ხოლმე
გვიან საღამოს
უკმეხ გრიგალთან
მკაცრი ბაასი;

გაშლიდა იგი
შავსა ღრუბელსა
მოგეხვევოდა
ქართ ცივითა.

და შენ ეტყოდი
მქუხარე ხმითა:
„გაბრუნდი უკან!
ვანზე მიბრძანდი!“

იწყებდა ტრიალს,
გააფთრდებოდა...
შენც ტორტმანებდი
მკერდაზიდული;

აიშლებოდი,
აღელდებოდი:
გარს გაისმოდა
სტვენა, ქუხილი...

ის ტყისკაცივით
 ატირებული
 ღრუბლებს ზღვას იქით
 გადალაღვდა.



აწ რამ წავართვა
 მწვანე ძაღლონე?
 გაშავებულხარ,
 გადანისლულხარ...

სდუმხარ ვერანი,
 მხოლოდ აედარში
 სჩივი ღმუილით
 უხანობასა...

მაშ ასე, ტყეო,
 ბოვა დევ-გმირი!
 იყავ ომით შენ
 სულ დაქანცული.

ვერ მოგერიენენ
 ძალით სავსენი,
 შავ შემოდგომას
 კი ვერ გაუძელ.

ალბათ, ძილის დროს
 უიარაღოს
 თავზე დაგესხა
 მტერი ვერაგი.

მზრებს გოლიათურს
 თავი მოჰყვეთეს
 არა დიდის მთით —
 ჩალის დეროთი...

თარგმანი კონსტანტინე შიშინაჟისა.

აკაკანი



ის იყო ავტო შედგა წითელ ალაყაფთან. ვიდრე თანმხლები დაფაცურდებოდა, მოხუცი აკადემიკოსი უკვე მიწაზე იდგა. სახე უცინოდა დარბაისელ მეცნიერს, მოხშირებით სუნთქავდა. ძელისთავიან ალუბლისფერ არგანს ხელისგულებით თითისტარივით ატრიალებდა. მტვერი ევლებოდა არგანის ბოლოს. ასე იდგა და გაჰყურებდა მესერზე გადმოფენილ გარგარისა და აღჯანაბადის ტოტებს, ვიდრე ალაყაფს გაულებდნენ...

ამასობაში გვერდით ამოდგომა მოასწრო თანმხლებმა, ხელი წაატანა იდაყვზე. იუკადრისა მოხუცმა, მკლავი გამოსტაცა, ალაყაფი შეიარა და თითქოს მკვირცხლად წარემართა ორ გოლიათ კაკლის ხეებს შორის ჩამჯდარ შენობისაკენ, რომელიც საკმაო სიდიდის მიუხედავად მომცროდ მოსჩანდა კაკლის ხეებში... თანმხლებს უკვირდა მოხუცი მეცნიერის ასე უეცარი გამოცვლა. ჯერ კიდევ გუშინ თბილისში სხვის მკლავზე დაყრდნობას არა თაკილობდა, ჯოხსაც გულმოდგინედ ხმარობდა. ახლა არავის უცდიდა, მუხლი გაემართნა, წელი სწორად მიჰქონდა, არგანს მიათრევდა, თანმხლებს ეამებოდა. ის ექიმი იყო... მან ებარა ხანდაზმული მეცნიერის ჯანმრთელობა და ახარებდა მისი ასეთი გამხნევება, თუმცა იცოდა, გაახლისებდა მოხუცს მშობლიური სოფელი, ბავშვობისდროინდელი გარემო, მაგრამ მაინც საკვირველი იყო, განა, მხოლოდ, გახალისდა; განა მარტო სიმე მოეფინა, თითქოს ყრმის სიმკვირცხლე შეიძინა... აი, კიბეზე შედგა და

თითქოს უნდა შეფრინდეს აივანზე, აიწია, მაგრამ—ვერა!.. ღრმად ამოისუნთქა, მოაჯირს მოშვებით დაეყრდნო. მაინც ნეტარება ჩასწოდა თვალებში, თუმცა სიბრალულიც ვერ დამალა, როცა ექიმი ზრუნვით აფუსფუსდა ავტოდან გადმოღებულ პატარა აფთიაქთან.

მართალია, ძალა იგრძნო და სხვისი მკლავი იუკადრისა, მაგრამ სხვენის კიბესთან მისვლისას გამოტყდა, რომ არც იმდენი სიყოჩაღე გააჩნდა. სოფლად ამოსვლისთანავე ყოველთვის სხვენზე ავიდოდა, გადადგებოდა ჩარდახზე და სტკებოდა ბრუტსაბჭელასა და დიდი ლიახვის ცქერით, სალთვისის ველზე მობიბინე ჭირნახულის ჭკრეტით. ყოველ სისხამზე მზეს აასწრებდა ჩარდახზე ასვლას და გაჰყურებდა მზის ამოსვლას... იდგა ჩარდახზე, ვიდრე მცირე სუსხი არ მოილეოდა, სუსხი, ქართლში მკათათვის დილასაც რომ არ ილევა. ახლა უარი უნდა ეთქვა ამ ჩვეულებაზე. კედელს დაყოლებული რკინის ვიწრო ხლართებზე ასასვლელად მთელი ძალის დაძაბვა, ხელფეხის დაჭიმვა და, მართლაც, კაბუჯის სიმკვირცხლე იყო საჭირო, სულმა წასძლია, მაინც ეცადნა ასვლა. მაგრამ იცოდა, სახის ფერი ოდნავაც რომ გამკრთალებოდა, დაიწყებოდა ექიმის წუწუნი, წვეთების თვლა, სადილისა და ჩაის კოვზების მონაცვლეობა წამლის შუშებთან.. აფთიაქი დიდი სიფრთხილით აჰქონდათ აივანზე. ექიმი ხან წინ მოექცეოდა, ხან უკან, ყოველ წამს აფრთხილებდა ამტანებს, თან ჰკითხულობდა, სად მო-

ეთაქვებინათ... აკადემიკოსმა ზურგი შეაქცია, სადაც სურთ, იქ მოათავსონ, ოღონდ შორს შორს მისგან. რაც შეეძლო სწრაფად შეიარა სასტუმრო, სასადილო, მამის ოთახი, ბავშვების ოთახი (როგორც წინათ უძახდნენ) და დედის ოთახის კარი შეაღო მოკრძალებით. თითქოს იქ, მართლაც დედა ეგულებოდა. შიშობდა არ დაერღვია მყუდროება.

ეს ნათელი, სადა ოთახი ნირუმული იყო დედის გარდაცვალების შემდეგ. იატაკს ოთხივე მხრივ ჰფარავდა ხალიჩა. მარჯვნივ კუთხეში დავით აღმაშენებლის პორტრეტი ესვენა, დედის ნაქარგთაგან ყველაზე უკეთესად შესრულებული... პირდაპირ წითელი ხის საწოლი იდგა. კრიალებდა საწოლის წიბოხლართიანი მაღალი თავბოლო. ლანდი ჰკრთებოდა კრიალა ფერში და, რაც ყველაზე მეტად აღელვებდა აკადემიკოსს ამ ოთახში, ეს იყო საწოლთან მიდგმული წითელი ხისავე კრიალა აკვანი. ახლაც, პირველყოფლისა, მას მოეალერსა, ხელი მოჰხვია ნეტარფენილმა. აკვნის კამარაზე გასდო მკლავი, ლოყით შეეხო, როგორც დედას სჩვევოდა. თვალნი მიწაბა. იმ ადგილს დედის ლოყა შეჰხებია—ვინ იცის—რამდენჯერ?! ცოტა დრო ზომ არ უნდოდა შეიდი ვაეიშვილის ფეხზე წამოყენებას!.. კამარას რკალთან შეიდი მკრთალი ჰქედ ჰქონდა. მეშვიდე მძებში ყველაზე უმცროსის, აკადემიკოსისა იყო. ექვსთაგან ცოცხალი აღარც ერთი გადაარჩა... მეშვიდე ეალერსებოდა აკვანს. აჩხაკუნებდა კამარაზე ჩამოკიდებულ ქარვისა და ნიქარის მძივებს. ამ მძივებით ისწავლა პირველად მკლავის შემართვა, თითების მოძრაობა. უპირველესი სურვილი მძივთა მიწვდენა იყო და, ახლა როცა ბევრ რამეს მისწვდენოდა, ზემოდან გადაეხვია ხელი, ზემოდან უალერსებდა აკვნის მძივებს.

კარგახანს იყო ასე. არაფერ შედიოდა, არაფერ აკრთობდა, თითქოს ჩქამი მოესმა, ეგებ შეიხედეს კედელს, მაგრამ მოერიდნენ განცდეს და დაეძინეს. თავის აკვანს მისტებობოდა ხანდაზმული აღამიანი. სამოცდაათიოდ წლის წინ წამომდგარს, თითქოს, კვლავ აკვანში მოექცია არსობა. შესციციენებდა აკვანზე დახრილ დედას, მხრებს სწევდა. მკლავებს იწვდიდა. ჩხაკუნებდა კამარაზე ჩამოკიდებული მძივები, სიფრიფანა ნესტოებს ზესწევდა ბავშვი, ალბათ იცინოდა... ნეტავ რამდენ ხანს გასტანა ამ მღვამარეობამ?! როცა წამოღვა, ერთხანს არც იცოდა, სად იყო, სოფლად თუ თბილისში, მტკვრის სანაპიროსთან—თავის კაბინეტში.

სარკმელი გააღო.

ბაღს იმ მხრიდან ტყრუშული ღობე ერტყა. ღობეს გადაკვერცხილი ბუჩქის რიგები ჩასდევდა... იქით კოლმეურნეობის ხილნარი იწყებოდა. ჯერ აღრე იყო, ფოთლიდან არ ერჩეოდა ნაყოფის ფერი... ორღობებში ახალგაზრდებმა ჩაიარეს, მდამლად მიესალმენ. შესციინა, თავი დაუკრა აკადემიკოსმა. თვალი მაინც მათ უკან მომავალ მოხუცზე შერჩა. იმანაც შეამჩნია, ნაბღის ქუდი მოიხადა, შორიდანვე გაშალა მკლავები, სიხარულის ამოძახილით გამოექანა. ჯერ ღობესთან შედგა, იქიდან გაესიტყვა აკადემიკოსს, მერე გზისკენ გაეშურა, ეზოდან მოსაეღვლად, მაგრამ შედგა, ალბათ—ეშორა, ისევ ღობეს მიეჯაჯგურა. აიწია, ეძნელა, გაუჭირდა, მაგრამ მაინც გადაფოფხდა ღობეზე. აკადემიკოსი იცინოდა, აქუნებდა. როცა ბავშვობის თანატოლნი ერთმანეთს შეეხდნენ, აკადემიკოსმა ჰარმავობა უქო.

— მე ჩარდახზე ვერც კი ავედი, წარმოგიდგენია?!

— ვერა, შენი ჰირიმიე, ჩარდახზე მაგ ჯამბაზის კიბით მეც ვერ ავალი.. ღობე კი, ღობე ჩემი მოწუნულია! ისეთ

ლობეს რად გავაკეთებ, ვერ გადავლახო!..

კოლმეურნე დაჯდომას არ აპირებდა, ეშურებოდა, შეჰხაროდა სიყრმის ტოლს, თუმცა ძუნწად ლაპარაკობდა. თვალი აკვანს მოეტაცნა. დაიჭირა აკადემიკოსმა მისი ხარბი მზერა. რად შეჰყურებდა ასე?! ისიც აკვანში აღიზარდა, შეიღებოდა აკვანში წამოჩიტა!.. უცხო არ იყო აკვანი... მისი აკვანი, ალბათ, შედარებით უბრალო ხისგან იყო ნაკეთები. არც ისეთი ლამაზი ჩუქურთმა ჰქონდა, მაგრამ რას დაგიდევდა მეტისმეტ ლაზათს, დანიშნულება იმნაც აღასრულა!.. ეგებ აკვანის ხილვამ მასაც აკადემიკოსის განცდა მოჰგვარა, ვახსენდა დედა, აკვანის კამარაზე ჩამოფენილი თავშლის ყურები... დადუმდა აკადემიკოსი, უფრო მეტმა სითბომ, მეტმა საღებუნმა შეიპყრო. დუმდა კოლმეურნე გლეხიც. მაგრამ მისი დუმილი მტკბარი განცდის ბრალი არ იყო, გაუბედაობას შეეკრა კრიჭა. ბოლოს მაინც დასცდა:

— ჩემ რძალს ტყუბი ქალვაყი შეეძინა. ერთი აკვანი კი გჰქონდა, მაგრამ... მეორე?! დიღას აქეთია სამუშაოს მოვედი, დავეძებ, შეზობლებშიც ვერ მიშოვნია!..

შეკრთა აკადემიკოსი, უნებლიედ აკვანს ჩამოეფარა. იცოდა, დაჩივლება თხოვნააო. ეს სწორედ თხოვნა იყო. ბავშვობის მეგობრის თვალებიდან გაუბედაობა გადამქრალიყო. ახლა თამამად, აშკარად ციალებდა. ამგვარად მხოლოდ გამელაყნების შემდეგ ჰკრთის თვალი... ახლა ჩამოფარება ველარას უშველიდა, ვერც ვადამალვა... სულაც რომ არ დაენახა, ხომ დაიჩივლა. ძალუძს, უნდა დაეხმაროს!.. სდუმდა აკადემიკოსი, ახლა, გაუბედაობას დამედუმარებინა, მაგრამ ვერ გაბედა ვაჭბილება

— აი, მე გათხოვებთ, ოღონ გაუფრთხილდით თვალისჩინივით!

— ოპოპო, როგორ გეტყვობათ!.. ჩემი შვილიშვილიც თუ ამ აკვანში არ ჩაწვა, იმი პაპი ცხენებამ!

ამ მოკრძალებამ დაიწყეს გამაწყარალა წრფელი აკადემიკოსი, მართლაც, ჯიუტადაც რომ ეუარნა, უსაზუოდ გაატანდა. სინანული სრულიად გამქრალიყო მისი გულიდან. მაგრამ, როცა მოხუცმა დიდი სიხარულით გაიტანა აკვანი, ათრთოლდა აკადემიკოსი, რამდენჯერმე შემოტრიალდა ერთ ადგილას, თითქოს რაღაც უნდა ეყვირნა, ეგებ აკვანის უქანადბრუნება სურდა?! არა, სიტყვას არ გასტეხს! მაგრამ რა საოცრად დაეწიეღა დედის ოთახი?! არც იმდენი ადგილი ეჭირა აკვანს, შეიღებდა აქ ორი სკამი დაიდგას, მაგრამ აივსება აკვანის მოცულობა? დასტოვა დედის ოთახი, რაც შეეძლო სწრაფად გავიდა აივანზე. აკვანი უკვე ალაყაფში გაქონდათ. მზეზე ბზინავდა აკვანი.

— მოიცა!.. ამოსცდა აკადემიკოსს.

შედგა ოდნავშემკრთალი ბავშვობის მეგობარი.

აკადემიკოსი მიუახლოვდა, დააბნია მისმა თვალებმა.

— მე მინდოდა... მინდოდა.. მგონი ასე სთქვი: ჩემს რძალს ქალვაყი შეეძინათ... ასე არა სთქვი?!

— ეგრე მოგახსენეთ!..

— მაშ, ამ აკვანში ვაყი ჩააწვინეთ, უსაზუოდ ვაყი!.. ამის თხოვნა მინდოდა!..

— ვაჟს ჩააწვენთ, პაი პაი, ვაჟს ჩააწვენთ!..

კოლმეურნე იცინოდა.

გაიციან აკადემიკოსმაც... მოლლიყო, თრთოდა, ფითრისფერი მორევოდა. მართლა ეს უნდოდა?! მართლა ამიტომ გაედევნა?! როცა ექიმი მიუახლოვდა, აკადემიკოსს სიწითლე ჰქონდა მორევული, საზე ანთებოდა... წვეთებს გადაარჩა.



ეს ჩემი დროა!

რა ზეიშია, რა შვეების ალი?
რამ შეანგრია გული ძირამდე?
რამ ამაღლერა ციური ძალით,
და ამდენ ნათელს ამ დღეს ვინ ადენს?

ეს ვისი ხმაა, ვინ მომიწოდებს,
რომ არ მივსდიო ჭაღარის სეედას,
და იმ დაუვსებ ცეცხლში ვიწოდე
ჩემში ხმაურით რომ ჩაიხედა?

ვინ დამაფრქვია ამ სიყვარულის
ფიფქი სუფთა და აუწონავი,
ბედნიერება ვინ მომცა სრული,
ჩემი მიწიდან უხვად მცონავი?

ვინ არის, წუთით რომ არ მშვიდდება
და ჩემი ქვეყნის მშვენებით მავსებს?—
ეს ჩემი დროა, მისი დიდება,
მისი ვარსკვლავი ყრმას რომ მამსგავსებს.

ეს ჩემი დროა ასე ღერადი,
დიდი ცხოვრების წმინდა სიმღერა,
რომ დამაქროლებს მთიდან ველამდი
და აღარ მყოფნის ცის თალი ჭერად!

თავბადასავალი ბესიკ ბაბაშვილისა

რომანი *



შემოდგომა მიიწურა. ქალაქში იმდენად აგრილდა, რომ ნელ-ნელა დაიწყეს სოფლებიდან და აგარაკებიდან დაბრუნება დიდებულთა ოჯახებში. პირველად თვით დარეჯან დედოფალი ჩამობრძანდა, მთელი თავისი ურიცხვი ამალით, შემდეგ ანა, თამარი და მალე სასახლე კვლავ აივსო მორთულ მოკაზმულ სეფექალებით. ბესიკი ახლა უმეტეს დროს ქალთა საზოგადოებაში ატარებდა. თანამდებობა თუმცა ისეთი ჰქონდა, რომ განუყრელად უნდა ზღებოდა ლეონს, მაგრამ ეს ერთი კვირა იქნებოდა, რაც ბატონიშვილი დიდიდანსალამომდე მამამისთან საიდუმლოდ თათბირობდა. ამ საიდუმლო თათბირს ერეკლესთან ლეონისა და გიორგი ბატონიშვილების გარდა მხოლოდ დავით სარდალი, იოანე მუხრანბატონი, კათალიკოსი და სოლომონ ლეონიძე ესწრებოდნენ. რამდენიც არ ეცადა ბესიკი—გაეგო, რის შესახებ იყო თათბირი, ვერც ერთხელ ვერა შეიტყო რა. ლეონს და დავითს თითქო წყალი დაეგუბებინოთ პირში, ან ხმას არ იღებდნენ ან ჩვეულებრივი ზუმრობით უჭილიყებდნენ სიტყვას და საუბარს სხვა რამეზე უწყებდნენ.

ერთი კვირის შემდეგ კი ყველანი ცხენებზე შესხდნენ და საღაც წაიღნენ. მსახურნიც კი არ იახლეს და მცველ რაზმდაც თათართა ასეულები გაიყოლეს.

სასახლეში დარჩენილი ბესიკი ახლა უნებურად სეფექალთა მსახურად გადაიქცა. მათი ბრძანებით ან მღეროდა, ან ლექსებს და უფრო ხშირად წიგნებს კითხულობდა, ხან ერთ დარბაზში, ხან მეორეში. ფაიფურის ქანდაკებებივით გარინდებული ქალები სულგანაბლენი ისმენდნენ ბესიკის მომხიბლავი ხმით წაკითხულ ამბებს ესპანელთა, ფრანგთა ან ლათინთა ცხოვრებიდან. სეფექალები ახლა უფრო ხშირად ანასთან იკრიბებოდნენ, რადგან დარეჯან დედოფალი ფეხმძიმედ იყო და საჩინოში ბრძანდებოდა, სადაც მხოლოდ კვირაობით იყრიდნენ თავს საგანგებოდ მოწვეული სტუმრები და ისიც მხოლოდ ქალები.

ანა კვლავ მარტო დაბრუნდა სასახლეში. ქმარი ისევე დმანისში დასტოვა, რადგან დავრომილი მოხუცის საკაცით ასე შორს მანძილზე წაყვანა სამიზო იყო წამყვანისთვისაც და თვით მოხუცისთვისაც. ანას განზრახული ჰქონდა, დააქორწინებდა თუ არა ანიკოს, მაშინვე გაბრუნებულიყო დმანისს და ზამთარი იქ გაეტარებინა. ანა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მამულეების მიტოვება მოურავის ანაბარად შე-

* გაგრძელება. „მნათობი“ № 3.

უძლეველი იყო და გადასწყვეტა მტკიცედ მოეციდნა ხელი თავისი ავლადიდების მოვლა-პატრონობისათვის. ვარდა ამისა ანას განზრახული ჰქონდა როგორმე ბესიკი ან თავისთან აეყვანა სამსახურში, ან ისე მოეწყო, რომ იგი ახტალის მიდამოებში გაემწყებინათ რაიმე თანამდებობაზე. ამგვარად ანა სრულიად გაეცლებოდა სასახლის ამ საშიშ მიდამოს, სადაც მისკენ ათასი თვალი იყო მიპყრობილი. თამართან უსიამოვნების შემდეგ ანასთვის ცხადი შეიქნა, თუ რა ადვილად შეიძლებოდა გამეღიჯნებულყო ყოველივე. ამისთვის უმჯობესი იყო მოშორებით ეცხოვრა, რომ ყველას თვალში არ მოხვედროდა, ზოლო ბესიკს თუ მუდამ ვერ იყოლიებდა თავისთან ახლო, ერჩია წელიწადში თუნდაც ერთხელ შეხვედროდა, მაგრამ ამ შეხვედრის გამო შიში არ განეცადნა. მართალია, თამართან უსიამოვნებამ შეუმჩნევლად ჩაიარა და თელავიდან დაბრუნების შემდეგ ამისწული ძველებური სიყვარულით მოეხვია თავის მამიდას, მაგრამ ანას მაინც ყმაწვილური შიშით უკანკალებდა გული და მისთვის ახლა ასეთი ახლობელი გულის მესაიდუმლევ კი აღარ იყო საწოდო.

ანასთვის გადაუღებელ საქმეს წარმოადგენდა პატარა ანიკოს დაქორწინება, რათა თავის შვილიშვილი, როგორც მაშინ იტყოდნენ, დროზე ჩაებარებინა პატრონისათვის და თავიდან მოეშორებინა ის ეშუები, რომელნიც დროდადრო გულს უკოდავდნენ. ანა გრძნობდა, რომ კოკობი ვარდი იშლებოდა და ამ კოკობ ვარდს უმღერდა ის ბუღბუღი, რომელიც აქამდე გაშლილ ვარდს დაჰკენსდა. ეს აშკარად დაინახა ანამ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველად შეხვდა ირანიდან-დაბრუნებულ მგოსანს. ანას გამოცილილ თვალს და მგრძნობიარე გულს არ გამოეპარა ბესიკის თვალ-

ბის გამომეტყველება, როდესაც ის ოდნავ გულგრილად უცქეროდა თავის მიჯნურს და მოულოდნელად როგორ აინთო სიხარულით შეხვედრის მომენტში, როდესაც დაბაბაშვილი შეხვდა. გულისტკივილი იგრძნო ანამ. ეს მეორეჯერ განიცადა ასეთი გულისტკივილი, მაგრამ ახლა უფრო მწვავედ, რადგან უკვე აღარ შეეძლო ეთქვა, რომ მისი ჟამი არ იყო გარდასული. ბოლო წლებში ანამ შეამჩნია თავისთვის, რომ საოცარი სისწრაფით ბერდებოდა. თმებმა ერთბაშად დაუწყო გათეთრება და იძულებული იყო საღებავისათვის მიემართა. საზეხედაც გადაურბინეს ნაოკებმა და მათი დაფარვა უმარტულითაც კი გაძნელდა. მართალია, კარგად მორთულ-მოკაზმული ანა კვლავ მშვენიერი იყო და ქალთა მარაქაში ჯერ კიდევ ძვირფასი თვალისათვის ანათებდა, მაგრამ ცხოვრებას მაინც თავისი გაპქონდა და ეს ცვლილებები განსაკუთრებით მაშინ შეამჩნია, როდესაც ერთი წლის შემდეგ სასახლეში დაბრუნდა და დიდ სარკეებში თავისთავი სხეულთან ერთად შეათვალიერა. ტანმორჩილი და კობტა ტანის ანა შორიდან სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს ჰგავდა, მაგრამ დაუახლოვდა თუ არა სარკეს, მაშინვე შენიშნა როგორც გამოცვლილიყო. მართალია, დმანისში ყოველ დღე იცქირებოდა მიკვრიტანაში, მაგრამ ამ ცვლილებებს ისე აშკარად ვერ ამჩნევდა, როგორც ახლა, როდესაც თავის გარეგნობას უნებურად აღარებდა მის გვერდით მდგომ სეფექალებს.

შეშინდა ანა. იფიქრა, უკვე გათავდა ყოველივე, თუ არ გათავდა, ყოველ შემთხვევაში სულ მალე გათავდება; ვაჭრება ახალგაზრდული სიხალისე, სიცოცხლის სიხარული, წაეცხოვრება, ყოველივე წარსულში ჩაიძირება, ზოლო მომავალი სინათლეს აღარ მოიტანს, და აჩქარდა, აფუს-

ფუსდა ანა. გული ზომ ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიხალისით უტემდა. მამ სანამ ეს სიხალისეც არ ჩაქრობოდა, სანამ ზეცაზე ჯერ კიდევ მთლიანად არ გადაფენილიყო ბინდბუნდის ფარდა, ანამ მოისურვა სიცოცხლის ნეტარება სავსებით განეცადა და უნებურად დაჰკარგა მოთმინება. გაიფიქრებდა თუ არა რამეს, მაშინვე უნდოდა განზრახულის სისრულეში მოყვანა, და სანამ მიზანს არ მიაღწევდა მოსვენებას არ აძლევდა არც თავისთავს და არც სხვებს.

ახლაც, გადასწყვიტა თუ არა ანიკო დაეჭორწინებინა, მაშინვე საქმეს შეუდგა. ანიკოს საქმრო დავით ბატონიშვილი სამეგრელოდან უკვე ჩამოსულიყო ქართლს და ივანე მუხრან-ბატონთან სტუმრობდა. ანამ შიკრიკი აფრინა მუხრანს და დავითის ეგვიბი ბარდღა ჩიქვანი თავისთან დაიბარა. ერეკლესაგან დასტური უკვე მიღებული ჰქონდა და ახლა მხოლოდ საჭირო იყო დროზედ გადაეხადათ ქორწილი, სანამ შობის მარხვა არ მოახლოვებულიყო. ანას განზრახული ჰქონდა ქორწილი მუხრანში გადაეხადათ და არა თბილისში, სადაც არც ისე ბევრი ხალხი მოიყრიდა თავს და საქორწინო ნადიმიც მხოლოდ ორ-სამ დღეს თუ გაგრძელდებოდა. ეს მით უმეტეს საჭირო იყო, რადგან საქმეებით გართულ ერეკლეს ახლა საქორწინო ნადიმებისათვის არ ეცალა და, გარდა ამისა, არ სურდა ეს ნადიმი თავის სასახლეში გადაეხადა. იმერთა მეფე სოლომონი, გაიგებდა თუ არა ამ ამბავს, მაშინვე იფიქრებდა—ერეკლე ტახტიდან გადაგდებანს მიზირებს, რაკი ჩემს შიერ დევნილ ბატონიშვილს მოყვარებს და საკუთარ სასახლეში უხდის ქორწილს. სინამდვილეში შეიძლება ერეკლე კიდევაც ფიქრობდა საჭიროების შემთხვევაში ბატონიშვილი დავით გიორგისძე წამოეყენებინა იმერეთის ტახტის მოცილედ, მაგრამ ახლა ამ საქმის გახ-

მუტრება ხელსაყრელი არ იყო, რადგან სოლომონთან საშუაგობრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ამისთვის მან წინასწარ გააფრთხილა ანა და ურჩია, რომ ქორწინება რაც შეიძლება გაუხმაურებლად გადაეხადათ და ამისთვის ან ტანძია აერჩიათ, ან თელავი, ან კიდევ მუხრანი. ანამ მუხრანი ირჩია და ფუსფუსით შეუდგა საქორწინო სამზადისს. მალე მასთან ბარდლა ჩიქვანიც გამოცხადდა, რომელმაც მოახსენა, რომ იმერთა ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი მოუთმენლად მოელოდა ამ ბედნიერებას და მზად იყო ჯვარსაწერად. ანას ძალზე ესიამოვნა, რომ მისი სურვილისამებრ საქმე ასე დაუბრკოლებლად კეთდებოდა, მაგრამ ბარდლა ჩიქვანის ოდნავ უცნაურმა ლაპარაკმა გააოცა და ეჭვი აღუძრა. რატომღაც ბარდლამ მუდარა დაუწყო ანას, თუ ბატონიშვილზე რაიმე ძვირი მოგახსენონ, არ დაუჯეროთ, ყოველივე მოჭორილია, და ჩემი თუ არა გჯერათ, მიბრძანეთ, რომელ ხატზედაც გსურთ, იმაზე დაგიფიცებო.

ანამ გაოცებით შეიკრა წარბები და ჰკითხა

— რა უნდა მოეხსენებინათ ბატონიშვილზე. მე არა ვიცი რა.

— მტრები ბევრს რამეს გეტყვიან, ქალბატონო და ჩემო დიუფალო, ამისთვის მოგახსენე.

— მაინც?

— არა, თუ რაიმე მოგახსენეს, თორემ... რა ვიცი—დაიბნა ბარდლა.

— ამბობდნენ ბატონიშვილი საყმაწვილო სენით იყო შეპყრობილი და ბნელა უვლიდარო. ეს მართალია, სხვა არა გამიგონია—რა.

— სწორედ მაგაზე მოგახსენებთ,— თავისუფლად ამოისუნთქა ბარდლამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ანამ მეტი არა იცოდა რა ბატონიშვილის შესახებ,— ცოტა აუად ვახლდათ, მაგრამ ამისთანა აუადმყოფობა ყველას გქონია ბავშვობისას.

— ახლაც ხომ არ უვლის ავი ზნე?

— აჰ! არა, რას ბრძანებთ. თქვენის თვლით იხილავთ და დარწმუნდებით. ბატონს, იოანე მუხრან-ბატონს, მგონია, სიტყვა დაეჯერება. ის მოგახსენებთ, თუ მართალი არა ვარ. ამდენხანს ვბინადრობთ მასთან და ერთხელ როგორ არ მოუვლიდა ზნე, ეს რომ მართალი იყოს. ახლა, ჩემო დედოფალო, რას მოგახსენებთ! რადგანაც სოლომონ მეფეს სჭირს ეს უკურნებელი სენი, მტრებმა იფიქრეს, მოდი დავით ბატონიშვილზედაც ვიტყვი, ვითომ როგორც სოლომონის ნათესავს, ეს ზნე ამასაც გამოყვაო. ენას ძვალი არ აქვს და მოდი ახლა და უმტკიცე ყველას, ტყუილია-თქო! თჰ, თჰ! რა უბედურ დროს ვცხოვრობთ, თქვენი რისხვა—ნუ მომეცემა.

ანა თითქოს დაამშვიდა ბარდლას ახსნა-განმარტებამ, მაგრამ გულში რომ თავისთავს ძალით აჯერებდა. ვრძნობდა, რომ ბარდლა რაღაცას უფიცავდა და სასიძოს საშინელ ნაკლოვანებას არ უმხელდა. სხვა დროს შეიძლება ამაზე უფრო მცირეოდენი ეპიკე კი საკმარისი იქნებოდა, რომ ანა უარი შეეთვალა იმერეთის ტახტის მოცილე ბატონიშვილისათვის, მაგრამ ახლა განზრახ იყრუებდა თავს და ცდილობდა დაემშვიდებინა გულში აღძრული სინდისის ქენჯნა.

„სისულელეა ყოველივე, მტერთაგან მოკორილი,—ფიქრობდა ანა,—ასე რომ არ იყოს, როგორ გაბედავდნენ დიდებულ მეფის ერეკლეს დის შვილიშვილთან შეუღლებას. ვით სურთ გადაურჩენენ ბატონის რისხვას.“

თუმცა ასე იმშვიდებდა თავს ანა, მაგრამ შინაგანი იღუმალი ხმა ეუბნებოდა, შენ იმისთვის ჩქარობ შვილიშვილის გათხოვებას, რომ თავი გინდა გაითავისუფლო და შენს მიჯნურთან განმარტოვდეთ.

ყოველ ასეთ გაფიქრებაზე ანა ან ზატებთან მიიბრუნდა, რომ ლოცვით მო-

ეშორებინა ეს აბეზარი ფიქრები, ან კიდევ მსახურებს იბარებდა და ხმამალა იძლეოდა განკარგულებებს, ან თათბირობდა ამითუფროსი საქმეზე, რათა დაეხშო მამხილებელი იღუმალი ხმები, ყურებში რომ უწიოდნენ.

მაგრამ, რაც უფრო ცდილობდა გაეცეოდა ამ სინდისის ქენჯნას, მით უფრო ხმამალა უწიოდა ყურებში ეს იღუმალი ხმები. არც ლოცვები შველოდა, არც ხმამალალი ლაპარაკი. ანა ფუსფუსებდა, საქმიანობდა, საშინთვო ქონებას სინჯავდა, ფარჩეულს ათვალეირებდა, მსახურებს იქითაქით გზავნიდა, დიდებულებთან საათათბიროდ გარბოდა, მაგრამ ყურში მაინც განუწყვეტლად ესმოდა: „შენი გულისათვის ჩაღიხარ ცოდვას და სწირავ შვილიშვილს“.

„სტყუი“, — ჩაჰყვიროდა თავის გულს ანა, მაგრამ სადღაც კუნჭულში დაბუდებული ეშმა ჯიუტად უმეორებდა:

„შენი გულისათვის, შენი გულისათვის, შენი გულისათვის“.

მოსვენება დაკარგა ანამ, მთელი ღამე აღარ ეძინა. ცდილობდა თავი დაეღალა და სანთლის შუქზე გათენებამდე კითხულობდა ფსალმუნს, მაგრამ თვალს რული მაინც არ ეკარებოდა და სტრიქონებშორის შმაგ კინკასავით დაბტოდნენ სიტყვები „შენი გულისათვის, შენი გულისათვის“. ხოლო, როდესაც თვალგაწითლებულმა ანამ ამოიკითხა ფსალმუნში: „უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო, დღისი ხმა ვკვავ და ღამე წინაშე შენსა, შევედინ შენ წინაშე ლოცვა ჩემი, მოყავ ყური შენი ვედრებასა ჩემსა, რამეთუ აღივსო ძვირთაგან სული ჩემი და ცხოვრება ჩემი ჯოჯოხეთსა მიეხალა...“ გამწარებით სტყორცნა ფსალმუნი კუთხეში და ფეხზე წამოიჭრა.

სარკესთან მივარდა და თავის ლანდს ისე შეხედა, თითქო ის მეორე ვიღაც სხვა ადამიანი იყო, რომელიც თმებ-

ჩამოშლილი, მიბნელებული, კუშტი სახით უცქეროდა მას და მზად იყო დასახრჩობათ სცემოდა.

„რა გინდა?—სწრაფად მიუახლოვა სარკეს თავისი სახე ანამ,—რა გინდა?.. ჩემი გულისათვის ჩავდივარ ამას. თუნდაც ეშმაკს გავატან ჩემს შვილიშვილს. ახლა? აღარ მომეხსენები? ჯოჯოხეთს მიეახლა სული ჩემი, მაგრამ არ მეშინიან...“

„არ მეშინიან. გაიგე? არ მეშინიან. რაო, ჯოჯოხეთის ანგელოზს რომ დამსგავსებინხარ, არ მოგეწონა? ხომ მიიღე“.

შუბლით უნებურად შეეხო ცივ სარკეს და შეერთა. გამოერკვა. ლოგინს გაუბრუნდა, დაწვა და იმ წამსვე მოწყვეტით ჩაიქინა.

დილას კი ანა მშვიდად შესცქეროდა თავისთავს სარკეში. მოახლენი თმებს უწნავდნენ, ტანზე აცმევდნენ, სამკაულებით ამშვენებდნენ და კმაყოფილი ანა ნეტარებით ილიმებოდა.



ანას ექვები იმერთა ბატონიშვილის დავით გიორგის-ძის მიმართ უსაფუძვლო არ იყო. ბატონიშვილი მართლაც დაავადებული იყო დაბადებიდანვე გონებრივი მანკიერებით და ხანდახან, როგორც ხალხში იტყვიან, ისე წამოუვლიდა და ისეთ სისულელეს ჩაიდენდა, რომ მნახველი მაშინვე იტყოდა, ნამდვილი გიგი თუ არა—სულელი მაინც ყოფილაო. მშობლებმა მართლაც ბევრი იწვალეს, ბევრი ექიმი მოგვარეს, ათასი წამლები სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. დაიმშვიდებდნენ თავს ყოველი ასეთი ცდის შემდეგ, ახლა კი გვეშველა, განიკურნა ჩვენი შვილიო, მაგრამ გაივლიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს ბატონიშვილს კვლავ მოუვლიდა. ბოლოს რომიდან მოწვეულმა ექიმმა საბოლოოდ დაარწმუნა გულდათუთქული მშობლები, რომ ამ თან-

დაყოლილ თვისების განკურნება შეუძლებელი იყო, მაგრამ ერთი/რამ სახეზეა მინც ასწავლავს ბატონიშვილს მუდამ თან უნდა ჩაუბრუნდეს ერთი ან მსახური ან ხელქვეითი დიდებული, რომელიც მას ცემით შთაუნერგავდა შიშს რაიმე სისულელის ჩადენის დროს. ცხადია, ამ შიშის შთაუნერგვა ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც ერთი ორჯერ ისე მობეგავდა ბატონიშვილს, რომ სამუდამოდ დაეიწყებდა სისულელის ჩადენის სურვილს. არც ისე ადვილი იყო ამგვარი მსახურის მონახვა, რადგან ბატონიშვილი კარგი შეძლებული მკლავის პატრონი იყო და აგრე ვაგლახად ხელს ვერაინ მოჰკიდებდა. ბევრი ძებნის შემდეგ მშობლები ისევ დავითის ძიძიშვილზე შეჩერდნენ, რომელიც აკნიდან თანშეზრდილი იყო მასთან და ღონითაც სჯობნიდა თავის ბატონიშვილს. რომაელმა ექიმმა დაწვრილებით დაარიგა ძიძიშვილი, როგორ უნდა მოქცეულიყო საჭიროების შემთხვევაში და მშობლებიც გააფრთხილა შვილის მიმართ გულჩვეულობა არ გამოეჩინათ და ძიძიშვილისთვის ხელი არ შეეშალათ. ბატონიშვილთან შეზრდილობა და შეთამამებულმა ძიძიშვილმა უაღრესი ერთგულებით შეასრულა ექიმის დარიგება და რამდენჯერმე მშობლებთან თანდასწრებით ისე მიბეგვა ბატონიშვილი, რომ სულ ძვალი და რბილი გაუერთიანა. სახედალურჯებული დავითი მშობლებს შევლას შესთხოვდა, მაგრამ მამამ გულცივად აუსხნა შვილს, სისულელეს ნუ ჩაიდენ და აღარ გცემენო, ხოლო დედამ ცრემლების ყლაპვით დაუდასტურა მამის სიტყვები. დავითი იძულებული იყო ბედს ღამორჩილებოდა, ხოლო ძიძიშვილმა ერთს წელიწადში ისე გაწრთვნა და დაიმორჩილა უფლისწული, რომ ნებისყოფის ნატამალიც კი აღარ შეარჩინა. ბატონიშვილი ყველას მორჩილად უღიმოდა, იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, და თუ

კიდევაც იტყოდა რაიმეს, მაშინვე თავის ძიძიშვილის როსტომისათვის, რომელსაც შინაურობაში როსთოხ ეძახდნენ, უნდა თვალეში ეცქირნა, ცუდად ხომ არაფერი მითქვამსო. მართლაც, როსთო მაშინვე არაფერს ეტყოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, თუ მართლა რაიმე სისულელე ჰქონდა წამოყრანტალეხული, როგორც კი განმარტოვდებოდნენ, ჩაიკუყებდა სარდაფში და წამოუსვამდა ხელს სახრეს.

— შენ ხომ გითხრეს, სისულელეებს თავი დაანებეო. დაგაიწყდა? თვალით რომ განიშნე—გაჩუმდი, ხმა არ ამოილო-მეთქი, რატომ არ გაჩუმდი.

— რა ვთქვი, ბიჭო, ისეთი?

— შენი ბიჭი ვარ მე?—სახრის გაწივლებასთან ერთად ეუბნებოდა როსთო,—დაიჩოქე ახლავე და სთქვი მეტს აღარ გავბედავ-თქვა...

— მეტს აღარ გავბედავ, მეტს აღარ გავბედავ,—ემუდარებოდა ახლად-უღვაშაყრილი ბატონიშვილი თავის ყმა გლეხის შვილს, მაგრამ მუდარა არ შველოდა. როსთო შეუბრალებლად სცემდა ბატონიშვილს და თუ უკანასკნელი, მეტის ცემისაგან გამწარებული, თავდაცვას გავბედავდა, ჩაივდებდა ხელში, დაბუზნიდა და ბურთივით გაიგდებდა.

დაეყვილი ბატონიშვილი ამის შემდეგ ხშირად რამდენიმე დღე იწვა ლოგინში, ხოლო მთელი ქვეყნის წინააღმდეგ აღრენილი როსთო დაიჩოქებდა გამოლილ სამოახლოში და საათობით ლოცულობდა.

— ღმერთო, იმას მოკითხე, ვინც მე მაგის ცოდვაში ჩააყენა. შენც კი იცი, ჩემი ბრალი არაა. დაუბრუნე მგ უბედურს ჰკუთნა, მიხსენი ამ ცოდვისაგან,—ლულულულებდა გაუგებრად როსთო,—მიხსენი, შენი მუხლების ქირიმე! ამ თავისებურმა მკაცრმა დავალებამ უცნაური გულისტკივილით შეაყვარა თავისი ბატონიშვილი როსთოს. ლოშს შეეგზობდა მისი გულისათვის, და რო-
6. „მწიგნობი“, № 5.

მელიმე თავზე ხელაღებულს ბატონიშვილის ძვირი რომ წამოსვდებოდა, ზედ შეაკვდებოდა. რა უნდა ეგრძინებინა ისეთი დავითს, რომელიც თავისი, რომ არ შეესრულებინა. ცხრა მთას მოივლიდა და სურვილს მაინც შეუსრულებდა. სულ თვალეში უცქეროდა, ეფერებოდა მაგრამ საკმარისი იყო სახე ოდნავ მოელეშა ან გამომეტყველება შეეცვალა, რომ ბატონიშვილი შიშით მოკუნტულიყო. ასეთი მკაცრი სასჯელისაგან თავგაბეზრებული დავითი ერთხელ თითონ შეეხვეწა როსთოს, როცა ჩემს ზურგს უკან იდგე და თვალეში ვერ გიციქროდე, თუ შემეშალოს რამე, ან ხელი მკარი, ან ჩოხაზე დამქაჩე, ცოდვა ვარ, ბიჭო, ამდენ ცემას ვეღარ გავუძლებო.

ერთ ხანს ბატონიშვილი და ძიძიშვილი განმარტოებით ცხოვრობდნენ ინგურის პირად, ბარდა ჩიქვანის წულ ფაცხაში და გარეშე ხალხს თვალით არ ენახებოდნენ, სანამ დავითი საბოლოოდ მოათვინიერდებოდა, შემდეგ კი დადიანის სასახლეში, სავანგებოდ მიჩენილ სასტუმრო სახლში გადასახლდნენ. აქ დავითს მდიდრული ოქრომკედით მოსირმული საუფლისწულო ტანსაცმელი ჩააცვეს და ნელ-ნელა შეაჩვიეს დადიანის კარზე დიდებულთა შორის თავდაჭერას. როსთო განუყრელად ახლდა დავითს ყოველი დარბაზობის დროს და ერთგული მსახური ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მის ბატონს დიდებულთა შორის თავი კარგად ეჭირა. დავითი სრულიად უსწავლელი იყო და უმეტეს შემთხვევაში დიდებულთა პაექრობაში არ შეეძლო მონაწილეობის მიღება. ზანდაზან დიდებულები ისეთ რამეზე საუბრობდნენ (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქუონდიდელი სტუმრობდა დადიანთან), რომ დავითს ერთი სიტყვის-გაგებაც კი არ შეეძლო და ტანჯული საზით ახედავდა ხოლმე როსთოს. ია

კი ოდნავ დაიბრებოდა და ყურში ჩას-
ჩურჩულებდა.

— შენ ხმა არ გაიღო. ყური დაუგ-
დე. მათ ლაპარაკს შენ კი არა, ეშმაკი
ვერ გაიგებს. ჭკვიანად იდექი და უყუ-
რე სეირს.

დავითი, თავის მბრძანებელი მსა-
ხურის დარიგების მიხედვით, იჯდა
ჩუმი და თვალყურს ადევნებდა დი-
დებულთა სჯა-ბაასს. იშვიათად თუ
ჩაერვოდა საუბარში და ისიც მაშინ,
თუ რამეს ჰკითხავდნენ.

როსთოს განსაკუთრებული ღირსება
ის იყო, რომ ყოველთვის წინასწარ
გრძნობდა, როდის უნდა არეულიყო
ბატონიშვილი. რაღაც განსაკუთრებუ-
ლი ნიშნებით, რომელსაც როსთოს
მეტი ვერაინ ვერ ამჩნევდა, უცბად
იგრძნობდა ერთგული მსახური მიახ-
ლოებულ სახიფათო მდგომარეობას
და მაშინვე გააჩივებდა ბატონიშვილს.
ან ტყეში წაიყვანდა, ან სარდაფში ჩაი-
კეტებოდა და ხელში შოლტს მოიმარ-
ჯებდა. შეშინებული დავითი მაშინვე
მოიკუნტებოდა მორჩილ ფინიასავით.
კუთხეში მიეგდებოდა, თავზე ხელებს
წაიფარებდა და საბრალო ხმით ამბობ-
და:

— როსთოია, ნუ გამლახავ, ბიჭო,
არ გეცოდები მე უბედური? ვიწოდე-
ბი ასე და არ გავიღებ ხმას.

იწვა ასე ჩუმიდ გარინდული, ხოლო
როსთო იქვე კარზე ზურგიტ მიყრდ-
ნობილი იდგა ხელში შოლტით ან სახ-
რით და მორჩილებით ელოდებოდა,
სანამ ბატონიშვილს ეს თავისებური
ზნე გაუვლიდა. ხანდახან წამოსწევდა
ზოლმე თავს უფლისწული, უაზროდ
გახედავდა სივრცეს და დააპირებდა
ვიღაც უხილავ არსებასთან გასაუბრე-
ბას, მაგრამ გაიწივლებდა თუ არა
ჰაერში როსთოს შოლტი, მაშინვე ერკ-
ვეოდა და შეშინებული წარგავდა თავს
თივაში. ხშირად გათენებამდე წვა-
ლობდა ასე ბატონიშვილი, სანამ არ
ჩაეძინებოდა, ხოლო გამოძინებულს

უკვე აღარაფერი არ ახსოვდა და საო-
ცრად წყნარი, სრულიად უწყინარი
ღიმილით ეუბნებოდა თავის მსახურს:

— ბევრი მეძინა, რომელიმე შენ მა-
ინც მითხარი რამ შემაყვარა თივაზე
ძალი. მირტყი ხომ?

— სხვასთან არ მკითხო მირტყიო,
ბატონიშვილი ხარ, არ გეკადრება.

— სხვასთან რაზე უნდა გკითხო?
სულელი კი არა ვარ! მაგ მეც ვიცი.
წამოდი, ახლა პირი დამაბანინე, მერე
სანადიროდ წავიდე.

რაც დრო გადიოდა, ბატონიშვილს
უფრო იშვიათად უვლიდა ეს უცნაუ-
რი ზნე, თითქოს ზნოვანებასთან და და-
ვაეკაცებასთან ერთად სხეული ერთო-
და ამ თანდაყოლილ დაავადებას. მაგ-
რამ გონებრივად დიდად ვერ მიდიო-
და წინ. წერა-კითხვა სრულიად ვერ
ისწავლა, და როდესაც მშობლები უსა-
ყვედურებდნენ, არა გრცხვენთან, უს-
წავლელი ტახტზე როგორ უნდა დაჯ-
დევო, ბატონიშვილი გულუბრყვილოდ
უპასუხებდა:

— ტახტზე რა, თუ დამაჯენენ ქე
დავჯდები. წიგნი რად უნდა მაგას.

— ჩამოვაგდებენ, შვილო, მერე რა-
ღას აპირებ.

— ვინ ჩამომავდებს. როსთოიას მე-
ტი კაცი არაა ქვეყანაზე ჩემი მომრე-
ვი და როსთოია ასე მეუბნება—შენ
ოღონდ დაბრძანდი ტახტზე, მერე ნუ
გეშინიანო.

— ვეყო, უსწავლელმა როგორ უნ-
და მართო ქვეყანა.

— მართვა რა, ტყვილა მეყოლებიან
ნაზირ-ვეზირები! ვუბრძანებ და მარ-
თავენ, მეტი რა საქმე ექნებათ. სოლო-
მონი რა? სულ წიგნში იყურება და
ისე მართავს ქვეყანას?

— სოლომონი, შვილო, კაცს აღარ
აყენებს ქვეყანაზე, — ეუბნებოდა
შვილს გიორგი, — აღარც მტერს და
აღარც ახლობელს. წიგნში რომ იტყი-
რებოდეს, რაღა გეიტყობს მაშინ. სადგ-
თო წერილს მაინც წაიკითხავდა და იქ-

ნება ვაიგებდა ქრისტეს წმინდა ცნებას, შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენით. ჯერ შინაურებს დაერია, მერე აგერ ხედავ ტახტი წამართვა და სხვის კარზე სამოწყალოდ გამიხადა საქმე. ახლა ხელქვეითებს აღარ აყენებს. სახარების ისე ეშინია, სხვებიც აღარ უნდა შიგ რომ ჩაახედოს და თვალებს თხრის ყველას.

გიორგის იმედი ჰქონდა, რომ კაცია დადიანის დახმარებით იმერეთის ტახტს დაიბრუნებდა, კაცია შეურიგებელი მტერი იყო სოლომონ მეფეს და დიდად მფარველობდა მის მოწინააღმდეგეებს. იმერეთიდან განდევნილი გიორგი დიდის სიამოვნებით შეიფარა და მზრუნველობას არ აკლებდა. მანვე ურჩია ერეკლესთან დამოყვრება, რადგან იცოდა, რომ ვერც ქართლ-კახეთის ბატონი ეწყობოდა იმერთა მეფეს და ხელსარეულ შემთხვევაში შეიძლება კიდევაც გადაეგდო ტახტიდან. ასეთ შემთხვევაში ერეკლე, ცხადია, იმერეთის ტახტზე თავისთან დანათესაებულ დავითს აიყვანდა. ეშმაკი იყო კაცია. იცოდა, რომ ერეკლესთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა იმერეთის ტახტზე სუსტი ნებისყოფის მქონე მეფე მგდარიყო, რომელსაც თუ სავსებით ვერ დაიმორჩილებდა, თავის ნებაზე მაინც ატარებდა.

იმედი გაუმართლდათ. ერეკლემ თანხმობა განაცხადა დამოყვრებაზე და მალე საზეიმოდ მორთული დავითი დიდის ამალით ქართლისაკენ გამოისტუმრეს.

მუხრან-ბატონის კარზე ყველანი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს დავით ბატონიშვილს, მართალია თუ არა, რასაც მავის შესახებ ამბობდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ ამჩნევდნენ. თბილისში ყოფნის დროს იოანე მუხრან-ბატონი ფიცით უმტიციებდა ანას, რაც იმერთა ბატონიშვილის შესახებ მოუხსენებიათ, ყოველივე ტყუილია და მავაზე უკეთეს სიძეს ადამიანი

ვერც კი ინატრებდაო. ურჩევია, დროზე დაეჭორწინებინა შვილიშვილი და ნულარ აყოენებდა, რადგან მასვე იქვე კიდევ საბოლოოდ შეეძლო მისი დახმარება და მარტყეობამდე დაეწერა ჯვარი ანიკოსათვის, თუ კიდევ ერთი წლით მაინც გადაედო ეს ამბავი. მით უმეტეს, რომ დარეჯან დედოფალი ურჩევდა, წელს მხოლოდ ნიშნობა გამართე, ხოლო ჯვარისწერა საგაისოდ გადასდეთ.

ასეც სურდა ანას, მაგრამ ერთ საღამოს მისი ერთგული მოახლე მონაგარდისა მიუქრა მასთან და უთხრა — ერთ საიდუმლოს მოგახსენებ, თუ წინასწარ პირობას მომცემ, რომ ყოველივეს მშვილად მოისმენ და რაიმე ცოდვას არ ჩაიდნო. ანამ ხატზე შექვიცა, მართალია — მოახლე ხარ, მაგრამ, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიტყევი, ოღონდ ჩქარა მითხარი, რა გიოგე ან რა მომხდარაო. მაშინ მონაგარდისამ უამბო, რომ რაღაც საქმეზე სალარო პალატებში მივიღიოდი და ფარდის უკან ჩურჩული მომესმა, გენაცუალებო; ხმაზე ანიკო შევიცან, იღუმლად გავიხედე და, ღმერთო დიდებულო, — გადაისახა პირჯვარი მონაგარდისამ, — ღმერთო დიდებულო, რა ენახე...

— რა ნახე!.. — გულსხეთქით ჰკითხა ანამ და მთლად გაფითრდა.

მონაგარდისამ ქალბატონს შეხედა და შეშინდა. ხმა ველარ ამოიღო.

— რა ნახე? — თითქმის კვილით ჰკითხა მეორედ ანამ და მაშინვე განწირული ხმით დასძინა: რა, არ მითხრა, ნუ მეტყვი, დადუმდი... ის იყო ხომ?.. სთქვი ბარემ, რას გაჩემებულხარ...

და ხმაიმქარალმა ჩურჩულით, თუ რაღაც უცნაური ხავილით განაგრძო...

— ის იყო არა?.. შერე... ამოიღე ხმა!..

— დიახ, ის იყო, ქალბატონო. ანიკოს მისთვის მკლავები კისერზე ჩამოექლო...

— წყალი... — დაიძახა ანამ და გული შეუღონდა.

მონავარდისა აფუსფუსდა, ნელსაც-
ხებელს მისწვდა და ქალბატონს აკე-
რა. ანა მაშინვე გამოერკვა და მონა-
ვარდისას ისეთი გამწარებით ჩაავლო
მკლავში ხელი, რომ ხორცი კინაღამ
მოაგლიჯა. ერთგულმა მოახლემ მოთ-
მინებით გაუძლო ტკივლს და სცადა
ქალბატონი დაემშვიდებინა, ვითომ გა-
ნა მართალი ვითხარი, მოგატყუეო.
მაგრამ ანამ მკაცრად უბრძანა დაწერი-
ლებით ეთქვა ყოველივე.

მონავარდისას მეტი არც კი ჰქონდა
საამბო, რადგან ისინი მაშინვე გან-
შორებოდნენ ერთმანეთს, მხოლოდ
განშორების წუთს ბესიკს თითონ ჩა-
მოეხსნა ანიკოს მკლავები კისრიდან და
ეთქვა, არავინ მოგვისწროს, თორემ
დავიღებეთო.

— სულ ეგ იყო?

— სულ შენმა დღეგრძელობამ. იქვე
სვეტს ამოვეფარე, მაგრამ ვერც კი
დამინახეს, ანიკო ბალისკენ წაიდა, ის
კი, არ ვიცი, მგონი ხალვათხანისკენ
გაემართა.

— კარგი, — სთქვა ტუჩების კენჭით
ანამ, — კარგი. ყველას უთხარი, ვინც კი
დღეს ჩემი ნახვა ისურვოს, შეუძლო-
დაა და ვერ მიგიღებს-თქო. ანიკო, ამ
ორ დღეს, რადაც არ დაგიჯდეს, გა-
მარიდე. უთხარი, დიდდამ გიბრძანა,
დარეჯანს ეახლე და საჩინოში წადით-
ქო. ქალაღი და საწერ-კალამი მომი-
ტანე, მუხრან-ბატონს წერილი უნდა
მივწერო...

— მუხრან-ბატონი განა აქ არ
ბრძანდება! დღეს ვიახლათ.

— აქ არის? კიდევ უკეთესი, მოახ-
სენე — ჩემთან მობრძანდეს. ვერიდებო-
დი ბოროტსა დამხვდა სოფლისა ბო-
ლოსა, რისაც მეშინოდა — ის ამიხდა.
არა უშავს რა, განა ყოველთვის გაე-
ლიმებ ჩემს უბედობას. წადი და, რაც
გიბრძანე, შეასრულე!



იოანე მუხრან-ბატონი მსუქანი საქმე-
ზე იყო ჩამოსული, რომ ახასიათა სა-
თათბიროდ არც კი ეცალა. მას სასწრა-
ფოდ უნდა მოენახულენა ალიბრე-
იმი, რომელიც თითქმის მთელი წელი-
წადი უშედეგოდ ცდილობდა თურქე-
თის გზით ევროპისაკენ გამგზავრე-
ბას, გამოეცხადებინა მისთვის, რომ სა-
ჩქაროდ შედგამოდა სამზადისს და
თითონაც მომზადებულყო. ორიენი
ახალციხეს უნდა წასულიყვნენ.

ქერეთში დატრიალებულმა ამბებმა
და სუხოტინის უხეირო მოქმედებამ
საბოლოოდ დაარწმუნა ერეკლე, რომ
დაჩქარებით უნდა გამონახულიყო გზე-
ბი თურქებთან ზავის შესაკერვლად.

გადავიდა თუ არა იმერეთში სუხო-
ტინი, მაშინვე შეუდგა ფოთზე გასა-
ლაშქრებლად სამზადისს. სოლომონ
მეფე ურჩევდა, ეს ლაშქრობა შემოდ-
გომისათვის გადაედოთ, რადგან ზაფ-
ხულის ხაშმიან ჰავას ქაობებში რუსი
ჯარისკაცები ვერ აიტანდნენ, მაგრამ
სუხოტინმა არ დაუჯერა. შენ რა იცი,
რუსი ყველაფერს აიტანს, მას ვერც
ციება დააკლებს ვერაფერს და ვერც
ქაობის სიცხეო, უმტკიცებდა ის სო-
ლომონს. მაშინვე დასძრა თავისი ჯა-
რი ფოთისაკენ, თუმცა ეს ჯარი ისეთ
მდგომარეობაში გადააბარა ტოტლე-
ბენმა სუხოტინს, რომ მას უკვე ჯა-
რობა აღარ ეთქმოდა. ჯარისკაცები
ჩამოფლეთილნი, ფეხშიშველნი, მში-
ერნი, ძლივლა ლასლასებდნენ. მართა-
ლია, სუხოტინმა ვითომ ოდნავ მიინც
მოუარა მათ, აჰამა, ასეა, დაფლეთი-
ლი ტანსაცმელი დაუკერა, ფეხზე
ზოგს წულა ჩააცვა, ზოგს ქალამანი,
მაგრამ შემოარტყა თუ არა ალყა ფოთს
და ვითომ საბრძოლველად მოემზადა,
თითქმის ყოველი ჯარისკაცი პირველ
დღეებშივე ციებით და მუცლის სახა-
ლით გაუხდა ავად. სუხოტინი ათ დღე-

ში მაინც ფიქრობდა ფოთის-ციხის აღებას, მაგრამ ციხე მთელი თვის განმავლობაშიაც ვერ აიღო და ციხეამ კირვასზე შეტი ჯარისკაცი მოუკლა. გენერალი იძულებული იყო უკან გამობრუნებულიყო. მისი ჯარი ახლასრულიად აღარ ვარგოდა ბრძოლისათვის, რადგან თითქმის ყველანი ავად იყვნენ და ჯარისკაცებს სიარულიც კი აღარ შეეძლოთ. სუბოტინი დარწმუნდა, რომ ასეთ მდგომარეობაში ის საქართველოში ვერას გახდებოდა და რუსეთისაკენ გაბრუნების სამზადისს შეუდგა.

ერეკლემ მთელი ამ ამბების მსვლელობა დაწვრილებით იცოდა. მას ძალზე ადარდებდა რუსეთის კორპუსის წასვლა საქართველოდან, რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. უდავო იყო, რომ თურქეთი ახალციხესთან მარცხს არ აპატიებდა და შურს იძიებდა, როგორც კი რუსეთის ჯარი საქართველოდან გავიდოდა. ამიტომ ერეკლე უკვე მზად იყო მოლაპარაკება დაეწყო თურქებთან და კიდევაც აპირებდა ელჩის გაგზავნას, რომ მოულოდნელად თითონ მოადგა ხონთქარის საიდუმლო რწმუნებულისაგან გამოგზავნილი ახალციხელი პატრი და მოახსენა, ხონთქარის ელჩს თქვენთან შეხვედრა სურს და ადგილი დაუნიშნეთ, სად ინებებთ მასთან შეხვედრასო.

ერეკლე მაშინვე მოეთათბირა შინაურებს და ყველაზე ახლობელ დიდებულებს და ბოლოს გადასწყვიტა შეხვედროდა ხონთქარის ელჩს. მხოლოდ საჭირო იყო დიდი სიფრთხილის დაცვა, რომ რუსეთის საელჩოში არაფერი გაეგოთ. ერეკლემ იცოდა, რომ სასახლის კარზე რუსებს ვიღაც ჰყავდათ მოსყიდული, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯამუშობდა და რუსებთან ამბებს მიაჩვენებდა. ამისთვის მან თრიალეთისკენ წასვლა აირჩია, რადგან წინაღობით თრიალეთის გზით ხერთვისისკენ აღაბამ ერისთავი

გაგზავნა—ლაშქრით. ხერთვისის ბეგი ახალციხის ფამას განდგომილა, ერეკლესთვის კაცი გამოეგზავნა და კოხოვნა, ჯარი მომავლელს დაეხმარებოდა ციხე თქვენ ჩაგაბაროთო. ეს ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა იყო ერეკლესათვის, რადგან ახალციხის ფაშა განდგომილ ბეგის დასაცავად სრულიდაც არ შეიწყებდა თავს, ხოლო ერეკლეს საშუალება ეძლეოდა, ერთის მხრივ, კვლავ დაემტკიცებინა მოთვალთვალე რუსებისათვის, რომ ის თურქეთის წინააღმდეგ ომს განაგრძობდა, და ამავე დროს, თუკი რუსები საქართველოდან გავიდოდნენ, წინასწარ ნიადავი მოემზადებინა თურქეთთან ზავის შესაყრავად.

დაბანაკდა თუ არა ერეკლე ტაბისყურთან, თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილიყვეს, ისე მოულოდნელად გაჩნდა რუსეთის რწმუნებული კაპიტან—პორუჩიკი ლეოვი, რომელიც იმერეთში ეგულებოდა მეფეს. ცხადი იყო, რომ ლეოვისთვის ალბათ, საელჩოდან ეცნობინებინათ ერეკლეს გამგზავრება თბილისიდან თრიალეთისაკენ და ამ ცნობას მისთვის გორში მიესწრო. ლეოვს მაშინვე მოებრუნებინა თავისი ცხენები ატენის ხეობისაკენ და მთებზე ვადმოვლით პირდაპირ მეფის ბანაკში ამოჰყო თავი. ერეკლე სიხარულით შეეგება რწმუნებულს, გამოჰკითხა დაწვრილებით იმერეთის ამბები და შემდეგ სთხოვა ხერთვისისკენ გამგზავრებულიყო, რომ, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე, დახმარებოდა აღაბამ ერისთავს ციხესიმაგრის აღებაში.

ლეოვი მაშინვე გაემგზავრა ხერთვისისაკენ, ხოლო ერეკლემ მეორე დღეს სანადიროდ ინება წაბრძანება და ვითომდა შემთხვევით წააწყდა მწყემსების სადგომს, სადაც მას ახალციხის ახლადდანიშნულ სულეიმან ფაშის კაცი ელოდებოდა. მან გადასცა ერეკლეს სულეიმანის წერილი და პირადად მოახსენა, რომ ხონთქარს

სპარსეთის მბრძანებლის ქერიზხანის თხოვნა ყურადღელო, და თუ კი ერეკლე ხანი რუსებს საქართველოდან განდევნიდა, მზად იყო დაევიწყებინა წარსული უსიამოვნებანი. ახალციხის ფაშა სთხოვდა ერეკლეს წარმოეგზავნა მასთან დესპანი, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ და საზავო პირობები შემუშავებინათ. ერეკლემ დესპანად იოანე მუხრან-ბატონს უბრძანა გამგზავრება და ურჩია თან ალაიბრეიმი წაეყვანა, რომელიც მას ამ მოლაპარაკების დროს დიდ დახმარებას გაუწევდა.

იოანე მაშინვე დაბრუნდა თბილისში. ალაიბრეიმი გააფრთხილა, რომ სასწრაფოდ მომზადებულიყო გასამგზავრებლად და თითონაც შეუდგა სამზადისს.

— ერთი, თქვენ გაზრდას, ბესიკი მომიყვანეთ!—უბრძანა იოანემ მსახურთ.

სამგზავრო მზადებით გართულს იოანეს თითქოს რაღაც ახსოვდა და დაევიწყებოდა, სულ ცდილობდა მოეგონებინა და ვერ იგონებდა. ბოლოს შემთხვევით საზს მოჰკრა თვალი და მაშინვე მოაგონდა; თბილისში რომ მოდიოდა, განზრახული ჰქონდა ბესიკისთვის ეხარებინა, შენმა ელჩობამ ნაყოფი გამოიღო. ლეონს მამისთვის ეთქვა კიდევაც, ბესიკი უმართებულოდ დაითხოვე სამსახურიდანო, მაგრამ საქმიანი საუბრით გართულ მეფეს იმხანად შვილის ამ შენიშვნისათვის ყურადღება არ მიექცია.

ეახლა თუ არა ბესიკი, იოანემ დაწვრილებით უამბო ქაბუჯ მგოსანს ყოველივე და მამაშვილურად მხარზე ხელი მოუთათუნა:

— შენი საქმე კარგადაა. შევატყე ბატონი, მგონი, კიდევ ნანობს, რომ გაგიჯავრდა.

— ღმერთმა დღეგრძელი ჰყოს ჩვენი მეფე. არ კი გამოიკვირდა,—გაიციონა ბესიკმა,—ასეთი საიდუმლო ნეტავ რა

აქვთ, რომ დიდებულებსაც არ იკარებენ-მეთქი.

— ეს საქმე, შეველო, ახლაც დიდად საიდუმლოა. შენ კარგად გეუბნები, რომ ამ საქმეში ხელი გაქვს. არავისთან არ დაგცდეს რა. ხომ იცი, რუსებმა თუ გაიგეს, მაშინვე შარს მოგვდებენ. სულ გვითვალთვლებენ და ჯამუშები მოგვისიეს. ვილაც ჩვენიანი უნდა ჰყავდეთ მოსყიდული, რომელიც, სადაც კი არ უნდა გადავდგათ ფეხი, ან რა არ უნდა ვთქვათ, სუყველაფერს რუსებს ეუბნება. ვერ გავიგეთ, ვინ არის.

საუბარი დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ იოანეს მსახური ეახლა და მოახსენა: ბატონის დამ ანამ გთხოვთ ახლავე ინახულოთო.

— ალბათ ქორწინების ამბებზე მიხმობს,—თქვა იოანემ,—ახლა რომ მაგეებისთვის არა მცალიან? რა ექნა, რა ჩარაა, უნდა ვეახლო. ბატონის დაა. წავიდეთ, ბესიკ, წამოიყე. ვნახოთ, ერთი რას მიბრძანებს...

იოანეს სასახლე წყლის კართან იდგა, სწორეთ იმ შუკაზე, რომელიც ანჩისხატს და გიორგი უფლისწულის სასახლის გასწვრივ მიუყვებოდა და მეფის სასახლის მოედანს უერთდებოდა, ასე რომ იოანეს და ბესიკს სულ ორასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გასავლელი. გზადაგზა ორივენი განაგრძობდნენ საუბარს სახელმწიფოს პოლიტიკურ ვითარებაზე და ბესიკს, თუმცა განზრახული ჰქონდა ანამდე არ მიჰყოლოდა იოანეს, საუბარით გართულმა ვერც კი იგრძნო, როგორ გაიარეს მთელი გზა. სასახლის დერეფანში სიტყვა პირში ვერ შეატოვა მოსაუბრეს, საბელ-ჩაბმულივით მიჰყვა და უნებურად მუხრან-ბატონთან ერთად შეაბიჯა ანას სასტუმრო ოთახში.

შეაბიჯა ოთახში და პირველ წუთს ანასთვის არც კი შეეხედა (წინ იოანე იდგა და ეფარებოდა), მაგრამ ბესიკმა იგრძნო, რომ რაღაც საშინელი ამბავი

მოხდა და შემკრთალი ადგილზევე გაშეშდა. ბესიკი ვერ მიმხედდარყო, თუ რამ გამოიწვია მასში ეს უნებური შეკრთომა, ამ წინათგრძნობამ, რომელიც მას ეს რამდენიმე დღეა აწუხებდა, რომ მისი ანიკოსთან უცაბედი გამოიჯნურებამ გამოშკლავნდებოდა, თუ რაიმე წერილმანმა, რომელსაც თვალი მოჰკრა და გუჟანით მიახვედრა, რომ ანამ ყოველივე იცოდა. მხოლოდ შემდეგ მოაგონდა, რომ მან მამინ იოანეს ზურგს შეხედა და ბეჭების რაღაც თავისებური გამოუქნობი მოძრაობა შეამჩნია, რამაც შიში აგრძნობინა. მართლაც იოანე მობრუნდა და უნებურად შეხედა ბესიკს.

— მამატო, თქვენო ბრწყინვალე-ბავ, — დახარა სწრაფად თავი ბესიკმა, რომ შეკრთომა დაეფარა, — მე მგონია აქ ზედმეტი ვარ და თქვენის ნებართვით წავალ აქედან.

ეს სიტყვები ისე ჩაილაპარაკა ბესიკმა, რომ ვერ გაიგებდი, ვის მიმართა — ანას თუ იოანეს. პასუხს არც კი დაუცადა, წესისამებრ უკუღმა რამდენიმე ნაბიჯი ისე გადადგა და გავიდა ოთახიდან, თითქო ანას იგი თავისი თვალებით გაეგდოს გარეთ.

მართალია წინათგრძნობა მუდამ აწუხებდა ბესიკს, მაგრამ მინც არ მოელოდა, რომ ეს ამბავი ასე მალე გამოშკლავნდებოდა. რამდენიმე დღის წინათ ბესიკმა შემთხვევით ხელახლა ამოიკითხა ქალაქის ნაწიბურის გასწვრივ წერილად ამოქარგული ლექსი მაჯამა: „ბაყაყის... გუბეს არ იონს, ვერ დავადარებ გუბესა რიონს, ვერცა შთავილებ უბესა რიონს, სალამი ეძღვნას ჩვენს ბესარიონს“ — და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ანიკო, ოდესღაც პატარა, ახლა უკვე გასათხოვარი ქალი მას ეტრფოდა. მიხვდა და უნებურად აღძრა სურვილი შემეოწმებინა თავისი მოსაზრება. არც განზრახული ჰქონდა გამოიჯნურებოდა ანიკოს და არც არასოდეს არ აღძვრია მისდამი

ტრფობის გრძნობები, მაგრამ ახალგაზრდულმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა და უნებურად გაება ხაფანგში. იმ უღარდელი სითამამით, რომელიც თითქმის ყოველთვის მოულოდნელად მოაპოებინებს ადამიანს გამარჯვებას, ბესიკმა განიმარტოვა ანიკო და ფრთხილად ჩასაჩურჩულა ყურში მუნჯობად თქმული ლექსი. ანიკომ არც კი დააცაღა ლექსის დამთავრება, ჯერ ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა, და როცა ბესიკმა დაამთავრა ერთი ხანა ლექსისა: „ცნობა მიმიღო და გული სევდით შემზღულდა ანამან, კვლავ მომკლა მისმა ციალმა და წელთა მიმოტანამან“, — ქვემოდან თვალებში ახედა მგოსანს, რათა დარწმუნებულყო, მართალს ამბობს თუ არაო, თითქოს ემინოდა, არავეინ მომასწროსო, კისერზე ხელები შემოაქლო და სახე მის მკერდზე დამალა. მერე უცბად ქვითინი აუტყდა და როდესაც დაბნეულმა ბესიკმა ჰკითხა, რა გატირებსო, ანიკომ თვალების სრესით და ზღუქუნით უპასუხა, რომ მათხოვებენ, ხოლო მე შენს მეტი არავეინ არც მეყარებია და არც მეყვარებო. ამ მოულოდნელმა აღსარებამ ისე დააბნია ბესიკი, რომ პირველად გაკვირვების მეტი სხვა არა განუცდია. ისე, როგორც სხეულის სწრაფად მოკვეთის, ან ტყვიით დაქრის დროს პირველ წუთებში ადამიანი ტკივილებს ვერც კი განიცდის ხოლმე. ნამდვილი ტკივილი შემდეგ იგრძნობა, ასე შემდეგ განიცადა ბესიკმა, თუ რა უცბად ქსელში გაიხლართა და როგორ ძვირად დაუჯდებოდა მას ეს ტრფობა. რამდენჯერმე დააპირა აეხსნა ანიკოსათვის, რომ ეს მისი გატრფილება მხოლოდ ზემრობა იყო, მაგრამ ყოველი შეხვედრის დროს, როგორც კი დაინახავდა სიხარულით აციმციმებულ ანიკოს თვალებს, გაიგონებდა მის მერცხალივით ჟღერტულა ხმას, არა თუ გამხედაობა ეკარგებოდა, რომ ანიკოსათვის გაეჭარწყლებინა ტრფობის

ალი, პირიქით, თანდათანობით იპყრობდა ქაბუჯის გულს ის დიდი გრძნობა, რომლისაგან თავის დაღწევა არც ასე ადვილი იყო. ამიტომ ამ ახსნა-განმარტებას ბესიკი ყოველთვის შემდეგისათვის დებდა და შემდეგისათვის გადასდო მაშინაც, როდესაც ორივეს ალერსს მოულოდნელად თვალი მოჰკრა მონაეარდისამ.

ახლა კი, ანას თვალების მრისხანე გაეღვებამ ელვის სისწრაფით გამოაფხიზლა ბესიკი. გამოაფხიზლა და აგრძნობინა, რაც ჩაიღინა ანას მიმართ. თითქოს ქურდობაზე შეესწროთ, ისე დაიბნა და წახდა ბესიკი. გამწარებულმა, უნუტგემოდ მიმოიხედა დერეფანში იმის ფიქრით, თუ როგორ გამოესწორებინა ეს საბედისწერო მდგომარეობა, და სანამ იმავე წუთში საერთოდ რაიმეს მოიფიქრებდა, დერეფნის ბოლოში მოულოდნელად შეეფეთა ანიკოს.

ანიკო ბალიდან ბრუნდებოდა მხიარული და ბედნიერი და იმ წუთში სწორედ ბესიკზე ფიქრობდა. სასახლეშიაც და სასახლის გარეთაც იმდენს ლაპარაკობდნენ ქალები ბესიკზე, იმდენს ოხრავდნენ და იმახდნენ: იმას ვენაცუვალეო, ნეტავი მას, ვისი მიჯნურიც ეგ იქნებო, — რომ ქალთა ამ ოხერა-ცენესის გამგონე ანიკოს მიუწვდომელ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ბესიკთან გამიჯნურება. მართალია, კარგად იცოდა, რო მალე უნდა გაეთხოვებინათ და ეერასოდეს ბესიკი მისი ქმარი ვერ გახდებოდა, მაგრამ ეს მას სრულიადაც არ აწუხებდა და არც უფიქრნია ამის შესახებ. ანიკოს წარმოდგენაში მიჯნური სრულიად სხვა არსება იყო და ის ყოველ გასათხოვარ ქალს უნდა პყოლოდა. ბესიკი მას უყვარდა ბავშვური გულუბრყვილობით, უმანკო სიყვარულით, და ვინაიდან ქაბუჯი მგოსნის მოტრფილ ქალთა შორის თავი გამოარჩევებულად მიიჩნდა, წარმოუდგენელი სიამაყის გრძნობით იყო აღვსილი.

ახლა ის თითქმის განუყვებლად ფიქრობდა ბესიკზე, ოცნებით თავს ევლებოდა, ელოლიეებოდა და სანეტარო ბედნიერებით ეხვეწებოდა. თვალები მუდამ სიხარულით უცივოდა.

ასე უცივოდა თვალები ანიკოს, როდესაც მოულოდნელად შეფეთებულმა ბესიკმა მაშინვე მიახალა, შენ მართალი არ გეგონოს, მე და შენი მიჯნურობა, არც დაიჯერო და არც გულში გაივლო რამეო. მე მხოლოდ უფროსთა დაეალებით გამოგცადე, თორემ ვის გაუგონია მე და შენი მიჯნურობაო.

ანიკო ისე შეკრთა, თითქოს სახეზე მისთვის ცივი წყალი ეპყურებინათ, თვალები სწრაფად მოხტკა და აახამხამა. მერე გამოერყვა, გადართოვებული თვალებით დააკვირდა, და როდესაც დარწმუნდა, ბესიკი არა ხუმრობდა, ისეთი სილა სტიკცა, რომ ხუთივე თითი დააჩინა ლოყაზე. შემდეგ თავი ამაყად ასწია, გაოგნებულ ბესიკს გვერდი აუარა და ხანშიშესული ქალივით თავის ოთახისაკენ აუტქარებელი ნაბიჯებით გაემართა, თუმცა ბურთივით მოწოლილი ბოლმა აღრჩობდა და თავს ებრძოდა, რომ კართან მისვლამდე როგორმე ქვითინი არ წასკდომოდა.



— ეს რა დაგიწერია, ქაბუჯო? — ლეონმა ქალაღდი ხელში აიღო, ტახტზე წამოწვა და ისე დაიწყო კითხვა: — სევდის ბალი...

— რად გინდა. არა ღირს მაგის წაკითხვა, — ხელი გაიშვირა ბესიკმა, რომ ქალაღდი ხელიდან გამოეგლიჯა.

ლეონმა ბესიკის ხელი მოიშორა.

— დაიცა, უნდა წავიკითხო. ერთი გავიგო, რა სევდები შემოგაწვა ისეთი, სანამ მე აქ არ ვიყავ. „სევდის ბალს შეველ შენაღონები, მოკრეფად მსურდა ვარდის კონები...“ ეგ რომელ ბალში იყავ, ქაბუჯლას ბალში თუ...

— მართლა ქაბუჯლას ბალში ვი-

ყავ.—სიცილით უთხრა ბესიკმა და ტანტუე ლეონის ფერხითი ჩამოჯდა,—სალამო ეპი იყო, ბინდბუნდი. ნელ-ნელა სცვივოდნენ ყვითელი ფოთლები. ყოველი მათგანი თავისებურად მოფრინავდა ძირს. ზოგი ტრიალ-ბზრი-ალით კარგახანს დაფარფატებდა ჰაერში, სანამ მიწაზე დაეშვებოდა, ზოგი კი თითქოს მიწაზე დავარდნისა ეშინოდა, ტოტებს ეკიდებოდა და ისეთი ხმაურით ფხაჭუნით და ხრილით ეშვებოდა მიწაზე, თითქოს რაღაც დიდი და შიშიმე მოსწყვეტოდეს კენწეროს...

— ნეკერჩხალის ან კადრის ფოთლები სცვივიან აგეთი ხმაურით. დამაცა, ეს ლექსი წავიკითხო: „ვარდმა შემარისხა თავმოშწონებით, ისარი მტყორცნა დასამონებით...“ ვარდი ვინაა, მითხარი ახლავე.

— არავეინაც არ არის. განა მგოსნები რამდენ ლექსს დასწერენ...

— ჩუმაღ. ვიცი მე შენი ოინები. „სრულად მიმიღო ყოელი ღონები, მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები, მისთვის იქმნები დასაყოვნები“. ვერ მივხვდი მახვილ — განაწონები, მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები“. — ვრიპა, ცუდად ყოფილა შენი საქმე...

— მაშ, ჩემს ელჩობას გაუქრია? — სცადა ბესიკმა ყურადღება არ მიექცია ლეონის კითხვისათვის და საუბარი შეეცვალა:—მე მეგონა...

— დაიცა, რა დროს ელჩობაა!—შეუტია ლეონმა და ჯიუტად განაგრძო კითხვა:

„იასა ვითხე—შენ იღვა ნახი:
ვარდმა რად უქმენ კართა სარაზი?
აჰაყად შწურალი ვნახე ლამაზი!
შანცა განმავლო: „ვარედან ვაზი,
შენგან გვაჩნია გულგზა რაზი...“

— კარგი ერთი,—მისწვდა კვლავ ბესიკი და სცადა ლექსი წაერთმია,—მერე წავიკითხოთ...

— დაიცა-მეთქი „... ჩვენ დაგვთმეო და“... ხელი „ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები“.

ბესიკი როგორც იქნა მისწვდა და ლექსი ხელიდან გამოვლიოჯა ლეონს, რომელსაც უკანასკნელი სტრიქონის წაკითხვას სიცილი მატყუნდა...

— მართალი მითხარ, ნეკერჩხალმა ვისაყვედურა, ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები. ალას მეუღლემ? მართლა, ახლა შენი ყველიერი დადგა. ალა ხომ ახალციხეს გაემგზავრა, მაგრამ... დაიცა, ახლა მივხვდი. ალბათ შენ უკვე ეახლე შენს ფატმანს, იმან კი პანლური გკრა და გარეთ გამოგაგდო: ჩვენ დაგვთმე და სხვას ემონებო? მართალია, ხო?

ლეონი ხუმრობის, ლაღობისა და დროსტარების განწყობილებაზე იყო, საქმეებით დაღლილს დასვენება სურდა. ჯერ კიდევ გზიდან მოსწერა თბილისში ეზოს-მომღვარს, რომ კარგი სუფრის თადარიგი დაეჭირა და, რაც კი საუკეთესო რამ იშოვებოდა თბილისში, ყოველივე მოემარაგებინა. დაბრუნდა თუ არა, მარტო ჭალაქის მეციხოვნეთა მინბაშის მოკლე პატაკი მოისმინა და მაშინვე თავის პალატებისკენ გაემართა. დიდი ოთახის ბუხარში ცეცხლი დაანთებინა და ვანშმის მოლოდინში ბესიკთან საუბრით თავს ირთობდა.

ბესიკს პირიქით ლაღი საუბრის ნაცვლად სურდა ამბები გამოეკითხნა ბატონიშვილისთვის და ცდილობდა საუბრის საქმე სხვამხრივ მიემართა. მით უმეტეს, ლეონი გულუბრყვილო კითხვებით ჭრილობებს ხელახლა უსერავდა.

— არ გესმის? მითხარი ახლავე, ვინაა ეს სხვა, რომ ემონები?—არ ეშვებოდა ლეონი.

— ბატონი როდის ჩამობრძანდება?

— შენ მიპასუხე, როდესაც გეკითხები. როდის მობრძანდება მაგ რა შენი საქმეა. ის ვინაა? სანდუბტაა? თუ მაქტლაა? ჰა, რას დაღუშდი. მართლა,—უცბად ფეხზე წამოიჭრა ლეონი

და ბესიკს ზემოდან დააშტერდა დონჯეშემოყრილი,—იმ საქმისა რა ჰქმენ?

— რა საქმის?—გაოცებით ახედა ბესიკმა, მაგრამ მაშინვე მიხვდა და ღიმილით თვალი ჩაუკრა.

— ჰო-ო!—ჰკითხა ლეონმა, კმაყოფილად გაიღიმა და ისევ ტახტზე წამოწვა.—უჰ, დავიღალე, დავიღალე სულ მუდამ ცხენზე ჯდომით. ახლა კიდევ ხეალ მუხრანს უნდა წავედეთ. ანიკო უნდა დავნიშნოთ იმერთა უფლისწულზე.

— მე უნდა გეახლო?

— მაშ როგორ? ტყუილად ხარ ჩემი მეითარი, სახლთუხუცესი, ნაზირ ვეზირი? მაშ იქ საქმე კარგადაა? ამაღამ ვერ ვინახულე? დამწვას მალ ალმა.

— ბატონიშვილო, ერთ რამესა გთხოვ...

— ჯერ კითხვაზე მიპასუხე. ეს როგორ გაუზრდელი! ერთი გამაგებინე, შენა ხარ ბატონიშვილი თუ მე? გეკითხები უნდა მიპასუხო. იმაზე ღარღით ღამეები არ მეძინა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო. რა გაჩქარებს, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— სისულელეებს თავი გაანებე. დაგვიანებით. კი ბევრს მოუქამია წუთისოფელი? რაებს მიქარავ, დღეს ვართ, ხეალ აღარ ვიქნებით...

— ქვეყნის მმართველად მოწოდებული ბატონიშვილი აგრე არ უნდა მსჯელობდეს.

— მაშ შენის აზრით ყოველივე ამქვეყნიური ნეტარება მარტო შენისთანა მღაბიოს ხვედრია? ჩვენ ქვეყანა უნდა ვმართოთ, დღედაღამ არ უნდა გვეძინოს, მუდამ უნდა ვიოშოთ, მთელი ტანი ხმლით უნდა გვეჭოდეს ნაჩეხი, ხოლო თქვენ,—აქაო და მღაბიო ხალხი ვართო—მიჯნურობის ზღვაში უნდა სცურავდეთ? დღეს ერთს სთმობდეთ, ხეალ მეორეს, ჩვენთვის უპრიანია, დაბალი ხალხი ვართ, არავინ დაგვზრახავსო, თქვენ კი მთელი ვრი შემო-

გყურებთ და აბა როგორ გეკადრებათ, რომ დაბალი წოდების ქალი შეიყვაროთ, ეგ რა თქვენი საქმეაო. შენც ერთი მამაჩემი გამიხდებოდა, დღეც ზეზე!—ფეხის წვერი წამოაკრა ბესიკს ლეონმა და ზეზე წამოაგდო.—რას ჩამომიჯექ ფეხებთან სულთამხუთავით...

— სულთამხუთავი განა ფეხებთან უზის სულთმობრძავს...

— სანთლები აანთე. ვერა ხედავ, ბნელა! სუფრაჯს დაუძახე, რაც მოსატანია, მოგვართოს.

სანამ ბესიკი ფარეშებს იხმობდა, ამა სობაში სტუმრებიც მოვიდნენ. სტუმრებს,—რამაზ მდივანბეგს, სულხან ბეგთაბეგისშვილს, და აღაბაზ ერისთავს, წინ დავით სარდალ-სახლთუხუცესი მიუძღოდა, რომელმაც შემოსვლისთანავე მიმოიხედა და წამოიძახა:

— ვაჰ, ცოლისძავ, ვაზშამი საღლაა?

— ახლავე, ყოველივე მზადაა,—წამოიჭრა ფეხზე ლეონი და სტუმრებს შეეგება,—მობრძანდით, დიდებულნო. ვაჰ! აღაბაზ, შენ როდის მოხველი?

— ეს-ეს არის დავბრუნდი,—უბახსუბა აღაბაზმა, გრძელ უღვაშზე ქვემოდან აისევა ხელი, თითქო ყურზე უნლოდა გადაედო,—აღაფმა დაგვიხანტა ნაბიჯი, თორემ აქამდე აქ ვიქნებოდით.

— ჩაიბარეთ ხერთვისი?

— განა თქვენთვის არ მოუხსენებიათ?

— მე არა ვიცი-რა. მამა-ბატონმა მიბრძანა აქ წამოვსულიყავ, რათა მუხრანს ჩვენი ანიკოს ქორწინებას დავესწრო.

— ქალაქი ავიღეთ, ვარშემო სოფლები დავარბიეთ, ციხეს ავიღებდით, მაგრამ რუსის რწმუნებულმა ლეოვმა გვირჩია, ხელი აიღეთო. ამ ციხის ხელში დაქერა არ გამოვადგებათ, რადგანაც ზემოდან ისეთი ვაკე ზეგანი დამყურებს და ისე ახლო, რომ სრულიად დაუცველია და არა თუ ზარბაზანი,

თოფებიც კი საკმარისია, რომ მეციხოვნენი სრულიად ამოსწყვიტონო. ამ ციხეში ჯარის ჩაყენება ზარალია, რადგან ზამთარში გზები დაიკეტება, ხოლო თურქების ხელში მყოფ ქალაქებიდან—აწყვერიდან, ახალციხიდან და ახალქალაქიდან ყოველთვის შესძლებს მტერი ზერთვისის უკან დაბრუნებას.

— მართალი უთქვამს! — შენიშნა ლეონმა.

— ჰო და ჩვენც გადავწყვიტეთ, რადგან ზარბაზნები არა გვქონდა, ციხეში ჩაკეტილ ორიოდ მეციხოვნესათვის თავი მიგვენებებინა. ალადი კი იმდენი წამოვიღეთ, რომ...

— ორასამდე ტყვეც მოიყვანეს,— დასძინა დავითმა და ისევ მოუთმენლად მიმოიხედა, — ვეთო გვაჩვენე მაინც, სადაა შენი ზიზალაა, ზურგიელი, ჭანარი, მურწა...

დავითი კარგ გუნებაზე იყო. მას შემდეგ, რაც თავისი სიმაბრძოლე დაიყოლია, რომ თურქებთან მორიგებულიყვნენ სიძე-სიმაბრძოლე თითქოს უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ერეკლე ყოველ ფეხის გადადგმაზე რჩევა-დარიგებას ეკითხებოდა დავითს. ცხადი იყო, მეფეს სურდა გაექარებებინა მისთვის ის უსიამოვნება, რაც აღჯაყალას ციხეში მიაყენა. ერეკლე დარწმუნდა, რომ საქმეთა მსვლელობა სწორედ დავითის მოსაზრებებს ამართლებდა, მდივანბეგ ჭაბუა ორბელიანის საწინააღმდეგოდ, და ამიტომ უნებურად მეტი ყურადღებით მოეპყრო სიძის მოსაზრებებს. მიხვდა მეფე, რომ სხვისი იმედით საკუთარ ძალთა მოდუნება მომავლიდებელ საფრთხეს უქადადა მთელ სამეფოს. მიხვდა და ეს თავის მოსაზრება თამამად გაუზიარა სიძეს. მაშინ ორივენი შეუღდნენ იმაზე ფიქრს, თუ როგორ გამოსულიყვნენ ამ მდგომარეობიდან. დავითმა ახლა უკვე გადაჭრით მოახსენა მეფეს, რომ აუცილებელი იყო მუდმივი ჯარის შექმნა. ერეკლე დაეთანხ-

მა, მხოლოდ ჯერ კიდევ სურდა უკანასკნელად ეცადნა ზედი ზედი თითონ და თუ მათგან მუდმივი მასშველი ჯარის მიღება შეუძლებელი აღჩნდა, შეეცადებოდა სესხი მაინც მიეღო, სანამ ახტალის მადნებს აამუშავებდა და საკმაო რაოდენობის ვერცხლი ექნებოდა. დავითი დაეთანხმა, რომ ცდა ყოველთვის საჭირო იყო, თუმცა თითონ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდოდა.

— სად არის-მეთქი შენი მასპინძლობა? — გაუმეორა ჭაბუკ ცოლისძმას კითხვა დავითმა, მაგრამ სანამ ლეონი უპასუხებდა, ამ დროს ბესიკი შემოვიდა ოთახში და ბატონიშვილის ნაცვლად მან გასცა პასუხი:

— ყოველივე მზად გახლავთ. უკვე მოაქვთ.

— ვაჰ! ბესიკ, შენც აქა ხარ? — შეეგება დავითი, — როგორ ბრძანდები, შერისხულო? რამდენი ხანია შენი სიმღერა არ მომისმენია. აი ახლა კი გამღერებ და გამღერებ. თარი სად არის?

— ერთი მაგას ჰკითხე, ემღერება? სევდის ბაღში დასეირნობს, — ჩაერია ლეონი და ბესიკს ღიმილით გადახედა.

— სევდის ბაღში რა უნდა, ლხენის ბაღში გადმოსახლდეს, მით უმეტეს საქმეები კარგად მიდის. ბატონს ვატყობ, ამაზე გული უბრუნდება. ლეონ, მე და შენ უნდა ვეცადნეთ ბატონი, რომ დაბრუნდება, მდივნის სახელი კვლავ მოვაცემინოთ ამისთვის. რას ემართლება, უანთან საქმე ხომ არ გაუფუტუქებია! არც ისე მდიდრები ვართ განათლებული ყმაწვილებით, რომ ასე ხელის აკვრით მოვიშოროთ ხოლმე თავიდან.

ლეონი დაეთანხმა დავითს და სტუმრებს სუფრისაკენ მოუწოდა, რომელზედაც მსახურნი აწყობდნენ ფაიფურის საინებს და ბროლის ტანწერწებთა ქიქებს.

— ეს ქიქები წაიღეთ, — უბრძანა დავითმა მსახურთ, — განა დედაკაცები

ვართ ღვინო სათითოურებით დავლიოთ, ჯამები მოიტანეთ, კათები, ყანწები.

ყველანი მაგიდას მოუსხდნენ ბესიკის გარდა, რომელსაც თანამდებობის მიხედვით უფლება არა ჰქონდა სუფრაზე დამჯდარიყო სხვებთან ერთად და ლეონის უკან დადგა, მაგრამ დავითმა არ დააყენა და გვერდით მოისვა.

— აქ მო. ბატონიშვილი ნებასა გრთავს. დაჯე და თარი ააწყე.

— შენ, როგორც ვხედავ, ქეიფის გუნებაზედ ხარ, — შენიშნა რამაზ მდივანბეგმა დავითს.

— რატომაც არა. აგერ ალაბაბი ომიდან დაბრუნდა გამარჯვებული, არ უნდა ვიქეიფოთ რას იტყვი, ალაბაბ!

— აგრეა ძველთაგან. ომის შემდეგ ნადიმობა (დაუწესებიათ, — უპასუხა ალაბაბმა.

— იმიტომაც ხშირად ენადიმობთ ქართველები, რომ სულ მუდამ ვომობთ.

— ნეტავ ერთი ისეთი წელიწადი მაინც გამოჩეულიყო, ომი და ბრძოლა არ გვექნებოდეს! — ამოოხვრით სთქვა რამაზ მდივანბეგმა.

— ჯარი უნდა გვყავდეს მუდმივი, იარაღი უნდა გვექონდეს მრავალი, ხარბაზნები, და მაშინ მოსვენებითაც ვიქნებით, — უპასუხა ცხარედ დავითმა, — ჯარი, საკუთარი, მუდმივი ჯარი. განა ქეშმარიტება არ არის, რომ თუ მეზობელი შენში ღონესა გრძნობს, შენზე საომრად ვერ მოიწევს?!

— ეჰ, დალოცვილო, განა ეგ ჩვენც არ ვიცით, მაგრამ მუდმივი ჯარის შენახვა განა იოლი საქმეა? ჯამაგირით რომ ჯარი ვიყოლიოთ, სულ მცირე თუნდაც ხუთიათასი კაცი, კაცზე თვეში თუმანი ხარჯი არ შედგება ჯამაგირით? არ ვახსოვს, ჩერქეზებს რას ამლევა ბატონი თვეში? სამ თუმანს. ხუთიათას კაცზე თვეში სულ მცირე თუმანიც რომ იანგარიშო წელიწადში, ეს ექვსას ათას მინალთუნს არ იზამს? გავუძლებთ? ვერ გავუძლებთ. მარტო

მაგ ხარჯებს კიდევ გაუძლებდა ეს ჩვენი ხარაბად ქცეული საიფო, მაგრამ განა მარტო ეგ ხარჯები ექნება ბატონსა? *ქარქინეშლი*

— ლეკებს ჩვენზე თანამდებობით ყოველწლიურად უფრო მეტი მიაქვთ ჩვენი ქვეყნიდან. თუ ასე გაგრძელდა, ისე დავეზოვებით, რომ მალე სულიც ამოგვხდება. თუ არ გავიჭირებთ, ისე არაფერი არ გამოვა, — დავითმა უნებურად აღმატა ხმას, — უნდა მოვეხმაროთ ბატონს, მოვიხსნათ, რაც ტანზე ძვირფასი სამკაულები გვაქვს, დავავიარავოთ ყოველივე, შევავროვოთ მთელი სიმდიდრე და ქვეყანას მტკიცე ბურჯი ამოუღუნოთ. არაფერი გვიშავს თუ კერძს, ფაიდურის საინის ნაცვლად, უბრალო თიხის ჯამითა ვქამთ და აბრეშუმის მაგივრად ხამის პერანგებს ჩავიცვამთ. თუ არ გავიჭირებთ, ისე არაფერი არ გამოგვივა.

— ეჰ, ჩემო დავით, მე და შენ ბარემ შადა ვართ აგრე მოვიქცეთ, მაგრამ განა ყველა მოისურვებს თავის შეწუხებას? მაშინვე პირს იბრუნებენ და ან ალექსანდრე ბაქარისძესთან გაიქცევიან ხევწნით, ან რუსებთან, გვიშველეთ, ჩვენი ბატონი გალატაკებას გვიპირებსო.

— გაიქცნენ თუ გაიქცევიან, — დაპკრა მუშტი მაგიდას დავითმა, — ქვეყნის ორგულს და ბოროტს ჩვენთან რა უნდა!

— დაიცა დავით, — შეაჩერა გაცხარებული სახლთუხუცესი ლეონმა, ის აქამდე ჩაფიქრებული უსმენდა ამ ორი დიდებულის სჯა-ბაასს და ეტყობოდა რაღაც მოსაზრება დაებადა: — დაიცა დავით, ნეტავ არ შეიძლება, რომ ჩვენში მუდმივი ჯარის ნაცვლად მორიგეობით სამსახური დავაწესოთ? დავადგინოთ, რომ ყველასათვის სავალდებულო იყოს წელიწადში ერთი თვე ჯარში სამსახური საკუთარი ხარჯით. ეს ხომ სახელმწიფო ხაზინიდან თითქმის სულ არ მოითხოვს ხარ-

ჯებს და პირველ ხანებში ჩვენც ძალზე გავიმართავთ ხელს.

დავითზე ისეთი შთაბეჭდილება მოაზნინა ამ სრულიად უბრალოდ გამოთქმულმა, მაგრამ ბრწყინვალე მოსაზრებამ, რომ მაშინვე გადაეხვია თავის ცოლისძმას, შუბლზე ეამბორა და იმ საღამოს. მეტისმეტი აღლევებისაგან აღარც უსევამს და აღარც უქამია.



მორიგე ჯარის დაარსების აზრი ერეკლეს ძალზე მოეწონა და მაშინვე მოიწვია თათბირი ამ საკითხის უფრო დაწვრილებით შესასწავლად.

თათბირი მცირე დარბაზში მიმდინარეობდა და მას ბატონიშვილ ლეონის, სარდალ-სახლთუხუცესის დავით ორბელიანის, მდივანბეგების და სარდლების გარდა ესწრებოდნენ მდივნებიც და სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც. გამოირკვა, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი იყო და სულ უკანასკნელი ორი წელიწადი დასჭირდებოდა წინასწარ-მოსამზადებელ სამუშაოებს, სანამ მოახერხებდნენ შეიარაღებული მორიგე რაზმი პირველად გაეყვანათ სამსახურში. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მოსახლეობის აღწერა მთელი ქონებით, საჭონელითა და იარაღით. შემდეგ ეს მასალები უნდა დამუშავებულიყო და ცალ-ცალკე აღერიცხათ, როგორც იარაღის ტარების უნარიანი მამაკაცები, აგრეთვე—ვის რა სახის იარაღი გააჩნდა, ან როგორი იყო მისი სალაშქრო კანშელობა, კარგები ან ნაბდები, ჰყავდა თუ არა თითოეულ მემარს ცხენი, ჯორი ან აქლემი და შეეძლო თუ არა საკუთარი ხარჯით დაერჩინა თავი მორიგეობის დროს. მართო აღმწერლებად საჭირო იყო, სულ უკანასკნელი, ასამდე კაცის მომზადება და ამას მთელი ზამთარი მოუწოდებოდნენ, კარგა ხანი აღწერას დასჭირდებოდა და შემდეგ მასალების და-

მუშავენას და დავთრების მოწყობისა.

ამ სიძნელეებმა ლეონიც და დავითიც ცოტა არ იყოს შეეცდნენ. წელიწადი უკმაყოფილოდ გაილაშქრა მორიგე ჯარის დაფუძნების წინააღმდეგ. ჰაზუს გული მოუვიდა, რატომ ეს აზრი საერთოდ პირველად მე არ მომივიდაო და გესლიანი ღიმილით მოისმინა დავით სარდლის სიტყვა, როდესაც ის პირველად აცნობდა დამსწრეებს ამ მოსაზრებას. დავითი ლეონის გვერდით იჯდა, ზოლო ლეონის უკან ბესიკი ამართულებოდა. ჰაზუს ამ ჯგუფს შეეწოდა თუ არა თვალი, მაშინვე რატომღაც გაუელვა გუნებაში, რომ მორიგე ჯარის დაარსების აზრი ბესიკს უნდა ეკუთვნოდესო. იმ წამსვე საწინააღმდეგოდ განეწყო და ისეთი დამკინავე ღიმილით უსმენდა ამ დიადი განზრახვის მომხრეებს, თითქოს ამ ღიმილით ყველას ეუბნებოდა, ღმერთო მიშველეთ, რამდენი სულელი ჰყავს ამ ქვეყანასო. ხანდახან დაცინვით სიტყვასაც ჩაურთავდა, ვითომდა გაოცების ან აღტაცების გამოსახატავად და შეკავებული ხითხითით იქნებდა თავს: — ჰა! რაო, მტერს თავზარს დავცემთო... ჰა? აბა ეგ იქნება აი... რაო? ლეკები შიშით ვარეთ ველარ გამოვლენო... მაშა, მაშა, რაღა ეშველებათ საბრალო ლეკებს... სულ ჩუმად გვერდით ვიღაცას წასჩურჩულა ყურში: ნეტავ ვიციოდე ბესიკი თავის მამულიდან, რამდენ მთომარს გამოიყვანსო,—და სიცილი წასკდა: ფხულო... პირზე ხელი მიიფარა და ვითომ სმენად ვადაიქცა, მაგრამ ამ დროს მოესმა ერეკლეს ოდნავ დაგულული ტყბილი ხმა:

— ჰაზუს რას გვეტყვის ამ აზრის შესახებ?

ჰაზუს ცოტა არ იყოს დაიბნა, მან არ იცოდა ერეკლეს ეს აზრი მოსწონდა თუ არ მოსწონდა, რომ ამის მიხედვით თითონაც მოეწონებინა ან უარეყო მორიგე ჯარის დაარსების განზრახვა.

ამიტომ, რომ იტყვიან პირველად, ადგილზევე დაიწყო ტკეპნა და ზოგადი მოსახრებების გამოთქმა, მაგრამ მალე ნაბიჯიდან თხზარკზე გადავიდა და მოხსნა თავი გულსა.

— პლინი სთოიკი ამბობს. „ყოველი ესამი იგი წარწყმდეს, რომელიცა სწავლასა ზედა არა სახმარა ვყოთ“ და მართალიც არის. ყოველი აზრი სწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს, თორემ ისე მას ფასი არა აქვს. მე ჯერ არსად არ ამომიკითხავს და არც მახსოვს ოდესმე ძველთაგან ასეთი წესით ჯარში სამსახური დაეწესებინოთ, არც ჩვენთან, არც უცხოეთში, არც რომაელთა, არც ბერძენთა ან სპარსთა ისტორიებში არა სწერია ასეთი რამ. ნუთუ ჩვენ იმაზე უფრო ბრძენნი ვართ, რომ მარტო ჩვენ მოგვივიდა ასეთი აზრი. აბა თქვენ თვით განსაჯეთ, მეფეო, როგორ შეიძლება დაწესდეს ჯარში სავალდებულო მორიგეობა თითო თვით ყველასათვის! განა ადვილი საქმეა? ყველა ზომ ერთ ხელობას არ ადგას, ზოგი მკუდელია, ზოგი ფეიქარი, ზოგი მიწის მუშა და ზოგი კიდევ მეცხვარე. აბა იანგარიშეთ მწყემსები რომ მორიგედ გაიწვიოთ, ცხვარი ვისდა მიუჯღონ.

— განა ყველა მეცხვარეს ერთად გავიწვიეთ,—შეაწყვეტინა ჭაბუას ლეონმა,—რიგრიგობით. ამ თვეში ერთს, იმ თვეში მეორეს...

— კარგი, თუნდაც აგრე იყოს, — განაგრძო ჭაბუამ,—ეგ კიდევ უარესია საქმისათვის. მაშინ ერთი რაზმი რომ შეადგინოთ, მთლად საქართველოს კუთხიდან უნდა დაიბაროთ ხალხი. სურამიდან სიღნაღამდე ქვეითი კაცისათვის ათი დღის სავალია. ათი დღე იქით ათი აქეთ და ჯარში რამდენი დღე უნდა იქნეს მეომარი? მარტო სიარულს მოუნდებიან და მთელი საქართველო უთავბოლოდ მოსიარულე ჭიანჭველეთის ბუდეს დაემსგავსება. ეგ რაღა ჯარი გამოვა. ოსტატი ან კარგი ხელობის

მქონე ადამიანი რომ უსწავებლოდ გზებზე ატაროთ, განა ეს უფრო მეტი ზარალი არ არის სამეფოსათვის! ფეიქარი ოც დღეში ოცჯერად იმერეთს ან შალს მიანც მოქსოვს, მიწის მუშა ოც კოდ პურს მოიყვანს, მეცხვარე ას სულ ცხვარს მოსწველის, გაერქვს, ას კვერს ამოიყვანს, თქვენ კი გნებაზე ეს ხალხი საქმესაც მოაციდნით და სარგებლობაც ვერა ნახოთ რა. აბა ისეთი კაცი, ვისაც თავის დღეში ხელში ხმალი არა სჭერია ან თოფი არ გაუსვრია, ომში გამოვადგებათ? ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. განა ტყუილად უთქვამს ბრძენ რუსთაველს: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყვიე მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, მეფეო, და მხოლოდ მაშინ არის ქვეყანა ძლიერი.

— მაშ, როგორ ფიქრობთ, როგორ მოვიტყუოთ,—ჰკითხა ერეკლემ და წარბებ ქვეშიდან გახედა ჭაბუას.

— სანამ რუსეთი თავის კალთას გადაგვაფარებდეს, ჯერჯერობით წინანდებურად, ან საქუროების მიხედვით ქირით დავიჭიროთ ჯარი, ან კიდევ, როგორც ძველთაგან მოგვდგამს, ლაშქარს მტერთა მოხლომის ღრის ყოველთვის მოვკრებთ. უნდა ისევ ვეცადნეთ როგორმე, რომ რუსეთმა...

— თუ იმ დედაკაცმა თავის კალთა თავზე არ გადაგაფარა, მაშინ?—მოულოდნელად ჰკითხა სახლთუხუცესმა ჭაბუას,—მაშინ სადღა აპირებ დამალვას?

ამ კითხვამ სიცილი გამოიწვია, რადგან უნებურად თვალწინ წარმოუდგათ კაბის კალთის ქვეშ შემალული ჭაბუა.

თვით ერეკლეცაც კი გაიღიმა, თუმცა იმავე წუთში დინჯი გამომეტყველებდა მიიღო და სიძეს უსაყვედურა:

— შეილო დავით, როგორ გეკადრებათ აგრე უპატიურად ხსენება...

— მაპატიეთ, მეფეო... — დავითმა

გულზე ხელი მიიღო და თავი მძიმედ დახარა,—მაგრამ გული ვეღარ ითმენს, ოდეს ჩვენს წმინდა სურვილებს—ალვავათ სამეფო ჩვენი, ზოგიერთნი მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყანას დაანახვონ თავისი მჭერმეტყველების ხელოვნება, სასაცილოდ იღებენ. ამ ჩემს სახლისკაცსაც ვატყობ სურს კვლავ გვიჩვენოს თავის განსწავლულობა და იმისთვის აღიმაღლა ხმა მორიგე ლაშქრის დაწესების წინააღმდეგ, თორემ აბა რა მოსატანი იყო აქ, ასეთი წესი მე არსად ამომიკითხავსო. ბერძენთა ისტორიებში თოფზარბაზნების ხსენებაც არ არის, მაშ რა უნდა ექნა მას, ვინც პირველად თოფის წამალი და ზარბაზანი მოიგონა. ჭაბუქათვის ეკითხა? ეს ხომ ეტყოდა: ესეთები ბერძენთა ისტორიებში არა სწერია და არ გაბედო ასეთი უჩვეულო რამის გაკეთებო. ეს როგორ იქნება? ღმერთმა ბედნიერი ვაგებოდა, ჩვენს ბატონიშვილს ლეონს ასეთი წარმტაცი აზრი შთაუწერა და ვანა შეიძლება ამის უგულუბელყოფა?

— ერთი თვე ჯარში სამსახური წელიწადში არავისთვისაც არ უნდა იყოს სამძიმო,—ჩაერია საუბარში მდივანბეგი იოანე ორბელიანი, რომელიც საერთოდ ყოველთვის გადამწყვეტი იყო კამათის ბედისა: ვის მხარესაც დაიკერდა, საკითხი მის სასარგებლოდ წყდებოდა.—ქეშმარიტად ბედნიერი აზრი მოსვლია ბატონიშვილს და ჩვენც ამ საქმეს თავი უნდა მოვაბათ. თუ დროზე შევეუდგებით მოსახლეობის აღწერას, არ წავაგებთ.

— ვფიქრობ, თქვენო ბრწყინვალე ბავ, რომ ამ საქმის მეთაურობა სწორედ სათქვენო საქმეა,—მიმართა იოანეს ერეკლემ:—თუ ახლავე შეუდგებით საქმეს, უმჯობესი იქნება.

— მაპატიეთ, თქვენო უმაღლესობავ, ვაი თუ ვერ შევეძლო... იქნებ სხვას დაევალოთ.

— არა, ვარსკვლავთმორიციხველი, ლეონეტრი და არითმეტიკოსი თუ აღ-

წერის საქმეს ვერ გაუძლევა, მაშინ ვისლა დავავალოთ. ერთ კვირამდე დაწერილებით აღრიცხეთ, რაც დაეკვირდებათ. ან თეთრი ან სხვა რაღაც მჭერმეტყველები მოიშველიეთ და დღეის სწორს მოგვახსენეთ.—ერეკლემ უცბად ჭაბუქას შეხედა, რომელსაც საოცრად გაზვიადებული სახე ჰქონდა და გასამხნევებლად გაუღიმა:—თქვენი აზრი ვანა მართებული არ იყო, თქვენო ბრწყინვალე ბავ, მაგრამ ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც საქმე რაოდენის სიმძიმითაც არ უნდა დაგვაწვეს მხრებზე, უნდა გავუძლოთ. მეცხვარე, მართალია, თვეში ას კვერ ყველს კიდეც ამოიყვანს, მაგრამ ერთ დღეში შეიძლება ათასი დაკარგოს, ფეიქარი ოც აღლს მოქსოვს, მაგრამ მეკობრე ოცი წლის ნამაგარს ერთ წუთში წაართმევს. მტრის მოსაგერებლად თუ მახვილი არ სჭედე, იმის შიშით—ბევრი დრო მოუნდებო, რითლა შეეზმი? ეცადოთ, იქნებ გვიმართლოს ამ საქმემ... არ არის დასაგმობი ჩვენი ჭაბუქი ბატონიშვილის ეს ბედნიერი აზრი.

— ზენაარს ვფიცავ, რომ მცოდნობა, ეს აზრი ბატონიშვილ ლეონს დაეზადა, ხმას როგორ ამოვიღებდი..

თითქო ცოდვებს ინანიებდა, ისე გადახედა ჭაბუქამ ჯერ მეფეს და შემდეგ ლეონს. კიდეც უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ერეკლემ აღარ აცალა, მან გამოუცხადა დამსწრეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობის საბოლოოდ გამოსარკვევად გადაეწყვიტა წარეგზავნა იმპერატრიცასთან ბატონიშვილი ლეონი და კათალიკოსი ანტონი.

დავითმა მაშინვე გადახედა ლეონს, შემდეგ დაიხარა და ყურში წასჩურჩულა:

— ტყუილად დაეკარგავთ დროს. ეგ არის, პეტერბურღსა ნახავ, რუსეთს მოივლი, შენთვის კარგია, თორემ ისე მაგათგან არა გამოვა-რა.

— ვინ იცის!—უბასუხა ლეონმა.

— სანამ შენ დაბრუნდები, მე და ბე-

სიკი უკვე გაწყობილ ლაშქარს დაგახედრებთ. არა, ბესიკ?—ახედა დავითმა ბესიკს და ხუმრობით მკერდზე მჯილი ჰკრა.

— ეგ თან მიმყავს.

— როგორ?—გაოცებით გადახედა ლეონს დავითმა, —ამასაც გინდა აჩვენო რუსეთი? დამიხედეთ ამ ჩიტუნია მგოსანს, ხან სპარსეთი, ხან რუსეთი, მთელი ქვეყანა მოვლო. ძაღლის ბედი აქვს.

— მართლაც, —უნებურად გაიციინა ბესიკმა და გუნებაში გაიფიქრა, — „სწორედ რომ ძაღლის ბედი მაქვს, ხან ძვალს ვადმომიგდებენ, ხან წიხლს ჩამაზეულენ“.

დავითი თითქოს მიუხედა აზრს და ლეონს ჰკითხა:

— ბატონს არ მოახსენე ბესიკის შესახებ?

— როგორ არა.

— მერე?

— შენთან რომ მსახურებს, მეტი რაღა უნდაო. ბატონიშვილთან სამსახური განა ნაკლები არისო? შენ უთხარ, დაგიჯერებს.

ღარბაზში თათბირი შეუმჩნეველად გადავიდა უბრალო საუბარში და ყველანი ჯგუფებად დაიყვნენ. ჰაბუამ უნებურად მიიქცია ყურადღება სამეულს, —დავითს, ლეონს და ბესიკს. ისინი ჯერ დაძაბული ყურადღებით საუბრობდნენ, შემდეგ ჩუმჩუნად სიცილიც აუტყდათ და რამდენჯერმე მისკენ მოიხედეს. ჰაბუა გულმოსული აიფხორა, ეგონა მოსაუბრენი მას დასცინოდნენ, მაშინვე ადგა და მათთან მივიდა. გზადაგზა ფიქრობდა, თუ გაჩუმდნენ, მაშინ ჩემს შესახებ ჰქონიათ საუბარიო.

ისინი მართლა გაჩუმდნენ, ხოლო დავითი ადგა და ერეკლეს მიუახლოვდა. ჰაბუამ გულმოსულად გააყოლა თვალი სახლთუხუცესს და საყვადურით წამოიძახა:

— ნეტავ ვიცოდე, რა დაუშავე, რომ ასე გარდამეკიდა.

— მაგას რისთვის ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალე ბეჭედი, —უპირისპირა ლეონმა, —დავითს თქვენ ყველაზე მეტად უყვარხართ.

— ვიცი, ვიცი, როგორც ვუყვარვარ.

— ოღონდ ეგ არის, რომ ვინც რუსებზე კარგს იტყვის, მზად არის სასიკვდილოდ შეებას.

— რუსებმა რა დაუშავეს.

— თვით რუსებმა არა, მაგრამ ტოტლებენმა, შემდეგ სუზოტინმა, მერე იმპერატრიცის სიგელმა, ისე გააცეცხლა, რომ...

— ემა ვარდი უეცლოდ ვის მოუკრეფია, მაგრამ ვეპვობ, რომ ეგ იყოს მიზეზი. ალბათ სხვა რამ არის...

— ბატონის მზესა ვფიცავ, არა.

— მაშ მორიგე ჯარის დაწესება შენ მოიფიქრე, ბატონიშვილო? —მესცვალა საუბარი ჰაბუამ, —ეგ რომ მცოდნოდა ხმას როგორ ამოვიღებდი. მე ამ ბლიადის მოგონილი მეგონა, მაგრამ ის კი აღარ გამახსენდა, რომ რაც მე პასუხი გავცე ლექსით, ხმას ველარ იღებე.

— მართლა? —ჰკითხა ლეონმა —ამას ვგონებ არც კი წაუკითხავა. წაიკითხე ბესიკ?

— არა, არ წაიკითხავს.

— ბატონის მზეს ვფიცავ, ალბათ წაიკითხული აქვს და ახლა რადგან ენა ჩაეუფდე, იძახის—არ წამიკითხავსო.

— მე მოგახსენებთ არ წამიკითხავსმეთქი და თუ პასუხს ძალზე ნატრობთ, თქვენო ბრწყინვალე ბეჭედი, წაუკითხავდაც შემძლია დაგიწეროთ.

— ჯერ წაიკითხე და შემდეგ, როდესაც ამ ლექსის პასუხი მოახერხო, მაშინ დაიკვებენ! —უღარდელი სიმშვიდით უთხრა ჰაბუამ ბესიკს და ერეკლესაკენ გაემართა, რადგან დაინახა, რომ მეფის გვერდით თავისუფალი სავარძელი იდგა.

ერეკლე კვლავ დავითთან საუბრობ-

და და კაბუასთვის პირველად ყურადღება არც მიუქცევია. ის კი სავარძელზე დაჯდა თუ არა მაშინვე მოეშადა, რომ ბატონი სასაუბროდ ხელში ჩაეგდო. კაბუას სურდა როგორმე საბასუხო ლექსი წაეკითხა ერეკლესათვის, რადგან დანამდვილებით ჰქონდა გაგებული რომ მეფეს ბესიკის ანბანთქება წაეკითხა, ბევრი ეცინა და ეთქვა, ნეტავ კაბუა თუ მოახერხებს, რომ პასუხი გასცესო.

დავითმა საუბრის დროს შეაფედრა ბესიკის თავი სიმაძრს და სთხოვა მისთვის მდივნის სახელი დაებრუნებინა. კაბუამ, როგორც კი მოკრა ყური ბესიკის სახელს, მაშინვე იკრა უბეს ხელი, ლექსი ამოიღო და სანამ ერეკლე თავის სიძეს პასუხს გასცემდა, დაურიღებლად ჩაერია საუბარში.

— გავიგე გებრძანებინათ, კაბუა ნეტავ პასუხს თუ გასცემს ამ ჩვენ უებრო მგოსანსო, მეფევ.

დავითი შეკრთა და შეიკმუხნა. ამ უღროს დროს საუბარში ჩარევას და შერე ისეთი სახუმარო ლექსის კითხვას, სადაც ყოვლად უგვანოდ ათრევდნენ მოპაექრები ერთმანეთს, შეეძლო სრულიად ჩაეფუშა ბესიკის საქმე. უნდოდა ეთქვა კაბუასათვის, რა დროს

ეგეებიო, მაგრამ ერეკლე დაასწრო და ღიმილით უთხრა მდივანბებს.

— აბა ერთი წაგებთქმუნ ული
კაბუამ ხმადაბლა წაუკითხა რრივეს მის მიერ შეთხზული ანბანთქება. ერეკლემ ისე მოისმინა მთელი ლექსი, რომ სახეზე თავდაპირველი ნაძალადევი ღიმილიც კი გაუქრა, მთელი ლექსი თავიდან ბოლომდე თითონ კაბუას ჰგაედა იმასავით უგვანი, აღსაესე გესლით, ბოროტებით და ისეთი უმსგავსი ცილისწამებით, რომ ერეკლე უსიამოვნოდ შეიკმუხნა. კაბუა რომ არ გაეწბილებინა, ლექსი შეაქო, ასეთი მოხდენილი პასუხი მე გერ არა მსმენიაო, ხოლო შემდეგ დავითს მოუბრუნდა და უთხრა:

— ისევ გობს მგოსანი მგოსნად დარჩეს. ბესიკს არ შეშვენის მეფის მდივნის სახელი ეპყრას. მისთვის უპრიანია ლექსების წერა, თარზე დამღერება, ხუმარსიტყვაობა.

დავითმა ბრაზით გადახედა კაბუას, მაგრამ მეფესთან ბესიკის შესახებ უკვე შედმეტად ჩასთვალა ლაპარაკი განეგრძო, დაბლად თავი დაუქრა და სხვა მოსაუბრეთა ჯგუფში გაერია.

(გაგრძელება იქნება)

ქალა ბოგოზნიკი

ჩვენი მაისი



ჩვენი მაისი,—მწევანე ფარჩით რომ იმოსება,
შთამგონებელი ზეიშია ხალხთა შვებისა,
ჩვენი მაისი სიცხადეა, არა ოცნება,
მილიონების ბნელ ძალებზე გამარჯვებისა.
ჩვენი მაისი,—სწრაფვა არის კაცობრიობის,
ზამთრის ნამდვილი დამარცხება,—დღეთა-ცვლილება,
ნავთსაყუდარი იმედების, ხალხთა მშვიდობის —
შრომის ნაყოფი და ბრძოლათა გამოცდილება.
გაზაფხულია, ვაშა, დღეთა გამაისებას!
ღელავს ჯეჯილი, ბრწყინავს ბალი ყვავილთ მთოვარი,
ვაშა, სამშობლოს ძლიერებას, მაღალ ღირსებას,
ღლეგრძელი იყოს ხალხი მხნე და შეუპოვარი!
ქვეყნად მაისი ხომ ბუნების ძლევის ეშხია,
ყველგან მაისი ყვავილების ფიფქით აივსო,
მაგრამ ნამდვილი გაზაფხული მხოლოდ ჩვენშია,
და თვით ბუნებაც სანატრელი, ჩვენში მაისობს.
ჩვენი მაისი, მოსწრება შრომის სუფევას,
ხედავს სტალინურ ხუთწლეულებით ახალ შენებას.
ხედავს გზანათელ ხალხთა დიად თავისუფლებას,
ხედავს წყვდიადის საბოლოო გადაშენებას!

მ მ ი რ ე ბ ი



„სამეფო ვეფხეთან“ ბიჭილი

„სამეფო ვეფხემა“ გაარღვია ველზე თაღაცევა,
მოჰქრის გიგანტი, ვერაფერი მას ვერ აკაეებს,
ბასრ მუხლუხოებს იგი მიწას არცკი აკარებს,
ზათქით, ღრიალით, გადმოსთელა სანგრები მკაცრად.

ატოკდა მიწა, შეუტია სარკენლად კაცმა,
წინ გადაუხტა, შესაბმელად შლის გმირი მკლავებს,
თავის სხეულით ეფარება შეგლეჯილ კარებს,
ხელყუმბარები შემოურტყამს სარტყელის ნაცვლად.

ო, თვით ჰერაკლეც ალბათ, შურით აღივსებოდა,
ასეთ გმირობის თვალთ ნახვა რომ ღირსებოდა —
კაცი და ტანკი დაეტაკენ ერთმანეთს რისხვით...

გაისმა გრგვინვა, ხანძრის ალი ივარდა უმაღ,
ურთიერთშორის აირია ცეცხლი და სისხლი —
ფოლადის მხეცზე გაიმარჯვა ფოლადის გულმა.



უცნობი ჯარისკაცის საფლავი

პეი, გამვლელო, გულკეთილი ვიცი ხარ მგზავრი,
გზის პირას, სადაც მწვანე ბუჩქნარს წყარო ჩაუღის,
შესდექი წამით, მოიხადე საფლავთან ქელი,
აქ გვარდიელი ჯარისკაცის საფანე არი.

მისი სახელი არეინ იცის, არც—მისი გვარი,
მაგრამ უცნობი სათაყვანო იქნება მუღმივ,
ამ გორაკებზე დაესია მტარვალთა გუნდი,
შმაგად იბრძოდა, სანამ ვაჟკაცს უპრიდა მკლავი.

ვაგლახ, შიგ ვულში დაეძგერა სიკვდილის შუბი,
სისხლიან მიწას დაენარცხა ამაყი შუბლით,
სიცოცხლით სავსე შეეწირა სამშობლოს იგი!



ქართული
წიგლისწიგისა

მგზავრო კეთილო, ეს გახსოვდეს, როცა ჩაივლი,
და თუ მახლობლად ვერსად დასწნავ უკეთეს გვირგვინს,
მისი საფლავი დაამშვენე ველის ყვავილით!

ნახმოები ქვე



ამ მშობლიურ მიწა-წყალზე ვბინადრობდი,
დამინახავს ამ უბნიდან:
ხარ-აურემს რომ აჩერებდა ხშირად ლოდი
და მოღლილი მგზავრი გვერდს ვერ აუვლიდა.

ომგადახდისლს შემხედა ჩვეულ ლხინით, ქებით
ძველი ადგილსამყოფელი,
ბავშვობაში დანარბენი ბილიკები,
საყვარელი მთაგორები და სოფელი.

გზას გავეყევი, ნაცრისფერ ქვებს, სადაც წინათ
ველი ჭრელად შეეღებათ,—
გამიკვირდა, კენჭიც არ სჩანს პაწაწინა,
ლოდის ნაცვლად დაფნის ბუჩქი შემეგება.

მოვიძიე და რომ გავსცდი ახალ ბაღებს,—
ხარაჩოსთან ფართო გზაზე
ის გიგანტის თეთრ კედელში დავინახე,
მშენებლებმა როგორ კრძალვით მოათავსეს.

თითქოს მითხრა: ძველ ადგილზე ნულარ მეძებ,
დღეს სხვა შუქი დამქათქათებს,
საუკუნოდ მომაშორეს ხავსი მკერდზე
და მის ნაცვლად ჩუქურთმები დამახატეს.

ქოლხეთში*



დილის 7 საათზე ტფილისიდან გასულს იმედი მქონდა 2 საათზე ქუთაისს ვუწევდი, მაგრამ მარშრუტი შეცვალე, გელათი მიწოდდა მომენახულებინა და ამიტომაც მხოლოდ 3 საათზე ჩავედი ქუთაისს.

ვანჭარებდი შოფერს, რათა დღის ბოლომდის ჩამესწრო საავტომობილო ქარხანაში.* მანდ დაგვიხედა მშენებლობის უფროსი სიმონ ოდიშარია და საბჭოთა კავშირის გმირი ამხანაგი ტყაბლაძე, პარტკომის მდივანი.

სამი საათის განმავლობაში დავდიოდით ქარხნისათვის განკუთვნილ უზარმაზარ ტერიტორიაზე, ხან მანქანით, ხან ფეხით. სიკაბუტეში არა ერთხელ დამითვალე რებია სიტროენისა და რენოს ქარხნები პარიზში და მიახლოებით ვიცი ამგვარი ქარხნების ვითარება.

მშენებლობა ჯერ ახალია და არაინჟინერის თვალისთვის ძნელად დასაკვირია მომავალი დიდი ქარხნის კონტურები თავის დეტალებით.

მშენებლობის გრანდიოზული სურათია ჩემს წინაშე გადაშლილი.

ხარაჩოები,

ხარაჩოები,

ტრაქტორები და სტუდენტეკერები დაათრევენ რელსებს, ცემენტის კასრებს, აგურს, ხრეშსა და კირს.

რქაპორჯღალა კარკასები ქიმერიულობას ჰმატებენ ამ სანახაობას.

დაუცბრომლად გაისმის მანქანების გუზგუზი, ელევატორებისა და ექსკავატორების ჭრიახი, მრავალი ათასი მუშახელის გნიახი.

სიამოვნებაა არა მარტო თავათ შექმნა რაიმესი, არამედ მომუშავე ადამიანის ცქერაც.

ყოველ ჩვენთაგანს მოსვლია ასეთი რამ: შესდგები და აკვირდები, თუ როგორ რანდავს ხელეწოიანი კაცი ფიცარს, ან როგორ უსვამს შალაშინს უკვე გარანდულს.

მით უფრო საამური სამზერია, როგორ მუშაობს რამდენიმე ათასი ხელი; იშვიათად, არსებობს უფრო კარგი სანახაობა, ვიდრე თვალისდევნება ახალისა და არყოფილის შექმნისა.

ვღგევიარ და შეეცქერი.

გონების თვალით წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორი გრანდიოზული ქარხანა ამოძრავდება, როცა ამ რკინაბეტონისაგან აგებულ კორპუსებს ხარაჩოებს შემოაცლიან, როცა ეს დიდი და ვრცელი ცეხები მოთავდება, ამ საკმაოდ ქაოტიურ ფონზე მომავალი ქარხნის ფასადები გამოიკვეთებიან და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა მრავალ ათას ავტომანქანას გამოუშვებს ჩვენი მეურნეობის, ტრანსპორტის, ჩვენი წარმოების აღსადგენად და ასაყვავებლად.

ამხანაგი ოდიშარია დიდი ენტუზიასტია თავის საქმისა.

ყოველი ცეხის წინ მანერებს, შევდივართ, დაწვრილებით ვათვალეიერებთ

* დასასრული. „მნათობი“ № 3.

ყოველივეს. მიამბობს მშენებელთა და მათ ხელმძღვანელთა მამაცური შრომისა და თავდადების ამბებს.

ჩვენი მწერლობის უახლესი ტემაა ქართველი საბჭოთა ინჟინერის ტიპიური გამოვლინება, ქვეყნის მშენებელის ამ ახალი ტიპის მხატვრული განსახიერება. ასეთ ენტუზიასტებს კი მრავალს ვიცნობ.

მე მგონია მათ ქვეყნისა და საქმის სიყვარული უიოლებს პარტიისა და ხელისუფლების ასეთი დიდი დავალების შესრულებას. ცხადია, ეს არაა ადვილი, ასეთი გრანდიოზული მნიშვნელობის მშენებლობას წარუძღვეს კაცი და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს გაართვა თავი. საქმარისია ერთ საათს იჯდეთ ამხანაგ ოდიშარიას კაბინეტში და თვალი ადევნოთ მის ყოველდღიურ საქმიანობას.

ტელეფონები ტფილისიდან,

ტელეფონები მოსკოვიდან, ფოთიდან, ბათომიდან, სამტრედიიდან, როსტოვიდან.

„მომაშველეთ ვაგონები,
მოიტათ სტუდენტეკერები,
მოიტათ ხრეში,
მომაშველეთ ხე-ტყე,
შესაჭიროება აგური,
შემომაკლდა ცემენტი“.

ეძახის იგი თავის რწმუნებულებს სხვა და სხვა ქალაქებში დაფანტულთ.

ტელეფონები, ყიდევ ტელეფონები, საიდუმლო პაკეტები, ტელეგრაფები, ციფრები, ვადა, გეგმა, სოც-შეჯიბრებისა და მუშათა მომარაგების, მათი კეთილმოწყობის ამბები.

კარიერები,

საწყობები,

შესრულების ვადები, გეგმა, მოვალეობა და კიდევ მოვალეობა.

მომლიმარე მიჩვენებს მოთავებულ კორპუსებს,

სახელდახელო სახელოსნოებს, რომელნიც თავათ მოუწყვია ყოველდღიური, მიმდინარე სამუშაოების შესასრულებლად.

„ეს ცეხი სამ თვეში უნდა ჩაებაბრო, ის ცეხი 1 მაისს, ის კორპუსი 7 ნოემბერს.“

„ე იმ კორპუსს ეს ვაბუკი ჩამაბარებს ამ წლის დამლევს,—მუეზნება მშენებლობის უფროსი და მხარზე ხელს ადებს საკმაოდ ახალგაზრდა ტფილისელ ინჟინერს.“

„მუშახელი და ხე-ტყე მიჭირვებს საქმეს“.

ისე შემომჩივის ამხანაგი ოდიშარია თითქოს მე შემქმლოს ვუშველო რაიმე. ჩარაზმულან ჯერაც შეფუთვნილი მანქანები, რომელნიც დასადავებულ ცხენებივით დგანან და მორჩილად უცდიან იმ მომენტს, როცა მწყრივში ჩადგებიან და მზიარული გუგუნით და ბუბუნით აახმაურებენ ამ გიგანტურ ქარხანას.

დღედაღამ იღწვის მრავალი ათასი კოჭრიანი ხელი, რათა ამ ქაოტიურ მდგომარეობიდან გამოიყვანოს ეს მშენებლობა და ეს უწყესრიგოდ დაყვრებული ჭვა-აგური და ხე-ტყე, მანქანის ნაწილები ჩააყენონ ერთობლივი და მიზანშეწონილი ნებისყრფის საშახურში.

ყოველდღე, ხშირად ნაშუადამევამდის, ეს ტანმორჩილი, ჯერაც ახალგაზრდა კაცი, ზის ტელეფონებთან, უყვივის თავის რწმუნებულებს: მოიტათ ხე-ტყე, მოიტათ ხრეში, მომაშველეთ ბენზინი, მაზუთი და კირი.

დადის დაუცხრომლად ცეხებში, დაბობდავს ხარაჩოებზე და ასე კომანდობს მრავალრიცხოვან არმიას მუშებისა და ინჟინრებისას, რათა წინასწარ დასახული გრაფიკის მიხედვით შეასრულოს მშენებლობის გეგმები.

კადრების გამო ვესაუბრები ამხანაგ ოდიშარბიას:

მთავარზე უმთავრესი მაინც კადრების საქმეა. თქვენ თუ გინდათ საწარმოო რომანი შექმნას ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, ამისთვის საჭიროა ქართული ენა საქმიანი ენა გახდეს, წარმოების ენა.

ყველას სრულსაკოვან ენას ეს ეტაპი განვლილი აქვს უკვე დიდი ხანია, მე ვიტყვოდი ქართულზე უფრო ახალგაზრდა ენებსაც, თუნდაც ჩეხური რომ ავიღოთ.

ის ერები, რომელთაც ქალაქები და წარმოება არ გააჩნიათ, ჩვენს ეპოქაში ვერაფერს შექმნიან მნიშვნელოვანს. დიდი ხანია, რაც დაწყებულია ურბანიზება მსოფლიოსი. ამ ურბანიზების, გაქალაქების ორბიტრის გარეშე ვინც დარჩება, მას უუქველად გადარიცხავენ მსოფლიო პროვინციის კატეგორიაში. ასეთი ხალხების ენებიც ჩამორჩენილი, პროვინციული დარჩება მუდამ.

„საწარმოო ტერმინოლოგია ხომ მწერლობამ უნდა შექმნას?“—მუუბნება ამხანაგი ოდიშარბია.

„მწერლობას შეუძლია მხოლოდ მაშველი როლი იკისროს. ჩვენ შეგვიძლია თქვენს ინჟინერებს და ცეხების უფროსებს დიახაც მივეშველოთ მანქანების ტიპების, ცალკეული ნაწილების ქართული სახელების შერჩევა-სა და გამოქვეყნაში.

„თუ გნებავთ მოიტათ, რომელიც გნებავთ ის მანქანა თუნდაც იმ ახლადჩამოსულ მანქანებიდან, რამდენსამე საათში მე შევარქმევ მის ნაწილებს სათანადო სახელებს, მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა ქართველმა ზეინკალმა, მგლინავმა, ლითონის მდნობელმა, ცეცხლის ფარეშმა, თავათ განათლოს ეს ნაწილები და შემდეგ ამისა შესაძლე-

ბელია ჩვენი ენის გამოყენება წარმოებაში.

ეს გზა გავლილი ბევრ მსოფლიოში ყველა კულტურულ ქვეყანაში უდესლაც მთელი მსოფლიო მანქანების სახელწოდებანი და დეტალების შესატყვისები არსებობდა ძველ საუკუნეებში ბერძნულად, ლათინურად და იტალიურად, ხოლო ახალ ეპოქებში ინგლისურად და ფრანგულად. მთელი მსოფლიოს გემებსა და გემსაშენ ვერფებში ჯერაც ინგლისურია გაბატონებული.

ჩვენს ეპოქაში ვერცერთი ენა სრულსაკოვანებას ვერ მიაღწევს, თუ იგი ვერ დაეუფლა როგორც ქალაქის, რკინიგზის, ისე წარმოების ინვენტარების ნაციონალური შესატყვისებით შეჯერებას. ეს არაა უმნიშვნელო, ან იოლი საქმე.

ქართული ენისათვის ეს პირდაპირ საარსებო საკითხია.

ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის მეშვეობით ჩვენი ქვეყანა, სადაც სტრაბონისკამინდელი აჩაჩებით მიწას ხნაედნენ, ჩოჩიალა ურმებს, დანჯღრეულ დილიელებსა და ჩალვა-დარის ცხენებს ჰქონდათ ჩაბარებული ტრანსპორტის საქმე, ჩვენი თაობის თვალწინ ინდუსტრიულ ქვეყნად იქცევა.

ქართველი კაცი დაეუფლა ტრაქტორის, კომბაინის, მანქანის საქმეს. იგი ცეცხლის ფარეშია და ლითონისმდნობი მემალაროე და ჰაბურდილების ოსტატი გახდა.

ალბათ მოკლე ხანში დაუბრუნდება ჩვენს ქვეყანას ის რამდენიმე ათასი ოსტატი და მშენებელი, რომელიც შემდგომი ორგანოების მითითებით დონბასისა და ურალის ქარხნებში არიან მივლინებული კვალიფიკაციის აღსამატებლად სწორედ ასეთ მომენტში, თქვენი, ჩვენი დიდი მშენებლების ხელმძღვანელთა პირდაპირი მოვალეობაა, დიდის გულისყურით მოეკიდოთ ქართული ენის წარმოებაში დასაქმვას.

აუცილებელია ქარხნების, ფაბრიკების საწარმოო ცხოვრებაში ქართული ენა იქნეს გამოყენებული.

კერძოდ მშენებლობის საქმეს საქართველოში ბარე 20 საუკუნის სტატი აქვს. ის კოლოსალური არქიტექტორული ნაგებობანი, რომლითაც მოფენილია ჩვენი სამშობლო, ჩვენი კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები, უზარმაზარი ბასტიონები, ტაძრები, ზიღები, სასახლეები, რომელნიც უხვად მოფანტულია ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, საფიქრებელია, განსაზღვრულ პერიოდში ნაწილობრივ ბიზანტიელ და ირანელ ოსტატების მიერ იქმნენ შესრულებულნი, მაგრამ გამოხდა უამი და ქართველი ოსტატი, ქართველი კირთხურო და კალატოზი დაეუფლა ოსტატობას თავათ და თავათ მონათლა ქართულად როგორც სამშენებლო მასალა და იარაღი, ისე ყოველგვარ წესს მუშაობისას, მანერას და ზერხს ყოველივეს გამოუძებნა ქართული შესატყვისი.

ჩვენი ეპოქა შრომის ეპოქაა, შრომისა და აღმშენებლობის.

ასეთ ეპოქაში თუ ქართულმა ენამ არ მოიპოვა საქმიანი ფუნქცია, იგი უცილოდ გაირიყება და გაიყინება, მოკვდება.

ქართული ენა როდია უსაკო ენა, იგი ერთერთი უხუცეს ენათაგანია მთელს მსოფლიოში. კავკასიაში მას უხვდებოდა მეტოქეობა სამ უუმიდღარეს და უუშვენიერეს ენასთან: ბერძნულთან, არაბულთან და ირანულთან.

თითოეული ამ სამთაგანი რომელიმე უმნიშვნელო ტომის, ან ზალხის ნაციონალური ენა როდი იყო, არამედ სამივენი უზარმაზარი იმპერიების ენები.

ხომ შესაძლებელი იყო ამ სამი უდიდესი მეტოქის ზედგაუღენას სახეებით აღეგვა მიწის პირიდან ქართული ენის სახსენებელი?

თვალი გადაავლეთ ჩვენს ეპოქამდის

მოღწეულ ძეგლებს საერო და სამოქალაქო ხუროთმოძღვრებას.

არაბული დარჩა ორიოდ მეჩეთზე, ხელნაწერზე, ან მონუმენტული რამდენიმე ფრესკაზე, იგივე ითქმის ირანულზე, ხოლო ქართულით დაღაღულია თითქმის მთელი მატერიალური კულტურის ძეგლები არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, უფრო მეტი დარიალიდან ანისამდე, ნიკოპსიდან ტრაპეზუნამდის და კავკასიონის ჩრდილო მთიანეთზედაც გავრცელდა იგი.

ასე რომ ძველი სამყაროს ამ სამ მსოფლიო ენებთან შებრძოლებაში ქართული ენა გამოვიდა ძლევაშისი და სახელმოხვეჭილი.

ქართული ენა როდია რომელიმე ნომადი ტომის ენა, რომელიც დღესაც ვერ გაცვილებია საჰიბროტო მეტყველების და სამიჯნურო შაირების ფარგალს.

ქართულმა ვერ კიდევ აღრიან შუა საუკუნეებში აიტანა მთელი იმეპინდელი ტექნიკისა, ფილოსოფიისა, ასტროლოგიისა, ბოტანიკისა და მედიცინის ტერმინოლოგიის შექმნა, იგი იყო უბრწყინვალესი რიტმიძომენონ უდიდესად რაფინირებული პოეზიისა და პროზისა, ხოლო ჩვენს ეპოქაში, სულ ორიოდ ათეული წლის მანძილზე ქართული ენა და მისი ეტიმოლოგიური საგანძური გასწვდა მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის ურთულეს ცნებებს.

ეს ჩვენი მოწინავე მშენებლებისა, ჩვენი ინჟინრების გადაუღებელი ამოცანაა—ესოდენ მხკოვანი, მდიდარი, უბრწყინვალესი ტრადიციებით განმტკიცებული ენა რუსთველისა და სტალინისა გავხადოთ ჩვენი წარმოების, ჩვენი ინდუსტრიის ენად.

არა კმარა ძველ ხელნაწერებს, ძველ ბარელიეფებს, ძველ ხატებს, ეტრატებსა და ტაძრების კარიბჭეებს ამკობდეს ქართული ასოები, ისინი უცი-

ლოდ უნდა აეოცდნენ მანქანების ბორტებზე, ელევატორების, ტრაქტორების, ექსკავატორების, როლლერების კიდეებსა და მხრებზე“.

III

„მზე იყო ხეთი... მებუთე, ვაი კოლხისა, რომელსაც ეყოლა კირკე, მედეა და ფაეტონ“.

ლ უ ც ი ა მ მ პ ე ლ ი .

რიონის გასწვრივ მიქროლავს მანქანა.

მზე მიიდრეკა, ჩრდილები გვერდით მიუწვენენ გორმახებს.

აღვები, აღვები!

აღვები სდგანან, როგორც გამარჯვებული ჯარის შტანდარტები!

აღვებს გადაღმა ბატონკაცური ოდებია კრამიტით გადახურული ერთობლივად.

ბაღჩები, ბოსტნები, კობიტები და მაგნოლიები!..

აპა, რიონი, ეგზომ სახელმოხვეჭილი ანტიურ პოეზიაში.

„ინდოეთში განგესია, სირიაში — ტიგროსი და ეფერატი, აზიაში — პონტ ბორისთენეს, ზოლო კოლხეთში — ფასილ“.

სწერდა ოდესღაც ვიტრიუს პოლონიუსი.

საბერძნეთის დიდი პოეტი ჰესიოდი ორგონის ახსენებს ფაზისს.

ფაზისმა მისცა სახელი უმშვენიერეს ფრინველთა შორის — ხოხობს, რომელსაც ოდიშლები „ქილორს“ უწოდებენ, ძველბერძნულად „ფასიანოს“ ჰქვია ლათ. „fasiaanus“ ზოლო ევროპულ ენებზე „ფაზან“.

მე ბევრგან მინადირნია ხოხობზე, როგორც დასაველეთში, ისე კავკასიის სხვა მხარეებში და არა მგონია, კოლხური ხოხობის დარი სადმე მოიძებნოს.

ფაზისს ჩვენს დროში ბრწყინვალე სტროფები უძღვნა „რიონის აპოლოგიაში“ ჩვენმა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

არა მარტო კოლხური ხოხობი იყო ცნობილი ანტიურ ხაშყაროში, არამედ კოლხური სახელმწიფო, კოლხური მრეწველობა, კოლხური მსახურება და გარჯა.

პლინიუსს სეკუნდუსს მოგვითხრობს:

„გადმოცემით, პატიოსან თვალთა გამოყენება კავკასიის კლდიდან მოდის (rupa Caucasi) და ეს მოხდა პრომეთეს ბორკილის ბედითი განმარტებისაგან. ნამუსრევი ამ ტინისა რკინადქვეული და ცერზე წამოცმული, ეგ იყო პირველი ბეჭედი და პირველი ქვა“.

მე მგონია, უცხო ისტორიკოსები და არქეოლოგები, თავიანთი დაუკვირვებელი დასკვნებით, ამაოდ მიაწერენ ჩვენს ქვეყანაში ნაპოვნ უძველესი ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებს რომელიღაც ერებს, რომელთა სახელწოდებაც თავათ არ უწყიან.

მცხეთა-არმაზის უკანასკნელმა გათხრებმა დაგვიმოწმა, თუ როგორი დიდი და მაღალი კულტურის მატარებელი უფილან ჩვენი წინაპრები ბერძნულ-რომაული ანტიკის ისეთ ეპოქებში, როცა ევროპა ნახევრად ნომადურ ხალხთა ასპარეზს წარმოადგენდა.

ლეგენდას მუდამ ფაქტის ნამუსრევი უდევს საფუძვლად. ბოლოს და ბოლოს ყოველი ერის ისტორიას ლეგენდაში აქვს თავისი სათავე. ლეგენდაშია გასკვნილი ანტიური საბერძნეთისა და რომის ისტორიის სათავეებიცა.

აიეტეს მეფის ცეცხლისმფრქვეველი ხარების პროტოტიპი ალბათ უძველესი მაშინერიის სახით არსებულა.

შესაძლოა, ეს ყოფილიყო ისეთი ცეცხლსატყორცი მანქანები, რომელთაც ნავთის მეშვეობით აჩენინებდნენ ცეცხლს.

ასეთი „ნავთა-არტილერიით“ სძლიეს არაბებმა ბიზანტიურ კოპორტებს ოდესღაც და „ბერძნული ცეცხლი“, რომლის ნამდვილი ვითარება ჯერაც არა აქვს მეცნიერებას გამოკვლეული,

ამგვარი მაშინერიის ერთერთი სახეობა იყო.

ერთერთი ძველბერძენი ავტორი გვამცნობს:

„კოლხიდაში ოქროს საწმისი როდია დაცული, არამედ პერგამენტზე დაწერილი წიგნი, რომელიც შეიცავს აღწერილობას იმისას, თუ რა გზით შესაძლოა ქიმიური ღონისძიებით ოქროს მოპოვება“.

კეთილშობილი ლითონების ხელოვნურად მოპოვება, ეს იყო ოცნება მთელი ანტიკისა და შუა-საუკუნეთა აღქმისა. ამასვე უკავშირდება კოლხი ქალის მედვას გრძნეული მალამოების ამბავი, რომელთაც გვამცნობენ ბერძენი ავტორები.

პინდარის მიერ ნახსენები „შავგვრემან კოლხების“ ხელოვნება ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. ათინაში ნაპოვნ პიდრიას აწერია: „კოლხის მიერ ვარ გაკეთებული“. ცნობილია ერთერთ ათინურ ამფორაზე წარწერილი: „კოლხმა მომხატა“. პერიოდოტე გვიმომცემს ძველ კოლხებს, ტილოს მრეწველობა რომ საქვეყნოდ ცნობილი ყოფილა: „კოლხურ ტილოს ბერძნები სარდონულს უწოდებენ“, „მარტო კოლხები და ეგვიპტელები ამზადებენ ერთი და იგივე წესით ტილოს“.

ქსენოფონტე ურჩევდა თავის ხალხს: „ბადეები ფაზიანული და კართაგული წესით“ მოქსოვეთ. (შეად. მ. ბერძნიშვილი „ფაზისი“).

ზომ დიდად გულამაყნი იყვნენ ბერძნები. ისინი ყველა, არაბერძნული მოდგმის ხალხს „ბარბაროსს“ უწოდებდნენ, მიუხედავად ამისა, ერთერთი ბერძენი ისტორიკოსი სწერს:

„ძლიერი და მამაცი ტომია ლაზების მოდგმა. ისინი ამყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომავდნენ მეტად ქედმაღლობენ, იქნება არც ისე უსაფუძვლოდ“. იქვე აქვს მათ „სიმდიდრეს, სიუხვეს, მორკმულობასა და ქვეშევრდომთა სიმრავლეს“. კოლხური

სახელმწიფო, კოლხურა საიხიარო წესები, კოლხური ნუმიზმატიკა და კოლხური პატრიოტიზმი ცნობილი იყო რომაელებისა და ბერძნების ანალებში. მეოთხე საუკუნეში, რომის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში ნახსენებია „positus extra Romanum Colchis imperium“ — რომის ხელისუფლების გარეშე მყოფი კოლხთა იმპერია.

კოლხური პატრიოტიზმის უკნობი ძველია კოლხი დარბაისელის ვიციის მიერ წარმოთქმული სიტყვა კოლხთა პედის გუბაზის მკვლელთა გასამართლებისას (6 საუკ.). ეგ სიტყვა უშესანიშნავესი ნიმუში კოლხური რიტორიული ხელოვნებისა, შემონახულია ისევედაისევე ძველ ბიზანტიურ ანალებში.

ცხადია, ის მრავალი ათეული ქალაქი იბერიისა და კოლხეთისა, რომელთაც ბიზანტიელი ისტორიკოსები ახსენებენ ჩვენი ერის პირველ საუკუნოებში, აღჭურვილნი იყვნენ შესაფერი ტექნიკით.

ყოველ დროში აგრე ყოფილა. ტექნიკა წარმოშეებდა ქალაქს და პირუტყუ.

IV

გადავიარეთ გუბისწყლის ცხენისწყლის, და ნოღელეს ხიდები.

მოისმის ბაყაყების გამუღმებული კონცერტი, მელანქოლიისა და სიჭაბუკის ტბილ მოგონებათა აღმძვრელი. შესაღამოვდა.

ჩრდილები წვებიან გზებზე.

ალეები, მავნოლიები, კოპიტის მენხერი ტყეები!

ყიყინებს მრავალი ათასი ქვეწარმავალი. გამოივლის ტფილისის მატარებელი, გრიალით გადაირბენს ხიდზე ეს წამიერი გრუხენი მაშინერიისა, ხმას ჩააწყვეტინებს ამ იაღონებს ჯოჯოხეთისას, შეაკრთობს რულმორეულ ბუნებას, ისევ მიყუჩდება ბუნება და კვლავ მოისმის ვასაკების ერთობლივი ეიშვიში.

ესენი ვახლავთ მაცნენი რიონის შხარპარცხით მდებარე ერთობლივი ქაობებისა, ეს ზოლი გაკიმულია სამტრედიიდან ვიდრე ფოთამდის.

ამ ქაობებს საუკუნეთა მანძილზე კვებავდა დაუოკებელი რიონი, იგი გულურით სნეული კაცოვით ბორგავს თავის სარეცელზე დაუცხრომელად.

ირგელივ ბნელა, მაგრამ გონების თვალთ ვხედავ სირიაიქონისა და ანჯერის გაუვლელ ქაობებს. თუ სადმე საზნისმა მოიკიდა ეშვი და ხარები არ ჩაეფლნენ ლაფში, მანდ ამოსულ სიმინდს მაჯის სისხო ღერო ექნება და პირველივე ხაშარის გამოსვლისას ისეთ სიმაღლეს მოაღწევს იგი, ცხენოსანი დამაღლება.

დედამიწა ისეთი ნოყიერია, პირუკუ რომ გადაისროლო თესლი, ოქრო ამოდუღდება, ოქროს შლამით მორწყული მიწიდან.

ჩემს სიკაბუტეში ხშირად მივლია მანდ.

გარეული ტახები დაშლივინებენ კატაბარდებში, აურაცხელი იხვი, ბატი, ვარხვი და წერო იქეჭება ნაპირის შლამში, შელის ჯოგები თავს იფარავენ ლაქაშში, ისლითა და ხაიათი დაფარულ მინდვრებში.

ამ გაველურებულ სამყაროში ეგულეობდა ჩემს ბალღურ ფანტაზიას ლეგენდარული ოჩოკოჩი.

V

მიეყვებით ქალადიდიდან ფოთისკენ ნიმაველ ლარივით გაკიმულ შოსეს.

ამ ოციოდე წლის წინათ გარდა რკინიგზისა სხვა არაფერი საშუალება არ ყოფილა მისვლა-მოსვლისა.

ჩვენი ჯანმავარი კამეჩებიც ვერ დაათრევდნენ ამ ქაობებში ურემს.

ამ ლამეულ პანორამაშიც არჩევს თვალი ამ ახლადდასახლებულთა ოდებს, ციტრუსების ბაღებს, განიერ ჭიშკრებს, მაგნოლიებს, ეკალიპტებს და ველური ციტრუსის ღობეებს.

შორიდან მოსჩანს ფოთის მექურა და ქალაქის კონტურები ქალაქტროს ლამპიონის თაღს ფენქნულნი ჩემს მეხსიერებაში უკვლევს ერთმა უძველესმა ცნობამ:

„ფაზისში შესავალთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართულია ფაზისელთა ღმერთქალის ქანდაკი. იგი ანაგობით რეას წააგავს ოდნავ. წიწილი უჭირავს ხელში, ლომები უსხედან ტახტის ქვეშ და თავათ ისე ზის ზედ, როგორც ფიდიასის რეა, ათინურ მეტრონში“.

ამოლონის ტაძარი მდგარა ოდესღაც აქ, უფრო გვიან სტრაბონი ახსენებს ფაზისს, როგორც „კოლხების სავაქრო ქალაქს“.

ორი ათასეული წლის მანძილზე უბრძოლია ჩვენს ხალხს, ამ შესანიშნავი საპორტო ქალაქის შესანარჩუნებლად.

მეთერთმეტე საუკუნეში ფაზისს ეწვია დიდი რეფორმატორი ქართული ენისა, გიორგი მთაწმიდელი და მის „ცხოვრებაში“ ამ ქალაქს უკვე ფოთი ეწოდება.

VI

ეს მესამეჯერ ვარ ჩასული ფოთს, კოლხიდმშენის მუშაობის გასაცნობად, უკანასკნელად—1932 წელს. ამ ხნის მანძილზე უცნაურად გამოცვლილა, დამშვენებულა ქალაქი. საქართველოს მოზრდილ ქალაქთა შორის ფოთი განირჩევა არა მარტო თავისი მოდერნულად დაგეგმილი, განიერი პარაპეტებით, არამედ საესებით პედანტური სისუფთავითაც.

მე ასე მგონია, თუ ჩვენი ზოგიერთი ქალაქის მეურნეობა გარეგნულად ვერ ახლენს ჯეროვან შთაბეჭდილებას, ამის მიზეზია არა მარტო საქალაქო ორგანოების დაუდევრობა, არამედ თავათ მოსახლეობის გულგრილობაც.

საქმე ისაა, რომ ამ ორი ათეული წლის მანძილზე დიდძალი სოფლური

მოსახლეობა შეეხიზნა ქალაქებს და სოფლებშია კაცმა ხანდაზმულად უნდა იცხოვროს ქალაქში, რათა მის მეურნეობას შეეჩვიოს და შეეთვისოს.

აღსანიშნავია ფოთის მკვიდრთა განსაკუთრებული სიყვარული და ზრუნვა თავიანთ ქალაქის მიმართ. მე ვისურვებდი ტფილისელებიც მიბაძვდნენ მათ.

ეს ამბავი დილაღე საქებარია, — ვისაც თავისი სამშობლოს თუნდაც ერთი მტკაველიც ძლიერ უყვარს და საქმით განამტკიცებს ამ სიყვარულს, იგი მთელი მსოფლიოს სასურველი მოქალაქეა.

ასეთი, თუნდაც „ქალაქური პატრიოტიზმიც“, უადვილებს ხელისუფლებასაც ქალაქის მოვლას.

სახელი და პატივი ნიკო ნიკოლაძეს, ამ ქალაქის pater del patrias-ს. უნდა გამოვტყდე: ნიკოლაძეს მუდამ ვაფასებდი როგორც დიდი მასშტაბის ინტელიგენტს, ჩვენი ხალხის დიდ მოამბეს, მაგრამ მისი პუბლიცისტური შრომები არასოდეს მომხვედრია გულზე, სამაგიეროდ რამდენჯერაც არ ჩავსულვარ ფოთის, მუდამ აღვისილა ჩემი გული მისდამი პატივისცემით.

ამ ქალაქს ხელახლა ჩაუყარა მან საფუძველი; მერმე, როდის? როცა საქართველო ორ საცოდავ გუბერნიას წარმოადგენდა, როცა მეფის ხელისუფლება აღმაცერად უყურებდა ყოველივეს ქართულს.

მე ასე დამეკვება ამ ბოლო ხანს, დასავლეთ საქართველოში ჩასულს მუდამ წვიმა თან ჩამყვება მანდ.

იმ დღესაც თქორავდა.

ვდგავარ ფანჯარასთან და ვუცდი ამხანავ ანდრო გაბუნისას, კოლხიდმშენის უფროსს.

ეწუხებარ, თუ დაიწყო ფოთისთვის ხშირი, „ინდური წვიმები“, ეს უთუოდ

ხელს შემოშლიდა კოლხიდმშენის ობიექტების დათვალიერებისას.

ფანჯრის გასწვრივ, ტრეტელოვთან დგას რუხეშინელიანი ქალაქის და ვილაყას ესაყვედურება: გუბე რად დაგიყენებიაო სახლის წინ?

ჩემი მასპინძელი ვიხმე და გამოვკითხე უცნობის ვინაობა.

„მე ვახლავთ ჩვენი ქალაქკომის მდივანი, გრიგოლ კოკიაი.“

იგი დადის ზოლმე ქალაქში, თავათ ამოწმებს ყოველივეს, — ძივილე პასუხი.

ზოგს ეგონება, ეს წერილმანიაო. წერილმანი და სხვილმანი არ არსებობს ცხოვრებაში.

წერილმანისაგან იქმნება დიდი, — გეასწავლის ამხანავი სტალინი.

ამ დევიზით ხელმძღვანელობდა მუდამ ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი ლავრენტი ბერია; ჩემი ღამეული სერიზობის დროს, ნაშუადამევს 2—3 საათზე, არა ერთხელ მინახავს იგი, ტფილისის რომელიმე ქუჩაში, ტფილის-ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს რომ მიუთითებდა: ეს კვამლის მილი რატომაა ამ პროსპექტზე ასე უხეიროდ გამოშვერილი, ეს ტროტუარი როგორ დადმეკილა, ეს სახლი ახალბაიო.

ლავრენტი ბერიამ გაუზარდა საქართველოს გულმოდგინე პატრიოტები, ქვეყნისთვის, საქმისთვის თავდადებული პარტიული მუშაკები. მისი პირადი გამოცდილების, მისი შიითითებების ნიადაგზეა გაზრდილი მრავალი თვალსაშინო პარტიული მოღვაწე, რომელნიც დიდის წარმატებით განაგებენ დღეს ჩვენს რაიონებს; ჩვენი რაიონის მდივნები, თავდადებული და თავმდაბალი მოღვაწეები.

რაიონის, ან ქალაქკომის მდივანი ეს ახალი ტემაა ჩვენს მწერლობაში. ჯერ კიდევ „მთვარის მოტაცებაში“, თუმცა ოდნავ გაუბედავად, მაგრამ მანაც შე-

ვეცადე მხატვრულად განმესახიერებინა ეს ახალი აიამიანი ჩვენი ეპოქისა.

ამხანაგი კოკია მეორე დღეს ვინახულე, იგი ტფილისს მიდიოდა, ამიტომაც სულ რამდენსამე წუთს ვისაუბრეთ.

ფოთელებმა მიამბეს, როგორი გულმოდგინებით ადევნებს ამხანაგი კოკია თვალყურს კოლხიდშენის საქმეებს, ქალაქის კეთილმოწყობას, საქალაქო დისციპლინას, ყოველ დეტალს მუნიციპალური მეურნეობისა, თუ აღმშენებლობისას.

VII

წვიმს, უსიამო ზღვაური ჰქრის. ზამთარმა ისევ შემოუტია გაზაფხულს. მძინვარებს შავ ზღვაზე პოსეიდონი.

გრძელყელიანი ვალოშები ჩაეციკით.

ვათვალეირებთ ქალაქს. ადამიანის ბუნებაა ასეთი: უწინარეს ყოვლისა, უარყოფილი მოვლენა ეცემა მას თვალში. განახლებულსა და აღორძინებულ ქალაქში თვალში მომხვდა რიონის ძველი კალაპოტი, რომელიც თავათ ქმნის „კოლოებისა და მალარიის მეტროპოლისს“.

„რიონის ლეში“ დავარქვე მე მას.

ამხანაგი ანდრო მანუგაშვილს: 40 მილიონი მანეთი გადადებულია უკვე და ეს ლეში მალე აღარ იქნება. რიონის წყლის ნაწილს გადმოუშვებენ ამ კალაპოტში და ეს საფრთხე ასცილდება ქალაქს.

„ფოთს ბაზარი არა ჰქონდა დღემდის რიგიანი,—მეუბნება ამხანაგი გაბუნია,—აგერ ქალაქის განაპირას ჰაობი იყო, ქალაქკომმა მიმითითა და ნახეთ, აგერ კატარაზე მოვაწყვეთ, საკუთარი სამუქალებებით, მიწისმოწველი მანქანა“.

„მაიმუნი“ დავარქვით ხუმრობით მას.

არც ისე სახუმარო ამბავი აღმოჩნდა ეს „მაიმუნი“. ამ მანქანას ერთი ზორ-

თუმი ზღვაში აქვს ჩაშვებული, სწოვს იქიდან შლამიან წყალს და მეორეს მიუშვებს ჰაობიან ხმელეთს.

შლამი ილექება მეწყაროში და რამდენიმე დღის შემდეგ ჰაობი იქცევა ჩვეულებრივ, მყარ ნიადაგად.

„ამას ეწოდება არარაისაგან დიდი საქმის გაკეთება“.

ყოველი ჰექტარი მიწისა, რომელსაც ჩვენს სამშობლოს შევმატებთ, უძვირფასესი განძია ჩვენი ქვეყნისთვის“,—მიუთხუ.

ამხანაგ გაბუნისა კარგად ესმის, თუ როგორი განუზომელი მნიშვნელობის საქმე დაუეისრებია მისთვის ხელისუფლებას.

ჩემთვის საესებით მოულოდნელად ამხანაგმა კ. ხარკვიანმა გამომიძახა ტფილისში და წინადადება მომცა კოლხიდაში წავსულიყავი. შეგვართი. მე ამ ქალაქის მკვიდრი ვარ, კოლხიდშენში ნამუშევარი ვიყავი, ვიცოდი, თუ რა მძიმე საქმეს მაკისრებდნენ.

იმ დღიდან დავიწყე მუშაობა. სამი სიცოცხლეც არ მეყოფა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად“.

„მე ცოტა მეგულება ამაზე უფრო დიდი და საპატიო მოვალეობა“,—უუპასუხე.

ჩვენ ვდგევართ წვიმის ქვეშ, ზღვის პირად, ხან ზღვას გაეცქერით და ხან ფოთს. ესაუბრობთ კოლხიდის გუშინდელ და დღევანდელ ვითარებათა გამო.

კოლხიდის ბარში ამოსაშრობია მთლიანად 220 ათასი ჰექტარი, ქობულეთიდან მდინარე კოდორამდის. ამ ხანდაზმული მუშაობის ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება ერთი მილიონი ადამიანის სამოსახლო ფონდის შემატება კოლხიდის ტერიტორიისათვის. 1924-25 წლებშია ეს დიდი საქმე წამოწყებული. ხელისუფლებამ სახსრები

გაიღო, პალიასტომის ტბიდან ზღვაში წყლის გადასაშვებად. მუშაობა მიმდინარეობდა დაქსაქსულად და სპორადიულად.

1936 წელს, როცა საქართველოს დელეგაცია ეწვია ხალხთა დიდ ბელადს კრემლში, ამხანაგი სტალინი დაინტერესდა კოლხიდის ამბებით და უთხრა ამხანაგ ლავრენტი ბერიას, ეს მუშაობა მომეტებულის ინტენსივობით განეგრძოთ და მთელი მუშაობა კოლხიდის ბარის ძირითად მასივზე ეწარმოებიანთ კონცენტრირებულად. როგორც ყოველივე მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის ამშენებლობის სფეროში, ეს საქმეც დიდის მასშტაბით წამოიწყო ლავრენტი ბერიამ.

საკაეშირო კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე ამხანაგმა მიქოიანმა განაცხადა: „ქართველმა კომუნისტებმა, ამხანაგი ლავრენტი ბერიას მეთაურობით, ხელი მოჰკიდეს დიდ საქმეს დასავლეთ საქართველოში, სადაც ამჟამად ზოგიერთი კუთხე კალიფორნიას აჭარბებს კიდევაც და არც ისე შორსაა ის დრო, როცა საბჭოთა კალიფორნია ამერიკულს გადააჭარბებს“.

სამამულო ომის მძიმე პირობებშიაც არ შეწყვეტილა ახალი კოლხიდისთვის ბრძოლა.

საკაეშირო კ. პ. (ბ) მე-18 პარტიკოლობაზე ამხანაგმა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ რიონის გასწვრივ დამბების მოწყობის შედეგად 7.000 კოლმურნის მეურნეობა გადარჩენილია წყალდიდობის საფრთხეს, 17.000 ჰექტარზე უკვე ჩატარებულია ამოშრობის სამუშაოები. სტალინური მესამე ხუთწლიური ბოლოს, კოლხიდში მშენი მოგვეცემს 44.000 ჰექტარს.

ეს საშვილიშვილო საქმეა, უთუოდ.

VIII

ანდრო გაბუნია, ბესარიონ გოგოლიშვილი, შუბლაძე, კოლხიდში მშენის სამიოდე მუშაკი და მე მიყვებით ფო-

თი—ჭალადიდის დიდ შოსეს, ლარით ვამართული თემშია ჩინებულადაა გაყვანილი.

მე ვიყავი 1932 წელს მხარეში, მაშინ ეს იყო ატალასტულს გზა, არც ეს აყვავებული კოლმურნეობები, არც ეს ტელეფონის სვეტები, არც ეს მშენიერად გამართული ხიდები.

ბესარიონ გოგოლიშვილი ფრიად საინტერესო კაცია. უკრაინული გვარის გოგოლის ნაშეირი მისი წინაპარი ფოთში ჩამოთესლილა. ბესარიონი იშვილითი პატრიოტია ფოთისა, ძველი კოლხური კულტურის საკითხებითაა გატაცებული.

ფოთის მუზეუმის გულმოდგინე მუშაკი, სიძველეთა მპოკავი, ჩინებული მონადირე (64 წლის მოხუცია და ყველას გვეჯობნის, როგორც ნადირობაში, ისე ფეხით სიარულში).

ჩვენ გავიარეთ ახლადგებულ სახლების მწკრივის გასწვრივ.

„ეს სახლები მზადაა, სულ მალე ჩავასახლებთ ახალ მოსახლეებს“,—მეუბნება ანდრო.

პირველი სახლიდან კვამლი ამოდის. მამალმა ფრთა დაიბერტყა ამ სახლის ეზოში და იყივლა.

მე ვნატრობ იმ დროს, როცა კოლხეთის ჭაობების ხაიასა და ლაქაშს გადაბუგავენ და იმ ადგილებში, სადაც ახლაც ყიყინებს ბაყაყი და წურბლები ასო მ-სავით იგრინებთან, მამლები შექმნიან ერთობლივ ყივილს, ორას ათას ჰექტარზე ორასი ათასი მამალი აყივლდება იმ ეწერებში, სადაც ტურების კონცერტები იმართება შეღამებულზე.

„ეს გზა ამ კვარტალში უნდა ჩავაბარო“,—მეუბნება ანდრო.

ვილისი მიჰყვება ახლადგაყვანილ გზას. გრეიდერები, ექსკავატორები და როლერები მუშაობენ. მხარმარჯენითა და მხარმარცხნით ამოძირკული ფართობები.

ანდრო მაჩვენებს პერანგშემოხსნილ ხიდს.

„ასეთი, 60 ხიდი უკვე მზადა მაქვს, 240 უნდა ჩავაბარო წლის დამლევს. ამ შოსეს მხარმარცხნივ 3500 ჰექტარი უნდა ჩავაშრო წრეულს“, — მეუბნება ამხანაგი ვაბუნია.

ჩვენ ვინახულეთ ამხანაგი ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. ციტრუსებით დამშვენებულია მიდამო. პესკერი-ღების ბაღნარის მშვენიერი კუთხე.

„აქ გაუვალი ლაქაში იყო ამ 30 წლის წინათ, მგლებისა და ტურების საუფლო. სიყმაწვილეში მგლების გამოჯავრება მიყვარდა ყმუილით“, — ამბობს ბესარიონი.

„ნადირობიდან შინ ებრუნდებოდი, ხობები შეკილა ჩანთაზე. არცერთი ვაზნა არა მქონდა საეაზნეში, ეგერ იმ მოსახლის გვერდით, ბებერი მუხა რომა დარჩენილი, აქ მოვალწიე შეღამებულზე. ყმაწვილურმა გულზეიადობამ ამიტანა. ამოფეფარე მუხას და მოვრთე ჩემებური ყმუილი.

ზღაპარში ნახმობივით მომცივდა მთელი ხროვა მგლებისა. ჩემი ბედი, მუხის ნამეხალ შტოს შევახტი და ავასწარი ხეზე, თორემ გამგლეჯდნენ ის ტიალები“.

სოფელ გადასკურთან რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაა გამართული, ტურების, მაჩვების და მგლების ნაბუნაგევე.

„1000 ჰექტარი მაქვს ასათვისებელი“, — ამბობს ანდრო და მითითებს მხარმარცხნივ.

ზემო-კალადიდიდან საქონაქიოსკენ გადავუხვიეთ.

კოლოსალური დამბა მიჰყვება რიონის მარჯვენა მხარეს. სიგანით 16 მეტრი და სიმაღლით 4 მეტრი. ასეთი დამბა მისდევს რიონს ფოთიდან სამტრედიამდის, 90 კილომეტრის მანძილზე.

რიონის მხარმარცხნიდან ამკამადთან მოჰყვება რიონს ასეთივე დამბა. მანდ მუშაობს კოლხიდმშენის ბრიგა-

და, რომელიც ემსახურება 100-ტონიან მიწისმთხრელ მანქანა-ექსკავატორ-ლებს.

ეს სამუშაო ისევე ეწყობა, როგორც გრანდიოზული საქმეა, როგორც პირამიდების აგება, ან სუეცის კანალის გათხრა იყო თავის დროზე.

ძნელია წარმოდგენაც იმ სიძნელეთა, რომელიც გადალახულია ამ საქმისათვის. კაცმა უნდა ნახოს, უწინარეს ყოვლისა, ამ სექტორში რიონი. იგი მართლაც განგესისა და ეფრატის შესაღარიბა. თვით წყალმცირობის დროსაც მრისხანედ მოედინება დინჯი და გულამღვრეული, გაზულუქებული ფაზისი.

ათიოდე კილომეტრის მანძილზე გადალახავს იგი კალაპოტს, აზვავდება და მოედება ტყესა და ველს, ვინ იცის, რამდენი ათასი კაცი დაუხვრჩვია მას, რამდენი ათასი პირუტყვი და ნადირი უმსხვერპლია.

საქმარისია დაჰყვეთ რიონს სამტრედიიდან პატარა ფოთამდის, დაათვალიეროთ მისი კალაპოტები და კალაპოტყოფილები, ნახავთ მაშინ, რა დიდი მხეცია იგი.

წრეულს აქაა იგი, ამ თხემლების მწყრივებს მიჰყვება, გაისად მოუვა ხუშტური, ნომადივით აბორგდება, აიყრება, გაგლეჯს ძველ კალაპოტებს, გაივაკებს და რამდენიმე კილომეტრის სიშორეზე გადაიტყორცნება და იქ გაითხრის ახალ სადენს. უხვად ფანტავს ეწერებში კოლხურ ოქროს შლამს.

მოვა მოსახლეობა, იდროვებს მისი დაოკებით, მოხნავს, დასთესავს, ერთ ორ სეზონში მოიმიკის მოსავალს, მერმე გაგულისდება დიდი ბატონი ისევ, შეუტევს მედგრად აღამიანების ნაჯაფარს და ისე გადაეგავს ყოველივეს, როგორც გაცოფებული მარტორქა მაქრის ლერწამის ჯეიმოს.

„ჩემს სიყმაწვილეში, საკუთარი თვალით მინახავს, — გვიამბობს ბესარიონი, — ოდა-სახლები რომ წამოუღია

რიონს, ნალიები, აკვნები, კამეჩები, და არა მარტო შინაური საქონელი, შვლების მთელი ჯოგები მოუხერგია ნაპირებზე ხშირად. წყალდიდობა თუ ნორმალურად დაიწყებოდა, როგორც რიონს გადაღმელი, ისე გაღმომღმელი მოსახლეობა სტოვებდა სარჩო-სამბდებელს, ბალღების აკვნებს წაივლებდნენ ხელს, და იხიზნებოდნენ.

გაივლიდა სტიქიონის მძვინვარება, გულისფანცქალით ბრუნდებოდნენ შინ, იმის სანახავად, თუ რა გადაურჩა უძლეველ რიონს*.

„რიონს სულ მალე გავხედნი,—ამბობს ანდრო. ვაბუნია.—ექსკავატორი ლუბეკის ბრიგადა მოჰყვება მარცხენა ნაპირს და მერმე გიყვარდეს ავლაგავთ ამ ვერაგ ფაზისს“.

IX

ზღვის სტუმარი ვარ. უკვე ცაბ გადაიკარა, კვლავ გაზაფხულდა და ბევრს ეფიქრობ, როგორც ზღვისთვის, ისე მთისთვის. ბედნიერი ქვეყანაა საქართველო; ზღვისა, მთისა და ველისმკვრობელია იგი.

ეს სამი ფერმენტი ყოველი ნაციის ტემპერამენტს უნდა დაედოს საფუძვლად. მთის უღრაველობა, ველისმიერი პერსპექტივა და ელასტიურობა ზღვის-მიერი.

პირველადი უჯრედი ადამიანის სხეულისა, ერთგვარი მიკროკოსმუს, ზღვაშია თურმე. არსებობს მთელი თეორია, თითქოს ზღვის წყალსა და ადამიანის სისხლის ციკლიურ მიმოქცევას შორის ერთგვარი ანალოგოს არსებობდეს.

მლაშეა როგორც ზღვის წყალი, ისე სისხლიც კაცისა, ტალღისებური დენა ჩვენს ძარღვებში სისხლისა, ზღვის მიმოქცევას წააგავს უთუოდ. ორივენი მთვარის მიმოქცევასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ჩვენი ზალხის მრავალნაციანი სიბრძნეც მთვარესთან დაკავშირებს ჩვენი ორგანიზმის ავადობებსა და განკურნების პროცესებს.

ჩილი ბავშვების გულყრას, „თუთაშის“—მთვარისას—უწოდებენ ოდიშში. ხელები—ჯიბეში, პირში—ჰაპიროსი და ვდგევარ და შეეცქერი ამ მშვენიერ შავ ზღვას.

ქსენოფონტე მოგვითხრობს თავის „ანაბაზისში“, როცა ბერძნულ ჯარს გზა აერია ჭანეთში და მრავალი ხეტიალის შემდეგ ზღვას წააწყდნენ ბერძნები, ერთბაშად შეკბაღელა ლაშქარმა ზღვას: „თალატა, თალატა“¹.

ზღვაო, ზღვაო, მინდა შეეძახო მეც ამ დაუდგრომელ სტიქიონს. მინდა გადაეყვება ზღვაში. წყალი ტფილია, მაგრამ თეთრმა ზღვამ დამაშინა, ერთხელ ნაძლევეზე სექტემბრის გასულს მე და ერთმა რუსმა მეგობარმა დავამსხვრიეთ ყინულის სიფრიფანა ზობოკვერა ზღვის ზედაპირზე მოდებული. ვიბანავით. მეგობარს ფილტვების ანთება შეეყარა და მე ხურვება, მაგრამ დღესაც სხეულში მაქვს ჩაჭრილი ის სიცივე, რომელიც ჩემს ორგანიზმს შთაბერა თეთრმა ზღვამ.

ზღვის დანახვაზე იღვიძებს ჩემში მოგზაურობის დემონი და იგი მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე დაუცხრომლად მახეტიალებდა ამ ხმელის პირზე.

რამდენიმე მეთოლია დაფარფატებს მახლობლად. ისეთი ყაპყაპი ისმის მათგან, თითქოს რაღაცას ამბობენო, ადამიანური სიტყვის მინაგვარს. გარეული იხვეების გუნდი მიფრინავს დასაველეთისკენ, თვალი გავუმაართე და ისინი უკვე მრავალწერტილს მიემსგავსენენ, თეთრი, მთლად რძისფერი ღრუბლების ფონზე.

¹ თალატა, ან თალასა ზღვას ჰქვია ბერძნულად.

კაცობრიული კულტურის გაღვივება ზღვათა ნაპირებზეა უპირატესად მომხდარი. შეიძლება ითქვას, ცივილიზაციის ისტორიის აენგარდში ის ერები მდგარან მუღამ, ვინც უშუალოდ დაკავშირებული ყოფილან ზღვასთან. ზღვათა საოცრების მომღერალი იყო მსოფლიო პოეზიის დიდი პაპა—ჰომეროსი. ჰინდუსტანის ხალხებმა შექმნეს მაჰაბარატის პოემები, ისეთი ვრცელი და მღელვარე, როგორიცაა ჰინდუსტანის ოკეანე.

ხმელთაშუა ზღვის კულტურამ მოგვცა დანტე, პეტრარკა, მიქელანჯელო და სერვანტესი.

მსოფლიო ისტორიაში არცერთ ხალხს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ზღვასთან არ მისწვდენია ხელი.

ზღვისთვის ბრძოლა ეს იყო ყოველი ხალხის საარსებო საკითხი.

ზღვისთვის იბრძოდა მთელი თავის ისტორიის მანძილზე სომხეთი.

რუსეთი მხოლოდ მას შემდეგ იქცა მსოფლიო იმპერიად, რაც პეტრე პირველმა ბალტიის ზღვისკენ „გაპრა სარკმელი“. იოანე მრისხანეს მოსკოვიტი, ნახევრად კულტურული ქვეყანა იყო, მხოლოდ პეტრეს იმპერიას მოჰყვა დიდი მასშტაბის მწერლობა, დერჟავინის, ჟუკოვსკის, პუშკინისა და ლერმონტოვის სახით.

თანამედროვე პოლონეთი ეს ორი საუკუნეა რაც ზღვისთვის იბრძვის. გაზეთები იტყობინებოდნენ ამას წინათ, დანცაგში ჩამოსული პოლონელი ემიგრანტები ხმელეთზე ჩასვლის უმაღლესი იმოქმედნენ თურმე, პირჯვარს იწერდნენ და ჰოცნიდნენ დანცაგის მიწას.

ეს ზღვა გვართებდა ჩვენ ბიზანტიის ბრწყინვალე კულტურასთან მანამდის, სანამ მუჰამედ II-ის სისხლში ამოსერილი მარჯვენის ნატიფი არ გამოიხატა აია-სოფიას კედელზე.

ბარე სამ საუკუნეს ებრძოლეს საქართველოს დასაველეთის მეფეებმა და მთავრებმა ოსმალეთს, ვეფხისტყაოსნის ამ ნაპირების გამო, უკონტრულად მოხდნენ ოტომანებს რომ ზღვისგან მოეწყვიტათ საქართველო, ჩვენი ისტორიის უკანასკნელი ფურცელი დახურული იქნებოდა.

ამ ზღვიდან შემოვიდა საქართველოში ქრისტიანული კულტურის მზე, რომელიც შუა-საუკუნეებში უბრწყინვალესი და ყველაზე მეტად ჰუმანიური რელიგია იყო, განსაკუთრებით, ობსკურანტიზტული ისლამის პირისპირ.

რუსთაველის დიდი პოემა საკმაო საბუთს იძლევა იმისათვის რომ ჩვენ დავიჯეროთ ლეგენდა შოთას საბერძნეთში განსწავლისა და იქიდან, შავი ზღვით, შინ დაბრუნების გამო შეთხზული.

ზღვით მობრუნებულან შინ გიორგი მთაწმიდელი და იოანე პეტრიწონელი. ეს, რაც შეეხება ზღვას.

ახლა მთისთვის და ველისთვის მინდა ვიფიქრო.

კავკასიონმა საქართველო შემოგვიანახა იმ ბნელ საუკუნოებში, როცა მთიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიაში, რაკი ცხენი გატყორცნილ ისარს გაასწრებდა, როცა ჯავშანი ჯავშნობდა და თვით რკინისებრი ნებისყოფის რაინდებაც რკინის ბეჭთარებით იფარავდნენ მკერდს. დიდი არტილერიის, ავიაციისა და ატომური ენერჯის საუკუნეში მოკვდა მთის შეუვალობა.

ფოლადის ალაღობმა დაიჯანბნეს როგორც ველები, ისე მთები. თანამედროვე სახელმწიფოს მარტო მეომართა გულმამაცობა როდი სჭირდება, არამედ რაც შეიძლება მეტი ელექტროენერჯია, ფოლადი, მარგანეცი, ნავთი, მაზუთი, თეთრი ნახშირი, თეთრი სილა და შავი ნახშირი.

როგორც ზღვის მიკროკოსმული პირველადი უჯრედი, ისევე ელექტრო-

მაც ჩვენი სხეულის ელემენტთაგანია. როცა ადამიანი თმას ივარცხნის, ელექტრობა ტკიცინებს თმებში, ელექტროტალღები მოძრაობენ ჩვენი ძარღვების „მავთულეებში“, ჩვენი ტვინის ქსოვილებსა და გულის სარქველებში.

ელექტრობა, სიტფო, სისხლის დენადობა, ეს არის საფუძველი ადამიანური ენერჯისა.

სახელმწიფოსაც სიტფო სჭირია და ელენერჯის დიდი მარაგი. ევროპელები ვერც ჰკუთხდნენ გვეჯობნიდნენ ჩვენ, ვერც წინაპართა ჰეროდლიკით, ვერც ადამიანობით, მათ თავის დროზე ერთ რამეში გაგვასწრეს: მათ ადრე მიაგნეს იმ ქემპარიტებას, რომ რაც უფრო რთულია ტექნიკა, მით უფრო იოლდება ცხოვრება. ამ აქსიომის ძალით ყმებად აქციეს მათ ოთხივე კონტინენტის მრავალი ხალხი.

თუ რამდენიმე მილიონ ჩინელ ყულის საქონელსავით ეტლში შეაბაძენ და ისე აღერევიანებენ ოფლს, ევროპელმა მანქანა გამოიგონა.

კაუნუჯის ტექნოლოგია თავათ შექმნა და ავტონდუსტრიაში გამოიყენა, ხოლო ცეილონის და მალაკას ხალხებს კაუნუჯის მოსაპოვებლად სულსა ზდიან.

პირველი თესლი პარაგუისა, 1876 წელს გაჩნდა ინდოეთში, ერთი ათეული წლის შემდეგ გაჩაღდა ავტონდუსტრია. მრავალი მილიონი ინდოელი ამზადებს „პარაგუმის“—ანუ კაუნუჯის მასალას ევროპელთა ავტომანქანებისათვის, მრავალი მილიონი ჰექტარი უპირავს ტროპიულ ზონებში გუმი-ტყეებს. ამ ხეს, რომელსაც „პარა“ ეწოდება, სამი წლის შემდეგ ქერქს გააღვიან და აქედან კეთდება მანქანის საბურავი.

მალაკას ნახევარკუნძულზე მთელი ტყეები „პარა“ ხეებისა ინგლისელი აქციონერების ხელშია; ამორიგენები „წველიან“ ამ პარაგუმის ხეებს, აცლიან წვენს, განსაზღვრულ ტექნოლო-

გიური პროცესის შემდეგ კონკრეტული აგზავნიან ინგლისში.

სამხრეთ ამერიკაში, კლერო-კადრე იცნობდნენ ამ ხეს, რომელიც ადამიანთა კაუნუ, ანუ ჰევეა“ შეერქვა ბოტანიკაში.

1736 წელს ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ლაკოდამენმა მიაქცია ყურადღება ამ მცენარეს. ასე რომ კაუნუ, ან კაუნუჯის სახელი ფრანგულიდან ისესხეს როგორც იტალიელებმა, ისე ინგლისელებმა და გერმანელებმა.

ამოდ ეგონა ჯონ როსკინს, თითქოს ტექნიკური ცივილიზაციის წინსვლა მხატვრობისა და პოეზიის დეგრადაციას გამოიწვევდა, ამიტომაც მატარებელში არ ჯდებოდა ეს ცივილიზაციასთან დაუბრებელი მხატვარი და ესთეტი, ცხენით დასეირნობდა ლონდონსიტის ქუჩებში.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ გაიარა, პირუკუ შედეგები მივიღეთ, დღეს თავათ ევროპაშიაც, ხელოვნების დარგშიაც უპირატესად ის ერები ქმნიან რაიმე ღირებულების კულტურას, ვინც ტექნიურ ცივილიზაციაში დაწინაურება შესძლო.

მაგალითისთვის კმარა შედარებით მცირერიცხოვანი ბელგიის სახელმწიფო; ასევე ნაბიჯს უსწორებს იგი მწერლობისა და მხატვრობის საქმეში ევროპის უძველესი კულტურის მატარებელ ერებს.

მველადაც ასე იყო.

პომპროსის პოემიდან ვიცით, „ილიას“ და „ოდისეის“ ავტორი იმჟამინდელი ტექნიკის ზედმიწევნით მცოდნე იყო. ხოლო ეს პრიმიტიული ბერძნული ტექნიკა, ყველაზე მეწინავე იყო იმჟამინდელ მსოფლიოში. ათინის აკროპოლისი ბერიას მოედანს არ აღემატებოდა სიერციოთ, მიუხედავად ამისა, ეს პაწია ათინა, თავისი სახომალდო ტექნიკით ჰქუბდა იმჟამინდელ სამყაროში, ჰერაკლესის ბქეებდღან ფაზისის შესართავამდის.

ელექტრობა და ნახშირი, ორი უდიდესი ფაქტორთაგანია მსოფლიო ცივილიზაციის დაწინაურების საქმეში.

ორივენი მზის ენერჯის გადახურდავებისა და ამ ენერჯის კვლავ გააქტივების საქმეა.

მიბრძანდით ზესტაფონის ფეროქარხანაში და ნახეთ, თუ როგორ მოჰქუხს დომნებიდან ფოლადის ღვარი. ეს არის მზის ენერჯის მულტიბლიკაცია, ენერჯია მზისა, ადამიანის მიერ კვლავ მოხვეჭილი.

აქ ზღედა მზისა და კოსმოსის ნამუსრევეთა კონდენსირება, რომელიც ცეცხლის ფარეშს აუღუღებია, რათა ხელახლა გაფორმებული, სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენოს ამ დიადი ცთომილის მიერ ბუნებაში გაფანტული ენერჯის მარაგი.

ნახშირი ელექტრობაზე უფრო უხუცესია.

ნახშირმა შექმნა მთელი ეპოქა, დასავლეთის კულტურის ისტორიაში არა მარტო ზოლას რომანები, ინგლისური და გერმანული იმპერიალიზმის ზამბარები ნახშირს ემყარებოდა. რუარის ნახშირი ისეთივე დიდი ფაქტორი იყო, როგორც ბისმარკისა და მოლტკეს გენშტაბის მტაცებლური გეგმები.

მთელი მე-19 და მე-20 საუკუნის რკინიგზებისა და ქალაქების მეურნეობა ნახშირისგან მოდის.

თუ ისტორიულად ზიანის მომტანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ველი, რამდენადაც იგი დაბალ ლობეს წარმოადგენდა მტრის გადასაჯეგს, დღეს ნათეს გვაწვდის შირაქისა და ლილოს ველეში, და ნათე ისე ესაჭიროება ჩვენს მანქანებს, როგორც ადამიანის სხეულს სისხლი, ხოლო მანქანები სახელმწიფოს იარაღიცაა და ხელფეხიც.

ძველ საქართველოში კარგად ცოდნით ფოლადის ფასი. ამიტომაც აწრობდნენ ჩვენი წინაპრები საუკეთესო ჯაფარდენებს, მტერთა აბჯრების შემუსკრებს.

„დიდოსტატში“ ^{ეწივრი} ამგვარი ფოლადის წრთობისას რომელიღაც „არაბულ ფხვიერს“ ^{ხეკრებდნენ} მეთქი, როგორც მაშველ ^{ქოქი} მთქვამს. ჩვენ ნუ გვეგონება, თითქოს ანტიკისა და შუა-საუკუნეთა კაცობრიობა ჭურში მჯდარიყოს.

ნათე ჯერ კიდევ არაბებმა გამოიყენეს როგორც საომარი საშუალება. პირველი ოცნება ავიაციისათვის დედამისის მითშია მოცემული. ელექტრობის ბუნების გამო გუმანი ჰქონდათ ძველ ბერძნებს, ხოლო ლეონარდო დ, ავინჩის ნახაზებიდანაც სჩანს, რომ იგი წყალქვეშა ნავის კონსტრუქციას იმუშავებდა.

ალბათ ჩვენი მარგანეცი ემატებოდა ფოლადს ცეცხლში წრთობისას. ტყვარჩელისა და ტყიბულის ნახშირი, კიათურის მარგანეცი, ოცმილიონიან რესპუბლიკისაც ეყოფოდა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რამდენი უჩინარი ლითონი სთვლემს კავკასიონისა და მის განაშტოებთა წიაღში.

დრო მოვა და ჩვენი გეოლოგების ტალანტი სამზეოზე გამოიტანს ამ განუზომელ სიმდიდრეს ჩვენი ბუნებისას.

X

უკანასკნელი ორი ათეულის მანძილზე დამითვალეირებია თითქმის ყველა ობიექტი საქართველოს აღმშენებლობისა, მუშაობის ყოველ სტადიაში.

როცა რომელიმე ქარხანას ან კომბინატს აშენებენ, არა სპეციალისტის თვალწინ წარმოების ყველა პროცესები შრომისა, სიმწელნიც ხელის გულზე მოსჩანს.

სულ სხვა ბუნებისაა კოლხიდშენის ამბები.

ახლადმოსული თვალს მოავლებს ლარივით გაჭიმულ თემშარებს, რკინაბეტონის ხიდებსა და ბოგირებს, ჩინებულად დაგეგმულ სახლებს, სოფლებსა და კოლმეურნეობებს, ახლადგამოცე-

ცხლილ ახლებს, ამოკირკვეულ უბნებს, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ რიგიანი შოსე სჭირია ზედმისასვლელი, რათა ახალ სოფელშიაც იყიელონ ახალმა მამლებმა და გამოტყდელ თვალს აგრე ჰკონია: ეგ აგრეც უნდა ყოფილიყოს, რადგან ადამიანურმა ტექნიკამ თავათ ბუნებას შეუცვალა ნირი.

ჩვენი ქარხნების მშენებელი მუშები მშრალზე მუშაობენ სავსებით ჰიგიენურ პირობებში. ახლა არ იკითხავთ, როგორი სიძნელეები ახლავს კოლხიდ-მშენის ბრიგადების მუშაობას ამ უსიერ, ქაობიან ტყეებში, წვიმაში აედარში, ქარში?

ციება ჯერ კიდევ ისე იკბინება აქ, როგორც ბუდეგამოფუკული კრაზანა. როცა ამ ახლადათვისებულ ფართობებს ჰხედავ ადამიანი, ვერც კი განზომავე, თუ რამდენი ათასი თავდადებული ადამიანის შრომა და ენერჯიაა ჩაყრილი შიგ ამ გრანდიოზულ საქმეში.

ციფრების ენა არა კმარა ამის გამოსახატავად და აღსაწერადაც ძნელია იგი.

მარტო ეს დამბაც რომ ავიღოთ, ფოთიდან 90 კილომეტრის მანძილზე რიონის მარჯვენა ნაპირს რომ აპყვება აღმა, ამ საქმეს მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება თუ შესძლებდა არა მარტო უზარმაზარი რესურსების მხრივ, არამედ შრომის დისციპლინის თვალსაზრისითაც.

პრიმიტიული საშუალებით ათეულ წლებში ვერავინ შესძლებდა მის გაკეთებას.

ან როგორი სიძნელეები ახლავს ასტონიანი ესკავატორის „ლუბეკის“ მუშაობას!

ივარაუდეთ ფომფლე ნიადაგი კოლხეთის ბარისა, იგიც ნაწვიმარზე, — რელსებს უგებენ მას და ასე დაბობლავს ეს უზარმაზარი მარტორქა, თხრის და აყორებს მიწას.

როცა მეორეჯერ წავედით, წვიმა თქორავდა. ბევრი იბუქსავეს მანქანებმა.

ველარ შეეძელით სირაჩკონისკენ გასვლა.

ბესარიონ გოგოლიშვილმა წინადადება მოგვცა უკან შევტრსუნულიყავით გალასკურის ქაობიანსავე და კოლხური ყურგანები გვენახა. ფრიად გაუჭირდა ჩვენს ვილისებს ამ ტყეებში ყურგანების ძებნა.

რამდენჯერმე საფრთხე იდგა ჩვენს წინაშე, თუ წვიმა მოუხშირებდა, ამ ქაობებში უნდა გავჩხირულიყავით და ტყეში გავგეთია ღამე.

ეს არ გეგონათ ჩვეულებრივი ტყემეტწილად მეჩხერი თხემლნარი, ჯუნგლები, ეწერი, ხაია, ლაქაში, ისლი და ლიქიანი, უგზობა, ქაობი და მის ბინადართა გნიასი.

ბესარიონმა მრავალი ყურგანი გვაჩვენა. უდიდესი მათგანი სამიოდე მეტრზე ამაღლებულია მიწის ღონედან, სიგანეთ 50 მეტრის რადიუსით; ყურგანს გარს არტყია ოთხიოდე მეტრის სიგანე წრიულად მოხაზული კანალი, ამჟამად იგი სანახევროდ ამოვსებულია.

თავათ ყურგანზე კერამიკის, შუშისა და ქვის მრავალი ნაშხვრევეები იპოვნა ბესარიონმა სახელდახელოდ, რამდენიმე მათგანი თხუნელას ამოუტანია მიწიდან.

ბესარიონი რუდუნებით აგროვებს მათ, ჯერ ჩვენ გვიჩვენებს და მერმე თავათ იყრის ჯიბეებში.

მიწაშიაც არ ისვენებს ისტორიის თხუნელა!

საფიქრებელია, ესენი მართლაც ყურგანები უნდა იყვენ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ხელოვნურად მოზვიუნული ბორცვები უნდა იყოს, რომელზედაც ძველი კოლხები, ქვის მასალის უქონლობის გამო, ხის ციხეებს აშენებდნენ (ჩვენ ზომ მოგვეპოვება ცნობები ბიზანტიელ ისტორიკოსებისა, რომ კოლხები ხის მასალისაგან აგებდნენ ციხეებს).

ამ ციხეებს გარს ავლებდნენ ბლისკონებს, წყლით სავსე კანალებს, ისე რო-

გორც მთიანეთში ნაგებ ჩვენს ციხეებს. ბლისკინები განსაკუთრებით საჭირო იყო ალბათ კოლხეთის ბარში, სადაც მთიანობა არ უწყობდა ხელს ციხეთა შეუქალბობას.



ბესარიონი უჩივის ჩვენს არქეოლოგებს, ძველი კოლხეთის სიძველეთა შესწავლას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევაო და მეც მგონია ეს საყვედური საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

განსაკუთრებით ახლა უნდა გამოვიყენოთ ჩვენ კოლხიდმშენის ბრიგადების ტექნიკური საშუალებანი და ჩვენმა არქეოლოგებმა რამდენიმე ასეთი ციხის, ან ყურგანისთვის გაკეთებული ბეჭებები უნდა გასთხარონ, რადგან ისტორიის თხუნელა თავათ გვაწეღის აუარებელ მასალას.

ვინ იცის, ამ ეწრებში აღმოჩნდეს რამდენიმე ნაქალაქევი, თუნდაც ორიოდ იმ მრავალ ქალაქთაგანი, რომელსაც სტრაბონი ასახელებს კოლხეთში. რომელიმე ექსკავატორი, სულ რამდენსამე საათში გადათხრის მათ.

დავბორიალობთ თხემლნარებში, დავბორიალობთ ჭაობებში.

მე სცილასა და ხარიბდას შორის ვარ, ხან ანდრო გაბუნიას მომავალი მუშაობის გეგმებს ვუგდებ ყურს,—იგი აწმყოსა და მომავალზე შეყვარებული მშენებელია.

ხანაც დავიღლები ამ ჭაობებში ტომებით, ჩამოვრჩები მას, და ახლა ბესარიონი მიამბობს იმ ასზე მეტი ყურგანის გამო, რომელნიც მას საითითაოდ შემოუღელია ამ გაუვალ ჭაობებში, საითითაოდ იცის, თუ რომელი ყურგანი სად არის.

უცნაური ისაა, რომ ამ უკაცრიელო ჭაობების სხვადასხვა სექტორს მონადირეთა და მეჯოგეთა ხსოვნაში ჯერაც შერჩენია სახელები და ეს გვაფიქრებინებს რომ ეგ „გალასკური“ და

სხვა მრავალი „სკურით“ დაბოლოებული სახელწოდება ძველ ციხეთა, დაბათა და სოფელთა შემონახული სახელებია.

„სკურით“ დაბოლოებული ადგილის სახელი დასაეღეთ საქართველოში სხვაც ბევრია. თუნდაც „ოლასკურაც“ რომ ვახსენოთ, ქუთაისის მახლობლად მდებარე. ამას ადასტურებს კერამიკის, შუშის, აგურის ქვის ნაშხვრეები, კოლხური მონეტები, რომელნიც მრავლადა ამ ჭაობებში ნაპოვნი. ანდრო გაბუნია გვაჩქარებს:

„ახლა ჩვენი ბესარიონის ყურგანების ძებნას თუ მივყევით, ბარე 40 კილომეტრი წინა გვაქვს“.

ანდროს მართებულად ეჩქარებოდა, რადგან ქვალონიდან ფოთს მიმავალი შოსე რკინიგზის ხიდს ებჯინება და ღამის გუშაგები დაგვიანებულებს აღარ გაგვატარებდნენ.

ანდროს სიფრთხილე უსაფუძვლო როდი აღმოჩნდა.

როცა ხიდს მივალწიეთ, გზა გადაგვილობა გუშაგმა.

დიღხანს ვურეკეთ რიონის გადაღმელ პოსტს.

გამოვიდა მორიგეთა უფროსი, ლეიტენანტი, თუმცა დოკუმენტები თან არა გვქონდა, მანქანაში შემოგვიჯდა და თავაზიანი ღამენებისა გვისურვა რიონს გადაღმა გადასულთ.



ფოთში სტუმრად ვიყავი ჩემი ძველი მეგობრის ნესტორ ბარამიძის სახლში. ამ ოჯახს ტრადიციად დაჰკეცებია ქართველი მწერლების სტუმრობა. ახლახან გავიგე, თურმე ვაგი და აკაკი ნესტორის მამას ეწვეოდნენ ხოლმე ფოთში ჩასვლისას.

მომწყინდა წვიმიან ღამეებში, ტფილისიდან საკითხავების წამოღება ვერ მოვასწარი, ჩემს მასპინძელს შესანიშნავი ბიბლიოთეკა აღმოაჩნდა, ფაუს-

ტის II ნაწილს წავაწყდი ერთ ღამეს, ვიღაც ჰოლანდელ მეზღვაურს გაუყვი-
დია იგი ფოთში.

უნდა გამოვტყდე: გოეტეს ფაუსტის I ნაწილი მიყვარდა მუდამ და მეორეს ჯეროვანად ვერ ვაფასებდი.

მე არ მიყვარს ჩქარა გადაკითხვა წიგნისა. როგორც მეჭაშნიცე ღვინისა, ნებანება რომ გასინჯავს ღვინოს, მეც აგრე მჩვევია, ჯერ გადავშლი, გადმოვ-
შლი წიგნს, ჩაეიჭვრეტ შიგ, თავში და ბოლოში ამოვიკითხავ ცოტ-ცოტას, მერმე შევეუდგები. სამ ღამეში გადა-
ვიკითხე ეს წიგნი.

ფაუსტის მეორე ნაწილი არანაკლებ დიდია და უცნაური, ვიდრე პირველი, თუმცა კრიტიკოსებს თავგზა აქვთ დაბ-
ნეული ამ საკითხში.

გოეტემ ამ ქმნილებით მთელი ახალი ეტაპი შექმნა ევროპის ცივილიზაციაში. ფაუსტი იმპერატორის სამსახურში ყოფნისას ტექნიკას დაეუფლა და სცდილობს დიდი დამბების აგებით ზღვას წაართვას ტერიტორია.

ლიტერატურა დიდი იმპულსია ცხოვ-
რებისა. მე არ ვიტყოდი უდიდესი, ჩვენს ეპოქაში პოლიტიკამ დაჩრდილა სხვა ყოველივე, პოლიტიკის შემდეგ, მე მგონია მწერლობა წინ უსწრებს ყველა ფაქტორს ჩვენი გონების ფუნქ-
ციიდან გამომდინარეთ.

გოეტეს ფაუსტის II წიგნის შემ-
დეგ მიჰყო ხელი პრუსიამ ბრანდერ-
ბურგის ქაოზების ამოშრობას და მკით-
ხველმა უნდა იცოდეს, მახურების ტბებიდან დაწყებული ქაოზების ზო-
ლი, იმ ხანებში ბერლინამდი აღწევდა. იტალიის ბარის ქაოზების ამოშრო-
ბაც მიახლოებით იმ ეპოქაში მოხდა.

თუ ფაუსტის I ნაწილი, ჰედონისტუ-
რი პოეზიისა, რომანტიზმის აპოლო-
გიაა, მეორე ნაწილი მასზე უფრო რეა-
ლისტური ქმნილებაა, ერთგვარი ჰიმნი ტექნიური ცივილიზაციისადმი.

ამ ცივილიზაციამ შექმნა მეტხრამე-
ტე საუკუნის მეორე ნახევარში ეს

კომფორტბელური, კეთილმოწყობილი ევროპა, თავისი გრანდიოზური ინდუს-
ტრიით განებივრებული ევროპა, თავის ასფალტირებული შავსტრეტებზე და ქვის კალაპოტებში ჩასმულმა მტანსაჩქებთა.

ამ ტექნიკურმა გენიამ ევროპისამ დააშრო ფლანდრელებისა და ვალონე-
ბის ქაობიანი ქვეყანა და წვიმიანი, ნის-
ლიანი ბელგია აყვავებულ ქვეყანად აქცია.

ისევე, როგორც მოხუცი დოქტორ ფაუსტი, იმპერატორის დავალებით უზარმაზარ დამბებს აშენებს და ზღვას ართმევს ტერიტორიას, ნიდერლანდე-
ლებმაც ზღვას გამოსძალეს დიდი ნა-
წილი ტერიტორიისა და თვალწარმატაც ბაღნარად აქციეს იგი.

ასე რომ, როცა გემით ჩაუვლი ჰოლანდიას, ზღვის დონეზე დაბლა ხე-
დავ მწვანეში ჩაფლულ სოფლებს და ველებზე მობალახე ჭრელ ძროხებს.

ცივილიზაციის ცეცხლოვანმა ეტლმა გადაიარა ავსტრალიის, ამერიკის, ჰინ-
დუსტანის ნაყოფიერ მიწებზე, ადგი-
ლობრივ ერებს სიცოცხლე შეუშოკლა შრომატევადი კულტურების შემოდე-
ბით, სამაგიეროდ ევროპის აქციონე-
რებს ჯიბე გაუსქელა და ამ შრომის ნაყოფია ის ბრილიანტების მარაოე-
ბი, რომელნიც ადამიანს თვალს სჭრიან ავენაჟ დელ ოპერაზე, ლონ-
დონ სიტის და ვორლდ სტრიტის სა-
იუველირო მაღაზიების ვიტრინები-
დან.

XI

ვისაც სურს წარმოიდგინოს კოლხე-
თის ბარის ქაობთა ამოშრობის სიძნე-
ლეები, მან უნდა გაითვალისწინოს, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტორები, რომელნიც დაქაოზებას იწყვევენ ამ მხარეში.

კავკასიონის მყინვარების მიერ გა-
მოკვებილი ჩვენი მდინარეები დიდის სიძლიერით ეშვებიან კოლხეთის ბარ-
ში; ბარად მათი სადენი მხოლოდ ქვი-

შიან კბოდებისაგან შესდგება, მდინარეები წარამარა იცელიან კალაპოტს და წყალდიდობის შემდეგ გუბეში რჩებიან ხშირფურცლოვან ტყეებისა და ჩირგვების ჩეროში.

იგიც მხედველობაშია მისაღები, რომ კოლხეთის ბარის ქვენიდაგი თიხიანი და ეს თიხა ნაკლებად გამტარია წყლისა. დაქაობებას ხელს უწყობს ფურცლოვანი ზეობისა და ბალახის წვიმიანი, ღრუბლიანი და ნისლიანი დღეების სიჭარბე.

რაკი კოლხეთის ბარის რელიეფი სავსებით სწორია, მთიანობას სავსებით მოკლებული, ხოლო მდინარეთა კბოდენი ნიადაგზე მაღალი, წყალს ბუნებრივი სადენი აღარა აქვს წყალთშემკრებ ბასეინებისკენ და ამ გზითაც მრავლდება ქაობი.

ამას ყოველივეს ზედერთვის ზღვასთან მისასვლელების სიახლოეს არსებულა ტორფიანი ნიადაგი, რომელიც გვხვდება კოლხეთის ქაობებსა და ზღვას შორის.

ახლა საინტერესოა, თუ როგორ ებრძვიან კოლხიდმშენის ენტუზიასტები ამ ქაობებს.

უბნებსა და უბნებს შორის აწყობენ დიდი და მცირე კანალების მთელ სისტემას და ამ გზით აღწევენ ნაღვარევი წყლების კონცენტრირებას და ნიადაგისაგან გამოთიშვას მათსას.

როგორც დასახლებულ, ისე ახლადათვისებულ ტერიტორიაზე ასეთი კანალი ვნახე მრავალი; ისინი ჩინებულადაა გაკეთებული, მაგრამ უნდა ითქვას, სამამულო ომის მძიმე პირობებში მათ მოჰკლებიათ ჯეროვანი მოვლა, სისტემატური ამოწმენდა, ახლადგაჩენილი ვეგეტაციის ამოძირგა და სხვა.

ეს უკვე კოლხიდმშენის საქმე აღარაა, სათანადო უწყებამ უნდა იზრუნოს ამ კანალების გასუფთავებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანალები თავათ შექმნიან დაქაობების სფეროთხეს.

ვალდების, დამბების სისტემის მო-

წყობა, რა თქმა უნდა უმჭიმესია და უმთავრესი. ასეთი დამბე უკეთდება არა მარტო რიონის ორთვე ნაპირს, არამედ ტეხურს, ვაჭანეთსა და ცივს.

სიხლიჩოთქა

საერთო სიგრძე ამ დამბებისა 236 კილომეტრს უდრის, ე. ი. დაახლოებით ტფილისსა და ქუთაისსამდის არსებულ მანძილს.

გარდა ამისა, ზეგანებიდან დაშვებულ წყლის რეგულირებისათვის აწყობენ სპეციალურ არხებს, რათა ეს წყალი ხელოვნურად წარმართონ მდინარეებში გადასაშვებად.

აქეთებენ სპეციალ წყალშემკრებ კანალებს—კოლექტორებს, 276 კილომეტრის საერთო სიგრძისას.

უკვე ათვისებული ტერიტორიის ზედაპირზე აქეთებენ მცირე „კვანებს“, რომელნიც უფრო დიდ არხებში აგროვებენ წყალს.

კანალების საერთო სიგრძე უდრის დაახლოებით 1.100 კილომეტრს, ე. ი. მთელი კავკასიის სიგრძეს.

ეს რაც შეეხება ზღვისაგან დამორებული ტერიტორიას. ხოლო იმ ფართობს, რომელიც უშუალოდ ზღვას ეკვრის, აქ მიმართავენ რეფულაციის წესს. მეორე საშუალება სავსებით უნუგეშოა ქაობების ამოშრობისა, არის ე. წ. კოლმატაციური მეთოდი. ესე იგი შლამისმწოველი მანქანების საშუალებით შლამიანი წყლის ქაობებზე მიშვება და ხელოვნურად მათი მოზიენვა.

ეს მეთოდი, ლეონარდო დავინჩის შემოუღია პირველად.

ამ ქაობებში ტოპის დროს კიდევ ერთხელ გამოიყენა ამ გენიალი მხატვრის უნივერსალურმა ნიჭმა.



უკვე ათვისებული ტერიტორიის გამოსაყენებლად მიუცილებელია მთელი სისტემა გზებისა, მაგისტრალური და წვრილი თემშარების გავლება ამ სექ-

ტორებში, მათი ურთიერთთან დაკავშირება შარებითა და შუკებით.

შოსეებსა და გზებს, შარებსა და შუკებს დიდი და მცირე კანალები გადაუკრიან ხოლმე გზას, რკინა-ბეტონის მრავალი ზიდი და ბოგირია ასაგები; ყოველ მათგანს მილი სჭირია თუჯისა წყლის დენის გასატარებლად.

პირველ რიგში ასაოფისებელი ტერიტორიას 404 კილომეტრის სიგრძე თემ-შარები ესაჭიროება.

უნდა აშენდეს რკინის ზიდები, რიონზე—ნაბადასთან, მდინარე ხობზე, აბაშაზე—ზანის მახლობლად, ცივზე—ყულევის სიახლოვეს.

დიდი საქმეა აგრეთვე ნოსირის წყაროებიდან წყლის გამოყვანა ფოთამდის, იგივე წყალსადენი კვებავს მთელი ახლადათვისებული კოლხეთის ბარის აყვავებულ სოფლებსა და კოლმეურნეობებს.



იმ სიხარულს, რომელიც ალექსერის ამ ახალი კალიფორნიის მნახველს, ოღნავ ჩრდილსა ჰყენს შიში, რომელიც შეუღდება ადამიანს ტყეების იმუღებითი შემუსვრის გამო. ამ ახლადშენაქენ ტერიტორიაზე ტყეები იყო ისეთი, სადაც ჩიტი კურკანტელას ვერ გამოიტანდა.

ეს უკვე კოლხიდშენის საქმე აღარაა, მაგრამ ჩვენ სერიოზული ზრუნვა გემართებს ტყეების ზელოვნურად გაშენებისათვის.

თუ საქართველოს აღმოსავლეთი დიდად დაკვიზიანა ზოგი გარეშე მტრებისა და ზოგი შინაური უგუნურების მიერ ტყეების განადგურებამ, დღეს ეს საფრთხე საქართველოს დასავლეთის წინაშეც დაჩოქილია უკვე.

ჩემი თაობის მესხიერებაშიაც უცნაურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ბუნება მთელს საქართველოში. გაზშირდა გვალვები და ქარიანობა და ეს ამბავი

ფრიად სერიოზულ ღონისძიებებს მოიხსოვს უკვე.



XII ეკონომიკა

პალიასტომის ტბა კანადასთან და ფიჩორი ეს დიდი სამკაულია ფოთისათვის, მათი ფასი უფრო მაღლა აიწეეს, როცა ფოთი დიდი ინდუსტრიული ცენტრი გახდება, მომრავლდებიან წარმოებები და ქარხნები, კონტორებში, დომნებში დასიცხულ ადამიანებს დასჭირდებათ წყლის დაუცხრომელი მდინარების დანახვა და დასვენება.

და ასე მგონია, ზღვა როდი ასვენებს ადამიანს, ზღვა სისხლს უმღვრევს კაცს და მოგზაურობის კინს აღვიძებს მასში, ზღვა განუსაზღვრელობისა და მოუსვენრობის სიმბოლოა.

ზღვა შეუბოროკველი ენერჯის ემზულეშა, ხოლო მდინარე განსაზღვრული ძალის თვალსაჩინო დემონსტრირება...

ზღვა უსაზღვრო და მიუღწეველი სურვილების აღმძვრელი სტიქიონია, ტბა და მდინარე კანონზომიერების ფარგლებში მოქცეული უდრტვინელობა.

დაუღალავნი, შეუდრეკელნი და მოუსვენარი, ისინი, ვისაც ჯერაც ენერჯის მაქსიმუმი არ გამოლევია, ზღვას ეტრფიან და მათ ზღვისაკენ მიაქვთ თავი, ხოლო შრომისაგან მოქანცულნი, მამრალნი და ტვირთმძიმენი მდინარეებისა და ტბების ნაპირად ეძიებენ დასვენებას და საღებუნს სულისას.

თვით დაწყნარებული ზღვის დანახვა ბორჯვას დააწყებინებს დაუოკებელსა და მოუსვენარ სულს, ხოლო დაქანცულს—ტბისა და მდინარის ნარნარი რხევა და რწევა თუ მოჰგვრის შვებას.

ფოთელებს ზღვაც მოეპოვებათ, უბრწყინვალესი და უმშვენიერესი ზღვათა შორის, მდინარეებიცა და ტბაც, ასევე თვალთწარმატაი.

საქართველოს ლანდშაფტი მხოლოდ ერთ რამეში ჩამორჩება შვეიცარიისას, სახელდობრ ტბების სიმცირით. ჩვენც

მოგვეპოვება რამდენიმე შესანიშნავი ტბა, თავფარავანისა, ტაბაწყურისა, სალამოს ტბა, ბაზალეთისა, პალიასტომისა, კუმისის, ლისისა და სხე.

რატომღაც ჩვენ ხალხს არ უყვარს ტბა. ტბა ხომ ასე ვთქვათ „მოშინაურებული ზღვაა“, ესთეტიური დატკობისა და დასვენების ძვირფასი საფანე.

პალიასტომი ულამაზესთავანია ჩვენ ტბათა შორის. თუმცა დიდი ავგუღა ვინმეა იგი, წრეულს ზამთარში, მოტორიანი კატარლით ვიარეთ მასზე, როცა მრავალი მილიონი იხვი თალხით ფარავდა მის ზედაპირს, აიქოჩრებოდა, აზვავდებოდა და დორბლს გვაყრიდა სახეზე. ლელვის დაცხრომის პერიოდშიც წარუხოცელი სილამაზითაა დამშვენებული იგი.

პალიასტომი გადავიარეთ და მივყევით ფიჩორის ნაპირებს.

ნამღვილი ედემია ეს უკაცრიელი ნაპირები მდინარე ფიჩორისა.

არა მგონია ამერიკასა და აფრიკაში იყოს ამაზე უფრო ლამაზი ჯუნგლები. საესებით ველურ ვეგეტაციას თავს აფარებს აურაცხელი შველი, ტურა, მგელი, წავი და მაჩვი.

თუთ მზიან ადგილებში, გვალვების პერიოდში, ფეხის დასადგამ ადგილს ვერ იპოვნის ადამიანი თუნდაც ერთი მტკაველის სიგრძეს.

ამ ტყეებში მხოლოდ მონადირეებსა და მეჯოგეებს თუ შეეყრება კაცი. ამ ჭაობებში სიარულის დროს კალიასავით უნდა იხტუნო, კუნძიდან კუნძამდის, ჩირგვიდან ჩირგვამდის, ან უნდა ეძიოთ, ხაიას გამხმარი ძირი, მას შეახტე და მერმე ათვალეირო, ჯოხი თუ გღია სადმე, ან ნამორი, ან ჯირკვის ნამუსრევი.

ადამიანის ქაჭანებაც არსად ისმის. მოწყურებული ქორების ყვილი მოისმის ციდან, ჩხიკვი დაგვიხვავლებს სადმე თავზე, ხან მშველი გამოვარდება დაფეთებული და გაჭენდება ლაქაში, თვალს წაასწრებ მის წყვილ

ყურებს, რომელიც ლაქაშის ზედაპირზე ისე მიფარფარებენ, როგორც რომელიმე ფრინველის ფრთები.

თხემლნარი, *მარქანული*
თხემლნარი, *ხიზლიჩოთისა*
ლაქაშის და ხაიას უსაზღვრო ველი. გაუფალი ღიჭიანი და ტურების კივილი.

ძერა დააცხრება მიწას, ლაქოზე მონადირე, ან მგელი გადაიხრენს ამ ჭაობში ისეთი სისწრაფით, თვალსაც ვერ მიასწრებ მორბენალს.

მთელი კვირის მანძილზე მიცხოვრია ხოლმე შევლზე ნადირობისას ამ უკაცრიელ ჭაობებში გვიანი შემოდგომის პირზე და ყური მითხოვებია ფოცხვერების ხორხოცისა, ტურების კივილისა და მგლების გლოვის ზარისათვის.

მინდა ეს მხარე დარჩეს როგორც კოლხური ჭაობების მოსაგონარი ნაკრძალი.

რაც უმთავრესია, ეს ტყეები საქარედაც გამოადგება ფოთსა და პალიასტომის სანახებს. მალე, სულ მალე, ქალაქი გაიზრდება და პალიასტომამდის მოადწევს.

როცა რამდენიმე სტალინური ხუთწლედის შემდეგ ჩვენი ქვეყანა მთლიანად აითვისებს კოლხეთის ბარს ჩვენი ხალხის შენამატის დასასახლებლად, პალიასტომის, კაპარჭინას და ფიჩორის ნაპირებზე უთუოდ მოაწყობენ სანატორიუმებს, დასასვენებელ, სანადირო და სასპორტო სახლებს.

ჩვენ ისევ უკან ვბრუნდებით ფოთს. მუქლებიან ფიჩორის ზედაპირზე განჩრდილული თხემლების შტოები, ისინი რომელიღაც მტაცებელის ბანჯგვლიან თათებს მომაგონებდნენ.

ხოლო როცა პალიასტომში გამოვედით, ადგნენ იხვები, ხშულით დაარღვიეს მიძინებული ბუნების რული.

ავგედნენ ვარსკვლავები პალიასტომის მოსარკულ მყერზე, ატყდა ნავიანივეი სხივის ლიცილი დასაუღეთისკენ, იქ სადაც მშვენიერი ძლიერი შავი ზღვა

მინებებია ღამეულ ზმანებას, ხოლო მის კიდზე დაყორილი ღრუბლები, კოლხური ოქროს საწმისის ელვარებას მოესევადებინა.

XIII

„უძვირფასესი კაპიტალი ყველა კაპიტალთა შორის, ეს არის ადამიანთა კადრები“, აგრე გვასწავლის ჩვენი დიდი ბელადი, ამხანაგი სტალინი. ჩვენი მწერლობის ფრიად საპატიო მოვალეობათაგანია ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ენტუზიასტთა გამოვლინება.

ჩემს რომანში „დიდოსტატის მარჯვენაში“ შეძლებისამებრ ხოტბა შევასხი ძველი საქართველოს ოსტატთაგანს ერთს. მომავალში მე მინდა ერთი რომანი მივუძღვნა ახალი საქართველოს მშენებელ ინჟინერის მხატვრულ განსახიერებას.

ჩემი არსაკიდეც ბოლოს და ბოლოს ინჟინერი იყო, მშენებელი.

ჩვენს დღევანდელობასაც ჰყავს მრავალი თავდადებული და ჩუმი მუშაკი, რომელიც საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებენ იმ საშვილიშვილო საქმეთა განსახორციელებლად, რომელიც მიზნად დაუსახათ ჩვენს ეპოქას ჩვენმა დიდმა და საყვარელმა ბელადმა და ჩვენმა ხელისუფლებამ.

* ახალი საქართველოს ასეთ ენთუზიასტთაგანია ინჟინერი ჰიდროლოგი ანდრო გაბუნია, რომელიც მშენებლობის საქმეშიაც ჩინებულად ერკვევა.

მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. განსწავლილ ჰიდროლოგს, სიკაბუკეშიაც წყალთან და ზღვასთან ჰქონია საქმე და ამ უკანასკნელისადმი ინტერესი ოჯახური ტრადიციებიდან თან დაჰყოლია.

მწერლისთვის ფრიად საინტერესო ტემაა ანდროს მამის ბიოგრაფიაც. მთებში მიყუყულ სოფელ უშაბათში, 12 წლის ბიჭუნას უნახავს ფოთიდან

ჩამოსული ნათლია, რომელსაც გაპრიანებული კრაქუნა ჩექმები ^{ცხრა} მალემრწმენ კაბუქს, როგორც წესია, აგრე დაუსკენია: ^{ქვეყნის ფოთში ყველა ამ ნათლიასთანა ჩასუქებული} და ბედნიერია, ყველას ასეთი გაპრიანებული ჩექმები აცვიაო.

განდობია თავის ბიძაშვილს და ორივეს გადაუწყვეტიათ: გაქცეულოვნენ ამ ბედნიერ ქალაქში. დიაკვანისაგან ერთი აბაზი იხსხეს თურმე, ღამე დაადგეს მშობლების სახლკარი და კითხვა-კითხვით გადმოლახეს 50 კილომეტრი, უშაბათიდან—ფოთამდის.

ცნობილია, ძველად ხილზე გადასვლისთვის ერთ კაპეიკს აძლეოდნენ მეხიდეს, სწორედ ფოთის ხილზე შემოაკლდათ წამოღებული კაპიტალი ვაჭაკაებს, მეხიდეს არ შეუშვია კაბუქები ქალაქში.

ბოლოს უშაბათელ მეგობრებს გადაჰყრიან, ფოთში მოულწევიან და იმ დღიდან დაწყებულა ანდროს მამის მძიმე კარიერა, რომელმაც მას გაპრიანებული ჩექმებიც გადააფიწყა და სცებედნიერთა ქალაქიც.

59 წელი მეზღვაურად ყოფილა ანდროს მამა, 35 წლის მანძილზე მყეინთავის მძიმე შრომა აუტანია. სიყმაწვილეში ანდროც ვაიტაცა თურმე მყეინთავის რისკიანმა მოვალეობამ და, როგორც ქვემო დაეინახათ, ეს ხელობაც გამოადგა მას დიდ გასაქირმე ერთხელ.

ანდრო ხმელხმელი ვაჭაკიცა, სულ რამდენიმე ჰალარა ურევიო თმამი. ძარღვიანი, ბრვე, სპორტსმენური სიარული სჩვევია, ხანდახან ოდნავ ქანაობს მეზღვაურივით, ფრიად თავაზიანი „შავგვრემანი კოლხია“;

თითქმის მთელი თვე ვაკვირდებოდი მის მუშაობას. ხელმძღვანელის კეთილშობილება ხელჭვეითისადმი დამოკიდებულებაში გამოჩნდება მუდამ. ეს არ არის ფამილარობა, რომელიც ქართველკაცს ახასიათებს ხშირად, თავაზიანი,

მაგრამ სასტიკად მომთხოვნელი. მის ზელქვეითებს სალაშშიაც ეტყობათ, დიდის მოკრძალებით ეკიდებიან თავიანთ ხელმძღვანელს.

ანდრო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

კოლხიდშენის ენთუზიასტთა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო რაედენ ქლენტმა. იგი 16 წლის მანძილზე თავგამეტებულად ემსახურება ამ დიდ საქმეს. რაედენი მშვერავია, მან უნდა გამოსტებნოს სად გაივლის ესა თუ ის ტრასა.

ბევრჯერ გზა დაბნევა უღრან ტყეებში ხეტიალის დროს მას, შემოღამებია, ზეზე გასულა და ქაპრით ძიუბამს შტოზე თავი და უთენებია ღამეები.

კონსტანტინე შელია, ექსკავატორების მექანიკოსი, დაუზარებელი, ენერგიული, თავდადებული მუშაკი. კარგად ჩაბსკენილი ვაქაცია, წამოიკიდებს 7 ფუთიან ნაწილებს მანქანისას და დაათრევს ამ ქაობებში.

საინტერესო კაცია უკრაინელი ექსკავატორისტი გრიცენკო, მუდამ მცირედით კმაყოფილი, შვილსავით უფლის თავის მანქანას, მუდამ მზად არის საქმისათვის მანქანიანად, მეგრულიც უსწავლია და ქართულიც.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ეგორ დემენტეევმა. იგი ტომით რუსია კოლხიდაში მოხუცებული, ექსკავატორის ხელმძღვანელი.

ბორბლებზე შემდგარი პატარა ქოხი გაუშენებია, ამ ქოხში ჰყავს მოხუცი ცოლი, თხები და ქათმები. როცა ექსკავატორს ადგილის გადანაცვლება დასჭირდება, მიიბამს თავის ქოხს და თან დაჰყავს ჯალაბი ამ უკაცრიელ ქაობებში.

ხამდვილი „მოგზაური ფილოსოფოსია“ ამხანაგი დემენტეევი გეგმებს რუდამ გადაქარბებით ასრულებს.

ანდრომ დამიხასიათა აკაკი ჯოლოსავა, 45 წლის ლომკაცი. დევივით ჰამს

და ისეთი ღონიერია, ექსკავატორის რელსებს ხელს წინადასრულს და ამ ტყლაპოებში ფირფიტასავით დააქვს.

არ მინდა დამავიწყებოთ ექსკავატორისტი მიხა ალანია, მოწინავე, ჩემი, პატიოსანი მუშაკი. მანქანას დიდის რუდუნებით უფლის. სამარაგო ნაწილები მუდამ მზად აქვს.

მიხას გამო, პირდაპირ ანეგლოტის დარი ამბავი მიამბვს:

ერთ ერთ ტრასის გაყვანას ვილაც მოხუცის ქოხი უშლიდა ხელს. 20.000 მანეთი უნდა გაეღო კოლხიდშენს ამ სახლის დასარღვევად და სხვა ადგილზე მის კვლავ ასაგებად.

მიხამ მოისაზრა: მიიბა ექსკავატორის ქოხი და დაუზიანებლად გადაათრია საჭირო ალაგას იგი...

მაღალი, ძვალმსხვილა, ენერგიული სახის კაცია გრეიდერისტი კოსტა ჩარტია, თავის მანქანას „ჩემს ცხენს“ უწოდებს. კარგადაც ჰყავს მოვლილი თავისი „ცხენი“ კოსტას და ისე ეფერება მას, როგორც ოდიშელი თავის ლაფშას.

როცა ანდრო რაიმეს დაავალებს ამხანაგ კოსტას: „ოთხში ამოვიყვან“ იტყვის და მისი სიტყვა და საქმე ერთია.

მე ასეთ დიალოგს მივეუსწარი ერთხელ:

„კოსტა, რად არ წახველი ჯილდოს მისაღებად ტფილისს“.

„ჯერ ჩემი უბნის საქმეები უნდა მოვითავო, ამხანაგო ანდრო, თორემ ძველი მუშაობის ჯილდოს მიღებისთვის ახალი საქმე რომ წავახდინო, ძველ ჯილდოსაც დავკარგავ და ვერც ახალს მივიღებ“.—გაიბუშრა კოსტამ.

სხვაც მრავალი თავდადებული მუშაკი ჰყავს კოლხიდშენს, მაგრამ ოციოდე დღის მანძილზე მე ყველას გაცნობა ვერ მოვასწარი.

ახლა მინდა ჩემს მკითხველს მოუთხრო ის ამბავი, თუ როგორ გამოადგა

ანდრო გაბუნიას სიყმაწვილეში ნასწავლი ყვინთვა.

ექსკავატორი რიონის გადაღმა იდგა, კეთილარში. ფოთიდან უნდა წაეღოთ მ ტონის სიმძიმე სამანქანო ნაწარლები. ამ ტვირთის რკინიგზით გადატანა ძვირი დაჯდება და დროც ბევრი დაიხარჯებოდა.

ანდრომ ირისკა და ეს რვა ტონა ნავით გააგზავნა. ეს მოხდა ნოემბერში. ნავმა სუჯუტუნაძის მიადწია და აქ მოხდა ხიფათი, თვალის დახამხამებაზე ჩაიძირა იგი.

შეატკობინეს ანდრო გაბუნიას. შეშფოთდა ანდრო, თავზე შემოიკრა ხელი: დამედუპაო ექსკავატორი, მოტორიანი კატერით მიჰყვა წყალმრავალ რიონს აღმა. გაშიშვლდნენ ვაჟაკები.

პირველად ანდრო გადაეშვა წყალში, ბევრი ეძია რამდენიმე მეტრის სიმაღლე წყალში და როგორც იქნა მიაგნო რკინის ნაწილებს, თოკი შეაბა. მერმე ამოდიოდა, ამოჰქონდა სათითაოდ, ისევ ჩაყვინთავდა, ისევ ამოჰქონდა.

ბოლოს ყურებიდან სისბლი წასკდა როგორც ანდროს, ისე სხვა ამხანაგებს. ჯოლოზავა იქვე იდგა, კბილებს აკრაქუნებდა, რადგან მან არც ცურვა იცოდა და არც ყვინთვა. მაინც გადაყარა ტანისამოსი და გადაეშვა რიონში ეს ღვეკაცი.

თავდადებად და ვაჰირებამ ცურვაც ასწავლა ამხანაგ ჯოლოზავას და ყვინთვაც. ჩაყვინთავდა, წააელებდა ხუთფუთიან თუჯის ნაწილებს ხელს და ამოჰქონდა სათითაოდ ნაპირზე.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტი პატრივისცემის ღირსია იგი, ვინც ყოველ

წუთს მზადაა თავისი სიცოცხლე ანაცვალოს დაკისრებულ საქმეს.

გამომშვიდობებისას: შექმნით ვუთხარი კოლხიდშენის ქრტილთსა სტუმრებ!

— ავრე გვმართებს, ძმებო, თუ გვინდა ჩვენი შესახიშნავეი ხალხისა და მისი დიდი ისტორიის ღირსეული მემკვიდრენი ვიყვეთ, ყოველ უბანში, სადაც ჩვენი ხელისუფლება დაგვაყენებს, თავი უნდა დავდოთ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად უთუოდ.

თქვენს ექსკავატორებს ყოველდღე ამოაქვთ მიწიდან ადამიანის ძვლები, უმეტესნი მათ შორის ჩვენი მამაცი წინაპრების ძვლებია, მათი ძვლები, ვინც 2.000 წლის მანძილზე ებრძოდნენ ჰუნებს, ირანელებს, ბიზანტიელებსა და თურქებს, რათა ეს მშვენიერი ჰესპერიდების ბაღნარი შემოენახათ ჩვენთვის.

ასე რომ, ორი ათასი წლის ისტორია შემოგვცქერის მიწის წიაღიდან, ამიტომაც გვმართებს მარტოოდენ გულამაყნი როდი ვიყვეთ. არამედ გულმამაცნიცა, როგორც შრომაში, ისე ბრძოლაში.

მხოლოდ უნიჭო შეილებს სჩვევიათ სახელოვანი წინაპრებით ქაღილი. რაც უფრო მეტად სახელოვანი წინაპრები ჰყავს ადამიანს, მით უფრო მეტს მოითხოვენ მისგან; ამიტომაც უნდა შევეცადოთ შრომაშიაც წაეასწროთ ჩვენს წინაპრებს და არც ბრძოლაში ჩაშოვრჩეთ მათ, რადგან ორი ათასი წლის სიამაყე შემოგვცქერის საქართველოს მიწის წიაღიდან, ძმებო.

კოლხიდშენის საქმე, საბუთოთა საქართველოს დიდ საქმეთაგანია ერთი!

მ მ მ მ ნ ე ბ ა ნ ი *

★

IV

ოზლებზე მზრუნველობა. — მსახიობი შაქრო საფაროვი. — ჩემი ქალის — ტასოს დაბადება. — ალექსანდრე ყაზბევის გაცნობა და მასთან დამოკიდებულება. — ლადო მესხიშვილი. — სომეხი დრამატურგი ვაზირელ სენდუქიანი. — ოპერეტაში პირველად ჩემი გამოსვლა.

როდესაც თეატრში ფეხი სამუდამოდ მოვიმაგრე და ჩემი შრომით თავის რჩენა შევიძელი, მაშინ ჩემი ობოლი ძმებისადმი ზრუნვა გავაორკეცეთითოროლოდ მოვუყარე თავი, მოვაწყე რედაქციაში სამუშაოდ, სადაც ცოტათი შეისწავლეს ქართული მწიგნობრობა. შემდეგ ისინი გვერდიდან არ მომიშორებია და ჩემთან ვაცხოვრებდი. ერთ მათგანს, შაქრო საფაროვს, ისე შეუყვარდა თეატრი, რომ ვეღარ ვაშორებდი. თუმცა დიდი არტისტი არ იყო, მაგრამ მაინც დიდ სამსახურად უნდა ჩათვალოს ის, რომ მაშინდელ ხანაში სათეატრო მუშაობაში ჩაება. იგი უმთავრესად მუშაობდა გარეუბნებში და სახალხო წარმოდგენებს მართავდა. რასაკვირველია, ეს წარმოდგენები არ შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულად დამაკმაყოფილებელ სპექტაკლებად. მაგრამ ეგეც დიდი საქმეა, რომ ხალხი ამის საშუალებით თეატრსა და საერთოდ კულტურულ ცხოვრებას ეჩვეოდა.

თითქმის თვეში ერთხელ ხან წაღებით და ხან ტანისამოსით ვმოსავლი, იგი ხან ამ ფეხსაცმელებს და ხან კიდევ ამ ტანისამოსს ჰყიდდა და აქედან აღებულ ფულს წარმოდგენების მართ-

ვაზე ხარჯავდა. ბევრი ვეცადე თეატრისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთხელ, როდესაც ახლადშექმნილი ტანისამოსი გააყიდა და თვითონ ჩამოხეული დადიოდა, ძლიერ გავებრაზდი და სახლიდანაც გავაგდე, მაგრამ თეატრს მაინც ვერ მოვაშორე, ისე გაგიყეებით უყვარდა. ერთხელ, როდესაც გვეუჯავრდი და მოვთხოვე თეატრს თავი დაანებე-მეთქი, — აკაკი წერეთელი შეგვესწრო, იგიც ჩაერია ლაპარაკში და მითხრა:

— მაგაზე რად უჯავრდები, რადგან თეატრი ასე უყვარს, თავისი წვლილი როგორც ესმის და რითაც შეუძლია ისე შეიტანოსო.

— კი მაგრამ ამისთვის მას არც სათანადო ნიჭი აქვს და არც ქონება-მეთქი, — ეუბასუხე.

— ნიჭი და ქონება შეიძლება ბევრსა აქვს, მაგრამ საზოგადო საქმისთვის, თითსაც არ ანძრევს, საქიროა გულწრფელობა და საქმის სიყვარული. ასეთ კაცსაც ბევრის ვაქეთება შეუძლია, თუ მოინდომა. შაქროსაც გულწრფელად უყვარს თეატრი, მონდომებულად არის, ამიტომ სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მიეცი საშუალება იმუშაოსო, — მომიგო დიდმა პოეტმა.

მეც გავჩუმიდი, რადგან ვერძნობდი სიმართლეს მის მხარეზე იყო, თუმცა

* დასასრული. „მნათობი“ № 4.

იმასაც მწვავედ ვგრძნობდი, რომ ამ სიმართლის განხორციელება ჩემს ისე-ღაც მცირე ბიუჯეტს აწვებოდა მძიმე ტვირთად. მგონის ამ სიტყვებმა შაქრო უფრო გააძნევა, ფრთები შეასხა, უკვე აღარ მიწვედა ანგარიშს. იგი სცენაზე სამუდამოდ დარჩა და მართლაც, რითაც კი შეეძლო გულწრფელად ემსახურებოდა ამ მეტად სერიოზულ საქმეს.

1880 წელს ფეხმძიმედ ვიყავი ჩემს უფროს შვილ ტასოზე. არის ისეთი შთაბეჭდილებები ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც არას დროს არ წარიზოცება მისი გონებიდან. მიდიან წლები, იცვლებიან მოვლენები. ერთი შთაბეჭდილება მეორეს ცვლის, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, უფრო ძლიერი, მესხიერებას არ სცილდება, როცა დანარჩენნი დაეიწყების ბურუსით შეიმოსებიან. ასეთი იყო ჩემი პირველ შვილზე ფეხმძიმობა და მასთან დაკავშირებული ამბები.

უპირველესად ყოვლისა, სიხარულით ველოდი მის გაჩენას და ვინ მოსთელის ჩემი ახალგაზრდული ფანტაზიით რას არ ვუპირებდი. მეორეც, ფეხმძიმობის დროს მე სცენას არ მოვშორებდით და თითქმის უკანასკნელ წუთამდე თეატრში ვმუშაობდი.

მახსოვს, ახალგაზრდა ქალის როლს ვთამაშობდი, კორსეტი ძალზე მჭონდა შემოკერილი, რომ ცოტათი მაინც დამსგავსებოდა ჩემი გარეგნობა გასათხოვარი ქალის გარეგნობას. კულისებში ექიმი გვერდით მდგა და ამ საშინელი გამბედაობისათვის სასტიკ საყვედურს მეუბნებოდა. მართლაც სცენაზე მუცელი ამტკივდა, წაეაველ სკამს ხელი და სიმწვავეთ ვიგრიხებოდი, მაგრამ რადგან გულუბრყვილო ქალს ვთამაშობდი, ვცდილობდი სახეზე არ შემტყობოდა. როგორც იქნა, წარმოდგენა გაეთავეთ. აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ საფაროვს ქალი ავადმყოფობის გამო ამ სეზონში

წარმოდგენაზე მონაწილეობას უკანასკნელად მიიღებდა. მაყურებლებს გადუწყვეტიათ თურმე, გაუფრთხილებს მოწყობა. წარმოდგენის შემდეგ სცენაზე გამომიძახეს, მომიწყვეს ოვაციები, აუარებელი საჩუქრებით და ფულით ამავსეს, მისურვეს მშვიდობით მორჩენა, სცენაზე მალე დაბრუნება და გამშორდნენ. თავის დღეში ვერ დავივიწყებ ამ გულმხურვალე გამოთხოვებას. მაშინ ვთამაშობდით სახელმწიფო საზაფხულო თეატრში, იქიდან ჩემი სახელი ახლოს არ იყო (ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდი). ისე ცუდად ვიყავი, რომ ფეხით წასვლა შეუძლებელი შეიქნა. ექიმმა ეტლით წაყვანაც შეუძლებლად დაინახა. შეიქმნა ბუობა, როგორ მოქცეულიყვნენ. ეს ამბავი გაიგეს მოწაფე ქალებმა, მაშინვე შეკრიბეს ამხანაგები, ერთმანეთს გადააჯვარაღინეს ხელები, ზედ დამსვეს და ისე წამიყვანეს. ტკივილები ძლიერდება... ქალები იღლებიან და ერთიმეორეს ხშირად ეცვლებიან. გზა ქიანურდება. ყველა ვენერვიულობთ. რის ვაი ვაგლახით, ბოლოს, როგორც იქნა—მივედით ჩემს ბინაზე და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, კიდეც მოვლოგინდი. შემეძინა ქალი, რომელსაც დავარქვით ანასტასია—ტასო. ეს მოხდა 1881 წლის მარტში, რიცხვი კი არ მახსოვს.

ჩვენი ძვირფასი დრამატურგი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დადიანი რომ ამბობს ტასოზე: თვით მისი დაბადებაც კინალამ თეატრში მოხდაო, სრული სიმართლეა, ცოტათი რომ შემგვიანებოდა, იგი მართლაც თეატრში დაიბადებოდა.

მოლოგინების შემდეგ რაღაც ავადმყოფობა დამერთო და ხანგრძლივითაც ვიწექი. ერთხელ ჩემმა ქმარმა ერთი ყმაწვილი კაცი თავზე დამაყენა და გამაცნო:

— ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ქართულ თეატრში ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა, აბა, შენ იცი

როგორ შენებურად შეუწყობ ხელსო.

მე ცოტა არ იყოს ავიმრიზე:—ლოგინში მწოლიარეს ასეთი ფრანტი თავზე რად დამაყენა-მეთქი. როცა შევხედე, გარეგნობა განსვენებულ სანდროს ისეთი ჰქონდა, სილამაზით იმ დროს ჩვენს დასში ვერაინ შეედრებოდა, ტანადი, ღიდრონი მომცინარი ეუუუნა თვალები, მშვენიერი ტუჩები, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბს სცენას იმ ხანებში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი, თვით წარმოდგენის დროსაც კი. უზომოდ ზრდილი, თავდაბალი.

ასეთ გაცნობის შემდეგ მალე დავეგობრდით, რადგან სხვა თვისებებთან ერთად იგი აღმოჩნდა ამხანაგობის მოყვარული და კეთილი გულის პატრონი. ამ დამეგობრებას მოჰყვა ის რომ ჩემი პატარა ქალი ტასო მას მოვანათვლიეთ. ამის შემდეგ სანდრო თითქმის ყოველდღე დადიოდა ჩვენთან, მე და ვასო ძლიერ ეუყვარდით და ჩვენც ძლიერ ვაფასებდით. მიზიდავდა აუარებელს ხილს და ყოველმხრივ ცდილობდა ჩქარა მოვლონიერებულიყავ, რადგან ჩემთვის თავისი პიესა „ცხოვრების თანამგზავრი“ უნდოდა წაეკითხნა. რამდენიმე ხანი გავიდა ამასობაში და მეც დავთანხმდი პიესის წაკითხვავ.

გავათავეთ კითხვაც. არ ვიცი, პიესის შინაარსმა იმოქმედა ჩემზე თუ ხანგრძლივმა კითხვამ და მოსმენამ დამასუსტა—ისტერიკა მომივიდა. სანდრო წამოხტა, ცრემლები მოერიდა და თან იძახოდა:

— ღმერთო ჩემო, აი როდის ვიგრძენ ბედნიერება, ჩემმა პიესამ ცრემლები გამოიწვიაო.

ეცა აქეთ-იქეთ, ვალერიანის წვეთები მომირბენია და თან მეუბნებოდა:

— ქ-ნო მაკო, ახლავ თავს მოვიკლავ, თუ არ დამშვიდდით.

მე მგონია სანდროს ამ წამს ის უფრო აღელვებდა, რომ პიესის გმირის—

ნინას როლის ამსრულებელი არ მოკვდომოდა.

პირველ გაცნობის დღიდან არ მინახავს სანდრო ისე, რომ მშვენივლი და ფანჯარი არ სჭეროდეს. ქალაღებით მუდამ სავეს ჰქონდა ჯიბეები და უბეგერი ზალხიც რომ ყოფილიყო და საშინელი ყაყანი, მოუვიდოდა თუ არა წერის უინი, იგი მაინც თავისთვის იჯდა და წერდა. მისთვის მაშინ გარემო არ არსებობდა, თავდავიწყებით მუშაობდა და ფურცელს ფურცელზე გადადიოდა. ეგ რომ კარგად ვიცოდი, ამიტომ ძალიან ვამაოცა იმ ამბავმა, ვილაც ვილატეებმა რომ გაავრცელეს ხმები და იწყეს მტკიცება, სანდროს თითქოს სხვისი ნაწერები მიეთვისებოდა. ეს დაუჯერებელია, რადგან ხშირად მინახავს, რომ იგი ჩვენს თვალწინ სწერდა და ამ დაწერილს გვიკითხავდა. სანდროს თავის მოთხრობები, სულ ნაწილ-ნაწილ, პატარა ქალაღებზე ჰქონდა დაწერილი. ბევრჯერ თავიც კი მოუბეზრებია ჩემთვის მათი კითხვით. იგი ხშირად მეტყოდა:

— ჩემო პატარა ნათლიედა, გენაცვალე, აბა ცოტა ხანს ყური დამიგდე!—და დაიწყებდა ახლადდაწერილ თხზულების კითხვას. მე ხშირად ვაწუწუვტივტივდი და ვეტყოდი:

— სანდრო, მე რად მაკითხავ, ისეთებს წაუკითხე, ვისაც კრიტიკა შეუძლია, ეგ უფრო სასარგებლო იქნება.

— მე შენი ცოდნა კი არ მინდა, შენი ინსტინქტი და ნერვები მირჩევნია კრიტიკასო,—მიპასუხებდა. — კრიტიკას ხშირად გულწრფელობა აკლია და ამან შეიძლება შეცდომაში შემიყვანოს, შენზე მოხდენილი შთაბეჭდილება კი გულწრფელია და უშუალო. აი ამიტომ გვიკითხავო.

ასეთი ლაპარაკით გულის მომიღობდა და მაინც წამიკითხავდა... ბოლოს ჩამითრევდა, გადივიცეოდი სმენად და არაერთხელ მივრძენია ამ კითხვისაგან უდიდესი სიამოვნება.

სანდროს თეატრი გაგიყვებით უყვარდა. დასწი ყველასთან კარგს დამოკიდებულებაში იყო და მეტადრე პატარა მსახიობებთან. რაც შეეხება იმის არტისტულ მოღვაწეობას, უნდა ვაღიარო, რომ ეს დიდი გაქანების მწერალი, ძლიერ სუსტი არტისტი იყო, მაგრამ სცენა გულწრფელად უყვარდა და ვერ ცილდებოდა. ჩვენც ვაფასებდით თეატრისადმი მის გულწრფელ დამოკიდებულებას და ხელს არ ვკრავდით. ვცდილობდით სცენას შერჩენოდა. ახლა კი ვფიქრობ, ამას დიდ დანაშაულს ჩავდიოდით: ის რომ სცენაზე არ ყოფილიყო, მწერლობაში გაცილებით მეტის გაკეთებას შესძლებდა, და ვინ იცის, ჩვენმა ლიტერატურამ რამდენი თვალ-მარგალიტი დაკარგა. არაფერს ვიტყვი მის ცეკვაზე, ამაზე ბევრი თქმულა და მეც მოკლედ აღვნიშნავ: სანდრო აქ შეუდარებელი იყო.

1881 წელს ჩვენი თეატრის ისტორიაში ღირსშესანიშნავე ამბავი მოხდა: 10 რქტომბერს პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე ჩვენი შესანიშნავი მსახიობი ვლადიმერ სარდიონისძე მესხიშვილი, მან პიესა „შეშლილიაში“ შეასრულა ვილკენის როლი.

იგი ქართულ სცენაზე მოვიდა ყოველივე სცენიური ღირსებით შემკობილი: საკვირველი, მყისვე თვალის მომკრეელი გარეგნობა, მგზნებარე არტისტული ტემპერამენტი, თაფლზე უტკბესი ხმა და არტისტული კილო და ნიჭი. ლაღო მოვიდა, და... გამეფდა სცენაზე. თავიდან, რა თქმა უნდა, მერმინდელი ოსტატობა არ ჰქონდა, რაც დრომ და გამოცდილებამ მოუტანა, მაგრამ ვანა იმ დროს ეს ოსტატობა ვისა გვექონდა? ვის რა გვესწავლა, საერთოდ, და სასცენო ხელოვნებისა კერძოდ? ან ვის რა გვენახა? ყველა ჩვენგანი თითქმის ოჯახის კარჩაკეტილობიდან მოვედით სცენაზე და თუ მხატვრულ სახეების შექმნას ვახერხებდით, ეს იყო ჩვენი არტისტული აღ-

ღოს წყალობით. ამის მეტიც არაფერი გავგაჩნდა: არც თეატრი, არც გარდერობი, არც დეკორაციები, არც გამოცდილი და მცოდნე რეჟისორები, არც წიგნები, წიგნები შეიძლება იყო, მაგრამ არა ქართველი მსახიობებისათვის. მთელი ჩვენი მაშინდელი თეატრი სამადლო საქმე იყო და ჩვენი, ე. ი. მსახიობებისა და ერთი-ორი გულშემატყვიარი ადამიანის საზრუნავი. ამ გაქირვებულ მდგომარეობის მიუხედავად ჩვენი უშიშარი თეატრი (ე. ი. მარტო დასი) მაინც „ხელოვნების ტამბრა“ მიგვაჩნდა და ჩვენც შემთხვევითი ქურუმნი „ექურუმობდით“ გულმოდგინედ სამშობლო სცენისადმი სიყვარულით გატაცებულნი... და ლაღოც ჩვენთან იყო მთელი თავისი იშვიათი შემოქმედებით, მუდამ მომხიბლავი როგორც არტისტი, მუდამ საყვარელი როგორც ადამიანი. ლაღომ ქართულ სცენაზე მუშაობა რომ დაიწყო, ქართული ენა კარგად არ იცოდა და როლს რუსული ასოებით უწერდნენ. ენის უცოდინარობის გამო ხშირად უჭირდა ამათუბ სიტყვის გამოთქმა. მაგალითად: ერთხელ საჭირო იყო ეთქვა სიტყვა—„გარწმუნებ“, იგი ამბობდა „გაწრუწუნებ“, „ქეთევანის“ მაგიერ „კეტევანს“ იძახდა. პირველ წელიწადს მაინც ძლიერ ეტყობოდა რუსული კილო, მაგრამ იმდენად კარგად თამაშობდა, იმდენად მომხიბლავი შეხედულება და ხმა ჰქონდა, რომ მაყურებელი ურიგდებოდა ამ რუსულ კილოს. მან ბევრი იმეცადინა შემდეგში თავისთავზე და ეს ნაკლი ორი წლის განმავლობაში სრულიად გამოისწორა. ხმა კი უცნაურად მიმზიდველი ჰქონდა ლაღოს. არა მგონია, ვისაც ოდესმე გაუგონია მისი შიგ გულში ჩამწყვდენი ხმა, მოდულაციებით მდიდარი, როდისმე დიაფიწყებს მას. ლაღო დეკლამატორი არ იყო, მაგრამ მისი მომჯადოებელი ხმა ჩრდილში ხვევდა, მის, როგორც დეკლამატორის ყველა ნაკლოვანებას.

თუმცა მე უმთავრესად კომედიის არტიტი ვიყავი, ლადო კი დრამისა, მაგრამ ჩვენ მაინც ზშირად გვიხვდებოდა სცენაზე ერთსა და იმავე პიესაში ერთად თამაში, რადგან არტიტთა სიმცირის გამო მაშინ ეგრედწოდებულ „ამლუაზე“ არტიტთა დაყოფა თითქმის არ იყო.

ლადოსთან, სხვათა შორის, მითამაშნია: „ჰამლეტი“—მე ოფელია, მას—ჰამლეტი, „მეფე ლირში“—მე კორდელია, მას— ედვარი, „შეშლილია“—მე ნელი, მას— კარლეიგი. ჩემის აზრით ეს იყო მისი საუკეთესო როლი, რადგან სულიერი აშლილობის ისეთი ჭეშმარიტი ბუნებითი გადმოცემა სხვა არ მინახავს არც ჩვენს, არც სხვა სცენაზე. ამ როლში იგი მართლა შეშლილი იყო, იმ თავდავიწყებამდე, რომ მოქმედების გათავების შემდეგ ნამდვილად თრთოდა და გაფითრებული იყო ხოლმე (გრიმებშიც კი)—გვიერთამაშნია აგრეთვე: „დამნაშავის ოჯახში“—მე ადა, მას—ექიმი პალმიერი, „ორ ობოლში“—მე ლუიზა, მას—პიერი, „სამშობლოში“—მე ფაიზოში, მას— ლევან ხიშშიაშვილი, „თამარ ციხერში“—მე ცირა, მას—გოსანი. აი ამ როლში გამოჩნდა მისი ზმის უებრო ელერა, რომელიც საამუხრად ჩაესმოდა მსმენელის ყურს. აკაკის გამოთქმისა არ იყოს, არხევდა „ადამიანის სულის ჩანგის სიმებს“.

მასთან ერთად მრავალ სხვა პიესაშიც მითამაშნია, მაგრამ მათი სახელები აღარ მაგონდება. ლადო ჩემის აზრით წმინდა წყლის დრამატიული არტიტი იყო. ამისთვის მას ჰქონდა მგზნებარე ტემპერამენტი, გრძნობათა აღძრვის ნერვები (განსაკუთრებით კი ნაზი გრძნობებისა). იგი რომ სცენაზე სიყვარულის შესახებ ლაპარაკობდა, ეს თვითონ მას სჯეროდა, არა მარტო პიესის მოთხოვნისამებრ, არამედ ნამდვილად მთელი თავისი ნერვებით, მთელი თავისი სისხლის მოძრაობით

და აი ეს დამაჯერებლობა აღძრავდა ხოლმე მაყურებელსაც და იმ მსახიობსაც, რომელსაც იგი სიყვარულის გუნდრუქს უქმევდა. *მარიამ საფარომი*

ამის გარდა, რაც შეეძლო ვაკვირით ვთქვი, ლადოს ჰქონდა საკვირველი მეტყველი სახე, მეტყველი არა მარტო სილამაზის ნაკვთთა კლასიკური შეხამებით, არამედ მეტყველი თვალთა სიმცხრალით, და სახის კუნთების მდიდარი მოძრაობით, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა გამოსატქმელი გრძნობა მრავალ სხვადასხვა ნაკადად გადაეშალა. გრძნობათა ცვალებადობა იმ გმირისა, რომელსაც იგი ანსახიერებდა, ჯერ კიდევ სათქმელი სიტყვების გამოთქმამდე, სახეზე აღიბეჭდებოდა და სიტყვებს ცეცხლივით ალგზნებდა.

ერთი სიტყვით, იგი თავიდან-ფეხებამდე ბუნებით არტიტი იყო. ამას შემდეგ ოსტატობაც დაემატა. სასცენო ტექნიკა მან ისე განავითარა, რომ სიტყვისა და პაუზას შორის ცარიელი ადგილი აღარ რჩებოდა, ზანდაზან პირიქით, პაუზა უფრო მეტყველი იყო, ვიდრე სიტყვა.

ერთი კიდევ უნდა შევნიშნოთ: ჩემის აზრით ლადოს ევროპულ გმირთა როლების ასრულება უფრო ეზერხებოდა, ვიდრე ქართველთა, ქართველ გმირთა დახასიათებაში გადაქარბებული სინაზე შეჰქონდა, და ვაჟკაცურ იერს ართმევდა. ამ ნაკლს იგი მუდამ ებრძოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მისი საბოლოოდ დაძლევა ვერ შესძლო.

ლადოს ერთი არა საპატიო ნაკლი ჰქონდა: იგი სხვა მის ამხანაგებსავე ქართული თეატრის სიღარიბეს ვერ უძლებდა და, როგორც კი საქმე შეფერხდებოდა, რუსეთში ამოყოფდა თავს. იყო ამისთანა შემთხვევა: იგი ტაშკენტში მუშაობდა, დრამატიულმა საზოგადოებამ მოწვევის წერილი გაუგზავნა. მან წამოსვლაზე თანხმობა შემოთვალა, მაგრამ ამავე დროს მოიწერა, თუ ოც თუმანს მომცემთ—ჩა-

მოვალ, თუ არა და ვერ ჩამოვალო. დრამატიული საზოგადოება ჩვეულებრივად გამოცალიერებული იყო და ეს ფასი ძლიერ ეძვირა, მაგრამ საკითხი მაინც ოფიციალურად კრებაზე დასვეს, კრებამ ოც თუმანზე უარი უთხრა და თუთხმეტი თუმნის მიცემა გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, ლადო ამაზე არ დათანხმდა. მაშინ მე გამგეობაში განვაცხადე, რადგანაც თქვენ ხუთი თუმნის მომატება არ გინდათ, ეგ ხუთი თუმანი მე დამაკელით და მას დაუმატეთ, ოღონდ ის მოიწვიეთ-მეთქი, დარწმუნებული ვიყავი, ერთი კაპიკის გადახდა არ დამპირდებოდა, რადგან თვით ლადოს მონაწილეობა სეზონში შემოსავალს გაზრდიდა... დამთანხმდნენ და მოიწვიეს. ლადო შეუდგა მუშაობას და ჩემი მოსაზრება გამართლდა. თეატრის შემოსავალი ძალზე გაიზარდა. დრამატიული საზოგადოებაც ძლიერ მადლიერი დარჩა, ლადოსაც დიდის სიამოვნებით აძლევდნენ თავის კუთვნილ ოც თუმანს და ჩემთვის ხელფასი არ დაუკლიათ, პირიქით სეზონი ისე კარგად მიდიოდა და შემოსავლიანი იყო, რომ ცოტ-ცოტა ხელფასი ჩვენც მოგვიმატეს.

1881 წელს, არ მახსოვს რა თვეში, გვითხრეს ხეალ არტისტები ერთმა ავტორმა მოგვიწვია სადილად და ნასადილევს ახალი პიესა უნდა წაგვიკითხოსო. მეორე დღეს ყველანი დანიშნულ დროს შევიკრიბენით და წავედით სოლოლაკისკენ. შევედით ერთ მშენიერად მორთულ საბლში. შეგვხვდა კარგი შეხედულების წარმოსადეგი, მწითური კაცი, თეთრი გადაკიმული შუბლით, ყუყუნა თვალებით, პატარა ულვაშებით და მომცანარე სახით. იგი მზიარულად შეგვხვდა, მოგვესალმა და გვითხრა:

—მობრძანდით, გენაცვა, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემთვისაც და თქვენთვისაც. ეს ჩემი ცოლი გახლავთ, ვაიცანიო,—დაუმატა და გავვაცნო

ერთი ახალგაზრდა ძლიერ მიმზიდველ ქალი.

ეს კაცი იყო კარგად ცნობილი სომეხი დრამატურგი გამრთელ ნიკიტას-ძე სუნდუკიანცი.

შევედით თუ არა სასტუმრო დარბაზში, მასპინძელმა მზიარულათვე გვითხრა:

—ცოტათი გვიან არის, მოდით სუფრას მოვესხდეთ, დანაყრდით და მერე შევეუდგეთ საქმესო.

ჩვენც შემოვესხედით სუფრას, რომელიც უხვად იყო სანოვაგით დატვირთული.

— აბა, ყმაწვილებო და ქალებო, მიირთვიეთ, გენაცვალეთ, და გთხოვთ— ისე იყვეთ, როგორც თქვენი ძმისა და ნათესავის ოჯახშიო,—დაუმატა მან... ასეთი მოქცევით ყველანი ჩაგვიპირა ხელში და ვისაც არ გვენახა და პირველად გავეცანიოთ, ამ კაცის პატივისცემა სწრაფად ჩაგვებუქდა გულში და იგი ყოველ წუთში იზრდებოდა.

ასე ბოდიშით და მოფერებით გავაზავეთ სადილი, ავიშალენით, გამოვედით ისევ სასტუმრო ოთახში და იქიდან შევედით გემოვნებით მორთულ კაბინეტში.

დავსხედით, წავიკითხეთ პიესა. მოგვეწონა და იმავე წელს კიდევ დავედით. ეს პიესა იყო ცნობილი სამმოკმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“.

ამ დღეს გაბრიელ სუნდუკიანცი პირველად ენახე და გავეცანი... შემდეგ დავახლოვდით, ჩვენს შორის გაიზა მეგობრული კავშირი და შემითვისა როგორც საკუთარი შეილი.

გ. სუნდუკიანცი იყო მეტად თავაზიანი, თავდაბალი და სტუმართმოყვარე. გატაცებით უყვარდა თეატრი. როდესაც მის პიესებს ვთამაშობდით, რეპეტიციებს ყოველთვის ესწრებოდა და ისე ხათრით და მორიდებით გვეპყრობოდა, გეგონებოდათ, ჩვენ უწევდით მას დიდ დამსახურებას და არა

ოგი ჩვენს თეატრს, სადაც იმ ხანებში მისი პიესები ხშირად იდგმებოდა. მისი დრამატული ნაწარმოებების შინაარსი უმთავრესად თბილისის ცხოვრებიდან იყო აღებული. მისი ტიპები თბილისის მკვიდრნი იყვნენ, რომელთა მგზავსი ყოველ ჩვენგანს არაერთხელ უნახავს. ისინი ჩვენთან ძლიერ ახლოს იდგნენ. თვით პიესები მშვენიერი ენით და სცენიურად იყვნენ დაწერილი, ამიტომ მათი სცენაზე დადგმა გვიადვილდებოდა და ჩვენი მაშინდელ არტისტების უმეტესობაც ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, დ. აწყურელი და სხვები ერთმანეთზე უკეთესად ასრულებდნენ დაკისრებულ როლებს. მაყურებლებიც ყოველთვის კმაყოფილნი იყვნენ და პრესაც ქებით გვიხსენიებდა.

როგორც ვთქვი, გაბრიელს თუ დრო ჰქონდა, რეპეტიციებს ყოველთვის ესწრებოდა, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო თუ ამას ვერ შესძლებდა, ორ უკანასკნელ რეპეტიციაზე უმკველად მოვიდოდა. ეხმარებოდა რეჟისორებს, შეელოდა მსახიობებს როლების თუ მიზანსცენების გაგებაში. თვით პიესის წარმოდგენას კი არასოდეს არ დააკლდებოდა და არტისტებზე უფრო თვითონ ლეღავდა. თუ უკვე ნათამაშევი პიესას ვიმეორებდით, რეპეტიციას მაინც დაესწრებოდა და თუ გაიგებდა, რომ რომელიმე როლს, თუნდაც სრულიად უმნიშვნელოს, რეჟისორი შეცვლიდა სხვა არტისტით, შესწუხდებოდა, მაგრამ ამას არ გვაცნობებდა, თავს შეიკავებდა და თავზაიანად გვეტყოდა რეჟისორს და ჩვენ:

— გენაცვალეთ, შვილებო, როლის ამსრულებელი შეგიცვლიათ და თუ შეიძლება ჯერ ის ადგილი გავიმეოროთ; რასაკვირველია, ესეც კარგად ითამაშებს, მაგრამ მაინც სჯობია — სადარიგი დაეცაეთოთ.

თუნდ როლის ახალ ამსრულებელზე

ძალიან დიდი ეჭვიც ჰქონოდა, მაინც ასე მორიდებით მოგეშართებოდა. ჩვენც ძლიერ პატივს ვცემდით მას. ძალიან მორიდებით ვეპყრობოდით. მსახიობები კი ყოველთვის ვასრულებდით. ჩვეულებად ჰქონდა წარმოდგენის დაწყების წინ კულისებში შემოსვლა და ყველა როლის ამსრულებლის დათვალიერება. ჩამოგვივლიდა მოგვეფერებოდა, აგვათვალ-ჩამოგვათვალიერებდა და რჩევადარიგებას მოგვეცემდა.

მახსოვს ერთხელ კომედია „ხათაბას“ ვდგამდით. მე ნატალიას ვასრულებდი. იმ დღეს ცოტა უქეიფოდ ვიყავი, მაგრამ ჩვენი თეატრის მსახიობისთვის ასეთი ავადმყოფობა საპატიო მიზეზად არ ჩაითვლებოდა. დუბლიორები არა გვეყავდა. ამიტომ სიცხეც რომ გვქონოდა, მაინც უნდა გამოვსულიყავით, თორემ წარმოდგენა ჩაიშლებოდა... მეც ამის გამო მაინც გამოვედი სათამაშოდ. გ. სუნდუკიანიც ჩვეულებრივად ამოვიდა სცენაზე, მოინახულა ყველა. შემოვიდა ჩემთანაც. კარგად ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თავისებურის ღიმილით და მოფერებით მითხრა.

— აბა რა გითხრა, შვილოჯან, დუშკაჯან, მანამ შენ ცოცხალი ხარ ჩემი ნატალია და ეფემიაც იცოცხლებენ... მართლა, გენაცვალე, აბა დღეს ხმაზე როგორა ხარ, ხომ იცი, შენს სიმღერას გაგამეორებინებენ, ხომ არ შერცხვები.

— გაბრიელ ნიკიტჩი, დღეს რაღაც უქეიფოთა ვარ და ხმაზეც კარგად ვერა ვარ, სიმღერის მეშინია.

ნატალია მღერის კუბლეტებს, მეც ამ სიმღერას ყოველთვის კარგად ვასრულებდი და მაყურებლები მამეორებინებდნენ, ამიტომ ახლა მეშინოდა, ადგილი არ გამეფუჭებინა.

— მაშ აი, გენაცვალე, რას გეტყვი: ხომ იცი, დუშკაჯან, საცა ვზივარ... მიყურე, შვილო: თუ მკლავებჩამოშვებული ვიჯდე კრესლოში, მოკლედ

მოსჭერი, გენაცვალე, ნურც გაიმეორებ, თუ ვზივარ ხელგაშლილი (აქ ხელები გაშალა და წელში გაიმართა) მაშინ წადი და წადი. რამდენჯერაც არ გთხოვონ, გაიმეორე.

წარმოდგენის შემდეგაც განსვენებული ყველა მსახიობს ისევ თვითთულად ჩამოუვლიდა, მამაშვილურად გადაკიცნიდა, შეაქებდა, მადლობას გამოუცხადებდა და მზიარულ გუნებაზე მყოფი ზოგჯერ დაპატიებდა კიდევ მთელ დასს. ძლიერ უყვარდა ვასო აბაშიძე, მაგრამ ვასო ზოგჯერ ცუდ გუნებაზე აყენებდა. ხანდახან გადაკრული გამოდიოდა სცენაზე და გ. სუნდუკიანცს ეს არ მოსწონდა. ამიტომ წარმოდგენის დღეს თუ საღამე ჩაიგდებდა ხელში, ალარ მოცილებდა, სადილზე უმჯველად წაიყვანდა სახლში, რა თქმა უნდა, აქაც არ შეიძლებოდა უღვინოდ სადილი, მაგრამ ზომამზედ დააღვინებდა და თვითონვე მოიყვანდა თეატრში.

მისი ერთი თვისებაც უნდა აღვნიშნო: დიდად უყვარდა და აფასებდა ქართველ ხალხს, იგი არ იყო გაელენთილი შოვინისტური მზამით, რომელიც იმ დროს ასე წამლავდა ატმოსფეროს და ქართველებსა და სომხებს, ამ ისტორიულად შეკავშირებულ ერთა შორის, მტრულს განწყობილებას აღრმავებდა. გ. სუნდუკიანცი მუდამ ცდილობდა ამ ორ ერს შორის მეგობრული განწყობილება შეექმნა და განემტკიცებინა. მთელი მისი მოღვაწეობა, და თუნდაც ქართული თეატრისადმი მისი დამოკიდებულება, ამის უტყუარი საბუთია.

1882 წელს ჩვენი თეატრის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. არტიტებმა გადასწყვიტეს თავის ძალეზის გამოცდა სცენაზე სიმღერაში და ამ მიზნით განიზრახეს დაედგათ ოფენბახის ცნობილი ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“.

მე ხშირად მიხდებოდა გამოსვლა

ვოდევილებში, ისეთ პიესებში, სადაც სიმღერა იყო საჭირო. ვმღერობდი/რომანსებსა და კუბლეტებს, სკერტოდ ცუდი ხმა არ მქონდა და, ისევე, სიმღერების დროს უფრო გამომეწაფა... სიმღერა საერთოდ მიყვარდა, ამიტომ არც სახლში და არც ლხინის დროს, თუ საღამე მოვხვდებოდი, სიმღერას არ გავუბრბოდი. ამიტომ, ვაიგვე თუ არა ასეთი განზრახვა, ძალიან გამეხარდა. მინდოდა თავი გამომეცადინა... კარგად მღეროდა ჩვენი ზოგიერთი მსახიობიც, როგორც, მაგალითად, ნატო გაბუნია... ცოტა ყოყმანის შემდეგ საკითხი გადაწყდა. დავიწყეთ მზადება.

ჩვენმა გადაწყვეტილებამ ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთი ნაწილი ლაპარაკობდა, რომ ჩვენი მსახიობები საოპერო საქმისათვის მომზადებული არ არიან, არა აქვთ შესაფერი კულტურა, არ იციან მუსიკა და ხმები საკმაოდ გაწვრთნილი არა აქვთო, და სხვა. ამიტომ ასეთი სერიოზული საქმის ხელის მოკიდება პირდაპირ თავხედობაა, დადგმას ჩააფლავებენ, არა სჯობიან, თავის საქმეს ბეჯითად მოაკიდონ ხელი და ფეხზე დააყენონო. მეორენი კი ამტკიცებდნენ, არ არის მართალი პირველთა მოსაზრება, ჩვენ ნიჭიერი მსახიობები გვყავს, ბევრ მათგანს მშვენიერი ხმა აქვს, და თუ მოინდომეს, კარგადაც დადგამენო, ეგვეც რომ არ იყოს, ვცადოთ მაინც, რის გაკეთება შეუძლიათ, თუ გაიმარჯვეს, ხომ კარგი, ჩვენი კულტურისთვის ეს დიდი წარმატება იქნება და თუ დამარცხდნენ, ქუჟას ისწავლიან და მეორედ აღარ გაიმეორებენო.

ასეთმა მითქმა-მოთქმამ უფრო წაგვაქეზა და მუშაობას უფრო მუყაითად მოვკიდეთ ხელი. ბევრი მუშაობა დაგვიკრდა, ზოგმა ნოტები არ ვიცოდით, ზოგნი კიდევ ბაიათებსა და შიქასტებზე ვიყავით გაჩვეული და ხმა ასე რიგად არ გვემორჩილებოდა, ამიტომ ძნელი შეიქნა ყველას ჩაბმა ანსამბლში...

ერთის სიტყვით, დიდი ენერგიული მუშაობის შემდეგ ოპერეტა მოვაშხადეთ და 1882 წლის 24 იანვარს სპექტაკლი გაიმართა... თეატრი მაყურებლებით სულ ერთიანად გაიჭედა... ყველანი მოუთმენლად ელოდნენ შედეგებს. ჩვენც ძლიერ ველავადით. დაიწყო წარმოდგენა და პირველ აქტიდანვე ჩავიჭირეთ მაყურებლები. ყველაფერი მშვენიერად ჩატარდა... ყველა კმაყოფილი დარჩა... პრესამაც ქებით მოგვიხსენია.

გაზეთი „დროების“ რეცენზენტი ჩემს თამაშსაც ქებით იხსენიებდა და, სხვათა შორის, სწერდა: საფაროვ-აბაშიძისა მუსიკის უსწავლელია, მაგრამ თავის პარტია ისე შეასრულა, ბევრ საოპეროდ მომზადებულს გაუჭირდებოდაო. მე ვასრულებდი ერნესტინას როლს. კარგად შეევასრულე თუ არა, და რეცენზენტის მოსაზრება რამდენად მართალი იყო,—ვერ ვიტყვი, მაგრამ, ჩემი პარტია თამაშად შეევასრულე, მაყურებლებმა მხურვალე ტაშით დამაჯილდოვეს, ამან კი წამახალისა და შემდეგ ოპერეტებში ხშირად გამოვდიოდი. თუმცა ერთი კი არის: მე ნოტები მართლაც არ ვიცოდი, დიდი მუშაობა მჭირდებოდა, რადგან ყველაფერი ზეპირად უნდა შემემსწავლა... მაგრამ ახალგაზრდული აღტყინება მძლევედა, ენერგიაც არ მაკლდა და ყოველგვარ დაბრკოლებას ვძლევი, ხოლო გამარჯვებები მუშაობისათვის ძლიერ მაქებებდა.

ამ ოპერეტის კარგად ჩატარებამ წაგვახალისა და შემდეგ რამდენიმე სხვა ოპერეტაც დავდგით, როგორც, მაგ.: „მასკოტი“, „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ და სხვ.

1883 წელს საქართველოს ეწვია რუსეთის სახელგანთქმული დრამატურგი ალ. ოსტროვსკი. ოსტროვსკის ქართული თეატრი და მისი მაყურებლები კარგად იცნობდნენ. მისი პიესები სცენაზე ხშირად იდგმებოდა. ჩვენს

მსახიობებსაც ამ პიესათა როლები ასრულება და მათი დადგმა ენერგიულია და საზოგადოებრივ თეატრის ყოველთვის მადლდებდა. ჩემთვის ოსტროვსკის პიესების დადგმით.

სხვათა შორის, რადგან სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავ, რომ ჩემი ქმარი ვასო აბაშიძე პირველად ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიან ადგილში“ გამოვიდა.

ერთი სიტყვით ეს დრამატურგი ჩვენში დიდი პატივისცემით და პოპულარობით სარგებლობდა. ამიტომ მის ჩამოსვლას გათვითცნობიერებული ქართველი ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. ჩვენმა დასმა მას საზეიმო შეხვედრა მოუწყო თეატრში. დავდგით მისი პიესა „შემოსავლიან ადგილიდან“ ერთი მოქმედება, ამას გარდა ორი თითო-მოქმედებიანი ქართული პიესაც გავითამაშეთ. საღამო დასრულდა ლეკურის ცეკვით. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საპატიო სტუმარი მისთვის საგანგებოდ მოწყობილ ლოჯიაში იჯდა.

ოსტროვსკის პიესაში ვასრულებდი პოლინას როლს. წარმოდგენის დაწყებამდე ძლიერ ველავდი. ასეთი აღტაცება მე მხოლოდ სცენაზე გამოსვლის დროს პირველად ვიგრძენი. ხუმრობა ზომ არ არის. თეატრში იყო მთელი ქართველი კულტურული საზოგადოება, ისეთებიც კი, რომელნიც ჩვენი თეატრის ხსენებაზე ცხვირს მალდა იწვედნენ და ზევიდან დაბლა აღმაცერად დაგვაყურებდნენ. ესწრებოდნენ არაქართველებიც და ამავე დროს, რაც მთავარია, ესწრებოდა თვით ავტორი, სახელოვანი დრამატურგი, ქართულ თეატრში უცხო პირი, რომელიც პირველად ესწრებოდა ქართულ წარმოდგენას, ქართველი მსახიობების თამაშს, ისიც მის პიესაში. პასუხსაგები მომენტი იყო და ამ პასუხისმგებლობას ყველანი კარგად ვგრძნობდით, მათ შორის—მეც. დარეკეს მესამე ზარი... ყველანი ველავით... გავედი

სცენაზე და უცებ დავმშვიდდი, თვალებიდან ბინდმა გადავიარა, მოვედი ხასიათზე და არაჩვეულებრივის ექსტაზით შევასრულე როლი... გათავდა მოქმედება. ყველანი შევიკრიბენით და ელპარაკობთ მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ... ყველანი კმაყოფილნი ვართ.

— არა, მამა უცხონდება და, ცუდად ვითამაშებდით! — თავისებური მხიარულებით გადმოგვძახა ნატო გაბუნიაშვილი, რომელიც ამ წარმოდგენაში ასრულებდა კუკუშკინას როლს.

ჩვენ კი ვართ კმაყოფილი მაგრამ იქ დარბაზში რა აზრის არიან?... რა აზრისაა თვით ოსტროვსკი?... აი ფიქრი, რომელიც ყველას ჩაგვებდაუქა და აგვიფანცქალდა გული... უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. გავიგეთ, რომ ოსტროვსკი სცენაზე შემოვიდა... უფრო ავღელდით, შევიკრიბეთ მის გარშემო... ყველას გაგვეცნო, გაიგო ვინ რა როლს ასრულებდა, მოგვეაღიარა, განსაკუთრებით მე და ნატოს, ხელი მომხვია და მითხრა მოფერებით:

— სანამ თქვენ ცოცხალი ხართ, ჩემი პოლინა არ მოკვდება.

სიხარულისაგან აღარ ვიცოდით, რა მექნა: დიდმა დრამატურგმა, ჩემს არ-

ტიტულ შემოქმედებანს ვმადლობის შეფასება მისცა... თავი სიხარულით მეგონა, მაგრამ მე გავიგე, რადგან სცენაზე გაიგონეს ეს სიტყვები: „მამაშვილი აგერ 57 წელიწადი შესრულდა და თვალწინ ნათლად მიდგას ეს ბედნიერი შეხვედრა, სიამოვნებით მაგონდება ის ნეტარება, რაც განვიცადე ოსტროვსკის შეხვედრით და მისი სიტყვებით.“

დრამატურგს ძლიერ მოსწონებოდა ნატო გაბუნიას თამაშიც. მასაც მიესალმა და უთხრა:

— როდესაც კავკასიაში მოვედიოდი, ვერ წარმომედგინა, რომ ჩემს პიესას ვნახავდი ქართულ სცენაზე და ისიც კუკუშკინას ასე შესანიშნავად შეასრულებდა ისეთი ახალგაზრდა მსახიობი, როგორც თქვენ ბრძანებულხართო.

ამ სიტყვების შემდეგ მან ნატოს ხელზე აკოცა, ზოლო ნატო კი ჩვენებურად გადაეხვია და გადააკოცა.

ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ დრამატურგზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, გული აუჩქროლდა და ცრემლები გადმოცვივდა... მე და ნატო კი ბედნიერებად ვთვლიდით თავს და ამის საბუთიც გვქონდა.

V

მამაჩემის თბილისში ჩამოსვლა. — ვეფხვიველასთან დამეგობრება. — მამის გარდაცვალება და ჩემი დედინაცვლის სტუმრობა თბილისში. — უკანონო დისის გასტროლი თბილისში კრაპინციკის მეთაურობით და მათთან დამეგობრება. — ჩემი დაყრუბება და სამკურნალო საზღვარგარეშ ვამპუაჩრება. — უკან დაბრუნება და ისევ სცენაზე მუშაობა. — თეატრში მუშაობისათვის თავისდანებება.

თითქმის ცხრა წელიწადზე მეტი შესრულდა მას შემდეგ, რაც სცენაზე გამოვედი. ამ ხნის განმავლობაში ჩემ პირად ცხოვრებაში ბევრი რამ ახალი მოხდა. ჯერ ერთი, თვალსაჩინო და ცნობილი გავხდი და გაზეთები თუ საზოგადოება ყოველთვის თანაგრძნობით შეპყრობოდნენ. გათხოვიდი და მეყოლა შეილი. მოვაწყვე ოჯახი, ბანკის დახმარებით შევიძინე სახლი და

გავიჩინე მუდმივი თავშესაფარი. ერთის სიტყვით, მაშინდელი საარსებო პირობების მიხედვით ჩემი ცხოვრება გვარაიანად მოეწყო... ამ ხმებმა მამაჩემამდეც მიადღწია, იგი დარწმუნდა, რომ მისი ქალი „არ არცხვენს მამის ოჯახს“ და მშობლებს „სახელს არ უტეხს“, ამიტომ ნელნელა გული მოიბრუნა — ჯერ კანტიკენტად წერილების გამოგზავნა დაიწყო და შემდეგ ჩემი ნახვაც

გადასწყვიტა: ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვიდა კიდეც თბილისში და მინახულა თავის „გვარის შემარცხენელი“ და „გასამათრახებელი“ შვილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და შესაძლებლობის მიხედვით დიდი პატივით მივიღე,—პატარა წვეულებაც გავემართე. მამა კი ძლიერ დარცხენილი იყო. ამას კარგად ვამჩნევდი და ეცდილობდი გამერთო, მისთვის წარსული ამბები დამევიწყებინა.

მამამ ყველაფერი დაწვრილებით დაათვალიერა, დააკვირდა ჩემს ცხოვრებას. წაფიყვანე თეატრშიც, გავაცანი ჩემი ამხანაგ-მეგობრები ვინც კი იმ დროს თეატრში იმყოფებოდნენ... დაებრუნდით თუ არა შინ, შევეკითხე: — მამა, ახლა რას იტყვი ჩემს სამსახურზე, მე უფრო გასახელე თუ შენმა ვაჟებმა,—მეთქი.

მამას გადმოცვივდა ცრემლები და ათრთოლებულმა მიპასუხა:

— შენ გენაცვალოს ჩემი ვაჟიშვილებიცა და მეც, თურმე ამდენხანს შემცდარი ვიყავი, მაგრამ მამატიე, ჩემი გამოუტყდლობის ბრალიაო.

მოშიაღერსა... ცრემლები ვერც მე შევიკავე... გადავეხვიე და დიდხანს ვიყავი მის გულზე მიკონებულნი...

ეს იყო უკანასკნელი მოფერება მშობლისა და ამ წუთებს დღესაც, როცა 80 წლის ასაკს გადავაბიჯე, სიამოვნებით ვიგონებ, გამახსენდება ჩემი ახალგაზრდობაც, განვლილი სიმწარე და სიტკბოება და ცრემლებს ვერ ვიმაგრებ...

რას იზამთ, რომაელები იტყოდნენ: „ასე მიდიან სიამენი ამა ქვეყნისაო“... სიბერემ ყველაფერი წარიტაცა!

მამა კარგახანს დარჩა ჩემთან, ყველაფერი დაწვრილებით აწონ-დაწონა, ყველაფერში თვითონ დარწმუნდა და კმაყოფილი დაბრუნდა სოფელში, მე ვიცოდი, რა გაჭირებულ მდგომარეობაში იყო იგი ნიეთიერად და გადაეწყვიტე ჩემი მცირე შემოსავლიდან და-

მეკლო რამე და მისთვის მეგზავნა. ასეც მოვიქეცი. ყოველთვის ვეუბნებოდი ან ოცდახუთ მანეთს ვუგზავნიდი. იგი ძლიერ კმაყოფილი იყო ჩემი შვილი, რომელიც დაკარგულად მიაჩნდა, დახმარებას უწყევდა. ამავე დროს არც მე ვიყავი უკმაყოფილო, რადგან მამა შევირიგე და შვილის მოვალეობას, რამდენადაც შესაძლებლობა ხელს მიწყობდა, პირნათლად ვასრულებდი.

ამ პერიოდში, ე. ი. გასული საუკუნის 90-იან წლებში, გავაცანი მთის მესაიდუმლე მგოსანი ვაჟა-ფშაველა — ლუკა რაზიკაშვილი. ჩემი ქმარი და იგი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ორივეს უყვარდა გადაკვრა, ამიტომ ჩამოვიდოდა თუ არა თბილისში, გამოძებნიდა ამფსონებს და იმართებოდა ქეიფი და დროსტარება. მის მეგობართა შორის ვასო აბაშიძეს და ვალიკო გუნიას ყველაზე ახლობელი ადგილი ეკვირათ, ამიტომ ყოველი ქეიფის დროს ეს ორი პირი უქვევლად სუფრის მონაწილენი იყვნენ. რა თქმა უნდა, ვაჟას, როგორც პოეტს—კარგად ვიცნობდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო 29—30 წლის ყმაწვილი კაცი, მაგრამ სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი და ჩვენი მოღვაწეები ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ. პირადად არ ვიცნობდი და გულდაწყვეტილი ვიყავი... ერთ დღეს უკვე ნასადილევი ვიყავით, ვასო აღარ ჩანდა, ვიცოდი, სადმე ღვინოს შეექცეოდა, ამიტომ აღარ დავუთადეთ. შეღამებისას ვასოც მოვიდა და თან მოყვა ერთი შუათანა ტანის სათნო შესახედავი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩოხა-ახალუხით იყო მორთულ-მოკაზმული, მეუცხოვა. ვასო შემოვიდა თავისებური ქაქანით და გამაცნო:

— პა, რომ ჩამაცივდი, გამაცანი, გამაცანიო, იცნობდე ვაჟა-ფშაველა, აი ფშაველ ლექსებს რომ სწერს, შენ რომ მოგწონს.

ასეთმა გაცნობამ, მოულოდნელმა

შემთხვევამ ცოტათი შემაკრთო... გა-
მაკვირვა კიდევ. მე ვაქა სულ სხვანაი-
რი შესახებდავი მეგონა რატომღაც: რო-
გორც მთიელი—ძლიერ მაღალი, ფარ-
თო მხარ-ბეჭიანი, ბოზი ხშიანი... ზო-
ლო როცა ვნახე, ასე არ აღმოჩნდა,
გაკვივრევი, მაგრამ, ეს გაკვირვება
შორს გადვისროლე, რადგან, უცებ გა-
სამართლებელი საბუთი წინ წარმო-
მიდგა: კაცი პოეტია, ლექსების დამწე-
რი და, რა თქმა უნდა, ასეთი უნდა
იყოს მეთქი,—გამიელვა აზრმა... თა-
ვზიანად შევხვდი, გვემართეთ პატარა
სუფრა, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს
და კეთილი განწყობილება მაშინვე
შეიქმნა. ვეყას ბევრი ლაპარაკი არ
უყვარდა, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ
მდაბიურად, უბრალოდ, შინაურულად
და ასეთი ლაპარაკი ყოველთვის ხელს
უწყობდა მეგობრული დამოკიდებუ-
ლება თანდათანობით განმტკიცებულ-
ყო და ჩვენც შემდეგში აკი დამე-
გობრდით კიდევ. იგი ჩვენს ოჯახთან
აზლო დამოკიდებულებაში იყო და ჩა-
მოვიდოდა თუ არ თბილისში, ყოველ-
თვის გვინახულებდა.

დიდ პოეტს ძლიერ უყვარდა თეატ-
რი. ხშირად ჩამოაგდებდა მუსაიდს სა-
სცენო ზელოვნებაზე, ჩვენი საზოგადო-
ებრივი ცხოვრებისათვის თეატრის მნი-
შვნელობაზე და ჩვენი თეატრის უმწეო
მდგომარეობაზე. ყველა ჩვენ მსახიობ-
თან მეგობრულ განწყობილებაში იყო
და ჩამოვიდოდა თუ არა თბილისში,
წარმოდგენებს არ დააკლდებოდა.

როგორც წინათაც ვთქვი, ჩვენს თე-
ატრს სიღარიბე და გაკვირვება თავიდან
დაყვავა, ამიტომ ნიეთიერი სივიწრო-
ვის შესახებ მუდამ გაისმოდა წუწუნ-
ი. სათეატრო მოღვაწეები შემოსავლის
ვასადიდებლად ათასნაირ საშუალე-
ებს იფონებდნენ. ჩემმა ქმარმა ვაჟა-
ფშაველას თეატრისადმი ასეთი სიყვა-
რულით ისარგებლა და ერთხელ, როცა
მგოსანი ამ საკითხზე გატაცებული ბაა-
სობდა, დიპლომატიურად შეაპარა:

— ჰო და, კაცო, მაგრე რომ გიყვარს
თეატრი, მოდი ერთი დაგვეხსნა შე-
წობა გაუწეე ჩვენს საქმეს, რა ვი-
შავს!

— დიდი სიამოვნებით, იმის შესახებ
ვაქამ:—თუ კი რამ შემიძლია, მითხა-
რი და გავაკეთებ.

— აი ჩვენ ამ აზლო ხანში უნდა
დავდგათ პიესა „ხევსურთა ქორწილი“,
შენ ხომ გიყვარს მთიელები და ეს პიე-
სა სწორედ მთიელთა ცხოვრებიდან
არის აღებული. მოდი, გაბედე, და ამ
პიესაში შენ ნეტის როლი ითამაშე,
ჩემი ცოლი კიდევ პატარძალს ითამა-
შებს, შენც ისიამოვნებ და ჩვენც შე-
მოსავალს შეგვმატებ. რას იტყვი, პა?

— დიდი სიამოვნებით, თუ ამისთანა
პატარძალი მეყოლება, იქნება გავბე-
დო თამაში, მაგრამ შენ სკანდალისტი
ხარ და ჩხუბი არ ამიტეხო. თუ ქორწი-
ლის დროს სულმა წამძლია და პატარ-
ძალს ვაკოცე, — ღიმილით უპასუხა
ვაქამ.

ამნაირად მგოსანის სცენაზე გამო-
სვლა გადაწყდა... დაეწყოთ პიესის
მზადება. ვაჟაც თავის როლს გულმოდ-
გინედ ამუშავებდა. წარმოდგენის სა-
ლამოს მეხუმრებოდა:

— ცხოვრებაში ვერ ვეღირსე თქვე-
ნისთანა პატარძალს და სცენაზე მაინც
გავბედნიერდეთ.

დიდებულმა მგოსანმა სუსტად შეას-
რულა ნაკისრი როლი, მეტად სუსტი
იყო სიმღერის დროს—ამ პიესაში სა-
სიმღერო ჰქონდა. ერთი სიტყვიდან
მეორემდე ისე აჭიანურებდა, რომ ხალ-
ხმა კინაღამ დაიძინა, მერე ვასომ ჩუ-
მად ჩაულაპარაკა:

— ჩქარა, კაცო, ხმა ამოილე, თო-
რემ ხალხს ჩაეძინაო,—იმანაც თითქოს
დაუჩქარა, მაგრამ მაინც არ გამოუვი-
და ისე, როგორც საჭირო იყო... ასე
რომ არც ამან უშველა.

დიდი მგოსანი ძალიან სუსტი მსა-
ხიობი აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ მაინც
მიზანს მივალწიეთ: იმ დღეს ვაქას წყა-

ლობით ძალიან კარგი შემოსავალი ვეკონდა. ბევრი დააინტერესა მისმა სცენაზე გამოსვლამ და ბევრი მაყურებელიც დაესწრო.

ვაჟა-ფშაველა თვითონაც არ ღარჩა თავის თამაშით კმაყოფილი და ამის შემდეგ სცენაზე სათამაშოდ აღარ გამოსულა. მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ დივერტისმენტებში და სალიტერატურო საღამოებში. ხალხი მას ყოველთვის აღტაცებით ხედებოდა, მის წაქითხულ ლექსებს, თუ სხვა ნაწარმოებებს, გულდასმით უსმენდნენ და ავტორს ოვაციებს უმართავდნენ.

ოთხმოციან წლებშივე მომიკვდა მამა. დედინაცვალი ჩემი სარჩენი შეიქნა და ყოველთვიურად ვუგზავნიდი ოთხ თუმანს. ფული ერთს ხანს ვუგზავნე, მაგრამ ძლიერ მიჭირდა; ჩემს ისედაც ღარიბ სალაროს ეს თანხა მძიმედ აწვა, გადაეწვიტე—დედინაცვალი თბილისში გადმომეყვანა და ჩემს ოჯახში დამებინავებინა. ვაცნობე წერილობით, თუ ხარ ჩემთან ვადმოსახლებების თანხმა, შემატყობინე—მეთქი. წერილზე არაფერი მიპასუხა, ისე წამოვიდა თბილისში. მან არც ჩემი სახლი იცოდა და არც მისამართი ჰქონდა. ავალაბრიდან დაუწყია კითხვა. მივიდოდა თურმე ყველა მალაზიასთან და იკითხავდა:

— შეილო, ხომ არ იცი ჩემი მამა (მამოს მაგიერ მეძახდა) სადა სდგასო.

აბა ვინ მოაგნებინებდა, ვინ მოსთვლიდა თბილისში რამდენი მამა ცხოვრობდა. ასე კითხვა-კითხვით მისულა თამამშევის ყოფილ ქარვასლამდე. აქ თურმე ერთ სავაჭროში შეიხედა და იკითხა:

— შეილო, ხომ არ იცით ჩემი მამა სადა სცხოვრობს?

სავაჭროში მყოფმა ხალხმა თურმე აათვალ-ჩაათვლიერა, მიხედნენ რომ სოფლელი დედაკაცია და სამასხაროდ აიგდეს. ერთი მათგანი დაცინვით შეეკითხა:

— დედი, შენი მამა ვინ არის, სა-

დაური ჩიტია, გვარი არა აქვს?

ასეთი დაცინვა მან დიდ შეურაცხყოფად მიიღო და გაბრწყინებული პასუხა:

შეზღოვითქა

— აი მართალი მითხრეს—ქალაქში ლირფებისა და შარლატანების მეტი არავინ არისო, თორემ აბა ჩემს მაკას ვინ არ იცნობს. მისი სახელი ენგიდუნიაზეც არის გავარდნილი და, დავიჯერო, შენ არ იცი ვინ არის?!

ასეთმა პასუხმა თურმე სიცილ-ხარხარი გამოიწვია. შემოგებენენ ქუჩის ბიჭები და ვინ იცის—რამდენს არ ილაზღანდარებდნენ, რომ საბედნიეროდ ერთი დღურგალი, გვარად ბერიძე, არ წამოსწრებოდა. იგი მიმხედარა, რომ ეს ქალი თბილისში ახალი ჩამოსულია და უცხო, ამიტომ გამოსარჩლებია. ხოლო ლაპარაკის დროს იმასაც მიმხედარა, რომ ჩემი დედინაცვალია.

ეს ბერიძე ჩემი ნათლიმამა იყო. იგი ხშირად დადიოდა ჩვენსას და ჩვენი ოჯახის დაახლოებულ პირად ითვლებოდა. აქ მას ვაგონილი ჰქონდა, რომ მე დედინაცვალი მყავდა. ამას გარდა ხშირად დაცინოდი დედინაცვალს ლაპარაკში და ზედმიწევნით ვბაძავდი მანერებში. ჩემი ასეთი წაბაძვა მუდამ სიცილ-ხარხარს იწვევდა და თვით ბერიძესაც ამ საერთო მხიარულებაში არაერთხელ და ორხელ მიუღია მონაწილეობა... და აი, ქარვასლასთან რომ დააკვირდა ჩემს დედინაცვალს, გაახსენდა თურმე ჩემი წაბაძვა და გაიფიქრა:—ეგებ მამოს დედინაცვალიაო. გამოკითხა ვინაობა, მაგრამ ვაჯიუტებულმა მოხუცმა თურმე პასუხიც არ გასცა, მაშინ მან დაუყვავა და უთხრა:

— წამოდი, მე ვიცი შენი მამა, მე მიგიყვანო.

მოიყვანა კიდეც. გავალე კარები შემოვიდა ბერიძე და სიცილით მითხრა:

— მარი მიხაილოვნა, ერთი დედაკაცი მოგიყვანე, თუ ის თქვენი დედინაცვალი არ არის, იმის და მანაც უნდა იცოსო.

— რას ამბობ, ჩემ დედინაცვალს აქ რა მოიყვანდა, — მეთქი.

— ნახე, დალოცვილო, ეგებ ის არი-სო.

შეც მივედი კარებთან. ვნახოთ ჩვენი ქალბატონ დედინაცვალი მაიკო დგას კარებთან და ელის პასუხს. შემოვიყვანე სახლში, გახარებულმა რომ მიპოვა, გადამეხვია და დამიწყო კოცნა, თანაც მადიანად ლანძღავდა ხალხს:

— სულ ღირფები არიან, შარლატა-ნები და ლუპუსტაცები, გზა ამიბნიეს, არ უნდოდათ შენი სახლი მეპოვნა, მაგ-რამ იმათი თვალისდასათხრელად მაინც გაპოვეო.

ცოტა დაისვენა, შემდეგ გასინჯა ჩე-მი კარმიდამო, მაშინ ბინა მქონდა ბე-ლინსკის ქუჩაზე. მას ძლიერ მოეწონა ჩემი მოწყობილობა და მითხრა:

— შენ, მაკაჯან, პატარაობიდანვე კულრაჰა იყავი და ახლაც ყველას სჯო-ბიხარო.

რამდენიმე დღის შემდეგ წავიყვანე თეატრში. დავსვი ლოქაში. მოქმედების დაწყების შემდეგ ჩასძინებოდა, მე რომ გამოვედი სცენაზე, მაშინ გამოუ-ღვიძებიათ და უთქვამთ:

— ქალო, გაიღვიძე, აი შენი ქალი გამოვიდა სცენაზეო.

— ქა, რომელია მანდ ჩემი მაკა, არა გავსო, — ახლადგამოღვიძებული გა-ჰკირვეულებულა. შემდეგ რა თქმა უნ-და მიცნო, მაგრამ წარმოდგენისა კი გაიგო რამე თუ არა, ვერ ვიტყვი. შინ რომ დაებრუნდით, შევეკითხე:

— როგორ მოგეწონა ან ქალაქი, ან თეატრი-მეთქი.

— რა, გენაცვალე მაკაჯან, რა არის აქ მოსაწონი, ყური გამოგვიყრუეს ქა-ლაქი, ქალაქიო, რა ყრია ამ ქალაქში. მართალია, მე რაც ხელმწიფის საღარი მამაშენი დაეკარგე, თვალში აღარაფე-რი მომდის, მაგრამ აქ მაინც არაფერია მოსაწონი.

— კი, მაგრამ ჩემი თამაშობა რო-გორღა მოგეწონა?

— შენ გენაცვალე, პირველად ხომ არ გხედავ. სოფელშიც ხელს რომ ვაშლიდი და ჩამოუვლიდი, ყველას სჯობდი და ახლაც ყველას მსჯობიხარ.

გავიფიქრე: თეატრის ვეკაფერი გაუ-გია რა და ცირკში წავიყვან-მეთქი: წა-ვიყვანე კიდევ, დარწმუნებულბ იმაში, რომ ის მაინც მოეწონებოდა და შევე-კითხე:

— ხომ ნასიამოვნები ხარ, როგორ მოგეწონა? — მან ამაზეც მიპასუხა:

— ყველას შენ სჯობიხარო.

— რას ამბობ ადამიანი, მე ხომ თო-კებზე არ დავდივარ მეთქი, — შევე-კითხე გაკვირებით.

— არა, მართალია დაბლა დაბრძან-დები, მაგრამ მაინც შენა სჯობიხა-რო. — მიპასუხა დინჯად და მომეხვია.

ბოლოს წავიყვანე სამხეცეში და ვიფიქრე, როგორც სოფელზე, ეს სა-ნახაობა მასზე დიდ შთაბეჭდილებას დასტოვებს - მეთქი, მაგრამ ამაზეც ჩვეულებრივად მიპასუხა:

— ამათაც შენა სჯობიხარო.

ვერაფრით ვერ გავაკვირე და ვერ მოვიმადლიერე, მაშინ გადაწყვიტე: მე თუ ყველას ვჯობივარ, მაშ მე მი-ყურე-მეთქი და დავსვი სახლში. ამის შემდეგ ვასართობებზე აღარ წამიყვა-ნია. მას არც გამოუტხადებია ამის სურვილი, იგი თითქმის მუდამ შინ იჯდა და საოჯახო საქმეებში მეხმარე-ბოდა.

1891 წელს თბილისს ეწვია უკრაინის დრამატიული დასი — მარკ ლუკას-ძე კრაპივნიცის მეთაურობით. კრა-პივნიცი დიდი ადამიანი იყო მაშინ-დელი უკრაინისათვის და ყველანი დიდს პატივს სცემდნენ, რასაც ადას-ტურებს თუნდ ის ამბავი, რომ ყველა თავისიანი მას „Батьки“-ს უწოდებდა.

პირველ დღიდანვე ქართველ და უკ-რაინელ მსახიობთ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა: „გული გულს იცნობსო“, ნათქვამია. ორივენი კარ-გად ვგრძნობდით, რომ იმ ერთა წარ-

შომადგენლები ვიყავით, რომელნიც ერთ „პოლიტიკურ ტაფაში ვიწოდით“ ერთსადიამივე ბიუროკრატიული მთავრობის შიერ. ეს გარემოება გვაახლოვებდა და საერთო ენა უცებ მოგვადებინა. ამას გარდა უკრაინელები, ჩვენ ქართველებს ბევრ რამეში გვგვანან, ამანაც ჩვენ დამეგობრებას ძლიერ შეუწყო ხელი. ერთს თეატრში ვთამაშობდით—მაშინდელ თავად-აზნაურობის თეატრში. ჩვენ ერთმანეთთან არა მარტო წარმოდგენებზე, რეპეტიციებზეც კი დავდიოდით. თუ რამდენად გულწრფელი და შინაურული იყო ჩვენს შორის დამოკიდებულება ამას შემდეგი ეპიზოდი ამტკიცებს: ჩემებურ როლებს იმათ დასში დიდად ნიჭიერი არტისტი ზანკოვეცკია ასრულებდა. მას ჰქონდა კარგი ხმა და ჩინებული მოცეკვავე იყო. მე და ის ძალიან დავახლოვდით. მე რეპეტიციების დროს მას ხუმრობით ხშირად ვბაძავდი და ზოგიერთ მის სასიამოლო თუ საცეკვაო ნომრებს მის თვალწინვე ვასრულებდი. ერთხელ რეპეტიციაზე ვადამეკიდა. ჩემი გასვლის დრო რომ მოვა, ჩემს მაგიერ სცენაზე შენ გამოდიო, ნახე, ჩვენებზე რა ეფექტს მოახდენსო... მეც თავი მოვიგვიფიანე და მართლაც მის მაგიერ სცენაზე ცეკვასიმღერით გავედი. ახლაც მახსოვს სიმღერის სიტყვები: „იაკ ხოდილა დივიჩინა ბერეცკომ“...

ეფექტი მართლაც ძლიერი გამოვიდა... მთელი დასი ქვილბივით შემომხვებია და ტაშსა და სიცილ-ზარზარს საზღვარი არ ჰქონდა.

ჩვენსა და უკრაინის თეატრს შორის დიდი განსხვავება იყო, თუმცა ორივე რეალისტური გზით მიდიოდნენ. განსხვავება უმთავრესად რეპერტუარში იყო: ქართული თეატრი რუსული თეატრის დიდ გავლენას განიცდიდა, უკრაინულ თეატრს ეს გავლენა კი სრულიად არ ეტყობოდა და თავის საკუთარი ბილიკებით იკაფავდა შემოქ-

მედების გზას. ის ნამდვილი ხალხური თეატრი იყო. ჩვენს სცენაზე გარდა ორიგინალური პიესებისა, იდგმებოდა რუსულიდან გადმოკეთებული ნათარგმნი პიესები, ამას გარდა აქ ევროპის კლასიკოსებიც ხშირად იდგმებოდნენ. უკრაინის თეატრში კი ამის მსგავსს ვერაფერს ნახავდით, იქ მხოლოდ ორიგინალურ პიესებს თამაშობდნენ, რომლებიც უკრაინის ხალხის ცხოვრებას ასახავდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიესები შინაარსით ძლიერ მარტივნი იყვნენ, მაგრამ სწორედ ამის გამოც უკრაინული თეატრი ხალხთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე ჩვენი.

ძლიერ დავმეგობრდით მე და მ. კრაპივნიცი. მან თავის სურათიც კი მითავაზა ასეთი ზედწარწერით: „მარიამ მიხეილის-ასულ საფაროვისას მარკ ლუკას-ძე კრაპივნიცის სურათი. ღმერთმა მოგცეთ ძალღონე და ჯანმრთელობა, რათა რაც შეიძლება ხანგრძლივად ამშვენებდეთ სამშობლო დრამის ნაწარმოებთ და ხელს უწყობდეთ მშობელი ქვეყნის განვითარებას“. სურათი გადავეცი საქართველო სახელმწიფო სათეატრო მუზეუმს და იქ ინახება. კერძოდ, კრაპივნიციზე, როგორც მსახიობზე, ვერაფერს ვიტყვი, რადგან მისი მსახიობობის შესახებ ვერაფერს ვიგონებ. სამაგიეროდ მეხსიერებაში აღმოუფხვრელად ჩამჩნა ორი შესანიშნავი პორტრეტი: ქალებში — ზანკოვეცკია და კაცებში — სუხოლოლსკი.

ზანკოვეცკია, ჩემის აზრით, პირდაპირ სწორუბოვარი მსახიობი იყო, იმისთანა ძლიერი დრამატიული მსახიობი თითქმის არც კი მინახავს, ახლაც მახსოვს ერთი მისი სცენა საკმაოდ სუსტ პიესაში „ჰოი, ნე ხოდი გრიციუ, ტაი ნა ვეჩერნიცი“. ის რომ მოსაჩვენებლად ერთსა და იმავე დროს ნერვიულად იცინოდა და ნამდვილი ცრემლებით ტიროდა ხმის თრთოლ-

ვით, ეს მომენტი მაყურებელს ერთნაირად გვრიდა ეს ის ზანკოვეცკია არის, რომლის გადაბირებაც ცნობილ სუეორინს უნდოდა რუსულ სცენაზე, მას აქ მთელი რუსეთის მასშტაბით დიდი სახელი და დიდება მოელოდა, მაგრამ წინადადება უარყო და სამშობლო სცენაზე დარჩა.

შეუღარებელი არტისტი იყო აგრეთვე სუხოდოლსკი. იგი თანასწორად ძლიერი იყო დრამაშიც და კომედიაშიც. დღეს რომ თავის თამაშით დრამაში ცრემლებამდე მიგიყვანდათ, ზეალ კომედიაში იმდენს გაცილებდათ, რომ ისევე ცრემლებამდე მიხვიდოდით.

კარგი მსახიობი იყო აგრეთვე დრამატულ როლებში მეორე მსახიობი ქალი ბოიარსკაია. ძველი ამბავია და ახლა შეიძლება ითქვას, ან რად უნდა დააკარგოს ასეთი ცნობა, აქ ცუდი ხომ არაფერია. დანამდვილებით ამბობდნენ და ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ნიჭიერ არტისტ ქალს ვატაკებით შეუყვარდა ჩვენი ვალიკო გუნია, მაგრამ უიმედოდ, ვალიკო სხვაზე იყო შეყვარებული.

მე საერთოდ არაქართული დასების წარმოდგენებზე იშვიათად დავდიოდი, ხოლო ისეთი პიესების წარმოდგენების ნახვას, რომლებიც ქართულად უნდა დადგმულიყო და მე უნდა მეთამაშნა, პირდაპირ ვაფერბოდი. ბავშვობიდანვე მიმბაძველობის ნიჭი მქონდა და შევინოდა, რომელიმე ჩემი როლის შემსრულებელ შესანიშნავ არტისტ ქალს ჩემზე ვავლენა არ მოეხდინა და მისი მიბაძვით არ მეთამაშნა. მიუხედავად ამისა უკრაინელთა წარმოდგენებს არ ვაკლდებოდი, ისინი ძლიერ მიზიდავდნენ თავიანთი უშუალობით, არტისტთა ოსტატური თამაშობით, სიმღერითა და ცეკვით.

მერე ენა... რაღაც თავისებური შე-

თოდურობით და ჰუმორით სავსე; მართალია მათი ლაპარაკიდან ბევრად რამ არ მესმოდა, მაგრამ ინტუიციით ვხვდებოდი უცნობ სიტყვებს. მათი შეუღარებელი ცეკვა—გობაკი გადაჩრევი იყო. მათ შესანიშნავი მოცეკვავეებიც ჰყავდათ და მათ შორის—სრულიად ახალგაზრდა კაცი შატკოვსკი, იგი ჩემი ქმრის ვასო აბაშიძის ნათესავი იყო, ვასოს დედა უკრაინელი გაქართველებული ქალი იყო—შატკოვსკაია.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საერთოდ უკრაინის თეატრის მოღვაწეები ჩვენს თეატრს მუდამ განსხვავებული თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. ისინი ჩვენს მსახიობებს დიდს პატივს სცემდნენ და მიეცემოდით თუ არა რაიმე საბაბი, ამ თანაგრძნობა-პატივისცემას ყოველთვის გამოსთქვამდნენ, რის დამადასტურებელი საბუთებიც სათეატრო მუზეუმში ალბათ ბევრი მოიპოვება.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა ამ საკითხზე შეთქვა, მაგრამ არ მაგონდება.

დაახლოებით 1892-3 წლებში საშინელი უბედურობა დამატყდა თავს, რამაც ჩემს სასცენო მუშაობას დიდი ზიანი მოუტანა და ბოლოს იძულებული გამხდა ჩამოვეცილებულიყავი ამ ჩემს საყვარელ საქმეს.

ერთ დღეს ვაფცივდი, რასაც მოყვარების ტყვილი. ამას დროზე ყურადღება არ მივაქციე. ავადმყოფობა გართულდა და ყურის ანთებად გადამექცა. დიდი ხნის ექიმობა დამჭირდა. როგორც იქნა, ავადმყოფობამ გამიარა, მაგრამ ყურთასმენა კი დამაკლდა... პირველ ხანებში ეს არ მიშლიდა ისევე განმეგრძო სცენაზე მუშაობა, მაგრამ ყურისდაკლება თანდათანობით გამიძლიერდა. ადგილობრივმა ექიმებმა ბევრი მიმეჭურნალეს, მაგრამ არაფერი ნაყოფი გამოიღო. შევატყვე საქმე ცუდად იყო, ამიტომ საზღვარგარეთ გამგზავრება გადაეწყვიტა. ნაცნობ-მე-

გობრებიდან ვისესხე ცოტაოდენი ფული, ზოგი რამ მივეყიდ-მოვეყიდე და ასე წველებით შეგროვილი ფულით 1899 წელს გავემგზავრე სამკურნალოდ პარიზსა და ვენაში. წავიყვანე ჩემი პატარა ტასოც. დაეწყო მკურნალობა, მაგრამ განკურნვა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ამისთვის შეიქნა საჭირო დიდი დრო და ბევრი ფული. პირველი უკანასკნელზე იყო დამოკიდებულება. ეს უკანასკნელი კი ძლიერ მაკლდა. არაერთი შესაძლებლობა არ მქონდა. გამოვეუბნა ვენაში დრამატულ საზოგადოების გამგეობას და ვთხოვე დახმარება გაეწია. სესხის მოცემის სახით მიიწი, საზოგადოების გამგეობას, მართალია, დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ იმდენი ნივთიერი შესაძლებლობა არ გააჩნდა, რამდენიმე ასი მანეთი მოეცა სესხად... უფულოდ უცხოეთში დარჩენა შეუძლებელი იყო და დაებრუნდი უკან.

უცხოეთში ყოფნის დროს, რა თქმა უნდა დავდიოდი თეატრებში. სცენაზე ვნახე გამოჩენილი მსახიობები მუნე სიული, კოკლენი უფროსი და სხვები. მათ ლაპარაკს მე ვერ ვისმენდი. ჯერ ერთი, ენა არ ვიცოდი და, მეორეც, ყურთასმენაც საგრძნობლად დამაკლდა თვით მკურნალობის პროცესში. ვუყურებდი მათი ტანის მოძრაობას, მიმოხილავდი და მხიბლავდა მათი თამაშის გარეგნობა და ვწყველიდი ჩემ თავს, რომ არ მქონდა საშუალება მათი ნათქვამი მომესმინა და მათზე მთლიანი წარმოდგენა მქონოდა. ვხედავდი თეატრს გაჭედულს მაყურებლებით. ვხედავდი მხატვრულად და მდიდრულად გაფორმებულ სპექტაკლებს. მახსენდებოდა ჩვენი საწყალი თეატრი. გული მიკვდებოდა და ვფიქრობდი: გველირსება კი ოდესმე ისეთი ბედნიერება, ჩვენი თეატრიც ასე იყოს მოწყობილი და ჩვენი წარმოდგენებიც ასე დაიდგამეთქი... მაგრამ უიმედობის გამოძახი-

ლი გონებაში ჩამირაკუნებდა და ოხერა-ლა აღმომხდებოდა.

დაებრუნდი თუ არა ვიცი, თბილისის თეატრში დაეიწყა მხატვრობის გამოვლიოდი ახალ როლებში, მაგრამ სუფლიორის არაფერი მესმოდა. ამ დანაკლისს არც ვგრძნობდი, რადგან მის მოიმედელ არასდროს არ ვყოფილვარ; ამ პერიოდში კი ჩემსა და სუფლიორის შორის კავშირი სულ ერთიანად გაწყდა. მე როლს ჩვეულებრივზე უფრო გულმოდგინედ ვსწავლობდი და ვიხეებოდი, პარტნიორის სიტყვები მესმოდა, სცენაზე თავს თამამად ვგრძნობდი და უსუფლიორობა არ მაშინებდა. ლაპარაკობდნენ რომ ყველაფერი კარგად გამომდიოდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელს. შემდეგ, როცა სმენამ ძალიან მიღალატა, ახალი როლების შესწავლას თავი დავანებე და მხოლოდ ძველად ნათამაშვე პიესებში გამოვდიოდი... თითქოს ესეც კარგად გამოდიოდა, მაგრამ ძლიერ ვწვავლობდი. პარტნიორის სიტყვები არ მესმოდა. ერთის მხრივ, ვთამაშობდი და, მეორეს მხრივ, პარტნიორს თვალებს არ ვაშორებდი. მისი ტუჩების მოძრაობაზე ვკითხულობდი, რას ლაპარაკობდა და მეც შესაფერ პასუხს ვაძლევი... კარგახანს განვაგრძე ასეთი მუშაობა, მაგრამ ძლიერ გამიჭირდა, აშკარად ვგრძნობდი ასეთი მუშაობა არაერთის ხელსაყრელი არ იყო, ყველა წველდებოდა: პარტნიორიც, მაყურებელიც და მეც. ამიტომ გადავწყვიტე სცენისთვის თავის დანებება... ბევრი ვიყოყმანე. ძლიერ მეძნელებოდა ასეთი გადაჭრილი ნაბიჯის გადადგმა და ჩემი თავისათვის სიყვდილის ნაირი განაჩენის გამოტანა, მაგრამ მეტი საშველი არ იყო და ჩამოვცილდი თეატრს. დავანებე თავი ჩემს სატრფიალო საქმეს, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში დიდი სიყვარულით და თავდადებით ვემსახურებოდი.

VI



საქართველოს
განმანათლებლები

ნატო გაბუნიას გარდაცვალება. — ჩემი იუბილე. — აკაკის სიტყვები ჩემი ეუბილეის გამო. — ჩემი ცხოვრება იუბილეს შემდეგ.

1910 წელს მთელი საქართველო დიდმა მწუხარებამ მოიცვა: გარდაცვალება ჩვენი სცენის მშვენიება, უნიჭიერესი მსახიობი ნატო გაბუნია. ყველაზე უფრო მე ვწუხდი, რადგან დავკარგე ადამიანი, რომელთანაც ერთად 30 წელიწადი ვმუშაობდი და რომელთანაც მეგობრული გრძობები მაკავშირებდა. ჩვენ ხანდახან, როგორც ეს დაახლოებულ ადამიანთა წესია, ზოგჯერ გავებუტებოდით ერთმანეთს, მაგრამ ეს ანგარიშში ჩასაგდება როდია. აბა სად ნახულა რამდენიმე ათეული წელიწადი ერთად მუშაობდე ვისმესთან და არაფერი შეგხვდეს! ჩვენ ერთმანეთის ხმისგაუცემლად ვერ ვძლებდით, ერთმანეთს მალე გამოველაპარაკებოდით მორცხვად: ის დღე მორცხვობაში წავიდოდა, მეორე დღეს კი ისევ ძველი მეგობრები—მაკო და ნატო ვიყავით.

ნატოც დიდი დავიდარაბის შემდეგ გამოვიდა სცენაზე. მამამისი მერაბი არ უშვებდა, მაგრამ ნატომ მაინც თავისი გაიტანა. გამოექცა ოჯახს, ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო თეატრში მუშაობა. ნატო საერთოდ დიდი მზიარული, მოძრავი და ენამახვილი ადამიანი იყო, ჰქონდა კარგი ხმა და კარგადაც მღეროდა ქართულ სიმღერებსა და ბაიათებს, ამას გარდა კარგადაც ცეკვავდა. გამოცხადდებოდა თუ არა აფიშებში, ნატო გაბუნიას ქალი იმღერებს და იცეკვებსო, თეატრის ბილეთები ჩვეულებრივზე უფრო მეტი იყიდებოდა. ნატო გაბუნია და ვასო აბაშიძე—ეს ორი საყვარელი მსახიობი იყო თბილისის ეგრეთწოდებულ მდაბიო მოქალაქეებისა. ცნობილმა აშულმა ევანგელამ მას ერთერთი ბენეფისის დროს ვერცხლის ბეჭედი და მოჩუქურთმებული

დაირა მიართვა. ნატოს ეს დაირა ძლიერ უყვარდა და მას არ იშორებდა.

ნატო გაბუნია, როგორც მსახიობი, ჩვენი სცენისათვის პირდაპირ დაუფასებელი განძი იყო. მას თავის როლებში ბადალი არ ყავდა და ვინ იცის კიდევ რამდენი წელიწადი გაივლის, სანამ ჩვენ თეატრს ასეთი მაღალნიჭიერი მსახიობი გაუჩნდებოდეს. იგი ხალასი ნიჭი იყო, მაგრამ ამავე დროს, ცოდვა გამხელილი სჯობია, დიდად დაუდევარი, უფრო მეტსაც ვიტყვი—ზარმაეცი. იგი თავისთავზე, როგორც არტისტი, სულაც არ მუშაობდა, ნაკლებად მუშაობდა როლის მომზადებაზეც. გადაიკითხავდა მთელ პიესას თავიდან-ბოლომდე, თავის როლს რამდენიმეჯერ წაიკითხავდა, რამდენიმე რეპეტიცია... და ნატოს როლი უკვე მზად ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში იგი უკვე მომზადებულად თვლიდა. მას არასდროს არ ჰქონია გათვალისწინებული—როგორი მიზანსცენები უნდა გააკეთოს სცენაზე, რა უნდა მოიმოქმედოს, სად და როგორ უნდა დადგეს. და სხვა... ასე ექსპრომტად გამოდიოდა და საკვირველება ის იყო, რომ გამოსვლისთანავე ჩაიჭერდა ყველას ხელში. იგი როლს სცენაზე ჰქმნიდა იმპროვიზაციული წესით, ინტუიციით და ეს ჰქმნილება ისეთი ძლიერი იყო, ისეთი მონუმენტური, რომ თუ არა ძლიერი ნიჭის პატრონ არტისტს ასეთი ნიღაბის გამოკვეთა სხვას არ შეეძლო. სხვა არტისტები აკი ვერც ახერხებდნენ ამას. უმეტესობა, ან და უკეთესი იქნება, რომ ვთქვათ, ყველა ის არტისტი ქალი, რომელიც გამოდიოდა ნატოს როლებში, ნატოსვე ბაძავდა. დაე, ნუ მიწყენენ ჩემი ამხანაგები ამას, მაგრამ

ასე იყო და ვგონებ არც არის ცუდი დიდბუნებოვან ადამიანიდან კარგი რამ შეიძინო და მის მაგალითს წაბაძო. ნატოს არ ჰქონდა არტისტული წესით დაშტამპული როლები, ამიტომ ერთსადიამავე როლს სულ სხვადასხვანაირად ასრულებდა. უკანასკნელ შესრულებაში, რალაც ახალი და მოულოდნელი შექმნდა, რაც უნიკიერეს მსახიობ ქალს არტისტულ შემოქმედებას ახალი შარავანდელით მოსავდა. მაყურებელი წინანდელს შესრულებას რომ შეადარებდა, გაუჭირდებოდა თქმა — პირველი სჯობდა თუ მეორე... ორივე დიდი არტისტული ოსტატობით იყო შესრულებული. ასეთი თამაში კი მხოლოდ დიდ ალლოს მქონე, დიდი არტისტული ბუნების მქონე ადამიანის ხვედრია და სწორედ ასეთი იყო ჩვენი ნატოც.

ნატოს რომ თავის თავსა და როლებზე მუშაობა ჰყვარებოდა—ერთიათად უფრო მეტი იქნებოდა, თუმცა რაც იყო, ისედაც დიდებული იყო.

ნატოს როლის უცოდინარობა ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა და სცენაზე კურიოზებსა ჰქმნიდა, მაგრამ ამასაც ზოგჯერ ისე მოხერხებულად ჩაატარებდა, მაყურებელთა მეტ ნაწილს გაუგებარი რჩებოდა. ზოგი კიდევ მაყურებლებამდე აღწევდა და სიცილ-ხარხარს იწვევდა. მე ამ კურიოზებიდან მახსენდება მხოლოდ ერთი. წარმოადგინეს პიესა „მონასტრის ზღუდეთა შორის“. ნატო ასრულებს მონაზონის როლს. მას აქვს სათქმელი ასეთი ფრაზა: „დაი ტერეზა წმინდა ურსულას (ურსულა ერთ ერთი წმინდანის სახელია) მონასტერში გაგზავნეს“, მან კი თავისებური მოხდენილობით წარმოსთქვა:—„დაი ტერეზა წმინდა ორსულთა მონასტერში გაგზავნესო“. რასაკვირველია, „ორსულთა მონასტერმა“ დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია, სიცილი ვერ შეიკავეს მსახიობებმაც და ასე გასინჯეთ ლაღო მესხი-

შვილმაც კი, რომელიც ამ პიესაში მთავარ როლს ასრულებდა.

ასეთი კურიოზები ნატოს თამაშს უშეძველად შესაფერისებელს ქცევდა, მაგრამ ის სულაც არ ზრუნავდა, ეს ნაკლი თავიდან მოეშორებინა. ზოგჯერ გულის ტყვილით ვეტყვოდი, დაჯექი შეისწავლე როლი-მეთქი. იგი მზიარულად მეტყვოდა:

— ნეტავი რას ბრიტინებ?.. შენ სცენაზე მნახე, რას ვიზამ, რაებს ჩავიდნო...

და მართლაც უნდა გენახათ, რას ჩალოდა... სასწაულებს ჰქმნიდა... კემ-მარიტად დიდი გაქანების არტისტი ქალი იყო. იგი ბუნებით კომიკური როლების ამსრულებელი იყო, მაგრამ არტისტიულ ძალების სიმცირის გამო ზოგჯერ დრამატიულ როლებსაც ასრულებინებდნენ, მართალია ამ როლებს არ აფუჭებდა, მაგრამ ისეთი არ იყო, როგორიც კომიკურში და, მართალი უნდა ითქვას, დრამატიული როლები მას არც უყვარდა.

ასეთი მსახიობის დაკარგვა უშეძველად დიდი დანაკლისი იყო ქართული თეატრისათვის. დიდად სამწუხარო იყო აგრეთვე ნატოსთან ტკბილი და საყვარელი ადამიანის სამუდამოდ განშორება ჩვენი საზოგადოებისათვის, ამიტომ ყველა გულწრფელად გლოვობდა მას და მის გაციებულ გვამს ცხარე ცრემლებით დასტიროდა.

ნატო დიდის ამბით დაასაფლავეს ქუჩის სასაფლაოზე, გულისმოსაოხრებლად ბევრი გულამაჩუყებელი სიტყვებით ითქვა და ბევრი წერილიც დაწერა ქურნალ-გაზეთებში.

1912 წელს ჩემს პირად ცხოვრებაში მოხდა მეტად შესანიშნავი ამბავი: ქართველმა ხალხმა და მისმა კულტურულმა დაწესებულებებმა ჩემი მოღვაწეობის 30 წლის შესრულების აღსანიშნავად იუბილე გადამიზადეს. ამ მიზნით დრამატიული საზოგადოების ინიციატივით შესდგა საიუბილეო კო-

მიტეტი, რომელსაც დაეველა საქმის ორგანიზაციულად მოწყობა. ვალიკო გუნდამ დასწერა და საიუბილეო კომიტეტმა ცალკე წიგნაკად გამოსცა ჩემი ბიოგრაფია.

გაიმართა თვით ჩემი იუბილეც. ამ ზეიმზე ჩემთვის სრულიად მოულოდნელი, ამბები მოხდა: მან ფართო ხასიათი მიიღო და გამოეხმაურა საქართველოს ყველა კუთხე და კულტურული დაწესებულება. მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერთა კულტურულ-განმანათლებელმა დაწესებულებებმაც. მითხრეს ბევრი გულთბილი სიტყვა და საჩუქრებიც ბევრი-მომიტანეს. ჩემდა სამწუხაროდ ამ სიტყვებს ვერ ვისმენდი, დაწერილი სახით ვკითხულობდი. ასეთმა ზეიმმა და გულწრფელმა გამოხმაურებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. გული ამიჩუყდა. გადავწყვიტე ჩემი უღრმესი მადლობა სიტყვებით გამომეხატა. მინდოდა ბევრი რამ მეტქვა, მაგრამ სიხარულისაგან და აღელვებისაგან ყველაფერი დამებნა და მხოლოდ შემდეგი სიტყვის თქმა მოვახერხე:

„ამბობენ „როცა გრძნობა მეტყველებს, ენა ხდუმსო“. მე ახლა ისეთ სულაერ ვითარებას განვიცდი, რომ ჩემი ენა უძლურია გამოხატოს ის, რასაც ვგრძნობ და რასაც ვაზროვნებ. მაგრამ დაჩუქება არ შემიძლიან იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი გამოხმაურებაა ჩემი საზოგადოების მიმართ, რომელსაც უღმობელმა სენმა კარგა ხანია დამაშორა... წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი, თუ აღელვების გამო დალაგებით ვერ მოგახსენებთ, რის თქმაც მინდა.

„მე ვიყავი ობოლი. სიტყვა ობოლი და მისი საშინელი მნიშვნელობა ძნელი მისაწვდომია მათთვის, ვისაც თვით ობლობა არ გამოუტყდია. მე განვიცადე ეს 7 წლისამ, შვიდი წლისას მომიკვდა დედა და აი ამ დღიდან მოკვდა ჩემთვის ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო

ჩემი ახალგაზრდობისათვის. სულმეტ-თექვსმეტ წლამდე უმარტოოდ ამ ობლობა-მწუხარებით მოცული.

„შეიცვალა გარემოება. მწუხარებით-ოდე წლისამ სცენაზე ამოყვანეს და რა ეპოვე აქ. აქ ეპოვე ჩემი დაკარგული მშობლები, დიხა, მშობლები, რადგანაც მე პირველი აღერსიანი სიტყვა გავიგონე საზოგადოებისაგან.

„ჩემთვის სცენა და საზოგადოება გახდა დასაბამი და დასასრულბ ნეტარის გრძნობისა, რომელმაც ჩემი არსება შეასისხლბორცა ქართული სცენის ხელოვნებასთან.

„სცენა იყო ჩემი აკვანი: თქვენი ტაში იყო დედის ტკბილი ნანა, თქვენი სიყვარული იყო მშობლების მკერდი, რადგანაც ვწოვდი იმ ენერგიას, რომლითაც დღევანდლამდე შეძლებისდაგვარად გამსახრებთ.

„მამ, იცოცხლეთ თქვენ. იკურთხოს თქვენი დიდსულოვნება და წრფელი სიყვარული საერთო საქმისადმი. გისურვებთ შრავალი, ჩემზე უკეთესი შვილი აღგეზარდოთ ჩემს სათაყვანო და სანეტარო სცენისათვის, რომელსაც დღეს სამუდამოდ ვეთხოვები“.

დამავიწყდა მეტქვა, რომ სანამ იუბილე გაიმართებოდა, მგოსანის აკაკის თაოსნობით ჩემს პატივსაცემად მომიწყვეს საიუბილეო დილა. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. აქ, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა თვით აფაკიმ. სამწუხაროდ ვერაფერი გავიგონე, თუმცა იქვე სცენაზე ვიჯექი. ამბობენ ეს სიტყვა მთელი ისტორია იყო ქართული სცენის აღორძინებისა და განვითარებისაო. იგი მოკლედ გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა და შემდეგ იქ წავიკითხე.

გათათედა დილა და აკაკიმ ჩამომიყვანა სცენიდან. რომ წამოვედი, სიცილით ჩამძახა ყურში.

— ქალო, მაკო. სცენაზე რომ გამოვიყვანე, შენთანები იყო ჩემზე გაჯაყრებული და აღბათ ახლა შენა ხარ გაჯაყ-

რებული, სცენიდან რომ ჩამოგიყვანო.

ამ სიტყვებზე მეც გავიცინე, მაგრამ, ეს ჩემი საკუთარი თავის დაცინვა იყო... გამახსენდა აკაკისვე სიტყვები:— „ვინ რა იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზეც მწარეა“...

იუბილეთი დათავდა ჩემი მუდმივი არტისტიკული მოღვაწეობაც. შემდეგ აღარ მქონია საშუალება თეატრში მემუშავნა, მისი ყოველდღიური ჰირვარამი გამეზიარებია და მისი სიხარულითვე დავმტკბარიყავი.

იუბილეს შემდეგ სცენაზე ძალიან იშვიათად გამოვდიოდი, და თუ გამოვიდი, სრულიად უმნიშვნელო როლებში, ზოგჯერ უსიტყუოდაც.

უმეტეს შემთხვევაში ვიჯექი შინ და გაპირვებით ვირჩენდი თავს. დრამატიკულ საზოგადოებას არ ჰქონდა იმდენი ნივთიერი შესაძლებლობა ჩემთვის დახმარება გაეწია და მოხუცებულობის პერიოდში ჩემი ცხოვრება უზრუნველყო, ხოლო მენშევიკების მთავრობა კი თეატრისა და მის მოღვაწეებისათვის თავს არ იწუხებდა. მე ვინ მომაქცევდა ყურადღებას, როცა ლადო მესხიშვილი, ეს ყველასთვის სათაყვანებელი ლადო, შიმშილით მოკვდა და როგორც ამბობდნენ: სწორედ იმ დღეს, როცა წუთისოფელს ეთხოვებოდა, რძისათვის ფულიც არ ჰქონია.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. თეატრის მეთაურობა თვით სახელმწიფომ იკისრა. უზრუნველყო თეატრი და მისი მუშაკები ნივთიერად... მეგონა, რომ მე კვლავ მივიწყებული ვიყავი და ჩემთვის აღარავის ეცალა, მაგრამ სულ საწინააღმდეგო ამბავი მოხდა. 1923 წელს ემზადებოდნენ ქართული თეატრის ტრადიციული დღესასწაულის 2 იანვრის საზეიმოდ. (1850 წლის 2 იანვარს გიორგი ერისთავმა, მეთვრამეტე საუკუნის თეატრის გაუქმების შემდეგ, პირველად დადგა წარმოდგენა, ამას კი მოჰყვა ქართული თე-

ატრის ხელახლა აღდგენა/და ამ დღეს ჩვენი მოღვაწეები ყოველწელიწადს საგანგებო ზეიმის მოწყობით აღნიშნავდნენ). რუსთაველის მხატვრობის თეატრი, რომელსაც მეთაურობდა ჩემი ნათესავი კოტე მარჯანიშვილი, ამზადებდა ზურაბ ანტონოვის ცნობილ კომედიას „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ წარმოდგენაში მასობრივ სცენებში მონაწილეობის მისაღებად მეც მიმიწვიეს. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი თანამემამულე რუსეთის სახელგანთქმული მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი და სხვა. რა თქმა უნდა, დაეთანხმდი, გამოვედი სცენაზე. მე წარმოდგენაში უმნიშვნელო ფიგურა ვიყავი, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს წარმოდგენა მრავალმნიშვნელოვანი იყო. ჩემის თვალთ ვიხილე, როგორი გარდატეხა ხდებოდა ქართულ თეატრში. გავიგე ისიც, რომ ძველი გზით სიარული მისთვის უკვე არ არის ხელსაყრელი. გავიგე ისიც, რომ ქართულ თეატრში რეფორმების ჩატარება მაგარი ხელის პატრონს კ. მარჯანიშვილს აქვს მინდობილი, იგიც დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებს. ქართული თეატრიც დაადგება ახალ გზას... ნახულით დამტკბარი და იმედით აღფრთოვანებული დამშვიდებული დავბრუნდი შინ.

იმავე წელს კიდევ ერთი დიდი ბედნიერება მეწვია. მშრომელმა ხალხმა და მის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ მოიგონა ჩემი მუშაობა წარსულში. გადამიხადა ზეიმი და დამაჯილდოვა სს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ფრიად საპატიო სახელწოდებით.

ეს კიდევ ცოტაა. მთავრობამ დამინიშნა პერსონალური პენსია და ამით სრულიად უზრუნველყო ჩემი ცხოვრება მოხუცებულობის პერიოდში. ამის შემდეგ ვცხოვრობ ჩემთვის მყუდროდ და თვალყურს ვადევნებ ჩვენი ქვეყნის

შენებლობას და ჩვენი თეატრის ზრდა-განვითარებას.

1940 წლის აპრილს შემისრულდა 80 წელიწადი დაბადებიდან და მოხუცს კიდევ მეწვია ბედნიერება. სათეატრო მუზეუმის ინიციატივით ხელოვნების მუშაეთა სახლში გამომართეს საღამო და მომიწყვეს გულთბილი შეხვედრა მსახიობებთან და სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან. როგორც შემდეგში გადმომცეს, ბევრი რამ საყურადღებო სიტყვები უთქვამთ. მე კი უბედურს, რა თქმა უნდა, არაფერი გამოგონია, მაგრამ დამსწრეთა სახეებს კი ვაკვირდებოდი—ყველა შემძახოდა—მეც გული სიხარულით ამევსო. საღამოს დასასრულში, მე ვთქვი საპასუხო სიტყვა, ყველას გამოვუცხადე მადლობა. ამიჩუყდა გული და ცრემლთა ნაკადი ვერ შევიკავე. ამან იმოქმედა სხვებზეც და ჩემთან ერთად ისინიც აცრემლდნენ.

აღბათ ყველა გრძნობდა, რომ ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლა იყო საზოგადოების წინაშე...

... ვათავებ ჩემს მოგონებებს კიდევ ბევრი რამ მინდოდა გამხსენებოდა, დამეწერნა, მაგრამ 80 წლის სიძველემ ამის საშუალებას არ მძლევს. მინდოდა სავსებით გადამეშალნა ამ მოგონებათა წამკითხველის წინაშე წარსულის სურათები, მაგრამ ეს საერთოდ არც ისე ადვილი საქმეა და მე ამას როგორ შევძლებდი.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ დიდის გაქირვებით გვიხდებოდა მუშაობა ქართულ სცენაზე, მაგრამ მაინც აქედან არ გაერბოდით. ჩვენ გვაფრთოვანებდა ჩვენი ქვეყნის კულტურული ამაღლებისათვის ბრძოლის იდეა და თეატრის სიყვარული. დღევანდელი მდგომარეობა კი მშურს და ვწუხვარ, რომ არა მაქვს ძალღონე ვემსახურო დღეს ყოველმხრივ დაკმაყოფილებულ ჩემს საყვარელ თეატრს, სადაც წარსულში უამრავი სიმწარე და სასიხარულო მინახავს.

კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი მუშაობა



კოტე მარჯანიშვილის სახელთან დაკავშირებული საგულისხმო თარიღები გვაგვალდებულებს შეძლებისდაგვარად, ზოგადი სახით მაინც, შევავალოთ მისი შემოქმედება და ცხოვრება, რომელიც არსებითად იყო არა სხვა რამ, თუ არა მშვენიერი და უწყვეტი შემოქმედებითი წვა ხელოვნებისათვის.

კოტე მარჯანიშვილი დაიბადა კახეთში, ყვარელში 1872 წლის 28 მაისს, ძველი სტილით. მისი მამა, — ალექსანდრე მარჯანიშვილი, სამხედრო პირი იყო, დედა — ელისაბედ ჭავჭავაძის ასული — ხელოვნებისა და თეატრის დიდი მოყვარული. პირველდაწყებითი ცოდნა კოტემ ჯერ შინ მიიღო, შემდეგ თბილისში წაიყვანეს, სადაც მან დაამთავრა 1-ლი ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, რომელშიდაც უწინ სწავლობდნენ და იზრდებოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ჩვენი ქვეყნის მრავალი სასიქადულო ადამიანი. ცხრა წლის კოტეს მამა გარდაეცვალა, მაგრამ დედა ზრდიდა მას დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით. კოტეს დედის ოჯახში ზმირად იკრიბებოდნენ იმ დროის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩვენი ლიტერატურისა და სათეატრო ხელოვნების სამაყო კორიფეები: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ალ. ყაზბეგი, აექს. ცაგარელი, სერგეი მესხი, დიმიტრი ყიფიანი; მსახიობები — სასურველი სტუმრები იყვნენ ამ მოწინავე ქართულ ოჯახში,

ზმირად აქვე იმართებოდა სახელდახელო რეპეტიციები და აქ, დედის სახლში, დაებადა კოტეს თეატრის სიყვარული და მისწრაფება სცენისადმი.

კოტეს პირველი გამოსვლა სცენაზე მოხდა გიმნაზიაში, მოწაფეთა სპექტაკლზე. იღმებოდა გოგოლის „ქორწინება“; კოტე თამაშობდა ქალის, — ავაფია ტიხონოვნას როლს. ზაფხულობით, კახეთში კოტე ზმირად მართავდა წარმოდგენებს თავის ოჯახის წევრთა და ნაცნობმეგობართა ძალებით, სადაც თვითონ იყო მსახიობიც, რეჟისორიც, სცენის მუშაც და დეკორატორიც.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ — პირველი ნაბიჯები სცენაზე კოტემ გადადგა თელავში, შემდეგ კი ქუთაისში — კოტე მესხის ხელმძღვანელობით. აქ, 1890 წელს მან ითამაშა ალფონს დოდეს ერთ-ერთ პიესაში ახალგაზრდა შეყვარებულის, როგორც კოტე ამბობდა „ულეაშებზე მიწეპებული“ პერსონაჟის, როლი. 1891—1892 წელს, აკაკი წერეთლის რჩევით კოტე შევიდა თბილისის თეატრის დასში, სადაც კოტე ყიფიანის რეჟისორობით და აკაკი წერეთლის უშუალო მითითებით ითამაშა „პატარა კახი“, თამაშობდა აგრეთვე სუნდუკიანცის „ხათაბალაში“ და ა. ცაგარელის პიესებში. სეზონის ბოლოს კოტემ გადაწყვიტა წასულიყო მოსკოვში დრამატიულ ხელოვნების შესასწავლად. იგი შევიდა თავისუფალ მსმენელად საიმპერატორო დრამატიულ სტუდიაში, სადაც დაჰყო 1895 წლამდე.

1896 წელს კოტე დაქორწინდა. მან შეერთო ნადეჟდა ჟივოკინა, შვილიშვილი მცირე თეატრის ცნობილ მსახიობის ჟივოკინისა.

1897 წელს კოტე კვლავ ქუთაისშია, სადაც მუშაობს ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით.

1897 წლის დამდეგს კოტე ოჯახით კვლავ რუსეთში წავიდა. თითქოს მხატვრული აღლო უკარანახებდა მას, რომ სასცენო მოღვაწის საუკეთესო, გამამდიდრებელი სკოლა თვით ცხოვრებაა. ის გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში, იყო მსახიობად მოსკოვში, ვიატკაში, ტამბოვში, ბაქოში; აშხაბადში, უფაში, პერმში, კურსკში, ხარკოვში, ორიოლში, ლუგანსკში, ქერჩში და სხვა მთავარ ქალაქებში. მან მოიარა რუსეთი „ქერჩიდან ვოლოგდამდე“. და ამ შეგირდობის წლებს ტყუილად არ ჩაუვლიათ კოტესათვის. გაფართოვდა მისი თვალთახედვის არე, გამახვილდა არტიტული დაკვირვების უნარი, გამდიდრდა მისი შემოქმედებითი პალიტრა ახალი ფერებითა და საღებავებით. და, რაც მთავარია, ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება რეჟისორობაა და არა მსახიობობა.

პირველი მისი ნამდვილი სარეჟისორო სამუშაო იყო ა. ჩეხოვის „შია ვანო“, — დადგმა, რომელიც მან ვიატკაში განახორციელა. 1903—4 წელს ის სპეციალურად მიიწვიეს რეჟისორად ირკუტსკში. შემდეგ წლებში კი იგი, მზარდი წარმატებით მუშაობდა რეჟისორად რუსეთის დიდ პროვინციულ ქალაქებში. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებით საინტერესო იყო კ. მარჯანიშვილის მუშაობა რიგაში ნეზლობინის თეატრში. აქ მან თავი ისახელა ოსტროვსკისა და გორკის პიესების დადგმით. 1905 წელში ნეზლობინის თეატრი საგასტროლოდ ჩამოვიდა მოსკოვს. გასტროლები დიდის წარმატებით ჩატარდა. ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე მ. გორკის

პიესამ „მოაგარაკენი“ კ. მარჯანიშვილის დადგმით. კოტე მარჯანიშვილი მოიწვიეს სამუშაოდ მოსკოვის მცირე თეატრის ფილიალში, მაგრამ მარჯანიშვილმა მ. გორკის რჩევით, უარი განაცხადა მუშაობაზე საიმპერატორო თეატრში.

1905 წელს კ. მარჯანიშვილმა უკვე საყოველთაოდ დაიმსახურა ნიჟიერი რეჟისორის სახელი. მას იწვევდნენ რეჟისორად რუსეთის მრავალ ქალაქში. 1906—1910 წლებში კ. მარჯანიშვილი მუშაობდა კიევის, ხარკოვის, ოდესის თეატრებში და კვლავ ნეზლობინთან, — რომელიც იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა.

ამ წლებში ძირითადად ჩამოყალიბდა მარჯანიშვილი როგორც ფრიად ორიგინალური ნიჟის რეჟისორი და თეატრის მოღვაწე. ეს ის ხანა იყო, როდესაც ხელოვნებაში საერთოდ და კერძოდ დრამატურგიაში და თეატრში ძლიერი ადგილი ჰქონდა სიმბოლისტურ-იმპრესიონისტულ განწყობილებებს, რამაც ვიატკა კოტე მარჯანიშვილიც, მაგრამ, დაუშვა რა პირობითობის საწყისი სცენაზე, კოტეს სრულიადაც არ გაუწყვეტია კავშირი რეალიზმთან, როგორც ეს მოუვიდა სხვა სიმბოლისტ რეჟისორებს (თუნდაც, მაგალითად, ევრენინოვი და სხვანი). სწრაფვა რეალიზმისაკენ ამჟამად ეტყობა კოტეს რეჟისორულ რეპერტუარს. აქ ჩვენ ვხედავთ სიმბოლისტურ პიესებს, როგორცაა იბსენის „ნორა“ და „ქალი ზღვიდან“, ბლოკის — „უცნობი ქალი“, ჰაუტმანის „ჰანელე“, „ლუკი და იაუ“, ანდრეევის „ადამიანის სიცოცხლე“ და „შავი ნიღბები“, დიბოვის „ნიუ“. ამავე წლებში კოტე მუშაობს რეალისტურ პიესებზე და ბრწყინვალედ ანხორციელებს ოსტროვსკის „მცხუნვარე გულს“ და „სიზმარს ვოლგაზე“. გორკის „მოაგარაკეთ“, შილერის „ვილჰელმ ტელს“, ლესინგის „ნათან ბრძენს“ და ჩირიკო-

ვის „ებრაელებს“. პირობითი ფანტასტიკით აღსავსეა ზშირად სპექტაკლის გარეგნული, პლასტიკური მხარე, მხატვრული გაფორმება, მიზანსცენები, — მაგრამ ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლით და დამაჯერებლობითაა გაედენთილი შინაგანი მხარე სპექტაკლისა თვით სცენიურ სახეთა. მოქმედ პირთა სულიერი სამყარო და არსი. თვით გატაცება ზან ფერთა შერჩეულ ნიუანსებით, ზან ზღაპრული სიჭრელით სცენაზე, სინათლის არაჩვეულებრივ ეფექტებით დატკობა, ორიგინალური, თითქოს მოქანდაკის მიერ გამოძერწილი მიზანსცენები, — ყოველივე ეს იყო არა თვითმიზნობრივი თავის შექცევა ხელოვანისა, არამედ ძიება ახალ, არატრადიციულ, შინაარსთან ორგანიულად თანაშეზრდილ ფორმისა. ცნობილ თეატრის-მეოდნის ვოლკოვის სწორი დახასიათებით ეს გრიგალისებური ძიება, სამხატვრო შფოთვა, გაბედული, რევოლუციური ნოვატორობა სცენაზე კ. მარჯანიშვილის მადლიანი ნიჭის უძვირფასესი თვისება იყო. იგი არ აღეგდა მას ნებას შეჩერებულყოფილ მიღწეულზე, დაკმაყოფილებულიყო მოპოებულთ. მან იცოდა, რომ გამარჯვებულია ის ხელოვანი, რომელიც მუდმივ შემოქმედებითს ტანჯვა-სიხარულში იწვის, სულ ახალსა და ახალს ეძიებს.

სხვა მრავალ იმდროინდელ რეჟისორებისაგან კიდევ ერთი რამ ანსხვავებდა კოტეს რეჟისორულ შემოქმედებას, — მისი მგზხებარე, მჩქეფარე სიხარული, დიდი რეჟისორული ტემპერამენტი. თეატრი კოტესთვის იყო ის დიდი, კოლექტიური შემოქმედების სამყარო, რომელსაც უნდა განემტკიცებინა მაყურებელთა მსახურის სასიცოცხლო ენერჯია. არა პასივობა და გულგატეხილობა, არამედ აქტივობა, სიცოცხლის ხალისი და საზეიმო განწყობილება — იქ რა უნდა შთაენერგა მაყურებელში კემმარიტად მხატვრულ სპექტაკლს.

„თეატრი ეს უპირველეს ყოვლისა ზეიმია, დღესასწაულია“, — ზშირად იმეორებდა კოტე და ეს კარგად შემოქმედების ძირითადი დავალებაა.

ორგანული კავშირი რეალიზმთან, დაინებული ძიებანი ოპტიმიზმით გაედენთილი ახალი ფორმისა, — ყოველივე ეს თვისებები გამოყოფდა კ. მარჯანიშვილს სიმბოლიზმით გატაცებულ რეჟისორთაგან. „ამ ფონზე კოტე მეტად ბრწყინვალე ფიგურად გამოჩნდა. თუ სხვები თეატრში ეძებდნენ ძალიან წმინდა კეკლუც ფორმებს და ნიუანსებს, და სპექტაკ იმპრესიონიზმის გამოჩინებას ლამობდნენ, მარჯანიშვილს ქართული ტემპერამენტით შემოქმონდა ცხოველყოფილობა, ბრწყინვალე ფერადები, რეალობა, და ამ აზრით იგი, როგორც რეჟისორი, უეცრად გამოჩნდა, უცბადვე ჩამოაყალიბა თავისი სახე, თუმცა ეს სახე ღრმად არ იყო შეთვისებული მაშინდელ ძიებათა რეალთან და გამოირჩევიდა სწორედ ამ თავისებურ პროზაულობითა და რეალობით — პოეზიისა, მხატვრობისა, თეატრისა და სხვათა საერთო ფონიდან.“ (ა. ლუნაჩარსკი: 1930 წლის 30 მაისს კ. მოსკოვში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სიტყვიდან).

1910 წელს კ. მარჯანიშვილმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სოფიის თეატრის მთავარ ხელმძღვანელობაზე, სადაც ის უნდა წასულიყო ბულგარეთის მთავრობის მიწვევით, მაგრამ სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩევკომ გადაათქმევინა ბულგარეთში წასვლა და ის მიიპატიეს სამხატვრო თეატრში სამუშაოდ, რაზედაც თანხმობით უპასუხა კ. მარჯანიშვილმა. სწორედ ამავ პერიოდში სამხატვრო თეატრმა მოიწვია მსოფლიოში სახელგანთქმული რეჟისორი გორდონ კრევი შექსპირის „ჰამლეტის“ დასადგმელად. კ. მარჯანიშვილი ამ დადგმაში კრევის თანა-

ბრეისორი იყო. ვ. ნემიროვიჩ-დანჩენ-კოსთან ერთად მან დადგა აგრეთვე ლ. ანდრეევის „მიზერელე“ და სავსებით დამოუკიდებლად განახორციელა კ. ჰამსუნის „ცხოვრების ბრწყალებში“ და პ. იბსენის „პერ გიუნტი“, რომელთაც უდიდესი წარმატება პოვეს. ჰამსუნის „ცხოვრების ბრწყალებში“ უკანასკნელ დრომდე შერჩენილიყო სამხატვრო თეატრის რეპერტუარში.

გასაგებია ის მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ სამხატვრო თეატრის მესვეურნი, როდესაც მათ რეისორ-დამდგმულად კოტე მარჯანიშვილი მოიწიეს. სამხატვრო თეატრი ამ დროს დაავადებული იყო საყოფაცხოვრებო დეტალებით გადატვირთული რეალიზმის, თითქმის ნატურალიზმის სენით. იგი ერთგვარ ჩიხში მოემწყვდა და გამოსავლის საპოვნელად ყოველგვარი ექსპერიმენტებს მიმართავდა; — თვით იმპრესიონისტულ-სიმბოლისტურ გზებსაც კი. გაიხსენოთ თუნდაც ანდრეევის „ანათემას“ და „ადამიანის ცხოვრების“, ჰამსუნის „სიცოცხლის დრამის“ და მეტერლინკის „ლურჯი ფრინველის“ დადგმები, განხორციელებულნი სამხატვრო თეატრში. თეატრი იმედოვნებდა, რომ კ. მარჯანიშვილის სასცენო ოსტატობა საზეიმო ოპტიმისტური და ამასთანავე რეალისტური მდიდარი თეატრალური ფორმების ძიებებით, ახალ ნიავად გაიჭროლებდა სამხატვრო თეატრის სასცენო ცხოვრების შეგუბებულ ატმოსფეროში. მაგრამ კოტეს გრიგალისებურმა ნიჭმა დაამსხვრია მისთვის განკუთვნილი ჩარჩოები. როგორც „სიცოცხლის ბრწყალების“, ისე „პერ-გიუნტის“ დადგმამ დიდი სახელი მოუხვეჭა დადგმის ავტორს, მაგრამ სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელების მიერ კოტეს მუშაობა შეფასებულ იქნა როგორც გაუგონარი ნოვატორობა, კადნიერი გაბედულება და რღვევა თეატრის ტრადიციებისა და საწყისებისა.

ეს ასეც იყო. თეატრის ცნობილი მკვლევარის ვოლკოვის სწორი დახასიათებით სამხატვრო თეატრის ფსიქოლოგიური რეალიზმი კოტეს დადგმებში... „ყოველთვის ახალი რომანტიზმის ფერადებითა და ექსტეზით ცხოველდებოდა, და პიესა „ცხოვრების ბრწყალებში“ აელერდა როგორც ისეთი წარმოდგენა, სადაც მუსიკალური საწყისი ფსიქოლოგიურზე უფრო ძლიერი იყო. ამ ვარემოებამ ისე გაიტაცა სხვა სკოლითა და სხვა სისტემით აღზრდილი მსახიობები, რომ მართლაც ბრწყინვალე წარმოდგენა შეიქმნა. კ. მარჯანიშვილი ვერ მოთავსდა სამხატვრო თეატრში. ეს გასაგებიც არის: მარჯანიშვილსა და სამხატვრო თეატრს შორის დიდი სხვაობა იყო.“ (ვოლკოვი: სიტყვა წარმოთქმული ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის საზეიმო სხდომაზე, 1930 წლის 5 მაისს).

მუსიკის, ფერადებისა და სინათლის გაბედული გამოყენება მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური განცდების აქცენტუაციისათვის, სკულპტურული მიზანსცენები, რომანტიკული, საზეიმო განწყობილება სცენაზე არ ეგუებოდა სამხატვრო თეატრის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებულ სტილს და სცენიურ პრინციპებს. ამიტომ კ. მარჯანიშვილმა დაანება თავი მუშაობას სამხატვრო თეატრში და გაცხოველებით დაიწყო მზადება საკუთარი თეატრის შექმნისათვის, რომელიც „თავისუფალი თეატრის“ სახელით ჩამოყალიბდა 1912 წელს.

მანამდე კი, — სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ ბრწყინვალე დადგმა თბილისის საოპერო თეატრში, მოგზაურობა საზღვარგარეთ, თეატრალური პარიზის გაცნობა. 1912 წელს კ. მარჯანიშვილი დაბრუნდა მოსკოვში. მეცენატ სუხოლოლსკის დახმარებამ მისცა შესაძლებლობა კოტეს განხორციელებინა დიდი ხნის ოცნება — შეექმნა სინთეტიუ-

როი თეატრი. კოტე უკვე დიდი ხანი ოცნებობდა სინთეტიურ მსახიობზე, ისეთზე, რომელიც თანაბრად დაუფლებული იქნებოდა მეტყველებას, მოძრაობას, სიმღერასა და ცეკვას. ის ფიქრობდა, რომ სხვადასხვა ქანრის თეატრალურ სანახაობათა ერთ თეატრში თავმოყრა ხელს შეუწყობდა და დააჩქარებდა მსახიობის ასეთს სინთეტიურ ოსტატობის ჩამოყალიბებას.

„თავისუფალი თეატრის“ არსებობა (1912—1913 წლები) ხანმოკლე, მაგრამ მოელვარე და მეტად ნაყოფიერიც იყო. თეატრმა იარსება მხოლოდ ერთი სეზონი და განახორციელა ოთხი დადგმა: ოპერა „სოროჩინის ბაზრობა“, ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, პანტომიმა „პიერეტას მოსასხამი“ და დრამა „ყვითელი კოფტა“. ამგვარად თეატრმა განახორციელა სცენიურ ხელოვნების ყველა სახე. თავისუფალი თეატრის არსებობა მეტად საკულისხმო იყო. ეს თეატრი იყო არა მარტო სინთეტიური, არამედ ნამდვილად ახალი და თავისუფალი. მარჯანიშვილის რეჟისორულმა გაქანებამ აქ შესანიშნავი ასპარეზი მოიპოვა. „თავისუფალი თეატრის“ დადგმებმა, განსაკუთრებით „მშვენიერმა ელენემ“, უდიდესი წარმატება მოიპოვა, მათზე მსჯელობდა მთელი თეატრალური მოსკოვი და ეს დადგმა იქცა ოპერეტის ახალი გზების ძიების საწყისად. რადგან თეატრის დადგმებზე გაწეულ უზარმაზარ ხარჯებს ვერ ანაზღაურებდა შემოსავალი, თეატრი დაიხურა. „თუმცა თეატრი კატასტროფით დამთავრდა, მაგრამ ეს კატასტროფა უფრო სასახლო იყო, ვიდრე მრავალი ზოგიერთი გამარჯვება“. (ვოლკოვი).

„თავისუფალი თეატრის“ ნანგრევებზე შემდეგ სამი თეატრი აღმოცენდა: მოსკოვის დრამატიული თეატრი, ვერა კომისარკევესკაიას სახელობის თეატრი და კამერული თეატრი. ამთავან უკანასკნელი დღესაც არსებობს და ვითარ-

დება როგორც საბჭოთა კავშირის, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრთაგანი. კამერული თეატრის ხელმძღვანელი სახალხო არტისტი ა. შარაშინი მოგონებებში დიდის პატივისცემით და აღტაცებით იხსენებს კ. მარჯანიშვილს და სიამაყით აღარებს მისი მოწაფის სახელს.

1914 წელს კ. მარჯანიშვილი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. პირველი მსოფლიო ომის წლებში ის ფრონტზე იმყოფებოდა და დაუბრუნდა თეატრალურ მუშაობას 1916 წელს. რევოლუციის წინა წლებში კოტე, კომიკური ოპერის, მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის დარგში მუშაობდა მოსკოვის „პალას-თეატრსა“ (1916—1917 წლები) და პეტროგრადის „კომიკური ოპერის“ თეატრში. ეს თეატრალური ქანრი მას იზიდავდა სწორედ იმით, რომ ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის მსახიობის ნიჭი სინთეტიური ბუნებისა იყო. მსახიობი აქ ერთნაირად უნდა ყოფილიყო მხატვრული სიტყვის ოსტატი და მისი ადეკვატი სცენიური განცდისა, ქესტისა და მოძრაობისა, რიტმისა და ტემპისა, მიმიკური, პანტომიმური, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნებისა. სწორედ სცენიური სინთეტიზმის ძიებებს მიყავდა კოტე ამ შერეული ქანრის თეატრში.

ოქტომბრის რევოლუციის წლები, — გარდატეხის წლებია კ. მარჯანიშვილისათვის. რევოლუციური გმირების პათოსმა, რევოლუციური რომანტიკის წარმატებამ მიმზიდველობამ მოზიბლა კოტე, მთელი თავის შეგნებით მიემხრო იგი ოქტომბრის რევოლუციას, როგორც ნამდვილი პატიოსანი მოქალაქე და ადამიანი.

იგი ანხორციელებდა სცენაზე რევოლუციური გზებით აღსაესე სპექტაკლებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყაროს“ დადგმა კიევში 1919 წელს.

ეს სპექტაკლი რევოლუციური გმირობისადმი მიძღვნილი ოდა იყო. მუსიკა, ცეკვები, განათებული მოღვევარე სცენა, მშვენიერი დეკორაციები, ლაქვარდოვანი და ყვითელი ფერების სიჭარბით, ქალთა ჭრელი და ვაჟთა შავი ტანსაცმელების კონტრასტები, სპექტაკლის ესპანური, მაკორული რიტმი — ყოველივე ეს ქმნიდა არაჩვეულებრივ სანახაობას, რომელიც საუცხოოდ ესიტყვებოდნენ პიესის რევოლუციურ შინაარსს. ლაურენსიას როლის შემსრულებელი მსახიობი იურენევა თავის მოგონებებში სწერს: „მარჯანიშვილი ქმნიდა ისეთ შთაგონებულ დეტალებს და მიზანსცენებს, რომ მსახიობები დადიოდნენ რეპეტიციებზე აღტაცებულნი და გაგიჟებულნი... ჩვენ ვითამაშეთ „ცხვრის წყარო“ ორმოცჯერ ყოველდღე, საზოგადოება იშლებოდა თეატრიდან „ინტერნაციონალის“ სიმღერით და იმ სცენას, სადაც ლაურენსია ხმალს გადაამტვრევს, რომ ტირანები განადგურდნენ, — საზოგადოება ოვაციებით ხვდებოდა. დიახ, ამაყი და მშვენიერი მოგონება დარჩება ყოველთვის ამ გარდატეხის წუთიდან, როდესაც ყველა ძველი ჩვევა, ყოფაცხოვრება, რეპერტუარი გაცმტვერდა და მსახიობმა იგრანო, რომ ამიერიდან ყოველივე ეს სულ სხვაგვარადაა საჭირო“. (აქტიორი და რეჟისორი. 1928 წელი). ამავე სპექტაკლს ივონებს კრიტიკი თავის წიგნში „რეჟისორთა პორტრეტები“: „მე მახსოვს წითელარმიელებით სავსე დარბაზი, — სწერს იგი, — ეს ქარიშხალი იყო. მეთაურმა, რომელიც სწმენდა უკრაინას პეტლიუროველებისაგან, წარმოდგენის შემდეგ უთხრა მარჯანიშვილს, რომ ფრონტზე მიმავალ ყველა ნაწილს გამოგვზავნით „ცხვრის წყაროს“ საყურებლად. ის დარწმუნებული იქნება გამარჯვებაში“. ამავე დროს კოტეს ნდობას უცხადებს ხელისუფლება და მას მიეცემა საგანგებო დავალება უკ-

რაინის თეატრების ნაციონალიზაციის ჩატარებისთვის, რასაც წამატებით ასრულებს. 1920 წელს, კომუნტერნის კონგრესთან დაკავშირებით მარჯანიშვილს დაავალეს ქ. პეტროგრადის გარეგნული გაფორმება და მასობრივ სანახაობათა მოწყობა-დადგმა, სანახაობაში უნდა ასახულიყო კომუნისტური იდეის განვითარების ისტორია უტოპიური სოციალიზმიდან მეცნიერულ სოციალიზმამდე და ადამიანის ბრძოლა სოციალიზმისათვის. ამ დადგმის განსახორციელებლად მარჯანიშვილს ემორჩილებოდა პეტროგრადის ყველა თეატრი და რეჟისორი, მის განკარგულებაში გადაიკა ჯარებისა და ბალეტის ფლოტის ნაწილები. სანახაობა დაიდგა საფონდო ბირჟის პორტალში. სანახაობაში მონაწილეობას იღებდა 75 ათასი ადამიანი და იგი დასრულდა დიდი პარადით, რომელსაც იღებდნენ კონგრესის მონაწილენი ლენინისა და სტალინის მეთაურობით.

1921 წელს კოტე მარჯანიშვილი დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში. ქართული თეატრი ამ დროს მძიმე მდგომარეობაში იყო. ჩვენი სცენის ძველი თაობის დიდი ოსტატები, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს დიდებული კლასიკური ეპოქა ქართული თეატრის განვითარებაში, აღარ იყვნენ ცოცხალნი, ან ჩამოშორდნენ სცენას. შემდგომი თაობა, მათი ნიჭიერი მოწაფეები, დაქსაქსული და დაფანტულნი იყვნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, ახალგაზრდობა კი, რომელსაც სულითა და გულით სურდა თავი შეეწირა მშობლიური თეატრისათვის, მოკლებული იყო ჰერმეტიკ მხატვრულ ხელმძღვანელობას. ამას დაემატა ისიც, რომ ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების ბატონობამ ქართული თეატრი სრულ დეზორგანიზაციამდე და დაშლამდე მიიყვანა. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, რომელზედაც სა-

კონსულტაციოდ ახლადჩამოსული კოტეც იყო მოწვეული, სერიოზულად დაისვა საკითხი ქართული თეატრის დროებითი დაკეტვისა და სამაგიეროდ სტუდიურ მუშაობაზე გადასვლის შესახებ. მაგრამ მარჯანიშვილი, რომელსაც ენახა ქართული თეატრის წარმოდგენა „ვინ არის დამნაშავე?“, ამ აზრის წინააღმდეგ წავიდა. მან იგარძნო, რომ ქართულ თეატრს საკმაოდ ჰყავდა ნიჭიერი მსახიობნი და შემოქმედნი, მხოლოდ საჭირო იყო სწორი ხელმძღვანელობით მათი სწორი გზაზე დაყენება. ამ მიზნით მან თავს იღო ერთი წარმოდგენის განხორციელება, სახელდობრ—ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყაროს“ დადგმა.

25 წელი გავიდა მას შემდეგ რაც კოტემ პირველად ფეხი შემოდგა ქართულ თეატრში, როგორც ხელმძღვანელმა. ყველასთვის, ვინც მაშინ კოტესთან ახლოს იდგა, დაუვიწყარია და უმშვენიერეს მოგონებად დარჩება ყოველივე ის, რაც განვიცადეთ კოტესთან პირველი შეხვედრის, პიესის წაკითხვისა და პირველი რეპეტიციის დღეებში. თეატრში უცებ დამყარდა ნამდვილი პროფესიონალიზმის, მკაცრი დისციპლინის დაცვისა და იმ არტისტული დამაბულობისა და აგზნების ატმოსფერო, რომლის გარეშე არ არსებობს კოლექტიური სცენიური შემოქმედება. პირველი რეპეტიციიდანვე მოვიხიბლენით საყვარელი ხელმძღვანელის ელვარე ნიჭით. ყოველივე, რასაც აკეთებდა კოტე,—უჩვეულო, ახალი და მით უფრო წარმატებული იყო როგორც მსახიობებისათვის, ისე კოტეს თანაშემწე ახალგაზრდა რეჟისორთათვისაც. მუსიკის მოხდენილი გამოყენება, სინათლის სასწაულებრივი ეფექტები, ყოველი დეკორატიული დეტალის ოსტატური გათამაშება, შთაბეჭდავი, გამოქანდაკებული მიზანსცენები, და, რაც უმთავრესია, მსახიობთა თამაში. ამხანაგები ვეღარ სცნობდნენ ერთმან-

ნეთს,—ისე გაიზარდა უკვე კოტეს მადლიანი ნიჭის წყალობით, მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, დადგა პრემიერის სანატრელოდ დღე-ღამე თარიღი, 1922 წლის 25 ნოემბერი, გახდა თარიღი საბჭოთა განახლებული თეატრის საწყისისა საქართველოში. ამ სპექტაკლთან ერთად დაიწყო ახალი ხანა ქართულ თეატრში. საზოგადოება აღტაცებული იყო მსახიობთა თამაშით, ქართული თეატრი იწყებდა თავის განვითარებისა და გაფურჩქვნის ახალ, მშვენიერ, ეტაპს. ეს იყო განახლებული ქართული სცენის შექმფინარე განთიადი. სპექტაკლი მიდიოდა არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით და ასეთ-სავე მგზნებარე გამოძახილს პოულობდა საზოგადოებაში. სპექტაკლის დასასრული მიტირგად გადაიქცა. კოტეს და დასს მიმართეს სიტყვებით პარტიკრიდან; დასიც მიესალმა თავის სათაყვანებელ მასწავლებელს. კოტემ თავის მოკლე პასუხში სთქვა: „ამიერიდან ბოლომდე თქვენთან ვიქნებიო“, და მან თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა. რუსთაველის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის წლები—კოტე მარჯანიშვილის და მასთან ქართულ თეატრის ახალი გამარჯვების წლები. სწორედ ამ პერიოდში 1922—1926 წლებში ქართულმა თეატრმა დაიკავა მტკიცე ადგილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრებს შორის. და თუ დღესაც ქართულ თეატრს შეუძლიან დაკმაყოფილოს ის მაღალი მოთხოვნილებები, რომელთაც უყენებს ჩვენი დიადი ქვეყნის, საზოგადოებრივობა და თეატრალური კრიტიკა მსოფლიოში საუკეთესო, საბჭოთა თეატრალურ კულტურას—საპატიო მიზეზი ამისა არის კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე.

ყოველი ახალი დადგმა კოტესი თეატრის ახალი ზეიმი იყო. მართალია ყველა დადგმა არ იყო ერთნაირად გამარჯვებული, მაგრამ კოტეს ზოგი „მარ-

ცხი“ უფრო ნაყოფიერი და საინტერესო იყო, ვინემ ბევრ სხვა რეჟისორთა „გამარჯვება“. კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის სახ. თეატრში სამი სეზონის განმავლობაში განახორციელა 17-მდე დადგმა. აქ იყო თანამედროვე, პროგრესიულად მოაზროვნე უცხოელ დრამატურგთა პიესებიც. ხასინტა ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“, ჯონ სინგის „გმირი“, ტოლერის „კაცი-მასა“, კაიზერის „გაზი“, ქართველი და უცხოელი კლასიკოსებიც:—ანტონოვის „შისი დაბნელება საქართველოში“, გ. ერისთავის „გაყრა“, მოლიერის „გააზნაურებული მღაბიო“, შექსპირის „ვინმორელი ქორიკანა ქალები“, „ჰამლეტი“ და კოტეს საყვარელი თეატრალური ეპიკურებიც,—ოპერეტა „მასკოტი“ ორდრანისა და პანტომიმა „მზეთამზე“ ვახვახიშვილისა.

კოტეს მიერ დასადგმელად შერჩეული პიესები არ იყო ყოველთვის თანაბარ ღირებულებიანი. ხშირად ის დგამდა იდეურად ზერელე ნაწარმოებებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას გაიტაცებდა პიესის საერთო განწყობილება, მისი რომელიმე სპეციფიური დეტალი, ან და კოტე მიიმჩნევდა, რომ პიესა საინტერესო მასალას წარმოადგენდა მსახიობთა სცენიური ტექნიკის გამდიდრებისათვის. მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი მას უზღებოდა მუშაობა იდეურად სრულფასიან ნაწარმოებთან, კოტე შემოკრებდა და მწყობრად აერთიანებდა წამყვანი სოციალური იდეის ირგვლივ ყველა თეატრალურ კომპონენტს.

კ. მარჯანიშვილის ყოველი დადგმა როგორც რუსთაველის, ისე მისი სახელობის თეატრში სპეციალური შესწავლის ობიექტია თეატრისმცოდნეთათვის. რუსთაველის თეატრში მუშაობის დროს მარჯანიშვილმა შთანერგა ქართულ თეატრში სპექტაკლის დიდი გულტურა, სპექტაკლის გაგება, როგორც სინთეტიური მთლიანობისა,

მან მიუჩინა თავისი ადგილი თეატრალური შემოქმედების ცალკეულ კომპონენტებს, პარმონიულად დაჯერებულა ისინი ურთიერთთანკავშირებულ სასაქუთრებულ გულისყურითა და სიყვარულით მუშაობდა მსახიობებთან. კოტეს ხელმძღვანელობით შესწავლილი და ნათამაშევი როლი,—ეს უდიდესი სცენიური სკოლა იყო მსახიობისთვის, ხშირად მთელი ეტაპი მისი შემოქმედებითი ზრდისა.

რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობის დროს აღზარდა კოტემ მსახიობთა მთელი თაობა, რომელნიც ახლა ქართულ სცენას ამშვენებენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. ქავეკავაძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, შ. ლაშაშიძე, უ. ჩხეიძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მეკვია, ს. ფორკოლიანი და სხვ. ასევე ზრდიდა კოტე მხატვრებს, კომპოზიტორთა კადრებს. კოტეს ხელმძღვანელობით მუშაობდნენ რუსთაველის სახ. თეატრში მხატვრები: ვ. სიღამონ-ერისთავი, ი. გამრეკელი და კომპოზიტორები: თ. ვახვახიშვილი, ი. ტუსკია.

ამავე წლებში კოტემ განახორციელა ბრწყინვალე დადგმები ოპერის თეატრში: „ლოენგრინი“, „აბესალომ და ეთერი“, „დიდისი“, „ოქროს მამალი“, „მშვენიერი ელენე“ და სხვ.

1925 წლის მე-2 ნახევარში კოტე მძიმე ავად გახდა. გამოკეთების შემდეგ მან დაიწყო მუშაობა კინემატოგრაფიაში, სადაც მისი რეჟისორობით განხორციელდა შემდეგი სურათების დადგმა: „ქაიშხალის წინ“, „თოლია“, „ამოკი“, „სამახიშვილის დედინაცვალი“, „კრაზანა“, „კომუნარის ჩიბუხი“.

1928 წელს მარჯანიშვილმა თავის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა ახალი თეატრი, რომელიც დღესაც ამაყად ატარებს კ. მარჯანიშვილის სახელს. ორი თეატრალური სეზონის განმავლობაში თეატრი მუშაობდა ქუთაისში და ემსახურებოდა ბათუმსაც, შემდეგ კი გადმოყვანილი იქნა თბილისში სამუ-

შაოდ, სადაც ახლაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას.

კ. მარჯანიშვილის ირგვლივ გაერთიანდა რამდენიმე თაობა მსახიობებისა. უფროსი თაობის მსახიობები: ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გოცირიძე, შ. ზონელი, ა. მურუსიძე, ვ. ჩხიკვაძე, კ. აბესაძე, ტ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, შ. გომელაური, ელ. დონაური, ც. წუწუნავა, ე. ქიქოძე, დ. ჩხეიძე. თვით კოტეს მიერ გაზრდილი მოწაფეები: ვ. ანჯაფარიძე, უშ. ჩხეიძე, თ. ქავჭავაძე, შ. ლამბაშიძე, ც. თაყაიშვილი, ი. ჯორჯაძე, ა. ჟორჯოლიანი, მ. ლორთქიფანიძე და ნიჭიერი ახალგაზრდობა: კ. კვანტალიანი, მ. დავითაშვილი, მ. ქორელი, ი. დონაური, ვ. ჩომახიძე, პ. კობახიძე, ს. ზაქარიძე, გ. შავგულიძე და სხვ.

ხუთი სეზონის მანძილზე, როდესაც კოტე ხელმძღვანელობდა თეატრს, მან შექმნა მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი. თეატრის რეპერტუარში წარმოდგენილი იყვნენ პროგრესიულად მოაზროვნე უცხოელი დრამატურგებაც (ე. ტოლერი — „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, ბ. შოუ — „წმინდა ქალწული“), კლასიკოსებიც (ლოპე დე-ვეგას „ფუენტი ოვეხუნას“ განახლებული დადგმა, გუცოვის „ურიელ აკოსტა“, პ. შელის — „ბეატრიჩე ჩენჩი“) და თანამედროვე საბჭოთა დრამატურგაც. როგორც რუსული, და უკრაინული (მაგალითად, პოგოდინის „პოემა ნაჯახზე“) ისე, ქართულიც (შ. დადიანი — „კაკალ გულში“, პ. კაკაბაძის — „ყვარყვარე თუთაბერი“, კ. კალაძის — „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“, დ. შენგელია — „თეთრები“ და სხვ.).

თეატრის არსებობის პირველსავე წლებში, განსაკუთრებით უკრაინისა და მოსკოვის გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ, კ. მარჯანიშვილის წინაშე სიმძაფრით წამოიჭრა მშობლიური დრამატურგიის განვითარებისა

და მასზე რეპერტუარის დადგენების პრობლემა. გასტროლებიდან დაბრუნებული კ. მარჯანიშვილი, გულგულად გამოქვეყნებულ დოკუმენტურ წერილს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საგასტროლო რეპერტუარში სამი ქართველი ავტორი იყო (შ. დადიანის — „კაკალ გულში“, პ. კაკაბაძის — „ყვარყვარე თუთაბერი“ და კ. კალაძის „როგორ“), მე მაინც მისაყვედურეს მშობლიური დრამატურგიის შედარებით მცირე რაოდენობა. ამიტომ შემდეგში სეზონის სარეპერტუარო ხაზი დაეყრდნობა ძირითადად ქართველ დრამატურგებს“.

რეპერტუარის სიღარიბე, განსაკუთრებით მამინდელი მშობლიური დრამატურგიის სისუსტე, ყველაზე არსებითი შემოქმედებითი ხასიათის სიმძლავრე იყო თეატრისათვის. ზოგჯერ თეატრი იძულებული ხდებოდა დრამატურგის აღზრდისა და წაქეზების მიზნით დაეღვა სუსტი პიესები, რაც ძალაუწებურად რამდენიმედ ამდაბლებდა თეატრის მხატვრული დონეს. მაგრამ თანდათან საბჭოთა მშობლიური დრამატურგია ფეხზე დადგა, ქართული თეატრიც გათავისუფლდა სარეპერტუარო კრიზისისაგან. პარტიისა და ხელისუფლების ყურადღებამ და მზრუნველობამ თავისი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო და ქართულ თეატრს ფართო ასპარეზი მიეცა დრამატურგთან თანაშემოქმედებითს მუშაობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ზრდა-აყვავებისა ახალი, სტალინური ეპოქის აღამიანებისა და ბოლშევიკურ, რევოლუციურ ორგანიზაციათა ისტორიული ბრძოლების ასახვისათვის მშობლიურ სცენაზე.

თეატრს წინ ეღობებოდა აგრეთვე ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებებიც. კერძოდ, ქუთაისის სცენა სრულებით არ შეესაბამებოდა ჩვენი თეატრის მხატვრულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. მხოლოდ მარჯანიშვილის და უშრეტელ ფანტაზიას და დიდს და-

ხელოვნებას ძალუძდა ამ ტექნიკურ დაბრკოლებათა გადალახვა მთელ რიგ მხატვრულად და ტექნიკურად სრულფასოვან სპექტაკლების შექმნის დროს.

კ. მარჯანიშვილის სარეჟისორო ნამუშევარი მისი შემოქმედებითი გზის ბოლო პერიოდისა, — ოსტატობის შედეგებია. კოტეს მადლიანმა ნიჭმა აქ კიდევ უფრო ბრწყინვალედ იელვა, ვინც იოდეს. კ. მარჯანიშვილი, ამდროს სრულებით თავისუფლდება პირობითი თეატრის უნადავო ესთეტიზმისაგან, და ამავე დროს ინარჩუნებს ჭეშმარიტი თეატრალობის შეუდარებელ ნიჭს. მის დადგმებში ელვარებს სილამაზის, სიხარულისა და საზეიმო განწყობილების შემოქმედებითი პათოსი. სწორედ ამ პერიოდში შესძლო კოტემ განხორციელებინა თავისი დიდი ხნის მხატვრული ოცნება: ღრმა რეალიზმა განესმკვალა ჭეშმარიტი თეატრალური პათოსით, მიეღო იდეურობისა და თეატრალობის პარმონია სცენაზე. ამიტომ ამ პერიოდის სპექტაკლები, ეს დაუსრულებელი ტრიუმფია თეატრისა ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში, ხარკოვსა და მოსკოვში.

ისეთი სპექტაკლები, როგორცაა „შობლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „წმინდა ქალწული“, „კაკალ გულში“, „უჩიელ აკოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „როგორ“, „ბეატრიჩე ჩენჩი“, „პოემა ნაჯახზე“ და „არსენას ლექსი“, — უმშვენიერესი ფურცლებია ქართულ თეატრის ისტორიისა. ეს იყო უდიდესი სკოლა, როგორც მსახიობთა, ისე რეჟისორთა, მხატვართა და კომპოზიტორთათვის.

მათ ღირსეული შეფასება მოიპოვეს, როგორც ქართულ, ისე უკრაინულ და მოსკოვის პრესის კრიტიკაში 1929—30 წლების გასტროლების დროს. უკრაინისა და მოსკოვის თეატრალური კრიტიკა განსაკუთრებით აღნიშნავდა მარჯანიშვილის დადგმების სინთეტიზმს, ორგანიულ მთლიანობას, სა-

დაც „სპექტაკლის ყველა ნიშნები შედუღებულია ერთ პარმონიულ მთლიანობად“. თეატრის დიდ დამსახურებად მიჩნეულ იქნა მარჯანიშვილის შეგნებისა და სცენიდან ამ რაობის უდიდესი მხატვრული გამომეტყველებით ჩვენების უნარი, სპექტაკლის „ფსიქოლოგიური ბაზის გარკვეული მიზნობრივი მიმართება ძირითად, კვანძულ მომენტების გამოვლინებისკენ, რაც ქმნის სპექტაკლის მონოლიტობას, მთლიანობას და მის მაღალ მხატვრულობას“.

თეატრის-მცოდნეთ ასევე ანციფრება კ. მარჯანიშვილის მიერ აღზრდილ მსახიობთა მაღალი სცენიური ოსტატობა „სადა, ცხოველი თამაში... რომელიც ამავე დროს მაჩვენებელია დიდი ოსტატობისა“. „ექთორის მიერ გამომეტყველების საშუალებათა სრული დაპყრობა... სწრაფვა როლის სახის სრული ფსიქოლოგიური გამართლებისაკენ“, „ბრწყინვალე თვისებანი ქართველი მსახიობისა, რომელიც ერთნაირად კარგად „თამაშობს, მღერის და ცეკვავს“, „ზომიერი, მკაცრი, შინაგანის სიძლიერით საცხე შესრულება“. ¹ საბჭოთა კრიტიკოსები აგრეთვე ხაზს უსვამდნენ თეატრის მაღალ კულტურას, მისი რეპერტუარის ფართო დიაპაზონს, მის კავშირს რევოლუციურ თანადროულობასთან.

ლუნაჩარსკი წერდა კ. მარჯანიშვილის დადგმების შესახებ: „მარჯანიშვილი ახლა მოვიდა ჩვენთან, არა როგორც ინდივიდუალური ერთეული, არამედ მოვიდა კოლექტივით და ხელმეორედ ამდიდრებს ჩვენს თეატრალურ სამყაროს, ჩვენს თეატრალურ შეგნებას, როგორც ხელოვნების ახალ ფორმაციათა წარმომადგენელი, თა-

¹ იხ. ბროშურა: „სახ. ჭრთ. დრამა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. გასტროლები საბჭოთა კავშირში“. 1930 წ. საბელგამი.

ვის მშვენიერი ქვეყნის ახალი თეატრის სახით“.

ამბობენ, თითქოს კ. მარჯანიშვილს სკოლა არ ჰქონია. ეს მცდარი შეხედულებაა. კ. მარჯანიშვილს ჰქონდა თავისი შემოქმედებითი მუშაობის სისტემა და ამ სისტემის შესწავლა განსაკუთრებით საჭიროა რეჟისორებისათვის. კ. სტანილავესკიმ შექმნა მსახიობის შემოქმედებითი მუშაობის სისტემა და ეს სისტემა, თუმცა გულისხმობს რეჟისორს, მაგრამ უშუალოდ მსახიობისკენ არის მიმართული. მარჯანიშვილის შემოქმედებითი სკოლა კი, თუმცა მთავარ ადგილს თეატრში მსახიობს ანიჭებს, მიმართულია უშუალოდ რეჟისორისაკენ.

თეატრალური სინთეტიზმი — იყო მარჯანიშვილის უსაყვარლესი იდეა, რომლის განსახიერებას იგი სხვადასხვა ხერხით ცდილობდა მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე. „თავისუფალი თეატრიც“, რომელიც ერთ თეატრალურ შენობაში, სწორად ერთი და იგივე მსახიობთა ძალებით ანხორციელებდა სხვადასხვა სცენიურ ენარს, — ერთერთი, შეიძლება რამდენიმედ მექანიკური გზა იყო თეატრალური სინთეტიზმის მიღწევისა. რუსთაველის სახ. თეატრში მუშაობის დროს კ. მარჯანიშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა თეატრალური სინთეტიზმის გაცემა. კავშირი მსახიობის თამაშსა და თეატრის სხვადასხვა კომპონენტებს შორის აქ უფრო ღრმა და ორგანიულია, — მსახიობი მის მეტყველება, ქესტი, მოძრაობა, მუსიკა და თეატრის გარეგნულ-პლასტიური ელემენტების გაფორმება, განათება აქ ერთს, თანაშერწყმულსა და განუყოფელად მშვენიერ მთლიანობას წარმოადგენს. მაგრამ ესთეტიზმის რეციდივები ზოგჯერ დაჩრდილავდა კოტეს სპექტაკლის იდეურ მხარეს. უკვე რუსთაველის თეატრში მუშაობის დროს, — თავის საუკეთესო დაღმებში — ცხვრის

წყარო“, „ჰამლეტი“ და განსაკუთრებით კი შემდეგ, მისივე სახელოების თეატრში — კოტე საბუღალროდ უკეთესად გათავისუფლდა უნიადგურული მსახიობისა და გამოსძებნა ის ღერძი, რომლის ირგვლივ უნდა გაერთიანებულიყო სპექტაკლის ყველა ელემენტი — ეს იყო პიესაში გატარებული სოციალური იდეა. მან სპექტაკლის დედა-ძარღვად პიესის სოციალური იდეა აღიარა და ამით სინთეტიზმის პრინციპი ღრმად იდეური შინაარსით გაამდიდრა. ამიერიდან სპექტაკლმა შეიძინა მძლავრი იდეური ელერადობა.

სპექტაკლში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ თეატრის ყველა მრავალ-მეტყველი და მდიდარი შესაძლებლობანი, როგორც მხატვრული, ისე ტექნიკური ერთ აზრს, ერთ იდეას ემსახურებოდა. ეს არის იდეა მუშათა კლასის დაუშრეტელი რევოლუციური ენერჯისა, რომელსაც ვერაფრითარი ძალა და ტერორი ვერ შეაშინებს. ამ თვალსაზრისით იყო „გახსნილი“ და გაშუქებული ყველა როლი. ფსიქოლოგიური და გარეგნულ-მიმიკური ნახატი ყოველი მხატვრული სახისა, განათების რთული სისტემა, სარკეების გამოყენება სცენაზე, კინოს ჩაწვნა მოქმედებაში, რადიო, მუსიკა, გაფორმების თავისებურებანი, რაც შესაძლებლობას აძლევდა მაყურებელს მწვავე დაპირისპირებაში დაენახა მუშათა კლასის თავგანწირული ბრძოლა და სოციალ-გამყიდველთა ბურჟუაზიული „მწვერვალის“ შეტოვრებული, გახრწნილი ყოფა-ცხოვრება. და როდესაც ბოლოს სცენა წითლად ნათლებოდა და საპყრობილეში მყოფი, მხნე, გაუტეხელი ენერჯისმქონე მუშა-რევოლუციონერები მიმართავდნენ საზოგადოებას სიტყვებით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ — ეს წამოძახილი ისმოდა, როგორც რწმენა ბედნიერი მომავლისა და მოწოდება ბრძოლისაკენ ძალმეომ-

რებისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

ასევე ერთი იდეის ნიშნით იყო გამსკვალული დაუფიქარი სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“. აქაც ყველაფერი და ყოველივე, რაც კი სცენას გააჩნია, გამოყენებული იყო იმისთვის, რომ მაყურებლის წინაშე გადაშლილიყო დრამატიული პათოსით აღსავსე ბრძოლა გონებისა ფანატიზმთან და გონების იდეური გამარჯვება ფანატიზმისა და ცრუმორწმუნეობის ბნელ ძალებზე.

მსახიობი ყოველთვის ცენტრალური ფიგურა იყო თეატრში მარჯანიშვილისთვის. მისი უდიდესი დამსახურება ქართულ თეატრის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან აღზარდა ბრწყინვალე პლეადა ჩვენი მსახიობებისა, რომლებიც დღესაც აშშვენებენ ქართულ სცენას და ალტაცებას იწვევენ თავიანთი ოსტატობით. კ. მარჯანიშვილი დიდი სიყვარულით და მონდომებით მუშაობდა მათთან. მან გაზარდა ისინი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაამდიდრა თანდათან მათი ოსტატობა, გა-

აღრმავა ემოციონალობა; გააფართოვა მათი ამპლუა და სცენიური დიაგნოზი, ფართო ზეა მისცა მათ. შესანიშნავ ნიჭსა და ბრწყინვალე მსახიობურ მოწყობებს.

თავის 40 წლის სცენიური მოღვაწეობის მანძილზე კოტემ განახორციელა სამასზე მეტი დადგმა, მათ შორის 70 საქართველოში.

სიკვდილის წინა ხანებში უკანასკნელად მოსკოვის მცირე თეატრში მან დადგა შილერის „დონ-კარლოსი“, რისთვისაც 1933 წლის ზამთარში გაემგზავრა მოსკოვს. ის გულთბილი წერილით გამოეთხოვა დასს, როგორც ეს ყოველთვის ჩვეოდა, როდესაც დროებითი სადმე მიდიოდა, მაგრამ ეს დროებითი განშორება სამარადისო განშორებად გადაიქცა.

კოტე იწვოდა შემოქმედებითი ცეცხლით მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე და ჩაიფერფლა კიდეც. ის გარდაიცვალა უეცრად. სულ რამდენიმე წუთში დალია სული ტვინში სისხლის ჩაქცევით 1933 წლის 17 აპრილს, განთიადზე, მოსკოვში.

მალა კლასიკური

ქართული ჟურნალი „საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოყვანა“

*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 26 წლის თავის შემდეგ დაკავშირებით სახელმწიფო მუზეუმმა „მეტეხმა“ და საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირმა სამხატვრო გალერეაში მოაწყეს დიდი გამოფენა „საქართველოს სახვითი ხელოვნება“. აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი არიან სურათები მხოლოდ ამ ორ შემოღობულ ორგანიზაციათა ფონდებიდან. ამიტომაც, რომ ამ გამოფენისათვის სპეციალურად ახალი სურათები არ არის დახატული, ხოლო, რაც შეეხება საბჭოთა ფერწერის განყოფილებას, იქ გამოფენილ სურათებიდან თითქმის დიდი უმრავლესობა უკვე ნახული აქვს ჩვენს მაყურებელს შარშანდელ საიუბილეო გამოფენაზე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ქართული ფერწერის დარბაზში ექსპონირებული სურათები დიდი ყურადღების ღირსნი არიან და იმდენად დიდ ინტერესს წარმოადგენენ, რომ თანამედროვე ქართული საბჭოთა ფერწერის დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას მთელი რიგი საკითხებისა.

არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ მიერ ექსპონირებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული რევოლუციამდელი ფერწერის ნიმუშები. გამოფენის

ეს განყოფილება საინტერესოა უთუოდ იმით, რომ მაყურებლის თვალწინ იშლება გზა, რომელიც გაიარა ქართულმა ფერწერამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მაყურებელი პხედავს როგორ ვითარდებოდა ქართული ფერწერა და როგორი ტრადიციები უანდერძა მან საბჭოთა ქართულ ფერწერას. ცხადია, 50-მდე ექსპონატი, რომელიც „მეტეხის“ მუზეუმმა თავის ფონდებიდან გამოჰყო ამ გამოფენისათვის, ვერ გამოხატავს ქართული ფერწერის მთლიან სურათს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მხატვარი მეტად დამახასიათებელი სურათებით არის წარმოდგენილი, ასე რომ, თუ მთლიანად არაა, ნაწილობრივ მაინც მაყურებელმა შეიძლება იქონიოს ამათი მხატვარზე თავისი წარმოდგენა.

პირველ ყოვლისა, „მეტეხის“ დარბაზში მაყურებლის ყურადღებას იპყრობენ გიგო გაბაშვილის მხატვრული ტილოები.

რაც დრო მიდის, გაბაშვილის, როგორც მხატვარის სახელი, სულ უფრო დაუფრო იზრდება. ეს აიხსნება უთუოდ იმით, რომ გაბაშვილი დიდი და ნამდვილი რეალისტი. მე-19 საუკუნის ჩვენი ბუმბერაზი მწერლები მრავალ თაობებს ზრდიდნენ მებრძოლი და კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებზე. გაბაშვილი ილია ჭავჭავაძის რეალიზმზე აღზრდილი მხატვარია. მისი

ნაწარმოებების პირველი გამოფენა 1891 წელს მოეწყო და ეს იყო „თერგ-დალეული“ მხატვრის პირველი გაბათ-სება თავის ხალხთან. ამდროიდან და-წყებული, ვიდრე სიცოცხლის უკანას-კნელი წუთამდე (1936 წ.), გიგო გა-ბათულის ქართული რეალისტური ტრა-დიციისათვის არ უღალატნია, მიუხედა-ვად მრავალი „ცდუნებისა“, რომელიც დასაველეთ ევროპისა და რუსეთიდან შემოდრიოდა საქართველოში სხვადა-სხვა „იშემების“ სახით. 1889—1905 წლები ითვლება გაბათულის შემოქ-მედების საუკეთესო ხანად. პირველ მსოფლიო ომამდე გაბათული თითქმის ერთადერთი მხატვარია, რომელიც, ასეთუისე, ცნობილი იყო საზოგადოე-ბისათვის. მართალია, სწორედ ამდროს ქმნიდა თავის შედეგებს ნიკო ფიროს-მანიშვილი, მეტადრე 1905—1908 წლებში, მაგრამ ფიროსმანიშვილი ხომ „ფსიქერზე“ მოღვაწეობდა. საფიქ-რებელია, როდესაც 1916 წელს ფი-როსმანიშვილი „ამოტივტივდა“ ქარ-თული საზოგადოების ზემო ფენებში, მხატვართა საზოგადოების იმ ცნობილ სხდომაზე, სადაც ფიროსმანიშვილი მოიყვანეს, ალბათ გიგო გაბათულიც ესწრებოდა. ეს იქნებოდა პირველი და უკანასკნელი მათი შეხვედრა. არ შეი-ძლება, რომ ფიროსმანიშვილს გაბა-თულის სურათები ნახული არა ჰქონო-და, ამისათვის მას საკმაო შემოქმედე-ბითი, პროფესიული ცნობისმოყვარეო-ბა ჰქონდა. ვარდა ამისა, ზევს დრო-მოკმულ ლეგენდად მიგვაჩნია ფიროს-მანიშვილის უკულტურობასა და პრი-მიტიულობაზე ლაპარაკი. რაც შეეხე-ბა გაბათულის, უნდა ვიფიქროთ, რომ ფიროსმანიშვილის ფერწერა მისთვის ყოველ შემთხვევაში ორგანულად მიუ-ღებელი იყო, თუკი იგი მას საერთოდ იცნობდა. ერთხელ—შეკითხვაზე, თუ ვისა სთვლის იგი ნამდვილ მხატვრე-ბად თავის თანამედროვეთა შორის, გიგო გაბათულიმა სამი მხატვარი და-

გვისახელა. ესენი იყვნენ: ცნობილი პეიზაჟისტი ზანკოვსკი, რომელიც უმ-თავრესად მთებს ხატავდა, ბაშინჯა-ლიანი და მარინისტი სტანისკი. და ეს არც იყო გასაკვირველი, რადგან გაბა-თული და ფიროსმანიშვილი თავიანთი მსოფლშეგარძნებით, მხატვრული მა-ნერით და სტილით დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ცხა-დია, დღეს ჩვენთვის არ არსებობს ასეთი ღრმა უფსკრული ამ ორ დიდ ქართველ მხატვართა შორის. სხვადა-სხვა გზით, სპეციფიკური, ინდივიდუა-ლური თვისებებისა და მხატვრული განმასხვავებელი ფორმის შენარჩუნე-ბით, ისინი მაინც ერთსადაიმამეე ნა-ციონალურ, ხალხურ ხელოვნებას ემ-სახურებოდნენ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ თემატიკურ პარალელს. გაბა-თულის და ფიროსმანიშვილსაც იტა-ციებენ ხალხური, მასობრივი სცენები. ამის განსახიერებისათვის გაბათული ხატავს მრავალ სურათს. საკმარისია დავასახელოთ „ალავერღობა“, „ლამის თევა სასაფლავს ეკლესიასთან“, „ჭი-დაობა“, „ობა“, „დღეობა ხევსურეთ-ში“ და სხვა... ცნობილია ფიროსმანი-შვილის მრავალი სურათები, სადაც გა-მომხატულია ნადიმები, რთვლები, ქორ-წილები და დღეობები. მაგალი, „ლხი-ნი ქართლში“, „რთველი“, „ქორწილი კახეთში“, „დღეობა ცხენის-წყალზე“, „ხუთი თავადის ქეიფი“, „დღეობა ბოლნისში“ და სხვა.

როგორც გაბათულის, ისე ფიროს-მანიშვილის ნამდვილი დაფასება და აღიარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფ-ლების დროს მოხდა 1929 წელს. გა-ბათულის მიენიჭა სახალხო მხატვრის საპატიო სახელწოდება. 1934 წელს მოეწყო მისი 50 წლის სამხატვრო მო-ღვაწეობის საიუბილეო გამოფენა. მაგ-რამ ყველაზე დიდი გამოფენა გაბათუ-ლის სურათებისა მოეწყო მხოლოდ 1940 წელს, როდესაც ექსპონირებუ-ლი იყო მისი 278 ნაწარმოები. ნ. ფი-

როსმანიშვილის სურათების დიდი გამოფენა მოეწყო 1938 წელს (110 სურათი). სამწუხაროდ, თუ გაბაშვილი, ასეთივე თავის დამახასიათებელი სურათებით არის წარმოდგენილი ჩვენს გამოფენაზე, სამაგიეროდ ფიროსმანიშვილი მეტად ღარიბადაა ექსპონირებული; მხოლოდ ორი ნატურმორტი და „შველი“. „შველი“ უთუოდ ანიმალისტიკის პატარა შედევრს წარმოადგენს. იგი შვლის ნუკრია უფრო, თითქოს ამოჭრილი ყოფილიყოს, ისეთის რელიეფურობით არის დახატული. სურათში სიღრმეც არის და პერსპექტივაც, სადაც გამოხატულია ბალახის ღეროები. არის თუ არა ფიროსმანიშვილი „პრიმიტივისტი“? სიტყვა „პრიმიტივისტი“ იმპერიალიზმისდროინდელი ხელოვნებათმცოდნეობის გამოგონებაა. ბურჟუაზიული კულტურის უნაყოფობისა და განწირულების შეგრძნობით აღსავსე, იგი „პრიმიტივისტის“ უპირდაპირებდა ცივილიზაციას და კულტურას. „პრიმიტივისტი“ მხატვრები განგებ გაუბრალოებულ ფორმებში გამოხატავდნენ მხატვრულ სახეს, რისთვისაც ხშირად „ველურ ხალხთა“ და პირველყოფილ მხატვრობის ხერხებსაც კი იყენებდნენ. ფიროსმანიშვილი უსაზღვროდ ბუნებრივია და თავისებური. იგი არ ბაძავს არავის და არც განგებ აუბრალოებს თავის მხატვრობას. იგი შესცქერის ქვეყანას, წინასწარაღებულ ან გადმოღებულ, სხვისგან ნასესხები, აზრის გარეშე.

ფიროსმანიშვილის გამოვლინება უტყუარი მოწმობა იყო იმ უდიდესი შემოქმედებითი ძალისა და ენერგიის, რომელიც პოტენციალურად დაგროვილია ხალხის წიაღში. ქართული ფრესკა და მინიატურა, ორნამენტი და აბრა—ი ნამდვილი ძირები მისი ხელოვნებისა. და აქედან გამომდინარეობს ის ფერადული ვიბრაცია, რომელიც ასე დამახასიათებელია მისი

კოლორიტისათვის; აგრეთვე ნახატის და ფონის ერთ დეკორატიულ-ორნამენტალურ მთლიანობაში გადმოცემა. ქართული ხალხური კონსტრუქციების ტიპებისა და სცენების ენაურთი სიღრმე-ჯივით გადმოცემა, იგი უცილდურესობამდე თანამედროვე იყო, რადგან ხატავდა მხოლოდ იმას, რასაც მას ხალხი ჩასჩურჩულებდა. და ამიტომ არის მისი ფორმა და შინაარსი ასე უბრალო, ძლიერი და ხალხური.

ფიროსმანიშვილი ამთავრებს ქართული ფერწერის ერთს დიდსა და ხანგრძლივ პერიოდს, სამაგიეროდ გაბაშვილი ქართული ფერწერის ახალი ეტაპის დამწყებია, ახალი ქართული მხატვრობის შემქნელი.

საკმარისია ზერელედაც კი გადახედოს მაყურებელმა გამოფენაზე ექსპონირებულ მის ტილოებს, რომ დავერწმუნდეთ ამაში. „სამი მოქალაქე“ — პორტრეტული რეალიზმის შედეგია. ასეთივე შედეგები არიან „უცნობი თავადის პორტრეტი“, „ხევსურები და ზვერვაზე“, „ბოსტანში“, „ლამის თევა სასაფლაოს ეკლესიასთან“ და „წვიმის შემდეგ“.

არ შეიძლება აქ არ შევიჩრდეთ გაბაშვილის შემოქმედების ისეთ ბრწყინვალე ნიმუშზე, როგორიც არის „ბოსტანში“. ეს დიდი ზომის სურათი ყოველმხრივ ღირსშესანიშნავია. ერთსადაიმავე ტილოზე წარმოდგენილია—წინა პლანზე ნატურ-მორტი: საზამთროები, დოქი და საუზმის შემდეგ დარჩენილი პურისა და ყველის ნატეხები წითელ ქსოვილზე; შესანიშნავი ენერული სცენა: შუადღის პაპანაქებისაგან მოთენთილი და დასიცხული სამი ფიგურა, მარცხნივ მოხუცს ისე ჩასთინებია, რომ ეს-ეს არის ხელიდან ჩიბუხიც გაუვარდება, მესამე მოხუცი თვალდახუჭული ზანტად ჩიბუხს ეწევა, ეტყობა ისიც მალე მარცხენა მოხუცის მვალითის მიჰყვება და მასაც ჩაეძინება, ერთადერთი ახალგაზრდაა,

რომელიც ჯერ მაგრად არის და უძლებს პაპანაქებას, ის რაღაცას უამბობს თვალდახუჭულ მოხუცს. მაგრამ მოხუცი ალბათ ფიქრობს: თავი დაძანებ, რა ღროს ლაპარაკიო! ეს არა მარტო უბრალო ფიგურებია პეიზაჟის დასამშვენებლად, არამედ დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით და თხრობითი ნიჭით გადმოცემული რეალისტური სცენაა; და ბოლოს, რაც უთუოდ ზიზღავს მკითხველს ამ სურათში, — ეს პეიზაჟი და ცა, რაც უდიდესი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული. იშვიათია, ასეთი განწყობით და პერსპექტივის ღრმა ცოდნით განსახიერება პეიზაჟისა. წინა პლანზე ამოღებული ადგილის იქით უსაზღვროდ იშლება პეიზაჟი, მკითხველი გრძნობს, რომ მას დასასრული არა აქვს, შორს, გრძელდება პაპანაქებით დასიციხული და ამომწვარი დედამიწა, ცაზე არცერთი ღრუბელი; შესანიშნავად არის გადმოცემული ცის საშუალებით პაპანაქება. საერთოდ სიციხის ასეთი სიმღიერით გადმოცემას ფერწერაში იშვიათად თუ ნახავთ სადმე. გასაკვირველიც არ არის, თუ დიდ ილია ჭავჭავაძეს ეს სურათი ძალიან მოსწონდა.

„ხევსურები დაზვერვაზე“ — ქართული, ნაციონალური პეიზაჟის შექმნის შესანიშნავი ნიმუშია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ხევსურთა ათი ფიგურა არ არის სურათზე და მხოლოდ მთიანი პეიზაჟია, სურათი მაშინაც კი ამით არაფერს არ დაკარგავდა. მაგრამ გაბაშვილი გაბაშვილი არ იქნებოდა, უდამიანოდ პეიზაჟი რომ დაეხატა. „ხევსურები დაზვერვაზე“ — გაბაშვილის უდიდესი ნაწარმოებია. ჩვენი მხატვრები ცოდნას და ძალღონეს არ ზოგავდნენ ქართული ნაციონალური პეიზაჟის შექმნისათვის: ზოგი ფორმალისტური გზით ცდიდა, ზოგი ნატურალისტურით, ზოგს სხვა ქვეყნის პეიზაჟის დამახასიათებელი თვისებები მექანიკურად გადმოჰქონდა

ჩვენში. ცხადია ყველა მხატვარი ცდიდა უნაყოფოდ ჩაივლიდა. გაბაშვილის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იგი უშუალოდ მკითხველს ქართულ ბუნებასთან, შეისწავლა, შეიყვარა იგი და მოგვცა საქართველოს მთიანი ბუნების ნამდვილი, მართალი, რეალისტური სახე. მსოფლიოში ცნობილია ალპების მთების შესანიშნავი მხატვარი ჯიოვანი სეგანტინი, რომელსაც მართლაც მთიანი პეიზაჟის შექმნაში ბადალი არა ჰყავს. „ხევსურები სადარაჯოზე“ არამც თუ არაფრით არ ჩამოუვარდება სეგანტინის პეიზაჟებს, რეალისტური გრძნობით მაღლა დგას კიდევაც მათზე.

მისასაღმებელია გამოფენის მომწყობთა ინიციატივა ძველი ქართველი მხატვრების ჩვენებისა.

რომანოზ გველესიანი, რომელიც ვიგო გაბაშვილის საუკეთესო მეგობარი იყო, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სურათით „ქ. მაღალაშვილის პორტრეტი“. სურათი მცირე ზომისაა, მიუხედავად ამისა მეტად კარგი ფერწერით არის შესრულებული და ოსტატურად გაკეთებული. ა. ბერიძე ხუთი ნაწარმოებით არის წარმოდგენილი. იგი შესანიშნავი პორტრეტისტია. „სალამურზე დამკვრელი ბიჭი“ ეს პატარა შედევრია. ბიჭის თვალეში ისეთი ოსტატობით არის ღიმილი გადმოცემული, რომ არ შეიძლება ფრანს ჰალსი არ ჰოგავდნოდ. ხელებიც კარგად არის დახატული. მაშინ, როდესაც ამ სურათზე ახალგაზრდული, მზიარული, ჯანსაღი განწყობა არის გადმოცემული, ცხოვრების სულ სხვა პოლუსს გადმოგვცემს „მოხუცი“, სადაც უკბილო ბებერი მწარედ იღიმება. ორივე შემთხვევაში ძალიან ეხერხება ა. ბერიძეს ღიმილის გადმოცემა.

კარგი პორტრეტებია ვლ. სიღამონერისათვის „ქალის პორტრეტი“ და გ. მესხის „ქალის პორტრეტი“ მაგრამ ამ ორ მხატვრის უფრო ნაყოფიერი და

საყურადღებო ნაწარმოები საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის.

გ. ზაზიაშვილი გიგო გაბაშვილის რეალისტური რეალის მხატვარია. დღეს იგი თითქმის 80 წლის მოხუცია. მას თავის სიცოცხლის გრძელ გზაზე ბევრი უნაზავს, ბევრი განუცდია, მის თვალწინ იშლებოდა გ. გაბაშვილისა და ნ. ფიროსმანიშვილის მხატვრობის საუკეთესო პერიოდები. მაგრამ გ. ზაზიაშვილი მიუხედავად ზანდაზმულობისა, დღესაც ნაყოფიერად მუშაობს, რის დამამტკიცებელია, მაგ., შარშან საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირებული მისი სურათი „საბჭოთა კავშირის გამორის გეგმიძის პორტრეტი“. გ. ზაზიაშვილი არ ღალატობს რეალისტურ ხედვას. რეალისტურია ამ გამოფენაზე წარმოდგენილი, მისი ძველი პორტრეტებიც: „ღარვიში“, „ღვინის გამყიდველი“ და „ზაქარია კიკინაძის პორტრეტი“. ცოცხალი ფიგურებია, სიმართლით გადმოცემული, თავისი დამახასიათებელი თვისებებით და ატრიბუტებით, მაგრამ მინც იგრძნობა, რომ თქვენს წინ უფრო მენატრება.

ალექსანდრე მრეველიშვილი (1866—1933) იდეური რეალიზმის დიდი წარმომადგენელია ქართულ მხატვრობაში. იგი სწავლობდა მოსკოვში ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელში (1884—1889). გამოფენაზე ექსპონირებული ოთხი პატარა შედეგია, იდეური, სოციალური რეალიზმის მიღწევას წარმოადგენენ: „კანცელარიის წინ“, „დიბალი ღობე“, „კალოზე“ და „შარაგზაზე“. თამამად შეიძლება ითქვას; ამ ოთხი სურათის მეტი რომ არაფერი დაეხატა ალ. მრეველიშვილს, მისი სახელი მინც უკვდავი იქნებოდა. ყველა ეს სურათი მხატვრისათვის საყვარელ მცხეთა-არაგვის პეიზაჟს გამოხატავს. შესანიშნავად არის, მაგალ., გადმოცემული სურათი „კალოზე“ შორს სიღრმეში მოცემული არაგვის ხეობის პეიზაჟი. მართალია, არაგვი არა ჩანს, მაგ-

რამ მისი ხეობის დამახასიათებელ ფერწერით იგრძნობა იგი. „დაბალი ღობის“ პეიზაჟი იგივე მცხეთას ეკუთვნის უდიდესი ტრაგედია არის გათამაშებული. ამ სურათს რომ უცქერია, გასაგები ხდება, თუ პარიზში ყოფნის დროს, რატომ უყვარდა ალ. მრეველიშვილს ფ. მილე და ე. ბესტიენ-ლეპატი. მხატვარი პეიზაჟს პეიზაჟის გულსათვის არასდროს არ ხატავს, მას უფრო აინტერესებს ის დრამა ან იდილია, რომელიც მის ფონზე ხდება. ალ. მრეველიშვილს იზიდავს ადამიანი და ადამიანის ცხოვრება, მისი ქირ-ვარამი, მისი სიხარული და უბედურება. „დაბალი ღობე“—სოციალური რეალიზმის შედეგია. სახელწოდება ორმაგი მნიშვნელობის მქონეა: მართლაც სურათს დიაგნოზურად სკრის დაბალი ღობე, რომლის გადასვლა მეტად იოლია, და დაბალი ღობეა ამ ნაცემი გლეხის ოჯახი, საიდანაც მამასახლისმა წაიღო ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა.

ასეთივე ხასიათისაა „კალოზე“. ცენტრში მდგარი გლეხის სახეზე უდიდესი ტრაგედიაა გამოხატული. ეს არა მართო ფიზიკური დაღლაა, არამედ სოციალური ექსპლოატაციის ფსიქოლოგიურად გადმოცემა.

ალ. მრეველიშვილმა პირველმა წამოაყენა ქართულ მხატვრობაში სუფეტნი სურათის პრობლემა. მისი სურათები არ წარმოადგენენ ჩარჩოში ჩამყვდულ სტატიურ მომენტებს. მის სურათში უსათუოდ რაიმე „ამბავი“ ხდება, ამიტომ მას უფრო ახასიათებს არა ის, თუ „რა არის“ სურათში, არამედ ის, თუ „რა ხდება“, ამბავია ალ. მრეველიშვილის ძალა და სწორედ ამ მხრივ უნდა იყოს მისი შემეკვიდრება შესწავლილი სოციალისტური სუფეტის შექმნის დროს. თუ შევადარებთ ალ. მრეველიშვილის ამ სურათებს გიგო გაბაშვილის სურათებთან, უნდა ითქვას,

რომ გაბამვილის რეალიზმისაგან განსხვავებით, მრევლიშვილის რეალიზმის მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მხატვრის თხრობითი ნიჭი. მრევლიშვილი უთუოდ რომელიმე მომხდარ ამბავს მოგვითხრობს, ამ მხრივ იგი უფრო ნოველისტია, ვიდრე დრამატურგი. „დაბალი ლობე“—შესანიშნავი ნოველაა, მაგრამ სურათში ამ ნოველის დრამატული მომენტი უკვე წარსულში დარჩა, იგივეა სხვა სურათებშიაც, იმ განსხვავებით, რომ „კალოზე“ დრამა ჯერ არ „გათამაშებულა“, მაგრამ იგი უკვე აშკარად მოახლოებულია. თვითონ „დრამა“ არც მეორე სურათზე მხატვარს არ აქვს გადმოცემული, მაგრამ მაცურებელი ავსებს გონებით იმას, რაც უკვე მომხდარა „დაბალი ლობის“ იქით და რაც მოხდება „კალოზე“.

ბუნების შესანიშნავი იდილიური განწყობით არის დახატული პატარა შედეერი „შარაგზაზე“. შუადღის პაპანაქება ოსტატურად არის ფერწერის საშუალებით გადმოცემული: მოლურჯო, იისფერი სიღრმე საესეა ჰაერით და მზით დასაცხულ ატმოსფეროთი. შორს პორიზონტი უერთდება მომწვანო-ნაცრისფერ მიწას. ეს იგივე, მხატვრისათვის საყვარელი, მცხეთის პეიზაჟია, ადამიანის და ცხოვრების ფიგურებით გაცოცხლებული. კარგია ცხენზე მჯდომი ჩოხოსანი, ოდნავ გადმოზნექილი მელუქნისკენ; ცხენი, რომელიც აკაცანებულ ქათმებს შესცქერის, და მელუქნე დიდი ხალისით რომ უსხამს დოქიდან გამაგრილებელ და წყურვილისმომგვლელ წითელ ღვინოს. ვანრულ, ყოფა-ცხოვრების სცენას წარმოადგენს სურათი „კანცელარიის წინ“. ალ. მრევლიშვილის სურათი გადმოგვცემს იმდროისათვის მეტად ტიპურ და დამახასიათებელ სცენას ქართული სოფლის ცხოვრებიდან, რაც დიდი რეალისტური სიძლიერით არის გადმოცემული. პირველ შეხედვით აწ

თითქოს სტატიური სცენაა, ხელი ერთი მეორისაგან განცალკევებით განლაგებული ჯგუფებით. მაგრამ აქაც ალ. მრევლიშვილის თხრობითი უნარი აცოცხლებს ამ „სტატიურობას“. მთელი პატარა ნოველა შეიძლება დაიწეროს ამ სურათის მიხედვით, იმდენად მკერმეტყველად და დამახასიათებელი სახით არის გადმოცემული გლეხების ფიგურები: კიბის ქირში დედაბერი პატით ხელში; წინა პლანზე მაცურებლისკენ ზურგით მოქცეული ყუთზე მჯდარი ჩაძინებული გლეხი თავის ბიჭუნათი; შორს მარცხნივ ორი ფიგურა, და მარჯვნივ სამი ფიგურა, ერთი მათგანი ხელს ართმევს გლეხს; ეტყობა ჩარჩი საჩივლელად მოსულა, მაგრამ შუაკაცი ცდილობს მათს შერიგებას. ამ სურათში ალ. მრევლიშვილის თხრობითი ნიჭი პლასტიკურობის დიდ მწვერვალს აღწევს. ალ. მრევლიშვილის მხატვრობა ქართული ფერწერის ოქროს ფონდია. და იგი საკითრებს უფრო დაკვირვებულ და ღრმა შესწავლას.

მოსე თოდბის ძველი სურათები, რომელნიც ექსპონირებულია გამოფენაზე, საკმაოდ ამტკიცებენ იმ დებულების სიმართლეს, რომ მხატვარი უნდა იყოს თავისი სპეციალობის დიდი ტექნიკოსი და მას უნდა აინტერესებდეს ფერწერის ტექნიკურ-ესთეტიკური საკითხებიც. ყველა ეს სურათი „წიზია ხალათი“, „მრეცხავი“, „ეზრაელი“, „ლუკი“, „კვაზარი“, გარდა იმისა, რომ გარკვეული სუეტის, ან ტიპის განსაზიერებას წარმოადგენენ, საყურადღებონი არიან იმით, რომ მხატვარს, როდესაც იგი სწერდა ამ ტილოებს, აინტერესებდა აგრეთვე მთელი რიგი ფერწერითი საკითხებისა, როგორც, მაგალითად, კომპოზიციის, სინათლე-ჩრდილის და სხვა. აი „მრეცხავი“. სინათლის წყარო სიღრმეში, მრეცხავი ქალის ფიგურის უკანა მხარეს იმყოფება, სინათლე ღამაზად ელვარებს სა-

რეცხზე, საპნიან წყლის წვეთებზე სინათლისაგან აკრიალებული რომ ჩამოცვივიან გობში, სინათლის შუქი აგრეთვე გობზეა, იატაკზე. ასევეა „ზიზია ხალათი“. საინტერესოა თემატიკურად, კარგად მოფიქრებულია კომპოზიციის მხრივ, მაგრამ იგი ბევრად უფრო საინტერესო ხდება სინათლის საკითხის შესანიშნავად გადაწყვეტის გამო. ცხადია, აქ სინათლე—მხატვრისათვის სურათის მთავარი მომქმედი პირი კი არ არის, არამედ საშუალებაა, რითაც იგი უფრო დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. აქ სინათლე გამოყენებული აქვს მ. თოიძეს ისე, როგორც ყველა ნამდვილი რეალისტი — მხატვარი იყენებდა მას. აგრეთვე „ებრაელი“: სინათლის წყარო მარცხნიდან აშუქებს ებრაელის ფიგურას, სინათლის ელვარება ებრაელის ზურგზედაც კი არის. კარგადაა დამუშავებული „ლეის“ სახე.

მოსე თოიძე მეტად ნაყოფიერი მხატვარია. მან დიდი და საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა დაწყებული 1901 წლიდან, როდესაც მისი საკონკურსო სურათი „მცხეთობა“ დაჯილდოებული იყო ოქროს მედლით. მხატვარი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახლაც ისეთივე შრომისმოყვარე და ნაყოფიერია, როგორც უწინ იყო. მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენადაც უწინ მ. თოიძეს აინტერესებდა სპეციფიკური ფერწერითი საკითხები, იმდენად დღეს მას რატომღაც ეს საკითხები უგულვებელყოფილი აქვს.

ქეთო მაღალაშვილი ცნობილია, როგორც ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტისტი. ადამიანის სახე მუდამ ყოფილა და არის ქ. მაღალაშვილის დაკვირვებული ანალიზის და მხურვალე შეგრძნობის ობიექტი. ამიტომ არის, რომ მხატვრის ოსტატობა პორტრეტში, პირველ ყოვლისა, ადამიანის სახის გამოხატვაში ვლინ-

დება. იგი ყოველთვის ეძიებს ადამიანის სახეში იმ განუზორობელს და სუბიექტიურს, რაც ამოთქმს ადამიანს ახსნავებს მეორისაგან. მაღალაშვილის პორტრეტი ყოველთვის ისეთნაირ ოსტატობით არის გაკეთებული, რომ თუ მკითხველს, მაგალითად, არც კი უნახავს ცხოვრებაში ის ადამიანი, რომლის სახეც განსახიერებულია ტილოზე, მაინც გვარწმუნებს თავისი უმცირესი დეტალებითაც კი, რომ სწორედ ასეთი და არა სხვანაირი უნდა ყოფილიყო თვითონ მოდელი. დამაკვირვებლობის ასეთი დიდი ძალა აქვთ ქ. მაღალაშვილის საუკეთესო პორტრეტებს, მათ შორის აქ გამოყენილ ტილოებს: „იაკობ ნიკოლაძე“, „ელენე ახვლედიანი“ და „ი. ნაზარიშვილი“. აგრეთვე საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირებული „ვერ. ანჯაფარიძე“ და „გ. გომიშვილი“. ჩვეულებრივად ასეა, რომ საერთოდ მხატვარს ის პორტრეტი გამოუვა კარგად, რომლის მოდელიც მას იზიდავს. ქ. მაღალაშვილის პორტრეტების საუკეთესო ციკლს წარმოადგენს სწორედ ის, სადაც ხელოვნების და ლიტერატურის ადამიანები არიან გამოხატულნი. ამ პორტრეტებშია იგი უფრო ძლიერი, რადგან ეს მხარე უფრო ახლობელი, მიმზიდველი და საყვარელია მისთვის. აქ ქ. მაღალაშვილი არა მარტო სახის მიმსგავსებას აღწევს, არამედ თავის თემატიკურ ამოცანას ნამდვილ ფერწერის საშუალებებით და ხერხებით ანხორციელებს. ამ მხრივ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი პორტრეტები ქ. მაღალაშვილის პორტრეტისტიკის უდავო შედეგებია, მეტადრე ი. ნიკოლაძის და ელ. ახვლედიანის პორტრეტი.

მხატვარს მეტად ძვირფასი თვისება აქვს — მოდელის გამოცნობის, მისი ფსიქო-ფიზიოლოგიურ თვისებებში ჩაწვდომისა და ჩასიათის დაჭერის საუცხოო უნარი. არა პასიური წარმოსახვა, არამედ შემოქმედებითი ხელახალი

აღდგენა, რადგან ნამდვილ მხატვრის სურათში აღამაინი ხელმეორედ იბადება, არა ილუზორული მსგავსების, არამედ უმაღლესი პარალელიზმის სახით. ამის დამამტკიცებელია კ. მალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტები: „ამხანაგ სტალინის პორტრეტი 1905 წ.“, რომელიც 1937 წლის საიუბილეო გამოფენაზე იყო ექსპონირებული. „ამხანაგ სტალინის პორტრეტი 1947 წ.“ „ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის პორტრეტი“ საყოველთაოდ ცნობილი „თამარ მეფის პორტრეტი“ და სხვა მრავალი.

მისასალმებელია „მეტეხის“ მუზეუმის ინიციატივა შალვა ქიქოძის ზოგიერთი სურათების ჩვენებისა. ეს დაუ-მსახურებლად დაიწყებული, მეტად ნიჭიერი და ფრიალ კულტურული მხატვარი ნაადრევად გარდაიცვალა, 1922 წელს, იმ დროს, როდესაც მისი შემოქმედება გაფორმების პერიოდში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო მას ქართული ფერწერისათვის, მაგრამ, რაც მან გააკეთა, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ შ. ქიქოძემ ქართული ფერწერის განვითარებაში დაიკავოს სათანადო ადგილი. მეტად თავისებური და ორიგინალური მხატვარი იყო შალვა ქიქოძე. ჩვენ კარგად გვახსოვს მისი სურათები 1919 წლის გამოფენებზე. მხატვარი დიდის სიყვარულით და ბუნების თავისებური შეგრძნებით გვიხატავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟებს და ხალხს, მეტადრე აჭარას, გურიას და ხევსურეთს. სინტერესოა, რომ გურიისათვის მხატვარმა ექსპრესიული, დინამიური ხაზები და ინტენსიური ფერები გამოიყენა, მაშინ, როდესაც ხევსურეთი მას უფრო სტატიურად, უძრავად აქვს წარმოდგენილი. მოვიფიქროთ, მაგალითად, მისი დიდი ტილო „ხევსურეთი“, სადაც წინა პლანზე გამოხატულია სცენა წყაროსთან, სიღრმეში კი ჩიბუხიანი მოხუცები და სოფე-

ლი. იმ დროისათვის, როდესაც მხატვარი ამ სურათებს ხატავდა, გურიის აჭარის და ხევსურეთის მსგავსი გამოფენები მეტად დამახასიათებელი იყო ამ მხარეების ყოფა-ცხოვრებისათვის. ავიღოთ, მაგ., გამოფენაზე ექსპონირებული „გურული ქალი“. მეტად ექსპრესიული, დინამიური პეიზაჟური ფონი სპირალებით და რკალებით (დობეები, სახლები და სხვ.). წინ მუხლამდე მოცემულია გურული ქალის ფიგურა მოყავისფერო ტანსაცმელში, ღია მოყავისფერო კოკით ხელში. მოთეთრო სახე თეთრი თავშალისაგან თმის შავი ნაწნავებით არის გამოყოფილი. მარჯვნივ ხის შიშველი ღერო გველივით შემოხვეული წვრილი წნულით. შესანიშნავად არის დახატული ქალის ხელები, რომლითაც იგი მაგრად ჩასქიდებია კოკას, თითქოს ეშინია, არ გაუვარდეს ხელიდან და წყალი არ დაეღვაროს. წელს 25 წელი სრულდება შალვა ქიქოძის გარდაცვალებიდან და კარგი იქნებოდა, ამ თარიღთან დაკავშირებით მოწყობილიყო მხატვრის ინდივიდუალური გამოფენა.

ელენე ახვლედიანი „მეტეხის“ მუზეუმში წარმოადგინა მისი ორი ძველი ნამუშევარი: „ძველი თბილისი“ და „პარიზის კუთხე“. როგორც ცნობილია, მხატვარი 1924—27 წლებში პარიზში იმყოფებოდა და ვისაც ახსოვს მისი იმდროინდელი სურათები დაგვეთახხმება, რომ საზღვარგარეთული ფერწერის ტექნიკური მიღწევები მას ათვისებული აქვს თავისი საკუთარი შემოქმედებისათვის კრიტიკული გამოყენებით. ელ. ახვლედიანი არასდროს ბრმად არ მისდევდა არც ერთ „იზმებს“, იგი არ გახდა იმპრესიონისტიც. მის პეიზაჟებს სრულიად არ ახასიათებს ატმოსფეროს ვუალირება. ქალაქის პლენერი მხატვარს გადმოცემული აქვს სინათლის ვიბრაციით და გამჭვირვალე ჰაერით, და ქუჩის პოლიქრომა ყოველთვის ეყრდნობა ყოფითს რეა-

ლიზმს. საინტერესოა და დამახასიათებელი მხატვრის იმდროინდელი განვითარებისათვის, რომ მას სულ არ აქვს წარმოდგენილი მე-20 საუკუნის ინდუსტრიული და არქი-ბურჟუაზიული პარიზის ფეშენებალური კვარტალები. პირიქით, მხატვარი გატაცებული იყო მონმარტის ძველი ქუჩებით, ქალაქის განაპირა, ლარიბი მოსახლეობით სავსე, უბნებით და მიდამოებით, რაც დიდი ინტიმური სიყვარულით და რეალური პროექციით აქვს გადმოცემული. ყოველგვარი დეტალი აქვს მას გამოყვანილი ბეჯითად: ქუჩის აბრები, ხეების ფოთლები და ტროტუარზე მიმავალი ადამიანის ფიგურები. ამ მხრივ დამახასიათებელია ელ. ახვლედიანის სურათი „პარიზის კუთხე“.

ლადო გუდიაშვილი ორი ძველი სურათით არის წარმოდგენილი. „სადღეგრძელო ალიონზე“ დამახასიათებელია მხატვრის მთელი დიდი განვლილი პერიოდისათვის, როდესაც იგი გატაცებული იყო ძველი თბილისის ყოფაცხოვრებით და მისი ტიპაჟით. მარჯვნივ სამი ყარაჩოღელი ღამის ქეითისაგან მოთენთილი. მარცხნივ—ქალი ყანწით ხელში. შესანიშნავად არის დახატული თეთრი სუფრა გადაყირავებულ ბოთლით და შამფურზე აგებულ მწვადით. უკვე თენდება, ცა იწმინდება, ლურჯი სუფთა ფერი სინათლის საუცხოო ეფექტით არის გადმოცემული. „ფიროსმანიშვილის სიკვდილი“ მარტო კონკრეტული ამბავის გადმოცემა როდია, დღეს საბჭოთა მსაყრებელი ამ სურათს უცქერის, როგორც ძველი დროის უკუღმართობის მამხილებელ დოკუმენტს: ფიროსმანიშვილი სარდაფში კვდება ყველასაგან მივიწყებული და მარტოდ-მარტო. მარტივი და ლაკონური ფერწერით და კომპოზიციური საშუალებებით მხატვარი უდიდეს ტრაგიულობას აღწევს. არ შეიძლება არ მოგვაგონდეს თვითონ მხატვრის მიერ აღწერილი ფიროსმა-

ნიშვილთან სარდაფში ნასვლამ მომენტი: „მე უკვე მოვასწარი მძი რთახის დათვალიერება, რომელიც ყბის-ქვეშ იყო მოთავსებული, მხატვარი კომდენიმე ნაბიჯი სიგრიტით და სიგანით. დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში იდგა საწოლი ჭუჭყიანი ქვეშავებით. კედელზე პატარა კოლოფი იყო მიკრული, ეს იყო მისი „შკაფი“. მეორე კუთხეში დაყრილი იყო სხვადასხვა ხელსაწყო ძღებავისა და მხატვრისა: ვედრო, მუშაშაბა, საღებავები, ფუნჯები და სხვა“. (ლ. გუდიაშვილი „შეხვედრა ფიროსმანთან“). შემადრწუნებელი სურათია იგი არასდროს არ დაძველდება.

დავით კაკაბაძის მხატვრობა, დაწყებული მისი პირველი გამოსვლიდან, მუდამ იყო კამათისა და დისკუსიის ობიექტი. ეხლაც მისი ყოველი ახალი სურათი ცხარე კამათს იწვევს, ზოგი სავსებით უარყოფს მას, ზოგს კიდევ პირიქით, ქების ღირსად მიაჩნია იგი. მართლაც არ შეიძლება გულგრილი და ნეიტრალური იყო მისი მხატვრობისადმი. დ. კაკაბაძემ დიდი და მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა გაწვლო, რომელიც ხასიათდება მუდმივი და შეუწყვეტელი ძიებებით. ზოგჯერ იგი შემცდარ გზას დაადგებოდა ზოლზე.

გამოფენაზე ექსპონირებულია დ. კაკაბაძის 1918 წლის სურათი „მხატვრის დედა. იმერეთი“. იგი ზის პროფილში პირველ პლანზე ხის კუნძზე, წინ-გამწერილი ხელებით ძაფსა რთავს. უნდა ითქვას, რომ ხელები შესანიშნავად აქვს მხატვარს დახატული: ძარღვიანი, ძლიერი და შრომისმოყვარე. დიდის გულმოდგინებით და ბეჯითად არის გამოხატული პირველი პლანის პეიზაჟური ნაწილი: თვალს ზიბლავს ხის კუნძის ძირში სოკოები, მარცხნივ ლილილოს ცისფერი ყვავილები, ღამაზი ბაბუწვერა, მანანას მოვარდისფერო ყვავილები, სამყურა და თეთრი პეპულა, რომელიც ნელნელა ფრინავს მწვანე კორღზე. ყველაფერი ეს დიდი სიყ-

ვარულით არის დახატული. ღობე, რომელიც თითქმის შუაზე სკრის სურათს, სიღრმის ილუზიას იძლევა: შორს გაქიმულან იმერეთის პეიზაჟური ხალიჩები. პირველი პლანი თითქოს სარკმელია, საიდანაც მხატვარი უცქერის სიღრმეში გაშლილ და შორს წასულ პეიზაჟის პანორამას. საერთოდ დ. კაკაბაძის იმდროინდელი იმერეთის პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია ზემოდან სპეციფიურ რაკურსით აღებული ბუნების ფართო პანორამა და სურათის არქიტექტორული აგებისადმი მისწრაფება. მხატვრის თემატიკური განზრახვა წრმოადგინოს თავისი საყვარელი დედა, როგორც მშობლიური იმერეთის განსახიერება და თავისი საყვარელი სამშობლო—იმერეთი, როგორც მშობელი დედა, ამ სურათში საუცხოოდ არის განხორციელებული. და მყურებელი სწორედ ასე ხსნის ამ სურათის თემას. სურათი მართლაც „კლასიკურია“, როგორც თავისი თემატიკურ-შინაარსობრივი, ისე კომპოზიციურ - ფერწერითი გადაწყვეტით. ამავე თემატიკურ რკალს ეკუთვნის „იმერეთის პეიზაჟი კოშკით“ (1919 წ.), ქართული ნაციონალური ნატურ-მორტის შექმნის ცდას წარმოადგენს დ. კაკაბაძის „ნატურ-მორტი“ (1918 წ.). აქ დამახასიათებელია მხატვრის მიერ შერჩეული საგნებიც კი: ჩალოთ დაცობილი ქოთანის, იმერეთში ე. წ. „ხრიკე“, ღვინის სახაპელა (ხაპია), ჭურის საწმენდი და ქვაბი. თეთრი სუფრა იმდენად ინტენსიურად არის თეთრი ფერით გაქდენილი, რომ რელიეფურობის ილუზიას ქმნის. სინათლის წყარო სურათის მარჯვენა მხრიდან არის აღებული, რაც აგრეთვე სუფრაზე განლაგებულ საგნების კონტურებს მკაფიოდ გამოყოფს. სიმარტივე და რეალიზმი, რომელიც მთლიანად ამ შესანიშნავ ნატურ-მორტს ახასიათებს, მონუმენტურობის შთაბეჭდილებას იძლევა.

საბჭოთა ფერწერის დარბაზში 44 მხატვრის 76-მდე სურათი უმსკვირვებელი გამოფენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეტროსპექტიულ ხასიათს ატარებს და მას არა აქვს პრეტენზია რაიმე ახალის ჩვენებისა. გარდა ამისა, სავსებით გასაგებია, რომ თითოეული მხატვარი აქ ვერ იქნებოდა სათანადო სისრულით წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ მხატვრების მიხედვით კი არ გადაგვებდნა ამ გამოფენისათვის, არამედ ყანრებისა. უკანასკნელი გარემოება უფრო საინტერესოდ ხდის გარჩევას, რადგან არასდროს არ იღვა მხატვრობაში თანამედროვე საბჭოთა თემატიკური სურათის პრობლემა ისე, როგორც დღეს. ამ მხრივ თუ შევხედავთ საბჭოთა ფერწერის დარბაზს, უნდა ვსთქვათ, რომ გამოფენის მომწყობებმა თანამედროვეობას სათანადო ალღო აუღეს და შეძლებისდაგვარად რიცხობრივად საკმაო სურათები გამოაფინეს თანამედროვე თემაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხთ სამამულო ომის თემაზე დახატულ სურათებს. სულ დაახლოებით 14-მდე სურათია წარმოდგენილი ამ საბასუხისმგებლო და ღირსშესანიშნავ თემაზე. ამ სურათების უმრავლესობა ეხება პარტიზანულ ომს, წარმოებულს 1942 წელს კავკასიის მისადგომებთან, და აგრეთვე კავკასიის დაცვის ეპიზოდებს. საინტერესო თემას ეხება მხატვარი ს. ნადარეიშვილი. მას გადაუწყვეტია უშუალოდ ეჩვენებინა მხატვრულ ტილოზე საქართველოს სახელოვანი შეილის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანავ ლავრენტი ბერიას როლი კავკასიის დაცვის საქმეში. ცხადია, ამ თემას ჩვენი მხატვრები ერთი სურათით ვერ ამოსწურავენ და, ალბათ, კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან მას. ს. ნადარეიშვილის სურათი ამ თემის მხოლოდ ერთი ეპიზოდის ასახვას

ცდილობს: ლ. ბერია, როგორც სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზატორი სამამულო ომის პერიოდში. სურათი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი გარდატეხა მოხდა კავკასიის დაცვის საქმეში ლ. ბერიას ჩამოსვლის შემდეგ. ხალხი აღსდგა, როგორც ერთი, და სათანადო პასუხი ვასცა პირისიხლიან მტერს. კავკასიის დიდებულ მთიან პეიზაჟის ფონზე სურათის ცენტრში დგას—ლ. ბერია. მის ირვჯვლე, სურათის მარჯვენა და მარცხენა მხარეებში, ვხედავთ ხალხის სამხედრო მზადებას ფრონტის ხაზზე წასასვლელად. სურათი დიდი პატრიოტული გრძნობით არის აღსავსე და სათანადო შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. მაგრამ სურათი უფრო მეტს მოიგებდა, მისი ფერწერა რომ თემის სიმალლეზე ყოფილიყო. სამწუხაროდ ეს ნაკლი არა მარტო ამ სურათს ახასიათებს. დიდი თემატიკური სურათი ბევრ დროს და მუშაობას მოითხოვს მხატვრისაგან. არა მგონია, რომ ჩვენი მხატვრების ზოგიერთი თემატიკური სურათის ფერწერის სისუსტე გამომდინარეობდეს მხატვრის უნიკობისაგან, ან იმისაგან, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა ფერწერის ოსტატობას. მართალია, ზოგჯერ ამასაც აქვს ხოლმე ადგილი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, თემატიკური სურათის ფერწერის სისუსტე იმისაგან გამომდინარეობს, რომ ხშირად სურათის შემკვეთელი ესათუის ორგანიზაცია არ აძლევს სათანადო დროს მხატვარს, რომ მან შესძლოს ფერწერითი ოსტატობით განახორციელოს თავისი თემატიკური განზრახვები. ამიტომ არის, რომ ხშირად მხატვრები გაურბიან დიდ თემებს და უფრო მისდევენ პატარა ფორმატის უსუვეტო სურათებისა და ეტიუდების შექმნას, რადგან ამ შემთხვევაში დრო უფრო მეტი მოეპოვებათ ფერწერის მხრივაც, რომ გამოიჩინონ თავი, და ამითაც აიხსნება (რასაკვირველია, არა

მარტო ამით) ეტიუდების გადაჭარბებითი სიუხვე ჩვენს გამოფენებზე და თემატიკური შინაარსეფნე ქუჩათების უგულვებელყოფა. ცხადვე, ყველაფერი ეს მარტო ს. ნაღარეიშვილს არ ეხება. ს. ნაღარეიშვილს ჩვენ ვიცნობთ როგორც გამოცდილ მხატვარს, რომელსაც თავისი დიდი ხნის მოღვაწეობის განმავლობაში არა ერთი სურათი მოუღვია, სადაც ფერწერის მხარე სათანადო ოსტატობით იყო დამუშავებული. ფერწერის საკითხების უგულვებელყოფა სხვა ცნობილ მხატვრებსაც ემჩნევათ. ავიღოთ მაგალითისათვის ი. ვეფხვაძის თემატიკური სურათი «გენერალი კ. ნ. ლესელიძე 1942 წ. სვანეთის მთებში». ი. ვეფხვაძე ცნობილია იმით, რომ იგი არასოდეს არ გაურბის დიდ თემატიკურ სურათების შექმნას. საერთოდ, უსუვეტო, უშინაარსო სურათი მას არ სჩვევია. თემის გარეშე მას ვერ წარმოუდგენია მხატვრობა. ი. ვეფხვაძე პრინციპული თემატიკოსია. იგი ასეთი იყო მაშინაც კი, როდესაც სხვადასხვა «იზმებით» გატაცებული მხატვრები თემისა და შინაარსს უარყოფდნენ სურათში. ეს ცხადია, ი. ვეფხვაძის, როგორც მხატვრის—დადებითი თვისებაა. ი. ვეფხვაძე ბევრს მუშაობს სურათის კომპოზიციაზე, ამათუიმ თემის კომპოზიციურ გადაწყვეტაზე. დასახელებული სურათის კომპოზიციაც კარგად არის მოფიქრებული. სურათის ცენტრში გამოხატულია ერთი ჯგუფი: გენერალი კ. ნ. ლესელიძე და მასთან მოსაუბრე ვ. მ. ბაქრაძე, რომელნიც ამაღლებულ ადგილას დგანან. მაყურებლის ყურადღებას, პირველ ყოვლისა, უთუოდ ეს ჯგუფი იპყრობს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს ორი ფიგურა და მარჯვნივ პირველ პლანზე ზურგით-მდგარი სვანის ფიგურა, შავ ნაბადში გახვეული, ქმნიან სიღრმეს, სადაც გამოხატულია ჯარის ნაწილი, რომელიც ფრონტზე მიემგზავრება. წინ, მარცხნივ

უშველებელი ქვის ლოდებია. ლოდებს შუა აქაიქ ბალახის სიმწვანე. შორს პორიზონტზე მთის თხემები ღრუბლებიდან გამოიყურებიან. მართალია, ზურგი-მდგარი სევანის შავი ფიგურა პეიზაჟის სიღრმის ილუზიას იძლევა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, იგი თანასწორ კომპოზიციურ ცენტრის უფლებას ითვისებს და მაყურებლის ყურადღებას თავისკენ იპყრობს. ფერწერის მხრივ ამ სურათს იგივე სიჩქარის დალი აძევს. მთელი რიგი ადგილებისა ვერ არის სათანადო სიძლიერით დამუშავებული. ამის შესახებ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ და აქ მხოლოდ მოვიყვანთ ამასწინათ „კულტურა ი ეიზნი“ მოთავსებულ წერილიდან—„საბჭოთა ლიტერატურის ბოლშევიკური პარტიულობის შესახებ“—პატარა ამონაწერს, რომელიც არა მარტო ლიტერატურას, არამედ მთლიანად მხატვრობასაც ეხება: „რამდენად ღრმა და მნიშვნელოვანია ნაწარმოების შინაარსი, მით უფრო სრულყოფილი უნდა იყოს მისი მხატვრული ფორმა“. და აი სწორედ მხატვრული ფორმის სრულქმნილება აკლია ბევრს ჩვენს თემატიურ, შინაარსიან სურათს. ამას უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება და მეტი მოვთხოვოთ საკუთარ თავს.

სულ სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს შ. მეტრეველის თემატიური სურათი „დივერსანტი მოჰყავთ“. უთუოდ საინტერესო თემა! ჩვენ ვიცით, რომ სამამულო ომის პერიოდში ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ ჩვენს ცხოვრებაში და მხატვრულ ტილოზე გადატანილი ეს ამბავი უნდა გამოხატავდეს ჩვენი ხალხის სამართლიან სიძულვილს და ზიზღს ამ საზიზღარ აღამიანებისადმი, რომელთაც ჩვენი საშრობლოს საწინააღმდეგოდ დივერსიის ჩადენა მოისურვებს. მეორეს მხრივ, დივერსანტის დაჭერა სოფლის მცხოვრებლებში უნდა იწვევდეს სიხარულს და სიამაყეს იმის გამო, რომ სოფელმა

ასეთი სიფხიზლე და მზადყოფნა გამოიჩინა საპასუხისმგებლო მომენტში. თითქოს ყველაფერი ეს აღსებობს შ. მეტრეველის სურათში, რომელიც ურად ყველაფერი რიგზეა. ცხადია, მხატვარს დივერსანტის ფიგურა არ გამოჰყავს სურათის კომპოზიციურ ცენტრად, მიუხედავად იმისა, რომ იგი სურათის თემატიური ცენტრია. მთელი სოფელი მას მისჩერებია, ზოგი ცნობისმოყვარეობით უცქერის, ზოგი ქოქოლას აყრის, ზოგი ზიზღით და სიძულვილით ზედება მას. ყველაფერი ეს კარგად მოფიქრებული აქვს მხატვარს, მაგრამ მაინც სურათი ვერ აღწევს თავის მიზანს. იკითხავთ, რატომ, თუ კი თემატიურად და კომპოზიციურად ყველაფერი რიგზეა? იმიტომ რომ სურათის კოლორიტი, ფერადული ტონალობა არ შეეფერება სუჟეტს: თითქოს მოღრუბლული დღეა, ისეთ ტონებში აქვს მოცემული სურათის საერთო კოლორიტული გადაწყვეტა. იქნებ მხატვარს ჰგონია, რომ—რაკი ასეთი საზარელი და საძულველი ფიგურა არის გამოყვანილი სურათზე, ამიტომ მინორულ და შავბნელ ტონებში უნდა იყოს მოცემული სურათის ფერადულობა. მაგრამ სურათში გადმოცემული „უბედურება“ ეს ზომ დივერსანტისათვის არის უბედურება და არა სოფლისათვის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, რატომ საქართველოს პეიზაჟი ასეთ უფერულ და შავბნელ ტონებში უნდა იყოს გადმოცემული. ამიტომ არის, რომ სურათის ემოციური ზეგავლენა საგრძნობლად შემცირებულია. ჯერ კიდევ რეპინს უთქვამს, რომ „მხატვრის ვერავითარი კეთილი განზრახვები ვერ გამაჩერებენ ცუდი ტილოს წინაშე“. კოლორიტი, რომელიც შეეფერება სურათის სუჟეტს ბევრად უფრო აძლიერებს სურათის ზემოქმედების ძალას, მის ემოციურ ზეგავლენას. რეალისტური სურათი, სადაც კოლორიტის საკითხი ან უგულვებელყოფილია, ან ნაკ-

ლები სიძლიერით არის გადაწყვეტილი, ყველა თავის სხვა ღირსების მიუხედავად, შეუდარებლად უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე, ვიდრე იგივე სურათი კოლორიტულად კარგად გადაწყვეტილი. თითონ ბუნებაში უნდა ეძიოს მხატვარმა ფერების შეხამება და გადმოსცეს ტილოზე ის საუცხოო კოლორიტი, რომელიც არსებობს ქართულ პეიზაჟში. შესანიშნავად სთქვა ერთმა კრიტიკოსმა ცნობილ მხატვარ იზრაელის შესახებ, რომ მის სურათებში აღმოსფერო შერთული, და შედუღებულია შინაარსთან. ამ სურათში კი არც ატმოსფეროს, არც სინათლის, არც პლენერის ფერადული სიმდიდრენი და შესაძლებლობანი გამოყენებული არ არიან.

შ. მაყაშვილის „მოსწრებული ნადირობა“, ნ. როინიშვილის „კავკასიის დასაცავად“ და რ. მირზაშვილის „უღელტეხილის დამცველი“ თითქმის ერთ თემატიკურ ციკლს ეკუთვნიან. ეს არის ჩვენი მთა 1942 წელს, როდესაც გამაგებული მტერი მოადგა ჩვენს სამშობლოს და მის წალეკას ლამობდა. მაშინ აღსდგა მთის ხალხი დარაზმული ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. ბერიას მიერ და სწორედ ამ სამხედრო მზადყოფნას, უდიდეს პატრიოტიზმს და მტრისადმი სიმულვილს გამოხატავენ აღნიშნული სურათები. მთა პირველად გიგო გაბაშვილმა შემოიტანა ქართულ მხატვრობაში. ჩვენ ახლაც გვზიბლავენ მისი ტილოები და ნახატები, ზევსურთა საომარი ცხოვრების თემატიკისადმი მიძღვნილი. საბჭოთა ქართველმა მხატვრებმა უდავოდ უნდა გამოიყენონ გაბაშვილის ბატალური მხატვრობის მდიდარი მემკვიდრეობა. მაგრამ არა მექანიკური წაბაძვის, არამედ შემოქმედებითი გადამუშავებისა და კრიტიკულად ათვისების გზით, რადგან გაბაშვილის ღროს მთა და ახლანდელი

ჩვენი მთა სულ სხვანაირად. ნ. როინიშვილის „კავკასიის დასაცავად“ თითქმის გიგო გაბაშვილის მანერით არის შესრულებული. მისი მოგვაგონებს „ხევსურებს“ საღმრთაჯოზე“. ცხადია, მხატვარი ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა და თავისი ინდივიდუალური დამოკიდებულება გამოიჩინა: სურათი გამოირჩევა ერთიან მოყავისფერო ტონით, შვიდი ფიგურა კარგად არის განლაგებული მთიან ეაკეზე, ბალახების ღეროებიც საუცხოოდ ბრწყინავენ ნათელი ფერით. რ. მირზაშვილის „უღელტეხილის დამცველი“ ყურადღებას იპყრობს თავისი ეპიური ტონით. მხატვარმა ისეთი თვალთახედვით აიღო მთიანი პეიზაჟის განსაზღვრული ნაწილი, ისეთი მონუმენტურობით დააყენა პირველ პლანზე ხევსური, სიღრმეში კი მთიელების პატარა ფიგურები, რომ მთლიანად სურათი აღწევს ეპიურობას, რაც უთუოდ ამ სურათის ღირსებად ჩაითვლება. სუვეტი კარგად არის მოფიქრებული და გადაწყვეტილი, როგორც კომპოზიციურად, ისე ფერადულადაც. გრძობ მთას, მის ადამიანების დიდებუებას, სიმტკიცეს და გულადობას. მაგრამ ყველაზე საინტერესო თემატიკური სურათია უთუოდ შ. მაყაშვილის „მოსწრებული ნადირობა“, როგორც იდეურთემატიკურ, ისე კომპოზიციურ-მხატვრული თვალსაზრისით. სურათის კომპოზიციური და მხატვრული ცენტრია წინა პლანზე სალ-კლდესავით ამართული ახალგაზრდა სევანის ფიგურა, ზურგზე ნანადირევი ჯიხვი. იმაში, თუ როგორ არის თანშეფარდებით მოცემული თავქვეჩამოკიდული ჯიხვი და ქვეითკენ მიმავალი ორი გერმანელის ფიგურა—მოკაყული ზურგით, აშკარად და ნათლად გამოიხატება სურათის მთავარი თემატიკური განზრახვა: ახალგაზრდა სევანმა მოსწრებულად და წარმატებით ინადირა—ერთი ჯიხვი და ადამიანის სახის მქონე ორი მხეცი

ჩაივლო ხელში. კარგად არის გადმოცემული გერმანელების ფიგურებში მათი დამარცხება, გამოუვალ მიდგომარეობა და ამასთანავე მხატვრის სიძულვილი მათადმი. შორს, ქვეით, სევანეთის დიდებულ პეიზაჟის სიღრმეში მოსჩანან სვანური სოფლის კოშკები. მართალია, სვანის და ორი გერმანელების ფიგურების დახატვისას, მხატვარმა პერსპექტივის აშკარა დარღვევა დაუშვა, მაგრამ ეს საესეებით შეგნებულად არის ჩადენილი, რადგან გამოწვეულია კანონიერი სურვილით გამოყოს სვანი—მონადირის ფიგურა, ხაზი გაუსვას მის როლს და მნიშვნელობას საერთო კომპოზიციაში. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, სურათი უთუოდ ბევრს დაკარგავდა იდეურის მხრივ. ვანა ცოტაა მსოფლიო ფერწერაში მაგალითები, სადაც შეგნებულად არის ხოლმე დაშვებული ხაზობრივი პერსპექტივის წესების დარღვევა მაშინ, როდესაც ამას კომპოზიციურ-თემატიური შთანაფიქრი მოითხოვს. კომპოზიცია თვითმიზნობრივი საწყისი როდია, კომპოზიცია მხატვრული სახის ერთერთი შემადგენელი ნაწილია, მხატვრის სინამდვილესთან თავისი დამოკიდებულების განსაზღვრების საშუალებაა. თემა და იდეა განსაზღვრავენ კომპოზიციის საკითხებს და არა—პირიქით. ამ თვალსაზრისით რომ მივედგეთ შ. მაყაშვილის სურათს, იგი უთუოდ გამართლებულია. სურათი მონუმენტურ, ეპიურ შთაბეჭდილებას ქმნის. თითქოს ხალხური თქმულება გაცოცხლდეთ ტილოზე, აქ გვესმის ხალხის ეპიური სიმღერა თავის შვილების გმირობაზე.

კანონიერად იპყრობს მაყურებლის ყურადღებას ირ. თოიძის დიდი ფორმატის სურათი „შურისმგებელი“. სურათზე მთელი ფიგურით მოცემულია მოხუცი რუსი პარტიზანი თავის პაწია შვილით. მას ხელში უშველებელი ცუელი უკავია, მთელი მისი სახის გამომეტყველება აშკარად გვიჩვენებს, რომ

იგი ერთი განზრახვით არის შექმნილი: შური იძიოს გერმანულ გავლენებზე იმ აოხრებისა, დანგრევისა და აწიოკებისათვის, რაც მათ უმძიმეს სოფელში, რომელიც მოსჩანს შორს სურათის სიღრმეში; პორიზონტზე კვამლი ასდის დედაშიწას, ეს იწვის გერმანელების მიერ ცეცხლწაქიდიებული სოფელი. თოვლით დაფარული მინდვრის პეიზაჟი და ლევა მოვარდისფერო ცა კარგად გადმოგვეცემენ რუსული ბუნების სპეციფიურ სახეს. მხატვარმა იმდენად დამაჯერებლად შესძლო მოხუცის ტიბაჟი და რუსული პეიზაჟის სპეციფიურობა ვაღმოცეცა, სურათს ქართველი მხატვრის ხელმოწერა რომ არ ჰქონოდა, შეიძლება გვეფიქრო იგი რომელიმე რუსი მხატვრის მიერ არის დახატული. ასეთი მხატვრული მიმიკრია ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს შემოქმედებაში. ჩვენის აზრით მხატვარმა მაინც არ უნდა დაკარგოს თავისი ნაციონალური სახე იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც იგი მეზობელ მოძმე ერის თემატიკას ეხება. ამის მაგალითები მრავალია დასავლეთ ევროპისა და რუსულ ფერწერაში. ცხადია, რუსულ თემატიკას სათანადო ადგილი უკავია ჩვენს ფერწერაში, გვაქვს კიდევაც ამის ნიმუშები, როგორც პორტრეტის, პეიზაჟის, ისე ბატალური ეპიკის დარგში, და მათ მაინც ეტყობათ, რომ ისინი ქართველი მხატვრის ხელით არიან დახატული. მაგრამ ეს კიდევ ნაკლები ცოდვია, ჩვენ გვსურს შევედავოთ მხატვარს თემატიკური პრობლემის გადაწყვეტის მხრივაც. ჩვენის აზრით ეს მოხუცი პარტიზანი არ უნდა იყოს სამაშულო ომის დროინდელი პარტიზანის ტიპური სახე. პარტიზანული მოძრაობის შესწავლა ჩვენ გვაგებინებს, რომ პარტიზანებს თუ გაუმარჯვიათ გერმანელებზე, არა ისეთი იარაღით ხელში, როგორც ცუელია, არამედ უფრო ძლიერი საშუალებებით. აქ მხატ-

ვარს ალბათ იმის თმა უნდოდა, რომ უკანასკნელი მოხუციც კი აღსდგა და იმ იარაღით, რაც კი მას ებადა, მიღის იგი შურისსაძიებლად. თუ ასეა, მაშინ ასეთი თემატკური შთანაფიქრი საჭიროებდა ცოტათი სხვანაირ მხატვრულ-კომპოზიციურ განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში—შეიძლება კარგად მოფიქრებულმა სურათმა იდეურად არასწორი შთაბეჭდილება მოახდინოს მყურებელზე.

აღ. ციმაკურიძემ დიდიხანია დაიშახტრა კარგი ქართველი პეიზაჟისტის სახელი. მას აქვს თავისი საკუთარი თვალი, რითაც იგი ხედავს მშობლიურ ბუნებას, და თავისი სპეციფიური ფერწერითი საშუალებანი ამ ბუნების სილამაზისა და ხასიათის გამომცემისათვის. მისი ორი თემატკური სურათი „დაზვერვა“ წარმოადგენს პეიზაჟისტის ცდას სამამულო ომის თემაზე სურათის შექმნისა. მხატვრის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. შესანიშნავად აქვს გადმოცემული მხატვარს ერთერთი დაზვერვის სცენა თოვლიანი პეიზაჟის ფონზე: წინა პლანზე მალღობზე არმიელების ჯგუფი, ხეები, თოვლით დაფარული მიწები, დაბინდების მოახლოება; აქ უთუოდ იმარჯვებს პეიზაჟისტის გამოცდილი და დახლოვნებული თვალი. ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს მეორე სურათი „დაზვერვა მთაში“. აქ ეტყობა მხატვარს არ უშუშავნია იმდენად, რამდენადაც ამას სურათის სრულქმნილება მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას პირდაპირ, რომ მხატვარს უფრო ეხერხება პეიზაჟის დახატვა, აქ იგი თავის მშობლიურ სტიქიონშია, ვიდრე ფიგურებისა. ჩვენ ვიცით ფერწერის ისტორიიდან, რომ ხშირად გამოჩენილი პეიზაჟისტების სურათებში ადამიანების ფიგურებს სხვა მხატვრები ხატავდნენ, მაგალ., რუბენსის უკანასკნელი პერიოდის პეიზაჟებში მისი მოწაფე

ვან-დეიკი, კლოდ ლორენსი, კივაზოვესკის და სხვათა პეიზაჟებში. რასაკვირველია, ეს დაკანონებული უნდა იყოს პეიზაჟურ მხატვრობაში. კარგია თუ პეიზაჟისტი თვითონ დახატავს თავის პეიზაჟში ფიგურებსაც. მაგრამ ეს ყველა პეიზაჟისტს როდი ეხერხება. ქვეით, როდესაც პეიზაჟის საკითხებს შევხებით, უფრო დაწვრილებით ვიტყვი, რომ პეიზაჟისტისათვის თემატკური სურათის შექმნა, თუნდაც სამამულო ომის თემაზე, შეიძლება ისე იმავე პეიზაჟის ქანრის ფარგლებში. რატომ უნდა უარყოთ მხატვრობაში ქანრული სპეციალიზაცია?

საჭიროა, რომ ჩვენი შესანიშნავი პეიზაჟისტები და მათ შორის ალ. ციმაკურიძე და შ. მამალაძე ლექსის მაგვარ პოეტურ და განწყობილებით სავსე ეტიუდურ პეიზაჟების წერიდან გადავიდნენ თემატკურ შინაარსიან პეიზაჟების წერაზე, სადაც ჩვენი ბუნების განზოგადოებული და ტიპიური პორტრეტი იქნება მოცემული.

ა. ბაგბეუჯ-მელიქოვის თემატკური სურათი „საჩუქარი ფრონტს“ ამ მხატვრისათვის ჩვეული მანერით არის დაწერილი. შეიძლება ეს მანერა ყველას არ მოსწონდეს, მაგრამ ერთია უტყუარი, რომ ა. ბაგბეუჯ-მელიქოვის ფერწერა დახლოვნებული და გამოცდილი ოსტატის ხელს ეკუთვნის.

ელენე ახვლედიანი არ არის სათანადოდ წარმოდგენილი ამ გამოფენაზე. მიუხედავად ამისა, მხატვრის უდავო ოსტატობას ადასტურებს თუნდაც ეს პატარა ფორმატის, მაგრამ დიდი ტრაგიკული პათოსით შესრულებული თემატკური სურათი „მტერმა გაიარა“. მხოლოდ ერთი ფიგურა მყურებლისკენ ზურგი-მდგარი ქალისა და ფაშისტ მხეცების მიერ აოხრებული და გადაბუგული პეიზაჟი; თემატკურ საშუალებათა ასეთი სიზუსტით მხატვარი ამაღლევბელ სურათსა ჰქმნის. კარგია ამავე მხატვრის ფანქრით ნა-

ხატი: „მოსკოვი სამამულო ომის დროს“. ცხადია, ეს მხოლოდ ერთი კუთხეა მოსკოვისა, რომელიც მხატვარმა დიდის გულმოდგინებით და დაკვირებით ჩანახატის სახით მოგვცა. მ. თარიშვილის სურათი „თბილისი სამამულო ომის დღეებში“ ასეთსავე პეიზაჟს ეგება. ღამეა. მარჯვნივ ამაყად დგას მეტეხი. თბილისის შავ ცას პროექტორების სინათლიანი ზოლი სერავს. თბილისს სძინავს, მაგრამ იგი ფხიზლობს და საომარ მზადყოფნაშია. ფერწერის მხრივ—შეიძლება მეტი ეფექტის მიღწევა, მაგრამ ეტყობა ეს მხატვრის განზრახვაში არ შედიოდა.

უდიდესი ამაგი მიუძღვის ლ. პ. ბერიას ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, მეტადრე საბჭოთა ქართულ მხატვრობის წინაშე. ლ. პ. ბერიას უშუალო შიითებისა და ინიციატივის წყალობით, ქართველმა მხატვრებმა შექმნეს ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობის თემაზე მრავალი ღირსშესანიშნავი ტილოები. ქართველი მხატვრები ამ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანის განხორციელებისას შთაგონებული იყვნენ ლ. პ. ბერიას შესანიშნავი ისტორიული ნაშრომით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობიდან მრავალი ეპიზოდი გადატანილ იქნა მხატვრულ ტილოებზე. 1936 წელს მოეწყო კიდევაც ამ ტილოების პირველი გამოფენა, რომელმაც დიდი წარმატება მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. რუსი მხატვრები აღიარებდნენ ქართველი მხატვრების უდავო პირველობას ამ დარგში და ცნობილი მხატვარი ბ. იოვანსონი სწერდა „პრავდაში“: „პირველად სახვითი ხელოვნებაში ასე ფართოდ და

სისრულით გახსნილია დიდი მნიშვნელობის ისტორიული თემა... ქართველი მხატვრები მშვენივრად წამოწყება მხურვალე სურვილს გამოხატავენ: „ჩვენში განვავრძოთ მათი დაწყებული საქმეო“. და მართლაც, როგორც რუსი, ისე ქართველი მხატვრები, შეუწელებელის ენერგიით და დიდი შემოქმედებით გულწრფელობით განავრძობდნენ ამ ღირსშესანიშნავ თემაზე მუშაობას. 1939 წლის დეკემბერში ამხანაგ სტალინის დაბადებიდან 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით ქართველმა მხატვრებმა მოაწყვეს აგრეთვე დიდი გამოფენა, სადაც მრავალი ახალი მხატვრული ტილო წარმოადგინეს ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე, როგორც, მაგალითად: ჟ. მაიალაშვილის „სტალინი ბათუმის ციხეში“, ს. ნადარეიშვილის „სტალინის დაკითხვა ბათუმის ციხეში 1902 წ.“, კ. კიკნაძის „სტალინის გადასახლება ქუთაისის ციხიდან (1903 წ.)“, ვ. ნიქარაძის „იარაღის არალეგალური საწყობი სოფ. პერევისაში“, ი. ვეფხვაძის „სტალინის გამოსვლა ლიბერალების წინააღმდეგ“ (1905 წ.), ვ. ჯორჯაძის „სტალინის გამოქცევა გადასახლებიდან 1904 წ.“ და სხვ. ცხადია, ეს თემა თავისი სიმდიდრით და მრავალსახეობით გამოუღვეელი და დაუშრეტელი წყარო იქნება მუდამ საბჭოთა მხატვრებისათვის. მით უფრო ახლა, როდესაც გამოვიდა ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი ბიოგრაფია. ეს წიგნი უნდა გადაიქცეს ჩვენი მხატვრებისათვის დიდი შთაგონებისა და დაუღალავი შრომის ახალ სტიმულად, რათა ისევ შეიქმნეს ამ დიდებულ თემაზე ახალ-ახალი მხატვრული ტილოები.

ჩვენს ახლანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია თითქმის ყველა უკვე საკმარისად პოპულარული და ნაცნობი ტილო. მაგალითად, უჩა ჯაფარიძის ცნობილი „1901 წ. საბირველმაისო დე-

მონსტრაცია ქ. თბილისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ა. გიგოლაშვილის „1905 წ. დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის მეთაურობით“, თ. აბაქელიას „სტალინი დედასთან“, დ. ქუთათელიძის ფერადი ოფორტი „ამხანაგი სტალინი, ს. ორჯონიკიძე და კ. ვოროშილოვი სამხრეთის ფრონტზე“, კ. კიკნაძის „ამხანაგი კალინინი გამარჯვების ორდენს გადასცემს ამხანაგ სტალინს“, აბ. ქუთათელიძის „ამხანაგი სტალინი გორკში ლენინთან“. ყველა ამ სურათებზე თავის დროზე დაიწერა სათანადო რეცენზიები, მათ საბჭოთა ხალხი კარგად იცნობს და მათი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა უდავოა. ნ. როინიშვილის სურათი: „ამხანაგი სტალინი არალეგალურ კრებაზე გლეხებთან 1905 წელში“, ეხება ამხანაგ სტალინის მრავალმხრივი რევოლუციური მოღვაწეობის ერთერთ საინტერესო მომენტს: ქართველ გლეხებთან პოლიტიკური მუშაობის წარმოებას. ჩვენი დროის თემას ეხება ვ. შერბილოვის სურათი „სტალინი კოლმეურნეებთან“. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი სურათი უფრო პლაკატურ ხასიათს ატარებს.

ამხანაგ სტალინის მრავალმხრივი და ნაყოფიერი რევოლუციური მოღვაწეობა და მისი უდიდესი როლი, როგორც მშვიდობიან დროს, სტალინური ხელისუფლების შესრულებისას, ისე დიდ სამამულო ომში, შესანიშნავ მასალას იძლევა თემატიკურ და შინაარსიანი სურათების შექმნისათვის. შეიძლება მეტიც ითქვას: არცერთ თემას არ შეუძლიან იმდენი მასალის მოცემა, სურათის კომპოზიციურად და სუბექტურად ავებისათვის, როგორც ამ თემას. მაგრამ საქმე მარტო თემის აღება ხომ არ არის. სუბექტურ სურათში მხატვარმა ისე უნდა ააგოს კომპოზიცია, რომ მაყურებლისათვის ნათელი და გასაგები იყოს, თუ რა მოვლენა ან ამბავია

სურათზე გამოხატული. ხშირად სურათის კომპოზიცია ისე არის აგებული, რომ მეორეხარისხოვანი ამბები მთავარი ამბვის ადგილს იკავებენ. ზოგჯერ კომპოზიციის გეომეტრიული ცენტრი არ ემთხვევა მის შინაარსობრივ ცენტრს. არის კიდევ ისეთი შემთხვევა, როდესაც მართალია, ყველაფერი მთავარ მომენტში არის კონცენტრირებული, კომპოზიციურად და შინაარსობრივად მთავარი ამბავი და პერსონაჟი სათანადოდ გამოყოფილია, მხატვრის მთელი ფერწერითი ოსტატობა ამ მთავარ პერსონაჟის დახატვაზე არის გამოყენებული, მაგრამ ამავე დროს უგულვებლყოფილია მთავარი პერსონაჟის გარშემო მყოფი სხვა დანარჩენი ფიგურები, არ არის გამოკვეთული მათი როლი მომხდარ ამბავში, არ არის გამოხატული მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება და სულიერი მდგომარეობა. ყოველი დიდი რეალისტი მხატვარი, სანამ ის დიდ თემატიკურ სურათს დახატავს, აუარებელ ესკიზებში დაამუშავებს ხოლმე თითოეულ ფიგურას, ფიგურათა ჯგუფს, პეიზაჟურ ნაწილებს, ტანისამოსს, მოწყობილობას და სხვ. სამწუხაროდ, თემატიკოსები ხშირად გვერდს უხვევენ ამ საჭირო მოსაზრადებელ მუშაობის ჩატარებას, რაც ასე უარყოფითად ეტყობა ხოლმე გამოფენებზე წარმოდგენილ ზოგიერთ სურათს. ესკიზი, როგორც მომავალი სურათის პროექტი, მხატვრის შემოქმედებითს უნარიანობას აწვითარებს და კომპოზიციურ ძიებებს აღრმავებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდ და მნიშვნელოვან თემას თავისი სრული გამოსახულება შეუძლია მონახოს მხოლოდ გასაზღვრულ კომპოზიციურ ფორმებში, როდესაც თემა კომპოზიციურად კარგად ჩაჯდება, ჩიხაზება ტილოს სიბრტყეზე. უბადრუკი კომპოზიციური ფორმა ამცირებს, აღარბებს ნაწარმოების იდეურობას.

პორტრეტის ქანრი ქართულ ფერწე-

რამი უძველესი ყანრია. ძველ დროში ქართული პორტრეტის უშესანიშნავეს ნიმუშებს ვხედავთ ფრესკულ ფერწერაში. შემდეგ მე-19 საუკუნეში საქართველოში დაკვიდრდა პორტრეტის ქანრი მისი ევროპულ ფორმეში. საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი პორტრეტისტები, როგორც იყვნენ ვ. მაისურაძე და გიგო გაბაშვილი: რა მოვთხოვება პორტრეტს მხატვრობაში? პირველ ყოვლისა ის, რაც საერთოდ მოვთხოვება კარგ მხატვრულ ტილოს: ნახატი და ფერწერა! ისეთი ორტოდოქსი იმპრესიონისტები, როგორც იყვნენ კლოდ მონე და კამილ პისარო, შეგნებულად გაურბოდნენ პორტრეტულ ფანრს, რადგან იქ, სადაც „სინათლე—სურათის მთავარი მოქმედი პირია“ (მონე) იქიდან ადამიანის სახე განდევნილი იყო. პორტრეტში საჭიროა დაცული იყოს ნახატისა და ფერწერის წონასწორობა, არცერთი, არც მეორე არ უნდა სჭარბობდეს ან სძლევდეს, თუ, რასაკვირველია, ნაწარმოები ზეთის საღებავშია შესრულებული. სულ სხვაა ფანქრით შესრულებული პორტრეტები, რადგან იქ ტექნიკური ამოცანაც სულ სხვაა. მაგრამ მარტო ფერწერა და ნახატი არაფერს გვეტყვის პორტრეტში, თუ არ არის დაცული მსგავსება და ადამიანის შინაგანი ბუნების გახსნა, მისი ხასიათის გადმოცემა. პორტრეტი უნდა წარმოადგენდეს მხატვრულ დოკუმენტს ამათუიმ ადამიანის შესახებ, დოკუმენტი არა ამ სიტყვის კანცელარული ან ფოტოგრაფიული გაგებით, არამედ იმ მხრივ, რომ პორტრეტზე დახატული ადამიანი ჰგავდეს რეალურად არსებულ ადამიანს. ეს ელემენტარული და სამართლიანი მოთხოვნაა, რომელსაც სამწუხაროდ, ზოგი პორტრეტისტი ივიწიან. ცნობილია ფაქტი, როდესაც ველასკესმა რომის პაპი ინოკენტი X-ის პორტრეტი შეასრულა, მასში იმდენად ძლიერი იყო მსგავსება, რომ ინოკენტი X-ეს ასეთი რეალისტური გამსგავსება თვალსა სჩხელეტდა და მან წარმოთქვა „troppo verga“, ე.ე. უკიდურესი მეტისმეტად მართალია, რომ მეტი არ შეიძლება. მაგრამ მარტო გამსგავსება რომ ყოფილიყო საკმარისი, ველასკესი მხოლოდ უბრალო ნატურალისტი იქნებოდა: საქმეც იმაშია, რომ მან მსგავსების საფუძველზე ადამიანის ხასიათი, მისი შინაგანი „მე“ გადმოგვცა, რადგან ველასკესი უდიდესი ფსიქოლოგი იყო. გამსგავსებას ხშირად ოდნავ შესამჩნევი დეტალებით აღწევენ ხოლმე. ინოკენტი X-ის გამკველაღვი, უნდობლობით აღსაესე გამოხედვა — აი ის ერთერთი დამახასიათებელი დეტალი, რომელიც ველასკესმა გამოახა მის სახეში და რითაც მთელი პორტრეტი მსოფლიო რეალიზმის უდიდეს შედეგად იქცა. ხასიათის შექმნა, კონკრეტულ ადამიანის მთელი შინაგანი სიმდიდრისა და სირთულის გადმოცემა, ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი შინაარსის გახსნა—აი მთავარი ამოცანა პორტრეტისტისა, არა მარტო გარეგანი სახის გამსგავსებით გადმოცემა, არამედ ადამიანის შინაგანი განცდების სწორი დახასიათება. შემონახულია ბონაპარტეს დიალოგი მხატვარ ლუი დავიდთან (1796 წ.), როდესაც იგი ხატავდა მის პორტრეტს: „გამსგავსება? მაგრამ განა სახის ნაკეთების სიზუსტით გადმოცემა ან ცხვირზე პატარა მეჭვიკის დახატვა ქმნიან გამსგავსებას? საჭიროა ფიზიონომიის ხასიათის გამოსახვა, რაც მას ასულდგმულებს. აღმათ აღი! აღრე მოდელად არ იღვა აბელკაის წინ“. შემთხვევითი როდია აქვე დიდი რუსი მხედართმთავრ სუვოროვის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა მხატვარ მილერს: „თქვენ გამოხატავთ ჩემი სახის ხილვადს ნაკეთებს, მაგრამ შინაგანი ადამიანი თქვენთვის უჩინარია“. მართლაც, მილერმა ვერ შესძლო სუვორო-

ტი X-ეს ასეთი რეალისტური გამსგავსება თვალსა სჩხელეტდა და მან წარმოთქვა „troppo verga“, ე.ე. უკიდურესი მეტისმეტად მართალია, რომ მეტი არ შეიძლება. მაგრამ მარტო გამსგავსება რომ ყოფილიყო საკმარისი, ველასკესი მხოლოდ უბრალო ნატურალისტი იქნებოდა: საქმეც იმაშია, რომ მან მსგავსების საფუძველზე ადამიანის ხასიათი, მისი შინაგანი „მე“ გადმოგვცა, რადგან ველასკესი უდიდესი ფსიქოლოგი იყო. გამსგავსებას ხშირად ოდნავ შესამჩნევი დეტალებით აღწევენ ხოლმე. ინოკენტი X-ის გამკველაღვი, უნდობლობით აღსაესე გამოხედვა — აი ის ერთერთი დამახასიათებელი დეტალი, რომელიც ველასკესმა გამოახა მის სახეში და რითაც მთელი პორტრეტი მსოფლიო რეალიზმის უდიდეს შედეგად იქცა. ხასიათის შექმნა, კონკრეტულ ადამიანის მთელი შინაგანი სიმდიდრისა და სირთულის გადმოცემა, ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი შინაარსის გახსნა—აი მთავარი ამოცანა პორტრეტისტისა, არა მარტო გარეგანი სახის გამსგავსებით გადმოცემა, არამედ ადამიანის შინაგანი განცდების სწორი დახასიათება. შემონახულია ბონაპარტეს დიალოგი მხატვარ ლუი დავიდთან (1796 წ.), როდესაც იგი ხატავდა მის პორტრეტს: „გამსგავსება? მაგრამ განა სახის ნაკეთების სიზუსტით გადმოცემა ან ცხვირზე პატარა მეჭვიკის დახატვა ქმნიან გამსგავსებას? საჭიროა ფიზიონომიის ხასიათის გამოსახვა, რაც მას ასულდგმულებს. აღმათ აღი! აღრე მოდელად არ იღვა აბელკაის წინ“. შემთხვევითი როდია აქვე დიდი რუსი მხედართმთავრ სუვოროვის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა მხატვარ მილერს: „თქვენ გამოხატავთ ჩემი სახის ხილვადს ნაკეთებს, მაგრამ შინაგანი ადამიანი თქვენთვის უჩინარია“. მართლაც, მილერმა ვერ შესძლო სუვორო-

ვის შინაგანი ხასიათის გადმოცემა პორტრეტში. ამ მხრივ საბჭოთა პორტრეტისტიკამ კრიტიკულად ითვისა წარსულის საუკეთესო პორტრეტული ტრადიციები. შეიძლება მთელი რიგი საბჭოთა პორტრეტების დასახელება, სადაც საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების სახეები, როგორც გარეგნული მიმსგავსებით, ისე შინაგანი ხასიათის ვახსნით, გამოირჩევიან. აქ არ დავასახელებ რუსი მხატვრების საკმაოდ ცნობილ პორტრეტებს. ქართველმა საბჭოთა მხატვრებმა ჯერ კიდევ 1936 წლის გამოფენაზე წარმოადგინეს ისეთი შესანიშნავი პორტრეტები, როგორც ქეთო მაღალაშვილის „სტალინი 1905 წ.“, უჩა ჯაფარიძის „სტალინი“ (მთელი ფიგურა) და კ. კიკნაძის „ლადო კეცხოველი“.

1946 წელს საბჭოთა საქართველოს 25 წლის საიუბილეო გამოფენაზე გამოირჩეოდნენ ისეთი პორტრეტები, როგორც ივ. ვეფხვაძის „ბერია“, კ. კიკნაძის „მოლოტოვი“, ქ. მაღალაშვილის „კ. ნ. ჩარკვიანი“, უჩა ჯაფარიძის დიდი ტილოები „ი. ბ. სტალინი“ და „ლ. პ. ბერია“. ეს პორტრეტები ახლაც არიან გამოფენილნი. „ნამღვლილი პორტრეტია ის, რომელიც თანამედროვე ადამიანს გამოხატავს“, — ამბობდა დიდი ფრანგი მხატვარი დელაკრუა. ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის ამხანაგ სტალინის პორტრეტის მხატვრულ ტილოზე გამოხატვა — ჩვენი პორტრეტისტების ღირსებისა და დიდების საქმეა. ჩვენი ქვეყნის დიდი ადამიანების გამოხატვა არ შეიძლება ჩვეულებრივი ხერხებით. ასეთ პორტრეტში მხატვარი უნდა გამოხატავდეს საბჭოთა ადამიანის ძლიერებას და დიდებას. პორტრეტი ზეიმურ, დღესასწაულებრივ ხასიათს უნდა ატარებდეს და ამავე დროს არ უნდა კარგავდეს რეალისტურ სიმძლავრეს. სწორედ ასეთი ხერხით არის

შესრულებული ზემოდახსენებული პორტრეტები. განზოგადებულ, მასობრივი, ვეება ფორმებზე გამოხატავენ საბჭოთა ხალხის დიდ... წარმომადგენლების მართალ, რეალისტურ სახეს, ისე როგორც ეს ჩვენს ხალხს აქვს წარმოდგენილი. ამაში სწორედ ამ ნაწარმოებების დიდი ხალხურობა.

ამ ხასიათის პორტრეტების გარდა, გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე ჩვენი ეპოქისა და ხალხის საუკეთესო ადამიანების პორტრეტები. აქ არიან საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, აკადემიკოსები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები. საინტერესოა დავ. გველესიანის სურათი „იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი“. იგი ახალი ნაწარმოები არაა, მაგრამ ახლაც დიდი სიამოვნებით ათვალიერებს მას მაყურებელი. მოქანდაკე ზის სურათის მარჯვენა მხარეს. სურათის მარცხენა მხარე მხატვარს თითქმის მთლიანად მოუწონდა გარეგანი აქსესუარებით მოქანდაკის პროფესიის დასახასიათებლად. შესანიშნავად არის გადმოცემული მოქანდაკის ჩაფიქრებული, სერიოზული სახე, მასში გამოსჭვივის ადამიანის აზრი, თითქოს ესაუბრება იგი ჩუმად თავის ქანდაკებებს. ადამიანის გარეგანი აქსესუარებით დახასიათება პორტრეტისტიკაში ცნობილი ხერხია. ამ მხრივ საკმარისია ე. სეროვის „რიმსკი-კორსაკოვი“ დავასახელოთ. გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი ზის თავის კაბინეტში. იგი მოცემულია მუშაობის პროცესის დროს, მაგიდაზე წიგნებია, ნოტები და სხე. მაგრამ არსებობს სხვა ხერხიც ადამიანის დახასიათებისა, არა გარეგნული აქსესუარების საშუალებით, არამედ თვითონ ადამიანის სახის გამომეტყველებით და ფიგურის დაყენებით. მაგალითად, მე-17 საუკუნის ერთერთი

უდიდესი პორტრეტისტი ვან-დეიკი ადამიანის დახასიათებისათვის ისეთ საშუალებებს იყენებდა ხშირად, როგორც კოსტუმი, კოსტუმის ტარების მანერა. მაგრამ ეს საკმარისი იყო ინგლისელ არისტოკრატების დახასიათებისათვის. ჩვენს დროში ნეიტრალურ, უაქსესუარო ფონზე ადამიანის გამოჩატვა უფრო ძნელ პრობლემას წარმოადგენს, რადგან აქ საჭიროა ადამიანის სახის გადმოცემისას სტატიურობის, უძრაობის დაძლევა. ოდნავი მოძრაობა, ღიმილი, თვალის გამოხედვა, ტანსაცმელის პლასტიკურობა — ყველაფერი ეს უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის გონების, გემოვნებისა და ნიჭის გამოსახატავად. ასეთი არიან რეპინისა და გაბაშვილის თითქმის ყველა პორტრეტები, სადაც რუსი და ქართველი ხალხის დიდი ადამიანები არიან გამოხატული. ასეთია პეროვის „დოსტოევსკი“, კრამსკოის „ლ. ტოლსტოი“ და სხვა მრავალი პორტრეტი. ცნობილია, რომ თავისა და სახის დახატვა უფრო ადვილია პორტრეტისტიისათვის, ვიდრე ხელებისა. ამიტომ ზოგი მხატვარი ან შეგნებულად გაურბის ამ ძნელ ამოცანის განხორციელებას, ან ცუდად ხატავს ხელს. მე-XV საუკუნემდე ჩვეულებრივ წელამდე ხატავდნენ პორტრეტებს. ლეთნარდო და ვინჩი თითქმის პირველი ხატავს მოდელს მუხლამდე „ჯიაკონდაში“, რაც საშუალებას აძლევს მხატვარს ხელებიც დახატოს. აქ ჯიაკონდას ხელები მხატვარს გამოყენებული აქვს, როგორც ფსიქოლოგიური დახასიათების გასამდიდრებელი მძლავრი საშუალება. ცნობილია, აგრეთვე, ხელების სიმფონია მისივე „სიადუმლო სერობაში“. მეორე სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ გამოიძენოს ისეთი პოზა, რომელიც დამახასიათებელი იქნება, ადამიანი ისე დააყენოს ან დასავს მხატვარმა, რომ ხელოვნურობის ან ნაძალადეგობის შთაბეჭდილება არ და-

სტავოს. ჩვენი მხატვრები თავიანთ მოდელს ხშირად ფოტოგრაფიებით უდგებიან. შესაძლებელია სახის ფორმის მკაფიო გამოჩერვა, რომ სახე ბრტყელი არ გამოვიდეს. ამ მხრივ, მაგალითად, კარგად არის სახე მოცემული გრ. მესხის პორტრეტში „აქადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი“ და დ. გველესიანის „წიკლაურის პორტრეტში“. სამაგიეროდ ამ უქანასკნელში პოზა ხელოვნურად გამოიყურება და ხელებიც ტექნიკურად სუსტად არის დახატული. პორტრეტული ძიებების მხრივ შესანიშნავია ლადო გუდიაშვილის გაბედული ცდა თავი დააღწიოს შაბლონურ პორტრეტის ტრაფარეტს: „კინოსაზიზობ ქალის თ. ციციშვილის“ პორტრეტში. ოსტატურად არის შესრულებული პასტელით ქაღალდზე უჩა ჯიფარიძის მიერ „სახალხო არტისტი უშანგი ჩხეიძე“.

ბატალიზმი, და საერთოდ სამხედრო თემა, ყოველთვის იყო მიმზიდველი და პოპულარული თემა მხატვრობაში. საბჭოთა ხალხის ფართო მასებს ყოველთვის აინტერესებდათ თავისი გმირული წარსულის და აწმყოს უდიდესი ბრძოლებისა და გამარჯვებების განსახიერება მხატვრულ ტილოებზე. ისტორიული და თანამედროვე ბატალური სურათები ყოველთვის აღძრავდნენ ფართო მასებში უდიდეს პატრიოტიზმს და სიყვარულს მშობელი ქვეყნისადმი, თავის ხალხისადმი, თავის გმირებისადმი. მაგრამ ეს კეთილშობილური და საინტერესო საქმე ძალიან ბევრს მოითხოვს მხატვარ-მემოქმედისაგან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არცერთი დარგი მხატვრობისა ისეთ სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ბატალური ჟანრი. მსოფლიო ფერწერას არც თუ იმდენი დიდი ბატალისტები ჰყავს, რომელთაც სპეციალურად მხოლოდ ამ

დარგს მიუძღვნეს მთელი თავისი სიცოცხლე: მეისონიე, რაფე, ნევილი, დეტაილი, ვერეშჩაგინი... ზოგმა დიდმა მხატვარმა მხოლოდ რამდენიმე სურათი შესძინა მსოფლიო ბატალურ ჟანრს: ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო, ველასკესი, ტიციაინი, დელაკრუა, გრო, სურტიკოვი, ვაბაშვილი... ლაშქრობანი, ბრძოლები, პეროიკა, ნაციონალურ და სოციალურ ბრძოლების თემები ბევრ მხატვარს იზიდავდა, მაგრამ ბევრის განზრახვა მარცხით დამთავრებულა კიდევაც. რატომ არის ძნელი ბატალური ფერწერა? იმიტომ, რომ ბატალისტი-მხატვარი უნდა იყოს ერთსადაიმავე დროს დიდი კომპოზიტორი (კომპოზიციის მცოდნე), კარგი ანატომი, შესანიშნავი პეიზაჟისტი და ხალხის ისტორიის დრამა მცოდნე. ჩვენ არას ვიტყვივით იმის შესახებ, რომ ბატალისტი-მხატვარს უნდა აზანი-ათებდეს თბრობითი უნარი, მისი სურათი უნდა მოგვითხრობდეს ამბავს, უნდა იყოს მხატვრულ ტილოზე გადატანილი მოთხრობა ან ნოველა, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, ლიტერატურაში ჰროსპერ მერიმეს „რედუთის აღება“, ან ლ. ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობები“. და ყველაფერ ამას საფუძვლად უნდა დაედოს ტექნიკური სრულქმნილება, ფერწერისა და ნახატის ჰარმონიული ოსტატობა. ბევრს ჰგონია, რომ რაც უფრო მეტი არეგდარევა და არეულობა იქნება ბატალურ სურათში, მით უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს მაყურებელზეო. მცდარი აზრია! — არეგდარევას და ქაოსს მაყურებელი გვერდს აუხვევს. მართალია, ბატალური სურათი ჩვეულებრივ განსხვავდება სხვა ჟანრის სურათებისაგან იმით, რომ მასში დიდი მასებში მონაწილეობენ: ჯარის ნაწილები, შეიარაღებული ხალხი, ცხენები, სამხედრო მანქანები და სხვ. მაგრამ არხად ისე არ მოეთხოვება მხატვარს მკაფიო, მტკიცე ნახატი, როგორც ამ

შემთხვევაში; საჭიროა კარგი მხატვართ-მთავარივით კომპოზიციურად სწორად დაალაგო და დააწყოს ტექნიკური აღვამი-ანთა მასები, კარგად ატყუდეს მხატვარის და ცხენის ანატომია. თუ ბატალისტი არ არის ისტორიკოსი, ყოველ შემთხვევაში ისტორიკოსთან შემოქმედებითი მეგობრობაა საჭირო, რომ არ შესცდეს იმდროინდელი შეიარაღებისა და ტანსაცმელის დეტალებში. ასეთი შემოქმედებითი მეგობრობა ჰქონდათ, მაგალ., რეპინს და ისტორიკოსს სოლოვიოვს, შვარცს და ისტორიკოსს კოსტომაროვს და სხვ. ადგილმდებარეობის ზასიათი და პეიზაჟიც კი უნდა იყოს მაქსიმალურად დოკუმენტური და იმდროინდელი. მაგრამ ამაშიც გადაჭარბება არ არის მიზანშეწონილი. დოკუმენტალობა და სიზუსტე არ უნდა გადაიზარდოს მეისონიეს ან დელაროშის არქეოლოგიზმში, სადაც აქსესუარებსა და ტანისამოსის ბრწყინვალეობაში იკარგება, იხრჩობა სურათის მთავარი იდეა. ისტორიული ფაქტის მართალი და ბუნებრივი განსახიერება და თანამედროვე ისტორიული მეცნიერებით შეიარაღება — აი, როგორი უნდა იყოს საბჭოთა ბატალისტი. ცნობილი ბატალისტი იყო მ. გრეკოვი (1882 — 1934), რომელმაც თავის ტილოებზე საბჭოთა არმიის ლაშქრობანი და ბრძოლები აღბეჭდა. გრეკოვი ჯერ კიდევ აკადემიკოსს ფ. რუბოსთან სწავლობდა. ამ რუბოსთან ჩვენი გ. ვაბაშვილიც ბატალიზმის „გაკვეთილებს“ იღებდა. გრეკოვი თვითონაც იყო პირველი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მონაწილე. ბატალისტი ნ. სამოკოში პარიზში მუშაობდა დეტაილთან და თვითონაც 1905 და 1914—1918 წლების ომების მონაწილე იყო. მას შესანიშნავად აქვს შესწავლილი ცხენის ანატომია და თავის ტილოებზე ხშირად გადმოგვცემს კავალერისტულ ბრძოლებს, სადაც გაქროლილი ცხენოსნები, ყალყზე-შემ-

დგარი ცხენები და გადაბრუნებული მანქანები მკაფიოდ და გარკვეულ კომპოზიციასში არიან მოცემული. ნაყოფიერად მუშაობენ ბატალისტურ დარგში. აგრეთვე საბჭოთა მხატვრები მ. ავილოვი, პ. სოკოლოვ-სკალია და სხვ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. გაბაშვილის რამდენიმე სურათს უშუალოდ ბატალურ თემაზე დაწერილს, როგორც, მაგ., „ხევსურთა ბრძოლა“, „ბრძოლა ციხესთან“, „შეტევა“ და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ბატალური ენა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს განვითარდა საქართველოში. მრავალი ბატალური სურათი დიხატა უკანასკნელ ათეულ წლებში, სამამულო ომის დროს და მანამდე. ბევრი მათგანი თბილისის მუნიციპალური მუზეუმის კედლებს ამშვენებს დღესაც. ჩვენს გამოფენაზე მხოლოდ სამი სურათია წარმოდგენილი ბატალურ თემაზე: ს. მაისაშვილის „ასპინძის ბრძოლა“ და „ალამაშაძე-ხანის შემოსევა თბილისში“ და ი. შარლემანის „მაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლაში“. ს. მაისაშვილი—ცნობილი ბატალისტი ჩვენში, მას ბევრი ბატალური სურათი აქვს დახატული, როგორც ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის, ისე სამამულო ომის თემაზე. მას აქვს სათანადო ბატალისტური ნიჭი და საჭიროა ამ მიმართულებით უფრო მეტად ღრმა და დაკვირვებული მუშაობის წარმართვა. ს. მაისაშვილი თითქმის ერთადერთია ქართველ მხატვრებში, რომელიც სპეციალურად ბატალისტურ დარგში მოღვაწეობს, ამიტომ მას მეტიც მოეთხოვება. გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები კი უნდა ითქვას, ვერ გვაკმაყოფილებს. თუ ეს ეტიუდებია, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს ნაწარმოებები 25 წლის საიუბილეო გამოფენაზედაც იყო ექსპონირებული, როგორც დასრულებული სურათები და არა როგორც ეტიუდები. და თუ ეს სურათებია, მაშინ სხვადასხვა მიდგომა გვექნება და სხვაგვარა მოიხილება მხატვრულ-ისტორიაში ეტიუდების როლი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ს. მაისაშვილს ერეკლე მეორის მეფობის ორი უდიდესი ისტორიული ფაქტის გადმოტანა განუზრახავს ტილოზე: ასპინძის ბრძოლა (1770 წ.) და ალა-მახმად-ხანის შემოსევა თბილისში (1795 წ.). ორივე ამ თარიღს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში და ამიტომ გასაგებია თუ ჩვენი ხალხი რატომ ასეთი დიდი სიყვარულით და მოწიწებით ზღვება ხოლმე ყოველგვარ ნაწარმოებს, ისტორიული იქნება იგი, ლიტერატურული თუ ფერწერითი, რომელიც კი ამ ორ თარიღს შეეხება. როგორია ამ მხრივ ს. მაისაშვილის ბატალური სურათები? ავიღოთ „ასპინძის ბრძოლა“. კომპოზიციის მხრივ ამბავი ასეა დაწყობილი: ბრძოლის მთავარი მომენტი მარჯვენა მხარეზეა მოცემული. პირველ პლანზე ცხენის ლეში და მეთმართა გვამები ყრია. როგორც სჩანს, კომპოზიციის ცენტრში უნდა ყოფილიყო ხმალომწვედილი ერეკლეს შებრძოლება კოხტა ბელადთან. შორს პორიზონტზე მოსჩანს ასპინძის ციხის სილუეტი. მარცხნივ კი მტკვრის ხეობაა მოცემული. უნდა ითქვას, კომპოზიცია კარგად არის მოფიქრებული, მაგრამ სურათი მაინც არ გვაკმაყოფილებს. სურათს აკლია გარკვეულობა და სიზუსტე. მთავარი კომპოზიციური მომენტი—ერეკლეს შებრძოლება კოხტა ბელადთან ვერ არის მკაფიოდ და გარკვეულად ნაჩვენები. შეიძლება ეს სურათის ფორმატის ბრალიც იყოს, მაგრამ ძალიან მინიატურულად გამოიყურება ყველაფერი და მაყურებელი გულგრილი რჩება. იგივე ნაკლი მეორე ბატალურ სურათსაც ახასიათებს. არ შეიძლება ბატალურ სურათში მთავარი, ცენტრალური მომენ-

რათებია, მაშინ სხვადასხვა მიდგომა გვექნება და სხვაგვარა მოიხილება მხატვრულ-ისტორიაში ეტიუდების როლი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ს. მაისაშვილს ერეკლე მეორის მეფობის ორი უდიდესი ისტორიული ფაქტის გადმოტანა განუზრახავს ტილოზე: ასპინძის ბრძოლა (1770 წ.) და ალა-მახმად-ხანის შემოსევა თბილისში (1795 წ.). ორივე ამ თარიღს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში და ამიტომ გასაგებია თუ ჩვენი ხალხი რატომ ასეთი დიდი სიყვარულით და მოწიწებით ზღვება ხოლმე ყოველგვარ ნაწარმოებს, ისტორიული იქნება იგი, ლიტერატურული თუ ფერწერითი, რომელიც კი ამ ორ თარიღს შეეხება. როგორია ამ მხრივ ს. მაისაშვილის ბატალური სურათები? ავიღოთ „ასპინძის ბრძოლა“. კომპოზიციის მხრივ ამბავი ასეა დაწყობილი: ბრძოლის მთავარი მომენტი მარჯვენა მხარეზეა მოცემული. პირველ პლანზე ცხენის ლეში და მეთმართა გვამები ყრია. როგორც სჩანს, კომპოზიციის ცენტრში უნდა ყოფილიყო ხმალომწვედილი ერეკლეს შებრძოლება კოხტა ბელადთან. შორს პორიზონტზე მოსჩანს ასპინძის ციხის სილუეტი. მარცხნივ კი მტკვრის ხეობაა მოცემული. უნდა ითქვას, კომპოზიცია კარგად არის მოფიქრებული, მაგრამ სურათი მაინც არ გვაკმაყოფილებს. სურათს აკლია გარკვეულობა და სიზუსტე. მთავარი კომპოზიციური მომენტი—ერეკლეს შებრძოლება კოხტა ბელადთან ვერ არის მკაფიოდ და გარკვეულად ნაჩვენები. შეიძლება ეს სურათის ფორმატის ბრალიც იყოს, მაგრამ ძალიან მინიატურულად გამოიყურება ყველაფერი და მაყურებელი გულგრილი რჩება. იგივე ნაკლი მეორე ბატალურ სურათსაც ახასიათებს. არ შეიძლება ბატალურ სურათში მთავარი, ცენტრალური მომენ-

ტი ბრძოლისა ან ამბისა არ იყოს ხაზგასმული, წინწამოწეული, გარკვეულად ნაჩვენები. რამდენად მოიგებდა ასპინძის ბრძოლის სურათი ერეკლეს და კოხტა ბელადის შებრძოლება რომ წინ წამოწეული და თემატიკურად ხაზგასმული ყოფილიყო. საბჭოთა მკითხველს კარგად ახსოვს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში შესანიშნავად დახატული ასპინძის ომის სურათები: ბესარიონ გაბაშვილისა და რაფიელ ერისთავის პოემებში. ცნობილია, რომ ასპინძის ბრძოლაში მარტო ხმლებით და ხანჯლებით კი არ იბრძოდნენ, ზარბაზნების და თოფების გრიალმა უფრო გადასწყვიტა ამ ბრძოლის ბედი, ვიდრე ხმალის ტრიალმა. ამის შესახებ ორივე ჩვენი კლასიკოსი ნათლად ამბობენ: „ზარბაზნის გრგვინვა და თოფის ცის კედელს ეუბნებოდენ“... (ბესიკი). რაფ. ერისთავი ახსენებს „ზამბულაკს, რომელსაც თვითონ განმარტავს, როგორც მეთისმეტად დიდ თოფს: „ზამბულაკიც მკვახტო მოქუხს, ჰმას იძლევა მთა და ბარი“. შესანიშნავად და დიდი პლასტიკური გრძობით აქვს აღწერილი რაფ. ერისთავს ერეკლეს და კოხტას შებრძოლება: „ის ყოფილა ლეკი ვინმე, ნაქები მთელს დაღისტანში, კოხტა ბელადს ეძახიან, არ ინძრევა ცხენზედ ტანში...“ და შემდეგ: „შვიდი ხვესური თან ახლდა, ეს იყო ირაკლის ძალი, მივარდა კოხტა ბელადსა, მეხივით დასცა თავს ხმალი...“ რომელიც არ უნდა აიღოთ დიდი ბატალისტის სურათი, რაც უნდა საესე იყოს იგო ცხენებით, მეომრებით, კვამლით ან მანქანებით, პირველ პლანზე, ან მეორე პლანზე მაინც, მთავარი მომენტი ყოველთვის მკაფიოდ გამოირჩევა ხოლმე. ასეთია ანტუან გრო „ეილაუს ბრძოლაში“, სურიკოვი „სუვოროვის გადასვლაში ალპებზე“ და სხვ. მოუხედავად მრავალფიგურებიანი დიდი პანორამისა, გროს სურათში მკაფიოდ მოჩანს ნაპოლეონი თავის მარშლებით, სურიკოვის სურათ-

ში მკაფიოდ და გარკვევით მოჩანს სუვოროვი. სხვანაირად არც შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში. ბატალურ სურათს მაყურებელს უნდა შეეძლოს ძალია ეკარგება. ს. მაისაშვილის მკაფიოდ ბატალური სურათი წარმოადგენს ალამაშვალ-ხანის თბილისში შემოსევის ერთ-ერთ ეპიზოდს: ბრძოლას მეტეხის ხიდზე. საესეებით სამართლიანად მხატვარმა შეზღუდა თავისი თემა, რადგან, ცხადია, რომ სურათში მხოლოდ ერთი ეპიზოდის გადმოცემა შეიძლება და არა ალა-მამხალ-ხანის შემოსევის მთელი ეპოპეა, ამისათვის მხატვარს სურათების მთელი ციკლის დახატვა დასჭირდებოდა. სამწუხაროდ, იგივე გაურკვეველობა ახასიათებს ამ სურათსაც, მხოლოდ უფრო მეტად, ვიდრე პირველ სურათს. იქ, რაღაცას მაინც ვაარჩევს მაყურებელი, აქ კი ხიდის ვიწრო ფართობზე ქაოტიურად არიან მიყრილი ერთმანეთზე ცხენები და ადამიანები. დიდი რუბენის სურათი „ამორძალების ბრძოლა“ თითქმის ასეთნაირ ხიდზე სწარმოებს, მაგრამ ნახეთ როგორი გარკვეულობით და მკაფიოდ მოსჩანს მასში მთავარი, ცენტრალური მომენტი ბრძოლისა: სცენა თეზეოსის მიერ ამორძალების დედოფლის თალესტრისის მოკვლისა თერმოდონტის ხიდზე. ს. მაისაშვილის სურათს თემატიკური გარკვეულობა და სიზუსტე აკლია.

ი. შარლემანის „მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე“ შესანიშნავი აქვარელია, დიდის ოსტატობით გაკეთებული. თემატიკურად აღებულია ბაგრატიონის სასიკვდილოდ დაქრის მომენტი. ცხენი ყალყზეა შემდგარი, მარცხნიდან კვამლი მოდის ყუმბარის გასკდომისაგან. წინა პლანზე ლაფეტი გდია. საესეებით სწორად მოიქცა მხატვარი, როდესაც ბოროდინოს ბრძოლის მთელ ეპოპეიდან მხოლოდ ერთი მეტად დრამატიული მომენტი აიღო. ლაკონიური და ძუნწი

ხერხებით მხატვარი ახდენს დიდ ემოციურ ზეგავლენას მაყურებელზე.

აქვე შევეხებით ლ. გულიაშვილის სურათს „აბესალომ და ეთერის ლეგენდა“, თუმცა იგი ბატალურ ეანრს არ ეკუთვნის. იგი ხალხური ლეგენდის გამოსახვის საუცხოო ნიმუშია, როგორც თავისი ფერწერითი ღირსებებით, ისე კომპოზიციის მხრივ. დაცულია ერთი მთლიანი ტონალობა, კარგად არის გააზრებული თითოეული ფიგურის უკან მდგარი ხეების ვერტიკალები. არ ვეთანხმებით მხატვარს მხოლოდ ეთერის პოზის გამოხატვაში.

პეიზაჟის ეანრი ყველაზე ნაყრფიერი დარგია ქართულ ფერწერაში. და ეს სახეებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მდიდარ და მრავალსახოვან ბუნებას. ასეთ ქვეყანაში არ შეიძლება იყო მხატვარი და ერთი ან ორი პეიზაჟი მაინც არ დახატო შენს სიცოცხლეში. მართლაც, თუნდაც რომ ესათუის მხატვარი მიღრეკილებით და ბუნებით პეიზაჟისტი არ იყოს, მაინც მას რამდენიმე პეიზაჟი გააჩნია.

პეიზაჟური ეანრი თითოეულ ეპოქას თავისებურად ესმოდა. ყოველი ეპოქა თავის გარკვეულ ესთეტიკურ სოციალურ მოთხოვნილებებს უყენებდა პეიზაჟისტს, არ შეიძლება, რომ ჩვენი დროის მხატვრის მიერ დახატული პეიზაჟი ჰგავდეს, მაგალ., მე-17 ან მე-19 საუკუნის მხატვრის მიერ დახატულ პეიზაჟს. ამხანაგმა სტალინმა თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის მე-17 ყრილობაზე მიგვითითა, თუ როგორ ძლიერ „გამოიცივალა ჩვენი მსხვილი ქალაქების და სამრეწველო ცენტრების სახე“. მ. გორაკი საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე ამბობდა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის პეიზაჟი მკვეთრად გა-

მოიცივალა“. და ჩვენი დროის პეიზაჟისტიც ღირსება სწორედ იმაში იქნება, თუ იგი შესძლებს, ჩვენი ქვეყნის ბუნებაში მომხდარ ~~კულტურულ~~ კვანდატანას თავის ტილოზე. ჩვენი ქვეყნის გარდაქმნილი პეიზაჟი—აი რა უნდა იყოს გამოხატული მხატვრობაში. ავიღოთ მაგალითისათვის ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ი. გეპნერ-გიგოლაშვილის სურათი „ხენა“. სურათი გამოხატავს სოფლის პეიზაჟს, პირველ პლანზე სამი წყვილი ხარია შებმული, გლეხები ხნავენ მიწას. შუა პლანზე ორი სახლი, შორს მთების ფონი. ჩვენ რომ არ გეცოდნოდა, რომ ეს სურათი 1947 წელს არის გამოფენილი, რით განსხვავდება იგი ძველი დროის პეიზაჟებისაგან? არაფრით. „გადი-გამოდი გუთანო!“—ეს ხომ მე-19 საუკუნის სოფლის ტიპური სურათია. დღეს ერთპიროვნული მეურნის სახნისის მაგიერ მინდორში კოლმეურნეობის ტრაქტორი მუშაობს. ჩვენი მხატვარი კი, ჯერ კიდევ ტრადიციული პეიზაჟის ტყვეობაში იმყოფება. ჩვენი ქვეყნის პეიზაჟის გაღმოცემის დროს მხატვარი უნდა გამოეთხოვოს ტრადიციულ პეიზაჟს. დღეს საჭიროა ახალი ხერხების და ახალი ფორმის მოძებნა, რადგან პეიზაჟის თანამედროვე სახე საგრძნობლად შეცვლილა! გამოფენაზე ბევრია ე. წ. „წმინდა პეიზაჟი“, სადაც მოცემულია თემატურობის გარეშე ჩვენი ბუნების რომელიმე ერთი კუთხე. ეს პეიზაჟები უფრო ეტიუდებს წარმოადგენენ, ვიდრე სურათს. ამ შემთხვევაში დასრულებული და დამთავრებული ეტიუდი წარმოდგენილია, როგორც სურათი. ჩვენ კი უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ ეტიუდებს მიეუდგებით არა როგორც დაუმთავრებულ სურათს, არამედ ისე, რასაც ისინი წარმოადგენენ სინამდვილეში, ე. ი. როგორც ეტიუდებს. ბევრი კარგი ეტიუდი არის გამოფენილი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეტიუდური ოსტატობა

ჩვენი პეიზაჟისტებისა დიდ მხატვრულ სიმაღლეზე დგას. მაგალ. შალვა მამალაძის ფაქიზი გემოვნებით და დიდი განწყობილებით შესრულებული „შემოდგომა. ვარდისუბანი“ (ქალაღი, გუაში), „შემოდგომა“ (ქალაღი, გუაში), „კოლხიდა“ (ტილო-ზეთი). უკანასკნელში შესანიშნავად არის გადმოცემული კოლხიდის სპეციფიური ჰავა, მისი ტენიანობა. კოტე გძელიშვილის ლამაზად შესრულებული პეიზაჟი „მანგლისი“, დ. წერეთლის ახალციხის ეტიუდები (ქალაქი და ქალაქის მიდამო), ძალიან კარგია გ. ჯაფარიძის „შემოდგომა. თბილისი“, (აქვარელი). ვლ. ბაგრატიონის „ბორჯომის კუთხე“, შ. მაყაშვილის მშვენიერი აქვარელი „ვარძია“ და იორამ მამალაძის „ქვიშხეთი“. რასაკვირველია, ჩვენი ბუნების ამ სახით გადმოცემას უთუოდ თავისი გამართლება აქვს, ეტიუდს ფერწერაში თავისი კანონიერი ადგილი უკავია. მაგრამ მეტიხმეტად გატაცება ეტიუდებით მხატვარს არ მართებს. არ შეიძლება მხატვარი მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ეტიუდებს ხატავდეს და გამოფენიდან გამოფენამდე მაყურებელს მხოლოდ ეტიუდებით უმასპინძლდებოდეს. ეტიუდს თავისი განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფიაში, ეტიუდი უნდა იყოს, როგორც ეტაპი მხატვრის მოღვაწეობაში. მაგრამ მხატვარი ხომ უნდა გადავიდეს სურათების ხატვაზე, თუ მართლა უნდა, რომ მხატვრის სახელი შეინარჩუნოს. ცხადია, ეტიუდს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მხატვრის შემოქმედებითი, ლაბორატორული მუშაობის პროცესში. ეტიუდში მხატვარი აწარმოებს ბუნების დაკვირვებულ შესწავლას და მასში იგი უშუალოდ გადმოსცემს ბუნების რომელიმე მომენტს. ეტიუდის საშუალებით მხატვარი ბუნებასთან მუდმივ კავშირში იმყოფება. და სწორედ აქედან გამომდინარეობს ბუნების

ცოცხალი გრძნობა, ბუნების გადმოსცემის სიმართლე, უშუალო კლქმის ძლიერება. ეს ყველაფერი ნაკიროა და აუცილებელი მხატვრისთვის. მაგრამ არცერთი მხატვარი ამით არ დაკმაყოფილებულა, ამაზე არ შეჩერებულა. გადაათვალიერეთ მსოფლიო პეიზაჟური ფერწერის ისტორია და თქვენ ნახათ, რომ ყოველი პეიზაჟისტის კეთილშობილურ და ბუნებრივ ამოცანას წარმოადგენდა თავისი მშობლიური ქვეყნის, თავის საყვარელი სამშობლოს ბუნების განზოგადოებული, ეპიური სახის შოცება. ჩვენი პეიზაჟისტები უნდა ცდილობდნენ შეიძინონ ის ძვირფასი თვისება, რომელიც წარსულის დიდ პეიზაჟისტებს ხასიათებდათ: ბუნების მონუმენტური, ეპიური ათვისება და პეიზაჟი, როგორც დიდი ეპიური ზელოვნება. ასეთი იყო რუბენის, პუსენის, რუისდალის, პობეშას, კონსტანტის, კოროს, სენანისა და სხვათა პეიზაჟები. საქართველოს წმინდა მიწაწყალი, მისი ბუნება, ჩვენი დროის ახალი ადამიანი, რომელიც გარდაქმნის მას თავისი დიადი მიზნებისათვის—აი ჩვენი დროის პეიზაჟისტის ამოცანა. პეიზაჟისტმა უნდა გახსნას მშობლიური ბუნების დიდებულობის დაამოძიბლველობის საიდუმლოება. მან უნდა ადიდოს და აქოს იგი მონუმენტური სილამაზის ფორმებსა და სახეებში. რაც შეეხება შთაბეჭდილებას (impression), იგი შემოქმედების ელემენტია მხოლოდ და არა თვითმიზანი. იმპრესიონისტებმა ბუნება დააწვრილმანეს, დეტალებამდე დაიყვანეს, ეტიუდი აღიარეს შემოქმედების მთავარ მიზნად, ადამიანი განდევნეს პეიზაჟიდან და მის მაგიერ სინათლე გამოაცხადეს მთავარ მოქმედ პირად (მონე). საბჭოთა პეიზაჟისტი, როგორც კანონიერი და თანამიმდევრული მემკვიდრე ყველაფერი პროგრესიულისა, რაც ეი შექმნა კაცობრიობამ, მხატვრული პეიზაჟის დარგშიც, მისი შემოქმედებითი

და კრიტიკული დამუშავების საფუძველზე, და, რაც მთავარია, უშუალოდ თავისი მშობლიური ქვეყნის ბუნების შესწავლის ნიადაგზე, ქმნის განახლებულ, გარდაქმნილ ბუნების სრულიად ახალ პეიზაჟს. ეს იქნება ტიპური და მართალი საბჭოური ქვეყნის ბუნებობა, ამავე დროს უაღრესად პოეტური და ესთეტიკური. საბჭოთა პეიზაჟისტი თავისი მხატვრული ტილოებით გამოხატავს სამშობლოსადმი სიყვარულს და პატრიოტიზმს, ამიტომ ნამდვილ პეიზაჟს ყოველთვის ახასიათებს ხალხურობა. როგორი სიყვარულით აქვთ გადმოცემული რუსეთის უდიდესი მდინარე — ვოლგა — საერასოცს, რეპინს, ლევიტანს, საბჭოთა მხატვრებში — რომაინს. სად არის ჩვენს ტილოებზე გადმოცემული მტკვარი ან რიონი? თითქოს ქართულ ფერწერას ძალიან ბევრი სურათები შეუქმნია პეიზაჟურ დარგში, მაგრამ ნამდვილი ქართული ტიპური პეიზაჟის შექმნა ჯერ კიდევ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მხატვრებისათვის. ახლო წარსულში ასეთი პეიზაჟის შექმნის შესანიშნავ ცდებს ჰქონდა ადგილი ჩვენში. გიგო ვაბაშვილის მიერ შესრულებული მთიანი პეიზაჟები ხევისურების ფიგურებით; ალ. შრეელი-შვილის მცხეთის მღვდლობები, ალ. ციმაკურიძის შორეულ-მწვიფეთის პეიზაჟები, ვ. სიღამონ-ერისთავისა და ელ. ახვლედიანის ვახუშტის პეიზაჟები, დ. კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟები და სხვა. მაგრამ ეს ზომ ჩვენი ქვეყნის რეალურციამდელი პეიზაჟებია. საბჭოთა პეიზაჟური ფერწერა დგას საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანის წინაშე — აღამიანის გმირული შრომით გარდაქმნილი და გადასხვაფერებული პეიზაჟის გამოხატვა. პეიზაჟი გაციცხლებული აღამიანის შრომით, ამას არ გაუარბოდნენ წარსულის უდიდესი მხატვრები — რუბენსი, მილე, მორიანდიელები. უნდა გვახსოვდეს; გარდა იმისა,

რომ თანამედროვე პეიზაჟი შემეცნებით-ესთეტიკურს ფუნქციებს ასრულებს, იგი ამავე დროს მხატვრის ინტელექტუალური გამოხატულების მხატვრული იარაღიცაა.

თუ ჩვენს გამოფენას დაუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ გარდა იმ პეიზაჟური ეტიუდებისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპონირებულია თემატიკური ხასიათის პეიზაჟებიც. ცხადია, ყველაფერი, რაც ეთქვით პეიზაჟის შესახებ, სრულიად არ ნიშნავს ამას, ვითომ ჩვენში ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობა იყოს, არა, ჩვენი მხატვრები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ ამ მხრივ და ეს მუშაობა უფრო ღრმად და ფართოდ გაიშლება შემდეგშიც. ამის საწინდარია გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები, რომლის შესახებ თავის დროზე ბევრი დაიწერა: მაგალ, ვ. სიღამონ-ერისთავის „დოლი“, ი. შარლენანის „მარულა“ კ. გველშვილის „კოლხიდა“, მ. თოიძის „როველი“, თ. აბაკელიას „ბედნიერი ოჯახი“, და აგრეთვე მ. თარიშვილის „მოსწავლე ხევისური“, ი. მამალაძის „დასვენება მონბიტალში“ და შ. მეტრეველის „მოსავლის აღება“.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევჩერდეთ დ. კაკაბაძისა და ელ. ახვლედიანის მუშაობაზე პეიზაჟის დარგში. დ. კაკაბაძე მეტად თავისებური მხატვარია. მან საკმაოდ დიდი და საინტერესო გზა განვლო. იგი მუდამ მიებაშია, ერთ ვაყინულ წერტილზე არასდროს არ გაჩერებულა, ხან მიღწევდა შემოქმედებითს წარმატებას, ხან განიცდიდა შემოქმედებითს დამარცხებას. მაგრამ წარმატება მას არასდროს იმდენად არ აკმაყოფილებდა, რომ დაშვრილებული დარჩენილიყო, დამარცხება კი მას არასდროს არ აშინებდა იმდენად, რომ სასოწარკვეთილებში ჩაეარდნილიყო. ზოგჯერ ძიებებით გატაცებული დ. კაკაბაძე სცილდებოდა

კიდევაც ხელოვნების სპეციფიურობის საზღვრებს და მეცნიერებაში შეიჭრებოდა ხოლმე. ამიტომ არის, რომ ზოგი მისი ნაწარმოები ნახაზებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ნახატებს. მაგალ., „თბილისის მიდამოები“. ამ მხრივ დ. კაკაბაძე შუა საუკუნოების ქართველ ხუროთმოძღვარს უფრო წააგავს: მას სურს რეალური სინამდვილე გადახაზოს, ვაზომოს, ვერტიკალებში და პორიზონტალებში გაშალოს. დ. კაკაბაძის პეიზაჟი გეომეტრიულია უფრო, ვიდრე კოლორიტული. მაგრამ, ანატოლ ფრანსის თქმისა არ იყოს: „თუმცა სილამაზე გეომეტრიისაგან წარმოიქმნის, მაგრამ მხოლოდ გრძობით შეიძლება მისი ნაზ ფორმებში ჩაწვდომა“. დ. კაკაბაძის უკანასკნელი სურათი „1942 წელი. ქართული პეიზაჟი“, რომელიც შარშან საიუბილეო გამოფენაზე იყო ექსპონირებული, საყურადღებო ცდას წარმოადგენს სამაშულო ომის დროის ქართული პეიზაჟის მოცემისა. რაც შეეხება იმერეთის პეიზაჟებს, დ. კაკაბაძე, როგორც კულტურული და თანამედროვეობის შემგრძობი მხატვარი დაგვეთანხმება, რომ იმერეთის ის პეიზაჟი, რომელიც ტიპური იყო 1915—1920 წლებისათვის და რაც ასე შესანიშნავად გადმოგვცა თავის დროზე მხატვარმა, დღეს ახალ ეპოქაში, სოციალისტურ საქართველოს ეპოქაში, უკვე შეცვლილია. ბუნება განყენებული ცნება როდია, იგი არამც თუ ადამიანის ხელით, არამედ თვითონ თავისთავათაც იცვლის სახეს. დ. კაკაბაძემ თავისი ძიებანი და დაკვირვებანი უნდა წარმართოს ახალი, შინაარსიანი და თემატიკური პეიზაჟის შექმნისათვის.

ე. ახვლედიანი თავიდანვე პეიზაჟურ ფერწერისკენ მიდრეკილებას იჩენდა. იგი ბუნებით პეიზაჟისტი იყო. თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ მის სურათს, თემატიკურ კომპოზიციური, მრავალფეროვნებაანი იქნება იგი, თუ პატარა ფორმატის „უშინაარსო“ ეტიუდი, რომ იქ

გაბატონებული ადგილი პეიზაჟს არ ეკავოს. მაგრამ პეიზაჟს ე. ახვლედიანის სურათებში მხოლოდ ფონის მნიშვნელობა არასდროს უკავია. ყოველთვის ამბავი ან მოქმედება სწარმოებს პეიზაჟის შიგნით, ბუნება არის ყოველთვის ის გარემო, სადაც სწარმოებს მოქმედება. გარდა ამისა ე. ახვლედიანს არ უყვარს განყენებული ე. წ. „წმინდა“ პეიზაჟი. ამ მხრივ მხატვარი კლასიკური პეიზაჟის დიდ ტრადიციას აგრძელებს და თავის პეიზაჟებს ყოველთვის ავსებს, ამდიდრებს, აცოცხლებს ადამიანით. ადამიანი ე. ახვლედიანის პეიზაჟში ან შრომობს, ან მოქმედობს, ან შრომის შემდეგ ხან დასვენებას, ხან ლხინს და ქეიფს მიეცემა. ავიღოთ თუნდაც ამ გამოფენაზე ექსპონირებული მისი ძველი სურათი „სილნალი“. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა სილნალში, არ შეიძლება არ გაოცდეს ე. ახვლედიანის კახეთის ამ კუთხის ბუნებაში ასე ღრმა ჩაწვდომით: შორს გაკიმულა ალაზნის ველი თავის ნაირ-ნაირი ფერით აწკრიალებული, ცენტრში ცისკენ აზიდული ციხე და წინა პლანზე—ჩარდახიან ურმებთან მოქეიფე ფიგურების ენარული სცენა. ეს რეალისმია, მაგრამ პოეტურ პრიზმაში გატარებული, ე. ი. ნამდვილი რეალიზმი, რომელიც გულისხმობს რომანტიულობის ელემენტებსაც. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შარშან საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირებული სურათი „ქალხორის ახალი გზატკეცილი“. ე. ახვლედიანის შემოქმედებითი განვითარებისათვის შეტად დამახასიათებელია ეს პეიზაჟი. ჯერ ერთი, რომ თემატიკურად იგი საქართველოს უხვი და მდიდარი ბუნების ერთ-ერთი კუთხის ჩვენებაა, მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ სურათის მნიშვნელობა. ე. ახვლედიანი აქ წარმოგვიდგება, როგორც საცემბით მომწიფებული მხატვარი, რომელიც ჩასწვდა არა მარტო ბუნების სილამა-

ხეს, არამედ ბუნების სიბრძნესაც კი. აქ არაერთი ადგილი არა აქვს ბუნების გადმოცემაში ესკიზურ შემთხვევითობას, სურათი აღწევს დიდ განზოგადებას. ეს არის ჩვენი ბუნების ერთ-ერთი მხარის მონუმენტური ხილვა. ეს არის ის, რაზედაც მუდამ ოცნებობდა სეზანი, როდესაც ამბობდა, რომ პუნენი ბუნების მიხედვით უნდა შევასწოროთო. უნდა ვიფიქროთ, რომ მხატვარი უფრო ღრმად განავითარებს თავის მუშაობას ამ მიმართულებით და მოგვეცემს საქართველოს ბუნების სხვა კუთხეების მასალაზე აგებულ ჩვენი ქვეყნის ტიპიზირებულ და განზოგადებულ სახეს, საქართველოს მიწაწყალის ნამდვილ მხატვრულ ბიოგრაფიას.

არ შეიძლება არ შევწერდეთ ე. წ. ძველი თბილისის თემატიკაზე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მხატვრები თანდათან ემშვიდობებიან ამ თემატიკას და ეს საკვირველიც არ არის. ძველი თბილისის ცნობილი ტრუბადური ი. გრიშაშვილი ჯერ კიდევ 1925 წელს გამოემშვიდობა ძველ თბილისის თავის შესანიშნავ ლექსში „გამომშვიდობება ძველ თბილისთან“ და დღეს უკვე ანაქრონიზმად მოგვეჩვენება ძველი თბილისის სხვადასხვა აქაიქ კიდევ დარჩენილი კუთხეების პოეტური იდეალიზაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე მხატვარს ახლა სულ სხვა თემები უნდა აინტერესებდეს. თავის დროზე ლ. გუდიაშვილმა მთელი მხატვრული ეპოპეა შექმნა ძველი თბილისის თემაზე, სადაც გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზური ლექსების სიმღიერით წარმოგვიდგინა იმდროინდელი თბილისის მოკემურ-დემოკრატიული ფენების ყოფაცხოვრება, როგორც თავისებური, „რუსოისტური“ პროტესტი მეშინურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების მიმართ. მაგრამ ამას იმდროისათვის თუ მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა ამ თემის გაგრძელება,

ისიც იდეალიზირებულ სახეს, რეტროგრადულ ხასიათს იღებს. არაეინ არ უარყოფს ძველი თბილისის ცალკეული კუთხეების მნიშვნელობის ფერწერის, ნახატის ან ფოტოგრაფიის საშუალებით ფიქსირების საჭიროებას. ეს მით უფრო ღრულ და სასწრაფო საქმეს უნდა წარმოადგენდეს, რომ ძველ თბილისს თანდათან ეცვლება სახე. დღეს უკვე ვეღარ ნახავთ იმ ძველ სახლებს, რომელნიც ბალნეოლოგიურ კურორტის, მუხრანის ქუჩის, ან სხვა ადგილას იდგნენ. იმ ადგილის ფიქსაცია, რომელიც თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიადი გეგმის მიხედვით უნდა გადაკეთდეს, უთუოდ სასარგებლო და საჭირო საქმეა, რადგან მას მომავალში თავისებური ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ეს უფრო თბილისის მუნიციპალურ მუზეუმის ფუნქციაა, ვიდრე მხატვართა კავშირისა და სწორედ იქ უნდა იყოს აღდგენილი და შენახული ძველი თბილისის სახე და არა მხატვართა კავშირის პერიოდულ გამოფენებზე, სადაც საბჭოთა მასშტაბის საპარტიო-სამხატვრო მითითვებს თანამედროვე თემატიკაზე დახატულ მხატვრულ ტილოებს.

ქართულ ფერწერაში შესანიშნავი ტრადიცია არსებობს ნატურ-მორტის ეანრისა. საუცხოო ნატურ-მორტებს ქმნიდა ნ. ფიროსმანიშვილი, სადაც ნივთები ხელშესახები რელიეფურობით ბრწყინავდნენ გ. გაბაშვილი, ლ. გუდიაშვილი, მ. თოიძე, დ. კაკაბაძე და სხვები. იბადება კითხვა: როგორი ადგილი უნდა ექიროს ნატურ-მორტს თანამედროვე საბჭოთა ფერწერაში, წარმოადგენს თუ არა იგი ისეთივე სრულფასოვლებიან ეანრს, როგორც, მაგ., პეიზაჟი, ან პორტრეტი? ჩვენის აზრით ნატურ-მორტს, ამ სი-

ტყვის არაეწრო გაგებით, უსათუოდ საპატიო ადგილი უნდა ჰქონდეს თანამედროვე საბჭოთა ფერწერაში. ჯერ კიდევ ტოფილ გოტიეს უხერხულად ეჩვენებოდა ტერმინი „ნატურ-მორტი“, რაც ნიშნავს „მკვდარ ბუნებას“: „არსებობს დაკანონებული გამოთქმა, რომელიც ჩვენ გულს გვიმღვრევს, მაგრამ მაინც უნდა ვიხმაროთ იგი, რადგან ყველასათვის გასაგებია: ეს nature-morte, თითქოს ბუნება ყოველთვის ცოცხალი არ ყოფილიყო.“ ჩვენც ძველებურად ვეძახით „ნატურ-მორტი“, მაგრამ ვანა ბუნება მკვდარია? ნატურ-მორტი შესანიშნავ საშუალებას იძლევა, რომ მხატვარმა გამოიჩინოს და გამოამყდუნოს თავისი ფერწერითი და ფორმალური ოსტატობა. მაგრამ გარდა ტექნიკური ფერწერითი მხარისა, ნატურ-მორტი საუცხოო საშუალებაა საბჭოთა ცხოვრების მატერიალურ ნივთობრივი მხარის ჩვენებისა. ვანა ბარაქაინი და დოვლათიანი საკოლმეურნეო ცხოვრება ცოტა მასალას იძლევა საბჭოთა ნატურ-მორტის შექმნისათვის? საბჭოთა ნატურ-მორტი, არა როგორც სტატიკა, „მკვდარი ბუნება“, პირიქით ნატურ-მორტი, როგორც სიმდიდრე, სიუხვე ჩვენი ბუნებისა, დოვლათი საბჭოთა ადამიანისა. აქ შეიძლება ადამიანის ფიგურაც იყოს გამოყვანილი, თუმცა არა როგორც მთავარი, არამედ როგორც სურათის შემადგენელი ნაწილი, ადამიანი, როგორც ბატონბატრონი ამ მატერიალური სიუხვისა, რომელიც ადამიანისავე ხელით არის შექმნილი, მოკრეფილი და შექმნილი. მსოფლიო ფერწერის უდიდესი ნატურ-მორტისტები, როგორც ფლამანდიელი სნიდერსი და ფრანგი შარდენი ზმირად იყენებდნენ ადამიანის ფიგურას ნატურ-მორტში, რითაც თავის სურათს ფარულ ფერწერას უახლოვებდნენ. საბჭოთა ნატურ-მორტი უნდა გამოხატავდეს საბჭოთა ადამიანის გრძობებს: მას უყვარს სიცოცხ-

ლე, გრძობს არსებობას, სურს უღეს და სიხარულს; აქედან — ნატურ-მორტი, როგორც ცხოვრების აბსოლუტური და პიშნის ნატურ-მორტის საშუალებით შეიძლება მხატვარმა გამოხატოს არა მარტო თავისი პირადი, არამედ მთელი მისი დროის მსოფლშეგრძნება.

ამ მხრივ გამოფენაზე, ყველაზე საყურადღებოა კ. ხუციშვილის ნატურ-მორტი. დიდი ფორმატის ტილოზე, ნაცრისფერ ფონზე ჩამოკიდებულია ორი ხიზობი. წინა პლანზე სამხარეული მაგიდაზე დაკიდებულია კურდღელი. ფაქტურის შესანიშნავი გრძობით არის გადმოცემული კურდღლის ფაფუკი ბეწვი. ფერადულობის საუცხოო გრძობით არის გადმოცემული ცისფერ სუფრავე ტყის ქათამი. მთელ ამ მდიდარი და უხვი ნანადირევის ჩვენებას კომპოზიციურად ამთავრებენ მარცხნივ ზონარი და მარჯვნივ რამდენიმე ნაირნაირი ფერის ვაზნა. კ. ხუციშვილმა საკმარისად გამოიჩინა ცხოველების აგებულობის ცოდნა და გამოსახაზავი საგნების დაჯგუფების უნარი: მაგიდის პორჩონტალური სიბრტყე, ნანადირევის ვერტიკალები — მთლიანად კომპოზიცია კარგად არის ჩამყდარი სურათში. კ. ხუციშვილის ეს ნატურ-მორტი უთუოდ საინტერესო ცდაა მონადირის ნადავლის სახით ქართული ნაციონალური ნატურ-მორტის შექმნისა. ასეთივე ფერადულ პოემას სულ უზრალო ჩვეულებრივ საგნების შესახებ ქმნის კ. გძელიშვილი თავის ნატურ-მორტში „ხილი“. აქ ნახეთ თითქმის ყველა ჯიშის ქართულ ყურძენს: შოვარდისფერო მუსკატი, ყვითელი ალიგოტი, ქარვისფერი ხარისთვალა, შავი მუსკატი. მათი რეალურობა ყველაზე სასტიკი მევენახის კრიტიკას გაუძღვბს. მხატვარი დიდის სიყვარულით გადმოგვეცმს ყურძნის ფერწერითს ფაქტურას. კახეთის ბუნების დოვლათი, მისი სიუხვე არანაკლები მხატვრული ძლიერებით აქვს

მხატვარს გადმოცემული დანარჩენ ნივთებში: ბროწეული, კაკალი, გოგრა და ვაზა მურაბით. კარგი იქნებოდა, თუ კ. ხუციშვილი და კ. გვქლიშვილი თავის მომავალ ნატურ-მორტში საბჭოთა ადამიანის გამოყვანას შეეცდებიან, რაც მეტად გააცოცხლებდა კომპოზიციას. მხატვარს სრულებით არ უნდა ეშინოდეს ქანრიზში გადასვლისა. ყოფითი ქანრული ელემენტები მხოლოდ გაამდიდრებენ კომპოზიციას, დააკავშირებენ ტილოზე გაბმულ ნივთებს, თუ საგნებს და დინამიურ აქტიურ ელემენტს შეიტანენ ნატურ-მორტში. ამ მხრივ, როგორც კლასიკური მაგალითი, ჩვენთვის უფრო მისაღები ფლამანდური, ვიდრე პასიურ-სტატიური მდგომარეობაში მყოფი პოლანდური ნატურ-მორტი. სწორედ ასეთი სტატიურობა ახასიათებს ნ. თამაშველას მიერ შესრულებულ ნატურ-მორტს. მთლიანად, როგორც მხატვრული და ფერწერითი ნამუშევარი, მისი სურათი ქების ღირსია. შესანიშნავი ფერწერით და საგნის ფაქტურის კარგი გადმოცემით არის შესრულებული სურათის ცალკეული ნაწილები: ხრამული, ყანწი, და წიწაკა; ყველი თევზზე, ღვინით სავსე სამი ჭიქა და ბოლოკი; ზახვის სამი თავი, დოქი და პური; ტიკტორა და შავი ყურძენი. ყველაფერი ეს ცოცხლად და ბუნებრივად არის გადმოცემული, მაგრამ სურათი მანც ხელოვნურად დაწყობილი კომპოზიციის შთაბეჭდილებას სტოვებს. მას მხატვრული მთლიანობა აქვია. ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოთვალეთ, თითქოს განგებ ოთხფენად არის დაწყობილი, ოთხი პირიზონტალური ხაზით, რომელსაც მხოლოდ ერთი დიაგონალი სჭრის მარჯვნიდან მარცხნივ შამფურზე ავებული ცერიანი მწვადის სახით. ვიმეორებთ, ნ. თამაშველამ ამ ნატურ-მორტით უთუოდ გამოიჩინა

მხატვრული გემოვნება და ნიჭი, მხოლოდ საქირია მომავლისათვის უფრო მეტი იფიქროს სურათის კომპოზიციურ მხარეზე, კომპოზიციურად გაუმჯობესებისა და შეკრულობის ბუნებრივობაზე. რატომღაც ყვავილების გამოხატვაც ნატურ-მორტს მიაკუთვნა ხელოვნების ისტორიამ. პოლანდიაში სპეციალური მხატვრები არსებობდნენ, რომლებიც მხოლოდ ყვავილებს ხატავდნენ, მაგალითად, დე-ხეემი. დასავლეთ-ევროპის, რუსულ და ქართულ ფერწერაში ყვავილების ტილოზე გამოხატვას სათანადო ადგილი მიეკუთვნა. მოვიგონოთ თუნდაც გ. გაბაშვილის შესანიშნავი პასტელი „ჭირბანტემში“. ჩვენს გამოყვანაზე ექსპონირებულია ვ. შერპილოვის და კ. სანაძის „ვარდები“, მაგრამ რამდენადაც ვ. შერპილოვის შიგრ კარგად დიხატული ვარდები ამ ყვავილის ჩვეულებრივ სახეს წარმოადგენს, იმდენად კ. სანაძის ნატურ-მორტი, პირველი შეხედვით, თითქოს ვაჟურვევლობას იწვევს, მაგრამ ამის შრალი უთუოდ წარწერას მოჰქვამს, რომელიც ვერ გამოხატავს იმას, რაც მხატვარს სჭონდა მოფიქრებული. მხატვრის აზრით ესენი უნდა ყოფილიყვნენ „მწუხარების ვარდები“, რომელნიც მოხდენილი არიან სამამულო ომში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცის ხსოვნისადმი. ამის შემდეგ ვასაგებია, თუ რატომ არის თითქოს შავ-ძაძებში ვახვეული თეთრი და წითელი თავდაზროლი ვარდები, აგრეთვე ცისფერ ყდიან წიგნზე, რაც სიმბოლიურად ცხოვრების წიგნს გამოხატავს, რატომ არის თეთრი ვარდი. მხატვრული ოსტატობის მხრივ სურათი კარგადაა შესრულებული და თემატიკურ-კომპოზიციური მხარე მხატვარს ორიგინალურად აქვს გადაჭრილი.

დავით ნეკრთელი-სხვიგორაკელი

(ფსევდონიმ სხვიგორაკელის საკითხისათვის)



ქართული ლიტერატურის ისტორია-სა და კრიტიკაში, დიდი კლასიკოსის—აკაკი წერეთელის შემკვიდრების შესწავლის დროს, ერთი მეტად მცდარი შეხედულება განმტკიცდა. სახელდობრ—არსებობს შეხედულება, რომ ფსევდონიმი „სხვიგორაკელი“ აკაკის ეკუთვნოდა და რომ ამ ფსევდონიმით იგი თანამშრომლობდა 1875—76 წლების გაზეთ „დროებაში“.

სათანადო ლიტერატურული მონაცემებისა და აკაკის შემკვიდრების საარქივო მასალის გადათვლიერებისა და შესწავლის დროს ნათელი გახდა, რომ „სხვიგორაკელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ნაწარმოებნი შეცდომით არის აკაკისეულად მიჩნეული.

საჭიროა მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ლიტერატურულ-კრიტიკული მონაცემები ამ საკითხის გამო.

აკაკის ბიოგრაფ-გამომცემელმა განსვენებულმა სერგი გორგაძემ ფსევდონიმი „სხვიგორაკელი“ აკაკის მიაკუთვნა. მანვე თავის ნაშრომში „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“¹ შეიტანა სხვიგორაკელის ფსევდონიმით 1875—76 წლების გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი „ძველებური ამბები“, წერილები, კორესპოდენციები და ფელეტონები, —სახელდობრ:

„საჩხერე მარტის ცხრამეტს“ (№ 37, 28/3—1875 წ., № 38, 30/3—1875 წ.);

„ჩერქეზის ქალი“ (სხვიგორაკელის დღიურიდან № 48, 30/4, 1875 წ.);

„ძველებური ამბები „მახვილაძე“ და „თუში“ (საგმირო გადმონაცემები № 60, 30/5—1875 წ.);

„გივი ამილახვარი და იმის მოურავი“, „გურული“, „აზირებული მომჩივარი“ (№ 64, 8/6—1875 წ.);

„ლანდია ხურო“, „ბატონები“ (№ 65, 11/6—1875 წ.);

ფელეტონი „იმერული ქუდი“ (№ 70, 22/6—1875 წ.);

„ბაქრაძის ქვრივი“ (№ 108, 21/9—1875 წ.);

„საჩხერე, 26 დეკემბრისთვის“ (№ 126, 1875 წ.)²;

ფელეტონი „არხეოლოგიური საზარება“ (№ 127, 1875 წ.);

„წერილი რედაქტორთან“ ერთი ბლაღოჩინის უწყესო საქციელზე (№ 130, 14. 11—1875 წ.);

„ძველებური ამბავი“ (№ 145, 1875 წ.)³;

„დ. საჩხერიდამ“, (№ 22, 1875 წ.).

¹ ეს წერილი სხვიგორაკელის ხელმოწერით გამორჩენილია (ზემოთდასახელებული შენიშვნა სერგი გორგაძის — „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“.

² იხ. აკაკის „ჩრეული ნაწერები“ ტ. I, გამოცემა 1925 წ., გვ. 141—143, მეორე გამოცემა 1930 წ. გვ. 143—145 წ.

³ იხ. სერგი გორგაძე—აკაკის ბიბლიოგრაფია“ 1915—1916 წლებში შედგენილი, ხელნაწერის სახით ინახება საქ. საბ.მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში H—1466.

„დ. სანხერე“, (№ 93, 1875 წ.);
 „ზემოიმერეთი“ (№ 134, 10/12—
 1876 წ.);

ნოველა „ჩერქეზის ქალი“ (სხვიტორელის დღიურიდან) ს. გორგაძის და ს. აბაშელის მიერ შეტანილ იქნა აკაკი წერეთელის „ჩრეულის ნაწერების“ I ტომის პირველსა და მეორე გამოცემაში.

ს. გორგაძე და ს. აბაშელი აღნიშნულ ორივე გამოცემათა პირველი ტომის—„შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაში“ აღნიშნავენ: **ჩ ერ ქ ე ზ ი ს ქ ა ლ ი**» პირველად დაიბეჭდა «დროებაში» 1875 წლის 30 აპრილს № 48. ჩვენს გამოცემას ეს ტექსტი უძვეეს საფუძვლად. გაზეთში მას ხელს აწერს «სხვიტორელი», რომელიც ერთი მრავალ ფსევდონიმთაგანია აკაკი წერეთელისა¹.

ამავე აზრს იმეორებს ს. გორგაძე თავის აკაკის ბიოგრაფიულ ნარკვევში—„აკაკი წერეთელი“ (ბიოგრაფია) და აღნიშნავს აკაკის სხვა ფსევდონიმებს შორის „სხვიტორელსაც“.²

ასეთსავე შეცდომას, ფსევდონიმ—„სხვიტორელის“ საკითხის გამო ადგილი აქვს სხვა მკვლევართა შრომებშიც.³

როგორც ჩანს მკვლევარმა ლევან ასათიანმაც უჩვეულად მიიჩნია „სხვიტორელი“ აკაკის ფსევდონიმად. თავის შრომაში „ცხოვრება აკაკი წერეთელისა“ მან უდავოდ გააიგივა 1875—1876 წლებში „დროებაში“ დაბეჭდილი—„ძვილებური ამბები“ აკაკის ხელის მოწერით („დათუნა | გოცირიძე“, „ოთია მესხი“ „სოლომონ მეფე, ელიზ-

ბარ ერისთავი და კორინთელი“ „ურბის ჩხუბი“) და „სხვიტორელი“ ფსევდონიმით დაბეჭდილი „ზემოელდასახელებული წერილები“ (სხვიტორელი, ლ. ასათიანს აკაკის ნაწარმოებთა შორის დასახელებული აქვს სხვიტორელის ხელმოწერით გამოქვეყნებული „ძველებური ამბების“ სერიიდან—„თუში“. იგი სწერს: „... მთელი სერია“ „ძველებური ამბებისა“, სადაც გადმოცემულია ძველი საქართველოს ცხოვრების სურათები, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა რაინდობა, მათი გონება-მახვილობა, სავაქეცო წესები და ჩვევები, ეს პატარა ნაწარმოებნი, მარგალიტის მძივებივით ამოკრეფილნი ხალხის მეხსიერებიდან, აკაკიმ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში, როგორც დაუფიქვარი საუნჯე; ასეთებია, მაგალითად, ნოველები: „დათუნა გოცირიძე“, „ოთია მესხი“, „კორინთელი“, „თ უ შ ი“ და სხვ.⁴

სხვიტორელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ზემოთდასახელებული—„ძველებური ამბები“, ფელტონები და კორესპონდენციები, ჩვენს სახელოვან პოეტს—აკაკის არ ეკუთვნის. მას ამ ფსევდონიმით არასოდეს არ უწერია.

ამ საკითხის ერთგულ და საბოლოოდ გადაჭრისა და დადგენისათვის საჭიროა აღინუსხოს მთელი რიგი უცილობელი ფაქტები.

გაზეთი „ივერია“ 1888 წელს „აწალ ამბავში“ იტყობინებოდა: „როგორც შევეტყუეთ, თავ. დავით წერეთელს, ადრე „დროებაში“ სხვიტორელის სახელით ცნობილს, დაუწერია მოთხრობა თბილისის იმერელთა და სომეხთა ცხოვრებიდან. ავტორს განზრახვა აქვს

¹ იხ. პირველი გამოცემის გვ. 339, მეორე გამოცემა გვ. 343.

² იხ. ჩრეულის ნაწერები ტ. II, 1926 წ. შვ. 30 ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით.

³ იხ. „ლიტერატურული შემკვიდრება“ წიგნი 1, სახელტის გამოცემა 1935 წ. შენიშვნები გვ. 516.

⁴ იხ. „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ გვ. 289.

ამ მოკლე ხანში დაპბეკდოს ეს მოთხრობა.¹

ცხადია, არ შეიძლება, ისეთ პოპულარულ გაზეთს, როგორც „ივერია“ იყო, აკაიისა და დავით წერეთლის სიკოცხლეშივე, შეცდომით სხვიტორელი თავ. დავით წერეთლისათვის მიეკუთვნებინა.²

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „სხვიტორელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების არცერთი ავტორგრაფი არ მოიპოვება აკაიის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

თვით მოთხრობა „ჩერქეზის ქალი“ (სხვიტორელის დიდიურდგან) აკაიის—„რჩეული ნაწერების“ ტ. I-ში, გაზეთ „დროების“ 1875 წლის № 48-ში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით იქნა შეტანილი.³

ფსევდონიმით—„სხვიტორელი“ რომ აკაიის არ ეკუთვნის, ამას თვით პოეტის უდავოდ გვიდასტურებს. აკაიი თავის პირად წერილში, რომელიც გამოუგზავნია „დროების“ რედაქტორ სერგეი მესხისათვის 1879 წელს პეტერბურგიდან, სხვა საკითხებთან ერთად, სერგეის ეკითხებოდა: „რატომ სხვიტორელის კორესპონდენტებს და ს. მელიქიშვილის ფელეტონებს არ ბეჭდავ?“-ო და სხვა. აკაიის წერილი სერგეი მესხისადმი მეტად საყურადღებოა, რის გამოც აქვე სრულად მოგვყავს წერილის ტექსტი:

„ძმო სერგო!

დიდი მადლობელი ვარ. შენი და და-

¹ იხ. „ახალი ამბები“, გაზეთი „ივერია“ 149, 1887—1888 წ.

² სხვიტორელის აკაიისადმი შეცდომით მიეკუთვნების შესახებ იხ. ქ. შარაშიძის შენიშვნა. სპ. საჯარო ბიბლ-ის შრომები, წ. მე-3, 1937 წ. გვ. 109.

³ იხ. შენიშვნები და ბიბლიოგრაფია, აკაიის რჩეული ნაწერები ტ. I, გვ. 141—143, მეორე გამოცემის გვ. 343.

ვით ერისთავის* ბარათში და ფულმა ისე გამაყვირვა, რომ ჯერ ჩემს ჰეულანდ არ მოესულვარ, ტრემ მადლდ ვუთხრა და სიტყვა შეუსრულდი მეტად გაეშტერდი.. მეტად!.. მე კი ამ მოკლე ხანში უთუოდ წამოვალ, ცოტა საქმეებში შემაჩერეს... ძალიან გული მწყდება იმ ჩემ მუახლენდ, თუ მართლა იმას უპირავს კორექტურა!.. მეტად! შეცდომებია და არ ვარგა!.. რატომ სხვიტორელის კორესპონდენტებს და ს. მელიქიშვილის ფელეტონებს არ ბეჭდავ? ახალციხური ფელეტონები ლაზთიანია!.. გეთაყვა, მოიწერე ზაქარია მთაწმინდელს ვინ არის? ზაქარია როგორ იქნება? — ანდრია კაპანაძის უთხარი, რომ ჯიბეები დაიკროს, ხიდის ყურთან ყალიონი მოსწიოს და გამველ-გამოველუებს უბოლოს. მეც მალე ვნახავ და ყოლიფერს გაიგებს.

შენი აკაი წერეთელი!

1875—6 წლების „დროებაში“, „ძველებური ამბების“ საერთო სათაურს ქვეშ იბეჭდებოდა წერილები აკაიის, სხვიტორელის და სხვათა ხელმოწერით. კერძოდ 1875 წლის დროების № 60-ში დაბეჭდილია „ძველებური ამბები“-ს სათაურით „ურბების ჩხუბი“ აკაიის ხელმოწერით, ხოლო ამის შემდეგ სხვიტორელის ხელმოწერით — „მახვილაძე“ და „თუში“. ესეც ცხადად ადასტურებს, რომ სხვიტორელი და აკაი ერთი და იგივე არ არის. რა საჭირო იყო ერთი და იმავე გაზეთში სხვადა-

* დავით ერისთავი (1817—1890) ცნობილი დრამატურგი, „სამშობლოს“ იტორი.

² სტეფანე მელიქიშვილი (1841—1886) გაბ. „დროების“ გამოცემელი, ს. მესხის ცოლისძმა.

³ ზაქარია მთაწმინდელის ფსევდონიმით სწერდა ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჯიბნაძე.

* წერილი ინახება ს. მესხის მიმოწერაში, საქართველოს მეზღუბის ბიბლიოწერები ფონდი S-5103.

სხვა ხელმოწერით დაბეჭდა აკაკის თავისი ნაწერები? საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში უკვე ყველასათვის ცნობილი სახელოვანი პოეტი, მხოლოდ აკაკის ხელმოწერით აქვეყნებდა თავის ნაწერებს.

საკითხავია ამის შემდეგ, ვინ წერდა სხვიტორელის ფსევდონიმით და ვინ არის გაზეთ—„ივერიის“ მიერ დასახელებული თავ. დავით წერეთელი?

სხვიტორელის ფსევდონიმით ქუთაისიდან 1875—76 წლებში გაზეთ „დროებაში“ წერდა დავით როსტომის-ძე წერეთელი. იგი, აკაკის უფროსი ძმა იყო. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით დავით წერეთელი დაიბადა 1832 წელს. ქუთაისის გიმნაზიაში უსწავლია. გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გამოსულ დავითი სამხედრო სამსახურში შესულა. იგი ჩაურციხავთ ქართულ გრენადერთა პოლკში, რომელიც აღბულაში იყო დაბანაკებული.

დავითი სამხედრო სამსახურში, 1853—1869 წლებში ყოფილა. შემდეგ იგი გამოსულა სამსახურიდან. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბის უფროს მეცნიერი თანამშრომლის — იასონ ლორთქიფანიძისა და სხვათა ვადმოცემით, დავით წერეთელი, სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ, იმყოფებოდა ქუთაისში. იგი მეტად პოპულარული, დარბაისელი პიროვნება და კარგი მოსაუბრე ყოფილა.

მათი მომსწრე და თანასოფელის — პეტრია კირვალიძის ვადმოცემით — „აკაკის მსგავსი იყო მისი ძმა დავითი, არავის აწყენინებდა“-ო.¹

თვით აკაკის და დავითს, სიკვდილამდის ტკბილი ძმობა და სიყვარული ჰქონიათ, ერთმანეთს უდიდესი პატი-

¹ იხ. ლიტერატურის მატანიე, წიგნი 3—4, 1942 წ. გვ. 45. მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან. გრ. ინსარაძის ჩაწერილი.

13. „მნათობი“, № 5.

ვისცემითა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ.

რუსეთ - თურქეთის კონფლიქტის დროს 1877—1878 წლებში სამხედრო სამსახურშია. რუსეთის მიერ ბათუმის აღების შემდეგ დავით წერეთელი დაუნიშნავეთ აჭარაში მაჭახელის უბნის უფროსად. ცხოვრების ამ პერიოდში მან დაბეჭდა გაზ. „დროებაში“ ფელეტონები და კორესპონდენციები აჭარელი ხალხის მდგომარეობისა და, ჩნე-ჩვეულებების შესახებ¹. ასეთებია: „ბათუმი, 25 სექტემბერს“, „მაჭახელა, 8 ნოემბერს“, ფელეტონი—„მაჭახელა“ (ერთი თვალის გადავლება),² „მაჭახელა, 4 დეკემბერს“, „მაჭახელა 3 დეკემბერს“, „მაჭახელა“, ფელეტონი—„მიზეზი ბათუმის ქართველების გარდასახლებისა“ (წერილი მაჭახელიდან), „მაჭახელა, 27 თიბათევს“, „მაჭახელა 2 სექტემბერს“ და სხვ. ეს წერილები დაბეჭდილია დ. წ.-ის და თ. დ. წ.-ის ხელმოწერით. ყველა ამ წერილიდან მოჩანს დავით წერეთელის გულშემატიკერობა და სიყვარული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თურქეთის ხელში მრავალტანჯული მოძმე აჭარელი ხალხისადმი.

დავით წერეთელს აგრეთვე აქვს დაბეჭდილი წერილები ქუთაისის გაზეთ—„შრომაში“³ — „ქართველი მონასტრები უცხოეთში“ თავ. დ. რ. წ.-ის ხელმოწერით, „ჩვენი ძველი და ახალი ეკლესიები“⁴—დავით წერეთელის ხელმოწერით და სხვ.

¹ იხ. „დროება“ 1878 წ. №№ 199, 267, 238, 255; 1879 წ. №№ 2, 35, 37, 141, 187, და სხვ.

² ეს ფელეტონი გაზ. „დროებიდან“ „ივერიაში“-ც იქნა დაბეჭდილი № 47, 30/11—1878 წ.

³ იხ. გაზეთი „შრომა“ № 5, 1882 წ.

⁴ იხ. ლიტერატურის მატანიე, წიგნი 3—4, 1942 წ. გვ. 35. მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან, ბავრატ ზაბახიძის მოგონებათ. ქავთარაძის ჩაწერილი.

დავით წერეთელი აქარაში, სამხედრო სამსახურში, 1881 წლამდე ყოფილა, რის შემდეგაც სამსახურიდან გამოსულა და დაბრუნებია თავის ოჯახს. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დრო, მას გაუტარებია სამშობლო—სოფელ სხვიტორში.

დავით წერეთელი გარდაიცვალა 1902 წელს, რასაც იუწყებოდა გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული სამგლოფიარო განცხადება. იგი დასაფლავებული იქნა სოფ. კვერეთში, მამა-პაპეულ აკლდამაში. კვერეთში, დავითისათვის სამარის გაკრის დროს, აღმოჩენილა ძველი საფლავი და ზედ კვა წარწერით. შემოწმების შემდეგ გამოიჩვენა, რომ ეს საფლავი ეკუთვნოდა დავით როსტომის-ძე წერეთელს, — აკაკის და დავითის მამის ძმას. ამგვარად, აკაკის ძმა დავითი, აღნიშნულ დავით როსტომის-ძე წერეთლის საფლავს ზემოდან დაიმარხა.

აკაკის, ამის გამო, თავისი ძმის—და-

ვითის საფლავის ქვისათვის ასეთი წარწერა გაუკეთებია:

„ორი დავით რუსთაველისაჲს
ერთი ბიძა და ძმისწულსაჲს
ერთ საფლავში მოვიქვეით
წერეთლები დამარხული.
აღმათ თურმე ეგ ყოფილა
ცა და ქვეყნის ღეთის განგება,
და ორივეს ერთად გვითხრან
საუკუნო განსვენება“.

— : —

საკითხის მიმოხილვის შემდეგ, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, სხვიტორელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწერები არ ეკუთვნის ჩვენს დიდ მგოსანს—აკაკი წერეთელს.

ფსევდონიმ—სხვიტორელის, დ. წ.-ის, თ. დ. წ.-ის, თავ. დ. წ.-ის, დავით წერეთელი-ს ზელმოწერით დაბეჭდილ „ძველებური ამბების“, ფელეტონების და კორესპონდენციების ავტორი ერთი და იგივე პირია, აკაკის უფროსი ძმა დავით როსტომის-ძე წერეთელი.

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა უ ი ა

*

თეიმურაზ ბატონიშვილის ახლად აღმოჩენილი „მოგზაურობა“

(„მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წერილთა და შენიშვნებით. საქართველოს სსრ განსაკჷმის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველო. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. თბილისი. 1946 წ.).

„მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოეტვა თეიმურაზის სახელი, რომელშიც მალაღობა ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურ ვასართობს, რომლის მიზანია — თავისი შრომით უკვდავყოფს სხენება თავისი ერისა, — ამ ადამიანის მდებალ მოწაფედ — სინიდიის ქვეშ უნდა ვთქვა — ვალიარებ ჩემს თავსო“, — აღნიშნავდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1838 წელს აკადემიკოსი მარი ბროსე, გამოჩენილი მეცნიერი, ფემდეგბელი მეცნიერული ჭარბელოლოგიისა.

თეიმურაზ ბატონიშვილი პირველი ჭართველი მეცნიერია, რომელიც ოფიციალურად აკადემიკოსი იყო რუსეთის სამეცნიერო მეცნიერებათა აკადემიასთან: იგი აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს 1837 წლის 29 დეკემბრის საზეიმო სხდომაზე. დახლოებით ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო მისი ზარიცხვა „კოპენჰაგენის ანტიკვარათა საზოგადოების“ წევრად; იგი მუდმივი თანამშრომელი და ნაყოფიერი კორესპონდენტი იყო „პარიზის საზოგადოებისა“; იმებოდა საკითხი პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად მისი მიღების შესახებ, მაგრამ სიკვდილმა უსწრა და, ამგვარად, შეწყდა სიკვდილზე ადამიანისა, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიური მეცნიერების განვითარებას.

თეიმურაზი პირველი ჭართველიაგანია, რომელმაც საქართველოს ისტორიის კვლევის შედეგების ევროპაში გატანისა და პოპულარიზაციის საქმეს დიდი მხვაი დასდო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ის იყო ბროსეს მას-

წავლებელი და მისი ნაშრომების პირველი რედაქტორი თუ მასალებს მიწოდებელი.

თეიმურაზის, როგორც მეცნიერის, მოღვაწეობა ნაყოფიერად გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ საქირია ჩვენი ზალხის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურისა და ენის კვლევა-ძიება მტკიცე აკადემიკოს-მეცნიერულ საფუძველზე იყოს დაუწყებელი. საქირია ჩატარდეს მასალების თავმოყრა, სისტემატიზაცია და მათი გაშუქება მეცნიერების უკანასკნელი მეთოლოლოგიის თვალსაზრისით. თეიმურაზს რიგინი განათლება ჰქონდა მიღებული, როგორც საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ის შვილი, კულტურულ გარემოში იზრდებოდა, — ცოდნის სხვადასხვა დარგს უფლებოდა ენობილ რექტორ დავით ალექსიშვილის ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელს კი ანტონ პირველის სკოლა ჰქონდა გავლილი. თეიმურაზი მოგვითხრობს: დავით ილექსიშვილი იყო „პაპის ჩემის მეფის ირაკლის დროს და მამი ჩემის მეფის გიორგის დროს. ინცვეტორი და უპირველესი მოძღვარი საქართველოს სამწიფელებელთა და დიდი სამწიფელებელი ჰქონდა გამართული კახეთის ქალაქა შინა თელავს, სამეფოს პალატის ნაწილში და იქ ასწავლიდა მამი ჩემის გარდაცვალებამდის; მერმე თავის ნებით გადამდგარა... ეს დავითი ილექსიშვილი იყო შავირდი ანტონ კათალიკოს პირველისა და ჩემის ძმის დავითისა და ჩემი ფილოსოფიისა, ისტორიისა და ჭართულის ენისა და წერისა მოძღვარის იყო... იმ ჩვენმა ოსტატმა დავით ილექსიშვილმა საქართველოს ისტორია დაბ კარგად იცოდა... საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსა

აიუ". თეიმურაზს სცოდნია ევროპული და აღმოსავლური ენები (ფრანგული, ბერძნული, თურქული, — პროფ. ე. თაყაიშვილის აზრით, არაბული და სომხურიც).

1830 წლიდან თეიმურაზ ბატონიშვილი უკავშირდება ბროსეს, რომელიც პარიზში ცხოვრობდა. ბროსე თეიმურაზს უგზავნის „გვანამართავად“ თავის ნარკვევებს საქართველოს ისტორიიდან, თეიმურაზი იწონებს ფრანგი მეცნიერის ნაშრომს და შესავსებად აწვდის თავის ნარკვევებს: „წამება ქეთევან დედოფლისა“ და „სიკეთილი დიდი მოურავისა გიორგი სააკისისა“. ეს ნარკვევები გამოცემულ იქნა პარიზში ბროსეს კომენტარებით ფრანგულ ენაზე. ჩვენი ქვეყნის შესწავლის შედეგთა საზღვარგარეთ გატანისა და პოპულარიზაციის დიდი ენთუზიატი არ იშურებს დროსა და ენერჯიას და უზეად აწვდის მასალას როგორც ბროსეს, ისე ცნობილ სენ-მარტენს ისტორიის, ლიტერატურის, პოლიტიკისა და გრამატიკის დარგებიდან. ასეთია, მაგალითად, მისი საყურადღებო შენიშვნები შაჯღაშის შესახებ შავთელის შიბირიდან, განმარტებანი ევფხისტყაოსნის ტაუბებისა, ლექსიკონი და სხვა („განმარტება პოემა ევფხისტყაოსნისა“, „გვარნი ანუ საზომნი ქართულ სიტთა“, „ქართულ ლექსთა საზომებზე“ და სხვ.). 1835 წ. *Journal Asiatique*-ში იბეჭდება საყურადღებო ნაშრომი: „თარგმნილი წერილი თეიმურაზისა ქართულ მონეტებზე ბროსეს გაშუქებით“. ასევე საყურადღებოა ჩვენი მეცნიერის ნაშრომები ქართული ენისა და დამწერლობის საკითხებიდან („თეთითაჲთის სხეთა და სხეთა ენისა“, „მცენარეთა ქართული სახელების ახსნა“, „შემოკლებული ისტორია ქართული წერისა“ და მრავალი სხვ.).

წერილებისა და განმარტებების გარდა, თეიმურაზი აწვდის პარიზის სასაზო საზოგადოებას ისტორიულ ძეგლებსაც. რამდენადმე იგი რედაქტორიკაა ამ საზოგადოების გამოცემებისა საქართველოს ისტორიიდან.

თეიმურაზ ბატონიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული არ არის (თეიმურაზის საისტორიო შრომათა შესახებ ვერჯერობით მოგვეპოვება შოთა შესხიას გამოკვლევა. იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. I, 1939).

თეიმურაზ ბატონიშვილის ახლად აღმოჩენილი „მოგზაურობა“ ევროპაში საყურადღებო ლიტერატურული ძეგლია.

დღემდის თეიმურაზის ევროპაში მოგზაურობის შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი.

პროფ. ალ. ხახანაშვილმა 1909 წელს „საგაქრო გზის“ № 17-ში *Мои воспоминания* წერილი „თეიმურაზ ბატონიშვილის საზოგადოებრივი მასალა“, სადაც გამოთქმულნი მისი წარმართი თეიმურაზს უნდა ემოგზაურებოდა. ცხნისაჲსაჲ კერძოდ უნდა ყოფილიყო ბერლინიში. ხახანაშვილი ეყრდნობოდა ბერლინის ბიბლიოთეკაში დაცულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერს. აი ეს მინაწერიც: „შევსწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა, ფრიდრიკოს კელლერს (ვილჰელმ) მთავრსა, მათს დიდებულებას ბიბლიოთეკისათვის უმოწმებრივს სიმდაბლით. 1836 г. октябръ 22 (ноябръ 4) в Берлине“. შემდეგ აღმოჩნდა თეიმურაზის წერილები ბროსესადმი, საიდანაც ირკვევა, რომ ბატონიშვილს მართლაც უმოგზაურნია ევროპაში სამკურნალო მიზნით.

ამჟამად ხელთა გვაქვს თეიმურაზ ბატონიშვილის ევროპაში მოგზაურობის გრცელი დღიური, აღმოჩენილი ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და გამოცემული ს. ბორძინიშვილის მიერ.

თეიმურაზ ბატონიშვილი დამკვირვებლის თვალთ აღწერს ნახულს. აქ გადმოცემულია ქართველი მოგზაურის შთაბეჭდილებანი ევროპის ლიხსშესანიშნავ ადგილთა და პირთა შესახებ. ჩვენი მოგზაური უზრადღებოთ უკვირდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს, მათს ხასიათსა და ზნეს, კრიტიკულად ეკიდება მათ. ასე, მაგალითად, თეიმურაზს შეუშინვეელი არ დაჩრენია გერმანელთა სიძუნწე და პედანტობაჲმდე მისული ინგარიზიზიზიზი, როგორც მათი ნაციონალური ხასიათის ნიშანდობრივი თვისება. როდესაც იგი პრუსიის უახლოვეთა, იმბოზის: „გზაზე... ენაზეთ ელზინდი, რომელიც ძველად პოლშისა არის, ახლა პრუსიის კოროლს უპყრია, აგრეთვე დანცილიც პოლშისავე ყოფილა და პრუსთა უპყრას“. მართებულად შენიშნავს რედუქტორი თავის წინასიტყვიებაში, რომ გარეგნულად ამ უცნებო სტრიქონებში ყრუდ, მაგარმ მანაც გარეგნით ჩანს თანაგანძობა პოლონეთისადმი. თეიმურაზი კარგად ხედავს პოლონეთის დღესპირი პირობებს, გალატაკებამა და ექსპლოატაციის მძიმე სურათებს. „პოლშის საზღვარში, — ამბობს ავტორი, — მცხოვრებთა მათთა განსაკვირებელი არს სიგლახაკე... გლეხთა და მათ საწყალოთა იმუშებენ მსგავსად ფარაონის კირთებისა ეგვიპტურისა... პოლონეთში იჯარადები ფულთ იგებინან და მათ მებატონეებსაც მრავალ ფულს აძლევენ და ის საწყლები მცხოვრებენი. (გ. ი. გლახები) სრულად მომყარანი და უჭონენლი არიან“.

თეიმურაზ ბატონიშვილის დღიურებში ჩვენ ვეცნობით ლიფლანდიას, კურლანდიას, პოლონეთს, პრუსიას, პომერანიას, მეკლენბურგის სამთავროს, საქსონიას, ზოჰემეის და სხვ. ჩვენი მოგზაური, როგორც განათლებული კაცი, დიდი ყურადღებით ათვალიერებს ევროპის კულტურულ დაწესებულებებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, თეატრებს, სამუსიკო, საკრებულო და საცეკვაო დარბაზებს. ამავე დროს, მის დღიურებში გამოხატულება უპოვია ზნე-ჩვეულებათა აღწერას, გამოჩენილი პირებთან შეხვედრათა ეპიზოდებს, საუბრებს და სხვა. გადმოცემულია პრუსიელი იუნკრების გვირგვინისანი წარმომადგენლის ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს დროინდელი გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების სურათები. „მოგზაურობაში“ ჩვენ ვხვდებით გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, არქიტექტურულ, რელიგიურ დემოგრაფიულ, ლიტერატურულ, ენათმეცნიერულ ცნობებს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი გარემოება. თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც პატრიოტი და თავისი ქვეყნის წარსულის დიდი მკვლევარი, ევროპაში მოგზაურობას იყენებს ქართული კულტურის ისტორიის პრაქტიკულ და პოპულარიზაციისათვის. მას თან წაიღია „ქართლის ცხოვრება“, ხელნაწახა ორბელიანის უკუდაგი „ქართული ლექსიკონი“, დაიო ბატონიშვილის ქართულად გამართული რედოლოგი-ფოსტარტის „ღირსი ხსენებისა ქალაქთა ევროპისითა“, ბროსეს მიერ პარიზში დაბეჭდილი ფრანგულად „ხელაგება აზნაურობითი, ვინა ქართული ენის თვითმასწავლებელი“ და სხვა. თუ რამდენად ენერგიული იყო თეიმურაზ ბატონიშვილი ამ შინაის შესრულების დროს, ეს კარგად ჩანს იქვეანა, რომ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV (იმ დროს კრონპრინცი — ტახტის მემკვიდრე) — თეიმურაზის სიტყვით — „ძალიან შეცნიერი და სწავლული კაცი“ — შესდგომია ქართული ენის შესწავლას. ამავე დროს თეიმურაზი უხვად აწვდის იქაურ დიპტიკოსებულ პირთ ცნობებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, საქართველოს წარსულდან. „ყოველ დღეს მკითხავდენ ჩვენს ლიტერატურისათვის და მეც ცნობას ვაძლევდი. მეორე წიგნსაც დავპირდი პრინცს... დავპირდი კრონპრინცს, რომ ბროსე შეიკრეს წიგნსაც ბეჭდავს, ამ ღრამბატის შესასრულებელს... ძალიან იამა წიგნი რომ გავუგზავნი, მერე რომ ვიპოვო, დიდი მადლობა მიზამანა პირადი და მითხრა: აი გეპირდეს ორი სიტყვა დავისწავლეო ქართულად“... სწერს თეიმურაზი ბერლინიდან ბროსეს, რომ

მეოცე მაშინ პარიზში იმყოფებოდა. ასეთივე ურთიერთობა შეინდა თეიმურაზ ბატონიშვილს საბერძნეთის მეფე ოტტონთან და პრინცესასთან, რომლებიც „სწერს უარაყებულ ისვენებდენ. თეიმურაზის ურამბატის ქართულ კულტურას აცნობდა ჩვენი მოგზაური სხვადასხვა პირებს, სწავლულებს, რომელთაც იგი ხელდებოდა იქაურ სამეფო კარზე და აჯარაყებზე. მას შეიძლოა ურთიერთობა დაემყარებია ევროპაში საქართველოს ისტორიითა და ქართული ენით დაინტერესებულ პირებთან, და აღუთქვამს მათთვის სისტემატური თანამშრომლობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. „დიდად მოიწინეს შენი შრომა, — სწერს იგი ბროსეს, — და ამით ქართული წერალი არც კი ენახათ... რამდენიმე წიგნი თვითმასწავლებელი, შენგან გაკეთებული, ქართული და ფრანციკული, რომელშიაც ჩემი აზნანები არის ჩატანებული, ამ წიგნებისა წამოიღე... სხვათ დავპირდი ჩემს ბერლინში ყოფაში... მალე გამოვა მეორე წიგნიც ამ ღრამბატისა და მოგართმევ-მეთქი“.

საყურადღებოა თეიმურაზის შეხედულებები ევროპული კულტურის მიმართ და ძველი ქართული კულტურის მნიშვნელობის შესახებ, გამოთქმული ბროსესადმი მიწერილ წერილებში, რომლებიც დართული აქვს წინამდებარე გამოცემაში თეიმურაზ ბატონიშვილი ბრამ თაყვანისმცემელი არ არის ევროპის, კერძოდ გერმანიის კულტურისა. „იმ ძველს ეამებში, — სწერს თეიმურაზი ფრანგ ბროსეს, — როდესაცა არც ჯერ თქვენში და არც გერმანიაში ხელი კაცი არ იპოვებოდა, რომ სწორედ ანაბანა თავიდან ბოლომდის ჩავიკითხათ, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ ეამებში, აუ სიტყვ, სრულს განათლებამი და წერილებით აღსავსე და სიბრძნით აღყვავებულ“. ადარებს რა გერმანიას საქართველოსთან, თეიმურაზი აღნიშნავს: „...ხალხის პირველად ხარაქტრი, მშენიერება, ახოვნება, პეროვნება, მთა, ბარი, ძველი მონასტრები, ციხეები, ქვეყნის გარემოზღოვებულება, პერი, წყალი, ნაყოფიერება, სიუხვება, მშენებარობა, თუნდ გულოვნება, ხალხის სიმდიდრეც, სტუმართ მოყვარობა — სულ განსხვავებული არის ჩვენი საქართველოსი“.

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის წერილებში ყურადღებას ამახვილებს იმ ინტერესზე, რომელსაც უნდა იზენდენ ევროპაში ქართული კულტურისა და ენის მიმართ. მან კარგად იცის, რომ „ევროპიელებმა არავინ უწყის ჯერ სრულს მშენიერებით არამც თუ თქვენს ქვეყანაში (ე. ი. საფრანგეთში) ანუ ანგლიაში, ანუ გერმანიაში, ანუ სხვაგან, იპოვ

არ იციან და რას მოიწონებენ და რას აქებენ?" იგი ამხნევებს უცხოელ მეცნიერს — ბროსეს, რომელიც თანდათანობით იწყებს ქართველოლოგიურ მოღვაწეობას, გული არ გაიტემა, და დადგება დრო, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურისადმი დიდ ინტერესს გამოიჩენს განათლებული კაცობრიობა.

და ჩვენ არ გვიკვირს, რომ დიდი მასშტაბის მეცნიერი, ქართველთმეტყველების საფუძვლის ჩამყრელი, აკადემიკოსი მარი ბროსე რამდენიმე წლის შემდეგ თვითმურაზის მდა-

ბალ მოწიფედ აღიარებდა თავის თავს, — თვითმურაზისა, რომელიც თავისი ცხოვრების უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში თანამშრომლობდა დიდ მეცნიერებს და მასთან ერთად მტკიცე ნიადაგს შექმნიდა ახალი სა-მეცნიერო დისციპლინის, ქართველოლოგიის ვაიმომზადებისათვის.

წიგნს წამძღვრებული აქვს სოლ. იორ დანიშვილის შესავალი წერილი, დართული აქვს კომენტარები და ამბ. ა. გაბისონიას წინასიტყვაობა.

მიომთხილველი.



ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები
პროფ. ბუბუშვილის რედაქციით

ტ. I, თბილისი, 1946 წ.

ეკონომიკის ინსტიტუტის ეს პირველი გამოცემა „შრომები“ სახით, რომელიც წარსული წლის ბოლოს გამოქვეყნდა, წარმოადგენს საკმაოდ სქელ (256-გვერდიან) ტომს და შეიცავს 6 ავტორის: ნ. იაშვილის, ს. ბერაძის, ნ. ტყეშელაშვილის, ა. კაკაბაძის, ლ. კარბელაშვილისა და პ. გუგუშვილის შვიდ გამოკვლევას სხვადასხვა ეკონომიური საკითხის შესახებ. ყველა ეს საკითხი საქართველოს ეკონომიკას შეეხება, არცერთი არაა მთლიან განყენებული ან ზოგადი ხასიათისა, და ეს გარემოება განსაკუთრებულ ინტერესსა და მნიშვნელობას ანიჭებს წინამდებარე გამოცემას, რომელიც თავისთავად, ე. ი. თავისი შინაარსის ფაქტორი სიმდიდრისა და მეცნიერული კვლევითი დონის მიხედვით, უპირველად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიური მწერლობის ფონზე.

ქვემოთ საბიბლიოგრაფიო წერილის შემზღვეულ ფარგალში, ჩვენ აღვნიშნავთ გაცემით ამ გამოკვლევების საგანსა და შინაარსს ცალკეული შენიშვნების ჩართვით აქა-იქ.

დოც. ნ. იაშვილის გამოკვლევის სათაურია: „საქართველოს სსრ ტერიტორიის ტიპიზაციისათვის“. მისი მიზანია საქართველოს ტერიტორიის სიდიდის გარკვევა და მისი „უფარგის“ და „უფარგის“ ფართობებიდან დაყოფილობის რიცხვობრივი გამოსახვის დაზუსტება.

ავტორს საქართველოს ფართობად მიღებული აქვს 70 ათასი (ზუსტად: 69,8 ათ.) კვ. კმ. ეს არის, ამბობს ის, „1941 წლის ცნობით“, და იგი „ყველაზე სწორი უნდა იყოს იმ დროისათვის“, თუმცა არ გვეუბნება, თუ რაზეა დამყარებული მისი ასეთი მართ.

გამოკვლევის არსებითი რიცხვობრივი შინაარსი მოქცეულია იმ ცხრილში, რომელიც 89 გვერდზეა მოცემული და რომლის ძირითადი მონაცემები სამ მთავარ სვეტშია მოთავსებული. პირველი სვეტი შეიცავს ცნობებს „საქმიწისაკომის“ მონაცემთა თანხმად, მეორე — ავტორის „განაგარიშების“ თანხმად და მესამე — ავტორისავე „ვიარუდის“ თანხმად.

მთელი ტერიტორიის ფართობი სამივე სვეტში ერთნაირი ოდენობით არის აღნიშნული, და ამ მხრივ იქ განსხვავება არა არის რა. განსხვავება ეხება ტერიტორიის დაყოფილობას „უფარგის“ და „უფარგის“ ფართობებიდან მათი დანაწილების სიდიდის რიცხვობრივ გამოსახვას, და ამხ. იაშვილის გამოკვლევის მთავარი ინტერესი და მნიშვნელობა სწორედ ამ განსხვავებაში არის.

ავტორის ცდა აქ ორ რამეში გამოისახება: ჯერ ერთი იმაში, რომ შევსებულ და შესწორებულ შეტყობის საქმიწისაკომის ცნობებში ხსენებული დაყოფილობის შესახებ, სპეციალურად „უფარგის“ ფართობის დაყოფილობის შესახებ და, ამნაირად, უფრო სწორი ცნობები მოგვცეს უკვე დღეისათვის, და ის, რაც აქ ამ მხრივ მოცემულია, წარმოადგენს ნაშრომის საყურადღებო დადებით მხარეს. გარდა ამისა, ავტორის ცდა, კიდევ ის არის, რომ გაარკვეოს და აღნიშნოს ზომის ცვლილებისა, რომლებიც შესაძლოა შეტყობებზე ახლოებულ მერმისში წარმოსდგეს იმ დაყოფილობის დღევანდელ ზომასი.

საქმიწისაკომის მონაცემებში „უფარგის“ ფართობისათვის გამოცალკეებული არ ყოფილა ფართობის ცნობები მყინვარების, თოვ-

ლიანი არეების, ხეების, ქვიშრობებისა და სიღნარების, პიდროტეჩიური ნაკვობების, გზატკეცილების, სამარეველო და თევდაცვა- ეულტესაყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შე- სახებ. ყველა ამათვის ავტორის იძლევა სა- თანადო რაცხობრივ ოდენობას, რომელიც მის, ასე თუ ისე, „განგარიშების“ ან განგა- რიშების სინაველო მოსაზრების საფუძველზე აქვს შედგენილ-შემუშავებული. საერთო ჯამ- ში, საბოლოო ანგარიშით, ცვლილება მცო- რედა (604 კვ. კლმ.): „უვარგისი“ ფართო- ბი საქმიანსაყოფის ცნობებით შეადგენდა 14104 კვ. კლმ. (ტერიტორიის 20,2%), ხო- ლო ავტორის „განგარიშების“ მიხედვით შე- ადგენს 13.500 კვ. კლმ. (19,3%).

მეორე მხრივ, ავტორი „შესაძლოდ“ სივლის, რომ „უვარგისი“ ფართობი ახლო- ბელ მერკმის ში შემცირდეს 4104 კვ. კლოთ და ეს უკანასკნელი გადავიდეს უშუ- ალოდ დამუშავებული ფართობის კატეგორი- აში (რომელიც ახლა 16 ათას კვ. კლმ. მოი- ცავს); შემდეგ, „ბუნებრივ სამეურნეო ფარ- თობს“ (ტყეს, საძოვარს და სხვ.), რომელიც ახლა დაახლოებით 40 ათას კვ. კლმ. მოი- ცავს მოკლდეს 10.000 კვ. კლმ. და ეს უკა- ნასკნელი გადავიდეს ავტორივ დამუშავებუ- ლი ფართობის კატეგორიაში, რომელიც, ამ- რიგად, 30 ათ. კვ. კლმ-ის შემცველი გახდუ- ბა. ყველაფერი ეს, ავტორის თქმით, „რეა- ლური შესაძლებლობის“ ფარგლებში არის, და ამის შემდეგ საქართველოს ტერიტორიას (70.000 კვ. კლმ.) ასეთი დაყოფილება ექნება. „უვარგისი“ ფართობი — 10.000 კვ. კლმ. (14,2%, ნაცვლად 19,3%-ისა) ბუნებრივ-სამე- ურნეო ფართობი 30.000 კვ. კლმ. (42,9% ნაცვლად 58,2%-ისა) და დამუშავებული (მიწათმოქმედებისათვის გამოყენებული) ფარ- თობი — 30.000 კვ. კლმ. (42,9%, ნაცვლად 22,5%-ისა).

რასაკვირველია, ეს პერსპექტივა მეტისმე- ტად სასიამოვნოა და ამ სიამოვნებას ჩვენ ახლაც ვიგრძობდით, მისი დაჯერება და მისი რეალურობის „ათვისება“ რომ არ იყოს გაძნელებული.

საქმე ისაა, რომ იმ „ვარაუდის“ დამაჯე- რებლობა, რომელსაც ავტორი მიმართავს ხოლმე ამ პერსპექტივის მოსალოდ- ნელობის ნათელსაყოფად, გაცილებით ნაკ- ლებია, ვიდრე იმ „განგარიშების“, რომელ- ზედაც საიდღეისო ოდენობათა განსაზ- ლერაა მის მიერ დაფუძნებული. თუ უკანას- კნელი შეიძლება, ასე თუ ისე, cur grano salis უკეთესის უქონლობის გამო, მიღებულ იქნეს, პირველის მიღება, პირიქით, უზრავ-

ლეს შემთხვევაში ძნელი არასაა გადავს მის საფუძველად დადებული „ვარაუდი“ ხშირად მოკლებულია მეცნიერულ საძირისობას.

ამ ძირითადი ცხრილის შემსწავლელთა დაკავ- შირებით უნდა აღინიშნოს შემსწავლელთა, რომელიც ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაკლის მიხედვებელი არის. ესაა — აქ, ამ ცხრილში, იმ სატიბიზაციო დაყოფილობის ერთი ელემ- ენტის დაიწვევა, რომელიც ავტორის მიერ ჩონჩხად აქვს ამ ნაშრომს მიცემული.

ეს დაყოფილება ასეთია: I. უვარგისი ფართობი, II. ვარგისი ფართობი: 1. აუთვის- სებული, 2. ათვისებული: ა. ბუნებრივ-სამე- ურნეო სახით, ბ. სამიწათმოქმედო სახით.

და, აი, ცხრილში სულ გამოკრეობულია „ათვისებისელი ფართობი“, რომელიც ავტორის სქემაშიც აქვს, ნაშრომის ბოლოს, შეტანილი და ტექსტშიც მოხსენებული.

ამგვარი „დაფიქების“ შემთხვევები სხვა- ც არის ნაშრომში, მაგ., 95 გვერდზე ავტორი გვეუბნება, რომ „საქართველოს ირიგაციულ სისტემას 60 კვ. კლმ. ფართობი უჭირავს“. ცხრილში ეს ფართობიც დაიწვეებულია, არაა შეტანილი.

ეს და მსგავსი უსწროობანი აქ ასახსნელია აღბათ ყურადღების ნაკლებობით მკვლევარ- ის მხრივ. იმავე მიზეზით ვსწნით ჩვენ ამ არა ერთსა და ორ მეტად ზოგადი ხასიათის ფრასს და ყველას მიერ ცნობილი ფაქტების აღნიშვნას, რასაც ეხვედებით აქა-იქ ამ ფრიად საინტერესოა ნაშრომი და რასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი ამგვარ გამოკვლევაში (მაგ., გვ. 86, 88, 96, 100, 105 და სხვ.). ვფიქ- რობთ, რომ ავტორი თვითონ გაასწორებდა ამას, მეტი ყურადღებით რომ მოპყრობოდა საქმეს.



პროფ. ს. ბერაძის გამოკვლევის სა- განის შეადგენს გაფართოებული რე- პროდუქციის სოფ. გეგუთის კოლ- მუქურნობა „წინისკოლაში“.

მთავარი მომენტები, რომლებიც აქ აღ- ნიშნულია ავტორის მიერ, როგორც გაფარ- თოებული რეპროდუქციის „დამახასიათებელი ნიშნები“ თუ „ხელშემწყობი პირობები“, არის შემდეგი: „სოფლის მეურნეობის კო- ლექტივიზაცია“ როგორც „საბაზო მეურნე- ობის ყველა დარგში გაფართოებული სო- ციალისტური რეპროდუქციის უფრო მაღალ დონეზე აყვანის“ „დამპირობებელი“ (გვ. 118), „კოლმეურნეობაში გლეხობის გაერთიანების დონე“ (120), „საირიგაციო სისტემა“ (121),

„საზოგადოებრივი პროდუქტის რეპროდუქცია (როგორც) სოციალისტური გაფართოებული რეპროდუქციის ერთ-ერთი მომენტია“ (იქვე), „სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროული შესრულება“ (122), „სოციალისტური დავროება“ და „კაპიტალისტურა დაბანდებანი“ (122, 123), გამომწვებული შრომადღებების რაოდენობა“ (პროცენტებში, 124), „მოსავლის ზრდა“ (პროცენტებში, 125), „მეცხოველეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ზრდა“ (ისევე პროცენტებში, 126), „ქარსაკაე ზოლის“ გაშენება, რასაც „დიდი მნიშვნელობა აქვს“, რადგან „გვერთში ხშირად ჰქრის ძლიერი ზენა-ქარი“ (სწორედ ისე აქვს ავტორს აღნიშნული), „სამუშაო ძალის გაფართოებული რეპროდუქცია“, „წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია“ და „ადრების აღზრდა“ (ღლილზე, 128, 129), „წიროების გადაკარბებით გამომწვებება“ (130), „ძირითადი ფონდებისა და საქონლიანობის ზრდა“ (132) და ორიოდ კიდევ უფრო შორეული „მომენტა“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცნობებს, რომლებიც ავტორს მოცემული აქვს ზოგ ამ მომენტთან დაკავშირებით, და იმას, რომ მას კვლევის საგნად აღებული აქვს ერთ ცალკეულ კოლმურწნებაში გაფართოებული რეპროდუქციის განზორციელება და ჩამოყალიბება დაახლოებით 10 წლის პერიოდის მანძილზე, — უნდა ესენათ, რომ მკითხველი, გამოკვლევის გულდასმით წაკითხვისა და განხილვის შედეგად, ვერ იღებს სრულსა და ხარველს წარმოდგენას გაფართოებულ რეპროდუქციაზე აღნიშნულ კოლმურწნებაში. ფაქტური ცნობები ამ რეპროდუქციის ცალკეული ელემენტების თუ „მომენტების“ ზომასიღდის შესახებ ავტორს ძალიან ხელშეშეპირნედ აქვს გამეტებული, და ისიც, რაც აქვს ნათქვამი რამდენიმე „მომენტის“ შესახებ, მარტოდენ დინამიკის გამომსახველი პროცენტებში, მოცემული და არა ოდენობის გამომსახველი აბსოლუტური ციფრები, ხოლო უამისოდ, ასეთებთან დაკავშირების გარეშე, პროცენტული ციფრები, როგორც ყველამ იცის, ძალიან მცირედის მთქველია სტატისტიკაში. ავტორს სისწორით აქვს აღნიშნული (გვ. 122, 132), რომ კოლმურწნეობის მთელი შემოსავლიდან ნაწილი გამოიყენება სახელმწიფოს საჭიროებისათვის, ნაწილი — სოციალისტური დავროებისათვის, კოლმურწნობის წარმოებითი ფონდების გასდიდებლად, და ნაწილი ეძლევა კოლმურწნებს შრომადღებების მხედვეთ. სისტრეული იყო, რომ მას, ამის შესახამისად, მოეცა, აღ-

ნიშნული ათწლეულის მანძილზე, სათანადო ცნობები გვეთვის კოლმურწნობის შესახებ წარმოებისა და განაწილების ბაღმისის სახით, საიდანაც კოლმურწნეობის გაფართოებული რეპროდუქციის უწყვეტი მრეწველობა შეადიოდ, ნათლად და სრულად დაინახებოდა, ვიდრე ამას აღწევს მკითხველის წარმოდგენა ავტორის იმ მონათხრების საფუძველზე, რომელიც წარმოების ცალკეულ მომენტებსა და მხარეებს შეეხება და რომელსაც თავმოყრა და შეესება არა აქვს მოცემული სათანადო ნაკრები ცხროლის სახით.



დოც. ნ. ტყეშელაშვილის გამოკვლევის: „ქვანახშირის მრეწველობის უძველესი კერა საქართველოში“ საგნად აქვს ტიბულის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციის საკითხის გამოკვლევა. ნაშრომი, მიუხედავად სიმკაღისა, სინტრეუსო იწნებოდა, ამ საბადოების ისტორია და სათანადო წყაროები ისე შეკვეცილად რომ არ იყოს მოცემული, როგორც მოცემულია. ცნობები შედარებით უხვად არის აქ 1935 წლის შემდგომი პერიოდისათვის (1945 წლამდის). ეს ცნობები შეეხება ძირითად ფონდებსა და ქვანახშირის ამოღების დინამიკას (გვ. 179), შრომის ელექტროშეიარაღებულობის დინამიკას (180), შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დინამიკას (181-2).

იმ მასალების მიხედვით, რომლებთაც ავტორს უსარგებლნია, 1913 წელს ამოღებულ იქნა 70 ათასი, 1919 წ. — 36 ათასი, 1927/28 წ. — 85 ათასი, 1932 წ. — 205 ათასი, ხოლო 1940 წ. — 370 ათასი ტონა, ასე რომ 1940 წელს ქვანახშირის ამოღება თითქმის ნაკერ ვაიზარდა 1913 წელთან შედარებით. ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა იყო 1940 წ. (1935 წელთან შედარებით) 338%, შრომის ნაყოფიერებისა — 59%, ხელფასისა — 122%, ძირითადი ფონდების ღირებულებისა — 170% (ხოლო 1945 წ. 1940 წელთან შედარებით — 302%). მოცემულია აგრეთვე ცნობები სოც. შეეჯიბრებისა და მრავალსანჯრევისანთა მოძრაობის შესახებ.

სამაგიეროდ ავტორს სრულიად არადერი აქვს ნათქვამი პროდუქციის თეილირებულებას განვითარებისა და წარმოების დინამიკის შესახებ.

დოქ. ა. კაკაბაძეს თავის გამოკვლევაში საგნად აქვს აღებული „საქართველოს სახალხო შემოსავლის“ გარკვევის საკითხი. ეს საკითხი ფრიალ რთული და მნიშვნელოვანია, და სამართლიანად მიუთითებს ავტორი, რომ „ჯერ არ ჩატარებულა ცდები საქართველოს სახალხო შემოსავლის შესწავლისათვის“. ამას იგი დასძენს, რომ „ამ ხარვეზის რამდენადმე შევსების მიზნით ავტორმა განიზრახა საქართველოს სახალხო შემოსავლის შესწავლა და ჩატარა ცდა მისი აღრიცხვისა“.

ციფრები, რომლებსაც ავტორი იძლევა ამ „აღრიცხვის“ შედეგად საქართველოს სახალხო შემოსავლისათვის, არის შემდეგი: 1929 წ. — 416, 1930 წ.—555, 1931 წ.—666, 1932 წ.—965 მლნ. მან. („წარმოების“ შესაბამისი „აღრიცხვით“).

ძნელია ამ რიცხვების შესახებ გადაჭრით რისამე თქმა, ვინაიდან იმის შესახებ, თუ რაგვარ საბუთებსა, ხერხებსა და საშუალებებსა დამყარებული ავტორის მიერ წარმოებული „აღრიცხვის“ ცდა, ავტორი ჩვენ ძალიან მითრებს გვეუბნება, იმდენად მჭირვრ, რომ თითქმის სრულიად არა ვიცით რა მის მიერ გამოყენებული მეთოდის თუ მეთოდოლოგიური ხერხების შესახებ.

მართალია, ავტორი აცხადებს (გვ. 231): „ამ წერილში ჩვენ არ შეგერდებით აღრიცხვის მეთოდოლოგიის საკითხებზე“, მაგრამ ეს მას მაინც არ ათავისუფლებს მოვალეობისაგან — გვითხროს, როგორ და რა გზით მიიღო მან ის სტატისტიკა რიცხვი, რომლის შესახებ გვირწმუნებს, რომ იგია საქართველოს სახალხო შემოსავლის ზომისა თუ ოდენობის გამოსახლებული. ეს რომ მას გაემხილა, მაშინ ჩვენ შესაძლებლობა გვიქნებოდა გვესაჯელა მისი საცვლევადობო გზებისა და ხერხების სისწორის შესახებ და, მასმასაღამე, დასკვნა შეგვედგინა მის მიერ წარმოდგენილი შედეგების მისაღებლობასა თუ მიუღებლობაზე. ხალა ვიდრე მას ეს არ მოუქმდნია, ჩვენ იმ შედეგების, როგორც რიცხვობრივი შედეგების, მისაღებლობის შესახებ ვერც პოს ვიტყვით და ვერც არას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, რომელიც ნაშრომს თუ ვნებს, თორემ, ყოველ შემთხვევაში, არის მატებს. ესაა ზოგადი ხასიათის შეჯელობა, რომელსაც აქა-იქ ეხედებით ამ გამოკვლევაშიც, აგრეთვე ის, რომ ყველგან არ ჩანს აქ

მთლად საკმაო ყურადღება ავტორის მხრივ დაწერილისა და დასაწერიისადმი.

გარკვეული
შეხვედრები

საინტერესო და შინაარსიანი გამოკვლევა დოქ. ლ. კარბელაშვილის გამოკვლევა: „მეხილეობის მნიშვნელობა საქართველოში“. ამისათვის ავტორს საკმაოდ დართო ლიტერატურული წყაროები აქვს გამოყენებული.

მოცემულია მოკლე ცნობები მეხილეობის შესახებ ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოში, აგრეთვე ცარიზმის დროინდელშიც, უდიდესი ნაწილი გამოკვლევაში საბჭოთა პერიოდის მეხილეობას აქვს მიძღვნილი და ამგვარად, ავტორის ნაშრომი ძლიერ აქტუალობის ხასიათს ატარებს.

სრულის სისწორით აღინიშნავს ავტორი, რომ მეხილეობის „აღორძინება-განვითარება, მისი გავლა და მაღალ რაოდენობრივ ხარისხობრივ დონეზე აყვანა ისტორიამ საბჭოთა ხელისუფლებას დააკისრა“, რომ ამ პერიოდში „ათასობით პეტტარ ფართობზე ხეხილის აბალი ბაღები გაშენდა; შეიქმნა მძლავრა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ერთიანი ხეხილის ნარგავთა მასივები“ (გვ. 142).

ავტორის სიტყვით, „თუ 1930 — 1933 წლებში ახლად გაშენებული ბაღების ფართობი მ.მ. ათას პეტტარს უდრიდა, შემდეგ ითბი წლის განმავლობაში, 1934—1937 წ. წ. ეს ფართობი ლკვე 20,2 ათას პეტტ. აღწევდა... ამნაირად, მხოლოდ აღებული 8 წლის მანძილზე გაშენებული იყო 30 ათას პეტტარამდე ხეხილის ბაღი, რომლის უდიდესი ნაწილი კოლმეურნეობებზე მოდის (19 ათას პეტტარზე მეტი)“.

სრულის სისწორით ხზგასმულია აგრეთვე იმ ისტორიული დადგენილების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც გამოტანილი იქნა სსრკ საეკონომიკის და სავ. კ. პ. (ბ) ც. კ. მიერ 1940 წ. 15 ოქტომბერს ქართლის რაიონებში მეხილეობისა და შეეწინააღმდეგების განვითარების შესახებ.

143 გვერდზე ავტორს მოცემული აქვს მეხილეობის განვითარების მაჩვენებელი ფრიალ საინტერესო ცხრილი მთელი საბჭოთა პერიოდისათვის, საიდანაც დასკვნა ეს არის: ამ პერიოდში „ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 2,4-ჯერ არის გაზარდილი, განსაკუთრებული ზრდა გვაქვს ერთიანი ნარგავების (4,4-ჯერ) საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხაზით, წინააღმდეგ გა-

ფანტული ნარგავების 1,3-ჯერ გადიდებისა" და რომ „უზრადღებამ იპყრობს ინტენსიური განვითარება ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ“, როდესაც ვხედავთ, რომ „1945 წლის იანვრისათვის ერთიანი და გაფანტული ხეხილის ბაღების ფართობი (მიწსახეობის სავარაუდო ცნობებით) 76.475 ჰექტარს“ აღწევს, საიდანაც აღმ. საქართველოზე მოდის 34,8 ათ. ჰექტ. (46%) და დასავლ. საქართველო 41 ათ. ჰექტ. (54%).

აგორას სწორად აქვს აღნიშნული აგრეთვე ის გარემოება, რომ მეხილეობა ჩვენში „გარკვეულ სამრეწველო-სასაქონლო ბაზათის ღებულობს, — ხეხილის ერთიანი ზაღების ხვედრითი წონის მკვეთრი გადიდების სახით...“ და რომ „ჩვენი მეხილეობის განვითარება უმთავრესად საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხაზით მიმდინარეობს“ (გვ. 142-3), რის ცხადსაყოფელად მას სპეციალური ცხრილი აქვს 145 გვერდზე მოცემული.

გარდა ამისა, მკითხველი აგორას ნაშრომში პოულობს საინტერესო ცნობებს მთელი რიგი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალო კავშირშია სწორედ მეხილეობის წინაშე გელოზბასთან, რაც კვლევის საგნად არის აგორას მიერ აღებული.

ყველა, ვისაც საკითხი აინტერესებს, სიამოვნებით წაიკითხავს ამ. ლ. კარბელაშვილის ნაშრომს.

ამ ნაშრომის მთავარ ნაკლოვანობას წარმოადგენს მისი შენაარსის ნაწყვეტოვნობა.



პროფ. პ. გუგუშვილის ორი გამოკვლევა ამ ტომში მოთავსებული. ერთია, თითო საგნის შესაბამისად, უფრო ვრცელი გამოკვლევა და შეეხება მიწათმფლობელობის ისტორიის საკითხს, სახელობრ: თემურ მიწათმფლობელობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ხოლო მეორე, უფრო მოკლე—გერმანელების კოლონიზაციის ასევე საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

როგორც პირველი, ისე მეორე გამოკვლევითვის აგორას მიერ გამოყენებულია ურად უხვად სათანადო ლიტერატურა და წყაროები, მათში არა მცირედ საარქივო მასალებიც. სრულიად უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში არ არის არსად და

არც ერთხელ რაიმე აზრი ან შეხედულება გამოთქმული თუ წამოყენებულია, რომ იგი არ იყოს სათანადო წყაროს და საბუთის დაყრდნობილი.

პირველ გამოკვლევაში შეიძლება საკითხება გარკვეული ან, ყოველ შემთხვევაში, მათ გმარკვევად მეცნიერული კვლევა-ძიება და ანალიზი წარმოებულ: ჯერ, პირველად, ზოგადი საკითხი მიწათმფლობელობის ფორმებისა და განსაკუთრებით თემური ხასიათის მიწათმფლობელობის შესახებ ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილებსა და რაიონებში: შემდეგ, 2. მიწის პერიოდული გადაწელების შესახებ; 3. მიწათმფლობელობის თავისებურება და მრავალგვარობა თუშ-ფშავ-ხევისურეთში, მომთაბარე ტომებში და ქუთაისის გუბერნიის; 4. საკითხი თემური მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენსა და რუსულ მურლობაში, ე. ი. მკველობა და კამათი თემური მიწათმფლობელობის დასაცავად და წინააღმდეგ; დასასრულ, 5. თემის მიწების გადასვლა კერძო საკუთრებაში.

უნდა ითქვას, რომ აქ, ამ საკითხების განხილვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მისაწვდია, მეცნიერულ-თეორიული თვალსაზრისით, ის ახსნა-განმარტება და ანალიზი, რომელსაც აგორი იძლევა თემის მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლის პროცესში გარკვევისთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მის მეორე ნარკვევს, რომელსაც სათაურად აქვს „გერმანელი კოლონიტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში“, უნდა აღინიშნოს, რომ ისიც, პირველს მსგავსად, გამოირჩევა ნასარგებლვე წყაროების სიხვეტი და მოცემული ცნობების სუსტით. საკმარისია მივუთითოთ თუნდა იმ გარემოებაზე, რომ აგორი აქ გვაძლევს ზუსტ რიცხვს, პუნქტობრივ, ოჯახობრივ და სულადობრივად, იმ გერმანელებისს, რომელნიც 1817-18 წელს ჩამოსახლდნენ საქართველოსა და განჯაში. აგორი სრულიად უცლიბლად ამტკიცებს, რომ მოსულ კოლონიტებს არავითარი მალალი კულტურა არ შემოუტანიათ არც ადგილობრივ მეურნეობაში და არც გლეხობაში და რომ მათს აქ დასახლებას მხოლოდ მათი ეკონომიურად გაღონიერება და არა იწვითად გამდიდრება მოჰყვა შედეგად იმ მრავალგვარი სუბსიდიებისა და დახმარების მეოხებით, რომელსაც მათ ცარიზმის მთავრობა უწევდა განუწყვეტილად.

პროფ. ვ. გოგიჩაიშვილი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ალექსანდრე აბაშელი — გაზეთული, ლექსი	83-3
იპინთი ლისაშვილი — ნათელა, მოთხრობა	4

რუსული კლასიკური პოეზია:

გ. დერჟავინი — მერცხალი, თარგმანი ალ. აბაშელისა	62
ა. პუშკინი — 19 ოქტომბერი, თარგმანი კონსტ. კვიციანიძისა	63
ნ. იაზიკოვი — სამი ლექსი, თარგმანი ირ. აბაშიძისა	67
ა. კოლცოვი — ტყე, თარგმანი კონსტ. კვიციანიძისა	69
ოტარ ჩხიძე — აყვანი, მოთხრობა	72
შალვა აფხაძე — ეს ჩემი დროა, ლექსი	75
აქაკი ბელიაშვილი — თავდასავალი ბესიკ გაბაშვილისა, რომანი, ვაგრაძელმა	76
ქალე ბოზოხიძე — ზეენი მისი, ლექსი	98
შოთა ბაგრაძე — გმირები, ორი ლექსი	99
ნილოვან ახვლედიანი — ნაცნობი ქვა, ლექსი	101

კონსტანტინე ბაშბაშვილი — კოლხეთში, ნარკვევი, დასასრული	102
--	-----

შარიპ საფაროვი-აბაშიძე — შოგონებანი, დასასრული	126
--	-----

დოდო ანთაძე — კოტე შარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა, წერილი	148
შალვა ალბაჩიშვილი — ქართული ფერწერა „საქართველოს საბჭოთაო ხელოვნების გამოყენებზე“, წერილი	160
შალვა გოგალიშვილი — დავით წერეთელი-სხეიტორელი, წერილი	190

მიმოხილველი — თეიმურაზ ბატონიშვილის ახლად აღმოჩენილი „მოგზაურობა“, ბიბლიოგრაფია	195
პროფ. ფილიპე ბოგინაძის მიხედვით — „კონსტანტინე ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947 წ., ბიბლიოგრაფია“	198

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

01466200

პსუბისმგებელი რედაქტორი
ირაპლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშილი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პსუბისმგებელი მდივანი), იოსებ ბრიშაშვილი, ჰაველ ინგოროშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მუშაშვილი), ბესარიონ შიხიძე, ბალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიმიტრი შინგალია.

ბელმოწერილია დასაბუქლად 24/VI-47 წ. ნაბუქლ ფორმითა რაოდენობა 123 $\frac{1}{4}$ ფ. ში 00987
შეცვეთის № 1202. ტირაჟი 5.300.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი. შარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მამბლას ქ. № 13.